ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა
გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941 წწ)

Georgian Comparative Literature Association
(GCLA)

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Bolshevizm and Georgian Literature

from Sovietisation
to the World War II
(1921-1941)

Tbilisi
2016

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული
ასოციაცია (GCLA)
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა

გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე

(1921-1941 წწ)

თბილისი
2016

UDC(უაკ)

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია
(GCLA)
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (№ F31/92)
მეშვეობით

პროექტი განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს არქივის მხარდაჭერით

რედაქტორები:
მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი

© მაკა ელბაქიძე, მანანა კვატაია, ნონა კუპრეიშვილი,
ადა ნემსაძე, ირმა რატიანი, მანანა შამილიშვილი,
ზოია ცხადაია, მაია ჯალიაშვილი, მაკა ჯოხაძე.

ოპერატორ-დამკაბადონებელი:
თინათინ დუგლაძე

ყდის დიზაინერი:
ნოდარ სუმბაძე

გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2016

ISBN

სარჩევი

ირმა რატიანი
მაკა ელბაქიძე
ქართული მწერლობის გოლგოთა.....9

პორტრეტები.
ნაცნობნი და უცნობნი

ვინც შეეწირა...

ადა ნემსაძე
ვანლერ დაისელი.....26

ადა ნემსაძე
ჟანგო ღოღობერიძე.....44

ნონა კუპრეიშვილი
სიო ჭანტურიშვილი.....57

ზოია ცხადაია
გერცელ და დავით ბააზოვები.....63

მანანა კვატაია
მიხეილ ბოჭორიშვილი.....69

ზოია ცხადაია
ქრისტეფორე რაჭველიშვილი.....77

ზოია ცხადაია
სამსონ ფირცხალავა.....85

ზოია ცხადაია
შალვა ქართველიშვილი.....96

მაია ჯალიაშვილი
დავით ქარცივაძე.....99

მაია ჯალიაშვილი
გიორგი ცაგარელი.....106

მანანა შამილიშვილი
შალვა ჯანბერიძე.....109

ზოია ცხადაია
სამსონ ჭანბა.....113

ვინც გაწირეს...

მანანა კვატაია
მემედ აბაშიძე.....117

ნონა კუპრეიშვილი
ბენიტო ბუაჩიძე.....127

მანანა შამილიშვილი
გრიგოლ მუშიშვილი.....134

ზოია ცხადაია
დავით ჩხეიძე (დია ჩიანელი).....138

ვინც გადარჩა...

ადა ნემსაძე
ლევან გოთუა.....144

ადა ნემსაძე
სერგი დანელია.....154

მანანა შამილიშვილი
დავით ვოლსკი.....158

მანანა კვატაია
ნიკო კეცხოველი.....163

მანანა კვატაია
მიხეილ კინწურაშვილი (იასამანი).....172

ადა ნემსაძე
დიმიტრი მგელაძე.....176

მანანა შამილიშვილი
გიორგი მუმლაძე.....179

ზოია ცხადაია
ელისაბედ (ლიზიკო) ქავთარაძე.....184

მანანა კვატაია
სვიმონ ყიფიანი.....190

მანანა შამილიშვილი
გიორგი ჩიტაია.....196

ცარიელი საქმეები.....201

მწერალთა კავშირის ტრაგიკული „ხუთწლედი“

ნონა კუპრეიშვილი
„პარტიული ლიტერატურა“:
თეორია და პრაქტიკა.....221

ზოია ცხადაია
პარტორგანიზაცია – მწერლობაზე
იდეური კონტროლის სტრატეგი.....238

შიშის დინამიკა

მაკა ჯოხაძე
შიშის დინამიკა.....263

ადამიანური ისტორიები

ირინა ნაცვლიშვილი
ლევან რაზიკაშვილი.....290

მანანა კვატაია
სანდრო ახმეტელი.....302

მაია ჯალიაშვილი
ბრალად ედება სამშობლოს სიყვარული.....310

მაია ჯალიაშვილი
ქაქუცა ჩოლოყაშვილის საიდუმლო აგენტი.....329

მანანა კვატაია
„ჩემი მეგობარი რაინჰოლდ ჩაკერტი...“.....335

მანანა კვატაია
ერთი დაშიფრული წერილის კვალდაკვალ.....342
ზოია ცხადაია
აპოლონ ბალანჩივაძე 350

ადა ნემსაძე
სოლომონ ქურდიანი.....353

ზოია ცხადაია
ჯალათის საქმე.....365

დაკითხვის ოქმები.....371

დოკუმენტები.....427
საძიებლები.....488

ქართული მწერლობის გოლგოთა

XX საუკუნის დასაწყისი საკმაოდ რთული აღმოჩნდა საქართველოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ 1918 წელს, რუსეთის საიმპერატორო კარის გაუქმებისა და რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვების კვალდაკვალ, საქართველოში დასრულდა რუსეთის იმპერიის ორასწლიანი ბატონობა, თავისუფლება საკმაოდ მცირეხნიანი აღმოჩნდა! 1921 წელს ბოლშევიზმის ტალღამ საქართველოსაც გადაუარა, რასაც საბჭოთა რეჟიმის დამყარება და ბოლშევიზმის იდეოლოგიის თანდათანობითი გაბატონება მოჰყვა. ამ მოვლენამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცნობიერების ყველა სფეროზე, მათ შორის, კულტურასა და ლიტერატურაზე. თუკი გავითვალისწინებთ ლიტერატურის თანდაყოლილ სწრაფვას ინტელექტუალური და გამომსახველობითი თავისუფლებისაკენ, ცხადად შეიძლება წარმოვიდგინოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში იქმნება მხატვრულ ტექსტსა და გარემოს შორის. ტოტალიტარიზმის, როგორც ძალადობრივი მმართველობის, უპირველესი ნიშანი იდეოლოგიური დიქტატურის შექმნა, კლიშეების ფორმირება და დანერგვაა, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად ზღუდავს ლიტერატურული თავისუფლების ფარგ ლებს. ამის ნათელი მაგალითია გასული საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლები, როდესაც ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოდერნისტული ტენდენციები კონცეპტუალურ ანტაგონიზმში აღმოჩნდა საბჭოთა დიქტატურის იდეოლოგიურ პრინციპებთან. სულიერი ღირებულებების დესტრუქციით აღნიშნული პოლიტიკური კურსი იმთავითვე დაუპირისპირდა შინაგანი, სულიერი ძიებით აღნიშნულ ლიტერატურულ პროცესს, რომელმაც, თავის მხრივ, ზუსტად აირეკლა ეპოქის კრიზისი, ის საერთო სკეპტიციზმი და ნიჰილიზმი, რომელიც სუფევდა ინტელექტუალური ტერორით დათრგუნულ საზოგადოებაში.

ცნობილი საბჭოთა ფორმულა: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია“ – იმაზე მეტს გვეუბნება, ვიდრე თვითონ უნდა გვითხრას – პიროვნებას წაერთმევა ის, რაც მისთვის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია – მისი სული გასხვისდება და გიგანტური ბომონის სამსახურში ჩადგება. ხელოვანსაც აიძულებენ, გასხვისებული, გაუცხოებული სულით შექმნას იმ ტიპის ნაწარმოებები, რომლებსაც მისგან ახალი რეჟიმი მოითხოვს. ტოტალიტარიზმს ემსხვერპლება არა მარტო ნიჭიერი მწერლების სიცოცხლე, არამედ მათ მიერ დაუწერელი წიგნები, თვით ცოცხლად გადარჩენილ მწერალთა ჩაკლული ნიჭი, დამახინჯებული ადამიანური და შემოქმედებითი ბიოგრაფიები, განუხორციელებელი გეგმები...

მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება ბოლშევიკური წყობის მესვეურთა მიერ იმართებოდა. ყველა ხერხი ამართლებდა მიზანს: მწერლების იდეოლოგიური ზომბირება და ტერორის გზით მათი დიქტატურის სამსახურში ჩაყენება; იდეოლოგიურად უტრირებული ლიტერატურული მიმართულებების ფორმირება (სოციალისტური რეალიზმი, პროლეტარული მწერლობა); თუკი ესეც არ გაამართლებდა, სოციალური პოლიტიკის რადიკალური საშუალებების დანერგვა, მათ შორის, ვანდალურისაც კი – წამების, მკვლელობის, განადგურების, ზოგადად ტერორის, როგორც უმოკლესი გზისა მასობრივი კულტივირებისაკენ.

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება გაშლილი ფრონტით მკვიდრდებოდა იძულებით გაერთიანებული ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, ტერიტორიებზე; სხვა პოლიტიზებული ტერმინების გვერდით საპატიო ადგილი ეჭირა ცნებებს – „საბჭოთა მწერლობა“, „სოციალისტური რეალიზმი“, „საბჭოთა კრიტიკული სკოლა“, რომლებიც ზედმიწევნით კარგად გამოხატავდა იდეოლოგიის ნიშნით გამორჩეული ლიტერატურის პრიორიტეტულობას და განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და პატივს ჰპირდებოდა მუზის მსახურებს. ერთი მხრივ – შიში, მეორე მხრივ – სტაბილური კეთილდღეობის გარანტია ძლიერი ბიძგი აღმოჩნდა მათთვის, ვინც ნაკლებად ფიქრობდა საუკუნო დიდებაზე. იქმნებოდა დითირამბული ლექსები და ოდები საბჭოთა ქვეყნის მესაჭეებზე; იწერებოდა სქელტანიანი რომანები საბ-

ჭოთა ადამიანების კოლექტიურ შრომასა და შრომით გმირობებზე, ძმობის, ერთობისა და თანასწორობისათვის მებრძოლი ხალხის ცხოვრებაზე და მათ დაუნდობელ ბრძოლაზე ჯერ კიდევ შემორჩენილ ბურჟუა-არისტოკრატებთან; საბჭოთა კრიტიკა ხოტბას ასხამდა ამგვარ ლიტერატურულ ექსპერიმენტებს და ამასაც არ სჯერდებოდა: უმოწყალოდ ასახიჩრებდა იშვიათობად ქცეული ხარისხიანი მწერლობის ნიმუშებს. ამგვარი არასწორი, მიუღებელი ინტერპეტაციის მსხვერპლად არაერთი ქართველი მწერლის საეტაპო მნიშვნელობის მქონე ტექსტი იქცა. საშუალო ნიჭისა და შესაძლებლობის ავტორებმა კარგად აუღეს ალღო მიმდინარე პროცესს, თუმცა ბზარი მეტრებსაც შეეპარათ. მიზეზად ძნელად თუ დავასახელებთ გულწრფელ ნდობას საბჭოთა იდეოლოგიური კურსისადმი და, მით უმეტეს, აღფრთოვანებას. მიზეზი, უპირატესად, იყო შიში, ჩვეულებრივი, ადამიანური შიში (საკუთარი ან ოჯახის წევრების განადგურებისა), რომელიც განსაზღვრავდა მორჩილებას ლიდერისა და სახელმწიფო სტრუქტურისადმი. მაგრამ არც შიშს ჰქონდა ცალსახა დატვირთვა: შემოქმედთა გარკვეულ ნაწილს სწორედ შიში აგრძნობინებდა არსებული რეალობის აბსურდულობას, აძლიერებდა პროტესტის განცდას და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „განსხვავებული აზრის“ გამომუშავების საქმეში. „სხვაგვარად მოაზროვნე“ მწერალი კი მარტივად ცხადდებოდა „მტრად“, ხოლო მისი შემოქმედება – ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობად, რასაც ყოველთვის ერთი დასასრული ჰქონდა: დასჯა. მონური საზოგადოების „იდეალური ტიპის“ წინააღმდეგ ამბოხებული არაერთი მწერალი შეგნებულად შეგებებია დახვრეტას, გადასახლებას ან თვითმკვლელობას. პრობლემის „გადაჭრის“ ეს სამივე ფორმა შინაარსობრივად იდენტური იყო, განსხვავებას მხოლოდ განხორციელების სტრატეგია ქმნიდა. მწერალი თავად იყო ტრაგიკული პერსონაჟი, რომელიც მხვერპლად ეწირებოდა საკუთარ პრინციპებს. ამგვარად დასჯილ ქართველ მწერალთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი შეიძლება გაკეთდეს. ვითარების ტრაგიზმს, ასეთ შემთხვევაში, ქმნის არა მარტო ცალკეული ადამიანების ბედის მსხვრევა, არამედ მთლიანი ლიტერატურული პროცესის ხელოვნური წყვეტა, რასაც, როგორც წესი, ხანგ-

რძლივი კულტურული რეაბილიტაცია ესაჭიროება. მხატვრული ლიტერატურა ვერ შეფასდება ვერც მხოლოდ ქრონოლოგიური და ვერც მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით, შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, კონცეპტუალურ და მხატვრულ სიახლეებთან ერთად, ინტელექტუალური თავისუფლების ხარისხია, რომლის დეფიციტსაც ცალსახად განიცდიდა საბჭოთა საზოგადოება.

დაპირისპირებამ ბოლშევიზმის ტოტალიტარულ რეჟიმსა და მხატვრულ-ლიტერატურულ აზროვნებას შორის მტკივნეული გამოცდილების ათეული წლები მიითვალა და ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი შექმნა.

წიგნი „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941 წ.წ.)“ წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიის ამ ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ეტაპის – გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდის – მეცნიერულ შეფასებას კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრატეგიის ფონზე, უცნობ და ნაკლებად ცნობილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით. წიგნის მიზანი ქართული მწერლობისათვის გოლგოთად ქცეული რეალობის კვლევაა და გამოვლენა იმისა, თუ როგორი გავლენა იქონია ქართველ მწერლებსა და კულტურის მოღვაწეებზე ბოლშევიზმის პირველმა ორმა ათწლეულმა. თანამედროვე ქართული ინტელექტუალური საზოგადოება, მართალია, მიუბრუნდა ამ ეპოქას, მაგრამ წიგნში წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევა სცილდება აღწერით-კომპილაციურ ეტაპს და უფრო სიღრმისეული ანალიზის განხორციელებას ისახავს მიზნად. სიმართლის დადგენის გზად საარქივო მასალაზე მუშაობა იქცა, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა*.

საქართველოს შსს არქივში დაცული დოკუმენტების შესწავლამ ცხადყო, რომ ლიტერატურაზე პოლიტიკური კონტროლის

* წიგნის სარედაქციო კოლეგია დიდ მადლობას უხდის სშსს არქივს ქმედითი მხარდაჭერისთვის. აქვე დავძენთ, რომ სშსს არქივში მოძიებული უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მასალები (ვგულისხმობთ, ძირითადად, სშსს არქივის მე-6 ფონდსა და საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივში დაცულ მასალებს) მოწოდებულია პროფესიული და ადამიანური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

სტრატეგია, რომელსაც ბოლშევიკური რეჟიმი ურყევი მიზანდასახულობით ნერგავდა, ერთგვაროვანი არ ყოფილა. 20-30-იან წლებში იგი აღმავლობით, ერთგვარი პროგრესიით ხასიათდებოდა. შესაბამისად, საარქივო მასალაზე მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე (იმის გათვალისწინებით, რომ დოკუმენტები, პირადი მიმოწერა თუ ჩანაწერები სხვადასხვა საქაღალდეებშია მიმოფანტული), გამოიყო რამდენიმე ქრონოლოგიური ეტაპი და შესაბამისი თემები, რამაც გააადვილა მოპოვებული მასალის სისტემატიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა. ეს ეტაპებია:

I ეტაპი. 1921-1924 წ.წ. – პირობითად, *ბოლშევიზმსა და საბჭოთა რეჟიმზე არსებული არაადეკვატური, ილუზორული წარმოდგენის ხანა,* როდესაც ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციას რეალურად ესახებოდა ახალ ხელისუფლებასთან გონივრული თანამშრომლობის იდეა (საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის, ოფიციალური აღნიშვნა; ს. ორჯონიკიძის დაპირებები მე-11 არმიის გაყვანისა და ქვეყნის სუვერენიტეტის ხელშეუხლებლობის შესახებ და ა.შ);

II ეტაპი. 1924-1929 წ.წ. – *ანტისაბჭოური აჯანყების ჩახშობა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები:* ქაქუცა ჩოლოყაშვილის მომხრეთა წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები; პოლიტიკური ვექტორის დევერსიფიცირების მკვეთრი დემონსტრირება; „კულტურპოლიტიკა“, როგორც შემოქმედებით ძალთა ბირთვის მიერ შემუშავებული ქართული კულტურის იდენტობის დამცველი სტრატეგია;

III ეტაპი. 1929-1932 წ.წ. – *პირობითად, ევროპული ორიენტაციის საბოლოო დამარცხების ხანა,* როდესაც პოლიტიკური ძალაუფლების გამყარების შემდეგ (რაც ლევ ტროცკის საბჭოეთიდან განდევნით დაგვირგვინდა) ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გაამყარა თავისი ლიტერატურული პოლიტიკა, რომელიც, ფაქტობრივად, კრიტიკას სადამსჯელო ფუნქციას ანიჭებდა (ამის ნათელი დადასტურებაა 1931 წელს ფილიპე მახარაძის რედაქტორობით გამოსული კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, რომელშიც პროლეტმწერალთა მძაფრი კრიტიკის ობიექტები ხდებიან არა მარტო „რეაქციონური და მონარქისტული მწერლები... ჭავჭავაძეები და ძმანი მისნი“, არამედ მათი

შემოქმედების დადებითად შემფასებელნიც). ევროპული კულტურა, მათ შორის ლიტერატურა, გამოცხადდა საბჭოეთთან შეუთავსებელ და მტრულ მსოფლმხედველობად. ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი „ხელოვნურად“ დაიყვნენ „ჩვენიანებად“ და „იმათიანებად“, შესაბამისად, საოცარი აქტუალურობა შეიძინა ლოზუნგმა: „ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მტერია“.

IV ეტაპი. 1933-1937 წ.წ. – როცა ბოლშევიკებმა ენერგიულად დაიწყეს საბჭოთა ხალხში კოლექტიური ცნობიერებისა და საყოველთაო შიშის დანერგვა. საბჭოთა დისკურსის ჩამოყალიბებისა და სოციალისტური რეალიზმის აპოლოგიის პარალელურად უკიდურესად გაფართოვდა რეპრესიების გატარების მასშტაბები და მოცულობა. საარქივო მასალები ცხადყოფს, რომ რეპრესიული ღონისძიებები ხორციელდებოდა არა მხოლოდ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა, არამედ რიგითი მოქალაქეების თუ საქართველოს ფარგლებში ან მის გარეთ მოღვაწე სასულიერო პირთა მიმართაც.

ამ პერიოდში ჩნდება ახალი ბრალდებები: მემარცხენე-ტროცკისტული დაჯგუფების წევრობა და ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა, ტერორისტული და ჯაშუშურ-დივერსიული ჯგუფის წევრობა და საქმიანობა, ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაცია, მავნებლური მუშაობა, რასაც მოგვიანებით ემატება ანტიკოლმეურნეობრივი კონტრრევოლუციური საქმიანობა. ამ ბრალდებებით მასობრივად იჭერენ ყველას, ვისი ორიენტაციაც საეჭვოდ ეჩვენებათ ან, სულაც, ნებისმიერი მიზეზით თავიდან მოშორება სურთ. ტროცკიზმის ბრალდებით ამ წლებში უამრავი ადამიანია გასამართლებული, როგორც საზოგადოებისთვის უცნობი, ისე კარგად ცნობილი პირები, მათ შორის მწერლები, მეცნიერები.

V ეტაპი. 1938-1941 წ.წ. – მეორე მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა პატრიოტულმა თემატიკამ. „ზემოდან“ სანქცირებულმა ამ თემამ მაღალმხატვრული ასახვა ჰპოვა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ გარშემო შემოკრებილ პოეტთა და პროზაიკოსთა პირველ ლიტერატურულ ცდებში; ამავდროულად, არ შენელებულა და-

პირისპირება საბჭოურ ნომენკლატურულ მწერლობასთან (მ. გელოვანის სიტყვა 1938 წლის მწერალთა კავშირის სხდომაზე; ლ. ასათიანისა და კ. ხიმშიაშვილის მიმოწერა, სადაც საუბარია ე.წ. „ლიტერატურულ პატიოსნებაზე“, რომლისგანაც მაშინ შორს იდგა ბევრი ქართველი მწერალი). 40-იანი წლების დასაწყისში საგრძნობლად შემცირდა სიტყვიერი ანგარიშსწორება „ხალხის მტრებზე“, ვინაიდან არსებულმა რეალობამ მწერლობას სრულიად სხვა მიზნები დაუსახა. ამიერიდან ყველა ჟანრისა თუ ფორმის ლიტერატურული ნაწარმოები პატრიოტული სულისკვეთებით უნდა ყოფილიყო გაჯერებული. ამას მოითხოვდა პარტია, ამისკენ მოუწოდებდა ამხანაგი სტალინი...

თითოეული ეს ეტაპი ასახავს საბჭოთა ხელისუფლების კულტურული პოლიტიკის დინამიკას, აღნიშნულს დიქტატურის გამყარების აღმავალი პროექციით.

შსს არქივში დაცული მასალის სისტემატიზებისა და ეტაპობრივი ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ბოლშევიზმის ინტელექტუალური ტერორის სისტემური და დანაშაულებრივი მექანიზმის აღდგენა, ცალკეულ მწერალთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებების, მათი ინტელექტუალური თუ პიროვნული თავისუფლების შეზღუდვისა თუ ხელყოფის აქამდე უცნობი დეტალების გამოვლენა, რამაც მოგვცა საკვლევი პერიოდის (1921-1941 წწ) ქართული მწერლობის სრულიად ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტირების საშუალება; აგრეთვე, ამ პერიოდში გამოკვეთილი დისკურსებისა და ნარატივების დასაბუთების მეცნიერული საფუძვლების მონიშვნა, კერძოდ: რას ეფუძნებოდა ქართული მწერლობის რეზისტენტულობა? რატომ იქცა მოდერნიზმი და ავანგარდი სოციალისტური რეალიზმის ყველაზე საშიშ ოპონენტებად? სადამდე მიჰყავს ლიტერატურა პოლიტიკურ რადიკალიზმს? „მაღალი მოდერნიზმი, მისთვის ნიშანდობლივი განსხვავებული ფორმებითა და შენაკადებით, სწრაფვით რეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ, აგრეთვე, ჭეშმარიტების ძიებისა და ინდივიდუალობის დამკვიდრების მხატვრული ტენდენციებით, მთავარ საშიშროებას წარმოადგენდა საბჭოთა დემაგოგებისათვის... მწერლობის ეს ფრთა, რომელიც უარს ამბობდა სოციალისტურ რეალიზმზე, პროგ-

რესული დასავლური სულისკვეთებითა და მოდერნისტული ფილოსოფიით (ინტუიტივიზმი, ფროიდიზმი, პრაგმატიზმი, ნეოპოზიტივიზმი) იყო ნასაზრდოები, თუმცაღა, თითქმის ყველგან შეინიშნებოდა ქართული მწერლობისათვის ესოდენ ტრადიციული სინთეზი ეროვნული ღირებულებებისა დასავლურ ტენდენციებთან... არანაკლები საფრთხე შეუქმნა საბჭოთა კულტურპოლიტიკას ავანგარდმა... ის აქტიურად რეალიზდა გამომსახველობითი ფორმების ექსპერიმენტულ მოდელებში. ქართული ავანგარდი, წარმოდგენილი უაღრესად ნიჭიერი და საინტერესო ავტორებით (სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია და სხვ.), მხატვრულ-ესთეტიკურ ნათესაობას ამჟღავნებდა ავანგარდის დასავლურ მოდელთან... ქართული ავანგარდი, მსგავსად ევროპული ავანგარდისა, წარმოადგენდა მხატვრულ რეაქციას ჩიხში მოქცეულ კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე... ასეთი პათოსისა და განწყობის მატარებელი მოდერნიზმი და ავანგარდი, როგორც ანტისაბჭოთა დისკურსი, რომელიც გამოხატავდა საბჭოთა რეჟიმისადმი ნეგატიურად განწყობილ შემოქმედთა პათოსს, გამორჩეულს თავისუფალი იდეოლოგიური პოზიციითა და არასტანდარტული ლიტერატურული ჟანრებით, საბჭოთა ხელისუფლების მიერ პრინციპულად იქნა გადანაცვლებული მარგინალურ პოზიციაზე, მის ფონზე კი დომინანტურ მოდელად გამოცხადდა საბჭოთა დისკურსი, გამოვლენილი, უპირატესად, პროლეტარული და სოცრეალისტური მწერლობისა და საბჭოთა პუბლიცისტიკის სახით...“* (გვ. 135-145) „სხვავარად მოაზროვნე“ ქართველი მწერლები შეგნებულად მიდიოდნენ მსხვერპლზე. „შედეგად, მონური საზოგადოების „იდეალური ტიპის“ წინააღმდეგ ამბოხებული არაერთი ქართველი შემოქმედი შეგნებულად შეგებებია დახვრეტას (მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, კოტე ხიმშიაშვილი), დაპატიმრებას (ნიკო სამადაშვილი), ემიგრაციას (გრიგოლ რობაქიძე), ანაც – თვითმკვლელობას (პაოლო იაშვილი). პრობლემის „გადაჭრის“ ყველა ეს ფორმა შინაარსობრივად იდენტური იყო, განსხვავებას მხოლოდ განხორციელების სტრატეგია ქმნიდა“... (გვ. 149).

* აქაც და შემდგომაც დამოწმებულია ირმა რატიანის მონოგრაფია „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.

საარქივო და სამეცნიერო კვლევის შედეგებმა წიგნის შვიდი თავი შეადგინა. პირველი თავია **პორტრეტები** – 1921-1941 წლებში რეპრესირებული მწერლების, მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების ტრაგიკული ბიოგრაფიები. ამ ადამიანთაგან ზოგი – უკომპრომისო და გაუტეხელი – უკანმოუხედავად შეეწირა რეჟიმს, ზოგი – საბჭოეთის გულმხურვალე მეხოტბე – თავად ბოლშევიკებმა გაწირეს, ზოგმაც – სასწაულებრივად დააღწია თავი გულაგის ჯოჯოხეთს, მაგრამ ერთნიც, მეორენიც და მესამენიც არიან მსხვერპლნი სისტემისა, რომელიც ერთი ადამიანის ბოროტ გონებაში მომწიფდა და მის თანამზრახველთა დანაშაულებრივი ქმედებებით შეისხა ხორცი. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული პიროვნების პორტრეტი – ესაა საარქივო დოკუმენტებით მოთხრობილი სულისშემძვრელი ისტორია, რომლის დასასრული, ფაქტობრივად, ერთნაირია – უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე, იმედების კრახი, ახლობლებთან განშორების გაუსაძლისი სევდა და გადარჩენის შემთხვევაშიც კი გამუდმებული შიშით მოწამლული არსებობა...

წიგნის მეორე თავი – **ცარიელი საქმეები** – ერთგვარი მოგონება თუ პატივის მიგებაა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად შექმნეს მე-20 საუკუნის ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიის ღირებული ფრთა და რომელთა სისხლის სამართლის საქმეები დაკარგულია. საქართველოს უშიშროების სპეცარქივში დაცული ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ევგენი მიქელაძის, დიმიტრი შევარდნაძისა და სხვათა საქმეები ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს გაუჩინარდა*, ნაწილი – თბილისში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს ხანძრის შედეგად განადგურდა. დღეს ამ არქივის მხოლოდ 20 პროცენტიღაა შემორჩენილი...

---

* პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მითითებით, კულტურის მინისტრის ედმუნდ კალანდაძის 1991 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით, ლიტერატურის მუზეუმიდან პრეზიდენტის კანცელარიაში გადატანილი და იქაური ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებისათვის(!) ჩაბარებული შინსახკომის საგამომძიებო საქმეები 1991-1992 წლების ცნობილი დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ უგზო-უკვლოდ გაქრა - ან დაიწვა, ან იმ არეულობაში ისეთ ვინმეს ჩაუვარდა ხელთ, რომელსაც ხელს აძლევდა ამ მასალების გაქრობა-განადგურება (კვერენჩხილაძე, რ. წამების გზა. წიგნი I. თბილისი: „უნივერსალი“, 2014. გვ. 9-10).

მიუხედავად იმხანად გამეფებული განუკითხაობისა, რამაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რეპრესიების მთავარი მსხვერპლი მაინც საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი გახდა – მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. სშსს არქივში დაცულია მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის ოქმები, რომელთა გაყვითლებულ ფურცლებს შემოუნახავს ეპოქის ტრაგიკული სურათი – საყოველთაო შიშის სინდრომით დაზაფრულ ადამიანთა „ბრძოლა“ გადარჩენისათვის. თუმცა ამ ბრძოლაში გამარჯვებულები არ არიან: გუშინდელი ბრალმდებლები ხვალ თავად აღმოჩნდებიან საბრალდებო სკამზე.

წიგნის მესამე თავში – **მწერალთა კავშირის ტრაგიკული „ხუთწლედი“** – სწორედ 1937-1941 წლებში მწერალთა სახლში ჩა-ტარებულ პარტორგანიზაციის სხდომებზე განვითარებული მოვლენების მეცნიერული ანალიზია მოცემული. 1937 წლისათვის, როდესაც მწერალთა კავშირთან პარტიული ორგანიზაცია იქმნება, პროლეტარულ კრიტიკას იდეურად მოწინააღმდეგე მწერლობის გასანეიტრალებლად უკვე ჩატარებული აქვს ე.წ. „მოსამზადებელი სამუშაოები“. უკვე ნიშანში არიან ამოღებულნი „ცისფერყანწელთა“ ორდენის, „აკადემიური ასოციაციის“ თუ „არიფიონის“ დაჯგუფების წევრები. პარტიას არაკეთილსაიმედოთა ნეიტრალიზებისთვის მხოლოდ სამართლებრივი საფუძველი სჭირდება. სწორედ ამ მიზნით იმართება მწერალთა სახლში პარტიული ორგანიზაციის კრებები, რომელზეც მწერალთა ერთი ჯგუფი დაუნდობლად ილაშქრებს მეორეზე, „ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება კოლექტიური წერილები „ხალხის მტრებისა“ და „მავნებლების“ განადგურებისკენ მოწოდებით; შედეგი – დახვრეტა, გადასახლება ან შექმნილი სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი – თვითმკვლელობა.

მწერალთა სახლში გათამაშებულ ამ დრამას, გამწირველთა და შეწირულთა გარდა, კიდევ ერთი „პერსონაჟი“ ჰყავს – შიში – საკუთარი სიცოცხლის, ოჯახის წევრთა თუ ახლობელთა გამო; შიში, რომელიც წარმმართველია იმ ვაკხანალიისა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ჩრდილში მდგომ, არაფრით გამორჩეულ ადამიანებს დაუნდობელ ცილისმწამებლებად აქცევს და ადამიანის

იერს უკარგავს. ამ ტოტალური შიშის წარმომშობი მიზეზებისა და შედეგების კვლევას ეძღვნება წიგნის მომდევნო, მეოთხე თავი, რომელშიც ავტორი – მწერალი და ლიტერატურათმცოდნე მაკა ჯოხაძე ცდილობს, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით დაადგინოს **შიშის დინამიკა**.

დიახ, შიშსაც აქვს დინამიკა. საანალიზო მასალის გაცნობამ ცხადყო, რომ საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში არც წითელი ტერორის მასშტაბები იყო ისეთი ვრცელი და არც რეპრესიული ზომები იმდენად მკაცრი, როგორიც მომდევნო 30-იანებში. შესაბამისად, შიშს ჯერ კიდევ არ ჰქონდა „ფართო თვალები“. ადამიანებიც თამამად გამოთქვამდნენ პროტესტს, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, წინააღმდეგობისკენ მოუწოდებდნენ. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ვითარება შეიცვალა – რეჟიმის სუსხიანმა ხელმა აჯანყების მოთავეებთან და მონაწილეებთან ერთად არ დაინდო არც მათი თანამგრძნობნი თუ ხელისშემწყობნი. 30-იანებში, როცა რეპრესიებმა უფრო ფართო მასშტაბები მიიღო, განუკითხაობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, შიშმა თანდათან დაიპყრო ადამიანების გრძნობა და გონება, დათრგუნა მათი ნებისყოფა, შელახა მორალი. დაბეზღებამ არნახული მასშტაბები მიიღო. ზოგჯერ არაკეთილმოსურნის ერთი სიტყვაც კი საკმარისი იყო, რომ ცილისწამების ობიექტი ან დაეხვრიტათ ან ეტაპით გაეგზავნათ იქ, საიდანაც ერთეულები თუ ბრუნდებოდნენ უკან. სშსს არქივში აღმოჩნდა ათასობით უდანაშაულოდ გასამართლებული ადამიანის საქმეები, რომელთა განხილვის გარეშეც ეპოქის სურათი სრულყოფილი ვერ იქნებოდა. შესაბამისად წიგნის ერთი, მეხუთე თავი დაეთმო **ადამიანურ ისტორიებს** – დაკითხვის ოქმებით, ე.წ. სამეულის დადგენილებებით, ახლობელთა განცხადებებითა და თავად დაპატიმრებულთა საჩივრებით აღდგენილ ქრონიკალურ ნარატივს ადამიანებზე, რომლებიც სამუდამოდ მოსწყვიტეს თავიანთ წარსულს და გოლგოთის გზას გაუყენეს...

წიგნის მეექვსე და მეშვიდე თავებში, სახელწოდებით, **დაკითხვის ოქმები** და **დოკუმენტები** – ფაქტობრივად, უკომენტაროდაა წარმოდგენილი სშსს არქივში მოპოვებული დოკუმენტური მასალა – ერთი მხრივ, ცნობილ მეცნიერთა, მწერალთა,

საზოგადო მოღვაწეთა და სახელოვნებო წრის წარმომადგენელთა, მეორე მხრივ კი, რიგით ადამიანთა დაკითხვის ოქმები და ჩვენებები, წერილები, ლექსები, ჩხრეკისას ამოღებული მასალა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ იმ ავბედითი ეპოქის პირუთვნელი სურათი; დავაკვირდეთ ემპირიულ დროში მიმდინარე ცვლილებებს; დეტალიდან მთელი ვჭვრიტოთ. დოკუმენტური ნარატივის თავისებურებათა წარმოჩენით გამოვკვეთოთ მთლიანად იმ პერიოდის სააზროვნო სივრცის სპეციფიკა და განვსაზღვროთ ბოლშევიკური ტერორის ხასიათი და მასშტაბები.

იმედს ვიტოვებთ, რომ წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს მათ, ვინც ქართული მწერლობის ნამდვილი ისტორიის აღდგენითა და გადააზრებითაა დაინტერესებული; ვისაც სწამს, რომ „ტოტალიტარიზმის ჩიხიდან გამოსავალს მხოლოდ ნონკონფორმისტები პოულობენ იმ ისტორიული გარანტიით, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურული სახეების გადარჩენას უკიდურესად ტირანულ ვითარებაშიც კი არ ემუქრება საფრთხე, ვინაიდან ღირებულს გადაარჩენს დრო და არა ცალკეული ადამიანების ნება-სურვილი, როგორი წარმატებული დიქტატორებიც არ უნდა იყვნენ ისინი“ (გვ. 155).

ირმა რატიანი
მაკა ელბაქიძე

პორტრეტები. ნაცნობნი და უცნობნი

საქართველოს ისტორიაში ბევრჯერ ყოფილა ძნელბედობის ხანა, ჩვენი ქვეყანა არაერთხელ აღმოჩენილა განსაცდელის წინაშე, თუმც ტერორისა და განუკითხაობის, სისასტიკისა და ანგარიშსწორების ისეთი დაუნდობელი ეპოქა, როგორიც XX საუკუნის 20-30-იან წლები იყო, არცთუ ხშირად დამდგარა ქართულ რეალობაში. ბოლშევიკური რეჟიმი, რომელმაც ძალაუფლება 1921 წლის თებერვალში ჩაიგდო ხელში, ცოტა ხანს ფესვების გამაგრებას მოუნდა, შემდეგ კი თანმიმდევრულად იწყო ყველასა და ყველაფრის განადგურება, რაც მის ინტერესებსა და მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. ბოლშევიკების მთავარ ამოცანას იდეოლოგიური მტრების გაუვნებლება, შესაბამისად კი, თავისუფალი აზრისა და ნების ჩახშობა წარმოადგენდა, ამიტომაც შეეწირა ამ განუკითხაობას უამრავი, როგორც ნიკო ლორთქიფანიძე იტყოდა, საქართველოს „გულდამწვარი ჭირისუფალი“ – მწერალი, ხელოვანი თუ მეცნიერი (თუმც რეჟიმს უბრალო, საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი ადამიანებიც ვერ გადაურჩნენ).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო ინახავს ათასობით შეწირულისა თუ გაწირულის სისხლის სამართლის საქმეებს, ხშირად ხუმრობის, ანეგდოტის თუ ლექსის გამო დაჭერილ-გადასახლებულ-დახვრეტილთა ტრაგიკულ ისტორიებსაც. მიუხედავად იმისა, რომ დღეს არქივის დიდი ნაწილი განადგურებულია (90-იანი წლების მოვლენებს ვერც ის გადაურჩა),* მაინც შესაძლებელი ხდება, აღვადგინოთ ქართული შემოქმედებითი თუ აკადემიური სფეროს წარმომადგენელთა ტრაგიკული ცხოვრებისა და აღსასრულის ისტორიები.

აქამდე მეტ-ნაკლებად ცნობილი საგამოძიებო საქმეებიდან ის ფაქტები ამოუკრებიათ და გამოუმზეურებიათ, რომლებიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟი-

* 1991-1992 წლების თბილისის ომის დროს დაიწვა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (КГБ) შენობა, რომელიც პარლამენტის გვერდით იყო. სწორედ აქ ინახებოდა აღნიშნული არქივი.

მის დანაშაულებრივ არსს. არქივში აღმოჩნდა ისეთი დოკუმენ-ტებიც, დღემდე სრულიად უცნობი რომ იყო არა მხოლოდ ფარ-თო საზოგადოების, არამედ მკვლევართა ვიწრო წრისათვისაც. მაგალითად, მხოლოდ ზეპირი გადმოცემების სახით თუ იყო ცნობილი ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძე), შალვა ჯანბერი-ძის, გრიგოლ მუშიშვილის (ხოფერია) და სხვათა ბიოგრაფიული დეტალები; გასწორდა და დაზუსტდა ჟანგო ღოღობერიძისა და გიორგი ჩიტაიას ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები, რომლებიც დღემდე არასწორად მიეწოდებოდა საზოგადოებას. მაგალითად, მიჩნეული იყო, რომ ყველაზე აშკარად გამოკვეთი-ლი ფუტურისტი პოეტი ჟანგო ღოღობერიძე მოსკოვშივე დახ-ვრიტეს დაპატიმრებიდან მოკლე ხანში (ასე წერს რეპრესირე-ბულთა საქმეების პირველი მკვლევარი რევაზ კვერენჩხილაძეც თავის წიგნში „წამების გზა“). როგორც აღმოჩნდა, რეპრესირე-ბული შემოქმედი საქართველოში გადმოუგზავნიათ და საკმაოდ დიდხანსაც უკვლევიათ მისი „დანაშაულებრივი მოღვაწეობა“. ასევე, უცნობი იყო ქართველი ეთნოლოგის, ქართული ეთნოგ-რაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობა 1918-1924 წლებში, მისი დაპატიმრების თარიღი (1923) და სხვა...

ვიმედოვნებთ, რომ წიგნი „ბოლშევიზმი და ქართული ლიტე-რატურა“ შეძლებისდაგვარად ამოავსებს ინფორმაციულ ვა-კუუმს, რომელიც საბჭოთა პერიოდში გაჩნდა და ფართო სა-ზოგადოების წინაშე გამოამზეურებს იმ ფაქტებს, რომლებზეც მაშინ შეუძლებელი იყო ხმამაღლა საუბარი.

წიგნის წინამდებარე, ყველაზე მოცულობით ნაწილში 1921-41 წლების რეპრესიების მსხვერპლთა პორტრეტებია წარ-მოდგენილი. იმის მიუხედავად, რომ ყველა მათგანმა საკუთარ თავზე გამოსცადა ბოლშევიკური სადამსჯელო მანქანის წნე-ხი, მათი „გზანი წამებისანი“, ისევე როგორც საბოლოო ბედი, ერთგვაროვანი არ ყოფილა. ზოგიერთი – უკომპრომისო და გა-უტეხელი – უკანმოუხედავად შეეწირა რეჟიმს, ზოგიც – საბჭო-ეთის გულმხურვალე მეხოტბე – თავად ბოლშევიკებმა გაწირეს, ძალზე მცირე ნაწილი კი გადარჩა, თუმცა გულაგიდან დაბ-რუნებულთაგან მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს აქტიური მოღ-

ვაწეობის გაგრძელება. ბევრის ცხოვრება მხოლოდ ფიზიკური არსებობა თუ იყო...

წიგნის ამ თავში წარმოდგენილი პორტრეტებიც სწორედ ამ პრინციპითაა დაჯგუფებული – **ვინც შეეწირა... ვინც გაწირეს... ვინც გადარჩა...**

დანართის სახით ყველა პორტრეტს ერთვის სისხლის სამართლის საქმეებში დაცული დოკუმენტები.

ადა ნემსაძე

ადა ნემსაძე

ვანლერ დაისელი

„სომნამბულების“ პოეტური ორდენის დამაარსებელი, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადცნობილი მოდერნისტი პოეტი **ვანლერ დაისელი** დაიბადა 1903 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ***ივანე სერგოს ძე ბაბუაძე***. იგი მრავალშვილიანი ოჯახის (6 ვაჟიშვილი და 2 ქალიშვილი) უფროსი შვილი იყო. 1920 წელს დაამთავრა მე-2 შრომის სკოლა (9 კლასი), 1921 წლის 15 ოქტომბერს კი კანცელარისტად დაიწყო მუშაობა გზების სამმართველოს კანტორის მე-17 განყოფილებაში. ვანლერი 1918 წლიდან უკვე ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრია, ხოლო 1921 წლიდან მენშევიკურ პარტიაში შედის.

1922 წლის 2 აგვისტოს 19 წლის ვანლერ დაისელი დააპატიმრეს ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროკლამაციის გავრცელების ბრალდებით. მას 2 ივლისს ნავთლუღის რკინიგზის სადგურზე ვინმე ტატიაშვილისთვის გადაუცია პროკლამაცია, ამ უკანასკნელს კი იგი ადგილკომის წევრის, ვინმე ქურდაძისთვის მიუტანია. ივანე ბაბუაძეს ბრალი დასდეს პროკლამაციის დაბეჭდვაში და 1922 წლის 2 აგვისტოს დააკავეს თბილისში, საკუთარ სახლში, ბაიაზეთის ქუჩა 4-ში. მართალია, იგი უარყოფ-

და ბრალდებას, მაგრამ ტატიაშვილთან დაპირისპირებისას ამ უკანასკნელმა აღიარა პროკლამაციის გადაცემის ფაქტი. საგანგებო კომისია ბრალდებულის წარსულითაც დაინტერესდა და გაარკვია, რომ ივანე ბაბუაძე დაპატიმრებული ყოფილა აპრილში ბათუმის ჩეკას მიერ კონტრრევოლუციის ბრალდებით (სავარაუდოდ, ხელწერილით გაუთავისუფლებიათ). როგორც ჩანს, იგი საკმაოდ აქტიურად გამოხატავდა თავის ანტისაბჭოთა განწყობილებას. 1922 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით, ივანე ბაბუაძეს დააკისრეს პასუხისმგებლობა, მაგრამ პატიმრობის ვადაში ჩაუთვალეს წინასწარი პატიმრობის დრო 2 აგვისტოდან 26 სექტემბრამდე და 27 სექტემბერს გაათავისუფლეს.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება ვანლერ დაისელის სამწერლო, საგანმანათლებლო და სამოქალაქო აქტივობის ხანა. ამის დამადასტურებელი რამდენიმე დოკუმენტი გვხვდება ლიტერატურის მუზეუმის არქივში: 1921 წლის 31 იანვარს მას ბაქოში ჩაუტარებია „მე-2 ლიტერატურული გამოსამშვიდობებელი საღამო“; 1923 წელს ჩაურიცხავთ მსმენელად „ტფილისის საერთო განათლების საღამოს კურსებზე“; 1924 წლის 31 იანვარს წითელი არმიისა და ფლოტის სახლში გამართულა „ლიტერატურულ-ვოკალური დიდი საღამო“, რომელშიც სხვა ცნობილ ქართველ მწერლებთან ერთად (მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე...) მონაწილეობდა ვანლერ დაისელიც; ამავე წელს მეგობრებთან ერთად გამოუცია ხელნაწერი ჟურნალი „ცისკარი“ (რედკოლეგია: ვანლერ დაისელი, კლემენტი თევზაძე, შალვა ონტოფელი); 1925 წლის 24 მაისს წითელი ლაშქრისა და ფლოტის სახლის ბაღში გამართულა მისი საღამო (არქივში ინახება აფიშის გასაკრავი ნებართვის თხოვნა თბილისის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის (Тифгорисполком) სახელზე და კომიტეტის თანხმობა, თანხის გადახდის ქვითართან ერთად) (დოკუმენტები 25536-6)*. ვანლერ დაისელი ატარებდა კულტურულ-შემოქმედებით შეხვედრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში... როგორც ჩანს,

* დოკუმენტური მასალა მოპოვებულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ვანლერ დაისელის არქივში.

იგი ამ წლებში ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. ვანლერ დაისელი არც 20-იანი წლების ლიტერატურულ ექსპერიმენტებს ჩამორჩა – 1925 წლის თებერვალში შექმნა ახალი ლიტერატურული ჯგუფი **„სომნამბულები“**, ანუ ძილის პოეტები. როგორც ჩანს, ამ სახელწოდების ჟურნალის გამოცემაც იგეგმებოდა, რადგან „30 ივნისს რუსთაველის თეატრის პირდაპირ ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა ჟურნალ „სომნამბულების“ სასარგებლოდ გამართულა დიდი ესთეტიკური საღამო, რომელზეც სიტყვით გამოსულან გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე კაპანელი“ (ხოფერია 1992: 219). ეს სწორედ ის დღეა, როცა ვანლერ დაისელი მეორედ დააპატიმრა საგანგებო კომისიამ. სავარაუდოდ, დამთხვევა შემთხვევითია, რადგან როგორც თავად პოეტი წერს დაპატიმრების შემდეგ ე. კვანტალიანის სახელზე დაწერილ განცხადებაში, იგი მოულოდნელად დააპატიმრეს.

მიუხედავად იმისა, რომ „სომნამბულების“ წესდებაში ხაზგასმული იყო მათი აპოლიტიკურობა, ჩანს, რომ რეალობაში ისინი სრულებითაც არ იყვნენ გულგრილნი ეროვნული პრობლემის მიმართ და 1924 წლის აჯანყების დამარცხებას და ბოლშევიკურ დიქტატს მწვავედ განიცდიდნენ. ამას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ვანლერ დაისელის კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე.

საქართველოს საგანგებო კომისიამ ივანე ბაბუაძე 1925 წლის 30 ივნისს დააპატიმრა. 6 ივლისს მან განცხადებით მიმართა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარეს, ეპიფანე კვანტალიანს. განცხადებაში პატიმარი აღნიშნავს, რომ უსამართლოდაა დაკავებული, რომ აწუხებს „ნევრასტენია და ჭლექი“ და ითხოვს გათავისუფლებას. დაკითხვის ოქმში, რომელიც 21 ივლისითაა დათარიღებული, ვანლერ დაისელი აღიარებს მენშევიკური პარტიის წევრობას, სამი დღის შემდეგ კი ამ ჩვენებას უარყოფს. როგორც განმარტავს, მან შიშის გამო გამოიგონა ის, რაც პირველ დაკითხვაზე აღიარა და სინამდვილეში უდანაშაულოა. 1 ოქტომბერს მას დაუწერია უფრო ვრცელი ჩვენება, ფაქტობრივად, იმავე შინაარსით, რომ შეაცდინეს და ტყუილი ათქმევინეს. მიუხედავად წერილების უკიდურესად

ტრაგიკული ტონისა, სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში მისი აღიარება. საბოლოო დადგენილებაში ნათქვამია, რომ ბრალდებულის პირველი ჩვენება დაკითხვისას ზუსტად გაიმეორა მის მიერ დასახელებულმა ამხანაგმა ***ვარლამ მოგელაძემ***, რითაც დადასტურდა პირველი ჩვენების სისწორე. 1925 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ არალეგალურ საქმიანობაში და მიესაჯა 1 წლით პატიმრობა.

აღსანიშნავია, რომ დაპატიმრებული ვანლერ დაისელისათვის 1926 წლის იანვარში წერილი გაუგზავნია კონსტანტინე გამსახურდიას:

„უცნობო მეგობარო!

...ისე გადიან თვეები, წლები, რომ ჩემს გულში ისევე იშვიათად ჩამოანათებს სიხარული, როგორც თქვენს საკანში სხივი ოქროვანი...

ცოდვაა ტუსაღისთვის – ისიც პოეტური ბუნების ადამიანისთვის, ასეთი ბარათის მოწერა, მაგრამ მე არ შემიძლია, გულწრფელობას ვუღალატო...

ეს არის მთავარი, რომ შემოქმედმა დიდი ფლუიდები მწუხარების უნდა მიიღოს და შეისუნთქოს. ალბათ, ეს ფლუიდები ჩვენს არსებაში მოთავსებულ „ქიმიურ ლაბორატორიაში“ გადადნება და მისი შორეული არილი იძლევა სიხარულის უკუღმა გადამტყდარ სხივებს: ამიტომ არ მებრალებით, რომ ამ მწუხარების მიღება გჭირიათ, რომ ხელოვნების ქურუმად ემზადებით, როგორც სჩანს...

ახლა რაც შეეხება „დიონისოს ღიმილის“ კინორომანად გადაკეთებას. მეც მგონია, რომ ეს რომანი კინოსთვის გამოსადეგი იქნება... თქვენ დასწერეთ სცენარი და მე მოველაპარაკები ალ. წუწუნავას, თქვენგან ნახსენებ რეჟისორს... მთავარია სცენარის დაწერა. დანარჩენი მე რაც შემეძლება, ყველაფერს ვცდი...

თქვენი კონსტანტინე გამსახურდია“.

როგორც წერილიდან ირკვევა, ვანლერ დაისელს მწერლისთვის „დიონისოს ღიმილის“ კინოსცენარის დაწერა შეუთავაზებია და ისიც დათანხმებულა. ბუნებრივია, კონსტანტინე გამსახურდია ასეთ საქმეს უცნობ ადამიანს არ მიანდობდა, რომ

არაფერი სცოდნოდა მისი შემოქმედებითი შესაძლებლობის შესახებ. სხვათა შორის, ვანლერ დაისელის არქივში რამდენიმე კინოსცენარის პროექტიც აღმოჩნდა. ესენია: „კამო“, „გიორგი სააკაძე“, „თამარ მეფის წინააღმდეგ“, „ბედი ქართლისა“ (ანუ „რუსეთთან შეერთება“), „ტფილისი“ (ყეენობა ტფილისში) კომედია, „სანდრო ყაზბეგი“ (ტრაღედია).

როგორც ჩანს, 1926 წელს პოეტი გაათავისუფლეს, რადგან მას მომდევნო წლებში 5 მცირე ფორმატის წიგნი გამოუცია: „მზის სისხლი“ (1926), „ლივილლა“ (1927), „გული და დღეები“ (1927), „გუშინ და ხვალ“ (1928), „ბალადა ტფილისთან დაღუპულ ვეფხვზე“ (1929). გარდა ამისა, მას არც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა შეუწყვეტია. გაზეთ „კომუნისტის“ 1927 წლის 11 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია მცირე წერილი „ლიტერატურული „კვაჭების“ გასტროლები“, რომელსაც ხელს აწერს ბ. ბ-ძე. წერილის ავტორი ამ საღამოს „ავანტიურისტ პიროვნებათა „მასსიურ ლიტერატურულ მუშაობას“ უწოდებს, თავად ვანლერ დაისელს კი – „შანტაჟისტ „ლიტერატორს“, რომელიც ხელის მოთბობას ცდილობს ამ საქმიანობით. წერილს იმავე გაზეთის 20 სექტემბრის ნომერში გამოხმაურებია პოეტი: „თითქმის ხუთი თვეა, რაც დასავლეთ საქართველოში ვმოგზაურობ კულტურული მიზნებით... მოგზაურობის დროს ზოგჯერ ვმართავ ლიტერატურულ საღამოებს. ... მოგზაურობის დროს არავითარი კომერციული მიზანი არა მქონია, პირიქით, 400 მანეთი შევსწირე საყვარელ და საჭირო საქმეს. ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ ავანტიურისტი და „კვაჭის“ სახელწოდების ღირსი მე არა ვარ“ (კომუნისტი 1927: 4). ახლა რთულია იმის თქმა, მხოლოდ კულტურულ-ლიტერატურული მიზნით მოგზაურობდა თუ არა ახალგაზრდა პოეტი, მაგრამ შინსახკომის რეპრესიული მანქანა რომ უკვე მუშაობდა „საეჭვო“ პირების წინააღმდეგ, ეს ცხადია. შედეგმაც არ დააყოვნა.

1929 წელს ვანლერ დაისელი მესამედ დააპატიმრეს. ამ დაპატიმრების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დღეს მასალა არ არსებობს, ამის შესახებ ვიგებთ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ვანლერ დაისელის პირადი არ-

ქივიდან, სადაც სხვა დოკუმენტებთან ერთად ორი შეწყალების თხოვნაცაა. პირველი 1931 წლის 12 დეკემბერს დაუწერია როვსკოეში (ლენინგრადის ოლქი) გადასახლებულ პოეტს და მასში წარსულის მონანიება და საბჭოთა იდეოლოგიაზე გადმოსვლაა დადასტურებული; მეორე კი სსსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სახელზეა დაწერილი 1932 წლის 8 თებერვალს, საიდანაც ვიგებთ პოეტის შემდგომი ბედის შესახებ. 1929 წლის 23 სექტემბერს იგი 3 წლით გადაუსახლებიათ ქ. არხანგელსკში ლექსის „ბალლადა დაღუპულ ვეფხვზე“ გამოქვეყნების გამო. 1931 წლის 10 ივნისს იგი არხანგელსკში, საკუთარ ბინაში დააკავეს და ბრალად დასდეს სამშობლოში გამოქცევის განზრახვა და აგიტაცია. ამისთვის კიდევ 3 წელი დაუმატეს და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სეირის შრომაგასწორების ბანაკში გადაიყვანეს. როგორც მკვლევარი რ. კვერენჩხილაძე წერს, გადასახლებული ვანლერ დაისელი ლენინგრადისა და არხანგელსკის ოლქებში (იქ მას „სოიუზტრანსის“ საწყობის გამგედ უმუშავია) ცხოვრობდა, ბოლოს კი მურმანსკში მიუჩენიათ ბინა. პოეტის დას, ეკატერინე ბაბუაძეს, რევაზ კვერენჩხილაძისთვის უცნობებია, რომ ვანლერი, მისი ერთ-ერთი ამხანაგის მონათხრობის თანახმად, თურმე საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას, წასულა კიდეც, უვლია, უვლია და ისევ იმ ბანაკში დაბრუნებულა, შემდეგ კომპასს და რუკას ეძებდაო... (კვერენჩხილაძე 2014: 158). როგორც ჩანს, ეს ის ბრალეულობაა, რომელიც შეწყალების თხოვნაშია აღნიშნული და რის გამოც 1931 წელს სასჯელი 3 წლით გაუზარდეს. მონანიებამ შედეგი ვერც ამჯერად გამოიღო.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ლექსს, ბონდო კეშელავას მოგონების მიხედვით, ვანლერს უთქვამს: „პოემა ვეფხვზე კი არ დამიწერია, მე ვალიკო ჯუღელი მედგა თვალწინ, როცა ვწერდიო“ (კაპანაძე 2009). 20-იან წლებში თბილისში, დიღომთან, მართლაც მოუკლავთ ვეფხვი. მაშინ ვერავინ გაიგო, საიდან და როგორ მოვიდა ცხოველი აქამდე. ვალიკო ჯუღელი კი, დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი და 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბოლშევიკებმა 1924 წელს დახვრიტეს. ამიტომ სრულებითაც არ

არის გასაკვირი, ჯუღელის შეუპოვრობა ასოციაციურად ვეფხვისთვის დაეკავშირებინა პოეტს, რომელიც თავისი მკვეთრი ანტისაბჭოთა განწყობილებით გამოირჩეოდა (როგორც გადმოგვცემენ, იგი, რამდენიმე დაპატიმრების მიუხედავად, თავის განწყობილებას არც მალავდა). გარდა ამისა, ლექსში მავნე ნაციონალისტური იდეებიც დაინახეს, რისთვისაც ახალგაზრდა პოეტი მკაცრად დასაჯეს. ლექსი საკმაოდ ვრცელია და დაღუპული ვეფხვის შესანდობარით მთავრდება:

„შევხვდეთ გრიგალებს კვლავ შეურყევლად,
არ გვქონდეს სული დასამალადა.
ახალ სიცოცხლეს ვუმღეროთ ყველამ,
ისე ვით ვეფხვებს ჩემი ბალადა.
... რა ვუყოთ მერმე, გვალვაში რგული,
თუ დღეს დარდებით ვართ ნათოვარი,
ძვირფასო ძმებო! აავსეთ გული
მოკლულ ვეფხვების შესანდობარით“.
(დაისელი 1929: 23)

ლექსის საბრძოლო პათოსი აშკარაა, არც „ნათოვარი დარდების“ მიზეზია ძნელი გამოსაცნობი. ჩეკასთვის ეს მიზეზები კაცის დასაპატიმრებლად საკმარისზე მეტი იყო.

ასეთია ნატანჯი პოეტის ვანლერ დაისელის ცხოვრების გზა, რაც შეეხება მის გარდაცვალებას, სავარაუდოდ, იგი 1937 წლის რეპრესიებმა შეიწირა, თუმც ნ. ხოფერიას ცნობით, მან თავი მოიკლა (ხოფერია 1992: 216).

დამოწმებანი:

დაისელი 1929: დაისელი ვ. *ბალადა დაღუპულ ვეფხვზე*. ტფილისი: 1929.

კვერენჩხილაძე 2014: კვერენჩხილაძე რ. *წამების გზა*. წიგნი I. თბილისი: „უნივერსალი“, 2014.

ხოფერია 1992: ხოფერია ნ. *ვანლერ დაისელის არქივი*. ლიტერატურის მატიანე. თბილისი: „მერანი“, 1992.

ფონდი 6, საარქივო № 23165, ბაბუაძე ივანე სერგოს ძე

მიმართვა

მშრომელთა მყვლეფელ ეკსპლოატატორის
პოდრიადჩიკ ბატონ სარკისოვის

მ უ შ ე ბ ს.*

ამხანაგებო, აღვირ ახსნილი ექსპლოატატორის ბ-ნ პოდრიადჩიკ სარკისოვის თავაშვებულობამ ამაღელვა. თქვენმა დაკოჟრებულმა ხელებმა მთელი დღე სიცხეში ოფლის ღვრამ, დამონებულმა ნაწამებმა სულმა ნუ თუ თანაგრძნობა არ უნდა გამოიწვიოს მის შავ გულში? ნუ თუ ასთე უნამუსოდ უნდა ყვლიფოს მშრომელი ხალხი? [...] ამას სჩადის „მუშური“ მთავრობა ასთე აუმჯობესებს მუშების მდგომარეობას. აი ამას ეძახან „ახალ ეკონომიურ პოლიტიკას“. ამხანაგო მუშებო! მე მოგიწოდებთ, გაანებოთ თავი მუშაობას და მოსთხოვოთ ხელფასის მომატება. და ამით მას ნუ მისცემთ საშვალებას, გაისქელოს თქვენი ოფლით თავისი უძირო ჯიბეები. მიეცით მაგალითი სხვა მუშებს, პროტესტი და ზიზღი გამოუცხადოს პოდრიადჩიკებს და მათ „მცველ ვაჟბატონებს“. ძირს უნამუსო მყვლეფელები! ძირს მათი ზურგის გამმაგრებელი ბურჟუაზიის და პოდრიადჩიკების ლაქია თქვენი სისხლში ხელებ შეღებილი მოსკოვის წითელი იმპერიალიზმის შავგულა აგენტურა!

ზიზღი მათ მუშათა მასებისაგან, შორს თქვენთან მათი სისხლიანი გამყიდველი შავი ხელები.

გაუმარჯოს თავისუფალ შრომას...

გაუმარჯოს თავისუფალ ნებისყოფას.

---

* იბეჭდება კუპიურებით.

დადგენილება

1922 წლის 13 ივლისს საქართველოს საგანგებო კომისიის თბილისის განყოფილების (ТОГЧК) პოლიტპარტიების ოპერ-პუნქტის რწმუნებულმა შიანოვმა განვიხილე მიმოწერა შემდეგი პირებისა: წყლის საქაჩის მემანქანე ალ. პონომარენკო, გზების სამმართველოს (Служба Пути) კანტორის მე-17 განყოფილების მოხელე მოქ. ბაბუაძე და ამავე განყოფილების საგზაო ინჟინერი მოქ. ქურდაძე მელიტონი. ისინი ბრალდებული არიან ანტი-საბჭოთა აგიტაციაში და პროკლამაციების გავრცელებაში.

ვიპოვე:

2 ივლისს ნავთლუღის რკინიგზის სადგურზე კანტორის მოხელე მოქ. ბაბუაძემ გადასცა ამავე სადგურზე მოქ. ტატიაშვილს ქართულ ენაზე შედგენილი პროკლამაცია, რათა მას გადაეცა მოქ. პონომარენკოსთვის. ტატიაშვილმა ვერ გაიგო, რაში იყო საქმე, სავარაუდოდ, იგი იყო გაუნათლებელი. იგი მიხვდა, რომ რაღაც ისე არ იყო და ჯერ გადასცა ეს ქურდაძეს, როგორც ადგილკომის წევრს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მთავარი დამნაშავე არის აქ მოქ. ბაბუაძე, რომელმაც თვითონ დაბეჭდა ეს პროკლამაცია. ამის გამო ბაბუაძე გათავისუფლებულია სამსახურიდან, როგორც ვიცით, იგი ცხოვრობს ქ. თბილისში, მისამართი უცნობია, მაგრამ მიდის ძიება.

ი. ბაბუაძის დაკითხვის ოქმი: (სტილი დაცულია)

კითხვა: როდის დაამთავრეთ სწავლა?

პასუხი: 1920 წელს დავამთავრე სწავლა, 1921 წ. 15/X მოვეწყვე სამუშაოდ გზების სამმართველოს კანტორის მე-17 განყოფილებაში. მომაწყო ჩემი ნათესავი ტატიაშვილის... (აღარ იკითხება) მე-17 განყოფილებაში იდგა საბეჭდი მანქანა. მე ვამზადებდი სიებს, მაგრამ კარგად არ ვიცოდი ბეჭდვა.

კითხვა: როდის დაბეჭდეთ პროკლამაცია ქართულ ენაზე?

პასუხი: პროკლამაცია მე არ დამიბეჭდავს.

კითხვა: რა პროკლამაცია გადაეცით ტატიშვილს და საიდან გქონდათ იგი?

პასუხი: არანაირი პროკლამაცია მე მისთვის არ გადამიცია... გადავეცი ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება...

(*ოქმი შევსებულია რუსულად და ძალიან გაუგებრად, დაკითხვის ბოლოს თავად ბრალდებული ხელს აწერს ქართულად*).

ი. ბაბუაძე
2. VIII. 22 წ.

დაპირისპირების ოქმი (11. VIII. 22 წ.)

[დაისელი – ა.ნ.] დაუპირისპირეს ტატიაშვილს. აღიარეს რომ ერთმანეთს იცნობენ, კითხვაზე: რა ქაღალდები გადმოგცათ ბაბუაძემ და რა გითხრათ? – ტატიაშვილი პასუხობს: – მომცა 2 ქაღალდი ქართულად დაწერილი და მითხრა, რომ გადამეცა პონომარენკოსათვის. ბაბუაძემ უარყო ეს და თქვა, რომ მან მხოლოდ ერთი ფურცელი გადასცა მას პონომარენკოსთვის გადასაცემად. შემდეგ ეკითხებიან ტატიაშვილს, რა ადგილას გადასცა ეს ქაღალდები, რა ვითარებაში და სად იყო პონომარენკო იმ დროს, როცა ეს ქაღალდები მიიღო? მან თქვა: სასადილოში მიიღო ეს ქაღალდები ბაბუაძისგან, მაგრამ არ იცის, ვინმემ შენიშნა თუ არა ეს. რატომ მოგცათ მაინცდამაინც თქვენ და არა სხვას, პასუხობს, რომ არ იცის.

დადგენილება

1922 წლის 26 სექტემბერს მე, საქართველოს საგანგებო კომისიის თბილისის პოლიტგანყოფილების (ТОГЧК) რწმუნებულმა ჩერნოივანოვმა, განვიხილე საქმე № 345 ბრალდების შესახებ მოქალაქეებისა: ბაბუაძე ივანე სერგოს ძე – პროვოკაციული ხასიათის პროკლამაციის გავრცელებაში, პონომარენკო ალექსანდრე და ქურდაძე მელიტონი – ამ საქმეში თანამონაწილეობის შესახებ.

ვიპოვე:

1) მოქ. ბაბუაძე ივანე სერგოს ძე, 19 წლის, ქართველი, ქუთაისის გუბერნია, შორაპნის მაზრა, ს. საქარა, განათლება 4 კლასი, უცოლო, როგორც ამბობს, უპარტიო, კანცელარიის მოხელე, ნასამართლევი არ არის, ბრალი ედება პროვოკაციული ხასიათის პროკლამაციის გავრცელებაში.

2) მოქ. პონომარენკო ალექსანდრე 34 წლის [...]

3) მოქ. ქურდაძე მელიტონი 35 წლის [...]

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ივლისის პირველ რიცხვებში ნავთლუღის რაიონის ადგილკომს ხელში ჩაუვარდა პროვოკაციული პროკლმაცაია. ამასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნენ მოქალაქეები პონომარენკო და ქურდაძე. ძიებამ აჩვენა, რომ საქმეში დამნაშავე არის ბაბუაძე ივანე, რომელიც ივნისის პირველ რიცხვებში შევიდა ნავთლუღის სადგურის სასადილოში და გადასცა პროვოკაციული ხასიათის პროკლამაცია მოქ. ტატიაშვილს, რათა მას გადაეცა მოქ. პონომარენკოსათვის ადგილკომში. ამის გამო მოქ. ბაბუაძე დაკავებულ იქნა 2. VIII. 22 წ. თანახმად ორდერისა № 321. ბაბუაძის თხოვნით, პროკლამაცია 2 გვერდზე გადაეცა პონომარენკოს, ამ უკანასკნელმა კი გადასცა ქურდაძეს, ამან კი გადასცა ადგილკომს, რათა მიეღოთ ზომები. დაკითხვისას პონომარენკომ და ქურდაძემ უარყვეს გავრცელებაში თანამონაწილეობა [...]. ძიებით და მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ მოქ. ბაბუაძემ პროკლამაცია გადასცა ტატიაშვილს, თუმც ბაბუაძე ამ ფაქტს

უარყოფს და ამბობს, რომ მან განცხადება გადასცა ნავთ-ლუღის რაიონისათვის. მივიღე რა მხედველობაში ყოველივე ზემოთქმული,

დავადგინე:

მოქ. ბაბუაძე ივანე სერგოს ძეს დაეკისროს პასუხისმგებ-ლობა, ჩაითვალოს პატიმრობის ვადაში წინასწარპატიმრობის დრო 2 აგვისტოდან 26 სექტემბრამდე და გათავისუფლდეს.

ფონდი 6, საარქივო № 25156, ტომი 1, ყუთი 23,
ბაბუაძე ივანე სერგოს ძე

რესპუბლიკის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს
ამხ. კვანტალიანს

პოეტ ვანლერ დაისელის
(დაკავებული ივანე ბაბუაძის)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა*

ა. წ. 30 ივნისს მოულოდნელად დატყვევებული ვიქენი ჩე-კაში და მოყვანილი საგ. კომ. საპატიმროში, რისთვისაც მინდა გაცნობოთ შემდეგი: 4 დღე ვიყავი სასტიკ იზოლაციაში მშიერ-მწყურვალი, რომლის დროსაც გამომძიებელი მიყენებდა ბრალ-დებას, თითქოს ვმუშაობდე მენშევიკურ პარტიაში, რაც ჩემ მიერ არ შეიძლებოდა ყოფილიყო დადასტურებული, ვინაიდან საქართველოში არსებულ არალეგალურ პოლიტიკურ ორგა-ნიზაციებში არ ვღებულობ აქტიურ ან პასიურ მონაწილეობას და ყოველთვის ნეიტრალური ვარ აქტიურ პოლიტიკაში, როგორც პოეტი [...]. 1921 წლიდან ვეწევი პატიოსან შრომას საბჭოთა

* საქმე № 156. იბეჭდება კუპიურებით

დაწესებულებაში (ვმსახურობ რკ. გზაზე სამმართველოში) და კულტურულ თანამშრომლობას შემოქმედებითს ასპარეზზე, ხელოვნებაში, ლიტერატურაში. გამოვდივარ რა ზემო თქმულიდან, ხელწერილიც კი მივეცი გამომძიებელს, ხელი შეუშალო ყველა ორგანიზაციებს, თუ კი ის ილაშქრებს ხელისუფლების წინააღმდეგ. [...] მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ჩემ პირად კრიტიკულ მდგომარეობაზე, რომელიც მოითხოვს თქვენ აუცილებელ დახმარებას და მიუდგომელ მიდგომას, ჩემი ტყვეობა იგივე ჩემ სიკვდილს უდრის, თუ რამოდენიმე ხანში ასეთ მდგომარეობაში დავრჩი.

დამეკარგა სამსახური, რომელიც ერთადერთი სახსარია არსებობის;

ავად ვარ ტუბერკულოზით და ნევრასტენიით, ავადმყოფობის გამო მოცემული მქონდა შვებულება და მინდოდა სამკურნალოდ წასვლა;

წელს დავამთავრე საშვალო სასწავლებელი და მინდა უნივერსიტეტში შესვლა, რისთვისაც ვემზადებოდი წინასწარ მისაღები გამოცდების ჩასაბარებლათ;

ტფილისში ჩემთან იმყოფება ჩემ მზრუნველობაზე მყოფი ძმა 15 წლისა, რომელსაც მოელის სიმშილით სიკვდილი [...]

შეიძლება თქვენი დაწესებულების პრაქტიკაში ეს არ იყოს მიღებული, მაგრამ მე მაინც გთხოვთ, განმათავისუფლოთ, ვინაიდან ცხოვრებაში არა დამრჩება თუ ჩემი პატიმრობა გაგრძელდა, სრული დარწმუნებული ვარ, როგორც ახალგაზრდას, გამიწევთ ანგარიშს და მე გარანტიას ვიძლევი ჩემი სიცოცხლით, ვიქნები ტფილისში და საჭიროებისამებრ გამოვცხადდები ხოლმე საგანგებო კომისიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მომელის ჯანმრთელობის დაკარგვა ძლიერი ნევრასტენიით და ჭლექით.

ვანლერ დაისელი
ტფილისი საქ. საგ. კომისია
საკანი 22
6/VII–25 წ.

პოეტ პატიმრის ვანლერ დაისელის
(ივ. ბაბუაძის)

განცხადება

ეს სამი თვეა, რაც მომიტაცეს ქუჩიდან და ვლპები საკნებში სრულიად უდანაშაულოდ, დავსნეულდი სულიერათ და ხორციელათ, დასჭკნა ჩემი ახალგაზრდობა და ცხოვრებას ჩამოვშორდი თითქმის 10 წლით. მოქ. *კუშევი* დაპატიმრების პირველ დღეებში მნათლავდა მენშევიკათ, დაგალპობთ აქ, თუ არაფერს გვეტყვი, თუ იტყვი რამეს, გაგათავისუფლებო. მე აქ დალპობის შიშით შევქენი ყალბი საქმე, რომელსაც სინამდვილეში არ ჰქონია ადგილი, ხელოვნურად შევთხზე, რომ მე მენშევიკი ვარ და მყავს ამხანაგები. ყველაფერი ეს ჩამადენინა შემდეგმა: ჩემ ახალგაზრდობაში 1925 წლის მეორე ნახევარი იყო ოქროს ხანა, უნდა დამესვენებია ზაფხულზე, შევსულიყავ უნივერსიტეტში, მეთხოვა შეყვარებული ქალი, გამომეცა წიგნი, შემენარჩუნებინა სამსახური და სხვა. თორემ მე ისე არ ვყოფილვარ „აქტივისტი მენშევიკი“, როგორც არა ვარ მე ახლა პუანკარე. მიუხედავად ჩემი „თქმისა“, მე მაინც არ გამათავისუფლეს, რამაც ჩამაყენა აუტანელ გასაჭირში. უდანაშაულო ხალხი ტყუილუბრალოდ დავასახელე, დავკარგე ყველაფერი და ინვალიდი გავხდი. დავრჩი ყველაფრის გარეშე. რომ ჩემი მიცემული ჩვენება ყალბია, ეს არა ერთხელ ვაცნობე კუშევს. მე ისევ ვიტანჯები, დავკარგე გონება. სასტიკ პროტესტს ვაცხადებ ჩემი მოკვლის გამო. როგორც პოეტი, პოლიტიკა არ მწამდა და არც მწამს. თქვენ ხომ ხართ ადამიანი და გაქვთ გული? მოვითხოვ სასწრაფო გათავისუფლებას არა როგორც მათხოვარი, არამედ როგორც პოეტი და ადამიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში გთხოვთ დამხვრიტოთ, ცხოვრებაში არაფერი არ დამრჩენია. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვიკლავ თავს და საქართველომ თქვას რომ მე „ჩეკაში“ მოვკვდი.

ვანლერ დაისელი
26/IX

ჩვენება

ვწერ რა ამ ჩვენებას, მაქვს იმედი, რომ ყურადღებით წაიკითხავთ მას ჩემი საქმის გამოსარკვევად, რომელიც ბევრ ფიქციურ გარემოებას შეიცავს. [...] მე გავხდი მსხვერპლი ჩემს მიერ უნებურად შექმნილი გაუგებრობისა, ისე რომ წარმოდგენა არ მქონდა, რა ტრაგიკული შედეგები მოჰყვებოდა ჩემს საქციელს. მე გულუბრყვილოდ, მოუფიქრებლად, გათავისუფლების სიხარულით გავიმეორე თქვენთვის ცნობილი სიცრუე, როგორც მირჩიეს. ერთი სუბიექტი, რომელსაც მე მოვიხსენიებ შემდეგში, რომელმაც საბოლოოდ დამღუპა მე თავისი ინტერესების გამო, ეს აქ ჩეკაში, დაპატიმრების დროს, მეორე სუბიექტი კი არის ჩემი ამხანაგი, რომელმაც გამყიდა, რათა თავისი პირადი ანგარიშები გაესწორებინა ჩემთვის ტანჯვითა და დაპატიმრებით. [...] მე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არ მიმუშავია არასოდეს და ვიყავი სრულიად უდანაშაულო, ყოველთვის ვიდექი საბჭოთა პლატფორმაზე და როგორც პოეტი პატიოსნად ვმსახურობდი კულტურისა და ეკონომიკის ფრონტზე. ვწერდი და ვაქვეყნებდი გაზეთ „მუშაში“, როგორც მუშკორი და იუმორისტულ ჟურნალში „ტარტაროზი“, სადაც დავცინოდი ანტისაბჭოთა პარტიებს. [...] ფიქციური საქმე კი მე შემდეგი გარემოების გამო შევადგინე: 1925 წლის ზაფხულში ჩემს ახალგაზრდობაში ოქროს ხანა იდგა, მე უნდა გავმხდარიყავი სტუდენტი, რისთვისაც ვწვალობდი მთელი ეს 22 წელი. მინდოდა დამესვენა კურორტზე და გამომესწორებინა ჯანმრთელობა, რადგან მაწუხებს ჩემი მძიმე ცხოვრების გამო ტუბერკულოზი და სხვადასხვა დაავადებები. უნდა გამომეცა ლექსების კრებული, შრომის სკოლის დამთავრების გამო უნდა ჩამებარებინა უნივერსიტეტში და დავქორწინებულიყავი საყვარელ ქალზე შემოდგომაზე და ა. შ. და აი ამ დროს დამაპატიმრეს მე, ამან ძალზე იმოქმედა ჩემზე, დავეცი სულიერად, ვიფიქრე რა, რომ ეს დაპატიმრება ზემონაჩვენებ ბედნიერებას დამაკარგვინებდა, ძალზე განვიცადე და ვიტანჯებოდი ძლიერ, როგორც არავინ დატანჯულა. ტანჯვამ დამაავადა გონებრივად, დავინახე რა, რომ საქმე

მეტად სერიოზულ ხასიათს იღებდა, მე არასოდეს არ მქონია შეხება პოლიტიკასთან, ყოველთვის გავურბოდი მას. ჩეკაზე ძალზე არასწორი უარყოფითი წარმოდგენა მქონდა და ძლიერ შემეშინდა, ამ შიშზე ეს ჩემი წარმოდგენა 100-ჯერ გამიზარდა ერთმა მოქალაქემ 68-ე კამერაში, რომელმაც პოლიტიკურ მოღვაწედ გამაცნო თავი და მითხრა, რომ იგი 6-ჯერ იყო დაპატიმრებული, რომ ჩეკას სარდაფში გუდავენ ადამიანებს, მე ვუთხარი, რომ უდანაშაულო ვიყავი, მან კი „მეგობრულად“ მირჩია, როგორც გამოცდილმა, გაწამებენ, ჩაგსვამენ ბნელ კამერაში, 20 დღე არ მოგცემენ პურს. ამ ტანჯვისგან რომ გათავისუფლდე, სჯობს შექმნა რაღაც ამბავი, დაასახელო ერთი ბინა და ერთი ამხანაგი, და გაგათავისუფლებენ. შენს ამხანაგს არ დაიჭერენ, რადგან ჩეკას აინტერესებს მხოლოდ მასალა, რომელსაც მათ შენ მიაწვდი. მან გამაცნო მე არალეგალური მუშაობის გეგმა, სად არის ასეთი რაიონი და ა. შ. ერთი სიტყვით, მან მირჩია მე ეს და მეც დავუჯერე, იმით დაიმედებულმა, რომ გამათავისუფლებდნენ. ამის შემდეგ მე ჩემი ნებით მოვედი თქვენთან და მოგეცით ეს შეთხზული ამბავი, მე დავუჯერე ვაგონების უბრალო შემკეთებელს და ჩემი სრულიად უდანაშაულო მეგობრებიც და მეც განსაცდელში ჩავცვივდით. მე გთხოვთ, გააუქმოთ ჩემი ყალბი ჩვენება და გამათავისუფლოთ, მე ძალზე მკაცრად დავისაჯე და მეყოფა, დავკარგე ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის 70%, ყოველ დღეს მოაქვს სიკვდილი, არ ვიცი, რატომ ვიტანჯები, მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება და მემუქრება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სიკვდილი [...] გაძლევთ სიტყვას, თუკი დამიბრუნდება ჩემი ტალანტი და ჯანმრთელობა, ვიმუშაო ხალხის სასარგებლოდ და თუკი შენიშნული ვიქნები ანტისაბჭოთა მუშაობაში, დამსაჯეთ მკაცრად პროლეტარული სახელმწიფოს რევოლუცური კანონებით [...] ჩემი ვალია, ეს ყველაფერი მომეხსენებინა გულწრფელად. ვიმყოფები ფრიად კრიტიკულ მდგომარეობაში, თუკი ეს გაგრძელდება რამდენიმე დღე და არ გამათავისუფლებთ, იძულებული ვიქნები ფსიქიატრიულში სიკვდილს მე თვითონ მოვიკლა თავი. როგორც გამონაკლისს, გთხოვთ ჩემს საქმეს მიუდგეთ განსაკუთრებული ყურადღებით,

მიშველოთ მე, უშველოთ რამდენიმე ათეულ მსხვერპლს, ვიმედოვნებ, ჩემი იმედი ახდება და ჩემი ტანჯვა დასრულდება [...]

ივ. ბაბუაძე
1/X-25 წ.

P.S. რადგანაც ყოველ დღე ვკარგავ გონებრივ შესაძლებლობას, ამიტომ გთხოვთ დააჩქაროთ საქმე სრულ გაგიჟებამდე დაკითხვების დროს პასუხის გასაცემად.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
(საბოლოო)

1925 წლის 21 ოქტომბერს მე, სსკ-ის 1-ლი განყოფილების რწმუნებულმა კუშევმა, განვიხილე ივანე სერგის ძე ბაბუაძის – 22 წლის, წარმოშობით გლეხი, მცხ. ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის საქარის თემში, ინტელიგენტი, განათლება საშუალო, მენშევიკური პარტიის წევრი 1923 წლიდან – საქმე 516 გასამართლებული ბრალდებით: კონტრრევოლუცია, რაც გამოხატულია არალეგალურ მენშევიკურ ორგანიზაციაში აქტიური ანტისაბჭოთა მუშაობით.

აღნიშნული საქმე აღიძრა მოქ. **ი. ბაბუაძის** შესახებ არსებული აგენტურული მონაცემების საფუძველზე, რისი მიხედვითაც იგი არის არსებული წყობის აქტიური მოწინააღმდეგე, კერძოდ: არის არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის აქტიური წევრი, მონაწილეობს არალეგალურ შეკრებებში, აგროვებს შენატანებს და ეწევა აგიტაციას არსებული წყობის წინააღმდეგ, რის გამოც იქნა დაპატიმრებული და გადაეცა სასამართლოს.

ძიებით დადგინდა, რომ მოქ. **ბაბუაძე** მართლაც არის მენშევიკური პარტიის წევრი 1923 წლიდან. ანუ იგი პარტიაში შევიდა მაშინ, როცა პარტია არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. უკანასკნელ ხანებში იყო მცირე რაიონული კოლექტივის წევრი მე-4 რაიონში, მონაწილეობდა კრებებში. მან დაასახელა რიგი

პირებისა, რომლებიც მუშაობდნენ მასთან ერთად. არსებული ჩვენება მოგვცა იმ პირობით, რომ გათავისუფლებული იქნებოდა მეთვალყურეობის ქვეშ, მაგრამ რადგანაც არ აღიარა ყველაფერი და ბევრი რამ დამალა, ეს მოსალოდნელი აღარ იყო [იგულისხმება პირობით გათავისუფლება, ა. ნ.]. ამის შემდეგ მან უარყო ადრე მიცემული ჩვენება. შეეშინდა რა, რომ იქნებოდა გაშიფრული ამხანაგების მიერ და ჩავარდებოდა უხერხულ მდგომარეობაში, განაცხადა, ჩვენება გამოგონილია და მხოლოდ იმიტომ მისცა, რომ უნდოდა, გათავისუფლებულიყო ჩეკაში არასასურველი ყოფნისაგან.

ჩვენების თანახმად, ჩვენებაში გაყვანილმა მოქალაქე **მოგილაძე** ვარლამმა, რომელმაც მისცა ბაბუაძის ანალოგიური ჩვენება, განაცხადა, რომ მუშაობდა მასთან ერთად არალეგალურ ორგანიზაციაში, ასევე შედიოდა მცირე რაიონული კოლექტივის შემადგენლობაში. შესაბამისად, ბაბუაძის პირველი ჩვენება შეესაბამება სინამდვილეს, მეორეს კი მნიშვნელობა აღარ ენიჭება, რადგან იგი გამოგონილია.

მოქალაქე **ბაბუაძის** ბრალდების ფაქტი აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობასა და არალეგალურ მენშვიკურ ორგანიზაციაში მუშაობის შესახებ მიმაჩნია სრულად დადასტურებულად, რის გამოც გამომაქვს **დადგენილება:** იგი, როგორც აქტიური მოწინააღმდეგე არსებული წყობისა, ორჯერ ბრალდებული არალეგალურ საქმიანობაში, მიეცეს პასუხისგებაში, რაც გამოიხატება ერთი წლით პატიმრობით. საქმე შეწყდეს და გადაეცეს არქივს.

ადა ნემსაძე

ჟანგო ღოღბერიძე

XX საუკუნე სკანდალურად დაიწყო – ტელეგრაფით გამოცხადებული მსოფლიო ომი ახალი ეპოქისა და ახალი წესრიგის ან იქნებ სულაც დიდი ქაოსის დაწყებას მოასწავებდა... პოეტთა ნაწილი ომის აპოლოგეტი გახდა, ნაწილი კი მუდმივი ძალადობით დაიღალა და... ასე გაჩნდა „დიდებული არაფერი“. იგი დაიწყო ტრისტან ტცარამ. „ლექსიკონში ლატარიის პრინციპით ჩარჭობილმა დანამ ფრანგულ სიტყვა დადაზე მიუთითა, რაც ხის სათამაშო ცხენს, გადატანითი მნიშვნელობით კი ბავშვის ტიტინს ნიშნავს. ირონიულად მიაწერეს დადას –იზმი, რითაც იმ დროისთვის არსებულ მრავალ –იზმ ჩარჩოში მოქცეულ ხელოვნებას დასცინეს“ (მჭედლიძე). ძალადობისაგან სამყაროში ყველაზე შორს ბავშვი დგას, ამიტომაც ბავშვური აზროვნება და ტიტინი სამყაროს ძაადობისაგან ხსნის ერთადერთ გზად მიიჩნიეს და დაიწყო ახალი სამყაროს ძიება აბსურდში. ასე შეიქმნა დადაიზმი, რომელმაც მალე საქართველომდეც მოაღწია.

ჟანგო ღოღობერიძე ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი სახის დადაისტური ლექსების ავტორია.

„ჟანგო დაიბადა კვამლის წელი
აქედან გამოდის ჟანგო
ჟანგო მაწონიდან მატარებელს აშენებს

ჟანგო ტერფებზე ახტება კომფორტს
მისთვის ექსპრესიონიზმი არის ველოსიპედი...“
(ღოღობერიძე 1924: 20)

ჟანგო (ივანე) ღოღობერიძე დაიბადა 1905 წელს სოფელ ფარცხანაყანევში (ქუთაისის მაზრა). იგი იყო ქართველ ფუტურისტთა ჯგუფის წევრი. 1925-1926 წლებში რედაქტორობდა გაზეთ **„დროულს“**,* „მემარცხენე ფრონტის“ ლიტერატურულ ორგანოს. მოგვიანებით ჟ. ღოღობერიძისვე ინიციატორობით უნდა გამოსულიყო გაზეთი „ზერო“, მაგრამ რაღაც გარემოებების გამო მისი გამოცემა არ მოხერხდა. 1926-27 წლებში იგი იყო მწერალთა კავშირის მდივანი. ფუტურისტული ესთეტიკიდან გამომდინარე, ქართველი ლეფელებიც უპირისპირდებოდნენ მთელ მანამდელ ხელოვნებას და ცინიკურად იხსენეიებდნენ თანამედროვე პოეტებს. 1926 წლის 17 იანვარს ტიციან ტაბიძე „დროულის“ რედაქტორ ჟანგო ღოღობერიძეს უგზავნის წერილს: „ჩვენზე ამბობენ, რომ ლიტერატურას თავი დაანებესო – და უწყალოდ სწინკნიან „ცისფერი ყანწები“-ს ჯიქანს. ვისი ბრალია, რომ რეზინათ ეჩვენებათ ამ წერა-კითხვის უცოდინარ ბავშებს ზოგი რამ: ალბად კანტის კატეგორიებზეც ასეთი წარმოდგენის

ნიკოლო მიწიშვილი და ჟანგო ღოღობერიძე

* გამოვიდა სულ 3 ნომერი: 1925 წელს, №1, 1926 წელს № 2, № 3.

იქნებიან თარაქამების მოდგმის ხალხი. ჩვენ გვგონია, ლიტერატურული სირცხვილია, რომ პოეტებზე სწერდე უმგვანო ცილის წამებას და მაიმუნივით ჰბაძავდე კიდეც“ (ტაბიძე 2015: 263). დრომ მალე ცხადი გახადა, რომ ეს მათი ლიტერატურული პოზა იყო.

1927 წელს განათლების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს მწერალთა კავშირის მივლინებით ჟანგო ღოღობერიძე გაემგზავრა საფრანგეთში უმაღლესი განათლების მისაღებად, საიდანაც 1932 წელს დაბრუნდა. ამის შემდგომ, დაპატიმრებამდე, იგი ცხოვრობდა მოსკოვში, ბიძაშვილის, ლევან ღოღობერიძის*, ბინაში. ამავე დროს მუშაობდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ორგანოს – „ლიტერატურული გაზეთის“ («Литературная Газета») – პასუხისმგებელ მდივნად.

ლევან ღოღობერიძის მოსკოვურ ბინაში ხშირად იკრიბებოდნენ მისი მეგობრები და თანამოაზრეები (ბ. ლომინაძე, გ. ელიავა, ვლ. ჯიქია...), რომლებიც მალე ზედმეტნი აღმოჩნდნენ ბოლშევიკური პარტიისათვის და ერთმანეთის მიყოლებით დააპატიმრეს კიდეც ტროცკისტობის ბრალდებით. 1937 წლის 5 აპრილს ჟანგო ღოღობერიძის ჯერიც დადგა (მას არც ლ. ღოღობერიძესთან ნათესაური კავშირი დაუვიწყეს). შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-8 განყოფილებაში მოთავსებული პატიმარი მალევე, 9 აპრილს, გადაგზავნეს თბილისში, სადაც გამოიძიეს მისი საქმე და ბრალი დასდეს სსკ-ის 58-1, 58-8, 58-11 მუხლებით: კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა და ჯაშუშობა საბჭოთა სახელმწიფოს საზიანოდ. 12 სექტემბერს ჟანგო ღოღობერიძეს გამოუტანეს განაჩენი – სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რაც მეორე დღესვე, 1937 წლის 13 სექტემბერს, მოიყვანეს სისრულეში. იმ დროში ხომ ევროპაში ნამყოფი კაცი თითქმის სამშობლოს მოღალატეს ნიშნავდა.

დამოწმებანი:

მჭედლიძე: მჭედლიძე *„ჩოხიანი დადა“*. http://www.demo.ge/index.php?do=full&id=848
ღოღობერიძე 1924: ღოღობერიძე, ჟ. *„თეორიები“*. ჟურნალი „H_2SO_4“
ტაბიძე 2015: ტაბიძე,ტ. *პროზა, მიმოწერა,* წიგნი II, ლიტ. მუზეუმი, თბ.: 2015

* ლევან ღოღობერიძე მაშინ იყო საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი.

ფონდი № 6, საარქივო № 371145-07, ტომი № 3, ყუთი № 234*

1937 წ. 2 აპრილი

ჟ. ღოღობერიძე 1927-33 წლებში სწავლობდა პარიზში და მჭიდრო კავშირი ჰქონდა უკრაინელ ემიგრანტ ვინიჩენკოსთან**. ვინიჩენკო 1933 წელს პარიზში დაუკავშირდა საქართველოდან ჩასულ თბილისის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, პროფ. გიორგი ელიავას, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია ჯაშუშობის ბრალდებით. ელიავამ განაცხადა, რომ ვინიჩენკოსთან დააკავშირა ჟ. ღოღობერიძემ.

სსრკ-ში დაბრუნების შემდეგ ჟ. ღოღობერიძე ცხოვრობდა ბიძაშვილის, ლევან ღოღობერიძის, ბინაში და სისტემატურად მონაწილეობდა იქ გამართულ კონტრრევოლუციურ შეკრებებში. ამის შესახებ ცნობები ამოღებულია დაკავებული ტროცკისტის ბ. ა. კუშნერის ჩვენებიდან (1936 წ. 21 ოქტომბერი):

ლ. ღოღობერიძის ბინაში მისი და სხვა ტროცკისტების (ბესო ლომინაძე, ვლადიმერ ჯიქია...) მონაწილეობით იმართებოდა შეხვედრები. როდესაც მე დავინტერესდი, რატომ ჩამოდიოდნენ ასე ხშირად ლომინაძესთან კავკასიიდან სხვადასხვა პირები, მიპასუხა, რომ ეს ვითომ მივლინებები უკავშირდებოდა ლომინაძის არალეგალურ მოღვაწეობას. ესწრებოდა ჟ. ღოღობერიძეც. 1934 წელს ბესო ლომინაძესთან შესახვედრად ჟ. ღოღობერიძე ერთხელ თბილისიდანაც კი ჩასულა მაგნიტოგორსკში. ჟ. ღოღობერიძე იცნობდა მისი ბიძაშვილის და მის თანამოაზრეთა შეხედულებებს და მოღვაწეობას, იგი სრულად იზიარებდა მათ, ასევე კავკასიის მემარცხენე ჯგუფის წევრებისას, რომელნიც ხშირად იყრიდნენ თავს ძმებ ღოღობერიძეებთან. ჟ. ღოღობერიძის თანდასწრებით ისინი ლაპარაკობდნენ ღიად, რასაც სრულად იზიარებდა ჟ. ღოღობერიძეც.

---

* იხეჭდება შემოკლებით.

** ვინიჩეკნო იყო უკრაინის დირექტორიის ყოფილი თავმჯდომარე და ბროტბისტთა პარტიის ყოფილი ლიდერი.

1934 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, როდესაც გამოაშკარავდა კიროვის მკვლელობაში ზინოვიევის მომხრეთა მონაწილეობა, ღოღობერიძე ჟანგო იყო ჩემს ბინაში და მითხრა, ახლა უნდა ველოდეთ რეპრესიებს ტროცკისტების მიმართ. მისივე საუბრიდან ვიცი, რომ ჟ. ღოღობერიძეს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სერგი ქავთარაძესთან. ერთ შეხვედრაზე ღოღობერიძის ბინაში 1934 წელს, ზაფხულში, მე პირადად შევხვდი ტაბიძეს. ამ შეკრებაზე ვიყავით ღოღობერიძის ძმები, მისი მეუღლე ნუცა, ტაბიძე და მე (იყო კიდევ ერთი ქართველი, სახელი არ მახსოვს).

არსებული ცნობები ასევე დასტურდება ბუდუ მდივნის, პ. აღნიაშვილის, გ. შუგაროვის ჩვენებებით.

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (НКВД) ითხოვს ღოღობერიძის დაპატიმრებას და მის გადაგზავნას თბილისში. დაპატიმრების სანქცია გასცა სსრკ სახელმწიფო უშიშროების გენერალურმა კომისარმა ამხ. ეჟოვმა.

1937 წ. 9 აპრილი

სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრო,
მოსკოვი, დერჟინსკის მოედანი 2

საქ სსრ შინ. საქ. სახ. კომისარიატის
მე-8 განყოფილებას, თბილისი

გიგზავნით მასალას დაპატიმრებულ ივანე (ჟანგო) სერგოს ძე ღოღობერიძის სისხ. სამართლის საქმის შესახებ, რათა გადასცეთ შინ. საქ. სახ. კომისარიატის სახ. უშიშროების მე-4 განყოფილებას.

ამავდროულად ბუტირსკის ციხის უფროსს ვაძლევთ განკარგულებას, რათა გამოაგზავნოს პატიმარი ივანე (ჟანგო) სერგოს ძე ღოღობერიძე – განსაკუთრებული ბადრაგით, სპეცვა-

გონის ცალკე კამერით, ყველა პატიმრისაგან იზოლირებულად – თქვენს განკარგულებაში.

პატიმრისა და მასალის მიღება დაგვიდასტურეთ.

სსრკ შინ. საქ. სახ. კომისარიატის მე-8 განყ. უფროსის მოადგილე /ზუბკინი/

სახ. უშიშროების 1-ლი განყ. უფროსი, ლეიტენანტი/ მიჩუსტინი/

1937 წ. 9 აპრილს მოსკოვიდან გადმოგზავნილ იქნა განსაკუთრებით საშიში დამნაშავე ივანე (ჟანგო) სერგოს ძე ღოღობერიძე როსტოვი-ბაქოს მატარებლით.

1937 წ. 11 აპრილი

მარშრუტი 75 ბაქო-თბილისის მატარებლით თბილისში ჩამოვა პატიმარი ივანე (ჟანგო) სერგოს ძე ღოღობერიძე 236-ე საბადრაგო პოლკის განსაკუთრებული ბადრაგით.

ბაქოს სადგურში ჩამოვა 13 აპრილს განსაკუთრებული ბადრაგის თანხლებით, საიდანაც უნდა გადაიგზავნოს თბილისში დახურული ტრანსპორტით.

1937 წ. 16 აპრილი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის სახ. უშიშრ.
კომიტეტის მაიორ ქობულოვს

1937 წლის 14 აპრილს დაპატიმრებული ჩამოყვანილია თბილისში, გთხოვთ გადმოგვიგზავნოთ შესაბამისი საქმის მასალები: დაკავების ორდერი, ჩხრეკის ოქმი, ანკეტა, ორი ფოტოსურათი, მიმოწერა, ლიტერატურა და დოკუმენტები და ა. შ.

საქ. შინ. საქ. სახ. კომისარიატის მე-8 განყ.
ლეიტენანტი ქათამიძე

1937 წ. 20 აპრილი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

(„შეკვეცის ზომის არჩევისა და ბრალდების წარდგენისა“)

მოქ. ღოღობერიძე ივანე (ჟანგო) სერგოს ძე, დაბ. 1904 წ., სოც. მდგომარეობა – მოსამსახურე, მცხ. ქ. მოსკოვში, უმაღლესი განათლებით, საკმაოდ მხილდება მასზედ, რომ ეწევა კ/რ ტროცკისტულ საქმიანობას.

დავადგინე:

მოქ. ღოღობერიძე ივანე (ჟანგო) სერგოს ძე მიცემულ იქნას, როგორც დამნაშავე საქ. სისხ. სამ. კოდ. 58/10 და 58/11 მუხლებით. ზომად შეკვეცისა, ძიებისა და სასამართლოს გადაუხვევლობისათვის აურჩიოს ერთადგილიან კამერაში პატიმრობა.

1-ლი ქვეგანყ. უფროსი ხაზანი

მე-4 ქვეგანყ. უფროსი, მაიორი ქობულოვი

1937 წ. 20 ივნისი, თბილისი

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური
ფედერაციული რესპუბლიკა (ა/კ სრფკ)

დადგენილება

მე, საქ. სსრ უშიშროების კომიტეტის მე-9 განყ. უფროსმა ლეიტენანტმა შპერლინგმა გადავხედე ძიების საქმეს 9154 ღოღობერიძე ივანე (ჟანგო) სერგოს ძის ბრალდების შესახებ საქ. სისხ. სამ. კოდ. მუხლები 58/10, 58/11.

ვპოვე:

ძიების პროცესში მოწმეთა ჩვენებებითა და აღიარებებით გამოვლენილია მთელი რიგი ახალი ფაქტები კ/რ მოღვაწეო-

ბისა, რაც მოითხოვს ბრალდებულ ჟ. ღოღობერიძისა და რიგ მოწმეთა ხელახალ დაკითხვას, რაც ვერ იქნება დასრულებული დადგენილ დროში. ამიტომ

დავადგინე:

ეთხოვოს სსრკ შინ. საქ. სახ. კომისარიატს საგამოძიებო ვადის გაგრძელება 1937 წლის 20 ივნისიდან 1937 წლის 5 აგვისტომდე.

1-ლი ქვეგანყ. უფროსი ლეიტენანტი /შპერლინგი/
მე-3 განყ. უფროსი მაიორი /მხეიძე/

1937 წ. 1 აგვისტო, თბილისი

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური
ფედერაციული რესპუბლიკა (ა/კ სრფკ)

დადგენილება

მე, საქ. სსრ უშიშროების კომიტეტის მე-9 განყ. უფროსმა ლეიტენანტმა შპერლინგმა მივიღე რა მხედველობაში, რომ ბრალდებულმა აღიარა კავშირი კ/რ ტერორისტულ ორგანიზაციასთან და ჯაშუშური კავშირი უცხოურ დაზვერვასთან, დამნაშავის დანაშაულებრივი საქმიანობა მოითხოვს მეტ გამორკვევას, რაც არ შეიძლება დასრულდეს დადგენილ დროში. ამიტომ დავადგინე, ეთხოვოს სსრკ შინ. საქ. სახ. კომისარიატს საგამოძიებო ვადის გაგრძელება 1937 წლის 1 აგვისტოდან 1937 წლის 5 სექტემბრამდე.

1-ლი ქვეგანყ. უფროსი ლეიტენანტი /შპერლინგი/
მე-3 განყ. უფროსი მაიორი /მხეიძე/

14 აგვისტო 1937 წელი

საბრალდებო დასკვნა

საქმე № 9154 ღოღობერიძე ივანე (ჟანგო)
სერგოს ძის ბრალდების შესახებ
საქ. სსკ 58/1ა, 58/8 და 58/11 მუხლებით.

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა აღმოაჩინა და ლიკვიდაცია უყო კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ტერორისტულ და ჯაშუშურ-დივერსიულ ჯგუფს საქართველოში, რომლის მიზანი იყო ტერორისტული აქტების განხორციელება კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, საბჭოთა წყობის დამხობა და კაპიტალისტური წყობილების აღდგენა საქართველოში.

ძიებით დადგინდა, რომ ღოღობერიძე დაკავშირებული იყო საქართველოს კ/რ ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან: ბუდუ მდივანი, სერგო ქავთარაძე, ლევან ღოღობერიძე, ბესო კვირკველია.

ჟ. ღოღობერიძე გადაიბირა ლევან ღოღობერიძემ 1927 წელს, რომელმაც მისცა მას ინფორმაცია კ/რ ტროცკისტული ნაციონალისტური ორგანიზაციების არსებობის შესახებ და დაავალა კ/რ ტროცკისტული მუშაობა.

„ვინაიდან მქონდა მიდრეკილება ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შეხედულებებისაკენ, გადავწყვიტე მიმეღო განათლება ბურჟუაზიულ დასავლეთში. 1927 წელს განათლების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს მწერალთა კავშირის მივლინებით წავედი საფრანგეთში უმაღლესი განათლების მისაღებად“ (ღოღობერიძის ჩვენებიდან 22-24/ VII – 37 წ.)

იმყოფებოდა რა საზღვარგარეთ, ღოღობერიძე ჟ. დაუკავშირდა უკრაინის უმნიშვნელოვანეს კ/რ მოღვაწეს – ვინიჩენკოს ლევან ღოღობერიძის დავალებით, ჰქონდა მასთან სისტემატური შეხვედრები და აძლევდა მას ბოროტ და ცილისმწამებლურ ინფორმაციას საქართველოს შესახებ.

„...მე თავს ვთვლი დამნაშავედ იმაში, რომ საზღვარგარეთ ცხოვრებისას მოვხვდი ემიგრანტთა და უცხოელ ჟურნალისტთა წრეში, ცილს ვწამებდი პარტიის პოლიტიკას კულტურის

სფეროში და ვაძლევდი მათ ცრუ ინფორმაციას, აქტიურად ვეხმარებოდი სსრკ-ის მტრებს საზღვარგარეთ, რათა მათ ებრძოლათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“ (ჟ. ღოღობერიძის ჩვენებიდან, 22-24 / VII / 37წ.).

საფრანგეთში ყოფნისას ღოღობერიძე ჟ. დაუკავშირდა საფრანგეთის საიდუმლო პოლიციის აგენტს სალომე ანდრონიკოვს და ვერა შუხაევას. ასევე ფრანგ ჟურნალისტს ლიუსენი ვოჟელს. ღოღობერიძემ ასევე ეს ხალხი დააკავშირა საფრანგეთის დაზვერვის რეზიდენტთან, გიორგი გრიგოლის ძე ელიავასთან, საქართველოში.

„პარიზში რიუ დიუ კოლიზეს 44-ში (Рю Дю Колизе 44) იყო სალონი თბილისში დაბადებული ყოფ. თავადის სალომე ანდრონიკოვისა (მისი ქმარი იყო გალპერნი), რომელიც ვითომ იყო საბჭოთა, სინამდვილეში კი იყო ინგლის-საფრანგეთის ჯაშუშური ბინა. ანდრონიკოვის ქმარი გალპერნი იყო ინგლისის დაზვერვის აგენტი, ხოლო ცოლი სალომე მუშაობს „სიურტე ჟენერალში“.

ანდრონიკოვი მე გავიცანი 1930 წელს პარიზში ლევან ღოღობერიძის ბიძაშვილ ჟანგო ღოღობერიძისგან.

ამავე სალონში ჟანგო ღოღობერიძეს ინტიმური კავშირი ჰქონდა სალომე ანდრონიკოვის უახლოეს ადამიანთან, მხატვარ ვერა შუხაევასთან, რომელიც ასევე იყო „სიურტე ჟენერალის“ თანამშრომელი.

1932 წ. ჟანგო ღოღობერიძე დაბრუნდა სსრკ-ში, თითქოს გამოასახლა იქიდან საფრანგეთის პოლიციამ“ (გ. ელიავას ჩვენებიდან).

ბრალდებული ჟ. ღოღობერიძე აჩვენებს:

„1930 წელს პარიზში გავიცანი მხატვარი ვერა შუხაევა, რომელმაც თავის მხრივ დამაკავშირა მე ემიგრანტ სალომე ანდრონიკაშვილსა და ჟურნალისტ ლიუსენ ვოჟელთან.

...მე მათ ვჭირდებოდი იმისთვის, რომ მიეღოთ ჩემგან ინფორმაცია საბჭოთა მწერლებისა და საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის განწყობის შესახებ. ეს ჯაშუშური ინფორმაცია მე მათ მივეცი“ (ჟ. ღოღობერიძის ჩვენებიდან 19. VIII. 37 წ.).

„საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ 1932 წელს დავსახლდი მნიშვნელოვანი ტროცკისტის, ლევან ღოღობერიძის ბინაში, სადაც 1932-37 წლებში იმართებოდა კონტრრევოლუციონერ ტროცკისტთა და საქართველოს მემარჯვენე ორგანიზაციების ხელმძღვანელთა (ბ. ლომინაძე, ბ. მდივანი, ს. ქავთარაძე, ბ. მგალობლიშვილი, გ. ყურულოვი, მ. ორახელაშვილი, ბ. კვირკველია, ტ. ღლონტი, ტ. მათიკაშვილი, შ. გვახარია და ა. შ.) სისტემატური შეხვედრები“ (ჟ. ღოღობერიძის ჩვენებიდან).

„მე სრულიად ვცნობ თავს დამნაშავედ იმაში, რომ ვიყავი მონაწილე ყველა იმ კ/რ შეკრებისა და ვისმენდი კ/რ საუბრებს და არ შევატყობინე ეს ხელისუფლების ორგანოებს. ამით მე აღმოვჩნდი კ/რ ტროცკისტული ტერორისტული ორგანიზაციის ხელისშემწყობი“ (ჟ. ღოღობერიძის ჩვენებიდან).

მოსკოვში ცხოვრებისას ჟ. ღოღობერიძემ, მუშაობდა რა „ლიტერატურული გაზეთის“ პასუხისმგებელ მდივნად, დაამყარა კავშირი კ/რ ელემენტებთან მწერალთა წრეში (რეზნაკი, სელივანოვსკი, პოსტუპალსკი და ა. შ.), მათთან ერთად აკრიტიკებდა პარტიის ხაზს და ავლენდა კ/რ პოზიციას ლიტერატურის სფეროში, ახერხებდა, რომ „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გამოექვეყნებინა თავისი ლიტერატურული საქმიანობა, კ/რ დადგენილებები ხელოვნების დარგში და კ/რ და მტრული განწყობილების მწერალთა ნაწარმოებები.

„მე ასევე ვაღიარებ იმას, რომ ვმუშაობდი რა პასუხისმგებელ მდივნად „ლიტერატურულ გაზეთში“, ვიბრძოდი პარტიის ხაზის წინააღმდეგ, რადგან განვიცდიდი ბურჟუაზიულ გავლენას ხელოვნებაში (ფორმალიზმი), ამ დადგენილების წინააღმდეგ ლიტერატურაში მე მავნებლურად ძალით ვამკვიდრებდი ფორმალიზმს, როგორც საკუთარ სტატიებში, ისე პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზეც“ (ჟ. ღოღობერიძის ჩვენებიდან).

ყოველივე ამაზე დაყრდნობით, **ბრალი ედება**

ღოღობერიძე ივანე (ჟანგო) სერგოს ძეს, დაბ. 1905 წ., მცხ. თბილისში, უპარტიოს, საბჭოთა ხელოვნების პერიოდული პრესის „ოგონიოკის“ ლიტერატორს

იმაში, რომ:

1. იყო კ/რ ტროცკისტული ტერორისტული და დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრი, რომელიც ფუნქციონირებდა 1934 წ. 1 დეკემბრიდან და მონაწილეობდა ამხ. ე. მ. კიროვის ბოროტული მკვლელობისა და კპ (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადებაში.

2. საზღვარგარეთ ცხოვრების დროს კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტ ლ. ღოღობერიძის პირდაპირი დავალებით დაუკავშირდა უკრაინელი ემიგრაციის მნიშვნელოვან ფიგურას – უკრაინის რადას ხელმძღვანელს ვინიჩენკოს – რომელსაც აძლევდა ცილისმწამებლურ, ბოროტული განზრახვის კ/რ ხასიათის ჯაშუშურ ინფორმაციას სსრკ კულტურისა და ხელოვნების სფეროს შესახებ.

3. „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში ეწეოდა ძირგამომთხრელ, მავნებლურ საქმიანობას, ათავსებდა კ/რ დადგენილებებს, და აქტიურად იბრძოდა კპ (ბ)-ის წინააღმდეგ ლიტერატურის ფრონტზე, რისთვისაც დაუკავშირდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოში მცხოვრებ კ/რ განწყობილ მწერლებს.

4. ფრანგული დაზვერვის აგენტის გ. ელიავას შუამდგომლობით ჯაშუშურ კავშირში ჩაება პარიზში ფრანგული პოლიციის აგენტ ანდრონიკოვთან, შუხაევთან და ვოჟელთან, აძლევდა მათ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს.

დანაშაული გათვალისწინებული სსრკ სისხლის სამართლის კოდექსის 58/1-ა, 58/8 და 58/11 მუხლებით.

ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო, რომ იყო კ/რ ტროცკისტული, ტერორისტული და ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა ანტისაბჭოთა და კ/რ საქმიანობას, რაც დასტურდება ს. ქავთარაძის, ი. ღლონტის, ტ. პირუმოვის, ს. გლუცენკოს, ნ. შუგაროვას ჩვენებებით.

აღნიშნული საქმე გადაეგზავნოს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას.

1937 წ. 14 აგვისტო

დადგენილება:

მე, საქ. სსრ უშიშროების კომიტეტის მე-9 განყ. უფროსმა ლეიტენანტმა შპერლინგმა განვიხილე საქმე 9154 – **ღოღობერიძე ივანე (ჟანგო) სერგოს ძე**, დაბ. 1905 წ., მცხ. თბილისში, დაპატიმრებისას ცხოვრობდა მოსკოვში, იზვოზნაიას 2, სახლი 36, კორპ. 5, ბინა 140, უპარტიო, ლიტერატორი, გაზეთ „ლიტერატურული გაზეთის“ («Литературная Газета») პასუხისმგებელი მდივანი, ბრალდებული დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სისხ. სამ. კოდ. 58/10 და 58/11 მუხლებით

ვპოვე:

მასალებით დადასტურებულია ივანე (ჟანგო) სერგოს ძე ღოღობერიძის კავშირი საქართველოს კ/რ ტროცკისტულ ტერორისტულ ცენტრთან, რის საფუძველზეც

დავადგინე:

ბრალდება მოქ. ივანე (ჟანგო) სერგოს ძე ღოღობერიძისა გადაკვალიფიცირდეს 58/1-ა მუხლიდან 58/8 და 58/11 მუხლებით.

ბრალდებულ ივანე (ჟანგო) სერგოს ძე ღოღობერიძეს მიესაჯა დახვრეტა, განაჩენი სისრულეში მოყვანილია 12 სექტემბერს 1937 წელს.

საქ. შინ. საქ. სახ. კომისარიატის სპეც. განყ. უფროსი,
კაპიტანი /მოროზოვი/

საქმეში არის კონფიცირებული ნივთები (საოჯახო ნივთები, ავეჯი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, წიგნები...) საკმაოდ ვრცელი სიაა, მაგრამ ნაწერია რუსულად, ხელით, ფანქრით და ძნელი გასარჩევია. აღნიშნული ნივთები გადაეცა სახელმწიფო ფონდს (госфонд).

სიო ჭანტურიშვილი

ქართველი დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე **სიო დიმიტრის ძე ჭანტურიშვილი** დაიბადა 1884 წელს ოზურგეთის რაიონის სოფ. აცანაში, მრავალშვილიან ოჯახში. მის მშობლებს, დიმიტრი ჭანტურიშვილსა და ნინო ჭეიშვილს, ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდათ. გიმნაზიის დასრულების შემდეგ უფროსი ძმის, სიმონის, ხელშეწყობით სიო მოსკოვში გაემგზავრა და სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. სწორედ აქ გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე, პოლინა ნიკოლოზის ასული პოპოვა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისინი ბაქოში გაემგზავრნენ, სადაც სიო ჭანტურიშვილმა ბანკში დაიწყო მუშაობა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში სიოს ფინანსთა მინისტრის პოსტი შესთავაზეს, რაზედაც უარი განაცხადა, სამაგიეროდ, დათანხმდა გამხდარიყო ოზურგეთის ერობის თავმჯდომარე. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეგობრებმა ემიგრაციაში წასვლა შესთავაზეს, რაზედაც სიო ჭანტურიშვილმა ასე უპასუხა: ვერა, შვილებს ვერ გავაფრანგებ, რა დამიშავებია, ვითანამშრომლებ, ესენიც ხომ ადამიანები არიანო. თუმცა ეს ილუზია მალე გაუქარწყლდა. 1921 წელსვე მცირე ხნით იქნა დაპატიმრებული საგანგებო კომისიის, ანუ „გრუზჩეკას“, მიერ. დაპატიმრებებმა რეგულარული ხასიათი მიიღო

და გაგრძელდა 1937 წლამდე, როდესაც სიო ჭანტურიშვილი სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, ბოროტმოქმედივით მავთულით ხელებშეკრული ორთაჭალის ციხიდან გაიყვანეს და დახვრიტეს. ცნობილია, რომ დედამისმა, ნინო ჭეიშვილმა, შვილის ერთ-ერთი დაპატიმრების შემდეგ განაცხადა: მადლობა ღმერთს, რომ მან არ მოაშორა ჩემი შვილი თავის პატიოსან მეგობრებსო.

სიო ჭანტურიშვილი წერდა პიესებს და ამასთან იყო დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრიც. არსებობს ფოტო, რომელზედაც გამგეობის წევრები, რომელთა შორის ს. ჭანტურიშვილიცაა, დრამატული საზოგადოების მაშინდელ თავმჯდომარესთან, აკაკი წერეთელთან, არიან აღბეჭდილნი. ს. ჭანტურიშვილის პიესებში „მორევი“ (1910-11 წ.წ.), „სული ობოლი“ (1916 წ.), „ბურუსი“ (1919 წ.), რომლებიც ბაქოსა და ბათუმში დაიდგა, მწვავე მორალურ-ეთიკური პრობლემებია წამოწეული. მაშინდელი საზოგადოების ყურადღებას იქცევდა მისი პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. 1924 წელს გამოქვეყნებულმა მიხეილ ჯავახიშვილის რომანმა „ჯაყოს ხიზნები“, როგორც ვიცით, მკითხველთა წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია. როგორც ადგილობრივ, ასევე ემიგრანტულ პრესაში დაიწერა მწვავე პოლემიკური წერილები, რომლებშიც ძირითადად უარყოფითად იყო შეფასებული რომანის მძაფრი კრიტიცისტული პათოსი. ერთ-ერთი ამ გამოხმაურებათაგანი, სახელწოდებით „უმსგავსი წიგნი“, ეკუთვნის სიო ჭანტურიშვილს. იგი დაიბეჭდა ჟურნალ „ახალ გზის“ 1928 წლის მე-2 ნომერში. რეცენზენტი მიუღებლად მიიჩნევს უახლესი ქართული ისტორიის ტრაგიკული მოვლენების შეფასებისთვის მწერლის მიერ არჩეულ სიმბოლურ-ალეგორიულ გადაწყვეტას და მთავარი პერსონაჟების ცხოვრებისეული პერიპეტიების მოცემულ ვარიანტში მხატვრულ დამაჯერებლობას ვერ ხედავს. უკმაყოფილება, რომელსაც სიო ჭანტურიშვილი გამოთქვამდა ამ წერილში, ხშირად ისმოდა იმ პერიოდში, რადგან მიხეილ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნებით“ არა მარტო საშიში მედროვე, არამედ მისი წარმომშობი უნიათო ქართველი ინტელიგენიაც ამხილა.

არქივზე მუშაობისას ჩვენ წავაწყდით სიო ჭანტურიშვილის რიგით მეორე, ამჯერად 1923 წლის 26 მაისის, დაპატიმრების ამსახველ დოკუმენტაციას. ესაა ს. ჭანტურიშვილის საქმე №23294, რომელიც საანკეტო მონაცემებთან ერთად შეიცავს პატაკსა და დადგენილებას. საქმეში არის აგრეთვე ამონაწერი საბრალდებულო დასკვნიდან, გათავისუფლების ტალონი და სიო ჭანტურიშვილის სახელზე გაცემული ბათუმის ცენტრალური კოოპერაციული კავშირის „ცეკავშირის“ მოწმობა. საქმეს ახლავს მწერალთა კავშირის შუამდგომლობა გაცემული მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის მიერ და სიო ჭანტურიშვილის მცირეწლოვანი ვაჟის, პავლე სიოს ძე ჭანტურიშვილის, სახელზე ოზურგეთის ქალაქის აფთიაქის მიერ გაცემული რეცეპტი. 1937 წლის დაპატიმრების ამსახველი მასალა, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მიკვლეული არ არის.

პატაკი 26/Y–23 წ. ჩემ მიერ ვერის დაღმართზე, ხიდთან, დაკავებულ იქნა ერთად მიმავალი სამი ადამიანი: ჭანტურიშვილი სიო დიმიტრის ძე, ლომინაძე გრიგორი იოსების ძე და ჩაჩავა აპოლონ ალმასხანის ძე. მოქ. ჭანტურიშვილი, 1) აჭარჩეკას 1922 წლის 4/X11 მონაცემების მიხედვით, ბათუმის მენშევიკური კომიტეტის წევრია და 2) ამასთან კონსტანტინეპოლამდე და უკან მენშევიკების კორესპოდენციების ერთ-ერთი აქტიური გადამგზავნი (აჭარჩეკას 1923 წლის 0/1 ცნობის მიხედვით); 3) ბათუმის მენშევიკური ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის მოვალეობაში, სხვათა შორის, შედიოდა სამხედრო ორგანიზაციის ვალდებულება (მონაც. 15/1 1923 წ.); დაკითხვის დროს უარი განაცხადა ეცნობებინა, სად ათევდა უკანასკნელ ღამეს დაპატიმრებამდე. საერთოდ, მონაცემების მიხედვით, ჭანტურიშვილი ბათუმის მენშევიკურ ორგანიზაციაში ითვლებოდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად. ჭანტურიშვილთან ერთად მიმავალი ვინმე ლომინაძე, გიორგი იოსების ძე – კერძო პრაქტიკით დაკავებული იურისტი, სოც/დემოკრ. მემარცხენე ფრაქციის ყოფილი წევრია 1902-1903 წლებში, ამჟამად ცხოვრობს თბილისში ტაიროვის შესახვ. № (არ იკითხება

– ნ.კ.), მეორე დაკავებული, ჩაჩავა აპოლონ ალმასხანის ძე ცხოვრობს კიროჩნის ქ. № ..... (არ იკითხება – ნ.კ.).

წითელი მელნით მიწერილია: ჩხრეკისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს

მიმოწერას

პატაკი (... მდივანს)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ჩხრეკის დროს დაკავებულის მეუღლემ განაცხადა. ..... (არ იკითხება – ნ. კ.)

მწერალთა კავშირის შუამდგომლობა

სრულიად საქ. მწერალთა კავშირის ს.ს.ს.რ საქართველოს საბჭოს, მაისის 28, 1923 წ. № 544 საგანგებო კომისიას

ამა წლის 26 მაისს ქუჩაში შემთხვევით დაუპატიმრებიათ მწერალი სიო ჭანტურიშვილი. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი ამით შუამდგომლობას აყენებს თქვენს წინაშე დაჩქარებით გამოიძიოთ მისი საქმე და გაანთავისუფლოთ პატიმრობიდან, ვინაიდან მისი ოჯახი განიცდის დიდ ნივთიერ სივიწროვეს.

თავმჯდომარე: კ. მაყაშვილი
მდივანი: მიხ. ბოჭორიშვილი
(28 მაისი, 1923)

დადგენილება

1923 წლის 28 ივნისს მე СЕКО УКГ-ს რწმუნ.-მოადგ. ეჯიბიამ, განვიხილე რა სიო დიმიტრის ძე ჭანტურიშვილის – 39 წლის, ქართველი, უმაღლესი განათლებით, იურისტი, არანასამართლევი, ინტელიგენტი, მეშჩანთა წრიდან, არჩენს 6 სულს, მენშევიკი 1912 წლიდან, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის რაიონის სოფელ აცანას მცხოვრები, კონტრრევოლუციონერი

– საგამომძიებლო საქმე № 1 307, ვნახე, რომ მოქ. სიო დიმიტრის ძე ჭანტურიშვილი მენშევიკების დროს იკავებდა საპასუხისმგებლო თანამდებობს: მენშევიკების დროს ფინანსთა სამინისტროსთან იყო გენერალ-გუბერნატორის მოადგილე. ამჟამად მუშაობდა ბათუმში არალეგალურად, იყო ბათუმის კომიტეტის წევრი, ინარჩუნებდა კავშირს საზღვარგარეთ მყოფი მენშევიკების აღმასრულებელ კომიტეტთან, ხელმძღვანელობდა ბათუმის მენშევიკური ორგანიზაციის მუშაობას, ჰქონდა უშუალო კავშირი მენშევიკების ცეკა-სთან. თავის მუშაობას არ აღიარებს და აცხადებს, რომ როგორც იყო ..... (არ იკითხება – ნ. კ.), ასეთად დარჩა ბოლომდე. ამიტომაც მიმაჩნია, რომ:

მოქ. ჭანტურიშვილი სიო დიმიტრის ძე – 39 წლის – როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლებისთვის მავნე ელემენტი გაძევებულ იქნას საქ. სსრ საზღვრებს იქით, გადაეცეს ГПУ-ს შემდგომში მისი საკონცენტრაციო ბანაკში გადაყვანის მიზნით 3 წლის ვადით. შეწყდეს საქმის ძიება და ჩაბარდეს არქივს. პირადი ხასიათის ნივთები და დოკუმენტები დაუბრუნდეს.

ცნობა: ბრალდებული მოთავსებულია მე-2 გამოსასწორებელ სახლში

ხელს აწერენ: [...[

დადგენილება: დანაშაულის ფაქტი დადასტურებულია. ბრალდებული სიო დიმიტრის ძე ჭანტურიშვილი, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლებისთვის მტრული ელემენტი გასახლებულ იქნას საქ სსრ ფარგლებიდან, გადაეცეს ГПУ-ს 3 წლით საკონცენტრაციო ბანაკში იზოლირების მიზნით. საქმის გამოძიება შეწყდეს და ჩაბარდეს არქივს.

დასკვნა:

1924 წლის იანვრის 17-ში მე ГР. №1 СЕКО УКГ-ს რწმუნ./ მოადგილე ჯალაღანიამ განვიხილე ბრალდების საარქივო საქმე № 1 307/1 359 ჭანტურიშვილი სიო დიმიტრის ძის – 39 წლის, ქართველი, უმაღლესი განათლებით, იურისტი, მეშჩან-

თა წრიდან, მენშევიკი 1912 წლიდან, ცხოვრობდა ოზურგეთის რაიონის სოფელ აცანაში, იყო მენშევიკური პარტიის აქტიური წევრი, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეწეოდა არალეგალურ მუშაობას, იყო ბათუმის კომიტეტის წევრი და ჰქონდა კავშირი ცეკასთან. ამიტომ ექვემდებარება საქ სსრ საზღვრებიდან გასახლებას. თუმცა გათვალისწინებულ იქნა რა ჭანტურიშვილის თანხმობა გამოსასწ. სახლი № 2-ის პოლიტპატიმართა საერთო კრებაზე მიღებულ რეზოლუციასთან და ყოფილი მენშევიკების კონფერენციასთან მივიჩნევ:

ჭანტურიშვილი სიო დიმიტრის ძე (მამის სახელი შეცდომით წერია – დიონისეს ძე – ნ.კ.) - 39 წლის, გათავისუფლებულ იქნას პატიმრობიდან საბჭ. სამსახურში შესვლის უფლებით. დოკუმენტები და პირადი ხასიათის მიმოწერა, რომელიც გამოვლინდა ჩხრეკის დროს, დაუბრუნდეს, საქმე კი ჩაბარდეს არქივს.

ცნობა: ბრალდებული გათავისუფლებულია, დოკუმენტები საქმეშია.

გერცელ და დავით ბააზოვები

გერცელ ბააზოვი პირველი ქართველი ებრაელი მწერალია, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. 30-იანი წლების რეპრესიებმა, ბევრ ღირსეულ თანამემამულესთან ერთად, ისიც შეიწირა. მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ებრაული ურთიერთობების ერთ-ერთი გამორჩეული მემკვიდრეთაგანი, იგი თავისი აზროვნებითა და მწერლური შთაგონებით მჭიდროდ უკავშირდებოდა ქართულ კულტურას, მაგრამ, იმავდროულად, თავისი მრავალტანჯული ერის ერთგული ჭირისუფალი იყო.

გერცელ ბააზოვი

გერცელ დავითის ძე ბააზოვი დაიბადა 1904 წლის 28 ოქტომბერს, ონში, ცნობილი რაბინის, დავით ბააზოვის (1883-1947) ოჯახში. მწერლის პაპაც, მენახემ ბააზოვი, რაბინი იყო. განათლების მისაღებად მან შვილი ევროპაში გაგზავნა. დავითმაც ნაყოფიერად გამოიყენა „უცხოობაში“ გატარებული წლები, სწავლის პარალელურად ბევრ ღირსეულ მოღვაწესთან გააბა ნაცნობობა და ცოდნასთან ერთად გამოცდილებით გამდიდრებული დაბრუნდა სამშობლოში. 1903 წლიდან **დავით ბააზოვი** ონში დამკვიდრდა და როგორც ებრაელთა იქაური სათვისტომოს სულიერი წინამძღოლი, იბრძოდა თავისი ხალხის ინტელექტუალური ჩამორჩენილობის დასაძლევად, მისი რელიგიური და სულიერი კულტურის ასამაღლებლად. „ის იყო პატრიოტი და არა ვიწრო ნაციონალისტური ზრახვების

მატარებელი პიროვნება“ (ნიკოლეიშვილი 1995). 1913 წელს გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში, სიონისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე დავით ბააზოვმა თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაიწყო: „ძმებო, მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ებრაელობა 2500 წელია ცხოვრობს და არასოდეს უგრძვნია მტრობა. საქართველომ არ იცის გეტო, დარბევა, დისკრიმინაცია, ქართულში არ არის სიტყვა „დარბევა“.

საყურადღებო ფაქტია, რომ 1918 წელს, როცა თურქთა აგრესიული მოქმედების გამო ახალციხეში ქართველობა იჟლიტებოდა, დავით ბააზოვმა, როგორც ახალციხის რაბინმა და ავტორიტეტულმა პიროვნებამ, უდიდესი ძალისხმევის ფასად შეძლო ახალციხის მაჰმადიანთა სულიერ მოძღვართან, კაზიალი ეფენდისთან შეთანხმების მიღწევა და არაერთი ქართველისა და ებრაელის სიცოცხლე იხსნა.

დავით ბააზოვმა 10-20-იანი წლების ქართულ და რუსულ პრესაში არაერთი წერილი მიუძღვნა ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას. მას სწამდა საქართველოს ბედნიერი მერმისისა, რაშიც თავისი ერის მომავალსაც ჭვრეტდა. მის იდეებს მხარს უჭერდნენ ი. ეკალაძე, ფ. შიმშილაშვილი და სხვა ქართველი მწერლები. ცნობილია ქუთაისის რაბინის ცილისმწამებლური გამონათქვამის საწინააღმდეგოდ მიმართული მისი სიტყვები: „ჩვენ ქართველი ებრაელები, იმდენად ვართ შეერთებული ქართველებთან და ისე შეთვისებული მათ მიერ, რომ ჩვენი დაშორება ქართველებთან მხოლოდ თავის მტრობა იქნებოდა“.

ამავე სულისკვეთებით აღზარდა დავით ბააზოვმა თავისი ვაჟი, გერცელი, რომელიც, მამის მსგავსად, ორივე ერის – ქართველისა და ებრაელის – საუკეთესო თვისებების მატარებელი გახლდათ. გერცელ ბააზოვმა 1927 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება. მუშაობდა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ პასუხისმგებელ მდივნად. პარალელურად სწავლობდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. პირველი ლექსი 1918 წელს ქუთაისში, გაზეთ „ებრაელთა ხმაში“ გამოაქვეყნა. 1928 წლიდან მოყოლებული კი მისი ლექსები, წე-

რილები და თარგმანები ხშირად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, „ქართული მწერლობა“, „დროშა“, „კომუნისტი“ და სხვ. 1929 წელს გამოვიდა მისი პირველი მოთხრობა „გელათის ქუჩის დასასრული“, რომელშიც მწერალი შეეცადა აესახა ის ცვლილებები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე იჩინა თავი. ამავე პრობლემას ეხმიანებოდა მოთხრობა „შამარიას უკანასკნელი სიტყვა“ (1931) და რომანი „ფეთხაინი“ (1935). მიუხედავად იმისა, რომ რომანი დასრულებული არ არის, მასში საკმაოდ რეალისტურად აისახა ქართველ ებრაელთა ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, სარწმუნოება და ყოფითი დეტალები.

დავით ბააზოვი ოჯახთან ერთად

გერცელ ბააზოვის ინიციატივით 1924-25 წლებში დაარსდა ქართველ ებრაელთა თვითმოქმედი დრამატული დასი „კადიმა“. 1929 წელს მან გამოსცა პოლონელი ებრაელი მწერლის, ბენ აბრამის, მისტერიიდან გადმოკეთებული დრამა „დილლეამარი“, რომელშიც იმდენი ცვლილება შეიტანა, რომ, ფაქტიურად, ახალი ნაწარმოები შექმნა და კრიტიკოსთა მოწონებაც დაიმსახურა. მაგრამ როგორც არაერთ საღად მოაზროვნე და ნიჭიერ მწერალს, „გერცელ ბააზოვსაც ცხოვრებას უწამლავდა ხელისუფლების მხარდაჭერით გასულდიდებული პროლეტარული მწერლობის ხელმძღვანელობა“ (კვერენჩხილაძე 2014: 569), ამიტომაც იყო, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის პლენარულ სხდომაზე (1930 წ. 25-31.XII) იგი ერთგვარი სინანულით აღნიშნავდა: „დავწერე და ვუწოდე მისტერია. ფსევდონიმმიწერილ ორ წერილში. ერთმა თქვა: მისტერიებს ანტისემიტები წერენ გერმანიაშიო. გამოდის – ანტისემიტი ვარ. მეორემ – ავტორი ებრაელი ნაციონალისტია, სიონში დადისო. გამოდის –

ებრაელიც ვარ, ქრისტიანიც, მაჰმადიანიც“ (კვერენჩხილაძე 2014: 569).

განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად გერცელ ბააზოვის პიესას „მუნჯები ალაპარაკდნენ“ (1931), რომელიც 1932 წ. თბილისის კოტე მარჯანიშვილისა (რეჟისორი კ. მარჯანიშვილი) და ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრების სცენაზე დაიდგა. პიესამ ყურადღება მიიქცია იმით, რომ მასში პირველად წარმოჩნდა ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება.

გერცელ ბააზოვის უკანასკნელი ნაწარმოები, რომელიც სცენაზე დაიდგა, იყო „იცკა რიჟინაშვილი“ (1936), რომელშიც ჩანს მწერლის იძულებითი კომპრომისი. მთავარი გმირი, რევოლუციონერი რიჟინაშვილი, ებრაელთა ხსნად რევოლუციას მიიჩნევს, ისტორიულ სამშობლოზე მეოცნებეს კი „დაბნეულ კაცს“ უწოდებს. ამას მოჰყვა პიესა „განურჩევლად პიროვნებისა“ მორალის საკითხებზე...

გერცელ ბააზოვი 20-იან წლებში წერდა პუბლიცისტურ წერილებსაც, რომლებშიც აშუქებდა ებრაელთა კულტურული დონის ამაღლებისა და ერისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს.

მწერლის საფიქრალი და უმთავრესი თემა მაინც ანტისემიტიზმის მხილება იყო. სულს უფორიაქებდა თავისი ერის მძიმე ხვედრი მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში. ამ საკითხს ეხება მისი ნაკლებად ცნობილი მოთხრობები „ალვარ როდრიგო“ (1924 წ.) და „ნიკანორ ნიკანორიჩ“ (1930). „დასავლეთში ჯერ კიდევ მძლავრობს ანტისემიტიზმის ნაკადი, – წერდა იგი, – ... აინშტაინს ბერლინის უნივერსიტეტის კათედრაზე აუდიტორიამ საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ებრაელი იყო... ასეთი საშინელი სიძულვილი ეროვნულ უმცირესობათა მიმართ გამეფებული იყო არა მარტო გერმანიაში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. განსაკუთრებით რუმინეთსა და უნგრეთში, სადაც შოვინისტური გრძნობით გამსჭვალული სტუდენტობა სისტემატურად აწყობდა „პოგრომებს“ ებრაელ სტუდენტებზე“... ამის გათვალისწინებით, მწერალი საგანგებოდ აღნიშნავდა ქართულ-ებრაული ურთიერთობის მნიშვნელობას, იმ კეთილგანწყობას, რომელიც ამ ორი ერის თანაცხოვრებისას დამყარდა.

1935-38 წლებში გერცელ ბააზოვი საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატული სექციის ხელმძღვანელი იყო. მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა დასრულდა იმით, რომ 1938 წლის 25 აპრილს დააპატიმრეს მოსკოვში, სადაც რეჟისორ მიხოელსთან ერთად მუშაობდა თავისი პიესის დადგმაზე მოსკოვის ებრაულ თეატრში. 10 აგვისტოს იგი მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. მალე დააპატიმრეს გერცელის მამაც, დავით ბააზოვი და ძმა ხაიმი. მათ ბრალად წაუყენეს იატაკქვეშა სიონისტური საქმიანობა და ციმბირში გადაასახლეს. დავით ბააზოვი გადასახლებიდან 1945 წელს დაბრუნდა, 1947-ში კი გარდაიცვალა.

რაც შეეხება გერცელ ბააზოვის შემდგომ ბედს, ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგიერთი ცნობით, 1938 წლის 10 ოქტომბერს გერცელ ბააზოვს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა არსებობს განსხვავებული ვერსიაც, რომ იგი 1942 წელს გარდაიცვალა*.

საქართველოს შსს არქივში აღმოჩნდა გერცელ ბააზოვის მხოლოდ საბრალდებო დასკვნის ფურცელი, რომელიც გვაწვდის უტყუარ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მას 1938 წლის 10 ოქტომბერს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, ხოლო 11 ოქტობმერს დახვრიტეს.

* ამ მოსაზრებას რ. კვერენჩხილაძე შინსახკომის მიერ შეთხზულ სიყალბედ მიიჩნევს. მისი დასკვნით, სტალინის დასახვრეტთა სიაში წინასწარაა დაფიქსირებული: „ბააზოვი გერცელ დავითის ძე, 12.09.38. კატეგორიაა I“, რაც დახვრეტას ნიშნავს.

ოქმი № 181

საქართველოს სსრ შინსახკომის სხდომისა 10.X.1938 წ.

მოისმინეს: საგამ. საქმე № 15600 გერცელ დავითის ძე ბაა-ზოვის ბრალდების შესახებ; დაბად. 1904 წ. საქართველოს სსრ, ხონის რ.; მეშჩანთა წრიდან; განათლება უმაღლესი; დაოჯახებული; პროფესიით – მწერალი-დრამატურგი; დაპატიმრებამდე – საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, სსრკ მოქალაქე. იყო სიონისტთა კ/რ ორგანიზაციის წევრი. უშუალოდ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დავალებით ეწეოდა ანტისაბჭოთა პოლიტიკურ აგიტაციას ებრაელთა ფართო მასებში, ებრაელთა პალესტინაში გადასახლების შესახებ. იყო ინგლისის აგენტი. დანაშაული აღიარა. მხილებულია დ. მ. ბაა-ზოვის ჩვენებებში.

დაადგინეს: დახვრეტა კუთვნილი ქონების კონფისკაციით.

სამეულის თავმჯდომარე: სერგო გოგლიძე.
წევრები: კანდიდ ჩარკვიანი, ილარიონ ტალახაძე.

მანანა კვატაია

მიხეილ ბოჭორიშვილი*

გასული საუკუნის დასაწყისში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ორი მეგობარი სწავლობდა: გალაკტიონ ტაბიძე და მიხეილ ბოჭორიშვილი. გალაკტიონი „თითქმის მარტოდმარტო მიარღვევდა წყვდიადს, ამხანაგ-თანამგზავრი ბევრი ჰყავდა, გულის მესაიდუმლე კი ერთი ან ორი. მათ შორის პირველი ადგილი მიხეილ ბოჭორიშვილს ეკუთვნის“ (ტაბიძე 2010: 232). 1921 წელს გალაკტიონს მეგობრისთვის შემდეგი სტრიქონები მიუძღვნია:

> გვიყვარდა როსმე, ძვირფასო მიშელ,
> საღამოს ქარში ერთად ცხოვრება.
> მზეებში ვქმნიდით მაშინ მე და შენ
> და ქარი მარად გვემახსოვრება.

ნოდარ ტაბიძის მითითებით, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილი 1890 წელს ტყიბულში დაიბადა**. მის მშობლებს ექვსი შვილი ჰყავდათ***. მწერლის ბავშვობის წლებზე ბევრი არაფერია ცნობილი. მიხეილი ყოფილა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე, სადაც დაახლოებია გალაკტიონ ტაბიძეს, მცირე ხანს მას სოფელ ჯვარისაში უსწავლებია, შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულა. იგი დასახელებულია 1917 წლის 17 ივნისს „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ მწერალთა კავშირის წევრებს შორის****. ერთხანს მწერალთა

---

* სრული ვერსია იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, № 35, 2014. გვ. .232–249.

** საქართველოს შინაგან საქმეთა არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით კი მისი დაბადების თარიღია 1892 (ზოგან 1893) წელი.

*** იხ. პავლე ბერეკაშვილისა და გივი გეწაძის ვრცელი პუბლიკაცია „დაბრუნებული სახელები. მიხეილ ბოჭორიშვილი“ (დაბადებიდან 100 წლისთავისათვის). გაზეთი „ტყიბული“, 1991 წლის 26 და 29 იანვარი.

**** იხ. ზ. ლომჯარია. საქართველოს მწერალთა კავშირი – 90. „ლიტერატურული საქართველო“, 2007 წლის 2 ნოემბერი, გვ.11.

კავშირის მდივანიც ყოფილა. „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ რომ დაარსდა, პოეტმა მიხეილ ბოჭორიშვილი რედაქციაში მიიწვია. დემნა შენგელაიას გადმოცემით, „ბოჭორიშვილი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ სულისჩამდგმელი იყო. ტექნიკურ და სამეურნეო საკითხებსაც არსებითად ის აგვარებდა. სულით ინტელიგენტი, ფაქიზი ბუნების კაცი გახლდათ. გალაკტიონს თვალებში შეჰყურებდა, შესცინინებდა. მე დავალებული ვარ მისგან. მმფარველობდა და მახალისებდა. სამარის კარამდე გალაკტიონის უერთგულესი და თავდადებული აბჯართმტვირთველი იყო“ (ტაბიძე 2010: 233-234).

1924 წლის 4 სექტემბერს მიხეილ ბოჭორიშვილი დააპატიმრეს, როგორც მემარჯვენე ესერი, პარიტეტული კომიტეტის წევრი, აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი*. გაზეთ „კომუნისტის“ ინფორმაციით, მასთან ერთად დაუკავებიათ კიდევ რამდენიმე პირი:

„1. პარიტეტული კომიტეტის (ეგრედ წოდებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“) თავმჯდომარე და მენშევიკური ავანტიურის ხელმძღვანელი თავადი კოტე ანდრონიკაშვილი.

2. პარიტეტული კომიტეტის წევრი და ნაციონალ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი იასონ ჯავახიშვილი.

3. მენშევიკების ცეკას სამხედრო კომისიის წევრი, თავადი გიორგი ჯინორია.

4. პარიტეტული კომიტეტის წევრი ნაციონალ-დემოკრატთა პარტიიდან, აზნაური მიხეილ იშხნელი“**.

როგორც ცნობილია, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორგანიზატორი იყო „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ („დამკომი“), ანუ „პარიტეტული კომიტეტი“. მასში შედიოდნენ: სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, „სხივე-

* ოდნავ მოგვიანებით, სექტემბერშივე, დააპატიმრეს გალაკტიონ ტაბიძეც (საბაბი – მისი პოემა „ომი“), რომელიც მძიმე სასჯელს მეუღლის, ოლია ოკუჯავას, ნათესავების წყალობით გადაურჩა.

** იხ. გაზეთი „კომუნისტი“,1924 წ. 5 სექტემბერი, № 202, გვ.1.

ლები“. აჯანყების მომზადება დავალებული ჰქონდა დამკომთან არსებულ ცენტრალურ სამხედრო კომისიას, რომლის წევრები იყვნენ: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ქარცივაძე, კირილე ნინიძე, მიხეილ ბოჭორიშვილი, მიხეილ იშხნელი, გიორგი ჯინორია, შალვა ამირეჯიბი და სხვები.

აჯანყება 1924 წლის 17 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლებამ უკვე ყველაფერი იცოდა. აჯანყების თარიღი გადასწიეს. ესერთა წარმომადგენელი იოსებ გობეჩია საზღვარგარეთ გაემგზავრა. მისი ადგილი დამოუკიდებლობის კომიტეტში ასევე სოციალისტ-რევოლუციონერმა მიხეილ ბოჭორიშვილმა დაიკავა, რომელიც სამშობლოში აჯანყების საბოლოო დამარცხებამდე დარჩა*.

1924 წლის აგვისტოს ამბოხების პერიპეტიებს დეტალურად აღწერს „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. საბრალდებო დასკვნა“, რომელიც 1925 წელს თბილისში ცალკე ბროშურად გამოუციათ. იქ დაცული ინფორმაციის თანახმად, 1924 წლის 18 აგვისტოს დამკომის პრეზიდიუმს პლენარული სხდომა მოუწვევია. მას ესწრებოდნენ: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი და სამსონ დადიანი. სხდომას აჯანყების საკითხი განუხილავს, აჯანყების მომხრეები ყოფილან: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი, ხოლო სამსონ დადიანს სოციალისტ-ფედერალისტების სახელით პროტესტი განუცხადებია და სხდომა დაუტოვებია.

1924 წლის 27 აგვისტოს აჯანყების მთავარი შტაბი (კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, შ. ამირეჯიბი, მ. ბოჭორიშვილი) ქაქუცა ჩოლოყაშვილისაგან დირექტივების მისაღებად

---

* სშსსა (III), ფ. 14, აღწ. 2, საქმე 40. მიხეილ ბოჭორიშვილის „საქმით“ გასული საუკუნის 70-90–იან წლებში დაინტერესდნენ, თუმცა არქივებში მისი მოძიება ვერ მოხერხდა. მწირი ცნობების მოპოვება შესაძლებელი გახდა საქართველოს ეროვნული უშიშროების კომიტეტში დაცული სისხლის სამართლის საქმის (№243585–62) გაცნობის შედეგად, თუმცა უტყუარი ფაქტების დადგენა მხოლოდ წინამდებარე პროექტის ფარგლებში გახდა შესაძლებელი საქართველოს შინაგან საქმეთა არქივის რამდენიმე სისხლის სამართლის საქმისა და გასული საუკუნის 20–იანი წლების პრესის მონაცემებზე დაყრდნობით (დაწვრილებით იხ. მ. კვატაია. *მიხეილ ბოჭორიშვილის პორტრეტისათვის*. „ლიტერატურული ძიებანი“, № 35, 2014. გვ.232–249).

შიომღვიმის ტყეში დაბანაკებულა. აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1924 წლის 4 სექტემბერს, მცხეთის მილიციის ცხენოსან პატრულს შიომღვიმის მონასტრის ახლოს დაუკავებია კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი, მალევე აუყვანიათ მიხეილ ბოჭორიშვილი, მიხეილ იშხნელი, გიორგი ჯინორია და სხვები.

ათი თვის შემდეგ, 1925 წლის ივლის-აგვისტოში, თბილისში 1924 წლის აჯანყების თავკაცთა და მონაწილეთა გასამართლება მოეწყო. სტენოგრამული ჩანაწერებით ვგებულობთ, რომ 1925 წლის 22 ივლისს, სასამართლოს მეშვიდე დღის სხდომაზე, სხვებთან ერთად მ. ბოჭორიშვილიც დაუკითხავთ. მას უზენაესი სასამართლოს წინაშე პარიტეტული კომიტეტის მიზანსა და მისი დაარსების ისტორიაზე უსაუბრია. ამბოხების დაფინანსებაზე ბრალდებულს უთქვამს: „თანხების მხრივ პარიტეტული კომიტეტი დიდ კრიზისს განიცდიდა. ჩვენი წყაროები იყო როგორც ადგილობრივი საშვალებები, ისე საზღვარგარეთ მყოფ ბიუროს დახმარება“. მიხეილ ბოჭორიშვილისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილთან კავშირის შესახებაც უკითხავთ, რაზეც ბრალდებულს განუცხადებია: „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ დაიჭირა კავშირი ჩოლოყაშვილთან 1923 წლის შემოდგომაზე, თუ ზაფხულის დამლევს. დაგვაკავშირა მასთან ნაციონალურ-დემოკრატიულმა პარტიამ. ყველა პარტიებმა ვიცოდით, რომ ჩოლოყაშვილი იქნებოდა ჩვენს განკარგულებაში“.*

ცალკე ბროშურად დაბეჭდილ ზემოხსნებულ „საბრალდებო დასკვნაში“ წერია, რომ პარიტეტულ კომიტეტს კონსტანტინე ანდრონიკაშვილისა და იასონ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეუმუშავებია მემორანდუმი ინგლის-საბჭოთა კავშირის ლონდონის კონფერენციის მიმართ, საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანისა და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მოთხოვნით. მემორანდუმის ტექსტი საბოლოოდ იასონ ჯავახიშვილსა და მიხეილ ბოჭორიშვილს შეუსწორებიათ.

დაპატიმრებულებს ბრალად წაუყენეს საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით, უცხო სახელმწიფოსთან კავშირი ინტერვენცი-

* გაზეთი „კომუნისტი“, 1925 წლის 25 ივლისი, №169, გვ.3.

ის მიზნით, ტერორისტული აქტების მოწყობა და ჯაშუშობა. სასამართლომ 1924 წლის აგვისტოს ამბოხების მეთაურებს: კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, იასონ ჯავახიშვილს, გრიგოლ ჯინორიას, მიხეილ ბოჭორიშვილსა და მიხეილ იშხნელს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მხედველობაში მიიღეს სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა მიერ გაკეთებული საჯარო განცხადება – მათ პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდეს, დადგომოდნენ მშვიდობიან გზას – და დახვრეტის განაჩენი შეუცვალეს 10 წლის პატიმრობით სასტიკი იზოლაციის პირობებში წინასწარი პატიმრობის ჩათვლით (სშსსა (III), ფ. 14, აღწ. 2, საქმე 40)*.

პ. ბერეკაშვილისა და გ. გეწაძის ცნობით, მ. ბოჭორიშვილი გადაუსახლებიათ ტამბოვის ოლქის სოფელ კალპაშოვოში. შესაძლებელია, ოლქის დასახელება მთლად ზუსტი არ იყოს. ყოფილი პოლიტპატიმრის ლიზიკო (ელისაბედ) ქავთარაძის წიგნში „28 წელი გულაგში“ არაერთხელაა ნახსენები მდინარე ობის ნაპირას მდებარე ტომსკის ოლქის სოფელი კოლპაშოვო, სადაც პოლიტიკური ნიშნით გადასახლებულნი (მათ შორის ქართველები) იხდიდნენ სასჯელს. საფიქრებელია, რომ მიხეილ ბოჭორიშვილის გადასახლების ადგილი სწორედ ტომსკის და არა ტამბოვის ოლქი იყოს. იგი უნდა გარდაცვლილიყო დიდი სამამულო ომის პერიოდში, კერძოდ, 1943 წლის ახლოს.

მიხეილ ბოჭორიშვილის სახელი მრავალი წლის განმავლობაში საგულდაგულოდ იჩქმალებოდა. არადა, თუ შევისწავლით გასული საუკუნის დასაწყისის პერიოდულ პრესას თუ გამოცემებს, დავრწმუნდებით, რომ მან საკმაოდ ვრცელი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, თუმცა ტექსტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოსავლენია. მწერალი იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში აქტიურად იბეჭდებოდა. მას ორი წიგნის გამოცემაც მოუსწრია.

სხვადასხვა დროს მიხეილ ბოჭორიშვილს გამოუქვეყნებია ნოველები, მინიატურები, ესკიზები; მას უთარგმნია კნუტ ჰამსუნის ვრცელი რომანი “შიმშილი”, 1915 წელს კი დაუწერია პიესა

* აღსანიშნავია, რომ ამ ერთგვარი „კომპრომისის“ შედეგად იმ დღეებში ასეულობით ადამიანი გადაურჩა დახვრეტას.

„ვნების ბრჭყალებში“ და დასადგმელად შალვა დადიანისათვის გადაუცია (ტაბიძე 2010: 232).

მ. ბოჭორიშვილის პროზაული კრებული „ეტიუდები“ 1919 წელს დაიბეჭდა. მასში შესულია მწერლის ადრეული მოთხრობები. „ეტიუდების“ ტექსტებში მოდერნისტული სულისკვეთება იგრძნობა. ჟურნალ „ლეილას“ მეორე ნომერში იოსებ გრიშაშვილს ამ წიგნის გამო აღუნიშნავს: „მიხ. ბოჭორიშვილი ახალგაზრდა, ნიჭიერი ბელეტრისტია. იგი არ არის პოპულარული. შეიძლება ეს იყოს მისი ღირსება“.

ვრცელი მოთხრობა „მეტეხი“ ავტორს 1922 წელს ცალკე წიგნად გამოუცია. მისი ეპიგრაფია: „თქვენ! რომელნიც ყმაწვილურ გატაცებებით დაიფერფლეთ წამების კოცონზე, თქვენ! რომელთა წმინდა ხსოვნა არ ამეტყველდა უკვდავ ლეგენდებში... მიიძღვენით ეს სტრიქონები“. ეს ვრცელი მოთხრობა ნათლად წარმოაჩენს ურთულესი დროის რეალიებსა და განწყობილებებს, ამასთანავე, მასში ავტორის ავტობიოგრაფიული მომენტებიც უნდა იყოს ასახული. „მეტეხი“ იოსებ გრიშაშვილს ასე შეუფასებია: „ლამაზი პოემაა, საღი ლირიზმით დატვირთული... მიხეილ ბოჭორიშვილს აქვს სიახლის განცდები. თხზულება საინტერესოა ქვეტექსტებითა და აფორისტული გამონათქვამებით“. ია ეკალაძეს აღუნიშნავს ბელეტრისტის ნიჭიერება, თუმცა შენიშვნაც ჰქონია: მწერალმა „ყურადღება უნდა მიაქციოს სიუჟეტის შეკვრა-გამთლიანებას. დიალოგების დახვეწას“ (ტაბიძე 2010: 233).

მიხეილ ბოჭორიშვილის რამდენიმე ნაწარმოები ადრევე უთარგმნიათ რუსულად. 1916 წელს „კუტაისკიე ვესტი“-ში გამოქვეყნებულა მისი „ძველი წიგნი“.

მიხეილ ბოჭორიშვილი იბეჭდებოდა ჟურნალებში „ლეილა“, „ხომალდი“*, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“** ფსევდონიმებით „ნიკ-ძე“, „ადონისი“, „მირბახი“, „მიმქრალ“. საფიქრებელია, რომ შემოქმედებით მოღვაწეობას იგი გადასახლებაშიც გააგრძელებდა.

---

* „მწუხრი“ (1922 წ. № 4-5), „საუბარი ძაღლთან“ (1922 წ. № 2); ვილიე დელილ ალანის „ბრბოს მოუთმენლობის“ თარგმანი (1921 წ. № 2).

** ლიტერატურული კრიტიკის მიმოხილვა „მირბახის“ფსევდონიმით (1922 წ. № 5).

კონცეპტუალური და მრავლისმთქმელია „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ 1923 წლის იანვრის ნომერში დაბეჭდილი მიხეილ ბოჭორიშვილის ლექსი „ახალი წელი“:

გადაყვა ფიქრებს განვლილი წელი,
მოდის ახალი ჩუმი ლოცვებით,
მემატიანე! გაგიძნელდება ჟამთა სრბოლაში
გადაჩეხილ დღეთა აქარგა?
ძვირფასო ძმებო!
არ უჩანს ბოლო ჩვენს გატაცებებს,
საბედისწერო უფსკრულის პირას რა შეგვაჩერებს?
ძვირფასო ძმებო!
გიყვარდეთ ღვინო, თარის ქვითინი,
გაკამათება სადღეგრძელოში და საქართველო!

დამოწმებანი:

ბოჭორიშვილი 1922: ბოჭორიშვილი მ. *მეტეხი*. თბილისი: 1922.

ტაბიძე 2010: ტაბიძე ნ. *გალაკტიონი* (ცხოვრება და შემოქმედება). თბილისი: 2010.

ფონდი 6, საარქივო № 25326, ტ. 2, საქმე 46. საიდუმლოდ.

19 მარტი, 1976.

საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწეს
ნ. ბეჟიტაშვილს

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე ა. გოგორიშვილი ატყობინებს
(რუსულად, მანქანაზე ნაბეჭდი)

ჩვენთან არსებული მონაცემებით, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილი, 1892 წელს დაბადებული, დაუპატიმრებიათ 4.IX.1924. უცნობია, რომელი მუხლით, საქმეში არაა გადაწყვეტილება.

1935 წლის 3 აგვისტოს უმაღლეს სასამართლოს მიუსჯია 10 წელი, რომელი მუხლით, უცნობია. საარქივო საქმე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში უნდა იყოს.

ზოია ცხადაია

ქრისტეფორე რაჭველიშვილი

ცნობილი ფილოლოგი და ისტორიკოსი **ქრისტეფორე ლუკას ძე რაჭველიშვილი** დაიბადა 1891 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. სხვავში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისში, სადაც მისი თანაკლასელი იყო კონსტანტინე გამსახურდია. როგორც ქრისტეფორე რაჭველიშვილის ვაჟი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი იხსენებს, მათი მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. კონსტანტინე გამსახურდია მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებდა რეპრესირებული მეგობრის ოჯახს. მოგონებათა წიგნში „ლანდებთან ლაციცი“ მწერალი იხსენებს: „მე და ქრისტეფორემ ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს დავაარსეთ არალეგალური ორგანიზაცია „ცხრა მუხა“... ვბეჭდავდით პროკლამაციებს. რომანოვების იმპერიის დაარსების 300 წლისთავის აღსანიშნავად გიმნაზიაში იმპერატორების და ცნობილი გენერლების პორტრეტები გამოფინეს. „ცხრამუხელებმა“ ეს სურათები ჩუმად ჩამოვგლიჯეთ“*. მოსწავლეები სათითაოდ დაუჭერია ჟანდარმერიას. არასრულწლოვნები გაუთავისუფლებიათ ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, იმჟამად ქუთაისის გიმნაზიის დირექტორის, იოსებ ოცხელის, ძალისხმევით.

* საქმე №156. იბეჭდება კუპიურებით. იხ. ლიტერატურული საქართველო, 1963, № 25.

ამის შემდეგ ქრისტეფორე თბილისის გიმნაზიაში გადავიდა, რომლის დამთავრების შემდეგ, 1913 წელს, ხარკოვის უნივერსიტეტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. სტუდენტთა მანიფესტაციაში აქტიური მონაწილეობისათვის იგი, სხვებთან ერთად, უნივერსიტეტიდან გარიცხეს და დააპატიმრეს, ოთხი თვის პატიმრობა მიუსაჯეს და ეტაპით საქართველოში გამოგზავნეს. ქრისტეფორე სასჯელს მეტეხის ციხეში იხდიდა. ცოტა ხანში მას ამნისტია შეეხო, მაგრამ რადგან ხარკოვში დაბრუნება აკრძალული ჰქონდა, 1914 წელს ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. რომელიც 1917 წელს დაამთავრა*.

ქრისტეფორე რაჭველიშვილი სოციალ-ფედერალისტთა მეორე თაობას ეკუთვნოდა. იგი სიხარულით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. იყო საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას. ამ ფაქტთან დაკავშირებით საგანგებოდ დაარსებულ გაზეთში „ქართველი სტუდენტი“ აღფრთოვანებული წერდა: „ქართველობაში სტუდენტობა არ წარმოადგენდა განსაზღვრულ, ჩამოყალიბებულ ჯგუფს. ამიტომ მას არ ჰქონდა განსაკუთრებული ტრადიციები ან ცხოვრება – ქართველი ხალხის დასანახად. შეიძლება ითქვას იმიტომ, რომ ქართველი ახალგაზრდობა თავის სტუდენტობას სამშობლოს გარეშე ატარებდა. ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. ქართველ ახალგაზრდობას საკუთარი მეცნიერების ტაძარი აქვს და მანაც იგი უნდა დააფასოს. თავისუფალ საქართველოში ქართველმა სტუდენტმა მაღლა უნდა ასწიოს განათლების ჩირაღდანი და ცოდნის სხივებით გაანათოს სამშობლო ისევე, როგორც აქამდე პოლიტიკური შეგნებით ანათებდა. ქართველი ინტელიგენციის სულს რუსის უნივერსიტეტის ცხოვრების დაღი აზის. იმ ცხოვრებას ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ბევრი ღირსებაც. თავისუფალ საქართველოს ახალგაზრდობას, მის ინტელიგენციას, როდესაც თავის სიყრმის კარგ მხარეებს მოიგონებს,

* როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში სწავლისას იგი ძმები ზუბალაშვილების მიერ დანიშნულ სტიპენდიას იღებდა.

უკეთესი მომავლის მოლოდინში, ღიმილით მხოლოდ მწერლის სიტყვები შეუძლიან გაიმეოროს: "Хороша старина да и чортъ съ ней!" (რაჭველიშვილი ქრ. „სტუდენტობა", გაზ, „ქართველი სტუდენტი", ტფ., 1920, № 1, გვ. 5).

ქრისტეფორე რაჭველიშვილი იარაღით ხელში ებრძოდა ქვეყნის დასაპყრობად შემოსულ მე-11 არმიას. 1921 წლის 25 თებერვალს იგი თან გაჰყვა დამარცხებულ მებრძოლებს, მაგრამ პარტახტიანი ტიფი შეეყარა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. თანაპოლკელმა ჯარისკაცმა, ვინმე ორჯონიკიძემ, საკუთარ სახლში გადამალა. მას ბოლშევიკები ეძებდნენ, ამიტომ ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს. როცა ვაჟის შეძენის ამბავი შეატყობინეს, კონსპირაციულად მოახერხა ახალშობილის ნახვა და ისევ მიიმალა. ცხადი იყო, რომ ჩეკისტები ბოლოს მაინც მიაგნებდნენ. როგორც მისი ახლობლები იხსენებენ, ქრისტეფორეს დეიდამ, რომელიც კარგად იცნობდა ბერიას დედას, გადაწყვიტა, ეთხოვა მისთვის შუამდგომლობა ბერიასთან, რათა ქრისტეფორე არ დაეპატიმრებინათ. როგორც ჩანს, თხოვნამ გაჭრა, მაგრამ დროებით. ბერიამ დაიბარა ქრისტეფორე და მისგან საქართველოს დამოუკიდებლობის დაგმობა და რუსეთის საოკუპაციო არმიის განმათავისუფლებელ არმიად აღიარება მოითხოვა, რაც გაზეთში თავისი სახელით უნდა გამოექვეყნებინა. ქრისტეფორემ თანხმობა განაცხადა, ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალური, თავი დაენებებინა პო-

მარჯვნიდან მარცხნივ: ქრისტეფორე რაჭველიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია...

ლიტიკისთვის და ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე ემუშავა. ეს მიუღებელი აღმოჩნდა ბერიასთვის და ქრისტეფორე მალეევ დააპატიმრეს. 1923 წლის 24 ნოემბერს ბერიას ხელმოწერით გაიცა მისი დაპატიმრების ორდერი. ამავე საქმიდან ჩანს, რომ მისი გათავისუფლების დადგენილება 1924 წლის 22 მაისს მიიღეს. საფუძველი: ქრისტეფორე რაჭველიშვილმა ხელი მოაწერა ფედერალური პარტიის რიგებიდან გასვლას.

გათავისუფლების შემდეგ ქრისტეფორე რაჭველიშვილმა განაგრძო აქტიური მოღვაწეობა, როგორც ისტორიკოსმა, ლიტერატორმა, ბრწყინვალე სტილისტმა, პუბლიცისტმა. 1925 წელს გამოაქვეყნა „საქართველოს მოკლე ისტორია“ – დასაბამიდან 1917 წლამდე, ისტორიული რუკის დართვით. 1926 წელს გამოვიდა მისი მეორე წიგნი – „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია“, 1934 წელს – „ქართული სტამბის ისტორია“, 1937-ში „ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია“. „რაჭველის“ ფსევდონიმით იგი წლების განმავლობაში აქვეყნებდა სტატიებს ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებით. იყო მწერალთა აკადემიური ასოციაციის წევრი, მწერალთა I ყრილობის (1926 წ.) დელეგატი. 1931 წელს იგი გარიცხეს მწერალთა კავშირიდან „როგორც პასიური წევრი“.

1937 წლის 23 აგვისტოს ქრისტეფორე რაჭველიშვილი მეორედ დააპატიმრეს. დარჩა მრავალი დაუმთავრებელი და გამოსაცემად გამზადებული ნაშრომი, რომლებიც ჩეკისტებმა გაანადგურეს. საგამოძიებო საქმეში არ იყო მითითებული, კონკრეტულად რა ედებოდა მას ბრალად (საქმე განადგურებულია ან დაკარგული). ბატონ რევაზ კვერენჩხილაძეს ჰქონდა ამ მასალების ნახვის საშუალება, ვიდრე ისინი დაიკარგებოდა. მისი გამოკვლევით ცხადი ხდება, რომ ქრისტეფორე რაჭველიშვილმა პირველი ჩვენებით უარყო კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობა. დაპატიმრებიდან 3 თვის შემდეგ კი, 1937 წლის 25 ნოემბერს და 30 დეკემბერს, დაკითხვისას, „დაადასტურა“ მისთვის წაყენებული ბრალდება. იმავე დღეს მის საქმეში ჩაიწერა: აღიარა კონტრევოლუციურ სოციალისტ-ფედერალისტური ორგანიზაციის წევრობა. ისიც „აღიარებინეს“, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი მან შეიყვანა ამ ორგანიზაციაში.

სარწმუნო წყაროებით, ეს იყო ფიზიკური ზეწოლის შედეგი (თუ მართლა „აღიარა“)*. 1938 წლის 17 იანვარს ქრისტეფორე რაჭველიშვილი დახვრიტეს (ჟურნალი 2016).

ლეგენდად შემორჩა ფაქტი ქრისტეფორე რაჭველიშვილის დახვრეტასთან დაკავშირებით, რომელიც თვითმხილველს, გადასახლებიდან ახალდაბრუნებულ გრიგოლ გიორგაძეს უამბნია პოეტ გივი გეგეჭკორისთვის: „ჩემთან საკანში ორი სიკვდილმისჯილი იჯდა, ქრისტეფორე რაჭველიშვილი და ერთი სხვა. ჯერ დასახვრეტად იმ კაცის გასაყვანად შემოვიდნენ, რომელიც რაიკომის მდივანი ყოფილა სვანეთში. ამ ბრგე ვაჟკაცს ძალიან გაუჭირდა სიცოცხლესთან გასაშორებლად წასვლა, ყველაფერს ებღაუჭებოდა...

ქრისტეფორემ თქვა: ახლა ჩემი ჯერია, მაგრამ მშია და ჯერ ბალანდა უნდა ვჭამოო. დაჯდა, ჭამა და ეს ჩია ტანის კაცი მღელვარების გარეგნულად გამოუხატავად, ღირსეულად გაჰყვა ჯალათებს“ (კვერენჩხილაძე 2011: 417)...

1923 წლის 16 ნოემბრის ოქმი:

პატიმრის ჩვენება: 1913 წლიდან ვთანამშრომლობდი პარტიულ გაზეთში „სახალხო საქმე“, სადაც ვიღებდი სტატიებს, ჯერ კიდევ სტუდენტობამდე. ეს თანამშრომლობა მე გავაგრძელე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. 1920 წელს პარტიის მე-4 კონფერენციაზე მე ამირჩიეს ჩვენი პარტიის კომიტეტის წევრად. ამიტომ მე-5 კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1921 წლის 5 იანვარს, ე.ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე 1 თვით ადრე. 1921 წლის მაისის ბოლოს, პარტიის მე-6 კონფერენციაზე გამოიყო ორი მიმართულება: მემარცხენე (ღლონტის მეთაურობით); მემარჯვენე (ლასხიშვილის მეთაურობით); პირველები საბჭოთა ხელისუფლებას აღიარებდნენ როგორც **ერთ-ერთ** გზას სოცია-

* ქრისტეფორე რაჭველიშვილის 1937 წლის არც საგამომძიებლო საქმეები და არც სამეულის გადაწყვეტილება სშსს არქივში არ აღმოჩნდა.

ლიზმისაკენ, მეორენი კი მიესალმებოდნენ საბჭოთა ხელისუფ-ლებას, როგორც **ერთადერთ** გზას სოციალიზმისაკენ, რის შემ-დეგაც მემარცხენეებმა დატოვეს სხდომა. მთავარი კომიტეტი არ აურჩევიათ. ჩემ მიერ ზემოთ ხსენებულ მემარჯვენეთა სია-ში, რომელიც მიიღო კონფერენციამ, ნათქვამია, რომ ვშუამ-დგომლობთ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე პარტიის ლეგა-ლიზაციაზე და პრესის ორგანოს შექმნაზე. მთავარი კომიტეტის ძველი შემადგენლობა გაიხლიჩა შემდეგნაირად: მემარცხენე-ებს შეუერთდნენ:

1. თედო ღლონტი
2. კოტეტიშვილი ვახტანგი – მასწავლებელი
3. პაატაშვილი ვასილი
4. ტოროტაძე ერასტი – наборщик?
5. ჭანიშვილი პარმენ
6. ნუცუბიძე შალვა – პროფესორი
7. გედევანიშვილი ისიდორე

მემარჯვენეები:

1. ლასხიშვილი გიორგი – ცხოვრობს თბილისში
2. ფირცხალავა სამსონ – გადასახლებულია ციმბირში*
3. საყვარელიძე მიხეილ – მუშაობს მუზეუმში
4. პაპავა აკაკი – 21-ის ბოლოს წავიდა ევროპაში
5. დადიანი სამსონ – ცხოვრობს თბილისში, ადვოკატი
6. გველესიანი გრიგორი – ცხოვრობს თბილისში. მუშაობს ნარკომში
7. ბარათაშვილი იოსები – ცხოვრობს თბილისში, ადვოკატი
8. მდივანი სამსონ – საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-ბამდე ცოტა ხნით ადრე წავიდა ევროპაში
9. მდივანი ალექსანდრე – ცხოვრობს თბილისში, მუშაობს ნარკომში ტექნიკუმის გამგე

* ამ დროს ს. ფირცხალავა უკვე ემიგრაციაშია.

პატიმრის ჩვენებიდან:*

მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ, გასული წელს, მე ჩამოვცილდი პარტიას. სექტემბერში, როცა მე სურამში ვიყავი, გაჩხრიკეს ჩემი სახლი თბილისში. შინდაბრუნებული, თბილისში ვცხოვრობდი ლეგალურად. ვმუშაობდი ცეკავშირში. მე დამიჭირეს ქუჩაში და მიმიყვანეს მილიციაში, სადაც მელოდებოდა ჩეკისტი. მისამართის ჩაწერის შემდეგ გამათავისუფლეს. წავედი სოფელში. ამჟამად გადავწყვიტე, გამოვცხადდე და ვთქვა, რომ არ ვღებულობდი მონაწილეობას; გამოკვეთილად ჩემი პოლიტიკური „მე“ არ გამომიმჟღავნებია. ერთადერთი საკითხი, რაშიც მე არ ვეთანხმები საბჭოთა ხელისუფლებას, ესაა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შეზღუდვა. კითხვაზე ვპასუხობ, რომ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის გარდა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებობდა სოციალ-ფედერალისტთა ახალგაზრდული კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იყო ასათიანი. შემდეგში ის შეუერთდა მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებს და დღეს ირიცხება კომიტეტში.

დადგენილება:

1924 წლის 21 მაისს განვიხილე ბრალდებულ ქრისტეფორე ლუკას ძე რაჭველიშვილის საქმე, 32 წლის, ქართველი, გლეხი, სოფ. სხვავა, რაჭის მაზრა. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1913 წლიდან. მიეკუთვნება პარტიის მემარჯვენეთა ფრთას... მივიღეთ რა მხედველობაში ის, რომ მოქალაქე რაჭველიშვილმა ხელი მოაწერა სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან გასვლას, დავადგინე, მოქალაქე ქრისტეფორე ლუკას ძე რაჭველიშვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან. საქმე შეწყდეს და გადაეცეს არქივს.

ხელმოწერა გაურკვეველია
22.V.24.

* იბეჭდება კუპიურებით.

სშსს საარქივო მასალებში აღმოჩნდა ვ. კოტეტიშვილის მხოლოდ საბრალდებო დასკვნის ფურცელი, რომელშიც ნახსენებია ქ. რაჭველიშვილი.

ვახტანგ ილიას ძე კოტეტიშვილის საბრალდებო დასკვნა*.

მოისმინეს: ბრალდებულ ვახტანგ ილიას ძე კოტეტიშვილის შესახებ. მას მრავალთა შორის ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს: იყო კ/რევოლუციური-ნაციონალისტური მეომბოხეების მავნებლური ორგანიზაციის, ფედერალისტთა პარტიის წევრი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, საქართველოს გამოყოფას საბჭოთა კავშირიდან და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. 1930 წელს გადაბირებულ იქნა **ქრისტეფორე რაჭველიშვილის** მიერ, რომელიც იყო კონტრრევოლუციური ფედერალისტების მთავარი წევრი. როგორც ქრისტეფორე რაჭველიშვილის სასამართლოს სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან ჩანს, ვახტანგ კოტეტიშვილის იგი მოიხსენიებს ფედერალისტური პარტიის წევრად. გადმობირებაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

* საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის სხდომის ოქმი № 83, (1938 წ. 22.I).

ზოია ცხადაია

სამსონ ფირცხალავა

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი და გამომცემელი სამსონ გიორგის ძე ფირცხალავა (ფსევდონიმები: „სიტყვა“, „კალამი“, „სანვინი“, „S-n“, „S-son“, „იგივე“) დაიბადა 1872 წლის 26 მაისს* დ. ხონის სოფელ მათხოჯში. პირველადი განათლება მან ხონში მიიღო, 1889-1893 წლებში ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, 1893 წლიდან კი – პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. სწორედ იქ დაუახლოვდა იგი ივანე ჯავახიშვილს, ზურაბ ავალიშვილს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, არჩილ ჯორჯაძეს, გრიგოლ რცხილაძეს და სხვ. ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში 70-მდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა. ისინი ყოველწლიურად მართავდნენ საღამოებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ქართული კულტურის პოპულარიზაციას უწყობდა ხელს, მეორე მხრივ, შემოსავლით ღარიბ სტუდენტებს ეხმარებოდა. სათვისტომოს გამგეობას სამსონ ფირცხალავა მეთაურობდა. როგორც ცნობილია, ქართველმა

* საქართველოს ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის არქივში დაცულ ავტობიოგრაფიაში სამსონ ფირცხალავას დაბადების თარიღად აღნიშნულია 26 მაისი, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მიერ შედგენილ ანკეტაში – 3 იანვარი. ჟანდარმერიის თარიღი ნაკლებად სანდო უნდა იყოს, რადგან სშსს არქივში დაცულ სისხლის სამართლის საქმეებში, კერძოდ, პატიმრების ანკეტებში ხშირად განსხვავებული თარიღები გვხვდება.

სტუდენტებმა 1897 წელს საბერძნეთ-ოსმალეთის ომის გამო განიზრახეს, თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ბერძენი ხალხისათვის. მათ რჩევისთვის მიმართეს ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს და შესაბამისი წერილები „ივერიის“, „მოამბის“ და „კვალის“ რედაქციებში გაგზავნეს. წერილების ავტორი სამსონ ფირცხალავა იყო. საზოგადოებისთვის ისიცაა ცნობილი, რომ ქართველმა სტუდენტებმა ორი განსხვავებული პასუხი მიიღეს: ილია ახალგაზრდებს თავშეკავებას ურჩევდა: მართალია, იგი დიდ პატივს სცემდა ბერძენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და თანაუგრძნობდა მათ, მაგრამ სტუდენტების ამ ნაბიჯს, მისი აზრით, შესაძლოა, ზიანი მიეყენებინა საქართველოსთვის, რომელიც მათი ფიქრისა და ზრუნვის უმთავრესი საგანი უნდა ყოფილიყო. „გიორგი წერეთელი გვაფრთხილებდა, მაგრამ გვირჩევდა, მიჰყევით თქვენს ახალგაზრდულ მისწრაფებასო“, – იგონებდა სამსონ ფირცხალავა (ფირცხალავა 1920: 16). თუმცა ეს პასუხები ქართველმა სტუდენტებმა იმდენი ხნის დაგვიანებით მიიღეს, რომ დეპეშების გაგზავნას უკვე აზრი აღარ ჰქონდა (ფირცხალავა 1920: 15). წერილები სამსონ ფირცხალავას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაუცია, როცა ამ ორგანიზაციის მდივანი იყო. „ილია ჭავჭავაძე რომ გარდაიცვალა და მე წკ საზოგადოების დავალებით ჩავიბარე მისი თბილისის ბინის ნივთები, აღმოჩნდა ილიას გამოგზავნილი შავი და თეთრიც. ახლა საქართველოს მუზეუმში უნდა ინახებოდეს“, – წერდა იგი თავის მემუარებში (ფირცხალავა 1988: 27).*

ფირცხალავას საქმეში** დაპატიმრების დროს ჩამორთმეულ ნივთმტკიცებათა შორის აღმოჩნდა პეტრბურგის ქართველ სტუდენტთა მიმართვის ტექსტი პოლონელი სტუდენტებისადმი. ისინი თანაგრძნობას უცხადებდნენ თანატოლებს მათი ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფის გამო, როცა პოლონეთში ძეგლი დაუდგეს პოლონელი ერის უარმყოფელს, „მტარვალ

* წერილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ი. ჭავჭავაძის ფონდი, ხელ. №225 (იხ. ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. X. 1961. გვ.517).
** საქართველოს შსს არქივი. ფ. 6. საქმე № 13981, ყუთი 155.

მურავიოვს“. ამ ტექსტის ავტორიც სამსონ ფირცხალავა იყო, თარიღი – 1897 წლის დეკემბერი.*

პეტერბურგიდან დაბრუნებული სამსონ ფირცხალავა მუშაობდა ქუთაისის სახაზინო პალატაში, საკვირაო სკოლებში ასწავლიდა ქართულ ენას, წერდა რეცენზიებს ლადო მესხიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლებზე. მოგვიანებით სამუშაოდ გადავიდა ჭიათურაში, ქართველი მწარმოებლების კანტორაში. ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნდა ფირცხალავას წერილი მაღაროს მუშათა მძიმე მდგომარეობაზე, რის გამოც მას სამსახურის დატოვება მოუწია. ამის შემდგომ მან გადაინაცვლა თბილისში და „ივერიის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა (1901-1902): აქვეყნებდა ფელეტონებს, პუბლიცისტურ წერილებს ფსევდონიმებით: „კალამი“ და „სიტყვა“; 1902 წლის 25 მაისს აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად, ამავე წლის 17 ივნისს – გამგეობის მდივნად და ამ მოვალეობას იგი 1910 წლამდე ასრულებდა. დიდია მისი წვლილი ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობაში. სამსონ ფირცხალავამ შეადგინა და გამოსცა „XIX საუკუნის ქართველი პოეტების რჩეული ლექსები“ (1909), კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“ (გ. სალარიძესთან (ახალციხელი) ერთად, 1907), პიესად გადააკეთა ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, რომელიც სცენაზე 1907 წლის 12 ოქტომბერს დაიდგა.

სამსონ ფირცხალავა იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, მესამე დამფუძნებელი კრების (1900) მონაწილე. 1907-1909 წლებში საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ – მემარჯვენე ფედერალისტი.

1910 წელს სამსონ ფირცხალავა მეფის ხელისუფლებამ გადაასახლა ქ. ტვერში, საიდანაც 1913 წელს დაბრუნდა და კვლავ განაგრძო სარედაქციო საქმიანობა. იმავე წელს გამოსცა კრე-

* „ამ მოწოდების ტექსტი (ჩემი შედგენილი) აღმოჩნდა ჩემს საქაღალდეში“, – აღნიშნავდა სამსონ ფირცხალავა თავის მოგონებათა წიგნში (ფირცხალავა 1988: 27).

ბული „გვირგვინი“.* 1917-21 წლებში იგი ხელმძღვანელობდა გაზ. „სახალხო საქმეს“; 1917 წლის ნოემბერში მიწვეული იყო ეროვნული კრების წევრად საქართველოს სოც. ფედ. პარტიისაგან; 1919 წელს გახდა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

სამსონ ფირცხალავას, როგორც რედაქტორის, პროფესიონალიზმი სრულად წარმოჩნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას. 1915 წელს პოეტის დისწულის, ნიკოლოზ ერისთავის მიერ ჩაფიქრებული წიგნის გამოცემა მისი უეცარი გარდაცვალების გამო ერისთავის მეუღლემ იტვირთა. შეიქმნა სარედაქციო კომისია კ. აბაშიძის, ი. გრიშაშვილის, ი. გედევანიშვილის, გრ. დიასამიძის, გ. ვეზირიშვილის (პოეტის დისწული), გ. ლასხიშვილის, ს. ფირცხალავას შემადგენლობით. მართალია, „მსოფლიო ომმა და საერთო გართულებებმა“ (ს.ფ.) შეაფერხა წიგნის გამოცემა, მაგრამ 1922 წლისთვის ის შესაძლებელი გახდა.**

სამსონ ფირცხალავას უმთავრესი საზრუნავი და საფიქრალი ეროვნული თავისუფლება იყო. ამ საჭირბოროტო პრობლემას მიუძღვნა მან წიგნები: „სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი“ (1915), „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“ (1918). იგი სიხარულით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას. პუბლიცისტურ წერილებში აღნიშნავდა, რომ ქართველებმა ეროვნული თავისუფლების სახით უდიდესი განძი მოიპოვეს და მას გაფრთხილება სჭირდებოდა: მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა უფრო დიდი დანაშაული და შეცოდება იყო, ვიდრე თავისუფლების განუხორციელებლობა („ეხლა ჩვენი მოვალეობაა განვამტკიცოთ მოპოვებული თავისუფლება და დავიცვათ მთელი არსებით“. ფირცხალავა 1918:

* კრებულში შევიდა პ. ქავთარაძის მიერ თარგმნილი „ოიდიპოს მეფე“, ს. შანშიაშვილის „მეფე-მგოსანი“, გრ. რობაქიძის ესკიზები „შოთა რუსთაველი“, მიხ. წერეთლის გამოკვლევა, ს. ფირცხალავას დრამატული სურათები.

** გამოცემის რედაქტორი და ხელმძღვანელი – სამსონ ფირცხალავა. წიგნი მიეძღვნა გამოცემის ინიციატორის, ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის ხსოვნას. სამსონ ფირცხალავა რომ დაუპატიმრებიათ, იოსებ გრიშაშვილს ეტლში მჯდომი პატიმრისთვის ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სასიგნალო ეგზემპლარი მიუწოდებია (იხ. ფირცხალავა 1988: 5).

64). წერილებში „ბრძოლა სახელმწიფოსათვის“ და „იარაღი“ სამსონ ფირცხალავა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ “ჩვენი ხსნა, ჩვენი გამარჯვება ჩვენი ჯარია“ და მთავრობას შეიარაღებისკენ მოუწოდებდა. ამგვარი პუბლიკაციები გახდა მიზეზი 1922 წელს მისი დაპატიმრებისა. სასჯელს იხდიდა სსსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ციხეში. არქივში არ აღმოჩნდა მასალები სამსონ ფირცხალავას იმჟამინდელი დაპატიმრების შესახებ, თუმცა არსებობს ინფორმაცია, რომ ის მეტეხის ციხეში იჯდა. ქრისტეფორე რაჭველიშვილის დაკითხვის ოქმში (1922 წ.) ნათქვამია, რომ ს. ფირცხალავა გადაასახლეს, თუმცა თავად ფირცხალავა თავის ჩვენებაში აღნიშნავდა: „1922 წლის იანვარში თუ თებერვალში მე დაპატიმრებული ვიყავი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ, როგორც კონტრრევოლუციური პარტიის, სოციალ-ფედერალისტების ლიდერი და ჩამსვეს მეტეხის ციხეში... 1922 წლის ზაფხულში მე ავად გავხდი და ამიტომ გამათავისუფლეს პატიმრობიდან... 1922 წლის სექტემბერში მე წავედი ემიგრაციაში საზღვარგარეთ...“*

მართლაც, პატიმრობიდან გათავისუფლებული სამსონ ფირცხალავა 1922 წელს ემიგრაციაში წავიდა – ჯერ გერმანიაში, ბერლინში, ხოლო 1924 წელს – ნოე ჟორდანიას მიწვევით საფრანგეთში. სამშობლოში დაბრუნებამდე იგი პარიზის მახლობლად, სოფ. ლევილში ცხოვრობდა. სხვადასხვა დროს იყო გაზეთების „დამოუკიდებელი საქართველო“ და „საერთო საქმე“ რედკოლეგიის წევრი, აქვეყნებდა სტატიებს.**

ემიგრანტული ორგანიზაცია „საერთო ფრონტი“ წარმოადგენდა სოციალ-ფედერალისტების პარტიას; პარიზში სამსონ ფირცხალავამ შექმნა კიდევ ორი ორგანიზაცია: „კავკასიის კომიტეტი“ და „პრომეთეს მოძრაობა“, რომლებიც გაერთიანდა სრულიად კავკასიურ მოძრაობად; გამოსცა რამდენიმე ბროშურა*** (с клеветой на советскую власть, – როგორც ჩაწერენ შემდეგ

* სისხლის სამართლის საქმეთა საარქივო 1398-60; სამეთვალყურეო საქმე 4 ტომად, დაკითხვის ოქმი – 1952 წ., 30.I, გვ. 12.

** „შრომა და ცოდნა“ („დამოუკიდებელი საქართველო“ 12, 1926), „დიდი და პატარა ერები“ (“დამოუკიდებელი საქართველო“, № 14, 1926). ეს და სხვა ემიგრანტული გაზეთები აღმოჩნდა 1928 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის დაპატიმრებულ ჭიჭიკო-დავით გოგორიშვილის საქმეში. ფონდი: 6, საარქ. № 27248, ყუთი 42.

*** მაგ. „დიდი ამბების მოლოდინში“ გერმანია-რუსეთს შორის ომის გარდაუვალობის შესახებ.

ბრალდებაში): „ისტორიული ლანდები“, 1934 წ., „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში“, 1947 წ. ფირცხალავა შედიოდა ემიგრანტ მიხეილ კედიას მიერ პარიზში დაარსებულ „საქართველოს ყველა პარტიის ერთიანობის ორგანიზაციაში“. 1940 წლის 29 მაისს, გერმანიის მიერ პარიზის ოკუპაციის შემდეგ, მან მიიღო ოფიციალური ნებართვა, გადასულიყო ბორდოში... ეს და სხვა ბრალდებები გახდა საფუძველი იმისა, რომ 1948 წელს ემიგრაციიდან დაბრუნებული სამსონ ფირცხალავა 1951 წელს დააპატიმრეს.

როგორც სამსონ ფირცხალავას დაკითხვის ოქმიდან ჩანს*, ჟორდანიას, გეგეჭკორს, ქორქიას, კობახიძეს და სხვა ქართველ ემიგრანტებს პარიზში სისტემატურად უკავშირდებოდა ილია თავაძე და მოუწოდებდა მათ სსრკ-ში რეემიგრაციას, ლამაზ ფერებში უხატავდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, ქვეყნის წინსვლას და აძლევდა უსაფრთხოების გარანტიას (როგორც ჩანს, დაკითხვის ოქმის შედგენის დროს, 1952 წლის დასაწყისში, ილია თავაძე თავადაც დაპატიმრებული იყო და მასზე კომპრომატები სჭირდებოდათ)**. სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს ქართველი ემიგრანტების თამამი გადაწყვეტილება, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, რაც მათი დაპატიმრებით დასრულდა.*** სამსონ ფირცხალავამ პარიზი ქართველ ემიგრანტთა შორის ყველაზე ბოლომ დატოვა და თბილისში 1948 წლის 23 თებერვალს ჩამოვიდა. უბინაობის გამო, ერთხანს აკაკი მეუნარგიასთან ერთად სასტუმრო „თბილისში“ ცხოვრობდა****. დაპატიმრების დროისთ-

---

* 1952 წ., 3.II. გვ. 24.

** ილია თავაძე – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 30-იან წლებში საქართველოს სკკპ(ბ) პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე და მდივანი, 40-იანი წლების დასაწყისში – საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი-მინისტრი, 1946-48 წლებში საფრანგეთში სსრკ საელჩოს პირველი მდივანი, 1949-50 წწ. სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის განყოფილების გამგე.

*** № 4369 საქმეში (ცალკე კონვერტში გრიფით „საიდუმლო“) დევს დასაპატიმრებელ პირთა (სულ 56 კაცი) სია. მათ შორის 8 უკვე დაპატიმრებულია. ესენი არიან: მეუნარგია აკაკი ბენიამინის ძე, ციციშვილი სიმონ არჩილის ძე, ციციშვილი ელენე სიმონის ასული, გეგელია გიორგი დიმიტრის ძე, კობახიძე კონსტანტინე, ნიჟარაძე ნიკოლოზ ბარნაბას ძე, ნიჟარაძე აკაკი ნიკოლოზის ძე, თავაძე ილია (დანართი საქმისა № 4369, გვ. 22).

**** ამავე სასტუმროში გაჩერდა საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებული სიმონ ციციშვილი ქალიშვილთან და სიძესთან ერთად. მისი მეუღლე სასტიკი წინააღმდეგი

ვის ის უკვე ჯანაშიას ქ. 23-ში იყო გადასული. იმხანად იგი მუშაობდა საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ. 1948 წელს გამოსცა წიგნი „ქართველთა წინაპრები და მონათესავე ტომები წინა აზიაში“ – გაგრძელება 1947 წელს პარიზში გამოცემული ბროშურისა. მომზადებული ჰქონდა გამოსაცემად ქართული ხალხური ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო პუბლიკაცია ვერ განხორციელდა. სამსონ ფირცხალავას ხშირად იწვევდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებზე. 1950 წლის 6 ნოემბერს, ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე იგი მოგონებით გამოსულა.

სამსონ ფირცხალავა 1951 წელს დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერობა, ბერლინში და პარიზში ანტისაბჭოთა საქმიანობა, ომის წლებში გერმანელებთან კავშირი. სსრკ-ში დაბრუნების შემდეგ ანტისაბჭოთა საქმიანობის გაგრძელება*. 1951 წლის 31 იანვარს საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა კუციავამ** საქართველოს უშიშროების სამინისტროსგან სასწრაფოდ გამოითხოვა სამსონ ფირცხალავას მაკომპრომიტირებელი მასალები. მალევე მოსკოვიდან მიიღეს ამონაწერი ვახტანგ კოტეტიშვილის დაკითხვის ოქმიდან (იხ. ქვემოთ).

იყო რეემიგრირებისა, ქმარ-შვილსაც არწმუნებდა, დარჩენილიყვნენ პარიზში, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდა, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. სიმონ ციციშვილი, მისი ქალიშვილი და სიძე, ისევე როგორც სასტუმრო “თბილისში” მათი მეზობლები, აკაკი მეუნარგია და სამსონ ფირცხალავა, დააპატიმრეს.

* 1951 წლის 19 დეკემბერს სამსონ ფირცხალავას დაპატიმრების ბრძანებას ხელს აწერს საქ. სახ. უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი ვ. რუხაძე; მის ხელმოწერას ადასტურებს სახ. უშიშროების მინისტრის მოადგილე გ. შარაშენიძე; დაპატიმრების სანქცია გაცემულია უშიშროების სამხედრო პროკურორის, იუსტიციის პოდპოლკოვნიკის დ. ესაკიას მიერ (მუხლი: 58I„ა“; 58-10 I ნაწ. და 58-0II.), რაც ითვალისწინებდა უმაღლეს სასჯელს, 25 წლით თავისუფლების აღკვეთას. ოქმში წერია, რომ 24 დეკემბერს მას აუღეს თითის ანაბეჭდები, მის ბინაში კი ჩაატარეს ჩხრეკა.

** „1939-1952 წლებში შინსახკომის ციხეში თითქმის ყველას მიმართ იყენებდნენ რეპრესიებს. ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. რეპრესიებს მიმართავდნენ კუციავა, თავდიშვილი, მალილოვი, შავგულიძე, ყრუაშვილი, ბედიგოვი და სხვ. შინსახკომის შინაგანი ციხის სანიტარული ნაწილის 1937–1948 წლების არქივი განადგურებულია” (1939-1952 წლებში შინსახკომის შინაგანი ციხის უფროსის რაფიელ იაკობის ძე რაზმაძის ჩვენებიდან. კვერენჩხილაძე 2011: 567).

1952 წლის 5 ივლისს სამხედრო ტრიბუნალმა მას 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იმავე წლის 25 ივლისს მან ციხის საავადმყოფოს მიმართა თხოვნით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სტაციონარში გადაეყვანათ, არადა მის საქმეში დევს ექიმის დასკვნა, რომლის თანახმადაც, პატიმარი ფირცხალავა 15 ივლისიდან ვითომ უკვე იყო ჰოსპიტალიზირებული...

სამსონ ფირცხალავა გარდაიცვალა 26 ივლისს. მორიგე ექიმის, ვინმე დოჩანაშვილის დასკვნის თანახმად, „...დიზენტერიით „по поводу старческой дряхлости“. ბოლო დრომდე ყველა წყარო ირწმუნებოდა, რომ იგი გარდაიცვალა გზაში, გადასახლების ადგილზე გადაყვანისას. სინამდვილეში ის გარდაცვლილია ციხეში, საფიქრებელია, გულის უკმარისობით. ოფიციალურად სამსონ ფირცხალავა დღემდე არ არის რეაბილიტირებული, რომელიც დაგვიდასტურა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ: „რეაბილიტაციის მასალები სამსონ გიორგის ძე ფირცხალავას მიმართ არ არსებობს“, 20.05.2016, № თ-162.

დამოწმებანი:

კვერენჩხილაძე 2011: კვერენჩხილაძე რ. *საბუთები ღაღადებენ.* თბილისი: „უნივერსალი“, 2011.

ფირცხალავა 1918: ფირცხალავა, ს. *ეროვნება და ეროვნული თავისუფლება.* ტფილისი: მთავრობის სტამბა, 1918.

ფირცხალავა 1920: ფირცხალავა, ს. „ჩემი სტუდენტობის დროიდან“. *გაზ. „ქართველი სტუდენტი“*, № 1, 1920.

ფირცხალავა 1988: ფირცხალავა, ს. *მოგონებათა ფურცლები.* თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1988.

ნაწყვეტები სამსონ ფირცხალავას დაკითხვის ოქმებიდან:

დაკითხვის ოქმი: 1952 წ., 2.II. გვ. 16.

კითხვა: მოუყევით გამოძიებას ყველაფერი, რაც თქვენთვის ცნობილია აკაკი მეუნარგიაზე.

პასუხი: „...მეუნარგია გავიცანი 1922 წელს ციხეში, როცა მე დაპატიმრებული ვიყავი... სექტემბერში მე წავედი ემიგრაციაში და მეუნარგიას არ შევხვედრივარ. როდის და რა მდგომარეობის გამო წავიდა ის ემიგრაციაში, არ ვიცი. 1930 წლამდე იყო სოც, ფედერალისტთა პარტიაში. შემდეგ კი გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში", რომლის რედკოლეგიაში შევდიოდი მე, გამოაქვეყნა განცხადება სოციალ-ფედერალისტური პარტიიდან გასვლის შესახებ... იმის გამო, რომ მე ვცხოვრობდი სოფ. ლევილში, მეუნარგია კი პარიზში, იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს და მისი პარიზში მოღვაწეობის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი... იმ დღიდან, რაც მეუნარგია სოციალ-ფედერალისტური პარტიიდან გავიდა, მე მას არ შევხვედრივარ რეემიგრაციის მოსამზადებელ სამუშაომდე და მისი საქმიანობის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ მუშაობდა რომელიღაც ქარხანაში მუშად.

1946 წლიდან, როცა საფრანგეთში დაიწყო ქართველ ემიგრანტთა რეემიგრაციისათვის მოსამზადებელი სამუშაო, მე მას ხშირად ვხვდებოდი იმასთან დაკავშირებით, რომ ისიც იყო რეემიგრაციის მომხრე... 1946 წელს მეუნარგიამ და მისმა ბიძაშვილმა ემიგრანტმა კონსტანტინე კობახიძემ დაიწყეს გაზეთ „ქართული საქმის" გამოცემა, რომელშიც მოათავსეს სტატიები, რითაც აგიტაციას უწევდნენ სსრკ-ში დაბრუნებას. მე სულით და გულით მინდოდა რეემიგრაცია. თავაძის (ილია – ზ.ც.) დავალებით ვაწყობდი ქართველთა თავშეყრას და გამოვთქვამდით აზრს სამშობლოში დაბრუნებაზე. ამ შეკრებებს ხშირად ესწრებოდა მეუნარგია, რომელმაც მყარად გადაწყვიტა რეემიგრაცია სსრკ-ში. ამ მდგომარეობამ დამაკავშირა და უფრო ახლოს გამაცნო იგი მე.

კითხვა: რა იცით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეუნარგიას მტრული საქმიანობის შესახებ, რეემიგრაციამდე და შემდეგ?

პასუხი: გარდა იმისა, რომ მეუნარგია 1930 წლამდე ირიცხებოდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრად, სხვა მე მის მტრულ საქმიანობაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არაფერი ვიცი როგორც რეემიგრაციამდე, ასევე – შემდგომ... ჩემთვის აბსოლუტურად უცნობია ყველაფერი...

დაკითხვის ოქმი: 1952 წ., 2.II. გვ. 16.

„თავაძემ ამიხსნა, რომ საქართველო ძალიან სწრაფად იზრდებოდა, ვითარდებოდა მრეწველობა და მოსახლეობის კეთილდღეობა ყოველწლიურად იზრდებოდა. თავაძე მარწმუნებდა, რომ დავბრუნებულიყავი სსრკ-ში, მაგრამ მე იქ არ შემეძლო ამის გადაწყვეტა და ვუპასუხე, რომ ამაზე დავფიქრდებოდი... თავაძემ მე მითხრა, რომ სხვებისთვისაც გამეწია აგიტაცია... ყველა შეხვედრაზე ჩვენი საუბრის თემა იყო რეემიგრაცია... „...კრებაზე ყველა გამომსვლელი გამოთქვამდა აზრს საბჭოთა მთავრობასთან შერიგებისა და რეემიგრაციის მიზანშეწონილობაზე. ემიგრაციის წინააღმდეგ გამოვიდა კონსტანტინე გვარჯილაძე და თქვა, რომ ემიგრანტებს საქართველოში არ მისცემენ სამუშაოს, თავისუფლებას და რომ საბჭოთა საქართველოში მიღწევები მეცნიერების, კულტურის, მრეწველობის და სხვ. სფეროში კომუნისტების მიერაა დახატული გადაჭარბებულად“.

* * *

1951 წლის 31 იანვარს საგამოძიებლო განყოფილების უფროსი კუციავა საქართველოს უშიშროების სამინისტროსგან სასწრაფოდ ითხოვს მაკომპრომეტირებელ მასალებს ფირცხალავაზე. ამისათვის მოსკოვიდან გამოითხოვენ ამონაწერს ვახტანგ კოტეტიშვილის დაკითხვის ოქმიდან, რომელიც გადმოეგზავნა გამოძიებას.

ამონაწერი

ბრალდებულ ვახტანგ ილიას ძე კოტეტიშვილის დაკითხვის ოქმიდან; 1-2 დეკემბერი, 1937 წ.

კითხვა: გვიამბეთ, რა ხასიათისა იყო თქვენი კავშირები საზღვარგარეთთან, როგორ ახერხებდით და კონკრეტულად ვისთან გქონდათ კავშირი.

პასუხი: კავშირი გვქონდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენლებთან საზღვარგარეთ – სიმონ მდივანთან და სამსონ ფირცხალავასთან. პირველ ხანებში ამ კავშირებს ვახერხებდით საზღვარგარეთ მიმავალ სოციალ-ფედერალისტთა არალეგალური ორგანიზაციის წევრების მეშვეობით, რომლებსაც ჩამოჰქონდათ ინფორმაციები ს. მდივანისა და ს. ფირცხალავას შესახებ. საზღვარგარეთიდან მიღებული ინფორმაციები ეხებოდა საბჭოთა კავშირთან ცალკეული სახელმწიფოების დამოკიდებულების გამწვავებას, განსაკუთრებით ფაშისტურ გერმანიასთან. ამ გამწვავებებზე კონტრრევოლუციური კომიტეტი თავის ანგარიშებს აგებდა. საზღვარგარეთელი სოციალ-ფედერალისტები ს. მდივანი და ს. ფირცხალავა გვარწმუნებდნენ იმაში, რომ საქართველო მალე გათავისუფლდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან, გარდაუვალი ომის შედეგად, რომელსაც გამოუცხადებდნენ უცხოეთის სახელმწიფოები.

წავიკითხე პირადად. ჩაწერილია ჩემი სიტყვებით. სწორია – კოტეტიშვილი (გვარი ნაბეჭდია – ზ.ც.).

დაკითხა – მილიციის უფრ. ლეიტენანტმა გოცირიძემ.

მე-4 განყოფილების ოპერრწმუნებულმა, სერჟანტმა მოვსესიანმა.

ამონაწერის სისწორეს ადასტურებს: ხაშურის რაიონული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მაიორი ლაბაძე.

ზოია ცხადაია

შალვა ქართველიშვილი

ცნობილი იურისტი, საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი და მხატვარი შალვა ქართველიშვილი დაიბადა 1890 წელს თელავში „ყორჩიბაშვილ – რუსიშვილების უბანში, ღვთაების ეკლესიის გასწვრივ, დიდი აივნითა და თაღებით დამშვენებულ სახლში“*. ჩვილს დედის გვარი მისცეს, მამის სახელის ნაცვლად კი პაპის, გრიგოლის, სახელი ჩაუწერეს. „ამ საქმის სათავეში კი იდგა ვანო მაჩაბელი, ჩვენი სახელოვანი ქართველი მოღვაწე, შექსპირის ქართულ ენაზე ამმეტყველებელი... მან ახალგაზრდა მანდილოსანს ლიზა ქართველიშვილს გადაუშალა გული და ასე დაიბადა ვანოსა და ლიზას სიყვარულის ნაყოფი შალვა“.**

შალვას დედა, ლიზა, მასწავლებელი იყო. ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენის შემდეგ სკოლაში მუშაობა მისთვის შეუძლებელი გახდა, ამიტომ საბებიო – საფერშლო კურსები დაამთავრა და მუხლჩაუხრელად შრომობდა, რათა ერთადერთი შვილისთვის ცხოვრებისა და აღზრდის საუკეთესო პირობები შეექმნა. შალვა ქართველიშვილი იზრდებოდა ყოჩიბაშვილ-რუსიშვილების, ვახვახიშვილების, ახვლედიანების, ერისთავებისა და ცისკარიშვილების გარემოცვაში. ოჯახში შეისწავლა უცხო ენები, მუსიკა, მხატვრობა. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს,

---

* ჯავახიშვილი გიორგი. ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე. თბილისი, 2001, გვ. 70.

** ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს ზეინაბ ლომჯარიამ, შარლოტა კვანტალიანმა, ლია ანდღულაძემ.

შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1919 წელს დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნებულმა ნაფიც ვექილად დაიწყო მუშაობა და სახელი გაითქვა, როგორც გამორჩეულმა ადვოკატმა. ლიტერატურული მოღვაწეობა ადრეულ ასაკში პოეზიით დაიწყო. მისი პირველი დაბეჭდილი ლექსი უნდა იყოს „ილიას ხსოვნას“, რომელიც ჟურნალ „ნიშადურის“ 1907 წლის მე-11 ნომერში დაიბეჭდა:

„მოსწყდა მჭექი ხმა და მიეფარა
მძლავრი აჩრდილი ცისა წიაღში,
მთამ დაიკვნესა, ველმა დაჰგმინა.
დაჰღმუვლა ქარმა მოღრუბლულ მთაში.
აღელდა ველი. ჰკვნესის ტყე და მთა,
ელვა ელვასა ეჯახებოდა.
თითქოს სამშობლო ველ – მთიანათა
განგმირულ მგოსანს დაჰქვითინებდა“.

მოგვიანებით შალვა ქართველიშვილის ლექსები დასტამბა გაზეთმა „ივერიამ“ (1909 წ. № 13, 29 მარტი, გვ.3), „სალიტერატურო მხატვრულმა ალმანახმა“ (1909, 1 მარტი, № 8 გვ. 1-2), იუმორისტულ-პოლიტიკურმა ალმანახმა „ჩვენი გუშაგი “ (1909, № 1-2, გვ . 4); ჟურნალმა „ფასკუნჯმა“ (1909, № 9, გვ. 3) და საყმაწვილო ჟურნალმა „ნაკადულმა“.

შალვა ქართველიშვილი გამოირჩეოდა დიდი ერუდიციით, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, თარგმნიდა რუსულად ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, ეხმარებოდა ბალმონტს და პეტრენკოს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში (ანდღულაძე 2008: 271). მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა „ცისფერყანწელებთან“, განსაკუთრებით პაოლო იაშვილთან, რომელმაც მას ტრიოლეტი უძღვნა. სწორედ პაოლო იაშვილს გაუცვნია შალვასთვის მომავალი მეუღლე ელენე ბაქრაძე (კალმასობა 1997). „ივანე მაჩაბლის ქალიშვილმა, ქალბატონმა ელენემ, საარაკო დობა გაუწია ძმას – შალვას და შესაშური მულობა რძალს – ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილს“.* შალვა ქართველიშვილს უთარგმნია პუშკინის სამი დრამატული ნაწარმოები: „ბორის გოდუნოვი,“

* ზ. ლომჯარია, ელენე დარიანი, ლექსები, გამომცემლობა „კოლორ პრინტი“, თბილისი, 2000, გვ. 42.

შალვა ქართველიშვილი
და ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილი

„მოცარტი და სალიერი“ და „ქვის სტუმარი“, რომელთაგან ბოლო ორი დადგა კოტე მარჯანიშვილმა.

შალვა ქართველიშვილს ეკუთვნის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი იურისპრუდენციაში. თანამედროვეთა გადმოცემით, მას ჰქონდა საგულისხმო მასალები ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობისა და მამამისის, ივანე მაჩაბლის უგზო-უკლოდ დაკარგვის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ შალვა ქართველიშვილის დაპატიმრების შემდეგ (1937) ყველაფერი დაიკარგა...

სშსს არქივში საკმაოდ მწირი მასალა აღმოჩნდა შალვა ქართველიშვილის შესახებ, რომლითაც დადგინდა სიმართლე: იგი არ გარდაცვლილა ციხეში, როგორც აღნიშნავდნენ რევაზ კვერენჩხილაძე და გიორგი ჯავახიშვილი ... საქართველოს შინსახკომის სამეულმა 1937 წლის 4 ოქტომბერს მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა პირადი ქონების კონფისკაციით (ოქმი № 22, საქმე 9821); ბრალად წაუყენეს, რომ 1934 წელს საქართველოს კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური იატაკქვეშა ცენტრის აქტიური წევრების – დავით ონიაშვილისა და კირილე ნინიძის დავალებით შევიდა არალეგალურ მენშევიკურ ორგანიზაციაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ორგანიზაციის კონტრრევოლუციურ მუშაობაში; მიესაჯა დახვრეტა.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი მეორე დღესვე – 1937 წლის 5 ოქტომბერს (1924 წელს დახვრიტეს ვანო მაჩაბლის მეორე ვაჟი ნიკუშა მაჩაბელი).

დავით ქარცივაძე*

„ჩემი ბუნება, როგორც მწერლისა, უფრო დამშვიდებულ, ლამაზ ცხოვრებას ელტვის – სილამაზეში ჰპოვებს სულიერ სიმშვიდეს და, რა თქმა უნდა, ის, რაც არღვევს ამ სიმშვიდეს – ჩემთვის მიუღებელია“, – ასე გამოხატა ბოლშევიკურ რეჟიმს შეწირულმა მწერალმა დავით ქარცივაძემ თავისი ზნეობრივ-ესთეტიკური იდეალის რაობა ერთ-ერთი მორიგი დაკითხვისას.



ბოლშევიკურ რეჟიმს არ ეცალა სილამაზისთვის, მას „ჩექმა ერჩია შექსპირს“, ამიტომაც დევნიდა, სპობდა სილამაზის მსახურებს, ხელოვანთ, რადგან კარგად იცოდა, რომ ხელოვნება ათავისუფლებდა ადამიანებს, ის ვერ ეგუებოდა ძალდატანებით ზღუდეებსა და ჩარჩოებს.

დავით ქარცივაძე ერთი მრავალთაგანია და მისი „საქმე“ კარგად ირეკლავს მწერლის ბედს.

დავით ქარცივაძე (ფსევდონიმი: მეჩონგურე) 1881 წ. 13 მაისს დაიბადა ოზურგეთში. მიიღო სამხედრო განათლება. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც 1906 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1910 წლამდე კატორღაში იყო. 1917 წელს ისევ გადაასახლეს ციმბირში, თუმცა 1917 წ. ამნისტია შეეხო და ჩამოვიდა თბილისში. მუშაობდა სხვადასხვა სამსახურში, მათ შორის, სამოქალაქო-სამხედრო სამინისტროში, კულტურის სექციაში.

დავით ქარცივაძის ლექსები ხშირად იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებში. მას კარგად იცნობდა ქართველი მკითხველი, მოსწონდა მისი უბრალო, სადა, გულწრფელი ლექ-

* პატიმართა ფოტოები, რომლებიც საქმეებში არ არის დაცული, აქაც და ქვემოთ წარმოდგენილია ნეგატივების სახით.

სები, რომლებშიც პოეტი გამოხატავდა სამშობლოს სიყვარულს, წარსულის გმირების პატივისცემასა და თაყვანისცემას, თავისუფლებისკენ სწრაფვას. ის იყო **აკაკის** სკოლის პოეტი, შორს მდგომი პოეტური ექსპერიმენტებისა და ძიებებისაგან. მისი პოეზია, მართალია, არ გამოირჩევა სიახლეებით, მაგრამ აშკარად იგრძნობა პოეტური აღქმა სამყაროსი, ყოფისა და ნაგრძნობ-განცდილის სიტყვიერად გადმოცემის სურვილი.

დავით ქარცივაძე დააპატიმრეს 1922 წ. 26 მაისს ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციაზე. მას ბრალი დასდეს, რომ ციხეში ურთიერთობა ჰქონდა ისიდორე რამიშვილთან, დგებუაძესთან, კახიანთან – სახალხო გვარდიის შტაბის წევრებთან, რომ ოფიცრებთან ეწეოდა პროპაგანდისტულ საქმიანობას და ამზადებდა გათავისუფლების შემდეგ საქმიანობისთვის. მან რედაქტირება გაუკეთა ტექსტს, რომელშიც გამოხატული იყო მუშების პროტესტი მენშევიკთა გადასახლების გამო. ის აგიტაციას ეწეოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა საქმე კარგად მიდიოდა, რომ პოლონეთში ქართველი ოფიცრების ორგანიზაცია შეიქმნა. დავით ქარცივაძე დაადანაშაულეს ანტისაბჭოთა მოღვაწეობაში, ცნეს ხელისუფლების მტრად და ჩასვეს ციხეში. მიუხედავად არაერთი წერილისა და თხოვნისა, რომლებშიც ქარცივაძე ასაბუთებდა, რომ არ იყო მტერი, რომ დაავადებული იყო, რომ ერთადერთ მშობელ დედას პატრონობა სჭირდებოდა, ის მაინც არ გაათავისუფლეს. დავით ქარცივაძე გარდაიცვალა 1926 წელს.

მის გარდაცვალებას პარიზში გამოეხმაურნენ ქართველი ემიგრანტები. გაზეთმა „ბრძოლამ“ (ყოველთვიური ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროსი, პარიზი, 1926 წ. 14) გამოაქვეყნა ნეკროლოგი, რომელშიც ვკითხულობთ (სტილი დაცულია):

„**დავით ქარცივაძე** (დ. მეჩონგურე) დაიბადა 1881 წელს. მიიღო სამხედრო განათლება. როცა 1905 წლის რევოლუცია დაიწყო, ის სარიყამიშში ასრულებდა პორუჩიკის თანამდებობას. ამ დროს ის უკვე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. მან აიღო შვებულება და გამოემგზავრა საქართველოში. აქ ის აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. დეკემბრის

აჯანყების დროს ის ითვლებოდა სამხედრო ხელმძღვანელათ დასავლეთ საქართველოში. ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო. 1905 წ. ოფიცრობა მოძრაობას აშკარად მტრობდა და მეფის მთავრობას ეკედლებოდა. ამიტომაც იყო, როცა ხალხი დამარცხდა და ალიხანოვ-კრილოვებმა საქართველო აიკლეს, დათიკო შეიპყრეს და მოუნდომეს გაუსამართლებლად დახვრეტა. მხოლოდ გავლენიან პირთა ჩარევამ მეფის მოადგილის წინაშე იხსნა იმხანად ამ განსაცდელისაგან თავდადებული მებრძოლი. 1906 წ. ის გაასამართლეს და გადაუწყვიტეს კატორღა. 1917 წ. რევოლუციამ ის გაათავისუფლა ამ მძიმე სასჯელისაგან. მას შემდეგ ის დაუბრუნდა სამშობლოს და აქ ასრულებდა სხვადასხვა მოვალეობას ქართულ ლაშქარში.

დათიკოს ახალგაზრდა პოეტთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა. მისი ლექსები მეჩონგურის ფსევდონიმით ხშირად იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებში. არა ერთსა და ორ მებრძოლს განუცდია მისი კალმის ზეგავლენა, არა ერთი და ორი მებრძოლი შემატებია განმათავისუფლებელ მოძრაობას მისი ლექსების წყალობით.

როგორც თავის ნაწარმოებებში, ისე პრაქტიკულ მოღვაწეობაში დავით ქარცივაძე იყო შეურიგებელი დამცველი დემოკრატიისა და სოციალიზმისა. ასეთი დარჩა ის ოკუპაციის ხანაშიც. მას არ შეეძლო ფერისცვალება და ოკუპანტთა უღელს ქვეშ თბილ ადგილზე მოკალათება. და აი, დესპოტიურმა ხელისუფლებამაც შური იძია, ის დაატუსაღა და აგვისტოს აჯანყების დროს სხვა მძევლებთან ერთათ სიცოცხლეს გამოასალმა. მაგრამ სანამ იარსებებს ქართველი ერი, ის შარავანდედით შეამკობს ქვეყნის განთავისუფლებისთვის თავდადებულთ და მათ შორის დ. მეჩონგურის სახელიც უკვდავი დარჩება“.

ტექსტი ხელმოწერილია ინიციალებით: ნ. რ.*

* ფონდი 6, საარქივო № 27637, ტომი 2, ყუთი 92, ქურხული ე. ი.-ს საქმე.

დაკითხვის ოქმი

კითხვა: რაში მდგომარეობს თქვენი მოღვაწეობა ლიტერატურულ ასპარეზზე?

პასუხი: მე ვარ პოეტი, ვუმღერი პროლეტარიატის ბედნიერებასა და სიმწარეს. საგანგებო გამოცემებში ჩემი ნაწარმოებები არ იბეჭდებოდა. მე ვწერდი სოციალისტური მიმართულების ჟურნალებისთვის. სხვათა შორის, ქართულ ჟურნალში „ბრძოლა“ (გამოდიოდა ბაქოში 1913-1914 წლებში) ვბეჭდავდი ლექსებს ფსევდონიმით „მეჩონგურე“. აქ დავბეჭდე ლექსი „კაპიტალი“, რის გამოც ჟურნალი დახურეს.

ციმბირიდან მე ვწერდი ჟურნალებში: „ზვეზდასა“ და „ირკუტსკის ციმბირის ფიქრებში“ ფსევდონიმით „უმცროსი“ და „კალიუჩკა“.

1917-1921 წლებში თითქმის ყველა სოციალისტურ გამოცემაში ვბეჭდავდი იმავე ფსევდონიმებით. 1921 წლიდან ბეჭდვა შევწყვიტე ავადმყოფობისა და კიდევ იმის გამო, რომ ძველი ნაწერების გამოცემა გადავწყვიტე.

კითხვა: თქვენ რედაქტირება გაუკეთეთ მეტეხში საპროტესტო ტექსტს კონტრრევოლუციური ჟურნალისთვის, რომელიც იყო მიმართული 1922 წელს მენშევიკების გადასახლების წინააღმდეგ.

პასუხი: შეიძლება ასეც იყო, მაგრამ არ მახსოვს.

კითხვა: რას წერდით მენშევიკურ იატაკქვეშურ გაზეთში 1921 წლის მარტიდან?

პასუხი: არაფერს არ ვწერდი. იმაზე პასუხს არ ვაგებ, თუ ვინმე ჩემი ნებართვის გარეშე ჩემს ნაწარმოებებს ბეჭდავდა.

კითხვა: როცა მუშაობდით სამოქალაქო-სამხედრო სამინისტროში, კულტურის სექციაში, არ გევალებოდათ პოლიტიკური დავალებების შესრულება?

პასუხი: ჩემს საქმიანობაში არ შედიოდა რაიმე ამგვარი დავალება.

კითხვა: პოლკოვნიკ ტულოშვილს არ იცნობთ?

პასუხი: ის იყო შტაბ-ოფიცერი და მე მასთან საერთო არაფერი მქონდა.

კითხვა: ამ სამსახურში თქვენი საქმიანობა რას გულისხმობდა?

პასუხი: ხელმძღვანელი კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებისა იყო მოქალაქე ართმელაძე, რომელიც უძღვებოდა მთელ საქმიანობას. მე მხოლოდ ტექნიკურ დავალებას ვასრულებდი, გაზეთებს ვიწერდი, ფინანსურ ანგარიშგებას ვაწარმოებდი. ამას დაადასტურებს პალადი ბაქრაძე.

კითხვა: მეტეხის ციხეში თქვენ ეწეოდით აგიტაციას ოფიცრებს შორის?

პასუხი: პოლიტიკურ თემაზე არც კი დავლაპარაკებივარ. ამას კატეგორიულად ვაცხადებ.

დაკითხა: ტალინგმა (გვ. 56)

კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს

საქართველოს მწერალთა კავშირი
1923 წლის 21 მაისი, თბილისი (რუსულ ენაზე)

საქართველოს მწერალთა კავშირი გთხოვთ, გასცეთ განკარგულება, რომ რაც შეიძლება ჩქარა განიხილონ ჩვენი კავშირის წევრის, დავით ქარცივაძის (მეჩონგურე) საქმე და გაათავისუფლოთ, რადგან მის იმედზეა მისი მოხუცი დედა, რომელიც უკიდურესად გაჭირვებულ ყოფაშია.

საბჭოთა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

საქართველოს მწერალთა კავშირის, სრულიად რუსეთის თბილისის განყოფილების ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრის, პოლიტიკური პატიმრის, დავით ქარცივაძის

განცხადება (ნაბეჭდი, ქართულ ენაზე)

ა/წ 3 აგვისტოს გამომიცხადეს, რომ „გრუზჩეკის“ ა/წ. 26 ივლისი დადგენილებით გადასახლებული ვარ საქართველოდან გპუს განკარგულებაში 2 წლით.

როგორც მომაკვდავი ადამიანი, რომელიც სიკვდილის წინა წუთებში ყველაფერს გულახდილად ამბობს, მეც მინდა გულწრფელი ვიყო და მოგახსენოთ შემდეგი.

ჩემი „ზაკჩეკაში“ ყოფნისას (ა/წ. მარტიდან) არაერთხელ ვიყავი დაკითხული და არავითარი კონკრეტული ბრალდება ჩემ წინააღმდეგ არ წარმოუდგენიათ, გარდა სიტყვიერისა, თითქოს მე ვეწეოდი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პროპაგანდას. გასულ წელს მეტეხის ციხეში ჯდომის დროს, საიდანაც გათავისუფლებული ვიქენი ა/წ. 28 მარტიდან, გადამრიცხეს საბჭოთა საქართველოს „ჩეკას“ განკარგულებაში და არავის ერთხელაც არ დავუკითხივარ და არავითარი კონკრეტული ბრალდება არ წამოუყენებიათ, ისე მსჯიან.

დარწმუნებული ვარ რა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დგას სამართლიანობის პრინციპზე, ჩემ შესახებ ვიღაც გარეწარის ბოროტ, ყალბ ენას შეცდომაში შეჰყავს საბჭოთა ხელისუფლება, მე მაქვს ზნეობრივი უფლება, გთხოვოთ, რომ უტყუარი საბუთებით, ფაქტებით დამტკიცებულ იქნეს, მართლა ჩავიდინე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რაიმე დანაშაული. დაბეჯითებით ვაღიარებ, რომ არაფერი ამის მსგავსი. მაშ, რაშია საქმე?

ნუთუ დანაშაულად მეთვლება ის, რომ მე, ყოფილი ს. დემოკრატი, 1905 წლის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისთვის ჯალათმა მეფე ნიკოლოზმა ჩემი ცხოვრების საუკეთესო ხანა, 12 წელი კატორღა-ციმბირში მატარებინა.

მე ს. დემოკრატი ვიყავი უკანასკნელ ხანებში საქართველოს გასაბჭოებამდე, პარტიის პასიური უბრალო წევრი, უფრო ოპოზიციონერი, გასაბჭოების შემდეგ კი სრულიად უპარტიო და ყოველგვარ პარტიულ მუშაობას ჩამოშორებული.

იმ თავიდანვე ჩემი პირადი სამსახურით, ჯამაგირით ვირჩენდი თავს და ვარჩენდი მოხუც, ავადმყოფ დედას და სამსახური იყო ჩემი ქონება, სიმდიდრე. ვის შეშურდა ჩემი ან ჩემში რამე სამსახურეობრივი, ბინა და თავისუფლად ყოფნა? არ ვიცი. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ვმსახურობდი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, სასურსათო კომისარიატში. ბოლოს კოოპერატიულ ბანკში ბარონ ბიბინეიშვილის რეკომენდაციით

და თავდებობით. ან და ნუ თუ დანაშაულად უნდა ჩამეთვალოს, რომ პატარა ხანი შეძლებისდაგვარად ვიღებდი მონაწილეობას ყველა სოციალისტურ გამოცემაში დ. მეჩონგურის ფსევდონიმით 1898 წლიდან. ერთმა ლექსმა („კაპიტალი"), რომელიც მოთავსებული იყო ბოლშევიკურ ჟურნალ „ბაქოს წყაროში" – იმსხვერპლა ჟურნალიცა და რედაქტორიც ძველმა მეფის მთავრობამ. ამას დამიდასტურებენ ფ. მახარაძე და სანდრო ეული. ნუ თუ დანაშაულად უნდა ჩამეთვალოს, რომ მე „ყოფილი პოლიტიკურ კატორღელთა საზოგადოების" წევრი ვარ, რომლის საბჭოს შეუძლია დაადასტუროს ჩემი ლოიალობა? შეიძლება გაისარჯოთ და შეეკითხოთ ამას ლადო დუმბაძეს, ბარონ ბიბინეიშვილს, ალ. ერქომაიშვილს, არაქელა ოქუევს, სხვა პოლიტიკურად საიმედო პირებს.

მე ქრონიკულად დაავადებულს (ციმბირმა შემძინა იშიასი და ქარები), რომელსაც თბილი ადგილი, სპეციალური ექიმობა სჭირდება, მაგზავნიან ცივ სუსხიან მხარეში და თუ დავბრუნდი, მსგავსად ციმბირიდან დაბრუნებისა, ცოცხალ მამის მაგიერ მისი ცივი სამარე რომ დამხვდა. ეხლა მრავალტანჯული დედის სამარე ვიპოვო და უკანასკნელად ჩემი ხელით ვერ დავუხუჭო თვალები.

აწმყოში უვნებლობით და წარსულში ჩემი პატარა რევოლუციონური მუშაობით საბჭოთა ხელისუფლებისგან სხვანაირ მოპყრობას მოველოდი: უზრუნველ, წყნარად, დამშვიდებით ცხოვრებას ავადმყოფი, დაღლილი ადამიანი, კულტურული მუშაობის ნებას და არა დასჯა-წამებას-გადასახლებას – მთელი ჩემი არსება აღშფოთებულია ასეთი დაუმსახურებელი სასჯელით.

მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩემდამი ასეთ უნებლიე შეცდომას არ ჩაიდენს და თუ მე ვსტყუი, ვთვალთმაქცობ, თუ მართლა მე კონტრრევოლუციონერი ვარ, მავნებელი ვარ მუშა კლასის, პროლეტარიატის, საბჭოთა ხელისუფლებისთვის, რასაც უნდა ამტკიცებდეს უტყუარი საბუთები.

5 აგვისტო, 1923 წელი
13 გამასწორებელი სახლი, საავადმყოფო

გიორგი ცაგარელი

1926 წლის ნოემბერში დააპატიმრეს მწერალი (სცენარისტი) **გიორგი ცაგარელი,** ბრალად წაუყენეს 1913-1915 წლებში ოდესის ჟანდარმერიაში საიდუმლო აგენტად მუშაობა.* 1927 წლის 7 მარტს გპუ-ს კოლეგიის სხდომამ განიხილა მისი საქმე და 10 წელი მიუსაჯა გამასწორებელ სახლში, იმიტომ, რომ მეფის დროს პროვოკატორულ საქმიანობას ეწეოდა, იყო ჟანდარმერიის საიდუმლო აგენტი. საქმის განხილვიდან ჩანს, რომ მას შეუმსუბუქეს სასჯელი, რადგან დახვრეტის ნაცვლად 10 წელი მიუსაჯეს. კინომრეწველობამ განცხადებით მიმართა გპუ-ს, რომ ცაგარელს მისცემოდა მუშაობის უფლება, მაგრამ ეს თხოვნა არ დაკმაყოფილდა. 1928 წელს ცაგარელს სასჯელი გაუნახევრეს. 1929 წელს კიდევ შეუმცირეს სასჯელი 1/3 -ით.



1926 წლის 24 დეკემბერი
გპუ-ს თავმჯდომარეს, ამხ. ბერიას
ვარლამ დავითის ძე ძნელაძე,** ბოლშევიკური კომპარტიის
წევრი 1903 წლიდან

მინდა მოგმართოთ შემდეგი თხოვნით

1910 წელს 16 წლის გიორგი ცაგარელმა დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია ოქროს მედალზე და ჩამოვიდა ოდესაში უნივერ-

* ფონდი 6, საქმე №26225.
** ვარლამ დავითის ძე ძნელაძე – რევოლუციონერი, საქართველოს კომკავშირის ერთ–ერთი დამაარსებლის, ბორის ძნელაძის ძმა.

სიტეტში სასწავლებლად. ის თავიდანვე გამოირჩეოდა თავისი ჭკუითა და პატიოსნებით. პოლიტიკისაგან შორს იყო.

რევოლუციის შემდეგ მუშაობდა სამხატვრო დაწესებულებებში, წერდა და დგამდა პიესებს, მაგალითად, გვიდო დე ერენას რომანის „ქაი, რომელმაც მოიპოვა სიყვარული“ მიხედვით დადგა სპექტაკლი. ხელმძღვანელობდა თეატრისა და კინოს სამსახურებს, იყო ადმინისტრატორი რუსული დრამისა. მას ყოველთვის აინტერესებდა მხოლოდ ლიტერატურა და ლიტერატურული საქმიანობა, მუშაობდა სახელმწიფო კინომრეწველობაში, რეჟისურის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, დილიდან შუაღამემდე მუშაობდა. მალე დააწინაურეს. ბევრს შურდა მისი და ინტრიგებს უწყობდენენ.

ის, ამავე დროს, ბეჭდავდა ჟურნალებში: „ხელოვნება“, „საანახაობა“ – ქართულსა და რუსულ ენებზე. მის ნაწერებში ყველაზე გამორჩეულია „კაცი სარკიდან“, რომელმაც ქართველ ლიტერატორთა შორის დიდი გამოხმაურება გამოიწვია-იშვიათი იყო ასეთი ტალანტით დაწერილი.

ის არის უდანაშაულო მსხვერპლი. იმედია, მხედველობაში მიიღებთ მის ასაკს და დამსახურებას. ის არ არის გამოუსწორებელი მოწინააღმდეგე. იმედია, მისცემთ შესაძლებლობას თავისი უნარები მოახმაროს ქვეყანას და ახალგაზრდობის შეცდომები გამოისყიდოს.

დადგენილება (რუს. ენაზე, ნაბეჭდი).
1927 წლის 4 იანვარი

განიხილეს საქმე გიორგი ცაგარელისა, რომელიც დადანაშაულებულია, რომ იგი მუშაობდა ოდესის ჟანდარმერიაში საიდუმლო აგენტად.

1913 წელს გიორგი ცაგარელი, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი, ჟანდარმერიის მიერ დამუშავდა (ვერბოვკა), როგორც საიდუმლო აგენტი, მეტსახელით: „კავაჩენკო“.

1913-1915 წლებში მისი სამუშაო იყო თანამშრომლობა ოდესის ქართველ სტუდენტებთან და მათი დასმენა.

1917 წელს, როდესაც გამოქვეყნდა „ოდესის ცნობარ-ში“ პროვოკატორთა სია, მათ შორის იყო გიორგი ცაგარელი, რომელიც მუშაობდა ჟანდარმერიაში, ხელფასის სახით იღებდა თვეში 25-30 მანეთს, ხან აძლევდნენ მეტსაც, 50-60 მანეთს.

1915 წელს პოლკოვნიკმა ზავარზინმა მისცა რეკომენდაცია და ჩაირიცხა სერგიევსკის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში. დამთავრების შემდეგ გააგზავნეს არმიაში.

რადგან მოწმეები ჯერ კიდევ დასაკითხია, გაუგრძელდეს დაპატიმრების ვადა.

შალვა ჯანბერიძე

მწერალი **შალვა ივანეს ძე ჯანბერიძე** დაიბადა 1900 წელს ქ. ბათუმში, ვაჭრის ოჯახში. დაამთავრა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. გიმნაზიაში სწავლისას, 1922 წლის 11 თებერვალს, მერვე კლასის მოსწავლე სტუდენტთა და მოსწავლეთა ანტიბოლშევიკურ გამოსვლაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს. მას ბრალად კონტრრევოლუციური საქმიანობა წაუყენეს და სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს ქალაქიდან გაუსვლელობის პირობით. მოგვიანებით შ. ჯანბერიძემ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



1920 წელს შ. ჯანბერიძემ ბათუმში გამოსცა ლექსებისა და მოთხრობების კრებული „ჩქერები“, ერთი წლის შემდეგ დააარსა და რედაქტორობდა ჟურნალ „კანდელს“, რომლის მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოვიდა. შ. ჯანბერიძე იყო პასუხისმგებელი მდივანი გაზეთებისა: „მოჯამაგირის ხმა“, „მუშა“, ჟურნალისა – „ნიანგი“. საკუთარ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს ბეჭდავდა ფსევდონიმებით: „ჯანვერდი“, „ივანიკა“.

შ. ჯანბერიძეს ეკუთვნის აგრეთვე კრებული „პოეზია“ (1924) და წიგნებად დასტამბული ორი მოთხრობა: „ალექსა“ (1928) და „შაქრო“ (1930).*

შ. ჯანბერიძის სახელი არაერთხელ აქვს მოხსენიებული გალაკტიონ ტაბიძეს თავის დღიურებში. მისი გვარი გვხვდება იმ ცნობილი ქართველი მწერლების ჩამონათვალში (რიგით მეოთხეა ვრცელ ნუსხაში), „ვისაც შეუძლია გამოეხმაუროს წიგნს“ (საუბარია გალაკტიონის თხზულებათა 15-ტომეულის

* შალვა ჯანბერიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია მწირია. ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები მოცემულია რ. კვერენჩხილაძის წიგნში „წამების გზა“, წიგნი I, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ.: 487.

გამოცემაზე – დღიური 593-8-1925 წელი,); იგი დასახელებულია, აგრეთვე, „კავკასიის პოეტთა კავშირის“ 27-კაციან სიაში (დღიური 637-9 – 1930 წელი).*

ახალგაზრდა მწერალს არ დასცალდა საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლინება. იგი 1937 წლის რეპრესიებმა იმსხვერპლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ფონდი № 6, საარქივო № 22120, ყუთი № 24, გერსამია ს. ლ. და სხვ.

ანკეტა № 254

საქმე ეხება 1922 წლის 11 თებერვალს მოსწავლეთა გამოსვლას ბათუმში. ამ მოვლენის აღმნუსხველი საქმეები ერთ საქაღალდედაა შეკრული. დაკავებულები არიან მოსწავლეები და სტუდენტები, რომლებიც ანტიბოლშევიკურ გამოსვლაში არიან ეჭვმიტანილი. ისინი კონტრრევოლუციონერობაში არიან ბრალდებულნი.

ჩვენება (სტილი დაცულია):

„მე ვიმყოფებოდი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში 1918 წლიდან 1920 წლამდი. მე მსურდა შემესწავლა მარქსიზმი, ვინაიდან პატარაობიდანვე აზრდილი ვარ მუშებში. მაგრამ პარტიაში დამისვეს კითხვა, რომ მენშევიკურ პარტიაში უნდა გადაგწეროო, მე მას კი უარი უთხარი, რადგან მე ვიყავი სხიველი, ანუ ოპოზიციონერი მენშევიკურ პარტიისა, ბოლოს და ბოლოს დამტოვეს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში. შემდეგ მენშევიკებმა გამოცეს დეკრეტი, რომ, ვინც სხიველები

* 1937 წელს გალაკტიონს ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ლექსები ჩემს შესახებ: შიო მღვიმელი, გიორგი ქუჩიშვილი, ლიდია მეგრელიძე, დარიკო ახვლედიანი, კალე ბობოხიძე, შალვა ჯანბერიძე“ (დღიური 110-1937 წელი). http://www.galaktion.ge/?page=Diaries&year=-1&p=0&id=4876

იყვენ, ან უნდა გამენშევიკებულიყვნენ და ან უნდა გასულიყვნენ პარტიიდან, მე მენშევიკობაზე უარი უთხარი, და ამ სიტყვებს შემდეგ გამომაგდეს პარტიიდან. მას შემდგომ შეწყდა ჩემი კავშირი პარტიულად მათთან. ამ ხანებში მე სულ სასწავლებელში ვსწავლობდი და ვსწავლობ ეხლაც. დამყარდა თუ არა საქართველოში საბჭოთა ძალა უფლება, მე ვითხოვე ადგილი გაზეთ *„კავკასიის კომუნაში“ თანამშრომლობისა (ეს იყო ზაფხულზე 1921 წ.).* ეს თხოვნა შესრულებულ იქნა და დავიწყე გაზეთზე მუშაობა, ვწერდი ლექსებს, წერილებს, რომლის ერთ-ერთი ნომერი (1 მაისი) თქვენ გაქვთ თან საქმეში (S)-ს ფსევდონიმით ნახსენები. წინად მენშევიკურ მთავრობის წყალობით ხმები იყო გავრცელებული, რომ კომუნისტები აოხრებენ ყველაფერსო, მაგრამ ამან არ გაამართლა, ასე რომ მე უკვე დამებადა სიმპატია კომუნისტებისადმი, როგორც ჭეშმარიტი დამცველი მუშათა კლასის ინტერესებისა. ამის შემდეგ უკვე ზიზღით მიყურებდა ამხანაგები და მეუბნებოდნენ, რატომ გაკომუნისტდიო. მე უპასუხებდი, რომ თანაგრძნობით კი უყურებ და გაკომუნისტება მე ჯერ არ შემიძლია, რადგან საქმეს კარგად არ ვიცნობთქვა, ასე რომ ჩამშორდა ამხანაგები და ეჭვის თვალით მიყურებდენ, როგორც მათთვის არა საიმედო პიროვნება, მაგრამ მე ამის არ მცხვენოდა ვინაიდან აღფრთოვანებით შევეგები მე კომუნისტებს, სწავლა განათლებისა და ხელოვნების სფეროში. ახლა რო 11 თებერვალ დილის 5 საათზე 1922 წელს მე დამიჭერენ, მიზეზი ამისი არ ვიცი, რაც შეეხება მოწაფეების იმ დღეს გამოსვლის შესახებ, ამისი მე მოუნელებელი წინააღმდეგი ვარ, რადგან მოწაფეები სწავლა განათლების დარგში უკეთ უნდა გრძნობდენ თავს, ვიდრე წინეთ და საბრძოლველი რა დარჩენიათ ვერ გამიგია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რა იყო ამისი გამომწვევი მიზეზი მე არ ვიცი, ვინაიდან მე მაშინ უკვე დაჭერილი ვიყავი. რაც შეეხება პედაგოგიურ პერსონალს ჩვენს გიმნაზიაში, საერთოდ უნდა ითქვას, რომ შემადგენლობა თითქმის *სოციალისტ ფედერალისტებია*, რაც მე პირადად სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო. მე კი მათთან არავითარი კავშირი არ მქონია და ვებრძოდი პირიქით, თუ რაიმეს კი შევამჩნევდი ასეთს. მაგალითად **ლ. ქორქაშვილი** გვასწავლის პოლიტიკურ ეკონომიას,

მან დაიწყო **შარლ ჟიდიდან,** მე ვეუბნებოდი, რომ ეს იდეალური შეხედულებაა და ჯობია რომ *ბოგდანოვის ან ჟელეზნოვის სახელმძღვანელო ვიქონიოთთქვა* (ყველა ეს ხაზგასმა დედანში წითლადაა მონიშნული – მ.შ.) მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც სასწორი **შარლ ჟიდისკენ** გადაიხარა. მაგრამ მე ეს კი შემიძლია ვთქვა, რომ მაგენი მუშათა კლასის დამცველი არ ყოფილან და არც იქნებიან, ვინაიდან მაგენი უფრო სხვებზე ოცნებობენ, ჩემი შეხედულებით. რაც შეეხება **ჟღენტს, ფირცხალაიშვილს და ხოპერიას, მახარაძეს,** ესენი, როგორც შემდეგ დაჭირულ ამხანაგებმა თქვეს კამერაში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენო, და **ჟღენტზე** კი მე უფრო ვეჭვობ, რომ რაიმე მახინაციისათვის არ იყოს აქ ჩამოსული.

ხელს ვაწერ მე, შალვა ჯანბერიძე
1922წ., 8/III”

დადგენილება

31 მარტის დადგენილებით, შალვა ჯანბერიძეს პატიმრობა მიუსაჯეს, სამთვიანი იზოლაციით, გამოსასწორებელ კოლონიაში (ИсправДом). თუმცა, მალე სხვებთან ერთად გათავისუფლდა ბათუმიდან გაუსვლელობის პირობით.

ზოია ცხადაია

სამსონ ჭანბა

აფხაზური ლიტერატურის დამწყებად აღიარებული პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი **სამსონ იაკობის ძე ჭანბა** დაიბადა 1886 წლის 18 ივნისს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ათარაში. დაწყებითი განათლება დრანდის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში მიიღო. სწავლობდა აგრეთვე სოხუმის მთიელთა სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. 1914 წელს ხონის სამასწავლებლო სემინარიის დასრულების შემდეგ მუშაობდა კვიტოულისა და აძიუბჟას სკოლებში, 1916 წლიდან კი სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში ასწავლიდა აფხაზურ ენასა და გეოგრაფიას. აფხაზეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის განხეთქილებამდე იყო მისი წევრი, 1921 წლიდან – სკკპ წევრი.



აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამსონ ჭანბა სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 20-30-იან წლებში რედაქტორობდა აფხაზურ გაზეთ „აფსნი ყაფშს“; 1921-26 წლებში იყო აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი, 1922-30 წლებში – აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე; 1932 წელს დაინიშნა აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტის დირექტორად. 1939 წელს მისი თაოსნო-

ბით ჩამოყალიბდა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი. 1934-1937 წლებში იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

სამსონ ჭანბა დიმიტრი გულიას ერთგული თანამოაზრე იყო და მასთან ერთად მონაწილეობდა ახალი აფხაზური დამწერლობის შემუშავებაში, თავისი წვლილი შეჰქონდა აფხაზური ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

სამსონ ჭანბას პირველი ნაწარმოები დაიბეჭდა 1918 წელს გაზეთ „აფსნში“ („აფხაზეთი“). ამავე გაზეთში 1919 წელს გამოქვეყნდა რომანტიკული პოემა „მთის ქალწული“; ამას მოჰყვა დრამატული თხზულებანი: „მაჰაჯირი“, „აფსნი ჰანუმი“, „ქერაზი“; მოთხრობა „სეიდიყი“ და ნოველები: „ტანჯვის სიმღერა“, „ოი, ალაჰ, ალაჰ“, „ბერმუხა“, „პაპისეული კერიის ქვა“ და სხვ.

სამსონ ჭანბას სახელი უკავშირდება სოხუმის თეატრის ისტორიასაც. 1928 წელს ამ თეატრში აფხაზური სექტორი გაიხსნა, 1929 წელს კი აფხაზური დრამატული სტუდია ჩამოყალიბდა. აფხაზეთის თეატრი ოფიციალურად გაიხსნა 1930 წლის 9 დეკემბერს სანდრო შანშიაშვილის პიესით „ანზორი“. მომდევნო სპექტაკლები, რომლებიც თბილად მიიღო მაყურებელმა, იყო სამსონ ჭანბას „მაჰაჯირები“ და დიმიტრი გულიას „უცხო ცის ქვეშ“. ორივე მწერალი ამ პიესებით აფხაზეთიდან განდევნილი თანამემამულეების ტრაგედიას ეხმაურებოდა.

სამსონ ჭანბას ინტერესი ამ ეროვნული ტრაგედიის მიმართ დრამატული თხზულებებით არ ამოწურულა. მწერლის ერთ-ერთი გამორჩეული მოთხრობაა „ტანჯვის სიმღერა“, რომელიც შთაგონებული იყო მუჰაჯირების თემაზე შექმნილი ფოლკლორული ტექსტებით („ტანჯვის სიმღერები“). მან, როგორც მწერალმა და მოქალაქემ, თუნდაც ამ მოთხრობით დაადასტურა თავისი უსაზღვრო სიყვარული აფხაზი ხალხისადმი. შალვა ინალ-იფამ სამსონ ჭანბას შემოქმედებას აფხაზური მხატვრული ლიტერატურის განვითარებისთვის გადადგმული დიდი ნაბიჯი უწოდა.

სამსონ ჭანბას რომანმა „სეიდიყი“ სათავე დაუდო რომანის ჟანრს აფხაზურ ლიტერატურაში. კონსტანტინე გამსახურდიამ,

რომელსაც განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა ამ პატარა ერთან, ასე შეაფასა სამსონ ჭანბას წვლილი აფხაზური მწერლობისა და, ზოგადად, აფხაზური კულტურის განვითარებაში: „ვუერთებ ჩემს ხმას დიდი აფხაზი მწერლის, საზოგადო მოღვაწის და მგზნებარე პატრიოტის სამსონ ჭანბას საიუბილეო ზეიმს. ვიგონებ ნათელ სახეს, პატივს ვცემ მის ხსოვნას“ (გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, II. 1967).

სამსონ ჭანბა 1937 წლის ნოემბერში დააპატიმრეს, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი, ხალხის მტერი, ტროცკისტი. 1937 წლის 26 ნოემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის კრებამ იგი თავისი რიგებიდან გარიცხა. გარიცხულთა შორის იყვნენ, ასევე, ვ. კოტეტიშვილი, ჩ. ბეჯიზოვი, ვ. ლუარსამიძე, დია ჩიანელი*. იმავე წლის 26 დეკემბერს სამსონ ჭანბა გაასამართლეს და მიუსაჯეს დახვრეტა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1938 წლის 2 იანვარს.

ამონაწერი სამსონ ჭანბას საბრალდებო დასკვნიდან: ოქმი № 74 (1937 წ. 26.XII)

საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის სხდომისა

საქმე № 292147:

ბრალდებული ჭანბა სამსონ იაკობის ძე, დაბ. 1886 წ. ოჩამჩირის რაიონის სოფ. ათარაში, მცხოვრები ქ. სოხუმში, აფხაზი, საშ. გლეხთა ფენიდან, პროფესიით პედაგოგი, განათლება საშუალო, ბოლო სამუშაო ადგილი – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი, ცოლიანი, კომპარტიის ყოფილი წევრი (1921-1937 წ.წ.). გარიცხულია დაპატიმრებასთან დაკავშირებით. სსრკ მოქალაქე.

ბრალი ედება იმაში, რომ 1936 წელს შევიდა ბურჟუაზიულ-კ/რევოლუციურ-ნაციონალისტურ პარტიის ორგანიზაციაში (ხელმძღვანელი აგრბა), რომელსაც მიზნად ჰქონდა

* იხ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, № 228, 1937 წ.

საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობის აღდგენა. იზიარებდა რა კ/რ ტროცკისტულ პლატფორმას, 1927 წ. შევიდა კ/რ ტროცკისტულ დაჯგუფებაში, ესწრებოდა კ/რ არალეგალურ კრებას, რომელიც ეწეოდა კ/რ ტროცკისტულ მუშაობას კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის საწინააღმდეგოდ.

მომხსენებელი: კარვანოპულო.

დაადგინეს: ჭანბა სამსონ იაკობის ძეს მიესაჯოს დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით

სამეულის თავმჯდომარე: სერგო გოგლიძე
წევრები: ილარიონ ტალახაძე, შალვა წერეთელი
მდივანი: მოროზოვი.

მანანა კვატაია

მემედ აბაშიძე

1905 წლის 12 ივნისს „ივერიაში“ დაიბეჭდა მემედ აბაშიძის სიტყვა, რომელშიც მისი ცხოვრებისეული კრედოა გახსნილი: „ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ!“ ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი და პატრიოტი დაიბადა 1873 წელს ბათუმში ბათუმლაზისტანის უკანასკნელი სანჯაყ-ბეგის, იუსუფ აბაშიძის ოჯახში. მას შინაური განათლება მამის, იბრაიმის ხელმძღვანელობით მიუღია, შეუსწავლია არაბული, თურქული და სპარსული ენები და ლიტერატურა. 1881 წელს ბათუმში ილია ჭავჭავაძის მიერ გახსნილი ქართული სკოლის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე მემედ აბაშიძე ყოფილა.

მ. აბაშიძე მაღალი ინტელექტით გამოირჩეოდა: დავით კასრაძის თქმით, იგი იყო „უდიდესი მცოდნე აღმოსავლური ლიტერატურის, თეატრის, პიესებისა და სხვა საქმეების ხელოვნებათმცოდნე, შარიათისა და ყურანის გვერდით პატივს სცემდა

მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურას, გატაცებით საუბრობდა ომარ ხაიამზე, ზეპირად იცოდა დიდბუნებოვანი პოეტური სენტენციები. თაყვანს სცემდა მისი ფილოსოფიის გენიას და წარმატებით თარგმნიდა კიდეც. ზედმიწევნით იცოდა შექსპირი, მემედი ბრწყინვალე პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული, მაგრამ მას, მუდმივად დევნილს, არ ეცალა საკუთარი შემოქმედებისათვის“ (კომახიძე 1994:21).

„ჩემი მუშაობის უმთავრესი დარგი იყო სალიტერატურო საქმიანობა“, – წერდა მემედ აბაშიძე 1931 წლით დათარიღებულ საკუთარ „ავტობიოგრაფიაში“ და ჩამოთვლიდა მის მიერ გადმოქართულებულ თხზულებებს. იქვე ის დასძენდა: „ვთარგმნი უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ თურქულ ენაზე“.* ეს თარგმანი, გურამ შარაძის ინფორმაციით, 1937 წელს, ბათუმში მემედ ბეგისა და მისი ოჯახის წევრების დაპატიმრების დროს დაიკარგა. გ. შარაძეს მოჰყავს ასევე ს. გერსამიას ცნობა, რომლის თანახმად, მ. აბაშიძეს თურქულად უთარგმნია გრიგოლ რობაქიძის პიესა „ლამარა“. პუბლიცისტური თხზულებები კი, რომლებშიც მრავალი საჭირბოროტო პრობლემაა წამოჭრილი, ავტორს გამოუქვეყნებია ფსევდონიმებით: „ვინმე ქართველი მაჰმადიანი“, „გურჯიოღლი“, „მემედი“ და სხვ. 1919-1921 წლებში მემედ აბაშიძე გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ რედაქტორი იყო (აბაშიძე 1998: 48-49).

„ავტობიოგრაფიის“ მიხედვით, მემედ აბაშიძე არჩილ ჯორჯაძის მიერ დაარსებულ სოციალისტურ-ფედერალისტურ პარტიას დაახლოებია და მისი აქტიური წევრი გამხდარა. „შემდეგ კი, – წერს იგი, – ჩემი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო სამუსლიმანო საქართველოში, აღარ მქონდა საშუალება, ვიწროდ მოვთავსებულიყავი ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამის ჩარჩოებში და დავრჩი ყოველგვარი პარტიის გარეშე. სამუსლიმანო საქართველოს ხელმძღვანელობა ბედმა მე მარგუნა წილად და ხალხიც ყოველთვის დიდი ნდობითა და პატივისცემით მეპყრობოდა“ (აბაშიძე 1998: 371-372).

* „ვეფხისტყაოსანი“ თურქულ ენაზე მ. აბაშიძემ აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის დაკვეთით თარგმნა.

ამ განსაკუთრებული მისიის გამო „მემედის ბედი ბევრჯერ ეკიდა ბეწვზე, მას არამარტო ოსმალო ფაშები სდევნიდნენ და აპატიმრებდნენ, ცარიზმის აგენტებიც უნდობლობას უცხადებდნენ“ (კომახიძე 1994: 84). მემედ აბაშიძე აჭარის უპირობო პოლიტიკური ლიდერი იყო. ხელისუფლება მის გადაბირებას ცდილობდა, მაგრამ ყველა მცდელობა კრახით რომ დასრულდა, მას დევნა დაუწყეს.

მემედ აბაშიძე იხსენებს, რომ მას ჯერ კიდევ 1899 წელს პირველი შეტაკება მოუხდა ბათუმის ოლქის უფროს სლავოჩინსკისთან. 1904-1905 წლებში მას ხელისუფალნი კვლავ საშიშ ელემენტად თვლიდნენ. ცნობილია, რომ მებრძოლი სულის, უკომპრომისო მ. აბაშიძე რვაჯერ დაუპატიმრებიათ.

1908 წელს ბათუმში მოსული ბრძანების თანახმად, ის და მთელი მისი საგვარეულო რუსეთის შორეულ გუბერნიაში უნდა გადაესახლებინათ. ეს ინფორმაცია მემედისათვის საიდუმლოდ უცნობებიათ და იგი ნათესავებთან – ზია, რიზა და ფეზლი აბაშიძეებთან ერთად თურქეთში გაქცეულა, მაგრამ თურქეთის მთავრობას ყველა მათგანი დაუპატიმრებია და ხოფას ციხეში გამოუკეტავს. აქედან მ. აბაშიძე ათენის ციხეში, შემდეგ – რიზეს, ბოლოს ტრაპიზონის ციხეში გადაიყვანეს, სადაც მას ერთი წელი დაუყვია.

ციხიდან გამოსული მემედ აბაშიძე ოჯახთან ერთად თურქეთში ემიგრანტად დარჩა. მან აქ ორი ვაჟიშვილი დაკარგა და, მესამეც რომ ავად გაუხდა, საქართველოში ვიზის გარეშე დაბრუნდა.

1913 წელს, თურქეთიდან ჩამოსვლისთანავე, მემედ აბაშიძე ბათუმში ჟანდარმერიას დაუკავებია. ის ჯერ ბათუმის ციხეში მოუთავსებიათ, შემდეგ ნოვოჩერკასკში გადაუსახლებიათ, სადაც 6-7 თვე დაუყვია. აქედან მ. აბაშიძე თბილისს გამგზავრებულა. აქ იგი კვლავ დაუპატიმრებიათ, თუმცა 2-3 თვის შემდეგ ისევ გაუთავისუფლებიათ.

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, მემედ აბაშიძე კვლავ მეტეხის ციხეში გამოკეტეს, ამავე დროს, მთელი მისი ოჯახი კიევში გაასახლეს, თუმცა ახლობლების დახმარებით მათ ეს სასჯელი ასცდათ. მეტეხის ციხეში მ. აბაშიძე ერთ

წელზე მეტხანს იმყოფებოდა. მეგობრები მას ციხიდან თავის დაღწევაში დაეხმარნენ. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მემედ აბაშიძემ ბათუმში თავისუფალი ცხოვრების ნებართვა მიიღო. ამავე წელს ის თანამზრახველებთან ერთად სევასტოპოლის საზღვაო კონტრდაზვერვას დაუპატიმრებია და ბათუმის ციხეში მოუთავსებია, საიდანაც ერთი თვის შემდეგ გაუთავისუფლებიათ.

1918 წელს მემედ აბაშიძე თურქეთის მთავრობამ დაატუსაღა და ტრაპიზონის ციხეში გადაიყვანა, საიდანაც ის რამდენიმე თვეში გაიქცა. 1921 წელს მემედი კვლავ დაიჭირეს და თბილისში გადმოაგზავნეს. 1923 წელს იგი ისევ დაატუსაღეს და ოთხი წლით საქართველოდან გაასახლეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება უცნობი მასალები, რომლებიც მემედ აბაშიძის 1918 და 1923 წლების პატიმრობის ფაქტებს ასახავს*.

ილია ებრალიძის საქმეში *(ფონდი 6, საარქივო № 26194, ტ.1, ყუთი 25*) აღმოჩნდა მემედ აბაშიძის, როგორც მოწმის, ჩვენება (ხელნაწერი, ავტოგრაფი, ხელმოწერა: მემედ აბაშიძე. 1926 წლის 26 აპრილი), სადაც მითითებულია: "1918 წ., როდესაც ბათუმი აიღეს ოსმალებმა, მე ვიქენი დაპატიმრებული და გაგზავნილი ოსმალეთში და მოთავსებული ტრაპიზონის საპატიმროში, სადაც ვიმყოფებოდი დაახლოვებით ორი თვის განმავლობაში, რის შემდეგ გავიქეცი და მოვბრუნდი საქართველოში. იმ დროს ბათუმი თურქებს ეჭირათ. ვინაიდან საქართველოს მთავრობას სურდა, კვლავ შემოერთებინა სამუსლიმანო საქართველო, ამ მიზნით ჩემს დაბრუნებამდის დაუარსებიათ ეგრეთ წოდებული "სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი". ამ კომიტეტში შედიოდნენ: ზია ბეგ აბაშიძე (ამჟამად გადასახლებულია ქ. როსტოვში) – თავმჯდომარე; სულეიმან ეფენდი დიასამიძე – მდივანი, ნოღაიდელი, თხილაიშვილი და სხვები. ჩემი დაბრუნებისას თავმჯდომარედ ხსენებული კომიტეტისა არჩეული ვიქმენი მე და კომიტეტს პოლიტიკური მოსაზრებით ასეთი სახელწოდება მივეცი: „სამუსლიმანო საქართველოს გან-

* სრულად იხ. მ. კვატაია. მემედ აბაშიძის ცხოვრებიდან. – ჟ. „ჭოროხი", ბათუმი, 2014, № 6, გვ. 48-63.

მათავისუფლებელი კომიტეტი“. თავის მუშაობას ეს კომიტეტი აწარმოებდა ბათუმის ოლქში, ახალციხეშიც. საჭირო თანხებს მის შესანახად იღებდა გარეშე საქმეთა სამინისტრო. „კომიტეტს ყავდა თავისი ხალხი, რომელსაც აგზავნიდა სააგიტაციოდ აჭარაში. სამხედრო სამინისტროში დავდიოდით ასლანის (მემედ აბაშიძის ძმის – მ.კ.) საქმის გამო. მოგეხსენებათ, ასლანი ბათალიონის უფროსად იყო. ეს ბათალიონი შესდგებოდა როგორც ქართველი მაჰმადიანების, ისე ქრისტიანი ქართველებისაგან. საჭირო დროს ეს ბათალიონი უნდა შესულიყო ბათუმში.* ამიტომ მე ასლანს ვუწევდი ხელმძღვანელობას და საჭირო სურსათ-სანოვაგეს, იარაღს და სხვა საჭირო სამხედრო ამისთანაებს გამოვატანინებდი სამინისტროდან”.

ილია ებრალიძის საქმეში დაცულია დადგენილება (რუსულ ენაზე, 1926 წლის მაისი), სადაც მითითებულია: „ამ დროს (1918 წელს – მ.კ.) ყალიბდება განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონი, რომელსაც ასლან-ბეკ აბაშიძე მეთაურობდა. ბატალიონი იმყოფებოდა ე.წ. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის” განკარგულებაში, რომლის თავმჯდომარე თავდაპირველად ზია-ბეკ აბაშიძე იყო, ბოლოს მემედ-ბეკ აბაშიძე. კომიტეტის დანიშნულება იყო: 1) მოესყიდა აჭარლები და ისინი საბჭოთა ხელისუფლების მხარეს გადმოეყვანა, ე.ი. მიეღოთ ქართული ორიენტაცია. აღნიშნულ ბატალიონს “ხელსაყრელ მომენტში” უნდა დაეკავებინა ბათუმი“.

ზემოთ მოტანილი დოკუმენტები კონკრეტულ ფაქტებს ასახავს. 1918 წლის გაზაფხულზე ბათუმს ხალილ ბეის მეთაურობით თურქეთის პარლამენტის დელეგაცია სწვევია. მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმა მემედ აბაშიძისათვის დაუვალებიათ. ორატორს თურქი სტუმრებისათვის ასე მიუმართავს:“კეთილი იყვეს თქვენი ჩვენთან სტუმრად მობრძანება. ჩვენ, ქართველები, სტუმართმოყვარენი ვართ, ვიცით სტუმრის მიღება და პატივისცემა, მაგრამ მინდა, ისიც იცოდეთ, რომ სტუმარს უფლებას არ მივცემთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიოს.. თქვენ ბატონ-

* ქართული ლეგიონის დასაარსებლად “გაწეული ძვირფასი სამსახურისათვის” 1918 წლის 10 სექტემბერს მ. აბაშიძე უმაღლესი ეროვნული ჯილდოთი – თამარ მეფის ორდენით დაუჯილდოებიათ (აბაშიძე 1998: 37).

პატრონად ნუ იგულებთ თავს ჩვენს მიწა-წყალზე“ (კომახიძე 1994: 51).

ხალხის სახელით მემედ აბაშიძეს სისხლისღვრის შეწყვეტა მოუთხოვია. „ამით დავიმსახურე მათი გულისწყრომა“, – ვკითხულობთ მის „ავტობიოგრაფიაში“. თურქებს მ. აბაშიძე და მისი თანამოაზრეები დაუპატიმრებიათ და ტრაპიზონის ციხეში გადაუყვანიათ. „ოსმალეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა ჩვენი ამოხოცვა გაცილების დროს“, – წერს მ. აბაშიძე. მას, როგორც მეთაურს, განსაკუთრებული სასჯელი ელოდა, ამიტომ მისი გაქცევა დაუდგენიათ.

დაპატიმრებული თანამემემულის ციხიდან დასახსნელად თურქეთში მომუშავე ქართველი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეებს შეუქმნიათ სპეციალური ჯგუფი, რომელსაც მისი გაქცევის გეგმა შეუმუშავებია: მეციხოვნეები მოუსყიდიათ და მემედ აბაშიძეს ციხიდან გაქცევა მოუხერხებია, 15 დღე იგი ტრაპიზონის მიდამოებში იმალებოდა, შემდეგ ნავით ფოთის ნავსადგურს მისდგომია. აქ მას სხვებთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიაც დახვდა.

1923 წელს მემედ აბაშიძე სხვა საბაბით დააპატიმრეს. აჭარაში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ადგილობრივი მთავრობის თავმჯდომარედ ხელისუფლებას დაუნიშნავს თახსიმ ხიმშიაშვილი, რომელსაც მ. აბაშიძე თავის „ავტობიოგრაფიაშიც“ მოიხსენიებს: „გასაბჭოების შემდეგ დიდი გაუგებრობით – კერძოდ, თახსიმ ხიმშიაშვილის თურქოფილური ბეცი პოლიტიკით – ბევრი უსიამოვნება დამატყდა თავს... მსხვერპლი გავხდი თახსიმის თურქოფილური ზრახვებისა, იმ ზრახვებისა, რომლითაც მან შემდეგშიაც „ისახელა თავი“. სწორედ თ. ხიმშიაშვილის ბრძანებით 1923 წლის იანვარში დაუკავებიათ მემედ აბაშიძე და მთელი მისი გარემოცვა. მ. აბაშიძის დაპატიმრების ორდერი, რომელსაც ხელს აწერს ბათუმის საოლქო საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, 1923 წლის 24 იანვარსაა გაცემული. ამავე დღეს გამოუტანიათ დადგენილება მისი პატიმრობაში დატოვების შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ე. წ. „ბეკების საქმე“ (*ფონდი 6, საარქივო*

23300, ტ. 2, ყუთი 52), რომელშიც მრავალი საყურადღებო დოკუმენტია დაცული. კერძოდ, ბათუმის საოლქო ჩეკას საიდუმლო კომისიის უფროსის, კუშჩევის პატაკი (რუსულ ენაზე. თარიღი: 1923 წლის 8 თებერვალი) ამავე კომისიის თავმჯდომარისადმი: „სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ხიმშიაშვილის მითითებისა და თქვენი განკარგულებების თანახმად დავაპატიმრეთ ბეკები როგორც თურქული, ისე მენშევიკური ორიენტაციისა, მაგრამ საფუძველი მათი პატიმრობაში დატოვებისა და ასევე მასალები მათ შესახებ ჩვენ არ მიგვიღია. გთხოვთ შემდგომ მითითებებს“.

იმავე, ე. წ. „ბეკების საქმეში“ სხვებთან ერთად აღმოჩნდა მემედ აბაშიძის სისხლის სამართლის საქმეც, რომელშიც დღემდე უცნობი მასალებია დაცული. 1923 წლის 13 მარტით დათარიღებული დადგენილების მიხედვით, აჭარის ჩეკას წარმომადგენელს ოგანეზოვს განუხილავს მემედ-ბეკ აბაშიძის, ზია-ბეკ აბაშიძის, ნური-ბეკ აბაშიძის, ყადირ-ბეკ აბაშიძის, ხასან-ბეკ-აბაშიძის, სულეიმან-ბეკ აბაშიძის საქმეები საბჭოეთის წინააღმდეგ აგიტაციის ბრალდებით. მემედ აბაშიძე ოფიციალურ ბრალდებას არ დათანხმებია. ამავე წლის 17 თებერვალს მას მიუცია ჩვენება, სადაც გულისტკივილით შენიშნავს: „მე ახლა ვზივარ იმისათვის, რომ იმისთვის ვმუშაობდი, რომ ეს მხარე (აჭარა – მ.კ.) არ გადასცენ არც თურქებს, არც ინგლისელებს“.

ე.წ. „ბეკების საქმეში“ სხვა დოკუმენტებიც ინახება, რომლებიც მ. აბაშიძის ოჯახის წევრებს ეკუთვნით. აქვე დაცულია მემედ აბაშიძის რამდენიმე უცნობი ტექსტის ავტოგრაფი. 1923 წლის 2 აპრილის განცხადებაში (რუსულ ენაზე) პატიმარი ცდილობს, გააქარწყლოს მისადმი წაყენებული ბრალდება: „აქტიური აგიტაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“.

მემედ აბაშიძესა და მის გარემოცვას ბათუმის ციხეში (გამასწორებელი სახლში) რამდენიმე უმძიმესი თვე გაუტარებიათ. 1923 წლის 13 ივნისის ვრცელ განცხადებაში, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სახელზეა დაწერილი, მ. აბაშიძე უხსნის ხელისუფალს, რომ დაპატიმრებულები კერძო

პიროვნების შურისძიების მსხვერპლნი გახდნენ, აქვე ის იმ ღვაწლის შესახებაც შეახსენებს, რომელიც აბაშიძეებმა აჭარისათვის გასწიეს.* ამ განცხადების მიუხედავად, 1923 წლის 19 ივნისის საბოლოო დადგენილების მიხედვით, დაპატიმრებული ბეკები 2 ჯგუფად დაუყვიათ. პირველში „აშკარად მენშევიკურ-გრუზინოფილური ორიენტაციის“ პირები შესულან (მათ შორისაა მემედ აბაშიძე), რომელთაც „ოჯახებთან ერთად ამიერკავკასიიდან გასახლება“ მიუსაჯეს.

ამ მკაცრი განაჩენით შეშფოთებული „დარაჯ ქვეს მყოფი აჭარლები“ იძულებულნი გამხდარან, 1923 წლის 20 ივლისს განცხადებით მიემართათ სრულიად საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარისათვის, რათა თბილისში ცხოვრების უფლება მოეპოვებინათ.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ამ მიმართვისთვის არ უპასუხია. დოკუმენტების მიხედვით, მემედ აბაშიძემ და მისმა თანამოაზრეებმა საპატიმროში რამდენიმე თვე დაჰყვეს და, როდესაც საგანგებო კომისიამ მათი ბრალეულობა ვერ დაადასტურა, უშუალოდ აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, მათ ხუთი წლით ამიერკავკასიის ფარგლებიდან გასახლება მიუსაჯეს.

1923 წლის 10 სექტემბერს მემედ აბაშიძეს ვრცელი მოხსენებითი ბარათით მიუმართავს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მამია ორახელაშვილისათვის (აბაშიძე 1998: 311-334). როგორც ჩანს, შედეგი მემედ აბაშიძის არც ამ მოხსენებით ბარათს მოჰყოლია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში „ბეკების საქმეში“ დაცულია ერთ-ერთი დოკუმენტი გრიფით

* “ოთხასი წლით დაშრეტილი ერთ სისხლ-ხორცი ძმების შეერთების საქმეში შრომა და ღვაწლი მიგვიძღვის.. დიახ, ჩვენ, აბაშიძეებმა... მთლიანობა აღვადგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ წინ მრავალი დაბრკოლება გვეღობებოდა. მაინც ოთხასი წლის განმავლობაში უკუღმად დატრიალებული გათიშვის ჩარხი წაღმა დავატრიალეთ და ეხლა ვეღარ გაგვიგია, თუ რათ ვართ მოსასპობათ განწირულნი!.. დღეს კი მეტად ვართ გაოცებული ასე ჩვენი ულმობლად დასჯისათვის, ვინაიდან ჩვენი მისია გამოიხატებოდა მხოლოდ ქართველი ერის ისტორიულად დანგრეული ოჯახის გამრთელების მოღვაწეობაში” (*ფონდი 6, საარქივო № 23300, ტ. 2, ყუთი 52*).

„სრულიად საიდუმლოდ“, რომელიც 1923 წლის დეკემბრითაა დათარიღებული (მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი, რუსულ ენაზე). აჭარის საგანგებო კომისიის საიდუმლო სამსახური იუწყება: „მემედ ბეი აბაშიძე ჯერ კიდევ ა.წ. იანვარში იქნა დაპატიმრებული სხვა ბეკებთან ერთად. აჭარის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ის სხვა ბეკებთან ერთად გასახლებულია აჭარის საზღვრებიდან. ამჟამად მემედ ბეი აბაშიძე თბილისშია, რუსეთში შემდგომი ეტაპირებისათვის“.

ამ მოვლენების შესახებ თვით მემედ აბაშიძე წერდა: „1923 წელს ქ. ბათუმში მე ვიყავი დაპატიმრებული ცხრა თვე. ამის შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის განკარგულებით ვარ გაგზავნილი საცხოვრებლად ქ. ბაქოში. ორ წელიწადზე მეტია, რაც მე, ჩემს სამშობლოს და ოჯახს მოშორებული, განვიცდი საშინელ მორალურ და მატერიალურ უბედურებას. ოჯახი ჩემი იმყოფება მეტად მძიმე მატერიალურ პირობებში, რადგანაც უცხო ქვეყანაში ვერ ვშოულობ საცხოვრებელ სახსარს, რომ ვარჩინო ჩემი თავი და ჩემგან მოშორებული ოჯახი“ (აბაშიძე 1998: 53). საქართველოში მემედ აბაშიძე თახსიმ ხიმშიაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ (1927 წ.) დაბრუნებულა და აქტიური საზოგადობრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობა გაუგრძელებია: იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგე, ზრუნავდა აჭარაში ქართული თეატრის დაარსებასა და გაძლიერებაზე და სხვ. თუმცა ათიოდე წლის შემდეგ, 1937 წელს, საქართველოში დატრიალებულმა სისხლიანმა რეპრესიებმა მრავალ ღირსეულ თანამემამულესთან ერთად მემედ აბაშიძეც იმსხვერპლა. იგი დააპატიმრეს ბათუმში, ახლანდელი 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სახლში. მასთან ერთად დააკავეს მისი ვაჟიშვილებიც: იბრაიმი და იფეთი, ხოლო მამუდმა გაქცევით უშველა თავს. ოჯახი გაძარცვეს, წაიღეს ძვირფასი ბიბლიოთეკა და ხელნაწერები. მემედ აბაშიძე თბილისში გადმოიყვანეს და საქართველოს შსს არქივში დაცული ინფორმაციის თანახმად, 1937 წლის 17 სექტემბერს დახვრიტეს, იბრაიმი და იფეთი კი ციმბირში გადაასახლეს. მამუდ აბაშიძე მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. მემედ აბაშიძის მეუღლე სეფურე ათაბაგი და რძალი – შაესტერ ბეჟანიძე (იბრაიმის

მეუღლე) – უსახლკაროდ ქუჩაში დატოვეს. (აბაშიძე 1998: 54). აღსანიშნავია, რომ საქართველოს შსს არქივში მ. აბაშიძის 1937 წლის სისხლის სამართლის საქმის მასალები აღარ მოიპოვება.

1957 წელს მემედ აბაშიძე რეაბილიტირებულ იქნა.

დამოწმებანი:

აბაშიძე 1998: აბაშიძე, მ. *თხზულებანი* (გამოსცა გ. შარაძემ). თბილისი: „სახალხო წიგნი“, 1998.

კომახიძე 1994: კომახიძე, თ. *მამულიშვილი (მემედ აბაშიძე).* ბათუმი: „აჭარა“, 1994.

სრულიად საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს

განცხადება*

„თვითეული ჩვენთაგანი სრულიად დარწმუნებული არის იმაში, რომ ის ბრალდება სრულიად ვარაუდათ აქვს წამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რათა ვიქმნეთ დაჩაგრული თავისუფლების აღკვეცით, სახელგატეხილი, გასვრილი და ამითი დაკმაყოფილდნენ შურის მაძიებელნი ჩვენი მტრები, რომელთაც ვითომდა რევოლუციისათვის შესტკივათ გული[...]. ჩვენ იმაშიც ვართ დარწმუნებული, რომ ადამიანის თავისუფლება უნდა აღიკვეცოს მხოლოდ მაშინ და იგი უნდა დაისაჯოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას რაიმე დანაშაული მიუძღვის. ჩვენ მსხვერპლნი ვართ ჩვენი მტრების პირადი ინტერესებისა[...], რომლებმაც განიზრახეს, თავიანთი კეთილდღეობა და კარიერა ააგონ სხვის უბედურებაზე [...] და თუ ჩვენი ეს თხოვნა არ იქნება თქვენ მიერ შეწყნარებული, იმ შემთხვევაში მოგვეცით ნება, ჩვენივე ხარჯით აღნიშნულ ვადამდე გავიდეთ თავისუფლად ამიერკავკასიიდან“.

---

* იბეჭდება კუპიურებით. განცხადება სამ გვერდს მოიცავს და მემედ აბაშიძის ხელითაა დაწერილი.

ბენიტო ბუაჩიძე

ქართველი საბჭოთა კრიტიკოსი, ლიტერატურისმცოდნე ბენიტო ბუაჩიძე დაიბადა 1905 წლის 20 აგვისტოს სოფ. ფარცხნალში. როგორც საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიის გამზიარებელი, იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ახალი საბჭოთა მწერლობის შექმნაში. 1926 წელს იყო ლიტერატურუ-ლი ჯგუფის „პროლეტარიატის“ ერთ-ერთ ორგანიზატორი, 1928 წელს კი ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივანი. იმავე წელს გახდა სკკპ პარტიის წევრი. მისი მწვავე კრიტიკული წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა იმდროინდელ ლიტერატურულ პრესაში. ახალგაზრდა ლიტერატორი დაუნდობლად ილაშქრებდა ძველი, ე.წ. თანამგზავრული, მწერლობის წინააღმდეგ და ახალ დროებასთან მის იდეურ შეუთავსებლობაზე მიუთითებდა.

1931-32 წლებში ბენიტო ბუაჩიძე ბოლშევიკური ლიტერატურული პოლიტიკის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესის შუაგულში აღმოჩნდა. იგი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და პროლეტარული მწერლების ასოციაციის საკავშირო გაერთიანების (ვოაპპ-ის) მდივნად დაინიშნა. 1932 წლიდან იგი მოსკოვის კომაკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი იყო. 1934 წელს დაბრუნდა საქართველოში და მალევე დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანად. საბჭოთა ხელისუფლებისთვის გაწეული დიდი სამსახურის მიუხედავად, ბენიტო ბუაჩიძის მოღვაწეობა დაუკავშირეს „რაპპულ“ ვულგალიზატორულ შეცდომებს და როგორც ამ მიმართულების ერთ-ერთ აქტიური წარმომადგენელი, 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ბ. ბუაჩიძის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებით – „ილია ჭავჭავაძე და სოციალისტური ეპოქა“, „ქართული საბჭოთა პოეზია“, „საბჭოთა მწერლობის ახალი საფეხურისთვის“ და სხვ. – საბჭოთა სისტემის, მოგვიანებით კი სოციალისტური რეალიზმის გამყარებისა და შენარჩუნების მიზნით კიდევ დიდხანს ხელმძღვანელობდნენ მისი კოლეგა ლიტერატორები.

მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის კრების ოქმი 1937 წლის 21 მაისი*

ესწრებოდნენ: ამხ. დ. დემეტრაძე, ს. ეული, შ. რადიანი, ალ. მაშაშვილი, ბობოხიძე, ჩხიკვაძე, პ. სამსონიძე, გ. ბუხნიკაშვილი, აზრიანი, ი. ლისაშვილი, ხიდისთაველი, ჭეიშვილი.

მოისმინეს: ა) საქართველოს საბჭოთა ლიტერატურაში სხვადასხვა მავნე ანტიპარტიულ დაჯგუფებათა შესახებ (ტოროშელიძის მავნებლური მუშაობა მწერალთა ორგანიზაციაში. ქიქოძე-ნაროუშვილის ჯგუფი და ბუაჩიძის ჯგუფი) მწერალთა კრების შედეგებთან დაკავშირებით.

ბ) ლიტფონდის შესახებ (დ. დემეტრაძე).

ამხ. ეულის სიტყვა: ამხ. ეული მოითხოვს ყველა საკითხებიდან გამოყოფილ იქნას ავერბახელ ბუაჩიძის საკითხი და განხილულ იქნეს მწერლების ცალკეულად და მათ შორის რომელიმე პარტიულთაგანი აღმოჩნდება საეჭვო, მისი საკითხი დაისვას პარტორგანიზაციის კრებაზე.

ამხ. გ. ბუხნიკაშვილი: ამხ. თათარიშვილმა თავის მოხსენებაში ყოფილ ყანწელთა ჯგუფს გვერდი აუარა. გამსახურდიას და მიწიშვილის გამოსვლა მწერალთა კრებაზე არ იყო დამაკმაყოფილებელი. მათი სიტყვები ერთგვარ გამარჯვებულის იერით გამოიყურებოდნენ: თითქოს ისინი არაფერ შუაში იყვნენ. ისინი თავს ესხმოდნენ მხოლოდ ტოროშელიძეს, ქიქოძეს, ნაროუშვილს ან ბუაჩიძეს. საკუთარ თავზე არაფერი სთქვეს, გვერდი

* იბეჭდება შემოკლებით (სტილი დაცილია)..

აუარეს. რაც შეეხება ავერბახელ ბუაჩიძეს, ჩვენ მასზე უნდა ვიმსჯელოთ მიუხედავად იმისა, რომ იგი მოსკოვშია და ჩვენს პარტორგანიზაციაში არ ირიცხება. ყოველი ჩვენგანი იცნობს ბუაჩიძის საქმიანობას, რომ იგი 23 აპრილის დადგენილების შემდეგაც განაგრძობდა ავერბახულ ხაზს ლიტერატურაში. ავერბახელ ბუაჩიძესთან ბრძოლის დროს ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ლიტფონტშჩინასთან ბრძოლაც (ქიქოძე-ნაროუშვილი). აგრეთვე საჭიროა ვილაპარაკოთ ყურულაშვილზედაც, რომელიც მთელი წლების განმავლობაში ქართულ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. მაგ. ყურულაშვილი ხშირად ბუაჩიძეს უწევდა აპეკუნობას. ქიქოძეს მფარველობდა, მას დაჭერის წინა დღეებში მის(ც)ა 10. ათასი მანეთი.

დემეტრაძე ადგილიდან: ლეფელებსაც მფარველობდა იგი.

ბუხნიკაშვილი: მართალია. ჩვენ უნდა შევებრძოლოთ აგრეთვე ე. წ. ოპორტუნისტული კრიტიკის წარმომადგენლებს. მაგალითად, როგორიცაა ბესო ჟღენტი, ლეფელებიდან ლ. ასათიანს ახასიათებს ცინიზმი. პოეტის ს. ჩიქოვანის შემოქმედებას აკლია რეალიზმი. ყურულაშვილი მფარველობდა თითქმის ყველა ლიტერატურულ დაჯგუფებებს. იგი იყო დაჯგუფებათა აპეკუნი. ამავე დროს იგი ღოღობერიძესთან ერთად ითვლებოდა ლეფის ჯგუფის წევრად. საჭიროა ვილაპარაკოთ აგრეთვე რაპოვშჩინის წინააღმდეგ. ბრძოლის დროს თუ რა შეცდომებს ვუშვებდით ჩვენ. აღმოვფხვრათ მავნებელთა ნაკვალევი და მათი გავლენის მატარებელნი ჩვენს ლიტერატურაში ყველა ამ დაჯგუფებათა მავნებლურ მუშაობას ვუპასუხოთ მეტი შემოქმედებითი აქტივობით.

ამხ. მაშაშვილი ადგილიდან: ლიტერატურულ ეთიკასა და პირად ცხოვრებასაც მიექცეს ყურადღება[...]

ამხ. ლისაშვილი: ჩვენი შეცდომაა ის, რომ ბუაჩიძის წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს არ ვღებულობთ მანამ, სანამ მოსკოვის პრესამ არ ამოიღო ხმა. საჭიროა ბუაჩიძესთან ერთად შესწავლილ იქნენ მისი ჯგუფის აქტიური წევრები. მაგალითად მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ახლანდელი მდივანი კ. ლორთ-

ქიფანიძე ბუაჩიძის მარჯვენა ხელი იყო და ხანდისხან მისი მასწავლებელიც. რაც შეეხება ქართული რაპპის* ყოფილ მეორე მდივანს ამხ. რადიანს, მან საკმაოდ გამოასწორა თავისი შეცდომები. იგი არც იყო რაპოვშჩინის ტიპიური წარმომადგენელი. ბუაჩიძეს იგი არ უყვარდა. მას ზურგს უკან აგინებდა კიდეც. მისი სათაყვანებელი იყო მხოლოდ კ. ლორთქიფანიძე. საჭიროა სულავაზეც ვილაპარაკოთ, რომელიც ბუაჩიძის ხაზის მატარებელი იყო დღემდე. საჭიროა ბესო ჟღენტის ჯგუფურ კრიტიკის შესახებაც ვილაპარაკოთ. საჭიროა ყველა ამ დაჯგუფებათა და მათი ნაშთების შესასწავლად გამოყოფილ იქნას კომისია 5 კაცისგან.

ამხ. პ. სამსონიძე: ზოგიერთი მწერლის ხელოვნური გაბერვა და მეცენატური ნაშთები ახლაც არ აღმოფხვრილა. ეს არის რაპოვშჩინის ნაშ(თ)ები, რასაც უნდა ვებრძოლოთ. ყოვლად დაუშვებელია ის ცინიკური დამოკიდებულება, რომელსაც ჩვენს მიმართ იჩენს სულავა. მართალია, ყანწელების წინააღმდეგ ბრძოლა დროულია, მაგრამ სიმონ ჩიქოვანის მიმართ იგივე დამოკიდებულების გამოჩენა და კეტის ცემა თავში არ იქნება სწორი. იგი ყველაზე უფრო ახლოა ჩვენთან. ყანწელები თუ როგორ გარდაიქმნებიან, ამაზე იქნება დამოკიდებული შემდეგში ჩვენი მათდამი მოპყრობა.

ამხ. პ. ჩხიკვაძე: ყურულაშვილთან მე ვიყავი „მნათობში“ რედაქტორის მოადგილეთ 2 წლის განმავლობაში[...] საკონტროლო კომისია ერთხელ უპირებდა ბუაჩიძეს პარტიის (ალბათ, პარტიიდან – ნ.კ.) გარიცხვას, მაგრამ ყურულაშვილმა, მაშინდელმა ცეკას მდივანმა დაიცვა იგი[...] საჭიროა გავიხსენოთ, რომ იაშვილის ხელით იყო გადაწერილი ქართველ დელეგაციის სახელით რომ გამოუცხადეს სოლიდარობა ბუხარინს ყრილობაზე. ეს მოხდა მაშინ, როცა ტოროშელიძე მოსკოვში ავად გახდა და მას მომვლელად ყავდა იაშვილი. აი, მაშინ მოხდა

* რაპპი – რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. ჩამოყალიბდა 1925 წელს პროლეტარულ მწერალთა 1-ლ საკავშირო კონფერენციაზე. გენერალური მდივანი – ლ. ავერბახი. მთავარი აქტივისტები და იდეოლოგები – დ.ფურმანოვი, ი.ლებედინსკი, ა. ფადეევი დას ხვ.

ტოროშელიძესთან იაშვილის დამეგობრება, რომ იაშვილს თავისი წვლილი მიუძღვის ბუხარინთან სოლიდარობის გამოცხადებაში[...] საჭიროა ყანწელებმა სთქვან, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი არა მარტო ქართველ ხალხის მტრებთან, არამედ რუსეთშიც ხალხის მტრის ბუხარინის მიმართაც. მე ბუხარინს ვებრძოდი იმ თავითვე. რაც შეეხება ბუაჩიძეს, მე თანახმა ვარ მისი საკითხი გამოიყოს განსაკუთრებით. საჭიროა ილაპარაკონ ბუაჩიძის ჯგუფის წევრებმაც თავიანთ შეცდომებზე.

ამხ. კ. ბობოხიძე: ტოროშელიძის, ყურულაშვილის, ქიქოძენაროუშვილის და სხვათა მავნებლური მუშაობის გამომჟღავნებასთან ერთად დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ავერბახელ ბუაჩიძის წინააღმდეგაც. რაც შეეხება რადიანს, იგი არ ყოფილა ავერბახოვშჩინის ტიპური წარმომადგენელი, მას ამიტომ ნაპოსტოველობის რენეგატს ეძახდნენ. მიუხედავად ამისა, რადიანმა საკმაოდ ილაპარაკა თავის შეცდომებზე, როგორც ზეპირად, ისე წერილობით. იგი საკმაოდ გამოსწორდა ცეკას დადგენილების შემდეგ. მას ჩვენ უნდა დავეხმაროთ თავის შეცდომების საბოლოოდ მხილებაში. რაც შეეხება ლორთქიფანიძეს – მან გულწრფელად უნდა აღიაროს ის ფაქტი, რომ იგი ბუაჩიძის ბრმა იარაღი იყო. აგრეთვე სულავა და ნაწილობრივ მელაძეც.

ამხ. შ. რადიანი: ჩემი გამოსვლის არადამაკმაყოფილებლობის შესახებ არაფერი უთქვამთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მე ყველაფრის თქმა მოვასწარი მწერალთა კრებაზე. მე იმთავითვე ვცდილობდი პარტიის ხაზი გამეტარებია ლიტერატურაში. რაპპის ლიკვიდაციის დღიდანვე წერილით გამოვედი – ინტიმური დამოკიდებულება ბუაჩიძესთან არასოდეს არ მქონია. თავში ჩაკვრის პოლიტიკას ხშირად აწარმოებდა ბუაჩიძე ჩემ მიმართ. მაგალითად: აღნიაშვილს უკითხავს ცეკაში ბუაჩიძისთვის – რა კაცია რადიანიო და ბუაჩიძეს მიწასთან გავუსწორებივარ. რენეგატს მეძახდნენ. 23 აპრილის დადგენილების შემდეგ მთლიანად ვიცავდი ცეკას დადგენილებას. ყანწელების შესახებ უნდა ითქვას, რომ მათ კავშირი ჰქონდათ ხალხის მტრებთან და ამის შესახებ უნდა თქვან. ლორთქიფანიძე და სულავაც უნდა გამოტყდნენ, რომ ისინი ბუაჩიძის ხაზის გამტარებელნი

იყვნენ. ყანწელები საქართველოში დაკავშირებული იყვნენ აღ-ნიაშვილთან, ჯიქიასთან და სხვ., ბუხარინთან და მირსკისთან რუსეთში. „ლიტერატურულ საქართველოში“ ახლა მიდის ამხ. ბერიას მოხსენება. შემდეგში ჩვენ გავაშუქებთ ბერიას მოხსე-ნებასთან დაკავშირებულ ლიტერატურულ საკითხებს.

ამხ. ხიდისთაველი: [...] ყანწელების ჯგუფის განადგურება უსათუოდ საჭიროა.

ამხ. ჭეიშვილი: [...]ყოფილი ყანწელები ყველგან ძვრებიან. მაგ. საიუბილეო კომისიებში, რედკოლეგიებში და სხვ. საჭიროა დავუპირისპიროთ მათ მოქმედების ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა. ჩვენ უნდა ვიყოთ დიდ ლიტერატურულ საქმეთა ინი-ციატორებად და არა ისინი[...]

ამხ. დ. დემეტრაძე: ავერბახოვშჩინა ტროცკიზმის აგენ-ტურაა და ბუაჩიძეც ცეკას დადგენილების შემდეგაც რაპპის ხაზს ატარებდა. იგივე ითქმის ბუაჩიძის ჯგუფის წევრებზეც (ლორთქიფანიძე, მელაძე, სულავა). საჭიროა ავერბახოვშჩინის ნაშთების წინააღმდეგაც ვაწარმოოთ შეუნელებელი ბრძოლა. ქიქოძე ნაროუშვილის ჯგუფის წევრები: ბენაშვილი და ნატ-როშვილი უნდა გამოვიდნენ თავიანთი შეცდომების კრიტიკით. საჭიროა კომისიის გამოყოფა, რომელიც შეისწავლის დაჯგუ-ფებათა ნაშთებს[...] ლიტფონდსაც უნდა ვუხელმძღვანელოთ, როგორც საჭიროა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ყოფილი დირექტორი წერეთელი ხალხის მტერი აღმოჩნდა.

დაადგინეს: გამოყოფილ იქნას კომისია დემეტრაძის, ეულის, ბუხნიკაშვილის, რადიანის, ლისაშვილის შემადგენლობით, რო-მელსაც დაევალოს ჯგუფებრი(ვ)ობის ნაშ(თ)ების გამორკვევა და თ(ვ)ითოეულ მწერლის პოლიტიკური შესწავლა. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო“-ს რედაქტორს დაევალოს მოათავსოს წერილები გაზეთში შემდეგ თემაზე:

1. „ტროცკიზმის აგენტურა ლიტერატურაში – ავერბახოვ-შჩინა და ლიტფონდი“;

2. ყურულაშვილის მავნებლური მუშაობა ქართულ ლიტე-რატურაში და

3. დაევალოს ლიტფონდის ახალ დირექტორს ამხ. ი. ლისაშვილს ლიკვიდაცია უყოს დ. წერეთლის მავნებლური მუშაობის შედეგებს. გასწმინდოს აპარატი საეჭვო წერეთლის მიერ მოყვანილი პირებიდან. ახლო მომავალში მოაწყოს გამგეობის გადარჩევა ფარული კენჭისყრის საფუძველზე. გამოყოფილ იქნას კომისია: ეულის, ლისაშვილის და ჯაჯანაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს ლიკვიდაცია დ. წერეთლის მავნებლური მუშაობის ყოველგვარი კვალის და გადაისინჯოს შტატები. დაიბეჭდოს მამხილებელი წერილი ლიტფონდის შესახებ „ლიტერატურულ საქართველოში“.

პარტ-ჯგუფის თავმჯდომარე დ. დემეტრაძე
მდივანი: კ. ბობოხიძე

გრიგოლ მუშიშვილი

ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი, ჟურნალისტი და კრიტიკოსი **გრიგოლ ანდრიას ძე მუშიშვილი (ხოფერია)** დაიბა-და 1899 წელს, ცხაკაიის რაიონის სოფ. ისულაში (ახალ-სოფელი). 1916-1923 წლებში იგი მემარ-ცხენე ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო. ეს ფაქტი დასტურდება ცნობით, რომელიც 1919 წლის 23 დეკემბრის გაზეთ „სახალხო საქმეში" დაიბეჭდა: „ამხანაგმა გ. მუშიშვილმა დაასრულა მუშაობა თემაზე „სოციალიზმი საქართველოში". იგი ეძებს გამომცემელს".* 1924 წლიდან გრ. მუშიშ-ვილი უკვე სკკპ წევრია და აქტიურ ჟურ-ნალისტურ მოღვაწეობას ეწევა: 1927-1928 წ.წ. იყო გაზეთ „სოფლის ცხოვრების",** ხოლო 1936-1937 წლებში გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი. გარკვეულ პერიოდში რედაქტორობდა, ასევე, რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების საქარ-თველოს განყოფილების ყოველთვიურ ჟურნალ „რემედასს"***. 1927 წლიდან, უნივერსიტეტის დამთავრებამდე,**** დაიწყო კრი-ტიკული წერილების ბეჭდვა „მუშიშვილის" ფსევდონიმით, რომელსაც ჯერ კიდევ იატაკქვეშა საქმიანობისას იყენებდა (ბედის ირონიით, იგი ამ ფსევდონიმითვე გაასამართლეს). ამ წერილებში იგი მწვავედ აკრიტიკებდა მწერლებს, რომლებიც ბოლშევიკურ იდეებს არ იზიარებდნენ. ასე, მაგალითად, გრ. მუ-შიშვილის პროლეტმწერლური მემარცხენე კრიტიკის ქვეშ



* http://prosopography.iliauni.edu.ge/database/persons/1931/1257/6

** გალაკტიონ ტაბიძეს 1925 წლის ჩანაწერებში გრ. მუშიშვილი მოხსენიებული ჰყავს, როგორც გაზეთ „ახალი სოფლის" რედაქტორი (დღიური 593-8 – 1925 წ.). იხhttp://www.galaktion.ge/?page=Diaries&year=-1&p=0&id=4876

*** გამოდიოდა 1924 – 1932, 1936 – 1941 წლებში და ჰყავდა სხვადასხვა რედაქტორი.

**** გრ. მუშიშვილი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1933 წელს დაამთავრა.

მოექცნენ: მ. ჯავახიშვილი, გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია და სხვ. შესაბამისად, ამავე პათოსით იყო გაჟღენთილი მისი წიგნები (რომლებშიც სხვადასხვა წლების პუბლიცისტიკა შევიდა): „კლასთა ბრძოლა და პროლეტარიატის ლიტერატურა“ (1929), „შენიშვნები ლიტერატურაზე“ (1929), „გველის პერანგოსანი“ (პირველად ფელეტონების სახით დაიბეჭდა „კომუნისტში“, შემდეგ კი, 1934 წ. წიგნადაც გამოვიდა). მკითხველი მიხვდება, რომ ეს უკანასკნელი გრ. რობაქიძის წინააღმდეგ იყო მიმართული (კვერენჩხილაძე 2014: 237). გრიგოლ მუშიშვილი იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც მიიღო საბჭოთა იდეოლოგია, გაბოლშევიკდა, მაგრამ რეჟიმისადმი ერთგული სამსახურის მიუხედავად, როგორც ჩანს, საბოლოოდ მაინც ვერ მოიპოვა სისტემის ნდობა და ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

რ. კვერენჩხილაძის ცნობით, გრ. მუშიშვილის საქმის გამოძიება 1937 წელს ჯერ პარტკოლეგიამ დაიწყო (პარტგამომძიებელი – ჩიხლაძე). მას ბრალს სდებდნენ „ხალხის მტრებთან“ – კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებთან ურთიერთობასა და მათი მითითებების შესრულებაში, კერძოდ: პეტრე აღნიაშვილთან მჭიდრო კავშირსა და მისი გავლენით გაზეთში ბუხარინული მიმართულების დანერგვაში, აგრეთვე, სერგო მამულიასა და მამია ორახელაშვილთან ურთიერთობაში (კვერენჩხილაძე 2014: 238).

1937 წლის 25 სექტემბერს გრ. მუშიშვილი დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს ანტისაბჭოთა აგიტაცია, ორგანიზაციული საქმიანობა დანაშაულის მომზადებისათვის (სსკ მუხლი 58-10, 58-11). გასამართლდა საქართველოს შსსკ სამეულის მიერ 1937 წლის 28 სექტემბერს. მიესაჯა დანაშაულის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 1938 წლის 3 იანვარს.*

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1955 წლის 23 დეკემბრის 1124 განჩინებით, დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო სისხლის სამართლის საქმე წარ-

* ფორმა, აღნიშნული მონაცემებით, შევსებულია 1996 წლის 23 დეკემბერს, საქ. შსს სახალხო კომისარიატში (საქმე №10694, არქ. № შ -307).

მოებით შეწყდა. 1955 წლის 28 დეკემბერს გრ. მუშიშვილი რეაბილიტირებულად გამოცხადდა.*

1996 წლის დასაწყისში გრიგოლ მუშიშვილის ქალიშვილმა ლ. გ. ხოფერიამ განცხადებით მიმართა რუსეთის ფედერაციის გენ. პროკურატურის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის განყოფილებას მამამისის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების თაობაზე. იმავე წლის 11 თებერვალს საქართველოს სახ. უშიშროების მინისტრის სახელზე გამოგზავნილ წერილში დადასტურებულია, რომ დაზარალებული მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. დადგენილება აღიარების თაობაზე მოგვიანებით იქნა მიღებული.

დამოწმებანი:

კვერენჩხილაძე 2014: კვერენჩხილაძე, რ. *წამების გზა.* წიგნი I. თბილისი: „უნივერსალი“, 2014.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო № 371127-07 ყუთი 232 ხოფერია-მუშიშვილი გრიგოლ ანდრიას ძე

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოპერატიული აღნუსხვის განყოფილების უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ **ი. მირონოვის** ცნობა, დათარიღებული 1996 წლის 27 სექტემბრით.

„1988–1991 წ.წ. ყოფილი სუკ-ის საარქივო ფონდებიდან და კერძოდ, საარქივო სისხლის სამართლის საქმეებთან გასაცნობად დაშვებული იქნა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები, ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტები და მათ შორის, ყოფილი გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი (რომლის ვინაობა ამჟამად არ მახსოვს), რომელიც რედაქტორის დავალებით

* გრ. მუშიშვილის ბრალდებასთან დაკავშირებული საქმე (ПР – 2704) 1991-1992 წწ. მოვლენებისას საარქივო ფონდებთან ერთად განადგურდა.

და სუკ-ის ხელმძღვანელობის ნებართვით გაეცნო გაზეთ „კომუნისტის“ ყოფილი რედაქტორის გრიგოლ ანდრიას ძე მუშიშვილის № ПР – 2704 სისხლის სამართლის საქმეს. როგორც მახსოვს, კორესპონდენტმა და მე თვითონ მივაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ დაკითხვის რამდენიმე ოქმში გრიგოლ მუშიშვილმა აღნიშნა, რომ მისი ნამდვილი გვარია „ხოფერია“ და მუშიშვილი ეს არის ფსევდონიმი, აღებული მის მიერ რევოლუციამდე, იატაკქვეშა ბოლშევიკური მოღვაწეობის დროს. გაუგებარი მიზეზების გამო, გამომძიებელმა არ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და მუშიშვილი გასამართლებული იქნა ყოფილ საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის მიერ 1937 წ. 28 დეკემბერს და სისხლის სამართლის კოდექსის 58-10, 58-11 მუხლებით, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა –დახვრეტა.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წ. 13 იანვრის განაჩენში, რომლითაც საქმე შეწყდა წარმოებითი დანაშაულის უქონლობის გამო, აღნიშნული იქნა გასამართლებული მუშიშვილი, მაგრამ მისი ნამდვილი გვარი არ მოხსენებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნამდვილად ვადასტურებ, რომ ძიების პროცესში მუშიშვილმა დაუსახელა გამომძიებელს თავისი ნამდვილი გვარი ხოფერია, და ყველა ცნობა, რომელიც ეხება მუშიშვილს, ნამდვილად ეხება გრიგოლ ანდრიას ძე ხოფერიას. საჭიროების შემთხვევაში, ამის დადასტურება შესაძლებელია ყოფილი საქ. სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივის მეშვეობით“.

ხელს აწერს ი. მირონოვი (ფაქსიმილია).

დავით ჩხეიძე (დია ჩიანელი)

დია ჩიანელის ფსევდონიმით ცნობილი პროზაიკოსი, დრამატურგი, პოეტი, პედაგოგი დავით მელიტონის ძე ჩხეიძე დაიბადა 1891 წლის 19 ოქტომბერს სოფელ დიმში, ბაღდათის რაიონში, მრავალშვილიან (ათი და-ძმა) ოჯახში. „მამამ სწავლის ყადრი იცოდა, სკოლა ყველას დაამთავრებინა, მაგრამ უმაღლესში სწავლის გაგრძელების უფლება მხოლოდ მე მომცა, ისიც დედის დაჟინებული თხოვნით“, – გაიხსენებს მწერალი მოგვიანებით თავის ავტობიოგრაფიაში. ავადმყოფობის შიშით ვერ იმეტებდა შვილებს ქალაქში გასაგზავნადო. 1899-1911 წლებში იგი სწავლობდა ქუთაისის სააზნაურო სკოლაში, შემდეგ სწავლა განგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1915 წელს.

პირველი ნაწარმოები „ნაფოტის მოგზაურობა“ 9 წლისამ დაწერა. მწერლობის ანბანს იგი ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა ლიტერატურულ წრეში დაეუფლა, რომლის წევრებიც იყვნენ კ. გამსახურდია, თ. ჭუმბურიძე, ტ. ტაბიძე, ვ. ბერიძე და სხვ. 1913 წელს ჟურნალ „ოქროს ვერძში“ დია ჩიანელის ფსევდონიმით დაიბეჭდა მოთხრობა „სულნი ერთმანეთს ელტვიან, მაგრამ ძებნაში იღუპებიან“. საყურადღებოა, რომ ამავე ჟურნალში დასტამბულია გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ა. აბაშელის, გ. რობაქიძის, კ. გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძის,

შ. დადიანის, ლ. ქიაჩელის, ს. კლდიაშვილის და სხვ. ლექსები, მოთხრობები, ნოველები, თარგმანები. ასე რომ, დავით ჩხეიძის სამწერლო დებიუტი (იმხანად იგი მხოლოდ 14 წლის იყო) ცნობილი მოდერნისტი მწერლების „გარემოცვაში“ შედგა.

დავით ჩხეიძე მოწაფეობის წლებიდან იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით. 1915 წელს იგი არალეგალური მუშაობისათვის დააპატიმრეს და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ცხოვრება აუკრძალეს. გადასახლებიდან ის 1917 წელს დაბრუნდა და კვლავ ნაყოფიერად ჩაება შემოქმედებით ცხოვრებაში. 1918 წელს გამოვიდა დია ჩიანელის ნოველების წიგნი, რომელიც სიმბოლისტური ესთეტიკის აშკარა კვალს ატარებდა. „საერთოდ ჩემს პოეზიას ახასიათებდა ყველა ის მოტივები, რითიც ხასიათდებოდა მაშინ სიმბოლისტური პოეზია“, – წერდა დია ჩიანელი. მას, როგორც გამორჩეულ ადამიანს და მოღვაწეს, წლების შემდეგ ასე გაიხსენებს კოლაუ ნადირაძე: „ჩემ მეგობართა შორის გამორჩეულ ადამიანად მიმაჩნდა დავით ჩხეიძე – დია ჩიანელი. იგი წყნარი, კულტურული კაცი იყო, „ყანწელების“ ამბებში და მათ ბოჰემურ ცხოვრებაში მონაწილეობას არ ღებულობდა. ღვინო არ უყვარდა. თავისი მოქმედებით ქმნიდა მყუდროებას. ეს ჩვენში იშვიათია. ის დადებითი მხარეები, რაც იმერეთსა და იმერელს ახასიათებს, მასში მთლიანად იყო მოცემული. თავაწყვეტილებას არასოდეს ამჟღავნებდა. დიდი სულიერი სითბო ჰქონდა. ეს რომ არ ყოფილიყო, ვერ ვიმეგობრებდით. ძალიან განათლებული, მეტყველი კაცი იყო, საინტერსო და მიმზიდველი საუბარი შეეძლო“*.

1921-1924 წლებში დია ჩიანელი იყო ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციის** ჟურნალის, „უქიმერიონის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1926 წელს „მნათობში“ დაიბეჭდა დია ჩიანელის რომანი ორ ნაწილად: „საქართველო სამფეროვანი“ და „საქართველო ქარტეხილებით“. 1928 წელს გამოქვეყნდა ახალი რომანი „გიონ დარანა“, რომელშიც მწერალმა ძალზე თვალსა-

* გაზ. „ქართული ფილმი“, 1995 წ., 4 თებერვალი.

** ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ: ს. ხუნდაძე, ი. ჭყონია, ნ. ლორთქიფანიძე, ს. ცირეკიძე, ვ. გორგაძე, ჯ. ჯორჯიკია, ბ. ჟღენტი, ნ. შენგელაია, ჟ. ღოღობერიძე, ვ. გაფრინდაშვილი.

ჩინოდ დახატა ქუთაისის საზოგადოების რეალური ყოფა, მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. 1933 წელს გამოვიდა მისი პროზაული კრებული „ორბი“.

დია ჩიანელს ეკუთვნის მთელი რიგი დრამატული ნაწარმოებები: „ბეთქილი“, „ბაილ“, „ტყე“, „ნაირმალი“, რომლებიც 1926-1934 წლებში სცენაზეც დაიდგა. ამასთანავე, იგი არის არაერთი მოთხრობისა და ნოველის ავტორი.

1932 წლიდან 1937 წლამდე დია ჩიანელი იყო საქართველოს საბჭოთა მწერლობის საბჭოს წევრი და ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე. 1933-1934 წლებში მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექტორად. 1915 წლიდან იგი პედაგოგიურ ასპარეზზეც მოღვაწეობდა: 1933 წლიდან 1937 წლამდე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის კურსს. იყო ავტორი სახელმძღვანელოსი „მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“ (1923 წ).

დია ჩიანელი იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი. 1934 წელს იგი დანიშნეს ამ ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების გამგედ, 1935 წელს – ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანად.

1937 წლის 28 ოქტომბერს დია ჩიანელი დააპატიმრეს. ბრალად წაუყენეს კონტრრევოლუციური საქმიანობა ვინმე არტემ ერმალოს ძე ჩიჩუას მიცემულ ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობით („შალვა სიხარულიძემ მითხრა, მწერალი ჩხეიძე კონტრრევოლუციურ მუშაობაში მე ჩავაბიო“). მწერალმა ეს ბრალდება, როგორც მტკნარი სიცრუე, კატეგორიულად უარყო*. იგივე გაიმეორა მან 1937 წლის 27 დეკემბერს მეორე დაკითხვაზეც, მაგრამ მას ახალი ბრალდებაც წაუყენეს: ი. ხოშტარიას წიგნის რედაქტორობისას ლექსში „დავირაზმებით“ ტროცკის ციტატა იყო შეტანილი და ყურადღება არ მიგიქცევიაო. ეს ლექსი მანა-

* 1954 წელს, ოჯახის თხოვნით, დავით ჩხეიძის საქმე გადაისინჯა და გაირკვა, რომ იმხანად სამი შალვა სიხარულიძე არსებობდა. როგორც აღმოჩნდა, დია ჩიანელის კონტრრევოლუციონერობაზე არცერთს არაფერი ჰქონია ნათქვამი. მწერალს მთავარ ბრალად წაუყენეს 1918-1921 წლებში მენშევიკური პარტიის წევრობა, რასაც თითქოს მალავდა.

მდე „კომუნისტშიც“ დაიბეჭდა, მაგრამ მაშინ ამაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია.

24 ნოემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მწერალთა საერთო კრებამ დია ჩიანელს ბრალად დასდო მწერალთა ორგანიზაციაში არევ-დარევის შეტანა, ახალგაზრდა მწერლების მიმართ უყურადღებობა, ფულის განიავება და სხვ* (კვერენჩხილაძე 2014: 444). 26 ნოემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმაც დაადასტურა დია ჩიანელის კავშირის რიგებიდან გარიცხვა.

პატიმრობის პირველ დღეებში მწერალი როგორღაც ახერხებდა მეუღლისთვის, ფაცია გოგოძე-ჩხეიძისთვის, პაპიროსის ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ბარათების გადაცემას. მწერლის მეუღლე ასე იგონებდა მისი ოჯახისთვის იმ უმძიმეს პერიოდს: „ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს და იქ გაგვიჩნდა ერთი ქალი, რომელიც დიას წერილებს გვაწვდიდა. წერილებში დია გვარწმუნებდა, რომ დამნაშავე არ იყო. უკვე დარწმუნებული დაპატიმრებულთა უდანაშაულობაში, გულისტკივილით წერდა: „ვზივართ აქ განათლებული და გაუნათლებელი ხალხი. ყველანი ალალმართლები, მაგრამ ჩანს, პარტიას სჭირდება მსხვერპლი. ჩვენ ამისთვისაც მზად ვართო... აწიოკებულ და გაჭირვებულ ოჯახს მოგვადგა ინსტიტუტის ერთი თანამშრომელი და გამოგვიცხადა: ეს ბინა მე მომცეს და უნდა დამიცალოთო. მე ვიცოდი, რომ იმ ბინაში არ დამტოვებდნენ და გამომასახლებდნენ, მაგრამ იმ კაცს ვთხოვე, მომეცით საშუალება, რომ სკოლის არდადეგების დაწყებამდე აქ დავრჩე, მერე კი თბილისში მივდივარ მამაჩემთან, აქ რომც მთხოვოთ, არ დავრჩები-თქო; არაო, დაიჟინა მოსულმა, მე ახლა ოჯახს ვაწყობ და ბინა დამიცალეთო. მეგონა პატარა მოწყალებას გამოიჩენდა და დამტოვებდა ცოტახანს, მაგრამ მალე კვლავ მომადგა სამი მილიციონერით და ძალისძალით გამოგვასახლეს. უკვე აცივებული იყო, წვიმდა, აკანკალებული ბავშვები იმ მილიციონერებს უფრო ებრალებოდათ, ვინემ ჩემ დიას კოლეგას (ბრეგაძე 1990: 39).

---

* იხ: კვერენჩხილაძე რ. „წამების გზა“, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014, გვ. 444.

საქართველოს სისხლის სამართლის საქმეთა საარქივო მასალებში აღმოჩენილი სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატის სამეულის სხდომის ოქმის (№79, 31.XII, 1937 წ.) მიხედვით, დია ჩიანელს ბრალი დასდეს კონტრრევოლუციურ-მავნებლურ საქმიანობაში და მიუსაჯეს დახვრეტა ქონების კონფისკაციით.

დია ჩიანელი 1937 წლის 31 დეკემბერს, ახალი წლის წინა ღამით გაასამართლა სამეულმა და მიუსაჯა დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით. იგი დახვრიტეს 1938 წლის 12 იანვარს. სამეული, რომელმაც ის გაასამართლა, საგანგებოდ იმისათვის იყო შექმნილი, რომ „განსაკუთრებული საქმების გადაწყვეტილებანი პირველი კატეგორიით დაუყოვნებლივ მოყვანილიყო სისრულეში“ (სტალინი).

(საქართველოს შსს არქივის ერთ-ერთი ინფორმაციით 1945 წლის 25 დეკემბერს, თითქოს, ოჯახს აცნობეს, რომ დავით ჩხეიძე გარდაიცვალა პლევრიტით), რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

დამოწმებანი:

ბრეგაძე 1990: ბრეგაძე, დ. *არდავიწყება მოყვრისა. დია ჩიანელის ცხოვრება და მოღვაწეობა.* ქუთაისი: „საქართველო“, 1990.

კვერენჩხილაძე 2014: კვერენჩხილაძე რ. *„წამების გზა“*. თბილისი: „უნივერსალი“, 2014.

სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატის სამეულის სხდომის ოქმი № 79, 31.XII, 1937 წ.

მოისმინეს: საქმე № 27088 – ჩხეიძე (ჩიანელი) დავით (დია) მელიტონის ძე, დაბ. 1891 წ. სოფ. დიმი, ბაღდადის რაიონი. მცხ. ქ. ქუთაისში. ბრალდებულია იმაში, რომ 1918-1921 წლებში იყო მენშევიკური პარტიის წევრი, 1930 წელს შევიდა სკკპ რიგებში. 1937 წელს შალვა სიხარულიძემ ჩააბა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში და მისი დავალებით ეწეოდა კონტრრევოლუციურ-მავნებლურ საქმიანობას.

დაადგინეს: ჩხეიძე (ჩიანელი) დავით (დია) მელიტონის ძეს მიესაჯოს დახვრეტა (კუთვნილი ქონების კონფისკაციით).

სამეულის თავმჯდომარე: სერგო გოგლიძე
წევრები: ილარიონ ტალახაძე, შალვა წერეთელი
მდივანი – მოროზოვი.

ადა ნემსაძე

ლევან გოთუა

ცნობილი ქართველი მწერალი **ლევან პართენის ძე გოთუა** დაიბადა 1905 წლის 25 თებერვალს (ახ. სტილით 10 მარტს) თბილისში. მისი მამა, პართენ გოთუა, მრავალმხრივი მოღვაწე იყო: პედაგოგი, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი... მას პირველი ხარისხის დიპლომით ჰქონდა დამთავრებული ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და სამშობლოში დაბრუნებისთანავე პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებშიც. იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი და პარტიის საარჩევნო სიაში მე-12 ნომრადაა შეყვანილი* (ბუნებრივია, ამან გავლენა იქონია შვილის პოლიტიკურ ორიენტაციაზეც). 1921 წელს, 16 წლის ასაკში, ლევან გოთუაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ხდება.

ჯერ კიდევ 15 წლისა იყო ლევან გოთუა, როცა პირველად დააპატიმრეს მთელ ოჯახთან ერთად დის ქორწილში და შემოწ-

* შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო 23332, ყუთი 58, კახიშვილი ს. ნ. (თანდართული დოკუმენტი)

მების შემდეგ მეორე დღესვე სახლში დააბრუნეს მამასა და ძმასთან ერთად. 1921 წლის იმ საბედისწერო დღეებში კი მალულად მოხალისედ ჩაწერილა და ომშიც წასულა, მაგრამ სანგარში გაციებულა და სახლში დაუბრუნებიათ (ბარბაქაძე 2009: 43-44).

ლევან გოთუამ 1923 წელს დაამთავრა მე-8 ტექნიკუმი და მამის რჩევით სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე განაგრძო. რა თქმა უნდა, 20-იან წლებში საბჭოთა რეჟიმს არ გამოჰპარვია მისი ეროვნული მისწრაფებანი...

1925 წლის 21 აგვისტოს, ახალციხის მაზრის პოლიტბიუროს უფროსის კალანდაძის განკარგულებით, იმჟამად ფრიდონოვის აგარკაზე მცხოვრები ლევან გოთუა დააპატიმრეს და მისი ბინა გაჩხრიკეს. ჩხრეკისას ამოღებული „დოკუმენტები 78 ფურცლად“ თბილისში გადმოგზავნეს. მკვლევარი რ. კვერენჩხილაძე ამ დაპატიმრების შესახებ წერს, რომ ლ. გოთუა თბილისიდან გამოგზავნილ დასახვრეტთა სიაში იყო და მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ გაგზავნა რამდენიმე დღით შეფერხდა, ამასობაში კი მასობრივი დახვრეტები შეაჩერეს (კვერენჩხილაძე 2014: 46-47). გამოძიება რეკორდულ დროში, 5 დღეში დაამთავრეს და 1925 წლის 28 აგვისტოს ლევან გოთუას, როგორც გამოუსწორებელ დამნაშავეს, საქ. სსკ-ის 62-ე მუხლის თანახმად, მიუსაჯეს საქართველოს სსრ-ის საზღვრებიდან რსფსრ-ის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში 3 წლით გადასახლება მკაცრი იზოლაციით (მასთან ერთად გაასამართლეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 5 წევრი). აღნიშნული დადგენილება უცვლელად დაამტკიცა 1925 წლის 3 სექტემბერს საქ. საგანგებო კომისიის კოლეგიის განსაკუთრებულმა სათათბირომ, ხოლო 25 სექტემბერს – გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებულმა სათათბირომ. იმავე წლის დეკემბერში ლევან გოთუას ამნისტიაზეც უარი უთხრეს.

1926 წლის 10 მაისს სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ლევან გოთუა გაათავისუფლეს საკონცენტრაციო ბანაკიდან, მაგრამ აუკრძალეს ცხოვრება 6 ცენტრალურ პუნქტსა (მოსკოვის, ლენინგრადის, ოდესის, კიევის, ხარკოვის ოლქები და ამიერკავკასია)

და საზღვრისპირა გუბერნიებში. ამიტომ იგი საქართველოსთან ყველაზე ახლომდებარე პუნქტში, ვლადიკავკაზში დასახლდა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა იქაურ ქართულ სკოლაში (ბარბაქაძე 2009: 46). ნელ-ნელა იწურებოდა სასჯელის ვადა, მაგრამ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (ОГПУ) მის გათავისუფლებას არ აპირებდა. 1928 წლის 6 ივლისს ლ. გოთუას კიდევ 3 წლით გაუგრძელეს თავისუფალი გადასახლების ვადა, რითაც ამიერკავკასიაში ცხოვრება კვლავ ეკრძალებოდა.

ეს გაგრძელებული ვადა 1931 წელს იწურებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ლევან გოთუას ვეღარ გაუძლია ამდენი უკანონო სასჯელისა და მუდივი მეთვალყურეობისათვის და სსრკ-დან გაქცევა განუზრახავს. იგი 1930 წლის დეკემბერში ორ მეგობართან ერთად ჩავიდა ბათუმში, საიდანაც ვიღაც საზღვრის კარგად მცოდნე აფხაზს უნდა გადაეყვანა თურქეთში, მაგრამ, გადასვლის მცდელობისას, 16 დეკემბერს დაიჭირეს ჭოროხის რაიონში.

გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ) კოლეგიამ 1931 წლის 3 აპრილს ლევან გოთუას მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა (მუხლები: 58/10, 84 და 82-ის II ნაწილი). სოციალური დაცვის სასჯელის მოხდა შუა აზიაში, ИТЛагер-ში გადაუწყვიტეს. გაგზავნამდე მეტეხის ციხეში მყოფ პატიმრებს ერთობლივად დაუწერიათ განცხადება, რომელშიც უარს ამბობენ ბრძოლაზე და არსებულ რეალობას ურიგდებიან.

რა თქმა უნდა, ამგვარი განცხადება ვერაფერს შეცვლიდა და ასეც მოხდა. 1931 წლის 3 ივნისს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განსაკუთრებულმა სათათბირომ სასამართლოს გადაწყვეტილება დაამტკიცა. უაღრესად საინტერესოა ქვეშ მიწერილი ერთი ფრაზა: *„გადაბირება მიზანშეწონილი არაა, რადგან არაა გულწრფელი“*. ჩეკაშიც მიმხვდარან, რომ ეს მრავალგზის აპრობირებული ფორმა ლევან გოთუასთან არ გაჭრიდა. იგი 1931 წლის ივლისში ქ. ტაშკენტში გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შუა აზიის ბანაკში გაამგზავრეს ეტაპით.

ჩეკას გამოცდილ თანამშრომლებს პატიმრის შეფასება არ ეშლებოდათ (აკი ე.წ. „დავერბოვკებაზეც“ ამიტომ აიღეს ხელი!), ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა ლევან გოთუას საქციელით. ტაშკენტში იგი იქ გადასახლებულ მენშევიკებს დაკავშირებია, მერე კი თურქეთში გაქცევაც დაუგეგმავს, მაგრამ, როგორც ჩანს, გაუგეს და ვერც ეს განზრახვა შეისრულა.

1933 წელს ეს ვადაც იწურებოდა. მწერალს კიდევ ერთხელ უცდია ვადამდე გათავისუფლების მიღება, მაგრამ კვლავ უარი უთხრეს. მიუხედავად მისი დადებითი დახასიათებისა პატიმრობის პერიოდში („მისი დამოკიდებულება შრომისადმი და ყოფა-ქცევა კარგია“), „დავერბოვკებისათვის“ გამოუსადეგარი პატიმრის გაშვება კვლავ საშიშად მიუჩნევიათ და 1933 წლის 15 ივლისს ლევან გოთუასთვის პატიმრობის ვადა 3 წლით გაუგრძელებიათ.

1936 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა პართენ გოთუა. იმავე წელს ლევანი გადასახლებიდან დაბრუნდა, მაგრამ აეკრძალა თბილისში ცხოვრება. ამის ნება მხოლოდ 1938 წელს მისცეს. თუმც იგი ყველგან გრძნობდა ჩეკასგან მიჩენილ მოთვალთვალეს.

კიდევ ერთი დაპატიმრების შესახებ ჟურნალ „საარქივო მოამბეში“ დაბეჭდილი მასალით ვიგებთ: 1946 წელს ლ. გოთუა კვლავ დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით და 10 წელი მიუსაჯეს ქ. ვორკუტის შრომა-გასწორების ბანაკში (ეს დოკუმენტები საქმეში არ არის) (ბარბაქაძე 2009: 48-49). ამ ბოლო გადასახლების შესახებ ცნობებს გვაწვდის რ. კვერენჩხილაძის დასახელებული ნაშრომიც (კვერენჩხილაძე 2014: 51-63).

ლევან გოთუამ რეაბილიტაცია მოგვიანებით მიიღო. 1960 წლის 10 აპრილს პროკურატურამ საქმის მასალები გადაუგზავნა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს გადასინჯვისათვის. იმავე წლის 25 აპრილს კი პროკურორის მოადგილე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი ა. გიგაური პროტესტით მიმართავს საქ. სისხლის სამართლის უმაღლეს სასამართლოს, რომ 1925 წელს 3 სექტემბერს ლ. გოთუასა და მასთან გასამართლებულ პირებს იურიდიული კვალიფიკაციის გარეშე მიესაჯათ სოლოვკის საკონცენტრაციო ბანაკში გადასახლება, რის გამოც მოითხოვა

ბრალდების საქმის შეწყვეტა. პროტესტი 1960 წლის 27 მაისს განიხილა უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (თავ-რე გაჯიევი, ნ. წევრები: ნ. აკაბა, გ. ლომიძე) და ბრალის დაუმტკიცებლობის გამო დააკმაყოფილა, ამის შედეგად ლ. გოთუამ და მასთან ერთად გასამართლებულმა პირებმა რეაბილიტაცია მიიღეს.

უსამართლოდ ნატანჯი და უამრავგაჭირვებაგამოვლილი მწერალი 1960 წელს სამშობლოში დაბრუნდა და არმაზში დასახლდა. ამის შემდეგ მთელი თავისი ძალა და ენერგია მხატვრული სიტყვის სამსახურს მოახმარა. ლევან გოთუა გარდაიცვალა 1973 წლის 30 იანვარს და დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში.

დამოწმებანი:

ბარბაქაძე 2009: ბარბაქაძე მ. *22 წელიწადი გადასახლებაში.* ჟ. „საარქივო მოამბე“, 2009, № 7, ოქტომბერი, გვ. 42-61.

კვერენჩხილაძე 2014: კვერენჩხილაძე რ. *წამების გზა.* წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014.

დადგენილება*

1925 წლის 28 აგვისტოს მე, საქ. საგანგებო კომისიის (ჩეკას) პირველი განყოფილების უფროსმა, ზუბოვმა, განვიხილე რა არსებული საქმე 614-612 სსსრ სისხლის სამართლის კოდექსის 62 მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით მოქალაქეებისა:

1) ვაშაკიძე ბესარიონი ფიოდორის ძე, 29 წლის[...]
2) შონია მიხეილ ნიკოლოზის ძე – 24 წლის[...]
3) გოთუა ლევან პართენის ძე – 20 წლის,
4) ყენია სილვესტერ მაქსიმეს ძე – 25 წლის
5) მესხი ოლიმპია ალექსანდრეს ძე – 28 წლის
6) კახაბერი ალექსანდრე ილიას ძე

* იბეჭდება კუპიურებით.

გამოვარკვიე:

1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული გამოსვლების შემდეგ, რომელიც ორგანიზებული იყო სსსრ-ის ტერიატორიაზე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის მიერ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აღმოჩნდა დეზორგანიზებულ მდგომარეობაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები – იასონ ჯავახიშვილი და მიხეილ იშხნელი – დააპატიმრეს, რის შედეგადაც სამაზრო კომიტეტები დაიშალნენ.

მეტნაკლებად შეკრული იყო ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც განაგრძობდა არალეგალურად არსებობას, 1924 წლის 20 ნოემბერს მოწვეულ იქნა არალეგალური კონფერენცია. ამ კონფერენციის სრული შემადგენლობა ცენტრალური კომიტეტის წევრის ხუხუ ხოფერიას მეთაურობით დაპატიმრებულ იქნა. ამ ფაქტიდან რამდენიმე ხნის შემდეგ არალეგალურად მომუშავე ახალგაზრდების ჯგუფმა მიმართა ჩეკას არალეგალური ორგანიზაციის დაშლის თაობაზე. ამ განცხადებას შეუერთდა არალეგალური კონფერენციის მონაწილე ყველა დაპატიმრებული პირი, რის შემდეგაც შეიქმნა საერთო დეკლარაცია ახალგაზრდული არალეგალური ორგანიზაციის დაშლის შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა მთელი შემადგენლობა. ეს ყველაფერი დასრულდა ამა წლის (1925 წ. – ა. ნ.) მაისში რესპუბლიკური სალიკვიდაციო კონფერენციის მოწვევით.

პარალელურად თავისუფლებაში რჩებიან მთავარი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები: ამირეჯიბი [შალვა], სოლომონ ზალდასტანიშვილი და ვიქტორ ზალდასტანიშვილი. ამათგან პირველი და მეორე გაიქცნენ საზღვარგარეთ. დარჩენილმა წევრებმა კი დაიწყეს არალეგალური ორგანიზაციის აღსადგენად მუშაობა. მათ შექმნეს სამი კაცისაგან შემდგარი ახალი ცენტრალური კომიტეტი და ახალგაზრდული ცენტრალური კომიტეტი, ასევე სამი წევრისაგან: ლევან გოთუა (თავმჯდომარე), ილია სარჯველაძე და იესე ფავლენიშვილი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესავსებად ამ პერიოდში ლევან გოთუასა და ვიქტორ ყარანგოზაშვილის მეშვეობით აწარმოებენ მოლაპარაკებას ბრალდებულ ალექსანდრე კახაბერთან, რათა შე-

იყვანონ იგი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. ეს მოლაპარაკებები ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, რადგან ვიქტორ ყარანგოზაშვილი და პეტრე კურცხალია დაიჭირეს. ამრიგად, პარტიის ცენტრალური კომიტეტი იქნა ლიკვიდირებული.

ამ პერიოდში ყოფილი ეროვნულ-დემოკრატებისაგან იქმნებოდა ჯგუფი, და ვინაიდან მთავარი პარტიის ცენტრალური კომიტეტი ლიკვიდირებულ იქნა, შეიქმნა ახალი ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – ბესარიონ ვაშაკიძე, წევრები: მიხეილ შონია და სილვესტერ ყენია. რამდენიმე შეკრების შემდეგ ხელახლა დაფუძნდა ცენტრალური კომიტეტი შემუშავებული გეგმით. მათ დაადგინეს, რომ პარალელურად არსებობს სხვა არალეგალური, როგორც ძველი ცენტრალური კომიტეტის ნარჩენი – ახალგაზრდული ცენტრალური კომიტეტი. წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა ორივე კომიტეტის შერწყმა და ახალი ერთიანი კომიტეტის შექმნა, რომელიც შედგებოდა 7 კაცისაგან: პრეზიდიუმის წევრები: ბესარიონ ვაშაკიძე (თავმჯდომარე), მიხეილ შონია და ლევან გოთუა, პლენუმის წევრები: სილვესტერ ყენია, იასე ფავლენიშვილი და ილია სარჯველაძე (მეშვიდე ადგილი დარჩა ვაკანტური)[...]

არსებულ საქმეში ბრალდებულები, ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ბესარიონ ვაშაკიძე, წევრი სილვესტერ ყენია და I რაიონის ორგანიზატორი ოლიმპია მესხი, წარდგენილ ბრალს აღიარებენ და ადასტურებენ ზემოთქმულს. ცენტრალური კომიტეტის დანარჩენი წევრები, მიხეილ შონია და ლევან გოთუა, და ბრალდებული ალექსანდრე კახაბერი თავს დამნაშავედ არ ცნობენ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე **დავადგინე:**

ბრალდებულები ბესარიონ ვაშაკიძე, მიხეილ შონია, ლევან გოთუა და სილვესტერ ყენია ცნობილ იქნან დამნაშავეებად შემდეგში: 1923 წლიდან და სრულიად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ახალგაზრდული ორგანიზაციის 1925 წლის მაისის სალიკვიდაციო კონფერენციის დადგენილების მიუხედავად, მათ დააფუძნეს არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, რომელიც აშკარად მოქმედებდა მუშათა კლასის

დიქტატურისა და პროლეტარული რევოლუციის საზიანოდ, რაც ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62 მუხლით. ხოლო ბრალდებულები ოლიმპია მესხი და ალექსანდრე კახაბერი ცნობილ იქნან დამნაშავეებად ამ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის, რაც ასევე ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62 მუხლით.

ვადგენ: ბრალდებულების – ბესარიონ ვაშაკიძე, მიხეილ შონია, ლევან გოთუა, სილვესტერ ყენია – როგორც გამოუსწორებელი დამნაშავეების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას სოციალური დაცვის ზომა – გასახლება საქართველოს სსრ-ის საზღვრებიდან რსფსრ-ის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში 3 წლის ვადით, მკაცრი იზოლაციით; ბრალდებულები – ოლიმპია მესხი და ალექსანდრე კახაბერი – გასახლებულ იქნან კავკასიიდან 2 წლით.

ეს გადაწყვეტილება წარდგენილ იქნას ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის (ზაკ ჩეკას) სპეციალურ სხდომაზე.

დაპატიმრებისას ჩამორთმეული ნივთები დაუბრუნდეთ ბრალდებულებს.

საქმე შეწყდეს და გადაეცეს არქივს.

ცნობა: ბრალდებულები – ვაშაკიძე, შონია, ყენია, გოთუა, მესხი და კახაბერი – იმყოფებიან ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიათა (ზაკჩეკა და გრუზჩეკა) კომენდატურის მეთვალყურეობის ქვეშ.

სეკო-ს (საიდომლო კომისია) II განყოფილების უფროსი: ზუბოვი

„ვეთანხმები“ სეკო-ს უფროსი: ნაზაროვი

„ვადასტურებ“ ზამპრედგრუზჩეკა და ნაჩსოჩ ზაკ და გრუზჩეკა: ბერია

(საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის საგამოძიებო ოპერაციული ნაწილის უფროსი)

საბრალდებო დასკვნა

1931 წლის 22 მარტი ქ. თბილისი

მე, საქართველოს საგანგებო კომისიის (ЧКГ) 1-ლი განყოფილების რწმუნებული, ლეჟავა გავეცანი ძიების საქმეს 11796

მოქ. გოთუა ლევან პართენის ძე, 20 წლის, თავადი, ქ. თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, უმუშევარი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1921 წლიდან, ნასამართლევი (3 წელი საკონცენტრაციო ბანაკში, გაქცევის მომენტამდე იმყოფებოდა გადასახლებაში), ბრალდებული: სავალდებულო საცხოვრებელი ადგილიდან გაქცევაში, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში არალეგალურ მუშაობასა და თურქეთის მხარეს სსრკ-ის სახელმწიფო საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის მცდელობაში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით 58/10, 84 და 82-ის II ნაწილით.

ა ღ მ ო ჩ ნ დ ა:

ბრალდებული გოთუა ლევან პართენის ძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის კომიტეტის წევრი, 1925 წელს თანამოაზრეებთან ვაშაკიძე ბესარიონ, იოსებ ფავლენიშვილი და სხვანი ერთად გადასახლებული იყო სოლოვკაში, გარკვეული დროის შემდეგ ცხოვრობდა ვლადიკავკაზში, ქ. ყიზლარში (ეკრძალებოდა ამიერკავკასიაში გადასვლა).

საქმეში არსებული საგამოძიებო მონაცემების მიხედვით, გოთუას, ვაშაკიძეს და ფავლენიშვილს ჰქონდათ მიზანი გაქცეულიყვნენ, ჰქონდათ მიმოწერა და მიმოსვლა ერთმანეთთან და საბოლოოდ გადაწყვიტეს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა თურქეთის მხარეს. რა მიზნითაც, როგორც დგინდება, გადმოვიდნენ საქართველოში (თბილისი, ქუთაისი), სადაც ცხოვრობდნენ არალეგალურად. დეკემბრის შუა რიცხვებში ჩავიდნენ ბათუმში აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის, სადაც, ჭოროხის რაიონში, დააკავეს 16 დეკემბერს.

ჩვენებაში გოთუა კატეგორიულ უარს აცხადებს მის კავშირებზე.

ვიღებთ რა მხედველობაში ყოველივე ზემოთქმულს

მ ი ვ ი ჩ ნ ე ვ:

გოთუა ლევან პართენის ძის მიმართ არსებული ბრალდება გათვალისწინებული მუხლებით 58/10, 84 და 82-ის II ნაწილი ჩაითვალოს დამტკიცებულად, ძიების საქმე შეწყდეს და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) პროკურორის სანქციით წარდგეს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) განსაკუთრებულ სხდომაზე განხილვისათვის.

ცნობა: დაკავებული იმყოფება იზოლატორში, ჩამორთმეული 9 დოლარი და ფასიანი ნივთები ინახება საბაჟოში.

რწმუნებული: ლეჟავა
I განყოფილების უფროსი: ქობულოვი
საიდუმლო განყ. უფროსი: მელიქაძე

13 აგვისტო 1960 წ.

ც ნ ო ბ ა

გოთუა ლევან პართენის ძის ბრალდების საქმე გადასინჯულია სსსრ-ის უმაღლესი სასამართლოს მიერ 1960 წლის 27 მაისს.

საქართველოს საგანგებო კომისიის (ЧКГ) კოლეგიის განსაკუთრებული სხდომის 1925 წლის 3 სექტემბრის დადგენილება მოქ. გოთუა ლევან პართენის ძის ბრალდების შესახებ გაუქმებულია, საქმე შეწყვეტილია და იგი რეაბილიტირებულია.

სსრ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე:
ს. ქაჯაია
(ხელით მიწერილი აქვს):

ცნობა გაეგზავნა საქმეში არსებულ მისამართზე 10. IX.60 წ.

ადა ნემსაძე

სერგი დანელია

XX საუკუნის ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი **სერგი იოსების ძე დანელია** დაიბადა 1888 წლის 27 ოქტომბერს (ძვ. სტილით 15 ოქტომბერს) სენაკის მაზრის სოფელ ბანძაში*. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჯერ ხარკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1911 წელს. 1922 წლამდე რუსეთში მუშაობდა პედაგოგად, 1922 წლიდან კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორია. რაც შეეხება მის პარტიულობას, საქართველოს გასაბჭოებამდე ყოფილა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მის შემდეგ კი პარტიაში აღარ უმუშავია. ცხოვრობდა თბილისში, გრიბოედოვის ქ. 26-ში და ჰყავდა ოჯახი: მეუღლე და ორი შვილი.

1924 წლის 4 სექტემბერს სერგი დანელია დააპატიმრეს აბასთუმანში, სადაც თებერვლის თვიდან იმყოფებოდა სამ-

* ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა (1978 წ., ტ. 3, გვ. 367) და სხვა ბეჭდურ თუ ინტერნეტსაიტებზე დაბადების ადგილად მითითებულია სოფ. ნაჯახაო, მარტვილის რ-ნი. ჩვენ ვეყრდნობით შსს არქივის მონაცემებს, კერძოდ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ანკეტას, რომელსაც პატიმარი საკუთარი ხელით ავსებდა, იხ.: შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო № 24225, ყუთი 29, მგელაძე დ. ს.

კურნალო მიზნით. 1924 წლის 22 სექტემბერს მას (და მასთან ერთად დიმიტრი მგელაძეს) ახალციხის მაზრის პოლიტბიუროს რწმუნებულმა ჯიჯიეიშვილმა ბრალი წაუყენა სსკ-ში არსებული მასალის საფუძველზე და დაადგინა მათი თბილისში გადაგზავნა. ბრალად დასდეს არალეგალურ ორგანიზაციასთან კავშირი. გამოძიება იმითაც დაინტერესებულა, გააჩნდა თუ არა საგანგებო კომისიას სერგი დანელიაზე რაიმე მასალა. აღმოჩნდა, რომ იგი 1923 წლის 26 მაისსაც ყოფილა დაპატიმრებული, მაგრამ ორ თვეში გაუთავისუფლებიათ.

სასამართლომ 1924 წლის 31 დეკემბერს გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად სერგი დანელია აღიარეს დამნაშავედ მენშევიკურ არალეგალურ ორგანიზაციასთან კავშირში, მაგრამ 1924 წლის 6 ნოემბრის ამნისტიის საფუძველზე პატიმრობიდან გათავისუფლეს.

პროფესორ სერგი დანელიას ცხოვრების ეს ეპიზოდი საბჭოთა პერიოდში არ გახმაურებულა (მაშინ ბიოგრაფიებში ასეთი ფაქტების აღნიშვნას ერიდებოდნენ). ცნობა მისი ანტისაბჭოთა წარსულის შესახებ მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში გასაჯაროვდა. სხვადასხვა წყაროში გაკვრითაა ნახსენები მისი ორჯერ დაპატიმრების შესახებ, თუ როგორ გამოუცხადეს უნდობლობა, როგორც უპარტიო მეცნიერს და ლექციები წაართვეს, ამის შემდეგ კი 1927 წელს გამოცემული ნაშრომის – „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“ – გამო ნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმში დასდეს ბრალი და უნივერსიტეტიდანაც გააძევეს, აუკრძალეს ფილოსოფიის სალექციო კურსის წაკითხვაც. ყოველივე ამის მიუხედავად, იგი აგრძელებდა ლიტერატურისა და ფილოსოფიის საკითხებზე მუშაობას. სერგი დანელია იყო ფილოსოფიის დოქტორი (1927), პროფესორი (1930), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944), 1933 წლიდან სათავეში ჩაუდგა რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრას, არის XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის პირველი სისტემური კურსის შემქმნელი. წერდა სახელმძღვანელოებს, ფილოსოფიურ და ლიტერატურათმცოდნეობით სტატიებს, თარგმნიდა ბერძნული, ლათინური, ფრანგული და გერმანული ენებიდან (არისტოტელე, პლატონი, დეკარტე, რუსო...).

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი სერგი დანელია, რომელსაც საბჭოთა რეჟიმმა ბევრი სიმწარე აგემა, მაგრამ მაინც ვერ გატეხა, გარდაიცვალა 1963 წელს, დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ფონდი 6, საარქივო № 24225, მგელაძე დ. ს., დანელია ს. ი.

ამონაწერი დაკითხვის ოქმიდან: „მე ვიყავი წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა 1919 წლიდან 1920 წლის ჩათვლით, ანუ საქართველოს გასაბჭოებამდე. ამის შემდეგ მე პარტიაში აღარ მიმუშავია.

ს. დანელია“

„ვაცხადებ, რომ სრულად ვიზიარებ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დეკლარაციის ყველა დებულებას, რომელიც დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკაში“ 7. IX-ს.

სახ. უნივერსიტეტის დოცენტი: სერგი იოსების ძე დანელია

სახ. უნივერსიტეტის მუშფაკის ლექტორი: დიმიტრი მგელაძე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1924 წლის 22 სექტემბერს მე, ახალციხის მაზრის პოლიტბიუროს რწმუნებულმა ჯიჯიეიშვილმა გადავხედე დაპატიმრებულთა დიმიტრი მგელაძისა და სერგი დანელიას მიმოწერას და, მივიღე რა მხედველობაში, რომ ზემოაღნიშნული პირები დაკავებულნი არიან საქართველოს საგანგებო კომისიის დავალების თანახმად, სადაც მათ შესახებ არის მასალა, დავადგინე: მგელაძე დიმიტრი და დანელია სერგი სასწრაფოდ გადაიგზავნონ სსკ-ის განკარგულებაში.

რის შესახებაც გავეცი შესაბამისი განკარგულება.

ცნობა: ამჟამად დაკავებულები იმყოფებიან ქალაქის საავადმყოფოში ზედამხადველობის ქვეშ.

პასუხისმგებელი პირი: ჯიჯიეიშვილი

პოლიტბიუროს უფროსი: მისკანი

ცნობა

(იყო თუ არა ძებნილი, ეჭვმიტანილი ან ნასამართლევი სსკ-ში)

დანელია სერგი იყო დაპატიმრებული 1923 წელს კონტრრევოლუციის ბრალდებით, საქმე გადაეცა საქართველოს ჩეკას №59761 – 26. V. 23 წ.-დან 3. VIII. 23 წ.-მდე. იგი გათავისუფლებულ იქნა და საქმე გადაეცა არქივს.

27. IX. 24 წ.

დადგენილება

1924 წლის 31 დეკემბერს მე, საქართველოს საგანგებო კომისიის 1-ლი განყოფილების რწმუნებულმა ჯალაღანიამ, განვიხილე ძიების საქმე 920 მოქალაქეების:

1) **მგელაძე დიმიტრი სერგის ძე** – 35 წლის, ქართველი, ცოლშვილიანი, განათლება უმაღლესი, სახ. უნივერსიტეტის მუშფაკის ლექტორი, უპარტიო, ნასამართლევი არაა.

2) **დანელია სერგი იოსების ძე** – 35 წლის, ქართველი, დაოჯახებული, წარმ. გლეხი, სენაკის მაზრა, ს. ბანძა, განათლება უმაღლესი, უპარტიო, ნასამართლევი არაა.

კონტრრევოლუციაში ბრალდების გამო, რაც გამოხატულია მენშევიკურ არალეგალურ ორგანიზაციასთან კავშირში, რომელი დანაშაულიც გათვალისწინებულია საქ. სისხ. სამ. კოდ. 61 მუხლით. მაგრამ მივიღე რა მხედველობაში საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმის 6. XI. 24 წ.-ის დადგენილება №115,

ვადგენ:

მოქალაქეების დანელია სერგისა და მგელაძე დიმიტრის მიმართ გამოყენებულ იქნას ამნისტია და გათავისუფლდნენ პატიმრობიდან, ძიების საქმე შეწყდეს და გადაეცეს არქივს.

რწმუნებული: ჯალაღანია

ვადასტურებ: საქ. საგანგებო კომისიის
თავ-რის მოადგილე: ბერია

დავით ვოლსკი

მთარგმნელი, ჟურნალისტი, მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების არაერთი პერიოდული გამოცემის რედაქტორი დავით ვლადიმერის ძე ვოლსკი დაიბადა 1903 წელს ქ. ლანჩხუთში. იგი იყო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, მთარგმნელისა და სახალხო მასწავლებლის, გრიგოლ ვოლსკის ძმისშვილი. წარმოშობით პოლონელი ვოლსკები 1860-62 წლებში მეფის თვითმპყრობელობამ საქართველოში, გურიაში გადმოასახლა.



დავით ვოლსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია არსებობს. ძირითადი ბიოგრაფიული ცნობების შეკრება შესაძლებელი გახდა მისი ჩვენებიდან, რომელშიც სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაკავებული ვოლსკი დაწვრილებით ყვება საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ.

დ. ვოლსკი 1918 წლის დასაწყისში ქ. ქუთაისში შევიდა სოციალ-ფედერალისტებისგან გამოყოფილი ანარქისტ-სინდიკალისტების პარტიაში, რომელსაც ალიოშა წერეთელი მეთაურობდა*. იმავე წელს დაიწყო მუშაობა პარტიის პერიოდული გამოცემის, „მაშვრალთა ხმის“ რედაქციაში. მოგვიანებით იგი საცხოვრებლად თელავში გადავიდა, სადაც გაწევრიანდა კომუნისტური პარტიის რიგებში. მენშევიკების ხელისუფლებაში მოსვლისას მან სამხედრო სასწავლებელში ჩააბარა. ერთი პერიოდი (1927-28 წ.წ.) ტროცკისტებსაც ემხრობოდა. მიუხედავად ასეთი ცვალებადი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა, საბოლოოდ მაინც კომპრომისული გზა – კომუნისტური იდეოლოგი-

* ალიოშა წერეთელი – პროფესორი, დააკავა ნკვდ-მ, როგორც საქართველოს ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ის მსახურება აირჩია. თუმცა სისტემის ნდობა მაინც ვერ მოიპოვა და ეს არჩევანი ხანგრძლივი პატიმრობის ფასად დაუჯდა.

დ. ვოლსკი აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს მუშაობდა პერიოდულ გამოცემებში, როგორც რიგით თანამშრომლად, ისე მესვეურის რანგში, მათ შორის: გაზეთ „კომუნისტის“ ჟურნალისტად, გაზეთ „სპარტაკის“ განყოფილების გამგედ. ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები: იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე (1927), 1931 წლიდან – მისი რედაქტორი; ხელმძღვანელობდა პერიოდულ გამოცემებს: „ახალგაზრდა ბოლშევიკები“, „ახალგაზრდა ლენინელი“, „საბჭოთა აჭარისტანი“ (1931). იყო გაზეთ „მუშის“ პასუხისმგებელი რედაქტორი (1932). 1933 წ. დაინიშნა საქ. ცკ კპ-ის პარტიული გამომცემლობის დირექტორად, სადაც 1935 წლის აგვისტომდე იმუშავა. მუშაობდა ასევე პოლიტკომისრად რადიოსამმართველოსა და მთავარ ფოსტაში. ერთხანს იგი მწერალთა კავშირის მდივანიც ყოფილა.

დაპატიმრებამდე მუშაობდა ქ. თბილისში, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) გამომცემლობის – „პარტიზდატის“ გამგედ. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა გამომცემლობა “ზარია ვოსტოკაში“.

ჟურნალისტური საქმიანობის პარალელურად ვოლსკი მხატვრული თარგმანის სფეროშიც მოღვაწეობდა (ჰაგარტის რომანი „მონტეცუმას ასული“, მელეჟის „ელჭექის სუნთქვა“; თარგმნა და რუსულ ენაზე გამოსცა ჭოლა ლომთათიძის მოთხრობები). პენსიაში გასვლამდე მუშაობდა საქდესის ფოტო-კინოლაბორატორიის არქივში.

დავით ვოლსკი დააპატიმრეს 1935 წლის 19 სექტემბერს. იგი დამნაშავედ სცნეს საბჭოთა კავშირის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში. საქმე ისაა, რომ 1935 წ. დაიწყო პარტიული დოკუმენტაციის შემოწმების პროცესი, ვოლსკის კი პარტიული ბილეთი თაღლითობით ჰქონდა მოპოვებული. მას შეეშინდა, რომ საბუთების გაყალბებაში ამხელდნენ, ამიტომ გადაწყვიტა, ქვეყანა დაეტოვებინა და ირანისთვის შეეფარებინა თავი. მას

მეგზურობას უწევდა საქართველოს არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, ვინმე სოხაძე, რომელსაც ძმის მეშვეობით დაუკავშირდა. იგი დააკავეს ქ. ნახიჭევანის სასაზღვრო რაიონში და ბრალად სამშობლოს ღალატი წაუყენეს. იმავე წლის 29 სექტემბერს დანაშაულის ხელშეწყობისთვის დააპატიმრეს მისი ძმაც, გიორგი.

დავით ვოლსკიმ არ აღიარა დანაშაული, სცადა, თავი ემართლებინა, მაგრამ სასამართლომ მისი არგუმენტები მხედველობაში არ მიიღო.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1936 წელს გასამართლებული დ. ვოლსკი გადაასახლეს ვორკუტაში, სადაც სასჯელს 1956 წლამდე იხდიდა. განაჩენი შეიცვალა 1976 წლის 2 ივნისის სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით – ბრალდებულს პატიმრობის ვადა ერთ წლამდე შეუმცირდა და მოხდილად ჩაეთვალა.

ფონდი 6, საარქივო № 35114, ტ. 4, ყუთი № 31, საქმე № 7408
1935 წლის 13 დეკემბრის დაკითხვის ოქმიდან

კითხვა: ვინ გყავთ ნაცნობი ემიგრაციაში და სად?

პასუხი: ემიგრაციაში მყავს ნაცნობები: ჟორდანია ნოე – ჩემი მეზობელია სოფელში, ცარიზმის დროს ხშირად იმალებოდა დედის მხრიდან ბაბუის სახლში – სპირიდონ ჯორბენაძესთან (გარდაიცვალა), ურუტაძე გრიგოლი – ისიც ცარიზმის დროს სპირიდონ ჯორბენაძესთან იმალებოდა კოტე იმნაძე – ჩემი თანასოფლელი და მეზობელია, ვალენტინ წილოსანი – ლანჩხუთიდან, საზღვარგარეთ გაიქცა 1923 წ. ჟორდანია – ყოფილი თავმჯდომარე საქ. მენშევიკ. მთავრობისა, საფრანგეთში იმყოფება – პარიზში, ურუტაძე გრიგოლი – საქ. დამფუძნებელი კრების წევრი, ასევე პარიზშია, იმნაძე და წილოსანი არ ვიცი, სად იმყოფებიან.

კითხვა: გამოძიებას აქვს ცნობები, რომ 1927-28 წ.წ. ტროცკისტულ ოპოზიციას ემხრობოდით და „ახალგაზრდა კომუნისტში“ რედაქტორობის დროს ტროცკისტულ ცენტრს სთავაზობდით გაზეთის გამოყენებას კონტრრევოლუციური მიზნებისთვის. რას იტყოდი ამაზე?

პასუხი: არასდროს არაფერი მქონია საერთო ტროცკისტებთან, პირიქით, მათ წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ვეწეოდი როგორც პრესაში, ისე კომკავშირულ შეკრებებზე.

დადგენილება

საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 58-ე I –ა მუხლებით დავით ვოლსკის მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია და სამი წლით ხმის უფლების ჩამორთმევა. სასჯელის ზომად გიორგი ვოლსკისაც განესაზღვროს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია და სამი წლით ხმის უფლების ჩამორთმევა (გასამართლდა საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე- 17 და 58-ე I –ა მუხლებით).

დაკითხვის ოქმს ერთვის **გამომცემლობა „მერანის“** 1975 წლის 3 დეკემბრით დათარიღებული **შუამდგომლობა**, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილების უფროსის ამხ. ვ. ჭილაშვილის სახელზეა დაწერილი და დ. ვოლსკის რეაბილიტაციის თხოვნას შეიცავს. დავით ვოლსკი კოლეგების მიერ დახასიათებულია პასუხისმგებლიან, ღვაწლმოსილ პიროვნებად, პარტმუშაკად, მთარგმნელად, რედაქტორად, ახალგაზრდების ხელშემწყობად. ხაზგასმულია მისი პარტიული დამსახურება, განსაკუთრებით, “ახალგაზრდა კომუნისტში” მოღვაწეობის დროს. დასახელებულია აგრეთვე დ. ვოლსკის ლიტერატურული ნაწარმოებები და მისი თარგმანები.

შუამდგომლობას ხელს აწერენ: დირექტორის მოადგილე – ს. ნარიმანიძე, თარგმნილი ლიტერატურის რედაქციის გამგე – ნიკა აგიაშვილი.

დადგენილება

1976 წლის 2 ივნისის სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, 25-76, დავით და გიორგი ვოლსკების მიმართ განაჩენი შეიცვალა, გადაკვალიფიცირდა და შემცირდა: დ. ვოლსკისთვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთით, რაც მოხდილად ჩაითვალა; ასევე, გ. ვოლსკისთვისაც – ორი წლით, რაც ასევე მოხდილად სცნეს. კონფისკაციის მუხლი განაჩენიდან ამოიღეს.

მანანა კვატაია

ნიკო კეცხოველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აკადემიკოსი, თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ნიკო კეცხოველი 1897 წლის 26 დეკემბერს გორის რაიონის სოფელ ტყვიავში დაიბადა. 1916 წელს მან დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, 1926 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1923 წლიდან იგი იყო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის პრეპარატორი, 1926 წლიდან – ამავე კათედრის პედაგოგი, 1929 წლიდან – დოცენტი. 1933 წელს ნიკო კეცხოველი ბოტანიკის კათედრის გამგედ აირჩიეს, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა. 1937 წელს მას პროფესორის წოდება მიანიჭეს. 1945-1952 წლებში ნ. კეცხოველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ. 1963 წლიდან გარდაცვალებამდე ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი იყო.



1918 წლიდან ნიკო კეცხოველი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ჯარისკაცი, შემდეგ – ოფი-

ცერი (მე-2 საარტილერიო ბრიგადის პორუჩიკი). ამავე დროს ის ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. „იგი იყო საქართველო-სომხეთის ომის (1918 წლის დეკემბერი), თურქი ასკერების წინააღმდეგ ბრძოლის (1919) და ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელი საოკუპაციო არმიის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლების (1921 წლის თებერვალი) მონაწილე... სომხების წინააღმდეგ ომის დროს კეცხოველი ხელში დაიჭრა“ (ურუშაძე 2009: 25). იგი ლაზარეთში მოუნახულებია გენერალ გიორგი მაზნიაშვილს და სიმამაცისა და თავდადებისათვის წმინდა გიორგის ჯვრით დაუჯილდოებია. 1919 წელს ახალციხის სოფელ უდესთან თურქ ასკერებთან ბრძოლაში დაღუპულა კეცხოველის მეგობარი პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი (“მთის ნიავი”).

მომავალი მეცნიერისა და მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა თბილისის ქართულმა სათავადაზნაურო გიმნაზიამ და მისმა იმდროინდელმა დირექტორმა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებელი იყო. 1917 წელს 20 წლის ნიკო კეცხოველი ამ პარტიის ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა და მალე პარტიის აქტიური წევრი გახდა. 1919 წლის იანვარში გაზეთმა “საქართველომ” (№ 18) დაბეჭდა განცხადება დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით, იმავე წლის 14-16 თებერვალს რომ უნდა ჩატარებულიყო. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა სიაში 107-ე ნომრით შეიყვანეს „ნიკო კეცხოველი, ქართველი ჯარისკაცი“ (სიის სათავეში კი იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე და სხვები).

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისთანავე ქვეყანაში წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყო. „ნიკო კეცხოველი აქტიურად ჩაება იატაკქვეშა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1922-1923 წლებში იგი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პარტიის არალეგალური კომიტეტისა და სამხედრო კომიტეტის წევრი. 1922-1923 წლებში იგი იყო ანტისაბჭოთა პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციიდან

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრი“ (ურუშაძე 2009: 25).

ლევან ურუშაძის მითითებით, ჯერ კიდევ პარიტეტული კომიტეტის შექმნამდე, 1921 წლის ზაფხულში, შედგა კოოპერატივ „ქართლის“ შეკრება პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძის, პოლკოვნიკ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის, პოლკოვნიკ როსტომ ამირეჯიბის, ნიკო კეცხოველისა და რამდენიმე სხვა პირის შემადგენლობით. ამ თავყრილობას თავმჯდომარეობდა დათა ვაჩნაძე. დღის წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი: საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლების ორგანიზება (ეს კოოპერატივი თავის დროზე კოტე აფხაზის ინიციატივით შექმნილა).

1922 წლის აგვისტოში დამარცხდა კახეთისა და ხევსურეთის აჯანყება ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, 1923 წლის თებერვალში კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, სტუდენტმა კ. მესაბიშვილმა „სამხედრო ცენტრის“ მთელი შემადგენლობა გასცა, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. 1923 წლის მაისში „ჩეკას“ დადგენილებით დახვრიტეს: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, გენერალი კ. აფხაზი, გენერლები: ა. ანდრონიკაშვილი, ვ. წულუკიძე, პოლკოვნიკები: გ. ხიმშიაშვილი, ელ. გულისაშვილი, ალ. მაჭავარიანი, დიმ. ჩრდილელი, როტმისტრები: სიმ. მუხრან-ბატონიშვილი, ფ. ყარალაშვილი, ასევე, ლ. კლიმიაშვილი, მ. ზანდუკელი, ი. კერესელიძე, ს. ჭიაბრიშვილი, ივ. ქუთათელაძე. „ამ გარემოებით გამწარებული ხალხი უფრო დიდი ენერგიით შეუდგა მზადებას აჯანყებისათვის“ (ზალდასტანიშვილი 1994: 21).

უმოწყალოდ დახვრეტილ მამულიშვილებთან ნიკო კეცხოველსაც ჰქონდა ურთიერთობა. მისი საქმიანობა საქართველოს საგანგებო კომისიისთვისაც გახლდათ ცნობილი. კეცხოველის საქმეში დაცული დოკუმენტური მასალების მიხედვით, პარიტეტული კომიტეტის წევრებს შორის მისი გვარი უკვე 1923 წლის მარტში ფიგურირებდა. 1923 წლის 3 მარტს მისი ბინაც გაუჩხრეკიათ. 1922 წლის 22 დეკემბრიდან საგანგებო კომისია უთვალთვალებდა იასონ ჯავახიშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, ნიკო კეცხოველს და სხვა მამულიშვილებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ნიკო კეცხოველის საქმე*, რომელშიც მისი ბიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალაც გვხვდება. მეცნიერის დაპატიმრების ორდერის (№ 6261) მიხედვით, კონტრრევოლუციასთან, ბანდიტიზმთან, თანამდებობრივ დანაშაულსა და შპიონაჟთან ბრძოლის საგანგებო კომისიას ნიკოლოზ კეცხოველი 1923 წლის 26 მაისს დაუკავებია. კეცხოველის დაპატიმრების ორდერს ხელს აწერენ: საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ე. კვანტალიანი, იმავე კომისიის საიდუმლო ოპერატიული ნაწილის ხელმძღვანელი ლ. ბერია.

საქმეში ჩაკერებულ ერთ-ერთ დოკუმენტში კეცხოველის დაპატიმრების საყურადღებო დეტალებია გადმოცემული: „26.V-23 წელს, 10 საათზე, ოლგას ქუჩაზე, საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტმა დააპატიმრა საეჭვო ტიპი, „ბოროდა“, რომელმაც დაპატიმრების დროს საკუთარი თავი გორის გუბერნიის იგნეთის მცხოვრებ ნიკოლოზ მინდიაშვილად წარადგინა, მაგრამ გამოძიების დროს დადგინდა, რომ ის არის მენშევიკების იატაკქვეშეთში წასული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველი, რაც ამ უკანასკნელმა აღიარა. შემდგომი დაკითხვით გამოირკვა, რომ მან დოკუმენტები ფიქტიურად მიიღო მოქალაქე გიორგი ტატიაშვილისაგან. დაპატიმრებულის თქმით, ნიკოლოზ კეცხოველი ოლგას ქუჩაზე დაატუსაღა საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტმა, რომელმაც იარაღით ხელში ის დაპატიმრებულად გამოაცხადა“. ეს ფაქტი ნიკო კეცხოველის ჩვენებაშიცაა დადასტურებული.

საქმეში ჩართულია ნ. კეცხოველის რამდენიმე ანკეტა და დაკითხვის ოქმი. ამ დოკუმენტების მიხედვით, ნ. კეცხოველი დაკავებისთანავე დაუკითხავთ. გამომძიებლის შეკითხვები ძირითადად მის პარტიულ საქმიანობას ეხებოდა. დაპატიმრებულის თქმით, 1916-1917 წლებში, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლის დროს, მისთვის ამხანაგებს შეუთავაზებიათ, საიდუმლო ორგანიზაციაში შესულიყო, რაზეც მას თანხმობა განუცხადებია. „საღამოობით ვიკრიბებოდით და ვკითხულობდით ლიტერატურას“, – უღიარებია ბრალდებულს. მართალია,

* ფ. 6, საარქივო № 23313, ტ. 2, ყუთი 55.

ნიკო კეცხოველი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი ძირითადი საქმე სამეცნიერო საქმიანობა იყო, მაგრამ, ჩანს, იგი იძულებული გამხდარა, არალეგალურ მოღვაწეობაზეც ესაუბრა. კერძოდ, უღიარებია, რომ ქართლში სამეცნიერო მივლინების დროს მას გაუცნია სპირიდონ კედია და ამ უკანასკნელს მისთვის თანამშრომლობა შეუთავაზებია.

1923 წლის 30 მაისს ბრალდებულის დაკითხვა კვლავ გაგრძელებულა. ამჯერად მას მოსთხოვეს, პარიტეტულ კომიტეტთან კავშირზე ესაუბრა. ბრალდებულმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და შენიშნა, რომ სამსახურის გამო 1922 წლის მაისის ბოლოდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე თბილისიდან შორს იმყოფებოდა. დედაქალაქში დაბრუნების შემდეგ მას წაუკითხავს ორი მოხსენება: „აგრარული საკითხი საქართველოში“ და „როგორი უნდა იყოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აგრარული პლატფორმა“.

ნიკო კეცხოველის ჩვენების ტექსტიდან ჩანს, რომ დაკითხვის დროს იგი ცდილობს, პოლიტიკურ საკითხებს გვერდი აუაროს: „ჩემი მოწოდება სამეცნიერო საქმიანობაა აგრონომიის სფეროში. დროის მცირე მონაკვეთში ბევრი რამ მოვასწარი: დავამთავრე და დავწერე გამოკვლევა ქართლის მინდვრის სარეველა მცენარეებზე... ამ მუშაობის პროცესში მე პარტიის საქმიანობას ჩამოვშორდი“. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დამოკიდებულების შესახებ კეცხოველი აცხადებს: „მე ცენტრალურ კომიტეტში შევდიოდი, როგორც ახალგაზრდული ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე“*.

ნიკო კეცხოველი არ პასუხობს კითხვებს პარიტეტული კომიტეტისა და მისი ცალკეული წევრების საქმიანობის შესახებ, თუმცა აღიარებს ამ კომიტეტის არალეგალური მუშაობის საბოლოო მიზანს: „საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით“. ჩვენების ბოლოს მითითებულია, რომ ბრალდებული ავადმყოფობას იმიზეზებს და გამომძიებელ ჟაროვს დაკითხვის მეორე დღეს გაგრძელებას სთხოვს.

1923 წლის 5 ივნისის ნიკო კეცხოველის ჩვენებიდან ცნობილი ხდება, რომ გამომძიებელი მისგან ითხოვს დაასახელოს ბინა,

* ფ. 6, საარქივო № 23313, ტ. 2, ყუთი 55.

სადაც 1922 წლის ნოემბრის ბოლოს თუ დეკემბრის დასაწყისში იკრიბებოდნენ პარიტეტული კომიტეტის წარმომადგენლები: კონსტანტინე აფხაზი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, მიხეილ იშხნელი და წინამძღვრიშვილი. ბრალდებული კითხვას კვლავ თავს არიდებს: „ახლა ვერ ვიხსენებ. თუ გავიხსენე, გეტყვით“.

მალე ნიკო კეცხოველი იძულებული გამხდარა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში შემავალ პირთა გვარებიც ჩამოეთვალა (რაც საგანგებო კომისიამ ისედაც კარგად იცოდა). „თავმჯდომარე იყო აფხაზი კონსტანტინე, მაგრამ მას ხშირად იასონ ჯავახიშვილი ცვლიდა, ისვე ყოველთვის წერდა სხდომების ოქმებს, (წევრები): მიხეილ ჯავახიშვილი, იშხნელი მიხეილ, წინამძღვარი (წინამძღვრიშვილი)“. ახალგაზრდული ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტთან დაკავშირებით კი განუცხადებია: „თავმჯდომარე ზოგჯერ მე ვიყავი, ზოგჯერ ელისე პატარიძე. წევრები: ლეო დგებუაძე, მიშა გოგიაშვილი, ს. მუსხელიშვილი“.

ამავე ჩვენებაში მითითებულია, თუ სად იკრიბებოდა პარიტეტული კომიტეტი: „სხდომები ტარდებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტში, მამაკაცთა ტუალეტის ახლოს, დერეფანში, 8 საათის შემდეგ. განიხილებოდა საკითხი პროტესტის ნიშნად გაფიცვის შესახებ სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული წმენდის გამო, პოლიტიკური ნიშნით სტუდენტების გაძევებისა და უნივერსიტეტში სტუდენტური მმართველობის არარსებობის გამო. დაადგინეს, რომ გაფიცვა უაზროა და გადაწყდა, ლექციები არ შეწყვეტილიყო“.*

როგორც ირკვევა, დაკავებულ ნიკო კეცხოველს აუკრძალეს ურთიერთობა სხვა პატიმრებთან, კერძოდ, მიხეილ და იასონ ჯავახიშვილებთან. ამას მოწმობს ზემოხსენებულ საქმეში არსებული 1923 წლის 26 ივნისით დათარიღებული დოკუმენტი, გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“. მას ხელს აწერს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ე. კვანტალიანი. წერილი I გამასწორებელი სახლის უფროსის სახელზეა, იმ სახლისა,

* ფ. 6, საარქივო № 23313, ტ. 2, ყუთი 55.

სადაც ნიკო კეცხოველი ივნისის შუა რიცხვებში მკურნალობის საბაბით გადაიყვანეს. ამავე დროს, სპეციალურ მიმართვაში მითითებული ყოფილა, რომ აუცილებელი იყო კეცხოველის იზოლირება მიხეილ და იასონ ჯავახიშვილებისაგან. ნიკო კეცხოველს განუცხადებია, რომ პატიმრობისას არაერთხელ ჰქონდა მოლაპარაკება მიხეილ ჯავახიშვილთან. ამის გამო საიდუმლო წერილში საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს I გამასწორებელი სახლის უფროსისაგან ახსნა-განმარტებაც მოუთხოვია და მას მკაცრად დამუქრებია.

ნიკო კეცხოველის საქმეში დევს მანქანაზე ნაბეჭდი დადგენილება (რუსულ ენაზე), რომელიც 1923 წლის 3 აგვისტოთი თარიღდება. საქართველოს საგანგებო კომისიის საიდუმლო ოპერატიული ნაწილის საიდუმლო კომისიის რწმუნებულ ნ. ჟაროვს განუხილავს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველის საქმე კონტრრევოლუციის ბრალდებით: „1922 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციის ფორმირების შემდეგ ნიკოლოზ კეცხოველი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტური ორგანიზაციის წევრი და შემდგომ მისი თავმჯდომარე. არალეგალურ ორგანიზაციაში მუშაობისა და მისი ხელმძღვანელობის პერიოდში კეცხოველი მის საქმიანობაში ძალზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა. სტუდენტური ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტისაგან ნიკოლოზ კეცხოველი შედიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში, როგორც თავმჯდომარე, ასევე, კეცხოველი იყო თავმჯდომარე პარიტეტულ კომიტეტში სტუდენტთა და ახალგაზრდათა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისა“.

კონტრრევოლუციის ბრალდებით დაკავებულ ნიკო კეცხოველსა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებს (მ. ჯავახიშვილის, იას. ჯავახიშვილსა და სხვებს) სასტიკი სასჯელი (სავარაუდოდ, დახვრეტა) ელოდათ. როგორც ჩანს, შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი გონივრული გამოსავალი მოიძებნა: პატიმრები იძულებულნი გამხდარან, დათანხმებოდნენ საგანგებო კომისიის მოთხოვნას და 1923 წლის 3 აგვისტოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

ლიკვიდაციას მოაწერეს ხელი. შესაბამისად, საქართველოს საგანგებო კომისიამ ძიება შეწყვიტა და ნიკოლოზ კეცხოველი ამავე წლის 4 აგვისტოს პატიმრობიდან გაათავისუფლა.

ნიკო კეცხოველის საქმეში ერთი საინტერესო ინფორმაციაც აღმოჩნდა: 1922 წლის 1 დეკემბრით თარიღდება ვინმე „კოლიას“ (ჩანს, ეს მეტსახელია ერთ-ერთი აგენტისა, რომელიც ნიკო კეცხოველთანაც იყო დაახლოებული – მ.კ.) შეტყობინება: ერთ-ერთმა ორგანიზაციამ გადარიცხა 80 ათასი მანეთი ოქროთი, რითაც “მათ იყიდეს სტამბა და განზრახული აქვთ გაზეთ “საქართველოს” გამოცემა. სტამბაში იმუშავებენ: კეცხოველი, სონღულაშვილი და ერთი უცნობი პირი”. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის პერიოდულმა ორგანომ, გაზეთმა „საქართველომ“, ქვეყნის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ (1921 წლის თებერვალი), არსებობა შეწყვიტა. ჩანს, ნიკო კეცხოველი და მისი თანამებრძოლნი ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ეს გაზეთი არალეგალურად მაინც გამოეცათ.

ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში, კერძოდ, 1919-1920 წლებში, „საქართველოსთან“ ნიკო კეცხოველიც თანამშრომლობდა (გაზეთის რედაქტორი ამ დროს გერონტი ქიქოძე იყო). მას აქ რამდენიმე სტატია დაუბეჭდავს: „წერილი ქართლიდან“, „ბარათი თუშებზე“. ნიკო კეცხოველის კალამს ეკუთვნის მრავალი ლიტერატურული ნარკვევი, ნოველა თუ მოთხრობა. მკითხველთა შორის პოპულარობით სარგებლობდა მისი წიგნები: „თოვლიან მთებში“ (1927), „ცხრათვალა მზის ქვეშ“ (1968), „მეცხრე მთაც გადავიარე“ (1976), „კიდევაც დაიზრდებიან“ (1978) და სხვ. ღვაწლმოსილი მეცნიერი, მწერალი და მოღვაწე 1982 წლის 26 დეკემბერს გარდაიცვალა.

1990-იან წლებში კიდევ ერთ საიდუმლოს აეხადა ფარდა. მეოცე საუკუნის ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა მითითებით, 1941-1942 წლებში თბილისში მოქმედებდა ქართველი სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენელთა ანტისაბჭოთა ჯგუფი, რომელიც თანაუგრძნობდა „სამანს“, ფარულ პატრიოტულ ორგანიზაციას. მასში შედიოდნენ ცნობილი მეცნიერები: გიორგი წერეთელი, ნიკო კეცხოველი, ნიკო მუსხელიშვილი,

დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, მიხეილ ზანდუკელი და სხვანი. „1942 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრშიც კი შედგა შეხვედრა, რომელზეც გავრცელდა საგანგებოდ სპეციალურ თხელ ქაღალდზე დაბეჭდილი ბროშურა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“ (ურუშაძე 2009: 27). ხსენებულ ჯგუფს საქმიანობა 1942 წლის დამლევს, ეროვნული მოძრაობის გეგმების ჩაშლის შემდეგ შეუწყვეტია.

დამოწმებანი:

ზალდასტანიშვილი 1994: ზალდასტანიშვილი ს. *საქართველოს 1924 წლის ამბოხება*. თბილისი: 1994.

ურუშაძე 2009: ურუშაძე ლ. *უცნობი ნიკო კეცხოველი*. ჟ. “ფუძე”, 2009, №1.

მიხეილ კინწურაშვილი (იასამანი)

მიხეილ პავლეს ძე კინწურაშვილი (იასამანი) 1885 წლის 7 აპრილს სენაკის რაიონის სოფელ შხეფში დაიბადა. მწერლის ავტობიოგრაფიის მიხედვით*, კინწურაშვილების ოჯახში 9 დაძმა ყოფილა. მომავალი პოეტი 7 წლისა კერძო სკოლაში შეუყვანიათ, 8 წლისას კი ჯერ სენაკის სასწავლებელში, შემდეგ ქუთაისისა და თბილისის სემინარიებში გაუგრძელებია სწავლა. ლიტერატურულ საქმიანობას მიხეილ კინწურაშვილი 1903 წლიდან ეწეოდა. 1903-1904 წლებში მისი პოეტური და პროზაული ტექსტები იბეჭდებოდა „ივერიაში“, „მწყემსში“, „მოგზაურში“, „ჩვენს ხმაში“, „ცნობის ფურცელში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, ასევე სხვადასხვა კრებულში ფსევდონიმებით მ. ყანჩელი, შხეფელი, იალონი, ჟგიმარიონი, იასამანი. ამ უკანასკნელით ის ცნობილი იყო როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში.



1904 წლიდან მიხეილ კინწურაშვილი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, იგი 1906 წლის შემოდგომაზე რევოლუციური ლექსებისა და არალეგალური ლიტერატურის შენახვის საბაბით დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, საიდანაც 1907 წლის აპრილში თავდებობით გაათავისუფლეს.

1907 წელს მიხეილ კინწურაშვილი სწავლის გასაგრძელებლად უკრაინაში გაემგზავრა და ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსულ-სლავური სიტყვიერების განყოფილებაზე ჩაირიცხა. სტუდენტობის წლებში მას კარგად შეუსწავლია უკრაინული ენა და ლიტერატურა, განსაკუთრებით დაინტერესებულა ტარას შევჩენკოს შემოქ-

* მ. კინწურაშვილი. „ჩემი ავტობიოგრაფია“. წიგნში: მწერალთა ავტობიოგრაფიები. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2013.

მედებით. 1908 წელს გაზეთ „ცხოვრების სარკეში“ მას დაუბეჭდავს ტ. შევჩენკოს „ანდერძის“ ქართული თარგმანი, შემდეგ კი უკრაინელი პოეტის სხვა ქმნილებებიც გადმოუქართულებია.

1907 წლის 1 ნოემბერს ახალგაზრდა პოეტი ისევ დააპატიმრეს და ამჯერად ხარკოვის გუბერნიის ციხეში ჩასვეს, რადგან მის ბინაში ჟანდარმერიამ აღმოაჩინა რუსულ და ქართულ ენებზე ნაბეჭდი ლიტერატურა, რომელიც მასებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა (შელეგია 1990: 11).

1912 წელს, ხარკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა პოეტს შუშის (აზერბაიჯანი) რეალურ სასწავლებელში დაუწყია მუშაობა, სადაც 1916 წლამდე დარჩენილა. 1916-1919 წლებში ის გორის ვაჟთა, შემდეგ ქალთა გიმნაზიაში მოღვაწეობდა. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად იგი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა: თარგმნიდა უკრაინული, რუსული, პოლონური ენებიდან. სხვადასხვა დროს ქართულ ენაზე გადმოიტანა ივან ფრანკოს, ლესია უკრაინკას და სხვა უკრაინელ ავტორთა ნაწარმოებები, ბუნინის, ტიუტჩევის, ბალმონტის, ოდოევსკის, ნეკრასოვის, კრილოვის, მიცკევიჩის ტექსტები. მ. კინწურაშვილი აქვეყნებდა კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს. იგი მიეკუთვნებოდა ქართველ მწერალთა იმ თაობას, რომლის ერთი ნაწილიც, არსებული რეალობით უკმაყოფილო, საიდუმლო პოლიტიკურ მუშაობაში იყო ჩაბმული, ზოგი კი საკუთარი შემოქმედებით მკითხველთა გამოფხიზლებას ცდილობდა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შთააგონებდა. მან „გაიზიარა მაშინდელი ქართული პოეზიის ის განწყობილება, რომლის გამომხატველიც ირ0დიონ ევდოშვილია – ტრიბუნი რევოლუციისა და თავგამოდებული მებრძოლი მშრომელთა განთავისუფლებისათვის“ (ხუციშვილი 1986: 86)*.

1919-1922 წლებში მ. კინწურაშვილი ფოთში ტექნიკუმის გამგედ მუშაობდა. იმავე პერიოდში, კერძოდ, 1922 წელს, გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული. საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ მწერალმა განაგრძო

* მიხეილ კინწურაშვილის მეორე პოეტური კრებული – „ძველი სიმღერა“ – მხოლოდ 1986 წელს დაიბეჭდა გამომცემლობა “მერანში” სოლომონ ხუციშვილის რედაქტორობითა და შესავალი წერილით.

არალეგალური საქმიანობა, რაც კარგად ჩანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მისი სისხლის სამართლის საქმიდან (*ფ.6, საარქივო № 23210, ყუთი 39*). ირკვევა, რომ 1922 წლის 17 სექტემბერს მ. კინწურაშვილი საქართველოს საგანგებო კომისიამ არალეგალური საქმიანობისათვის დააკავა. რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ იგი იძულებული გამხდარა, გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. 1923 წლის 23 მარტს მას საქართველოს საგანგებო კომისიისათვის მიუმართავს განცხადებით, რომელშიც წერდა: „მე მზათ ვარ, მთელი ჩემი ცხოვრება და ნიჭი მოვახმარო საბჭოთა წესწყობილების განმტკიცების საქმეს, როგორც მოქალაქე, როგორც პედაგოგი... მე ვაცხადებ, რომ ვრჩები ყოველგვარი პარტიის გარეშე“.

მიხეილ კინწურაშვილის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია ასევე განცხადება საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის სახელზე: „მე მწერალი ვარ, რომელსაც მიწერია მუშებზე და მუშათა ცხოვრებაზე. საქართველოს მუშათა თითქმის ყველა ორგანოებში („მოგზაური“, „სხივი“, „განთიადი“, „ელვა“, „ლამპარი“, „წყარო“ და სხვები, რომელთა ჩამოთვლა შესაძლებლად მიმაჩნია)... ფრაქციული ვიწრო ხასიათი ჩემს ნაწერებს არასოდეს ჰქონია. მიწერია უმეტესად ლექსები „იასამნის” ფსევდონიმით. 1922 წლის 17 ენკენისთვიდან ვარ დაპატიმრებული მამია ორახელაშვილთან ერთად... მე ვარ მუშათა ძველი თითქმის ყველა ორგანოების თანამშრომელი „იასამნის“, „შხეფელის“ და სხვა ფსევდონიმით“.

საქმის შესწავლის შემდეგ პოეტი გაუთავისუფლებიათ. „ჩემს ავტობიოგრაფიაში“ ვკითხულობთ: „1923 წლის აპრილში „კომუნისტი“-სა და „რაბოჩაია პრავდა“-ს აპრილის ნომრებში დაბეჭდილია ჩემი დეკლარაცია ოქტომბრის რევოლუციისა და მუშათა დიქტატურის შესახებ, რომელშიაც მე ვაღიარებდი ძველის წარსულის შეცდომებს და ვადგებოდი რევოლუციონურ მტკიცე გზას – პროლეტარიატის დიქტატურას“ (კინწურაშვილი 2013: 446).

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მწერალმა განაგრძო ლიტერატურული და პედაგოგიური მოღვაწეობა. 1934 წლიდან იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. 1939 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს პო-

ლიტექნიკური ინსტიტუტის ქართული და რუსული ენების კათედრას. მიხეილ კინწურაშვილი გარდაიცვალა თბილისში 1955 წლის 4 იანვარს.

ბოლო შტრიხად იასამნის პორტრეტისათვის მოვუხმობთ ციტატას მისი ერთ-ერთი ადრეული ლექსიდან („პოეტს“), რომელიც მწერლის ოპტიმისტურ შინაგან მრწამსთან ერთად მის იმჟამინდელ განწყობასა და სულისკვეთებას ამჟღავნებს:

> თუ სიმებად გაიხადე დაჩაგრული ხალხის გული
> და თითებს ზედ ათამაშებ წმინდა გრძნობით გამსჭვალული..
> გაიხარე, შენი არის ამოდენა გრძნობის გული,
> წმინდა ნაყოფს გამოიღებს თესლი, მასში ჩანერგილი.

დამოწმებანი:

კინწურაშვილი 2013: კინწურაშვილი მ. „ჩემი ავტობიოგრაფია“. წგ-ში: *მწერალთა ავტობიოგრაფიები*. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2013.

შელეგია 1990: შელეგია მ. *ხიბლი ძველი სიმღერისა*. თბილისი: „მეცნიერება“, 1990.

ხუციშვილი 1986: ხუციშვილი ს. „იასამანი (მიხეილ კინწურაშვილი)“. წგ-ში: *იასამანი (მიხეილ კინწურაშვილი). ძველი სიმღერა*. თბილისი: „მერანი“, 1986.

ადა ნემსაძე

დიმიტრი მგელაძე

ქართველი მეცნიერი, რუსისტი, პროფესორი **დიმიტრი სერგოს ძე მგელაძე** დაიბადა თბილისში 1889 წლის 26 დეკემბერს*.



უმაღლესი განათლება მიიღო ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში (ახლანდელი ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი), სადაც ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სლავურ-რუსული განყოფილება დაამთავრა. მისივე ცნობით, 1914-1917 წლებში უმუშავია ბათუმის გიმნაზიაში, ხოლო 1918-1921 წლებში – თბილისის ფოსტა-ტელეგრაფში. დ. მგელაძე ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის თანაგუნდელი იყო და აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში პირველი უნივერსიტეტის დაარსებაში, სადაც 1921 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. დიმიტრი მგელაძე ლექციებს კითხულობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტშიც.

1924 წლის 1-ლ სექტემბერს დიმიტრი მგელაძე აბასთუმანში დააპატიმრეს (სერგი დანელიასთან ერთად). იმ დროს მასთან ერთად ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ – დედა, ცოლი, ვაჟიშვილი და ორი და.

1924 წლის 22 სექტემბერს ახალციხის მაზრის პოლიტბიუროს რწმუნებულმა ჯიჯიეიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება დაპატიმრებულთა თბილისში გადაგზავნის თაობაზე. მანამდე ისინი ქალაქის საავადმყოფოში ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. დ. მგელაძეს ვერც პირადად და ვერც ბინის ჩხრეკისას

* ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში 1891 წლის 26 დეკემბერია (ახ. სტილით 1892 წ. 7 იანვარი) მითითებული (1983 წ. ტ. 6, გვ. 526). ჩვენ ვეყრდნობით შსს არქივის მონაცემებს, კერძოდ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ანკეტას, რომელსაც პატიმარი საკუთარი ხელით ავსებდა, იხ.: შსს საარქივო სამმართველო, ფონდი № 6, საარქივო № 24225, ყუთი № 29, მგელაძე დ. ს.

ვერაფერი უპოვეს, იგი არ აღმოჩნდა არც საგანგებო კომისიის არქივის ეჭვმიტანილთა, ძებნილთა ან ნასამართლევთა სიაში.

1924 წლის 31 დეკემბერს საქართველოს საგანგებო კომისიამ ძიება დაასრულა და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც დიმიტრი მგელაძე მენშევიკურ არალეგალურ ორგანიზაციასთან კავშირში დაადანაშაულეს, მაგრამ 1924 წლის 6 ნოემბერს მას ამნისტია შეეხო.

პროფესორ დიმიტრი მგელაძის ბიოგრაფიის ეს ეპიზოდი, გასაგები მიზეზების გამო, დღემდე უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მან მთლიანად სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას მიუძღვნა თავი: 1970-იან წლებამდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის გამგე, კითხულობდა რუსული ენის, რუსული ენის დიალექტოლოგიის, ძველი სლავური ენის, სლავური და ინდოევროპული ენების შედარებითი გრამატიკის კურსებს, შექმნა სახელმძღვანელო რუსული ენის სწავლების მეთოდიკაში, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსისტიკისა და ძველსლავური ენების კათედრის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ფონდი № 6, საარქივო № 24225, ყუთი № 29
მგელაძე დ. ს.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1924 წლის 22 სექტემბერს მე, ახალციხის მაზრის პოლიტბიუროს რწმუნებულმა ჯიჯიეიშვილმა გადავხედე დაპატიმრებულთა დიმიტრი მგელაძისა და სერგი დანელიას მიმოწერას და, მივიღე რა მხედველობაში, რომ ზემოაღნიშნული პირები დაკავებულნი არიან სსკ-ის დავალების თანახმად, სადაც მათ შესახებ არის მასალა.

დავადგინე:

მგელაძე დიმიტრი და დანელია სერგი სასწრაფოდ გადაიგზავნონ სსკ-ის განკარგულებაში.

რის შესახებაც გავეცი შესაბამისი განკარგულება.

პასუხისმგებელი პირი: ჯიჯიეიშვილი
პოლიტბიუროს უფროსი: მისკანი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1924 წლის 31 დეკემბერს მე, საქართველოს საგანგებო კომისიის 1-ლი განყოფილების რწმუნებულმა ჯალაღანიამ, განვიხილე ძიების საქმე 920 მოქალაქეების:

1) **მგელაძე დიმიტრი სერგის ძე** – 35 წლის, ქართველი, ცოლშვილიანი, განათლება უმაღლესი, სახ. უნივერსიტეტის მუშფაკის ლექტორი, უპარტიო, ნასამართლევი არაა.

2) **დანელია სერგი იოსების ძე** – 35 წლის, ქართველი, დაოჯახებული, წარმ. გლეხი, სენაკის მაზრა, ს. ბანძა, განათლება უმაღლესი, უპარტიო, ნასამართლევი არაა.

კონტრრევოლუციაში ბრალდების გამო, რაც გამოხატულია მენშევიკურ არალეგალურ ორგანიზაციასთან კავშირში, რომელი დანაშაულიც გათვალისწინებულია საქ. სისხ. სამ. კოდ. 61 მუხლით. მაგრამ მივიღე რა მხედველობაში საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმის 6. XI. 24 წ.-ის დადგენილება 115,

ვადგენ:

მოქალაქეების დანელია სერგისა და მგელაძე დიმიტრის მიმართ გამოყენებულ იქნას ამნისტია და გათავისუფლდნენ პატიმრობიდან, ძიების საქმე შეწყდეს და გადაეცეს არქივს.

რწმუნებული: ჯალაღანია

ვადასტურებ: საქ. საგანგებო კომისიის
თავ-რის მოადგილე: ბერია

გიორგი მუმლაძე

1900-იანი წლების ქართული კულტურის მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი და პროზაიკოსი **გიორგი (გოლა) ესტატეს ძე მუმლაძე** დაიბადა 1884 წელს სოფ. დიდენაგეთში (ჯავახეთი), დურგლის ოჯახში. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის რეალურ სასწავლებელში, ხოლო შემდეგ – კომერციულ კურსებზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, ბაქოში.



გიორგი მუმლაძის შესახებ არსებული მწირი ბიოგრაფიული ცნობებიდან ირკვევა, რომ იგი გაფიცვაში მონაწილეობისთვის ორჯერ დაუპატიმრებიათ: 1905 და 1908 წლებში.* გიორგი მუმლაძის საქმეში დაცული დაკითხვის ოქმით დასტურდება, რომ იგი ნამდვილად იყო დაპატიმრებული 1905 წელს, ხელმეორე დაპატიმრების შესახებ კი იგი არაფერს ამბობს. ბიოგრაფიულ მონაცემებში არ ჩანს, აგრეთვე, 1922 წლის 9 მაისს მისი დაკავების ფაქტი.

გიორგი მუმლაძე (ფსევდონიმები: „გულყვითელა“, „შუმელი“, „არწივი“, „ლელო“, „გ. ჯავახი“, „მუმლი“) აქტიურად იბეჭდებოდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. მისი მოთხრობები და თარგმანები ქვეყნდებოდა ალმანახში „შუქი“ (1910 წ.), ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, გაზეთებში: „იმერეთი“, „შრომა“, „სახალხო ფურცელი“, „ერი“, „რევოლუციური ნობათი“, „სხივი“, „საქართველო“, „სამშობლო“ და სხვ.

გიორგი მუმლაძეს ახლო მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ცნობილ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან: იოსებ გრიშაშვილთან, შალვა დადი-

---

* გ. მუმლაძის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოცემულია ლ. მარტაშვილის პუბლიკაციაში: „წერილები გიორგი მუმლაძისადმი“ („ლიტერატურის მატიანე“, თბილისი, 1986, 9, გვ.; 146-149).

ანთან, ტიციან ტაბიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, იოსებ იმედაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან, ილია ნუცუბიძესთან. იგი თავის დღიურებში მოხსენიებული ჰყავს გალაკტიონ ტაბიძესაც (დღიური 471 – 21 უთარიღო).*

გიორგი მუმლაძის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი თარგმანები: კუპრინის „სულამითი“ (გამოქვეყნდა გაზ. „შრომაში“, 1915 წ., 11-22), თაგორის „გიტანჯალი“ (გაზ. „სამშობლო“, 1918), მისივე „ნამგალა მთვარე“ (გაზ. „საქართველო“, 1916) და „ნაკვთები“ (მინიატურები), რომლებიც 1910 წელს ალმანახ „შუქში“ დაიბეჭდა.

გიორგი მუმლაძის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის შესახებ მეტად საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის მისი პირადი წერილები, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ გიორგის მეგობარი მწერლები პატივს სცემდნენ და აფასებდნენ, თუმცა ზოგჯერ კრიტიკასაც არ ერიდებოდნენ. მოვიხმობთ რამდენიმე ამონარიდს წერილებიდან: „... ერთადერთი კაცი ხარ ჩვენში, უკომპლიმენტოდ გელაპარაკები, რომელსაც შეუძლიან საღად მუშაობა...“ – **ტიტე (ტიციან) ტაბიძე**, მოსკოვი, 1914 წ.; „..თქვენმა მოთხრობებმა განსაკუთრებული მკითხველი შეგვძინა მოზარდი თაობიდან. იყო შემთხვევები, როდესაც მოთხრობის თავი დაიბეჭდა, მეორე ორშაბათამდე გაგრძელებას ვერ უცდიდნენ-და თხოულობდნენ მიგვეცა საშუალება, დედანში წაეკითხათ...“ – **ილია****. 10 მაისი, 1915 წელი, როსტოვი.

„გიორგი! წავიკითხე შენი „სულამიტ“ და სწორე გითხრა, ძალიან მომეწონა... მხოლოდ გეტყობა, აჩქარებულად გითარგმნია, შეიძლებოდა უფრო დინჯად თარგმნა, რომ უფრო სიტყვათა მუსიკობა გამოსულიყო. არა, მე არ გისაყვედურებ, პირიქით, კარგი თარგმანია, მრავალი უცხო სიტყვებია, რომლებიც არ მსმენია აქნობამდე. გეტყობა, გიმუშავნია, მაგრამ ჩვენი, ქართველების, უბედურება ის არის, რომ ჩვენს ნაწერს მეორედ აღარ ვკითხულობთ: მაინც დიდად, დიდად გმადლობთ, რომ შეძლება მომეცით, წუთით მაინც დავმტკბარიყავი... გოლა,

* http://www.galaktion.ge/?page=Diaries&year=-1&p=0&id=4876

** ილია ნუცუბიძე, გაზეთ „შრომის“ (1918-1922) რედაქტორი.

კარგს იზამ, რომ როგორმე „სულამიტ“ ცალკე წიგნად დააბეჭდვინო. მხოლოდ ცოტათი გაქლიბე... არ დაივიწყო შენი **სოსო გრიშაშვილი**, 8 მაისი, 1914 წელი“.

„ძმაო გიორგი! უკაცრავად, უკაცრავად, უკაცრავად! ამას წინათ აისედორა დუნკანს შვილები რომ ასე უბედურად დაეღუპა, ელეონორა დუზემ ესეთი დეპეშა გამოუგზავნა თურმე: „ძვირფასო, ძვირფასო, ძვირფასო დუნკან!“ მეტი არაფერი, მაგრამ ხომ ბევრია თქმული. მეც ეგეთი სიძლიერე მინდა მივცე ზემოთმოყვანილ სიტყვებს. გიგზავნი შენს პიესებს და ნუ დაგვივიწყებ, ჩამოსვლა კი არ შეიძლება?! ეგრე ახლოს ხარ უქმე დღით. სალამი შენიანებს. ელომაც* დიდად მოგიკითხათ ყველანი. შენი **შალვა დადიანი**. 1913 წ., 10.2 ბათუმი“.**

მართალია, გიორგი მუმლაძე თანამოკალმეთა იმ პლეადას არ მიეკუთვნებოდა, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია ქართულ ლიტერატურულ და საზროვნო სივრცეს, მაგრამ მისი შემოქმედება და საზოგადოებრივი ღვაწლი უთუოდ იმსახურებს სათანადო ყურადღებას.

გიორგი მუმლაძე 1922 წლის 9 მაისს დააპატიმრეს კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ბრალდებით. იმავე წლის 27 ივნისს იგი დაიკითხა საქართველოს კონტრრევოლუციის, სპეკულაციის, სამსახურებრივი დანაშაულებისა და ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო კომისიის მიერ.

* ელო (ელენე) ანდრონიკაშვილი, შალვა დადიანის მეუღლე.
** ამონარიდები დამოწმებულია პუბლიკაციიდან

ფონდი 6, საარქივო № 22141, ყუთი № 28, საქმე № 22765.
ჩვენება:

შეკითხვა: რომელ პარტიაში ითვლები?

პასუხი: 1904 – 1912წ.წ. ვიყავი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, 1912 წლიდან კი არავითარ პარტიაში არ ვითვლებოდი, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ – არავითარში.

შეკითხვა: თუ უპარტიო ხართ, რატომ?

პასუხი: ლიტერატურულმა შრომამ მაიძულა.

შეკითხვა: იყავით თუ არა მსჯავრდებული?

პასუხი: 1905 წელს, ადმინისტრაციული წესით, 3 თვით, პოლიტიკურ ნიადაგზე.

შეკითხვა: როდის და რატომ დაგიჭირეს?

პასუხი: დამიჭირეს 9 მაისს, რაზე, არ ვიცი, დღეს არავითარ პარტიას არ ვეკუთვნი და ვაწარმოებ მხოლოდ ბუხგალტერიის საქმეს, ვმსახურობ კოოპერატიულ საქართველოს ბანკში.

შეკითხვა: როგორ უყურებ არსებულ წესწყობილებას?

პასუხი: როგორც მე ანარქისტულად მოაზროვნე საერთოდ, რომელიც არ უნდა იყვეს მთავრობა ჩემთვის (პრინციპულად არც ერთის არ მწამს) სულერთია, პირადად მე ყველას შევეწყობი, როგორც პოლიტიკიდან შორს მდგომი.

შეკითხვა: როგორ უყურებ არალეგალურ მუშაობას?

პასუხი: უარყოფითად. საბოტაჟი, პროვოკაცია დაუშვებლად მიმაჩნია.

შეკითხვა: როგორ უყურებთ რუსეთის წითელ არმიას საქართველოში?

პასუხი: რამდენად წესიერებას დაიცავს, იმდენად დადებითად.

შეკითხვა: სთვლით თუ არა თქვენ საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც ძალაუფლების განმმტკიცებელს საქართველოში. თუ მიგაჩნიათ ის სუსტ ძალად, რომელიც ყოველი პატარა მოვლენით დამარცხებული იქნება?

პასუხი: მთავრობა, როგორც მთავრობა ძლიერია. მას ყველა ჩვენგანი ამჩნევს. მხოლოდ ის რამდენი ხანგრძლივობით იარსებებს, ამის თქმა არ შემიძლია.

შეკითხვა: სთვლით თუ არა თქვენ საქართველოში წითელი ჯარის არსებობას როგორც ოკუპანტების, მის მოქმედებას ოკუპაციას?

პასუხი: არ ვსთვლი. ეს ძალა არ არის ოკუპანტები.

შეკითხვა: რატომ თანამშრომლობდი ყველა ყოფილი პარტიების ორგანოებში?

პასუხი: ეს იმიტომ, რომ ჩემს წერილებს პრინციპიალური ხასიათი არ ქონია, ეს იყო წმინდა მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოები.

შეკითხვა: რა და რა ფსევდონიმით გიმუშავია?

პასუხი: „არწივი“, „გ. ჯავახი“, „მუმლი“.

არავითარი მუშაობის პარტიაში არა მწამს, არც მიმუშავია 1912 წ. არსებულ ხელისუფლებას როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ მუშაობით არ ვებრძვი. როგორც მთავრობას, მხარს უჭერ და ვემორჩილები მას.

ჩემს ჩვენებას ხელს ვაწერ
გ. მუმლაძე

დადგენილება

ბანკის შუამდგომლობითა და კომისიის დასკვნის საფუძველზე, გიორგი მუმლაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. დადგენილებაში აღნიშნულია: „დაკითხვაზე გამოირკვა, რომ არსებული ხელისუფლებისთვის იგი საშიშროებას არ წარმოადგენს“. დაკავებულის გათავისუფლების შესახებ ორდერი № 906 გაცემულია 1922 წლის 29 ივნისს, ხელმოწერილია გიორგი მუმლაძის მიერ.

ელისაბედ (ლიზიკო) ქავთარაძე

პროფესიით იურისტი, მწერალი და პუბლიცისტი **ელისაბედ (ლიზიკო) ქაიხოსროს ასული ქავთარაძე** დაიბადა თბილისში, 1905 წლის 2 ივლისს. მამა, ქაიხოსრო ქავთარაძე, საუკუნის დასაწყისში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი; წერდა „ქაქუჩელას“ ფსევდონიმით. როგორც იმდროინდელი ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ისიც ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტიას ეკუთვნოდა. დაახლოებული იყო ილია ჭავჭავა-ძესთან, შედიოდა ილიას დამკრძალავი კომისიის შემადგენლობაში. წიწამურის ტრაგედიის შემდეგ ის პატრონობდა ილიას არქივსა და სახლს თბილისში.

1924-28 წლებში ლიზიკო ქავთარაძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო წარჩინებული სტუდენტი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის გამორჩეული მოწაფე. შესანიშნავად ფლობდა რუსულს, კარგად – ფრანგულს. ამ წლებში იგი გახდა წევრი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმდროინდელ ინტელექტუალურ წრეებში.

1928 წლის აპრილში, როცა საქართველოში უკვე სასტიკი რეპრესიები მძვინვარებდა, ლიზიკო ქავთარაძეს ფარულად აცნობეს, რომ ორთაჭალის ციხის ფანჯრიდან არაადამიანური წამების შედეგად შეშლილი პატიმარი, მირიან ბარამიძე, მის სახელს გაჰყვიროდა. ლიზიკო მიხვდა, რომ გარდაუვალი საფრთხე ემუქრებოდა. იგი სასწრაფოდ გაემგზავრა სოხუმში, დასთან, რომელიც აფხაზეთის იუსტიციის კომისარიატში სტაჟიორად მუშაობდა, თუმცა ჩეკისტების მეთვალყურეობას იგი იქაც გრძნობდა. სოხუმში ლიზიკომ გაიცნო ვინმე ვილიამ სპირო, 45 წლის გერმანელი კაცი, მოსკოვის ერთ-ერთი უნივერსიტეტის ლექტორი, „როტ-ფრონტის“ კორესპონდენტი, „დარბაისელი, ევროპულად განათლებული, იცნობდა ფილოსოფიას, ფროიდს. მაშინ ჩემთვის უკეთესი საწუწკარი არც მოიძებნებოდა. ხოლო, როდესაც „ფილოსოფოსი“ პოლიტიკურ თემებს უხეშად მიეძალა, ჩემთვის გასაგები გახდა, რა უნდოდა მას“, – გაიხსენებს ნახევარი საუკუნის შემდეგ თავის მოგონებათა წიგნში ელისაბედ ქავთარაძე. სწორედ სპიროს დაეკისრა „კაზუს ბელის“ (წინააღმდეგობის ფორმალური საბაბი) როლი. გოგონა დააპატიმრეს. 3 თვე იგი იმყოფებოდა სოხუმში, საიდანაც თბილისში, მეტეხის ციხეში გადმოიყვანეს.

საქმეს იძიებდა ვინმე კოზლოვსკი, რომელსაც ლიზიკო ქავთარაძე თავის წიგნში დადებით პიროვნებად მოიხსენიებს: „კაზლოვსკი პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა. პირველი დაკითხვა იმას მოანდომა, რომ დიდი სიფრთხილით, მაგრამ საკმაოდ მისახვედრად სპიროსთან დაპირისპირებისათვის მოვემზადებინე“*. სპირო მამხილებელი ფაქტების გარეშე უმტკიცებდა გამოძიებას, რომ ელისაბედ ქავთარაძემ მას, უცხოელს, 1924 წლის აჯანყების ჩასახშობად ჩატარებული სამხედრო ოპერაციების საიდუმლო მასალა მიაწოდა, თუმცა ვერ აკონკრეტებდა ამ მასალის რაობა-სადაურობას. იგი ცდილობდა, პატიმარი ჯაშუშობის მუხლით გაესამართლებინათ. ლიზიკომ არ აღიარა „დანაშაული“, თუმცა გამოძიებას განუცხადა, რომ არასოდეს ყოფილა კომუნისტი და

* სტატიაში ციტატები მოტანილია ელისაბედ ქავთარაძის წიგნიდან „მოგონებები, ესეი, მოთხრობები, წერილები“. თბილისი: პეგასი, 2008.

არც ბოლშევიკებს სცემდა პატივს. სამი თვის შემდეგ იგი ბადრაგის თანხლებით სოხუმიდან თბილისში გადმოიყვანეს. აცილებდა გამომძიებლის მოადგილე ჯინჯოლავა*.

ელისაბედ ქავთარაძე 3 წლით გადაასახლეს ნარიმის მხარეში, სოფ. კოლპაშოვოში, „კოღოებით სავსე, უკაცრიელ ტაიგაში, საიდანაც გახიზნული იყვნენ რუსეთიდან გაგზავნილი სხვადასხვა მრწამსის პოლიტპატიმრები“. 1931 წელს 3 წლით გაუგრძელეს პატიმრობა. „სასჯელის გათავებას საშველი არ ადგა: „სამ პერიოდში“!.. ვხუმრობდით ჩვენ მაშინ, გათავებისთანავე სამი წელი ავტომატურად მეორდებოდა ყოველგვარი ბრალდებისა და პასუხისგებაში მიცემის გარეშე. უბრალოდ, „ოსობოე სოვშჩანიეს“ მიერ იმავე ვადით, პრულონგაციით“. მოგვიანებით იგი ვორონეჟის ციხეში გადაიყვანეს.

1936 წელს ელისაბედ ქავთარაძე პირობით გაათავისუფლეს. იგი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ სუკის აგენტების თვალთვალს რომ მორიდებოდა, კონსპირაციის მიზნით ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილსა და სამსახურს. 1940 წლის 15 მაისს იგი ისევ დააპატიმრეს. ელისაბედ ქავთარაძე იხსენებს პატიმრობის ერთ-ერთ ღამეს, როცა მას საშინლად სცემეს. დაკითხვას წარმართავდა რაფავა, „სათნო შესახედაობის, ჭაღარაშერეული კაცი“; ამჯერად ქალბატონი ლიზიკო ყაზახეთის სსრ ქ. აკმოლინსკის საკონცენტრაციო ბანაკში გაამწესეს. თავის მოგონებებში იგი განსაკუთრებული სიმძაფრით იგონებს იმ ჯოჯოხეთურ გზას, რომელიც სუსხიან ზამთარში დანიშნულების ადგილამდე გაიარა: „ციხეს მივადექით. უზარმაზარი ალაყაფის კარის მიღმა კარდახურული საკანი მელოდებოდა. მეორედ მასტუმრეს ქალაქს, უფრო სწორად, მის საპყრობილეს. ვისაც ეტაპი გამოუვლია, მან იცის, რა არის ოცნება ციხეზე“... ლიზიკო ქავთარაძის წამება ამით არ დამთავრებულა. 1948 წელს მას სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს და ქ. კოკჩეტოვში გადაიყვანეს, სადაც, მისივე თქმით, „თუ სასწაული მოხდა და ვინმე გადარჩა, ოდესმე იტყვის თავის სათქმელს, მაგრამ დამჯერი არ ეყოლება“...

* ელისაბედ ქავთარაძის ინფორმაციით, 1937 წელს ორივე, კოზლოვსკიც და ჯინჯოლავაც, დაუხვრეტიათ, ჯინჯოლავას მეუღლეს კი გადასახლებაში შეხვედრია...

1956 წელს, სტალინის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, ელისაბედ ქავთარაძეს ამნისტია შეეხო და სამშობლოში დაბრუნდა. არაადამიანურმა ტანჯვა-წამებამ ვერ გატეხა ქალბატონი ლიზიკო. გათავისუფლების შემდეგ იგი აქტიურ ცხოვრებას დაუბრუნდა: მუშაობდა იურისტ-ეკონომისტად, ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას, აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, წერდა მოთხრობებს, ესეებს, ხელნაწერის სახით ავრცელებდა სტატიებს ეროვნულ პრობლემებზე, თარგმნიდა ქართულიდან რუსულად. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ლევან გოთუას მოთხრობების მისეული თარგმანი. რეპრესირებულ მწერალთან, რომელსაც მასსავით გავლილი ჰქონდა წამების გზა, ქალბატონ ლიზიკოს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

60-70-იან წლებში ელისაბედ ქავთარაძის ბინა ეროვნული მოძრაობის არალეგალურ შტაბად იყო ქცეული, სადაც იკრიბებოდა ამ მოძრაობაში ჩაბმული ახალი თაობა. ქალბატონი ლიზიკო 1988 წლის 2 თებერვალს, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. როგორც უფროს მეგობარსა და მასწავლებელს, მას პატივი მიაგეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა: „...1921 წლის თებერვლის იმ საშინელი დღის შემდეგ, საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა, მიუხედავად სასტიკი, დაუნდობელი რეპრესიებისა, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ბრძოლას არ წყვეტდნენ. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი სწორედ ქ-ნი ლიზიკო იყო. საქართველოს სიყვარულში, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გარდაიცვალა იგი“... (თამარ ჩხეიძე).

შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო. ფონდი 6, სარაქივო № 28538, ყუთი 81

დაკითხვის ოქმიდან (თბილისი, 1929 წელი)*:

„ვიყავი საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტული ორგანიზაციის წევრი, უჯრედის ხელმძღვანელი [...], სამხედრო ორგანიზაციის კურიერი. ვიმუშავე მცირე ხანს, სამი კვირა[...] ჩემი პირველი ჩვენება გარკვეული მიზეზის გამო (მერე ვიტყვი მიზეზს) სქემატურია, რაღაცები შეთხზულია.

კითხვა: ვინ იყო ვილაც სპირო ვასილ ლევის ძე?

პასუხი: სოხუმში გავიცანი, გერმანელი, მოსკოვის რომელიღაც უნივერსიტეტის პროფესორი. ვისაუბრეთ ფილოსოფიურ-პოლიტიკურ საკითხებზე, 1924 წლის აჯანყებაზე, სისხლისღვრაზე... ანტისაბჭოთა ხასიათის ამბებზე და სხვ. მაგრამ რაც მბრალდება, ის ყველაფერი სწორი არ არის. მე მისთვის არაფერი დამივალებია და იგი კი ლაპარაკობდა, რომ მე თითქოს ვთხოვე, აღწერილი ხოცვა-ჟლეტის ამბავი 1924 წლისა გამოექვეყნებინა საზღვარგარეთ გაზეთში. ამასთანავე, რაც მის ჩვენებაში სწერია ჭიათურის 1924 წლის შესახებ, არასწორია, რადგან მე მაშინ ჭიათურაში არ ვყოფილვარ და ასეთი რამის თქმა არ შემეძლო, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მას არ დაუმალავს, რომ იგი კომუნისტი იყო და, ამავე დროს, მისი პიროვნება არ იწვევდა ჩემში ნდობას. მე გულახდილად ვაცხადებ, რომ მე რწმენით კომუნისტი არ ვყოფილვარ და არც ვარ, მაგრამ ჩემს თავს კარგა ხანია ავუკრძალე ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხზე ლაპარაკი და მე არავის ხელს არ ვუშლი ჩემი რწმენით.

კითხვა: თქვენი ამხანაგების საშუალებით არალეგალური „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობაში (რაც გამოიხატებოდა აკრძალული ლიტერატურის კითხვაში, აგიტაციაპროპაგანდაში, მარქსიზმის კომენტარების გაკეთებაში) თავს ცნობთ თუ არა დამნაშვედ?

---

* იბეჭდება კუპიურებით.

პასუხი: მე მქონდა ჩემი რწმენა და ამიტომ მე 1928 წელს ჩემ დაპატიმრებაში და მისჯაში არ გედავებით, რადგან ჩემი მოქმედება, როგორც ზევით გითხარით, მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამასთანავე, უნდა განვაცხადო ის, რომ მე მაშინ ვიყავი 22 წლის და თუ მარქსიზმის გაგებაში შევცდი, ამისთვის არ უნდა დავესაჯე.

კითხვა: რა გსურთ დაუმატოთ თქვენს ჩვენებას?

პასუხი: არაფერი.

მიესაჯა: 3 წლით გადასახლება*.

* საქმეში დევს ლიზიკო ქავთარაძის დედის, ოლღა იოსების ასულ ქავთარაძის განცხადება, რომელშიც 84 წლის ავადმყოფი ქალბატონი ითხოვს, მისი შვილი გაათავისუფლონ და სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცენ. **პასუხი:** „თქვენმა შვილმა ყველგან განაცხადა, რომ 1940 წელს იყო ანტისაბჭოთა განწყობილებისა, თავს მიიჩნევს აზნაურული წარმოშობის მოქალაქედ და, გამომდინარე აქედან, ის რჩება პატიმრობაში“. ოლღა ქავთარაძე-გაბიტაშვილი შვილის დაბრუნებამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა.

სვიმონ ყიფიანი

1923 წლის აგვისტოში ბაქოში აზერბაიჯანის საგანგებო კომისიამ ვასილ გელენიძის ყალბი პასპორტით დააკავა **სვიმონ ყიფიანი**, თბილისის გუბერნიის სოფელ ქვიშხეთის მცხოვრები, მწერალი, 1905 წლიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.



სვიმონ ყიფიანი, როგორც პროზაიკოსი და საზოგადო მოღვაწე, დღეს ნაკლებად არის ცნობილი, მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისის პერიოდული პრესის ფურცლებს ამ ავტორის არაერთი თხზულება შემოუნახავს.

მურად მთვარელიძის ინფორმაციით, სვიმონ ყიფიანი დიმიტრი ყიფიანის ძმის შვილიშვილი იყო. ის ქვიშხეთში 1872 წლის დეკემბერში დაბადებულა და ბავშვობაც იქ გაუტარებია (მთვარელიძე 2008: 116). სვიმონის მამა, ვასილი, ადრევე გარდაცვლილა, დედას, მონიკო მირზაშვილს აღსაზრდელად ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩენია. ობლებზე დიმიტრი ყიფიანის ოჯახიც ზრუნავდა. სასწავლებლად სვიმონ ყიფიანი თბილისში ჩამოიყვანეს და კერძო პანსიონში მიაბარეს, შემდეგ მან სწავლა სათავადაზნაურო სასწავლებელში განაგრძო. 1895 წელს სვიმონ ყიფიანი რუსეთში გაემგზავრა და მოსკოვის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა. აქედან ის ჯარში გაიწვიეს, საიდანაც მალე გაიქცა და ამის გამო წელიწადნახევრით გამასწორებელ ბატალიონში გაამწესეს. როტის უფროსს იგი მწერლად დაუნიშნავს. სვიმონი უნტერ-ოფიცრებს წერა-კითხვას ასწავლიდა, ამასთან, შესაძლებლობა ჰქონდა, ზოგიერთი ქართველი „ცემა-ტყეპისაგან ეხსნა“. გამასწორებელი ბატალიონიდან გათავისუფლების შემდეგ სვიმონი ქვიშხეთში ცხოვრობდა და, ძირითადად, ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა (მთვარე-ლიძე 2008: 117).

მისი პირველი პუბლიცისტური სტატია „წერილი მოს-კოვიდან“, რომელიც ერთ-ერთ საგანმანათლებლო პროგრამას ეხებოდა, 1895 წლის 21 თებერვალს „ივერიაში“ დაიბეჭდა. 1903 წელს „ივერიაშივე“ (139, 140, 141) გამოქვეყნდა მწერლის პირველი მოთხრობა „მოძღვარი და მშიერი“, „ცნობის ფურცლის“ სურათებიანმა დამატებამ კი დაბეჭდა მისი მოთხრობები: „რადა? რისთვის?“ (1903, 162, 163), „ზამთარი” (1903, 172), “ტყის მუშა“ (1903, 174).

სვიმონ ყიფიანის ლიტერატურულ დებიუტს გამოეხმაურა ზანგის ფსევდონიმით ცნობილი გრ. რცხილაძე*: „ახალგაზრდა ბელეტრისტთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბ-ნი სვიმონ ყიფიანი“. მწერლის განსაკუთრებულ ღირსებად კრიტიკოსი იმას მიიჩნევს, რომ მან შექმნა სრულიად ახალი ტიპი “გონივრულად მომქმედი თავადიშვილისა”.

1905-1911 წლებში სვიმონ ყიფიანს იმდროინდელი რეალობის ამსახველი თხზულებები დაუბეჭდავს**. 1908 წელს იგი აირჩიეს „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ მდივნად (თავმჯდომარე გრ. რცხილაძე). 1909 წლიდან იყო ყოველკვირეული ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომცემელი. ამ პერიოდულმა გამოცემამ სულ ორი წელი იარსება (1909-1910 წლებში ჟურნალის 13 ნომერი გამოვიდა),

* მისი სტატია „სიტყვა-კაზმული მწერლობა 1903 წელს“ „ცნობის ფერცელში“ დაიბეჭდა.

** მოთხრობები: „მართალნი არიან“, „დაბრუნება“, „ეგზეკუცია“, „თავისუფლების პირველი დღე“, „შენ კი“, „ქარიშხალი“, ავტობიოგრაფიული მოთხრობა “მეგობრის ნაამბობი“ და სხვ (1905-1907 წწ); პროზაული კრებულები: „სამი მოთხრობა“ („ინდოურების თავგადასავალი“, „ირემი და ხარი“, „გამოუცხადეს!“ ი. კერესელიძის ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, 1911), “წვრილი მოთხრობანი” (მასში თავმოყრილია 17 პროზაული ტექსტი: „სოფლად“, „ცხოვრების ჩარხი“, „მინის მუშა“, ქალწული და ჭაბუკი“, „გზადაბნეული“, „მოუსვენარი“, „მოულოდნელი შეხვედრა“ და სხვ. ტფილისის ელექტრო-მბეჭდავი სტამბა “ნადეჟდა”, 1911 წ.); დოკუმენტური პროზა “ომი ქუჩაში” (1905 წ), რომელშიც რევოლუციური გამოსვლების დროს ხელისუფლების სადამსჯელო ღონისძიებებზეა საუბარი; სტატიები „ცეცხლითა და მახვილით“ (ჟურნალი „ივერია“); პუბლიცისტური წერილი „სოციალ-დემოკრატია სოფლად“ (ხეობელის ფსევდონიმით. ვალერიან გუნიას ჟურნალი „ნიშადური“, 1908 წლის 24, 36, 39). ამ უკანასკნელის გამო ს. ყიფიანსა და ვ. გუნიას ოპონენტთა კრიტიკა და იუმორისტული ლექსები დაუმსახურებიათ. მიუხედავად ამისა, წერილი ცალკე წიგნადაც გამოსულა. როგორც იმდროინდელი პრესის ფურცლებიდან ჩანს, სვ. ყიფიანი რამდენიმე პიესის ავტორიც ყოფილა. სვიმონ ყიფიანის საქმეში ინახება მისი ორი უცნობი ტექსტი: 1. „ქართველ საზოგადოებას“, 2. ვრცელი მოთხრობა “მინისტრი” (ავტოგრაფი, ვასილ გელენიძის ხელმოწერით).

1910 წელს კი დაიხურა. მისი რედაქტორ-გამომცემელი დააპატიმრეს და ერთი წლით საპყრობილეში ჩასვეს. პატიმრობის შემდეგ სვიმონ ყიფიანმა საადგილმამულო ბანკში შემფასებლად დაიწყო მუშაობა.

სვიმონ ყიფიანის შესახებ უცნობი მასალები შემოუნახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ სისხლის სამართლის საქმეს (*ფ. 6, საარქივო საქმე № 23470, ყუთი 78*). 1923 წლის 7 აგვისტოს დადგენილების მიხედვით, დაპატიმრებული ვასილ გელენიძე (იგივე სვიმონ ყიფიანი) საქართველოს გასაბჭოებამდე თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში, 1922 წლის 30 ივნისიდან კი ქალაქ ბაქოში, რესტორან „ლოზანიაში“ მოლარედ მუშაობდა. 1923 წლის 6 აგვისტოს იგი აზერბაიჯანის საგანგებო კომისიას ქაქუცა ჩოლოყაშვილთან თანამშრომლობის ბრალდებით დაუპატიმრებია. გამოძიების მონაცემებით, მან გულწრფელად აღიარა ბრალდება და დაწვრილებით გააშუქა ჩოლოყაშვილის დაჯგუფების მოღვაწეობა*.

დაკითხვის ოქმის მიხედვით, სვიმონი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან 1922 წლის აგვისტოს ბოლოს ჩასულა და ნოემბრის პირველ რიცხვებამდე დარჩენილა. ამ პერიოდში ხევსურეთის ამბების მომსწრეც გამხდარა. მისივე აღიარებით, როცა დარწმუნდა საბჭოთა ხელისუფლების გაძლიერებასა და, აქედან გამომდინარე, თავისი განზრახვის უაზრობაში, დატოვა ჩოლოყაშვილის რაზმი, წავიდა ბაქოში, უარი თქვა პოლიტიკურ საქმიანობაზე და რესტორან „ლოზანიაში“ მოლარედ დაიწყო მუშაობა. ამავე ოქმის მიხედვით, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტი-ას

* ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში სვიმონ ყიფიანის ყოფნას ალექსანდრე სულხანიშვილიც ადასტურებს. წიგნში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ (სან-ფრანცისკო, 1981) ავტორი 1922 წლის ხევსურეთის ამბოხებას აღწერს: „1922 წლის ივლისში ჩვენი რაზმი დუშეთის მაზრაში ტრიალებდა. გიორგი გვერდწითელის მეთაურობით ქართლიდან იქ შემოგვიერთდა რვა კაცი.. ჩვენი რაზმის რიგები შეავსო სვიმონ ყიფიანმაც, რომელიც დამკომმა გამოგვიგზავნა თბილისიდან რაზმის დღიურის საწარმოებლად. ეს გახლავთ ხანშიშესული კაცი, არაჩვეულებრივი პიროვნება“ (სულხანიშვილი 2008: 116). ამავე მოგონებაში ალ. სულხანიშვილი აღწერს მაღაროსკარის შეტაკების ამბებს. აქ, ვაჟა-ფშაველას მიერ დაარსებულ სკოლაში, შეფიცულები დაბანაკებულან. მოწინააღმდეგე მხარეს მათი ადგილსამყოფელი შეუტყვია და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს თავს დასხმია. ალ. სულხანიშვილი აღწერს ამ შებრძოლებას და შეფიცულების მომხრეთა შორის სვიმონ ყიფიანსაც ასახელებს (სულხანიშვილი 2008: 119).

ვინმე ჯავახიშვილის ხელით გადაუცია მისთვის ბაქოში გასამგზავრებლად საჭირო ყალბი პასპორტი გელენიძის სახელზე.

სვიმონ ყიფიანის საქმეში ინახება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა წერილი საქართველოს სს რესპუბლიკის საგანგებო კომისიისადმი: „ბიურო უდგება თავდებათ სვიმონ ვასილის ძე ყიფიანს და ადასტურებს, რომ პირველ თქვენ მოთხოვნილებისამებრ ის გამოცხადდება თქვენს წინაშე. აგრეთვე, სვიმონ ყიფიანი სავსებით იზიარებს ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციას (კომუნისტი, 180) და ბიუროსთან ერთად იმუშავებს ამ დეკლარაციის სისრულეში მოსაყვანათ. თავდებათ უდგებიან ქვემორე ამისა ხელის მომწერნი: ბიუროს თავმჯდომარე და წევრები: ნიკო თავდგირიძე, მიხ. ჯავახიშვილი. მდივანი: ა. გვასალია. 29.VIII.23 წ. თბილისი“.

მიხეილ ჯავახიშვილისა და მისი თანამებრძოლების შუამდგომლობამ სვიმონ ყიფიანი მძიმე სასჯელისაგან იხსნა: სერიოზული ბრალდების მიუხედავად, ის პატიმრობიდან გაათავისუფლეს. მწერალი 1930 წლის 24 თებერვალს გარდაიცვალა და თბილისში დაკრძალეს.

დამოწმებანი:

მთვარელიძე 2008: მთვარელიძე, მ. *ყიფიანები*. თბილისი: „ცის ნამი“, 2008.

სულხანიშვილი 2007: სულხანიშვილი, ალ. *მოგონებები შეფიცულთა რაზმზე*. თბილისი: „არტანუჯი“, 2007.

დაკითხვის ოქმი*

1923 წლის 6 აგვისტო

„ჩემი დანაშაული ისაა, რომ 1922 წლის ივლისის ბოლოს მე წავედი ჩოლოყაევთან და მასთან სამი თვე დავყავი. მთელი აგვისტო გავატარე კახეთში ჩოლოყაევის ადგილსამყოფელის დასადგენად, ნოემბერში უკვე თბილისში ვიყავი, დეკემბერში – ბაქოში [...] გასაბჭოებამდე ქვეყნის მთავრობა გვეზიზღებოდა, მაგრამ მის წინააღმდეგ არ ვიბრძოდით, ჩვენ მათ იმიტომ თანავუგრძნობდით, რომ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს[...] მაგრამ ბოლშევიკებმა დაიკავეს საქართველო რუსის ჯარის მეშვეობით და წაართვეს დამოუკიდებლობა. ამის შეგუება არ შემეძლო და წავედი ჩოლოყაევთან, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ... მაგრამ არა აჯანყების მომზადების მიზნით. რადგან სასაცილოა იფიქრო იმაზე, რომ პატარა საქართველო, რომელსაც არც ჯარი ჰყავს და არც იარაღი აქვს, შეიძლებოდა აჯანყებულიყო ისეთი ბუმბერაზის წინააღმდეგ, როგორიც რუსეთია[...] მე დარწმუნებული ვიყავი, რომ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ვერ გასტანდა, რომ სახელმწიფო აპარატს ვერ დაალაგებდნენ, იქნებოდა შიმშილი, ამას სახალხო აჯანყება მოჰყვებოდა და საბჭოთა ხელისუფლება დაემხობოდა. თუ შინაგანი გადატრიალება არ მოხდება, ევროპა რუსეთს არ დატოვებს ბოლშევიკურს და პატარა სახელმწიფოთა დახმარებით ომს გამოუცხადებს, მაგრამ ამის პროპაგანდა ვერ მოვასწარით, ძირითადად ტყეში ვიმყოფებოდი“.

დადგენილება – (რუსულად, ნაბეჭდი). 1923 წლის 7 აგვისტოს მე, სეკოს რწმუნებულმა მალჩენკოვმა, განვიხილე ვასილ გელენიძის, იგივე სიმონ ყიფიანის საქმე, 52 წლის, საშუალო განათლებით, ქართველი პოეტი, თბილისის გუბერნიის სოფელ ქვიშხალის მცხოვრები, ეროვნულ-დემოკრატი 1905 წლიდან.

დავადგინე: ზემოხსენებული მოქალაქე სიმონ ყიფიანი სოვეტიზაციამდე მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო

* იბეჭდება კუპიურებით.

საადგილმამულო ბანკში. 1922 წლის 20 ივნისიდან დეკემბრამდე ბაქოს რესტორან „ლოზანიაში“ კასირად.

დააპატიმრეს 1923 წლის 6 აგვისტოს აზჩეკამ. ბრალდება: ჩოლოყაევთან თანამშრომლობა (თანამონაწილეობა).

საქართველოს სს რესპუბლიკის საგანგებო კომისიას – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა დროებითი ბიურო ამით აცხადებს, რომ ბიურო უდგება თავდებათ სვიმონ ვასილის ძე ყიფიანს და ადასტურებს, რომ პირველ თქვენ მოთხოვნილებისამებრ ის გამოცხადდება თქვენს წინაშე. აგრეთვე, სვიმონ ყიფიანი სავსებით იზიარებს ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციას (კომუნისტი, № 180) და ბიუროსთან ერთად იმუშავებს ამ დეკლარაციის სისრულეში მოსაყვანათ. თავდებათ უდგებიან ქვემორე ამისა ხელის მომწერნი.

ამასთან იგზავნება თავმდებობა სვიმონ ყიფიანის დისა და ბიძაშვილისა.

ბიუროს თავმჯდომარე: (?) წევრები: ნიკო თავდგირიძე, მიხეილ ჯავახიშვილი. მდივანი: ა. გვასალია.

29.VIII. 23 წ. თბილისი.

გიორგი ჩიტაია

XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია** დაიბადა 1890 წლის 10 ნოემბერს ქალაქ ფოთში. 1911 წელს დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის სპეციალობით. სხვათა შორის, გ. ჩიტაია შედიოდა იმ ხელმოკლე, ნიჭიერი ახალგაზრდების რიცხვში, რომელთაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება წლიურ სტიპენდიას უხდიდა.* იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის გამგეობის ნამდვილი წევრი (1918).** ურთიერთობა ჰქონდა ქართული მეცნიერებისა და კულტურის კორიფეებთან, როგორებიც იყვნენ: ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი და მიხეილ ჯავახიშვილი.

1917 წელს გიორგი ჩიტაია საქართველოში დაბრუნდა და ფოთის გიმნაზიაში დაიწყო პედაგოგად მუშაობა. 1918 -1921 წ.წ. იგი ფოთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეა. 1922 წ. ივ. ჯავა-

* http://www.literacy.ac.ge/
** http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00007485/

ხიშვილის მიწვევით მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მეცნიერის ბიოგრაფიიდან კარგა ხანს ამოღებული იყო 1918-1924 წლები, როდესაც იგი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა. დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ იგი 1912 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად ირიცხებოდა. 1921 წელს მენშევიკურ მთავრობას გ. ჩიტაიასთვის საზღვარგარეთ წასვლა შეუთავაზებია, რაზედაც მას უარი უთქვამს.* ბოლშევიკურ რეჟიმს გ. ჩიტაია პოლიტიკურად არასაიმედოდ შეურაცხავს. ბრალად წაუყენებიათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კონტრრევოლუციური საქმიანობა და 1923 წლის ივლისში დაუპატიმრებიათ. 1924 წლის 15 იანვრამდე მან მეტეხის ციხეში დაჰყო. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, 1924 წლის ზაფხულში, იგი მესხეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში გაემგზავრა, სადაც არქიტექტორ მიხ. შავიშვილთან ერთად, აგვისტოს ცნობილ მოვლენებში მონაწილეობისა და აჯანყების ორგანიზების ბრალდებით, დააკავეს. დახვრეტას შემთხვევით გადაურჩა. ახალციხის ციხის საკანში ორდღიანი პატიმრობის შემდეგ მოულოდნელად გაათავისუფლეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ სამეულის ერთ-ერთი წევრი გ. ჩიტაიას პეტერბურგელი ამხანაგი აღმოჩნდა. მას ერთი დღით გადაუწევია ბრალდებულთა დასჯა, მეორე დღეს კი სერგო ორჯონიკიძის ბრძანება მიუღიათ დახვრეტების შეწყვეტაზე.** ამის შემდეგ მეცნიერი მთლიანად ჩამოსცილდა პოლიტიკას და სამეცნიერო მოღვაწეობას მიუძღვნა თავი.

1936 წ. გიორგი ჩიტაიამ ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ეთნოგრაფიული სექცია ჩამოაყალიბა, რაც ერთგვარი წინაპირობა იყო 1938 წელს ეთნოგრაფიის განყოფილების შექმნისა. 1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა ეთნოგრაფიის კათედრა (საბჭოთა კავშირში მეორე, მოსკოვის უნივერსიტეტის შემდეგ). იქიდან მოყოლებული 1973

---

* ჩიტაია, გ., „ბიობიბლიოგრაფია“, ბიოიბლიოგრაფიული სერიიდან „ქართველი მეცნიერები“, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თბ., 2010, გვ. 10.

** ინფორმაცია გ. ჩიტაიას ხელმეორედ დაპატიმრების შესახებ მოცემულია თ. ცაგარეიშვილის ბიოგრაფიულ მიმოხილვაში (გ. ჩიტაია, „ბიობიბლიოგრაფია“, ბიბლიოგრაფიული სერიიდან „ქართველი მეცნიერები“, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თბ., 2010, გვ. 10).

წლამდე იგი კათედრის უცვლელი ხელმძღვანელი იყო. 1961 წ. გ. ჩიტაიამ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დააფუძნა საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორი.

გ. ჩიტაია ცნობილი იყო, როგორც სამუზეუმო საქმის საუკეთესო სპეციალისტი. დაუღალავი შრომის შედეგად, მან 1966 წელს თბილისში დააარსა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ. შემთხვევით არ უთქვამს აკაკი შანიძეს: „სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ბატონ გიორგი ჩიტაიას, ეს ღია ცის ქვეშ მოწყობილი საუცხოო მუზეუმიც საკმარისი იქნებოდა მისი სახელის უკვდავსაყოფად“.* დიდია მეცნიერის ღვაწლი აგრო-ეთნოგრაფიის დარგში, რისთვისაც იგი აგრარული ეთნოგრაფიის საერთაშორისო კომიტეტის წევრად აირჩიეს. გ. ჩიტაიას მდიდარი და მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობა ორასამდე ნაშრომში აისახა. ამაგდარი მეცნიერი ღირსეულად გაუმკლავდა მეცნიერების ისტორიაში ყველაზე რთული პერიოდის წინააღმდეგობებს. მან თავისი პრინციპულობით შეძლო, თავიდან აეცილებინა სქემატურობა, რასაც მარქსისტული ეთნოგრაფია ამკვიდრებდა.

გიორგი ჩიტაია გარდაიცვალა თბილისში 1986 წლის 28 აგვისტოს, დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ფონდი № 6, საარქივო № 23401 ყუთი № 69. ჩიტაია გ. ს.

დაპატიმრებულია კონტრ-რევოლუციის ბრალდებით: „სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აქტიური მუშაობისა და ბოლშევიკების საწინააღმდეგო არალეგალური მუშაობის გამო“.

დაპატიმრებული მეცნიერის საქმეში მოიპოვება საიდუმლო დეპეშა, რომელიც ლავრენტი ბერიას მიერაა ხელმოწერილი და გიორგი ჩიტაიას დაპატიმრების ბრძანებას წარმოადგენს:

* http://museum.ge/index.php?sec_id=100&info_id=470

„записка по прямому проводу. – сов. секретно.

Ахалсиху/ нач. П/Бюро. –

Абастуман на дачу выехал Читая Георгий, одновременно поручено ему наркомпросом произвести археологические обследования в Ахалсихском и Ахалкалакском уездах совместно комиссией. Примите все меры аресту его доставке ЧКГ. ГУК 11 Июля 1923 года.

№ 4737/С

Зампредчека ხელმოწერილია **– Берия“.**

აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად, არქივში დაცულია 1923 წლის 7 ივლისით დათარიღებული, გ. ჩიტაიასთვის სენაკიდან გამოგზავნილი პირადი წერილი. წერილიდან ირკვევა, რომ ჩიტაიას, გარდა პროფესიული ინტერესისა, სხვა მოტივიც ჰქონია ახალციხის მაზრაში გასამგზავრებლად – ტუბერკულიოზით ყოფილა დაავადებული:

7. 7. 23

„ძვირფასო გიორგი!

როგორ ხარ გენაცვალე? ხომ კარგად ხარ? უთუოდ მოკეთებული წამოხვალ, მომწერე წერილი იმ ადრესით, არა ადრე მარიამობის თვის დამლევისა. როგორ იქნები, რას ფიქრობ, გნახავთ აქეთ თუ არა, მე ვფიქრობ შესაძლებელი გახთება ჩვენი ხილვა ერთმანეთისა ძველი ჩვენი ქალაქ ..ში.

ახლა, რომ გავიფიქრებ ალაგ-ალაგი შენ მორიდება დამიწყე ბოლო ხანებში. მე შენი მერიდება, რათა დიდი ხანი ერთად დარჩენა შენთვის მავნებელი იქნება მეთქი, თუ არა ჩემი რიდი ნუ გაქვს, ნუ გექნება! პირიქით მე შენთან ყოფნა მუდამ ჟამს მახარებს, მაკეთებს, ხანს მიმატებს ხანს მიგრძელებს. ჩემში ეჭვი ნუ გეპარება სხვასთან სიცოცხლეს შენთან სიკვდილი მირჩევნია. შენი ვარ შენი.

მიიღე თუ არა უმარკო წერილი ტ..ში“.

(ხელმოწერა არ იკითხება)

მივლინების დამადასტურებელი „მანდატი“

„მიეცა ესე საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფს გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაიას მას შინა, რომ ის, ჩიტაია, საქართველოს მუზეუმის მიერ გაგზავნილია სამეცნიერო ეთნოგრაფიულ ექსკურსიაზე ახალციხის მაზრაში. სათანადო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ევალებათ გაუწიონ მას კანონიერი ყოველმხრივი დახმარება და განსაკუთრებით ბინისა და სურსათის შოვნაში. მუზეუმის დირექტორი: (ფაქსიმილია არ იკითხება) მდივანი: ს. მაკალათია“.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ბრალდებული მეცნიერი დამნაშავედ სცნეს და სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აქტიური მუშაობისა (პარტიის წევრად ირიცხებოდა 1912 წლიდან) და ბოლშევიკების საწინააღმდეგო არალეგალური საქმიანობის გამო გაასამართლეს. 4 ოქტომბრის დადგენილებით, მას შრომა-გასწორებით კოლონიაში (ГПУ) სამი წლით საქართველოდან გადასახლება მიუსაჯეს: „высылка из пределов ССРГ в ГПУ сроком на три года“.

1924 წლის 23 იანვრის დადგენილება:

„განთავისუფლდეს პატიმრობიდან, რადგან შეუერთდა გამოსასწორებელი სახლის № 2-ში პოლიტპატიმრების კრების მიერ გამოტანილ რეზოლუციას და ყოველ მენშევიკთა კონფერენციას“.*

* როგორც ცნობილია, მენშევიკმა პოლიტპატიმრებმა პარტიის დემონსტრაციულად დატოვების შესახებ მიიღეს რეზოლუცია, რომელსაც ჩიტაიაც აწერდა ხელს. მენშევიკთა კონფერენციას იგი მე-2 გამოსასწორებელი სახლში („ისპრავდომში“), წინასწარი დაკავების დროს შეუერთდა.

ცარიელი საქმეები

საგანგებო კომისიის (ЧК), სახელმწიფო პოლიტსამმართველოს (ГПУ), შინსახკომის (НКВД) და სუკ-ის (КГБ) მიერ წარმოებული საქმეები ინახებოდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეცარქივში, რომლის ნაწილი ჯერ კიდევ 1990 წელს რუსეთში გადაიტანეს და დაწვეს, ნაწილი ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს გაუჩინარდა, ნაწილი კი, მათ შორის ქართველ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა საქმეები, თბილისში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს ხანძრის შედეგად განადგურდა. დღეს ამ არქივის მხოლოდ ოცი პროცენტიღაა შემორჩენილი...

პაოლო იაშვილი
(1894-1837)

ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი, „ცისფერყანწელთა“ ორდენის გამორჩეული წევრი.

„პაოლო იაშვილი ძველი დროის რაფსოდებს და ტრუბადურებს ჰგავდა: მისი პოეტური ნიჭის დაფასება არ შეიძლება მარტოოდენ მისი დაბეჭდილი ლექსების მიხედვით, ეს იყო იმპროვიზაციის ჯადოქარი, რომელიც უწინარეს ყოვლისა აუდიტორიის სმენას ხიბლავდა. მას ვერავინ შეედრებოდა დიდ სადღესასწაუ-

ლო სუფრაზე. მისი სიტყვები შინაარსიანი და გონებამახვილი იყო ერთსა და იმავე დროს. აქ თითქო თავისთავს სჭარბობდა“ (გერონტი ქიქოძე).

„არა მხოლოდ ელვარე ნიჭის გამო, მე პაოლო იაშვილი იმ საბედისწერო გასროლისთვის მიყვარს, რადგან მისი ორლულიანი თოფიდან გამოვარდნილმა ცეცხლმა სიცოცხლეს აზრი მისცა, ღირსება შემატა და ჩვენ, მომდევნო თაობებსაც, შეგვიტრუსა წამწამები, არ მოგვასვენა და ჩვენს არჩევანზე, ამ სოფლად ადამიანად ყოფნის, ადამიანად დარჩენის უძნელეს აუცილებლობაზე დაგვაფიქრა“ (გურამ ასათიანი).

„პაოლო ჩემო!

ორმოცდასამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახე და შენს კუბოს ნებადაურთველად შორიახლოს მივყვებოდი შორეულ, მივიწყებულ სასაფლაოსკენ... სამოცდაოთხმა გაიარა, რაც ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მერხზე ვისხედით და ჩვენი ძმობის, ჩვენი განუყრელი მეგობრობის აკვანი დაირწა!

თუ არ ვცდები, პოეზიისა და მშვენიერების ღვთაების წინაშე ჩვენი მუხლების მოხრაც მაშინ დაიწყო!

ღმერთო, რაოდენი წელი გასულა, თანაც როგორი სისწრაფით, როგორი შეუბრალებლობით, როგორი სიმკაცრით ასამარებდნენ ეს წლები ყოველივეს, რაც ახარებდა, რაც ბედნიერების შუქით მოსავდა ჩვენი ახალგაზრდობის ყოველ დღეს, ყო-ველ წუთს!

და აი, მე კიდევ ცოცხალი ვარ, მარტოდ შთენილი, პირისპირ მდგომი ჩემდამი უკვე მტრულად განწყობილ ცხოვრებისადმი! არავის ვუსურვებ ამის განცდას, არავის!

მაგრამ, სრული უიმედობისა და დამარცხების დროსაც ადამიანისათვის განგებას თითქოს მოუნახავს რაღაც მწვავე, რაღაც მწარე შერიგების გრძნობა, რასაც განიცდის სნეულებასთან ბრძოლით დაღლილი სიკვდილის, როგორც მხსნელის, მოახლოების დროს!..

შენ სულ სხვა ადამიანი იყავი საყვარელო, განუმეორებელო, პაოლო!

მირონცხებულ, ჭეშმარიტ პოეტად იყავ მოვლინებული, მაგრამ არ დაგცალდა ერის წინაშე ვალის მოხდა, იმ ღვთაებრივ ვალის, რაზედაც ოცნებობდი შენ და შენთან ერთად შენი განუყრელი ძმები!

შენ მხოლოდ საკუთარი სისხლისა და ტვინის დაქცევით მოიხადე ეს ვალი და დაიცავი, როგორც ვაჟკაცმა და ნამდვილმა რაინდმა შენი პატიოსნება, შენი ღირება!

მე მწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვასაც შეიცავს შენი სიკვდილი!

განა ჩვენს ერს არა სჩვევია რჩეულ შვილთა პატიოსნებისა და ღირსების თავდადებით, თავგანწირულად დაცვა?

ის, რაც იყო და რამაც წაუშლელი სისხლიანი კვალი დასტოვა, დღეს, უმნიშვნელო წარსულის, სხვათა შორის მოსაგონებელ საგნად იქცა ლაზღანდარობისა, ჩლუნგგონებრივ ლაყბობის დროს, ყოველგვარ სინდისის ქენჯნის ოდნავი ნიშნის გარეშე, იმ ადამიანთა შორის, რომელნიც თავიანთ დიდებაში ღრმად დარწმუნებულნი, ამაყად დასეირნობენ, როგორც ფარშევანგები გაზაფხულზე, სისხლითა და ძვლებით გაპოხილ ჩვენს მშობლიურ მიწაზე, და ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ საბრალო არარაობა თავისი!

მშვიდობა მათ! როდის არა ჰყოლია ჩვენს სამშობლოს ასეთი ვაჟბატონები?! მაგრამ რაც სისხლით გათქვეფილა, წყალი ვერ დაბანს!

პაოლო, ჩემო წამებულო ძმაო, რა ვქნა! ისევ და ისევ ცოცხლდება ჩემში წარსული, ჩვენი იმედები, ჩვენი ცრემლები, ჩვენი დასამარებული, ვინ იცის, ეგებ სამარადისოდ, კუბოს კარამდე მიტანილი რწმენა!

ის არგვეთის ღამეები. სადაც შენი განსვენებული დედა, ქალბატონი ბაბილინა და ბრწყინვალე მამა, ბატონი ჯიბრაელი, მშობლიური ალერსით გვხვდებოდნენ და გვეფერებოდნენ! თვალწინ მიდგას შენი უნცროსი ძმა „ჭუნია“, ზღაპრული აღნაგობისა და სიძლიერის, კიდევ ნორჩი ვაჟი, ასეთი საშინელი

სიკვდილით 1924 წელს, ზესტაფონის მახლობლად, ვაგონებში დაღუპული!

მეხსიერებაში კი, განუწყვეტლივ გუგუნი გააქვს შენს უკვდავ სტრიქონებს: საბედისწეროს –

მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია
გამოხვეული –
ეს ჩემი ტვინი დასაქცევი, ტვინი ვერანი!

და მეორე – საგალობელი:

ნუ გეშინია, ჩემო კარგო, ჭაღარა თმაში –
ეს სინათლეა სიყვარულს რომ შემატებია.

26/XI 1980 წ.

P.S. ამ გაზაფხულზე ისევ მოვიტან შენ საყვარელ ბროწეულის ყვავილს! შენს საფლავზე! კ.ნ.*

თავი მოიკლა მწერალთა სახლში 1937 წლის 22 ივლისს.

* კოლაუ ნადირაძის ბარათის სტილი და პუნქტუაცია დაცულია (რევაზ კვერენჩხილაძე, „წამების გზა“, თბილისი, „უნივერსალი“, 2014).

ტიციან ტაბიძე
(1893-1937)

ქართველი სიმბოლისტი პოეტი, ცისფერყანწელთა ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხელმძღვანელი, თეორეტიკოსი.

„ტიციან ტაბიძის პოეტური გენეალოგიის ორი შტო უსათუოდ გრიგოლ ორბელიანსა და ფიროსმანს ეკუთვნოდა. მის ლექსებში ხანდახან ორბელიანის ხმა გალიაში მომწყვდეული ლომივით ბუხუნებდა და წარსული პოეზიის დაჯერებული ტონით ამაგრებდა მის მელოდიურ საყრდენებს. ტიციან ტაბიძე გრიგოლ ორბელიანივით გულგახსნილი პოეტი იყო. ბეჟანა მკერვალისა და დიმიტრი ონიკაშვილის დარდიმანდული, მსუბუქი იუმორით შეფერილი აღსარებანი აქაიქ გამოძახილს პოულობენ მის ლექსებში.

ტიციან ტაბიძე განცდილსა და ნახულს თითქმის შეულამაზებლად და უცებ ჰყვებოდა და ინტიმური განდობის დროსაც დიდ აუდიტორიას გულისხმობდა.

მისი პოეტური ფრაზაც, გრიგოლ ორბელიანის სტრიქონის მსგავსად, უმთავრესად ინტონაციაზე იყო დაყრდნობილი. მას თითქოს მუდამ სადღაც ეჩქარებოდა და მის ლექსებში აჩქარებული კაცის გულისცემა ისმის“ (თამაზ ჭილაძე).

„ამხ. კ. ჩარკვიანმა, ს. ეულმა, გ. ბუხნიკაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, ბ. ჟღენტმა, დ. შენგელაიამ. პ. ჩხიკვაძემ, ს. შანშიაშვილმა და სხვებმა, რომლების შეჩერდნენ ამ საკითხებზე, ურ-

ჩიეს ტ. ტაბიძეს გულახდილად აღიაროს ყველა ის დანაშაული, რომელიც მას ჩაადენინა ხალხის მტრებთან მჭიდრო კავშირურთიერთობამ. არც თავის წერილობით განცხადებაში და არც პრეზიდიუმის ამ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ტ. ტაბიძემ არ ისურვა ეთქვა სიმართლე და ბოლომდე განაგრძო თვალთმაქცობა, ამ სხდომაზეც ტ. ტაბიძე შეეცადა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს გულუბრყვილობის გამო არ იცოდა, თუ რა საზიზღარ მოღალატეობას ჩადიოდნენ მისი ამხანაგები, თითქოს თვით იგი ამ პირებისაგან მუდამ „დაჩაგრული და დევნილი იყო“.

„ვინაიდან ეჭვს გარეშეა, ტ. ტაბიძის ახლო კავშირი ხალხის მტერთან, ვინაიდან მას არა ერთხელ მიეცა საშუალება ეღიარებინა თავისი დანაშაული, მაგრამ მან ეს არ ისურვა, – ტიციან ტაბიძე გაირიცხოს საბჭოთა მწერლების კავშირის რიგებიდან.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად“.*

გაასამართლეს ანტისაბჭოთა მოღვაწეობისთვის.

დახვრიტეს 1937 წლის 16 დეკემბერს.

* ამონაწერი მწ/კ პრეზიდიუმის 8 ოქტომბრის ოქმიდან (რევაზ კვერენჩხილაძე, „წამების გზა“, თბილისი, „უნივერსალი“, 2014).

ნიკოლო მიწიშვილი
(1896-1937)

ქართველი პოეტი, „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრი. მწერალთა კავშირის ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორი, ლიტფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი დირექტორი.

დააპატიმრეს 1937 წლის 2 ივნისს. გაასამართლა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო ტრიბუნალის გამსვლელმა სესიამ მოსკოვში 1937 წლის 2 ივლისს. ბრალად წაუყენეს ჯაშუშობა; მავნებლობა და აგიტაცია–პროპაგანდა; ორგანიზებული ქმედება, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ (კონტრრევოლუციური ტროცკისტული ცენტრის ხელმძღვანელობა). მიუსაჯეს დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით.

„როდესაც მწერალი იძლევა შემოქმედების ნიმუშს, ის ამ ნაწარმოებში გადმოგვიშლის არა მარტო ერთს რომელიმე თვისებას თავის ბუნებისას, არამედ მოაქვს მთელი თვისი არსება, მოდის მთლიანი შინაგანი ბუნებით, ძირფესვიანად და ეს მით უფრო ძნელია მწერლისათვის, თუ მისი სულიერი სტრუქტურა ჩამოყალიბდა სულ სხვა სოციალურ ნიადაგზე, სხვა კულტურის, სხვა სოციალური პირობების ზეგავლენით.

მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მხატვრული შემოქმედების ამ რთულსა და თავისებურ სპეციფიკას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალიზმის ახლანდელი პერიოდის გამომ-

ხატველი და მისთვის საჭირო შემოქმედებითი ფაქტის მოცემა ძნელი უნდა იყოს მისთვისაც კი, ვინც აღიზარდა მხოლოდ ამ პერიოდში და სავსებით მისი ფსიქიკით გაიჟღინთა.

....ამრიგად, ჩვენს წინაშე ისახება დიდი სიძნელე და წინააღმდეგობათა წყება, რომელიც საჭიროა დასძლიოს მწერალმა, რათა ნაწილობრივ მაინც შეძლოს მან საკუთარი შემოქმედების მთელი სიძლიერით გადმოგვიშალოს თანამედროვე ეპოქის ჭეშმარიტი სახე – მომავლისაკენ შებრუნებული.

და ჩემის ფიქრით, სრულიად მიუღებელი იქნება ხელოვნებაში ისეთი პოლიტიკა, რომელიც გვერდს აუხვევდა სიკვდილს, ან ახლავე გამარჯვებას".*

დახვრიტეს 1937 წლის 12 ივლისს. რეაბილიტირებულია 1956 წელს.

* რევაზ კვერენჩხილაძე, „წამების გზა", წიგნი I, თბილისი, „უნივერსალი", 2014.

მიხეილ ჯავახიშვილი
(1880-1937)

ქართველი მწერალი, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

„ბნელ ღამეს მამადავითის სასაფლაოზე ავედი. ილია გაცოცხლებულიყო, წამომყვა, საქართველო დავატარე. ყველაფერი დავატარე... დიდხანს მესაუბრა... ვეღარ გაუძლო, ვიღუპებითო და ისევ საფლავში ჩავიდა“ (მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკიდან).

დააპატიმრეს 1937 წლის 14 აგვისტოს. 1937 წლის 30 სექტემბერს გაასამართლა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ. ბრალი დასდეს შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში, უცხოეთის სახელმწიფოების სასარგებლოდ ჯაშუშობაში, დივერსიული აქტების მოწყობასა და ტერორისტული თავდასხმების მომზადებაში.

„ჩვენი ასწლეულის თანმდევი უკვდავი სულია მიხეილ ჯავახიშვილიც – დიდი ეროვნული მწერალი, გენიალური ბელეტრისტი.

უკეთესნი მის თხზულებათაგან აზროვნების სიღრმით, სტილის ელვარებით, თხრობის გასაოცარი ბუნებრიობით ტოლს არ უდებენ წარსული თუ თანამედროვე მსოფლიო პროზის შედევრებს.

მაგრამ შთამომავლობისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს მიხეილ ჯავახიშვილის მოწამეობრივ ცხოვრებასა და აღსასრულს. სისხლის წვიმების დროში მან მამულისადმი ერთგულე-

ბას, მწერლისა და ერის განუყოფლობას, ადამიანის ღირსებად დაუდგა ძეგლი.

მე ასე წარმომიდგენია: სიკვდილმისჯილი მიხეილ ჯავახიშვილი თითქოს სოკრატეს სიტყვებით გამოეთხოვა ადამიანებს: „დროა დავტოვოთ აქაურობა, მე – იმიტომ, რომ მოვკვდე, თქვენ – იმიტომ, რომ იცხოვროთ, ხოლო რომელი სჯობს რომელს, ეს არავინ უწყის, თვინიერ ღმერთისა“.

არა, რომელი სჯობს რომელს – სიკვდილი თუ სიცოცხლე – ეს ღვთის გარდა ზესკნელმა ღმერთკაცებმაც არ იცოდნენ. იცოდა სოკრატემ, იცოდა „სოკრატეს აპოლოგიის“ ავტორმა პლატონმა, იცოდა რუსთაველმა... იცოდა მიხეილ ჯავახიშვილმაც, რომელმაც ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი არჩია“ (თეიმურაზ დოიაშვილი, წიგნიდან „დაბრუნება“).

დახვრიტეს 1937 წლის 30 სექტემბერს.

ვახტანგ კოტეტიშვილი
(1893-1937)

ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, გაზეთ "ქართული სიტყვის" რედაქტორი. საქართველოს ხელოვნების მთავარი კომიტეტის წევრი, ქართველ მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილე.

დააპატიმრეს 1937 წლის 5 ნოემბერს. 1938 წლის 17 იანვარს სამეულის სხდომაზე მიესაჯა დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით.

ფოლკლორისტი ელენე ვირსალაძე იგონებდა:

„ვინც დასწრებია 1917 წლის ოქტომბერში ვახტანგ კოტეტიშვილის შესავალ ლექციას... მას მუდამ ემახსოვრება მგზნებარე ტემპერამენტით, ფართო ერუდიციით და მაღალი პოეტური გემოვნებით აღბეჭდილი მისი სიტყვა, რომელმაც სწრაფად დაიპყრო და დაიმორჩილა მრავალრიცხოვანი და მაღალკვალიფიციური აუდიტორია. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი აუდიტორია გაჭედილი იყო ხალხით. ლექციას ესწრებოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი

ახვლედიანი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი – ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე პლეადა, რომელიც უნივერსიტეტისათვის ახალი, ნიჭიერი ძალის შემატებას ხარობდა“.*

დახვრიტეს 1938 წლის 29 იანვარს.

ევგენი მიქელაძე
(1903-1937)

ქართველი დირიჟორი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. საქართველოს სიმფონიური ორკესტრის დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი.

დააპატიმრეს 1937 წლის 4 ნოემბერს “ლატავრას” გენერალურ რეპეტიციის დროს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

დახვრიტეს 1937 წელს.

* რევაზ კვერენჩხილაძე, „წამების გზა“, წიგნი I, თბილისი, „უნივერსალი“, 2014.

გრიგოლ წერეთელი
(1870-1938)

ქართველი მეცნიერი, პაპიროლოგიის ერთ–ერთი დამფუძნებელი, ქართული კლასიკური ფილოლოგიური სკოლის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და საპატიო პროფესორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

1938 წელს იგი სადღაც მიწისქვეშეთში მოკლეს.

დიმიტრი შევარდნაძე
(1885-1937)

ქართველი ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა და ეროვნული სამხატვრო გალერეის დამფუძნებელი. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და სამხატვრო აკადემიის დაარსების თაოსანი. კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბის ავტორი.

„დიტოს ჩაფიქრებული ჰქონდა მეტეხის ტერიტორიაზე ახალი შენობა აეგო მუზეუმისათვის. იმ ხანებში (1937 წელი იყო) რუსთაველის იუბილე ეწყობოდა. ბერიას უნდოდა, დაენგრიათ მეტეხის ეკლესია და იქ რუსთაველის ძეგლი დაედგა. ამისთვის იქ ერთ დღეს ამფეთქებელთა ბრიგადა გაგზავნეს. დიტომ შეკრიბა ქალაქის ინტელიგენციის წარმომნადგენლები და ბერიასთან მივიდნენ. ეს ამბავი გახმაურდა, რაიონებსაც მისწვდა, ხალხი აღშფოთებას ვერ მალავდა (რუსთაველი აქ არაფერ შუაში იყო, – გამოინახებოდა მისთვის ადგილი ქალაქში). ბერიამ თითქოს უკან წაიღო თავის ნათქვამი, გამოისტუმრა დელეგაციის წევრები, მაგრამ დიტო დატოვა: ეკლესიას შენი ხელით დაანგრევინებო. მალე დიტო მოსკოვში წავიდა, ფული ითხოვა მუზეუმის ახალი შენობის ასაგებად, თანხა გამოუყვეს, მაგრამ მალე დააპატიმრეს“...*

დახვრიტეს 1937 წლის დეკემბერში.

---

* ქეთევან მაღალაშვილი. ირინე აბესაძე, ქეთევან ბაგრატიშვილი, „დიმიტრი შევარდნაძე“, თბილისი, „საქართველო!“, 1998.

პეტრე ოცხელი

ქართული მოდერნიზმის გამოკვეთილი ფიგურა, მხატვარი, ქართული სცენოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, სოციალისტური რეალიზმის ბატონობის ხანაში კონსტრუქტივიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი... პირველი სპექტაკლი ჯერ კიდევ სტუდენტობისას გააფორმა – ანატოლი ლუნაჩარსკის „ცეცხლის გამჩაღებლები“ (1927), რასაც მოჰყვა: შალვა დადიანის „კაკალ გულში“ (1928), გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ (1929), შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“ (1930), პოგოდინის „ფოლადის პოემა“ (1931), შექსპირის „ოტელო“ (1933), მოსკოვში: იბსენის „მშენებელი სოლნესი“ (1931), შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (1937), ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ (1937) და ა. შ.



„მისი სტილი მეოცე საუკუნის რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს – სუპრემატიზმიდან კუბიზმამდე და მერე კონსტრუქტივიზმამდე...“ (ქეთევან კინწურაშვილი). „პეტრე ოცხელი, უპირველეს ყოვლისა, მოაზროვნე ხელოვანია. იგი თეატრის მხატვარია, მაგრამ ძლიერი სახოვანი აზროვნების წყალობით ბევრი მისი ესკიზი ავტონომიური და დაზგური გრაფიკის ნაწარმოებს წარმოადგენს... ალბათ, გადამეტებული შეფასება არ იქნება, თუ რამდენიმე მის ნამუშევარს ოსტატობისა და ძლიერი სახოვანების დონით ანრი დე ტულუზ ლოტრეკის ფირნიშების გვერდით დავაყენებთ... იმას, რომ თანამედროვე მხატვრები უკომპლექსოდ მიმართავენ აბსტრაქტულ სახვით ენას და არ მიაჩნიათ იგი უცხო, არაქართულ მოვლენად, უნდა უმადლოდნენ

პეტრე ოცხელსა და დავით კაკაბაძეს“ (თემო ჯაფარიძე). „პეტრე ოცხელის ხელოვნება დღესასწაულს ჰგავს, რომელიც სამუდამოდ ტოვებს კვალს მხილველთა ხსოვნაში, კვალს, რომელსაც წაშლა არ უწერია“ (ლელა ოჩიაური).

... თეატრში იღვაწა მხოლოდ 10 წელი, გააფორმა 28 სპექტაკლი, საიდანაც 21 დაიდგა. 1937 წლის 21 სექტემბერს 30 წლის ხელოვანი დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს, როგორც „კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრს“ და იმავე წლის 2 დეკემბერს დახვრიტეს. 1939 წელს კი ლონდონში თეატრის მხატვართა გამოფენაზე პეტრე ოცხელის ესკიზები ოქროს დიდი მედლით დაჯილდოვდა, ხოლო 2000 წელს ლონდონის ნაციონალური თეატრის შენობაში მისი ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა, საზეიმო გახსნისას პეტრე ოცხელის ნამუშევრებს შედევრები უწოდეს.*

* ილია ჭავჭავაძის ჟურნალი „ბურუსი“.

მწერალთა კავშირის ტრაგიკული “ხუთწლედი”

ნონა კუპრეიშვილი

„პარტიული ლიტერატურა“: თეორია და პრაქტიკა

1905 წელს გაზეთ 'Новая жизнь“-ისა და ჟურნალ 'Весы“-ს ფურცლებზე რევოლუციონერ ვლადიმერ ულიანოვ-ლენინსა და 'Аврелий»-ს ფსევდონიმით წარმოდგენილ რუს სიმბოლისტ პოეტ ვალერი ბრიუსოვს შორის გამართული პოლემიკა ლიტერატურის პარტიულობის შესახებ მკითხველთა დიდი ნაწილისთვის უთუოდ შორეულ ან სულაც აუხდენელ პერსპექტივად იქნა მიჩნეული. არც ლენინის წერილის ძირითადი თეზა – „შეუძლებელია სალიტერატურო საქმე პროლეტარული საქმისგან დამოუკიდებელი და ინდივიდუალური იყოს“ – დამხმარე ლოზუნგებით – „ძირს უპარტიო მწერლები!“, „ძირს მწერლები ზეკაცები!“ – აღიქმებოდა დიდი სერიოზულობით. არადა, გავიდა სულ რაღაც ორი ათეული წელი და ოქტომბრის რევოლუციის ამ ერთ-ერთ ფუნდამენტურ იდეას მოსკოვის კვალდაკვალ ფრთები საქართველოშიც, კერძოდ კი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის სინამდვილეში შეესხა. მას შემდეგ, რაც 1937 წლის 5 იანვარს დაარსდა მწერალთა პარტიული ორგანიზაცია, დაიწყო კიდეც ლიტერატურის პარტიულობის ლენინის მიერ დეკლარირებული პრინციპების რეალიზება, მასთან ერთად კი მწერალთა რიგებში შემოქმედი ადამიანისთვის მიუღებელი (უკეთ რომ ვთქვათ, „მისი სულის გამჩანაგებელი“) პრინციპების, “მტრული კლასობრივი ინტერესებისა” და “პრიმიტიული აზროვნების წინააღმდეგ” ბრძოლა. საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის მიერ სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ 1932 წლის 23 აპრილს მიღებული ცნობილი დადგენილების თანახმად, “ერთიანი სამწერლო ფრონტის შექმნის“ ნიშნით აიკრძალა სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა არსებობა, ფაქტობრივად კი, დამოუკიდებელი აზროვნება და დაინერგა პარტიულ რეზოლუციათა მონური დაქვემდებარებისა და მათი განუხრელი შესრულების პრაქტიკა. ფსევდოთანასწორუფლებიანობის დემონსტრირები-

სთვის გაუქმდა თვით პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაც, თუმცა სრულიად გარკვეული მიზნით: „მოხდეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაცია. ყველა ის მწერალი, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში, გაერთიანებულ იქნან საბჭოთა მწერლობის ერთიან კავშირში, სადაც შეიქმნას კომუნისტური ფრაქცია“. ახალგაზრდა პოეტი ილო მოსაშვილი, რომელმაც აღნიშნული დადგენილების პათოსი ნამდვილი მწერლიდან „მწერალ-ფლუგელად“ (ა. ბაქრაძის ტერმინია – ნ.კ.) გარდაქმნის წინაპირობად აღიქვა და „წარმატებით“ განიცადა კიდეც ასეთი მეტამორფოზა, ამ პერიოდში ასე მიმართავდა თავის ძველ კოლეგებს: „შენ კი ვერა გრძნობ ეპოქის ძარღვებს / და იგრიხები, როგორც ლაფანი... / თუ სიხარულმა არ დაგკრა გულში, / მაშ, რაღას მისდევ დღეებს ჩანჩალით, / შეძვერი სადმე თხუნელას ღრუში,/ ან დაიბჯინე მკერდზე ხანჯალი!“. საგულისხმოა, რომ ქართული მწერლობის ძირითადი ბირთვი ჯერ კიდევ იტოვებდა ხელოვნებისა და პოლიტიკის ურთიერთგამიჯვნის იმედს. 1931 წელს ამგვარ ალტერნატივაზე საუბრობს ნიკოლო მიწიშვილი წერილში „საბჭოთა მწერლობის ახალი ამოცანები“: „...პროლეტარული დიქტატურის მე-14 წელს ჩვენ უკვე გარკვეულად უნდა მოვითხოვოთ მწერლისგან წმინდა პოლიტიკური მომენტის გარდა მხატვრული კლასიფიკაციაც. რასაკვირველია, პროლეტარული კლასიური იდეოლოგიით სავსებით გამართული მხატვრული ტექსტის მოცემა მეტად ძნელია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ რადგან ძნელია, ამიტომ მხატვრული შემოქმედების ფაქტად გამოცხადდეს ყოველგვარი ნაწარმოები...“ (მიწიშვილი, კომუნისტი: 1931, № 18). ნიშანდობლივია მიწიშვილის ამ წერილზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მეორე მდივნის კარლო მელაძის გამოხმაურება: „რათ სჭირდება მიწიშვილს საკითხის ასე დაყენება, როდესაც საკითხს არავინ ამგვარად არ აყენებს? მას ეს მისთვის სჭირდება, რომ გარკვევით სთქვას – პოლიტიკისა და ლიტერატურის შეთავსება დღეს შეუძლებელიაო“ (კომუნისტი 1931: № 22). რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, 1934 წელს მიწიშვილის მსგავსი პოზიციის გაზიარებას ბედავს პარტიული

ფუნქციონერი დავით დემეტრაძე, რომელიც მოგვიანებით აქ-ტიურად ფიგურირებს პარტორგანიზაციის კრებათა ოქმებში* და არასათანადო ბოლშევიკური სიმტკიცისთვის გახდება კი-დეც ცნობილი რეპრესიების მსხვერპლი. აი, რას წერს იგი: „... მთელ რიგ შემთხვევაში გვაკლია შესაფერისი იდეური სიღრმე და მხატვრული შემოქმედების სპეციფიკის დაუფლება. აშკარაა მხატვრული ფორმის უგულებელყოფის მავნე ტრადიცია, კიდევ მეტი, ღარიბი ფორმა ზოგჯერ პრინციპშიც კი აჰყავთ...“ (კომუ-ნისტი 1934: № 28).

ძველი რევოლუციონერი, იმხანად კი ახალი კულტურის ექსპერტად მოვლენილი რაჟდენ კალაძე აცხადებდა, რომ პრო-ლეტარულად უნდა მივიჩნიოთ ის ნაწარმოები, რომელსაც ახას-იათებს: „ლაკონიურობა, სიცოცხლე-გარკვეულობა, სისადავე... ნაწერი, რომელსაც ერთ-ერთი ამათგანი აკლია, ის პროლე-ტარული არაა. პირველი იმით არის გამოწვეული, რომ მებრძოლ პროლეტარიატს სასტიკად აქვს დრო განაწილებული და ზედ-მეტი სიტყვებისათვის და განმარტებისთვის დრო აღარ რჩება და არც საჭიროთ მიმაჩნია...“ (პროლეტარული მწერლობა1929: № 2).

საგულისხმოა, რომ იმ დროისათვის, როდესაც მწერალთა კავშირთან პარტიული ორგანიზაცია იქმნება და მისი წევრები კონფიდენციალურად იკრიბებიან, ბჭობენ, ნამდვილ მწერლებს ასმენენ, ერთმანეთს კი უთვალთვალებენ, პროლეტარულ კრი-ტიკასა და მწერლობას იდეურად მოწინააღმდეგე მწერლობის გასანეიტრალებლად უკვე ჩატარებული აქვს ე.წ. „მოსამზადე-ბელი სამუშაოები“. კერძოდ კი, განხორციელებულია სტრატეგი-ული შეტევები „ცისფერყანწელთა“ ორდენის, „აკადემიური ასო-ციაციის“, „არიფიონის“ დაჯგუფების და სხვათა წინააღმდეგ; უმძიმესი, თითქმის გაუსაძლისი პირობებია შექმნილი მწერალთა ერთი ჯგუფის, განსაკუთრებით კი მიხეილ ჯავახიშვილისთვის, რისი შედეგიცაა მწერლის პირველი სერიოზული კომპრომისი – მწვავე სოციალური მოთხრობის „დამპატიჟეს“ კონიუქტურულ

* საუბარია ოქმებზე, რომლებსაც წინამდებარე წიგნის ავტორები გაეცვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენ-ტრალური კომიტეტის არქივი).

„რკინის საცერად“ გადაკეთება. სრული არაკომპეტენტურობითაა აღქმული, ერთი შეხედვით, ჯავახიშვილისვე ისეთი „ნეიტრალური“ რომანიც, როგორიცაა „თეთრი საყელო“, რომელსაც მე-11 არმიის ყოფილი სამხედრო კომისრის, კრიტიკოს ვალია ბახტაძის სრულიად არალიტერატურული კითხვები და ავტორის იძულებითი განმარტებები მოჰყვება. იგივე ბედი ეწევა პირველ ქართულ მოდერნისტულ რომანებს, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგსა“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილს“; სარკასტულადაა შეფასებული ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“, ან, თუნდაც, ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის, გრიგოლ ცეცხლაძის ჟურნალი „მოქმედება“*, რომ არაფერი ვთქვათ იმ კატეგორიულ მიუღებლობაზე, რომელსაც პროლეტმწერლები და კრიტიკოსები 20-იანი წლების ბოლოს „ცისფერყანწელთა“ მიერ შექმნილი არაერთი ლირიკული შედევრისა და მათივე მწვავე, პოლემიკური ხასიათის ლიტერატურული წერილების მიმართ ამჟღავნებდნენ. ასე რომ, სრულიად ლოგიკური იყო მწერალთა კავშირში პარტორგანიზაციის, როგორც მწერლობაზე ზეწოლის კიდევ ერთი ბერკეტის, შექმნა. ამით, სხვათა შორის, რეალიზებული იქნა ლენინის მიერ ადრევე შემუშავებული კიდევ ერთი ბოლშევიკური პრინციპი – კულტურის სელექციერების მეთოდი. იმის მიხედვით, თუ რა როლს თამაშობდა რევოლუციურ მოძრაობაში თავადაზნაურობა, „რაზნოჩინცები“ და პროლეტარიატი, ლენინმა რუსულ კულტურაში ამავე სახელწოდების სამი ძირითადი ეტაპი გამოყო. ამასთან, მან კულტურას სოციალურ ძალთა ხელში მყოფი ძლიერი ინსტრუმენტი უწოდა, „რომელიც ამა თუ იმ კლასის გაბატონებას ემსახურება“.

მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის წევრებისა და მისი წევრობით სისხლხორცეულად დაინტერესებულთა ჩამონათვალი(ს. ეული, ალ. მაშაშვილი, შ. რადიანი, ი. ლისაშვილი, კ. ბობოხიძე, ალ. ჭეიშვილი, პ. სამსონაძე, ფრ. ნაროუშვილი, ს. თალაკვაძე, პ. საყვარელიძე, კ. ლორთქიფანიძე, ირ. აბაშიძე, ალ. გომიაშვილი, დ. ბენაშვილი) ცხადყოფს, რომ ეს ორგანიზაცია

* ს. ცირეკიძესა და შ. აფხაიძესთან ერთად გრიგოლ ცეცხლაძე ითვლება ქართული ვერლიბრის პირველ თეორიტიკოსად, თუმცა მან საბოლოოდ თავი სინთეტიზმში იპოვა და გამოსცა ჟურნალი „მოქმედება“.

კომპლექტდებოდა საბჭოთა რეჟიმთან მწერალთა და მწერლობასთან მიტმასნილ ელემენტთა ლოიალობის ნიშნით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ძლიერი მოტივაცია ექმნებოდათ იმათ, ვისაც, როგორც ჩანს, არ ასვენებდა უკვე გახმაურებულ ავტორთა სამწერლო ავტორიტეტი. მაშინდელი მოვლენების ცოცხალი მოწმე, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი აკაკი გაწერელია გამჟღავნებული სისასტიკის ანგარიშგასაწევ იმპულსად სულაც არაჯანსაღ შემოქმედებით კონკურენციას მიიჩნევდა: „ მე ხშირად მიფიქრია, თითქოს ეს იყო ხანა ქართული ჯიშის შესანიშნავი ეგზემპლარების შემუსვრისა სულმდაბალთა და უჯიშოთა მხრივ, მარტო პოლიტიკური მიზეზებით კი არა, არამედ შურის შედეგადაც...“ (გაწერელია 2013). ბევრი რამ ხდება ნათელი ვიქტორ შკლოვსკის ამ ფორმულირების ჭრილშიც: „თუ 20-იან წლებში ჯერ კიდევ შეიძლებოდა გვეთქვა: „საშიშია, მაგრამ ნიჭიერი“, 30-იანებში მას ამგვარი რადიკალიზმი ჩაენაცვლა: „საშიშია, ე. ი. არც შეიძლება, რომ იყოს ნიჭიერი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ იმათი დრო დგებოდა, ვისაც ფსევდოავტორიტეტისა და პირადი კომფორტისთვის კონკურენტთან ბრძოლა სრულიად არალიტერატურული მეთოდებით შეეძლო, უფრო მეტიც, სწყუროდა.

ლიტერატურული პროცესის უკიდურესი პოლიტიზირებისა და იდეოლოგიზების დასტურია 1937 წლის 10 მარტის ოქმი, რომელშიც “კომუნისტი მწერალი” (ფორმულირება მისია-ნ.კ) იაკინთე ლისაშვილი საუბრობს პროლეტმწერლების დისკრიმინაციაზე და დაუყოვნებლივ მოითხოვს ვითარების გამოსწორებას: “...ჩვენ პროლეტმწერლობის პირველი თაობის წარმომადგენლები ვიჩაგრებოდით, ჩვენი ნიჭი არ სწამდათ მაშინ ძველი ინტელიგენციის რეაქციონულ ნაწილს... ახლა თითქოს იგივე მდგომარეობა გრძელდება, განსაკუთრებით მწერალთა საკავშირო ყრილობის შემდეგ*. ყრილობაზე, როგორც, მთავარ მომხსენებლათ გამოვიდნენ, ამჟამად უკვე განადგურებული ხალხის მტრები – ბუხარინი, რადეკი, ტოროშელიძე, რომლებმაც თავიანთ მოხსენებებში პროლეტარული მწერლობა უკანა პლანზე დააყენეს. ბუხარინის მოხსენება პროლეტარული მწერლობის

* იგულისხმება 1934 წელს მოსკოვში ჩატარებული მწერალთა საკავშირო ყრილობა

მიმართ იყო აშკარა ლიკვიდატორული, მან პროლეტპოეზია აგიტკის ამ ჟამად აქტუალობა მოკლებულ პოეზიათ გამოაცხადა... იგივე მოხდა საქართველოშიც მალაქიას „წყალობით“*. აქედან დღემდე გრძელდებოდა კომუნისტ-მწერლების დევნა. დევნის მაგალითებია, როცა ტოროშელიძის ხელმძღვანელობის დროს მისივე შეკვეთით ჩემს რომანზე დაიბეჭდა „სალიტერატურო გაზეთში“ არა ამხანაგური, მტრული, გამანადგურებელი წერილი. ასევე მომექცა მწერალთა კავშირის ახალი ხელმძღვანელიც ამხ. თათარიშვილი**, რომელმაც საჯაროდ გამოიტანა ჩემი სუსტი ლექსები, განზრახ, შერჩევით და კარგის არდანახვით ილაპარაკა ჩემ შემოქმედებაზე. ყველაფერი ამის შედეგია კომუნისტ-მწერლების გამოტოვება სხვა და სხვა კრებულებიდან, შემოქმედებით მივლინებებში გაგზავნილი მწერლების სიებიდან. ჩვენ გვარებს განზრახ ტოვებენ აგრეთვე რომელიმე კრიტიკულ განხილვის დროს. ტოროშელიძის მოხსნის შემდეგ ამხ. თათარიშვილი მე მეგონა, რომ ყველა ამ ნაკლოვანებებს გამოასწორებდა, მაგრამ მან ეს არ ჩაიდინა... საჭიროა მწერალთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ იზრუნოს კომუნისტ-მწერლების ავტორიტეტზე, უნდა ჩაბმულ იქნან ისინი კავშირის მუშაობაში...“ (სტილი დაცულია – ნ.კ.). ლისაშვილი ხშირად საუბრობს მწერალთა კავშირში „ბოლშევიკური სიფხიზლის“ მოდუნებაზე, მის არასათანადოობაზე. ის და პარტორგანიზაციის კიდევ ერთი წევრი, პ. სამსონიძე-ქუთათელაძე დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ სიფხიზლე არ აკლდათ... მხოლოდ ეს იყო, რომ მათ მიერ გამოჩენილ სიფხიზლეს გასავალი არ ჰქონდა (ოქმი № 10,1937.02.10). პეტრე სამსონიძე სისტემატურად მხარს უბამს ი. ლისაშვილს, რათა „ხალხის მტრების“ განადგურების შემდეგაც არავინ დარჩეს მათი თანამგრძნობი. 1937 წლის 17 ნოემბრის ოქმი N 12-ის მიხედვით ირკვევა, რომ ი.ლისაშვილის განცხადების შემდეგ, რომელიც, ძირითადად, კრებაზე დამსწრე კანდიდ ჩარკვიანის ყურადღების მისაპყრობად იყო გაკეთებული, სი-

* იგულისხმება მალაქია ტოროშელიძე- იმ პერიოდში საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რეპრესირებული 1937 წელს

** აკაკი თათარიშვილი – 1937 წლისთვის მწერალთა კავშირის პარტიული ხელმძღვანელი, რეპრესირებული 1937 წელს.

ტყვით გამოსულა პეტრე სამსონიძე. მისი რიტორიკაც, როგორც თვითონ უწოდებდნენ ხოლმე, ლისაშვილის მსგავსად, ლიკვიდატორულია: „ბუაჩიძიდან* მოყოლებული ვიდრე დემეტრაძემდე ხალხის მტრები იყვნენ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში. ეს მავნებლები სდვნიდნენ ნამდვილ საბჭოთა მწერლებს და მფარველობდნენ ისეთ მწერლებს, რომელთაც არ სურდათ გულწრფელად მოსვლა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ცხადია, რომ ხალხის მტრებს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდათ თავისი ხალხი. ეს მავნებლები აფერხებდნენ მწერლების ახალგაზრდა კადრების მისვლას პარტიასთან და კომკავშირთან...“ ამას მოჰყვება, პ. სამსონიძის აზრით, არაჯანსაღი, ჯერ კიდევ „სათანადოდ დასამუშავებელი“ მწერლების ა. ქუთათელის, ი. მოსაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ირ. აბაშიძის უკეთ შემოწმების და კრიტიკოს ბ. ჟღენტის მწერალთა კავშირის მდივნობიდან მოხსნის მოთხოვნა პარტორგანიზაციის ოქმების მკვლევარს კი. პ. სამსონაძე თავს იმ უცნაური, თუმცა მრავლისმთქმელი ფრაზით ამახსოვრებს, რომელიც მან ერთ-ერთ სხდომაზე წარმოთქვა: „მე უფრო დიდი მწერალი ვიქნებოდი, რომ კომუნისტი არ ვყოფილიყავი“ (ოქმი №10, 1937. 02.10).

ოქმებში, კერძოდ, ე. წ. ლიტფონდის საქმეში ფიგურირებს პავლე საყვარელიძე – ძველი რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, პროლეტარული მწერალი, 1933-1937 წლებში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაციის“ დირექტორი, რომანების „დაფანტული ფურცლები“, „ეკლიან გზაზე“, „ქვა და რკინის“ ავტორი (კვერენჩხილაძე 2011: 405). ცნობილია, რომ სწორედ პავლე საყვარელიძის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ (1937 წლის იანვარი) ლიტფონდის დირექტორად დაინიშნა და დაპატიმრებამდე, ანუ იმავე წლის აგვისტომდე, მუშაობდა მიხეილ ჯავახიშვილი. ამის შესახებ ცნობებს ვპოულობთ ქეთევან ჯავახიშვილის წიგნში „მოგონებები მამაზე“ (ჯავახიშვილი 2000: 507). ქალბატონი ქეთევანი იმოწმებს ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის სახელზე მწერლის მიერ გაგზავნილ წერილს,

* ბენიტო ბუაჩიძე – ახალგაზრდა პროლეტკრიტიკოსი, პროლეტმწერალთა ასოცოაციის თავმჯდომარე, რაპელი, რეპრესირებული 1937 წელს.

რომელშიც გადაუდებელ სამუშაოთა სიაში ილიას საიუბილეოდ მისი კარმიდამოს კეთილმოწყობაა შეტანილი. მოგვიანებით ლიტფონდის კიდევ ერთი ხელმძღვანელი, ილო მოსაშვილი, რომელიც საყვარელიძე-ჯავახიშვილ-ლისაშვილის შემდეგ იკავებს ამ თანამდებობას, 1939 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ ლიტფონდში მას სავალალო მდგომარეობა დახვდა, რადგან ამ ორგანიზაციას "ხალხის მტრები" ხელმძღვანელობდნენ: „მიმდინარე წელში ლიტფონდის დირექციის და გამგეობის მზრუნველობის ცენტრში იყო მოქცეული ილიას სახლის კაპიტალური შეკეთება და ამ სახლის გადაქცევა მწერალთა დასასვენებელ სახლად. დღეს ეს სამუშაოები შესრულებულია და მწერალთა კავშირს აქვს მშვენივრად მოწყობილი დასასვენებელი სახლი..." თუმცა ანგარიშში არაფერია ნათქვამი ილიასეული ბაღ-ვენახის აღდგენა-განაშენიანებაზე, რომლის ერთ-ერთი მოთავე და ინიციატორი თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილიც იყო (ჯავახიშვილი 2000: 509).

დავუბრუნდეთ ისევ პავლე საყვარელიძეს. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ჯავახიშვილის დანიშვნამდე, გამომცემლობა „ფედერაციის"* ხელმძღვანელად მუშაობის პარალელურად ერთხანს ლიტფონდშიც აგრძელებს მუშაობას. თუმცა მალე ლიტფონდის დირექტორის, დავით წერეთლის „ბოლშევიკური" მხილების შემდეგ ამ თანამდებობიდან ათავისუფლებენ. ლიტფონდის თავმჯდომარედ ინიშნება ახალი „საიმედო ძალა" იაკინთე ლისაშვილი. სწორედ ამ დღიდან კარგავს საყვარელიძე გუშინდელ თანამოაზრეთა ნდობას. მიზეზად სახელდება იმავე დავით წერეთლისთვის პროტექციის გაწევა და მისი ლიტფონდის დირექტორად დანიშვნა. ამ თემაზე პარტორგანიზაციას მოხსენებას წარუდგენს ახალი ხელმძღვანელი იაკინთე ლისაშვილი: „დავით წერეთელი აღმოჩნდა ჯაშუში და დივერსანტი. ყველა ზომებს იღებდა, რათა ჩაეშალა ლიტფონდის მუშაობა. ლიტფონდში მისვლის თანავე მან გახსნა კერძო პირთა სახსრებზე მთელი რიგი საწარმოები, თავი მოუყარა კომბინატორებს და სპეკულიანტებს. წერეთლის მეოხებით ლიტფონდში

* "ფედერაცია" — საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამომცემლობის სახელწოდება 1932-42 წლებში (1968 წლიდან ეწოდა "მერანი").

ფართოდ მოიდგა ფეხი მავნებლობამ... ლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარედ ამ უკანასკნელ ხანებში მუშაობდა უკვე გამომჟღავნებული ხალხის მტერი მიხ. ჯავახიშვილი, რომელიც თავის მხრივ მფარველობდა წერეთელს და მის მიერ მოყვანილ ხალხს (უკანასკნელი ოთხი სიტყვა გადახაზულია – ნ.კ.). სამდივნომ მიიღო დადგენილება ლიტფონდის ყველა იმ წარმოებათა ლიკვიდაციის შესახებ, რომელთაც უშუალო კავშირი არა აქვთ მწერალთა ყოფა-ცხოვრების საქმესთან. ძირითადად ეს ლიკვიდაცია დამთავრებულია ჩვენს მიერ. მიღებულია ყველა ზომები ლიტფონდის მდგომარეობის გასაჯანსაღებლად. ლიტფონდის დირექტორად წერეთლის მოყვანა და დანიშვნა უთუოდ დიდი პოლიტიკური დანაშაული იყო. წერეთელი კი მოიყვანა ამხანაგ პავლე საყვარელიძემ, რის გამოც მან პასუხი უნდა აგოს ჩვენი ორგანიზაციის წინაშე“. იყვნენ სხვა გამომსვლელებიც (მაგ. დ. დემეტრაძე, ა. მაშაშვილი და სხვ.)*, რომელთა ბასრი კრიტიკა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ ასცდა მიზანს: ამ კრების შემდეგ ძალიან მალე პავლე საყვარელიძე ტიციან ტაბიძესთან ერთად გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, დააპატიმრეს და ცოტა ხანში დახვრიტეს.

საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთ ტიპურ დოკუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ თავად „მსხვერპლის“ (უფრო სწორად, მორიგი მსხვერპლის – პავლე საყვარელიძის” ნ.კ.) „აღიარება“, რომელშიც ნათლად ჩანს ტერორსა და უსამართლობაზე აგებული “მუშურ-გლეხური ხელისუფლების” არსი: „მართალია, მე დიდი დანაშაული ჩავიდინე, რომ დავით წერეთელი ლიტფონდში მოვიყვანე, მე მას ვიცნობდი, როგორც მოხერხებულ კაცს, რომელსაც შეეძლო ემუშავნა კონტროლის ქვეშ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა ეს კონტროლი მე მას ვერ გაუწიე. მე ისიც ვიცოდი, რომ წერეთელი რამდენჯერმე იყო შინსახკომის მიერ დაპატიმრებული, მაგრამ ვინაიდან იგი დაპატიმრების შემდეგ გაანთავისუფლეს, მე ეჭვი ვერ შევიტანე. ვფიქრობდი ალბათ მართალია და იმიტომ

*. დავით დემეტრაძის გამოსვლიდან: “პ. საყვარელიძეს ამ ბოლო ხანებში როგორც პარტიის წევრს ემჩნევა ერთგვარი მოდუნება. იგი ხშირად გვევლინება როგორც ობივატელი. მისი ლაპარაკი იმის შესახებ რომ „თავი დამანებეთ“, „საერთოდ ყველაფერს თავი უნდა დავანებო და ჩემთვის ვიყოვო“ ნათლად ამტკიცებს, რომ იგი კარგავს პარტიულ სახეს“ (ოქმი № 21, 1937: 20.08).

ანთავისუფლებენთქო. რის შემდეგაც წერეთელს ვენდევი. არ არის მართალი, რომ მე თითქოს მთელი სადავე წერეთელს მივეცი ხელში. მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე თათარიშვილიც მას უჭერდა მხარს. მე დანაშაული ჩავიდინე აგრეთვე, როცა მწერალთა კავშირის დადგენილება ზოგიერთ წარმოებათა ლიკვიდაციის შესახებ არ გავატარე ცხოვრებაში... ახლა ჩემი სახლის აშენების შესახებ. მართალია, წერეთელი მე მეხმარებოდა ტექნიკურად სახლის აშენების საქმეში, მაგრამ სახლის აშენებაში მე საკუთარი თანხები დავაბანდე... წერეთელი მე გავიცანი საზღვარგარეთ ბერლინში სავაჭრო წარმომადგენლობაში, მაგრამ ვერავინ ვერ მეტყვის იმას, რომ მე მასთან რაიმე პოლიტიკური კავშირი მქონდა, როგორც ხალხის მტერთან. საერთოდ ძნელია ბოლშევიკის ტვირთის ზიდვა. მე დავიღალე დიდი ხნის მუშაობით, მაგრამ მე სუფთა ვარ და შემიძლია კიდეც ვიამაყო როგორც ბოლშევიკმა“.

„ბრალდება“, რომლის თანახმადაც კრებაზე დამსწრე კომუნისტმა მწერლებმა (დემეტრაძისა და მაშაშვილის გარდა, კ. ბობოხიძე, ხიდისთაველი, ა. ჭეიშვილი) საყვარელიძის პარტორგანიზაციიდან გარიცხვა გადაწყვიტეს (რაც, ფაქტოვრივად, მისი ფიზიკურად განადგურების ტოლფასი იყო) საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: გაირიცხოს „ლიტფონდის ყოფილ დირექტორ ჯაშუშ წერეთელთან კავშირისთვის, ლიტფონდის მუშაობის ჩაშლისთვის, გულგატეხილობის ტენდენციების გამჟღავნებისთვის და პირადი ინტერესების საზოგადოებრივზე მაღლა დაყენებისთვის“.

საინტერესოა მწერალთა კავშირთან არსებული პარტორგანიზაციის ოქმის ზემოთ დამოწმებული ამონაწერის შედარება 1937 წელსვე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (#10) გამოქვეყნებულ ანონიმურ წერილთან „უთავბოლობა და ბოროტმოქმედება ლიტფონდში”. სტატიის ავტორი იდეოლოგიურად სათანადოდ მომზადებულია. იგი „ბოლშევიკური პირდაპირობით“ ამხელს ლიტფონდში მოკალათებულ მავნებლებს, რომლებიც საბჭოთა სისტემის საფუძვლებს ანგრევენ. ირკვევა, რომ საკითხს ისეთი სახელმწიფოებრივი ჟღერადობა შეუძენია, რომ იგი საგანგებოდ ყოფილა განხილული მწერალთა კავშირის კრე-

ბაზეც*. აქაც ფიგურირებს სხვადასხვა ნეგატიური ეპითეტით შემკული დავით წერეთლის სახელი, რომლის შესახებ ვკითხულობთ: „თავის დროზე, როცა გაიძვერა დ. წერეთელი ლიტფონდის დირექტორად იქნა მოწვეული, ამ თანამდებობაზე მისმა დანიშვნამ მწერალთა შორის მითქმა-მოთქმა გამოიწვია: ბევრი მწერალი უარყოფითად შეხვდა ამ ფაქტს, რადგან მათთვის ... ცნობილი იყო დ. წერეთლის „საგმირო საქმენი“. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა უბრალო მოქალაქეობრივი გამბედაობა ვერ გამოიჩინა და აცილება არ მისცა კომბინატორ დ. წერეთელს. ამ აფერისტს სამწუხაროდ აღმოუჩნდა თვით მწერალთა შორის ზოგიერთი დამცველი იმ პირთა სახით, რომელნიც წერეთლის დირექტორობიდან „გამორჩენას“ მოელოდნენ...“. სწორედ ამგვარ დამცველთა შორისაა დასახელებული ჯერ პავლე საყვარელიძე, შემდეგ კი მიხილ ჯავახიშვილი: „გაიძვერა დ.წერეთელი ლიტფონდში მოვიდა გამგეობის მაშინდელი თავმჯდომარის ამხ. პ. საყვარელიძის რეკომენდაციით. წერეთელს თან მოჰყვნენ სხვადასხვა ჯურის საეჭვო პირები. ლიტფონდთან დაარსდა დიდი და მცირე კალიბრის კომბინატორთა მთელი „არეოპაგი“... წერეთლის დირექტორად დანიშვნის შემდეგ ამხ. პავლე საყვარელიძე თითქმის სრულიად ჩამოშორდა გამგეობის ხელმძღვანელობას და გამგეობის ფუნქციები ფაქტიურად გადაეცა წერეთელს, რომელმაც ახალ გახსნილ საწარმოებს (მელნის, გაჯის, აგურის, ტანსაცმლის ატელიეს, ცნობილ მკერავ საშა პორტნოისთან ერთად – ნ.კ.) სათავეში ჩაუყენა კომბინატორები, გადააქცია ისინი საეჭვო ხალხის ბუდეთ” (წერეთელს ბრალად საგზურების თვითნებურად განაწილებაც დასდეს – ნ.კ.). როგორც ირკვევა, სარევიზიო კომისიას აღძრული ეჭვის საფუძველზე საყვარელიძეც და მისი პროტეჟე წერეთელიც გაუთავისუფლებია, თუმცა საქმე “ახლად მოვლენილ მფარველს”, მიხეილ ჯავახიშვილს გაუფუჭებია. „ლიტერატურული საქართველოს“ ანონიმური სტატიის ავტორი პირდაპირ დებს ბრალს მიხეილ ჯავახიშვილს, რომელმაც თურმე ანგარებით დაუჭირა მხარი წერეთელს და მეტიც,

* „საქართველოს მწერალთა კავშირის კრებაზე, რომელიც 5 მაისიდან 11 მაისამდე მიმდინარეობდა, დიდი ყურადღება მიიქცია ლიტფონდის საკითხმა“(„ლიტერატურული საქართველო“, 1937, №10).

მის აღდგენასაც მიაღწია: „წერეთელს გამოესარჩლა გამგეობის ახალი თავმჯდომარე ამხ. მ. ჯავახიშვილი, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა დროებით მაინც დაეტოვებინათ დირექტორად დ. წერეთელი, როგორც „ენერგიული, სანდო და მცოდნე კაცი“. მ. ჯავახიშვილმა თავისი გაიტანა. “არა თუ დირექტორად დასტოვა გაიძვერა კომბინატორი, არამედ არ მოერიდა საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპის დარღვევას და კოოპტაციის წესით წერეთელი გამგეობაშიც კი შეიყვანა. ამან კიდევ უფრო გაამხნევა წერეთელი. მალე ამ კომბინატორმა უჩვენა თავის ახალ მოსარჩლეს თავისი ენერგიულობა და საქმიანობა...“. საგულისხმოა დასკვნა, რომელსაც წერილის ფინალურ ნაწილში ვაწყდებით: „ლიტფონდის ისტორიიდან მთელმა ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრივობამ (სტილი აქ და ყველგან დაცულია – ნ.კ.) სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს. საჭიროა მეტი კრიტიკა და თვითკრიტიკა, მეტი რევოლუციური სიფხიზლე, რომ შემდეგში წერეთლის მსგავს აფერისტებს არ მიეცეს გასაქანი მავნებლური საქმიანობისათვის“.

ლიტფონდის საქმე სულ რამდენიმე თვით უსწრებდა წინ იმავე „ლიტერატურულ საქართველოში“ მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ ბესო ჟღენტის ცნობილი წერილის „მოღალატური სიტყვა და საქმე“ გამოქვეყნებას. ცხადია, ეს ერთი ცილისმწამებლური კამპანიის ნაწილი იყო და ბრალდებების სისწორეს, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. მთავარი იყო „პირუთვნელი“ საზოგადოებრივი აზრის შექმნა, ხალხის რისხვის გამოწვევა, რათა გაუგონარი ფიზიკური განადგურებების სერიას, რომელიც უკვე დაწყებული იყო, ნაკლები რეზონანსი ჰქონოდა. ქეთევან ჯავახიშვილი ქვიშხეთში მამის დაპატიმრების სცენის აღწერისას ერთ დეტალს იხსენებს: უკვე ჩეკისტების გარემოცვაში მყოფ და სახლიდან გასასვლელად გამზადებულ მწერალს ჯიბეები მოუსინჯავს, იქიდან სოჭის საგზური ამოუღია და ქალიშვილისთვის უთქვამს, მწერალთა სახლში წაიღე და ჩააბარეო. ეს, ალბათ, ის საგზური იყო, რომელიც მან „კომბინატორებით სავსე ლიტფონდიდან მიიღო“ და ახლა მის დაბრუნებაზე ზრუნავდა...

რაც შეეხება ძველ ნაკატორღალ რევოლუციონერს, მარქსისტული იდეების ერთგულ მიმდევარს, პავლე საყვარელიძეს, იგი 1937 წლის 8 ოქტომბერს ტიციან ტაბიძესთან ერთად მწერალთა კავშირიდან გარიცხეს და იმავე წლის 10 ნოემბერს დახვრიტეს. არსებობს პავლე საყვარელიძის მეუღლის, ნინა საყვარელიძის განცხადება, რომელშიც კარგად ჩანს ამ ოჯახის ტრაგიკული ხვედრი: „ქმრის დაპატიმრებას დაერთო ოჯახის შემდეგი უბედურებაც: მძიმე ოპერაციის შედეგად თბილისში გარდაიცვალა ჩემი ვაჟიშვილი მიხეილი. დავრჩი უფროსი ქალიშვილის – ჩემი მოხუცებულობის ერთადერთი იმედის ამარა და ვინაიდან ქმრის დაპატიმრების შემდეგ ბინაც და ოჯახის მთელი მოწყობილობაც ჩამოგვართვეს, იძულებული გავხდი ჩემს ქალიშვილთან ერთად გადავხვეწილიყავი შორეულ ციმბირში, ჩემს ნათესავებთან. აქ კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავვარდი და იძულებული ვიყავი ხელზე მოსამსახურედ მემუშავა. ბედმა ამდენი ტანჯვა-წამება აღარ მაკმარა და რამდენიმე წლის შემდეგ ერთადერთი ქალიშვილიც გარდამეცვალა“ (კვერენჩხილაძე 2011: 405).

ეპოქის მძიმე სულისკვეთებისა და მაამებლობის სახიერი ნიმუშია 1939 წლის 19.05 ოქმი №1, რომელსაც, პირობითად, ეპოქის სტილისტიკის დაცვით, „გოლუბევას საქმე“ ვუწოდეთ. პარტჯგუფის იმდღევანდელ სხდომას ესწრებოდნენ: ა.მაშაშვილი, ს. ეული, შ. რადიანი, კ. ბობოხიძე, დ. ბენაშვილი, გ. ნატროშვილი, ა. კაჭახიძე, გ. ბუხნიკაშვილი, პ. ჩხიკვაძე, ჭყონია, ჭიჭინაძე, ხიდისთაველი. მათ მოისმინეს „ამხანაგების ს. ეულისა და ა. მაშაშვილის“ ინფორმაცია „Литературная газета“-ში საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მიმართული სტატიის შესახებ. ეჭვის ქვეშ დამდგარა, ერთი შეხედვით, ისეთი უწყინარი მოვლენა, როგორიცაა გაზეთის კორესპოდენტის, ვინმე გოლუბევას, მივლინება ბაღდათში და მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში სტუმრობა, ანუ, როგორც ოქმში ვკითხულობთ, „ნახვის მომიზეზება“. აი, როგორ წარმოგვიჩენს ოქმის ტექსტი საგანგებო კრების მოწვევის და მომხდარზე მძაფრი რეაგირების პროცესს: „...ჩვენ მას შევხვდით ისე, როგორც ჩამოსულ სტუმარს შეჰფერის, აუღეთ ბილეთი და გავამგზავრეთ ბაღდათისკენ, თან გავატანეთ ირაკლი აბაშიძე (სტილი

დაცულია – ნ.კ.). ბაღდათიდან დაბრუნების შემდეგ მას მივეცით სასტუმრო ბინა; რამდენიმე ხნის შემდეგ მან სასტუმროში ცხოვრებაზე უარი განაცხადა და გადავიდა ბეს. ჟღენტის ბინაზე. იქ ზოგიერთი უპარტიო მწერლის კარნახით დაიწერა გოლუბევის (უნდა იყოს გოლუბევა – ნ.კ.) მიერ ეს ცილისმწამებლური წერილი, სადაც უარყოფილია ერთი კალმის მოსმით ჩვენი მიღწევები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გოლუბევა პარტორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანების შესახებ ცნობებს აგროვებდა უპარტიო მწერლებიდან, მაგ. ლ. ასათიანისაგან და სხვებისგან". მიღებული წესის თანახმად, პარტიული მუშაკი გიორგი ბუხნიკაშვილი დამსწრე საზოგადოებას მომხდარის იდეურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას განუმარტავს და „სწორ" მიმართულებას აძლევს კრების შემდგომ მსვლელობას: „მართალია, გოლუბევას წერილი ტენდენციურია, ყოვლად დაუშვებელი ტონითაა დაწერილი, მაგრამ მაინც ზოგიერთ რამეში უნდა დავეთანხმოთ... ჩემი აზრით გოლუბევას წერილი უსათუოდ შეთანხმებულია გოლცევთან. საჭიროა მოვითხოვოთ ხელმძღვანელის როლი ჩამოერთვას გოლცევს და მიეცეს უფრო მეტი ლიტერატურული ავტორიტეტის მქონე მწერალს. საჭიროა თავიდან მოვიცილოთ ისეთი აპეკუნი, რომელიც ჯერ ყანწელებს ეყრდნობოდა და ახლაც უპარტიო მწერლებზე აქვს ორიენტაცია"*.

შემდეგმა გამომსვლელმა პანტელეიმონ ჩხიკვაძემ ღიად გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ვიქტორ გოლცევის მიმართ: „გოლცევი არის უდიდესი მლიქვნელი ადამიანი. მას ყავს ქართველ მწერლებში თავისი კუდები მლიქვნელები. გოლცევის საშუალებით ხდება პროლეტარული მწერლებისა და მწერალთა სხვა თაობების გადაკიდება. საჭიროა შედგენილ

* ვიქტორ ვიქტორის ძე გოლცევი (1901-1955) იყო ცნობილი რუსი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. მან ითავა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების სისტემატური შესწავლა. 1970 წელს გამომცემლობა „მერანმა" რუსულად გამოსცა ვ. გოლცევის წიგნი „Из трех книг", რომელშიც თავმოყრილი იყო ავტორის სხვადასხვა ნაშრომიდან ამოკრეფილი ფრაგმენტები ქართული კულტურის შესახებ. გოლცევს, მართლაც, ახლო ურთიერთობა ჰქონდა „ცისფერყანწელებთან". 1938 წელს მისი რედაქტორობითა და მისივე შესავალი წერილით რუსულ ენაზე გამოიცა პოეტური კრებული „Молодые поэты Грузии", რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. განსაკუთრებით განრისხებული ჩანდა ახალგაზრდა პროლეტმწერალთა ფრთა, რომელთა ლექსები ამ კრებულში ვერ მოხვდა.

იქნეს მწერალთა კავშირის აქტივის ვრცელი დადგენილება, სადაც უნდა მოვითხოვოთ გოლცევის თავიდან მოცილება, რომ მსგავს ტენდენციურ წერილებს ადგილი არ ქონდეს“. ირკვევა, რომ პ. ჩხიკვაძეს უყურადღებოდ არ დარჩენია ზოგიერთი ქართველი მწერლის სიხარული, რომელიც გოლუბევას სამართლიან კრიტიკას გამოუწვევია: „სამწუხაროდ მიმაჩნია ის სიხარული, რაც გამოიწვია გოლუბევას წერილის გამოქვეყნებამ ქართველ მწერალთა შორის. სამწუხაროდ ამ წერილის გამოქვეყნება ზოგიერთ ორდენოსან მწერალსაც გაუხარდა, რაც ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია“. თვალსაჩინოა იმ ახალგაზრდების მონდომებაც, რომლებმაც ლიტერატურული ნათლობა არც მეტი, არც ნაკლები თვით ფილიპე მახარაძისგან მიიღეს*. ერთ-ერთი იმ ახალგაზრდა ავტორთაგანი, დიმიტრი ბენაშვილი, ითხოვს ნებართვას აქტიურობისათვის: „გოლუბევას წერილი ცინიკურადაა დაწერილი. გოლცევი უნდა მოიხსნას, მას არავითარი ავტორიტეტი არ აქვს რუსეთშიც. თუ დამავალებთ მე დავწერ წერილს საქართველოში გოლცევის „მოღვაწეობის“ შესახებ“. აღნიშნულმა კრებამ მიიღო დადგენილება საპასუხო წერილის დაწერის შესახებ, რომლის შედგენა „მიენდო სამდივნოს ნატროშვილთან, ბენაშვილთან, რადიანთან ერთად“. ამასთან აჭარის, აფხაზეთის, ოსეთისა და

* 1931 წელს ფილიპე მახარაძის რეადაქტორობითა და მისივე წინასიტყვაობით გამოქვეყნდა კრიტიკული წერილების კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, რომელშიც ახალგაზრდა პროლეტარულმა მწერლებმა (დ. ბენაშვილი, შ. შავგულიძე, ფრ. ნაროუშვილი, ალ.ქიქოძე) მკაცრად გააკრიტიკეს „რეაქციონური და მონარქისტური მწერლები, როგორც იყვნენ ჭავჭავაძეები და ძმანი მისნი“ (სტილი დაცულია – ნ.კ) და მათი დამცველი ლიტერატურათმცოდნენი. იმავე წლის 15 სექტემბრის გაზეთ “კომუნისტში” დაიბეჭდა ფილიპე მახარაძის სტატია „მდგომარეობა ქართულ ლიტერატურაში“, რომელშიც ავტორი ახალგაზრდა პროლეტმწერალთა და კრიტიკოსთა „პირველ გაბედულ ნაბიჯად“ აცხადებს აღნიშნული კრებულის გამოცემას და თავადაც მკაცრად ილაშქრებს იმ ლიტერატორთა წინააღმდეგ, რომელთაც „არ შეუძლიათ არა თუ მარქსისტულად მიუდგნენ და გააშუქონ ქართული ლიტერატურის კლასიკოსები, არამედ იმათ არ ძალუძთ, დაიცვან მცირეოდენი ობიექტურობაც კი ისტორიულ სინამდვილის მიმართ“: „ეს არ გაგივათ, პატივცემულო მოქალაქენო, კოტეტიშვილებო, კაპანალებო და სხვანო, ამას ბოლო უნდა მოეღოს და ამის ნიშნები უკვე არის. ერთი ამის ნიშანთაგანი არის თუნდაც ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლობის პირველი გაბედული ნაბიჯი, რომელიც იმათ გადადგეს ზევით დასახელებული კრებულის გამოცემით. მართალია, ამ ამხანაგების ჯგუფი ჯერ მცირეა, ეს ჯგუფი ჩქარა გაიზრდება[...]მეტია ლაპარაკი, რომ ეს ახალგაზრდები სწორ მარქსისტულ - ლენინურ პოზიციაზე დგანან და ბოლშევიზმის ერთგული დამცველები არიან“ (გაზ. „კომუნისტი“, 1931 წლის 15 სექტემბერი).

ქუთაისის მწერალთა კავშირების „გამოსარკვევად“ გაიგზავნა პარტორგანიზაციის რამდენიმე წევრი.

1939 წლიდან უფრო აქტიურდება ახალგაზრდა, იდეურად შედარებით სანდო მწერლების პარტიის რიგებში მიღების საკითხი, რაც ჩვენს ხელთ არსებული ოქმების მიხედვით დახურული კრებების ფორმატში პარტიული დისციპლინისა და სიმკაცრის დემონსტრირების ფონზე ხდებოდა. კანდიდატებს შორის არიან სიმონ ჩიქოვანი და დემნა შენგელაია. მათი საკითხის განხილვისას იაკინთე ლისაშვილმა კრებაზე დამსწრეთ ურჩია, მეტი სიმკაცრით მოჰკიდებოდნენ პარტიის რიგების შევსების მსურველებს, რადგან „ს. ჩიქოვანის მთელი რიგი ნათესავები დაპატიმრებულია. იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ს. ჩიქოვანს ქონდა ერთგვარი ურთიერთობა ხალხის მტერთან ჯიქიასთან. ასევე დ. შენგელაია ახლო კავშირში იყო ხალხის მტერთან ყურულაშვილთან, ბედიასთან და სხვ. ამიტომ საჭიროა ჯერჯერობით თავი შევიკავოთ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისგან და დამატებით შევისწავლოთ ეს საკითხი“ (1937. 02.10, ოქმი №25). სამაგიეროდ, შედარებით უმტკივნეულოდ ღებულობენ პარტიის რიგებში ალ. შანიძეს, (1939, 02.12. ოქმი № 6), ი. ხოშტარიას (1940, 05.07, ოქმი) და სხვებს.

ამ ქაოტურ და შოკურ ვითარებაში, რომელსაც ბოლშევიკები სოციალისტური იდეების ცხოვრებაში გატარებასა და ხალხისთვის ნათელი მომავლის შექმნას უწოდებენ, არიან ისეთი ახალგაზრდა მწერლებიც, რომლებიც მსგავსი „კულტურული იგნორაციის ხანაშიც“ (თ. ჩხენკელი) მწერლობაში საკუთარი გზის გაკვალვას ცდილობენ. სწორედ მათ ატეხავს თავზე თავის „სამართლიან რისხვას“ 1939 წლის მწერალთა მორიგ მეოთხე ყრილობაზე ცეკას მაშინდელი მდივანი ილია თავაძე. თავის მოხსენებაში იგი თავს ესხმის მირზა გელოვანს, ალექსანდრე საჯაიას, რევაზ მარგიანს და ლადო ასათიანს. განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელს “აფრთხილებს” მის ლექსებში გამჟღავნებული პატრიოტული სულისკვეთების გამო. ეს „გაფრთხილება“ იმდენად საშიში იყო, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ მომდევნო ნომერში კრიტიკოსმა ლევან ასათიანმა საგანგებოდ გამოაქვეყ-

ნა განცხადება, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ ილია თავაძის მიერ ნახსენები ლ. ასათიანი მე არ ვარო...

საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი ერთ ფაქტს: მიუხედავად იმისა, რომ მწერალთა კავშირთან 1937 წელს შექმნილი პარტიული ორგანიზაციის ოქმები საგრძნობლად მოწესრიგებულ-დავარცხნილია, მათში ნათლად იკვეთება ჩვენი საბჭოური წარსულის ერთ-ერთი უმძიმესი მონაკვეთი – არაერთი ადამიანის დასახიჩრებული ბედი თუ ძალადობრივად შეწყვეტილი სიცოცხლე. მსგავსი ვითარების შესახებ სავსებით მართებულად შენიშნავდა იური ლოტმანი: „ერთ კონკრეტულ ადამიანში ასახული ისტორია ბევრად უფრო გასაგებია, ვიდრე ეპოქალური ფართომასშტაბიანი მოვლენების წყება“ (ლოტმანი).

დამოწმებანი:

ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა. *მწერლობის მოთვინიერება*. თბილისი: 1990.

გაწერელია 2013: გაწერელია ა. *ჩემი სოლილოკვოი*. თბილისი: 2013.

გოლცევი 1970: Гольцев 1970: Гольцев В. *Из трех книг.* Тбилиси: “Мерани”, 1970.

კვერენჩხილაზე 2011: კვერენჩხილაძე რ. *საბუთები ღაღადებენ*. თბილისი: 2011.

ჯავახიშვილი 2000: ჯავახიშვილი ქ. *მოგონებები მამაზე*. თბილისი: 2000.

ლექსიკონი 1994: *Культурологический словарь*. Ленин и партиийная литература. Москва: 1994.

ზოია ცხადაია

პარტორგანიზაცია – მწერლობაზე იდეური კონტროლის სტრატეგი

ქართულ მწერლობას და, ზოგადად, ქართულ კულტურას მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს განუცდია იმგვარი იდეოლოგიური წნეხი, როგორიც კომუნისტური ტოტალიტარიზმის პირობებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმეა გასული საუკუნის 30-იანი წლები, როდესაც ილიასეული "მამულის, ენისა და სარწმუნოების" იდეა ახლებური, საბჭოური ინტერპრეტაციით წარმოგვიდგა: მამული – დიადი საბჭოთა სამშობლო; ენა – რუსული, რომელმაც, მართალია, ყოველდღიური მეტყველებიდან ვერ გამოდევნა მშობლიური ქართული, მაგრამ მყარად მოიკიდა ფეხი ძალოვან სტრუქტურებსა თუ სასამართლო პრაქტიკაში*, სარწმუნოება – უღმერთობა**. ქრისტიანულ მრწამსს ჩაენაცვლა "კოსმოპოლიტური ათეიზმი – მარქსიზმი" (ჯაფარიძე 2005: 75). ღმერთის ადგილი პროლეტარიატის ბელადებმა დაიჭირეს. შედეგად, ევროპული კულტურისკენ მიმსწრაფი ქართული ლიტერატურა პოლიტიკური კონიუნქტურის ჰერმეტულ სივრცეში მოექცა. მწერლობისგან მოითხოვეს იმგვარი იდეოლოგიური კლიშეებისადმი მონური მორჩილება, რომლებიც ხალხთა სოლიდარობის ცრუ იდეას ამოფარებული, ანადგურებდა ეროვნულ იდენტობას, უკარგავდა ქართულ მწერლობას ტრადიციულ სახეს და თვითმყოფადობას. იმ თხზულებათა ნაცვლად, რომლებსაც მარადიული, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი უნდა ექადაგათ მკითხველისათვის, იწერებოდა კოლექტიური წერილები; ხუთწლედების დაგეგმვის კვალობაზე

---

* შსს-ს არქივში დაცული სისხლის სამართლის საქმეები (ბრალდებულთა ჩვენებები, მოწმეთა დაკითხვა, ბრალმდებლის სიტყვა თუ საბოლოო განაჩენი) რუსულ ენაზეა შედგენილი. არადა ხშირად განსასჯელმა არათუ რუსული, არამედ ქართული წერა-კითხვაც არ იცის და ხელმოწერის ნაცვლად თითის ანაბეჭდს ტოვებს მისთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის ფურცელზე.

** 1932-1934 წლებში გამოდიოდა ორკვირეული ჟურნალი „მებრძოლი უღმერთო", საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური და თბილისის საბჭოების სამეცნიერო-მეთოდური ორგანო.

ყალიბდებოდა ვალდებულებები სოცრეალიზმის პრინციპებზე აგებული მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად – იქნებოდა ეს ქართული ლენინიანა თუ პოეტური ციკლები სტალინზე, ბერიაზე, ორჯონიკიძეზე... კომპარტიაზე, ახალი ქვეყნის გმირებზე, შრომის ჰეროიკაზე და ა.შ. მწერლობაზე იდეოლოგიის ზენოლის უტყუარი სურათი შემოუნახავს საქართველოს შსს არქივში დაცულ მასალებს (ფონდი 897, აღწ. 1, საქმე 1), კერძოდ, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული პარტორგანიზაციის სხდომათა ოქმებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის პირველადი პარტორგანიზაციის ჩამოყალიბების თარიღად მიჩნეულია1937 წლის 5 იანვარი, როდესაც მწერალთა კავშირის საერთო კრებაზე (ესწრებოდნენ: ნ. ქუჯიაშვილი, ს. ეული, პ. სამსონიძე, ი. ლისაშვილი, ალ. ჭეიშვილი, ალ. მაშაშვილი, დ. დემეტრაძე, გ. ბუხნიკაშვილი, შ. რადიანი) მოისმინეს ნ. ქუჯიაშვილის ინფორმაცია მწერალთა კავშირთან პირველადი პარტორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ (კიროვის რაიონული კომიტეტის ბიუროს დადგენილება). აზრი გამოთქვეს: პ. სამსონიძემ, ს. ეულმა, ი. ლისაშვილმა, გ. ბუხნიკაშვილმა, დ. დემეტრაძემ. გადაწყვეტილება ერთხმად მოიწონეს. დაადგინეს: კომუნისტ მწერალთა საკმაო რაოდენობის გამო მწერალთა კავშირთან ჩამოყალიბდეს პირველადი პარტიული ორგანიზაცია. პარტორგად აირჩეს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, დავით დემეტრაძე.

მთავრობის მიზანი აშკარა იყო – იმ დროისთვის (1937 წლის იანვრის დამდეგი) უკვე გამოვლენილნი იყვნენ „ხალხის მტრები“. ახლა თითოეული მათგანის “საქმისათვის” შესაბამისი კვალიფიკაცია უნდა მიენიჭებინათ არა მხოლოდ სამართალდაცვით ორგანოებს, არამედ პარტიის ერთგულ მწერალთაგან შემდგარ „ნაფიც მსაჯულებს“. დღეს ძნელია ვიმსჯელოთ, რამდენად მისაღები იყო ამგვარი ვითარება ყოველი კონკრეტული პიროვნებისთვის. ერთი რამ კი ცხადია: უკან დასახევი გზა ყველას მოჭრილი ჰქონდა, რადგან დაუმორჩილებლობა გარდაუვალი სიკვდილის ან, სულ მცირე, ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში სამუდამოდ ჩაკარგვის ტოლფასი იყო*.

* ტერმინი „საკონცენტრაციო ბანაკი“ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იხამრება საბჭოთა პატიმართა განაჩენში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივში დაცულია მწერალთა კავშირთან არსებული პარტორგანიზაციის ოქმები 1937 წლის იანვრიდან 1980 წლის დეკემბრის ჩათვლით. 30-იანი წლების სხდომათა ანგარიშები თუ დადგენილებები წარმოგვიჩენს არა მხოლოდ ლიტერატურის სფეროში, არამედ, ზოგადად, ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის გავლენით განვითარებულ მოვლენებს. საყოველთაო შიშმა, უნდობლობამ, ერთმანეთის დასმენამ, უკვე განწირულთა თუ ჯერ კიდევ მიზანში ამოუღებელთა უმართებულო დადანაშაულებამ და გაკიცხვამ არცთუ მიმზიდველ რაკურსში წარმოაჩინა ცალკეული პიროვნებები, მაგრამ, ვითარების გათვალისწინებით, დღევანდელი გადასახედიდან ძნელია მათი განსჯა.

კომუნისტური პარტიის რიგებში შესული ყველა მწერალი მოწოდებული იყო, მკაფიოდ შეესრულებინა იმჟამინდელ იდეოლოგთა დაკვეთა და ლიტერატურული ცხოვრება სათანადო მიმართულებით წარემართა. ეს კი გულისხმობდა "არაკეთილსაიმედოთა" არა მხოლოდ აზროვნებისა და შემოქმედებითი პროცესის, არამედ მათი მორალური "მდგრადობის" გაკონტროლებასაც. შესაბამისად, პარტიული კრებები იმართებოდა საკმაოდ ხშირად, გამომსვლელები ერთმანეთს მჭევრმეტყველებაში ეჯიბრებოდნენ, რასაც შედეგად მოჰყვებოდა უახლოეს მომავალში გაკრიტიკებულთა საბრალდებო სკამებზე აღმოჩენა. „საბრალდებო სკამი", მაშინდელი სიტუაციის გათვალისწინებით, ალბათ, პირობითი სიტყვაა, რადგან განსასჯელთაგან არცერთს არ ღირსებია სასამართლოს სხდომათა დარბაზში საბრალდებო დასკვნის მოსმენა. მათ ბედს "კულისებში", ჩეკას ჯურღმულებში, წყვეტდა ე.წ. სამეული და, როგორც წესი, უმკაცრესი განაჩენი (დახვრეტა/გადასახლება) გამოჰქონდა.

მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის ოქმების განხილვისას იკვეთებიან განსხვავებული ტიპის "პერსონაჟები" – ერთი მხრივ, ძალზე აქტიურები და აგრესიულები, მეორე მხრივ, შედარებით უფრო თავშეკავებულები, შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯერ კიდევ რომ შერჩენიათ ადამიანურობა.

1937 წლის 23 იანვარს მწერალთა კავშირში გაიმართა „მღელვარე და მშფოთვარე" კრება*, რომელზეც გამოითქვა

* იხ. 1937 წლის 30 იანვრის „ლიტერატურული საქართველოს" სარედაქციო წერილი.

„უსაზღვრო სიყვარული ხალხთა ბელადის, სტალინისადმი"... ითქვა, რომ "საბჭოთა მწერლობა მზად არის მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად რკინის კედლად შემოევლოს დიდ ბელადს, მის საუკეთესო თანამებრძოლებს"... ამავდროულად, დამსწრეთ ერთსულოვნად მოითხოვეს ტროცკისტ-ზინოვიევთა ქართველი ნაძირლების, ჯაშუშთა და მოღალატეთა ბანდის (ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, ჯიქია, მ. ტოროშელიძე*) გაცამტვერება. არქივში დაცული ოქმის მიხედვით, კრებას დასწრებია ცამეტი კაცი: ა. მაშაშვილი, გ. ბააზოვი, მ. ბაჟანი, კ. ლორთქიფანიძე, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ს. წვერავა, ი. აბაშიძე, შ. რადიანი, კ. მელაძე, პ. საყვარელიძე, ბ. ჟღენტი, ა. ახნაზაროვი. თუმცაღა, ამ მოვლენის ამსახველ საგაზეთო პუბლიკაციაში გამომსვლელთა რაოდენობა ხელოვნურად გაზარდეს, რათა მოვლენისთვის მეტი სიმძაფრე მიენიჭებინათ. „უსასტიკესი განაჩენი სამშობლოს მოღალატეებს", „სიკვდილი მუხანათურ მტერს", „ზიზღი ბანდიტებს და ქვეწარმავლებს", „არავითარი დანდობა", „მილიონების მრისხანების ქარიშხალი" და ა.შ., – ასეთი სათაურების კასკადი კარგად გამოხატავდა წერილების დამკვეთთა ვერაგულ მიზანს – ხალხის სახელით "არაკეთილსაიმედოების" თავიდან მოშორებას. იგივე პათოსი – „ხალხის მტრების" სააშკარაოზე გამოყვანა – გამოარჩევდა 17 მარტის სხდომასაც, რომელზეც ვრცელი სიტყვებით გამოვიდნენ: ი. ლისაშვილი, ს. ეული, კ. ბობოხიძე, პ. ქუთათელაძე-სამსონიძე, ხუციშვილი, დ. დემეტრაძე. ი. ლისაშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მალაქია ტოროშელიძის თავმჯდომარეობისას მის რომანზე „სალიტერატურო გაზეთში" მტრული, გამანადგურებელი წერილი დაიწერა. გამომსვლელი არც მწერალთა კავშირის ახალი ხელმძღვანელის (ა. თათარიშვილი) კრიტიკას მოერიდა, რომელმაც მისი სუსტი ლექსები "საჯაროდ გამოიტანა და ილაპარაკა ნაკლზე, კარგის არდანახვით"... აქედან გამომდინარე, ი. ლისაშვილმა სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაშლისკენ მოუწოდა კრების მონაწილეებს: "საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს ქიქოძე-ნაროუშვილის გავლენის ნაშთებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლების ნაწილზე, რათა ეს ახ-

* საქართველოს მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე.

ალგაზრდა მწერლები მობრუნებული იყვნენ აპოლიტიურობის გზიდან.” კიდევ უფრო შორს წავიდა ა. ქუთათელაძე-სამსონიძე: „ჩვენმა პარტორგანიზაციამ ვერ შეძლო გაენადგურებინა ძველი ინტელიგენციის დამყაყებული თეორია, თითქოს კომუნისტებისაგან არ შეიძლებოდა მწერალი შეიქმნეს. ძველს საბჭოთა მწერლებს ვაფასებთ, მათი მიღწევა ჩვენი მიღწევაცაა, მაგრამ არ არის საჭირო მათი გაბერვა. სახარებაში სწერია: „უფალს უფლის და კეისარს კეისრისო. მაგ. პ. იაშვილის პოემა აპოლიტიკურია... მაინც იბეჭდება ვიღაცის წყალობით. როცა იგი ჩვენს თვალში ბეწვს ხედავს, მის თვალში სვეტსაც ვერ ხედავს“. ვრცელი და ბუნდოვანი სიტყვა წარმოთქვა კ. ბობოხიძემ. მან უკმაყოფილება გამოთქვა კომუნისტი მწერლების, ანუ პროლეტმწერლების წარმომადგენლთა (ს. ეული, ს. ხუნდაძე, ი. ლისაშვილი და სხვ.) მიმართ ცუდი მოპყრობის გამო... ეს კი, მისი აზრით, „ბუხარინრადეკის და მ. ტოროშელიძის მიერ შექმნილ ტრადიციის ყრუ ინერტული გამოძახილია... მე და ჩვენი ორგანიზაციის კომუნისტები ვებრძოდით ქიქოძე-ნაროუშვილის ჯგუფს. მე პირადათ განცხადებაც კი შევიტანე კომკავშირის ცეკაში ქიქოძე-ნაროუშვილის წინააღმდეგ მათ მიერ ტროცკისტულ კედლის გაზეთის გამოშვების გამო, რითაც ნაროუშვილის კომკავშირიდან გარიცხვას მივაღწიეთ. ჩემი შეცდომა ამ ბრძოლაში იყო ტოროშელიძის გამოცდილება და მისი ავტორიტეტისადმი ბრმა დამოკიდებულება. მართალია, გავიგე თუ არა ტოროშელიძის გამცემლური მოქმედება, მე მაშინვე გამოვერკვიე, მაგრამ „ავტორიტეტისადმი“ ნდობა მაინც შემრჩა, რამაც გამოიწვია ჩემი უნებლიე შეცდომა. წიგნში გამეპარა აღნიაშვილის გვარი (იგი ჯერ კიდევ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იყო- ზ.ც.), რითაც წიგნი ჩავარდა“... კ. ბობოხიძის უკმაყოფილების მიზეზს ამავე ოქმში, მისსავე გამოსვლის ტექსტში ვაწყდებით: ჩემი ლექსი „მგზავრული“ ანთოლოგიაში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ, ვიღაცამ ამოიღოო”. ასევე ამოუღიათ ლექსი სტალინზე, რომელიც მანამდე „სალიტერატურო გაზეთში“ და გაზეთ „მუშაში“ იყო დაბეჭდილი. შემაჯამებელ სიტყვაში პარტორგანიზაციის მდივანმა დ. დემეტრაძემ მიიღო სიტყვით გამოსული ამხანაგების შენიშვნები: პარტორგანიზაცია ახალი ჩამოყალიბებულია და სათანადო აგიტაცია-პროპაგანდა არ წარმოებდაო.

მომდევნო სხდომაზე (1937 წ. 27. 03) დემეტრაძე საგანგებო მოხსენებით გამოვიდა და თანაპარტიელებს გააცნო საკავშირო კ.პ.(ბ) პარტიული კომიტეტის პლენუმის შედეგები. პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვის გამო მან საჭიროდ მიიჩნია კონტრრევოლუციონერთა მავნებლური ქმედებების გამოაშკარავება: „ტროცკისტულმა ცენტრმა საქართველოში (ბ. მდივნის, მ. ტოროშელიძის, ს. ქავთარაძის, მ. ოკუჯავას, ნ. კიკნაძის, ს.ჩიხლაძის, კ. მოდებაძის და სხვ. შემადგენლობით) საზიზღარ გამყიდველებმა, ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა დაამყარეს ბლოკი საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, საქართველოს ცალად და ბითუმად გასაყიდად“. გამომსვლელმა მოითხოვა „რევოლუციურ-ბოლშევიკური სიფხიზლე ხალხის ყველა მტრების გამოსამჟღავნებლად“ .

დ. დემეტრაძის მგზნებარე გამოსვლისას გამოყენებული ტერმინოლოგია – „სიფხიზლის მოდუნება“, „ხალხის მტრები“, „მავნებლური მუშაობა“ – იყო პოლიტიკური დისკურსის ის უცილობელი მახასიათებელი, რომელსაც უკვე მყარად მოეკიდებინა ფეხი თითქმის ყველა საბჭოთა დაწესებულებაში ჩატარებული პარტიული კრებების ოქმებსა თუ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მშრომელთა წერილებში. “ზემოდან” თავსმოხვეული დიქტატის პრაქტიკაში გატარება წილად ხვდა დავით დემეტრაძესაც, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, აღმოჩნდა იმ უკუღმართი ეპოქის ერთგული მსახურიცა და მისი მსხვერპლიც. ის 1937 წლის დეკემბრამდე აქტიურად ჩანდა პოლიტიკური ტრაგედიების ავანსცენაზე, შემდეგ კი გაიზიარა მის მიერ „მავნებლურ ქმედებებში გამოაშკარავებულთა“ მძიმე ხვედრი...

არსებული სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა 1937 წლის 3 მარტს საკ. კ.პ(ბ) ცკ-ის პლენუმზე წარმოთქმულმა სტალინის სიტყვამ*. ხალხის დიდმა ბელადმა გულუბრყვილობისა და სიბრმავის გამო უსაყვედურა „ხელმძღვანელ ამხანაგებს“, რადგან მათ ვერ შეამჩნიეს „ცხვრის ტყავში გახვეული მგლები“: „ხალხის მტრები ითვალთმაქცებენ, და გასწევენ რა თვალთმაქცობას, გაიკეთებენ

* მოხსენება სათაურით „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე და ტროცკისტთა და სხვა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე“ იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 7, 12.IV. გვ. 1.

ნიღაბს ბოლშევიკებისას, პარტიულისას, რათა ნდობა დაიმსახურონ და გზა გაიკაფონ ჩვენი ორგანიზაციისკენ“. მოხსენების ტექსტი, რომელიც გაზეთის რამდენიმე გვერდს მოიცავდა, მძაფრი კრიტიკისა და მუქარის ტონით იყო გაჯერებული: „არცერთი მავნებელი ყოველთვის არ გასწევს მავნებლობას... ნამდვილი მავნებელი დროდადრო გვიჩვენებს წარმატებებს თავის მუშაობაში... ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ამ იდიოტურ ავადმყოფობას... ჩვენთვის საშიში არ არიან არავითარი მტრები, არც შინაურნი, არც გარეულნი. ჩვენთვის საშიში არ არის მათი გამოლაშქრებანი, ვინაიდან ჩვენ მათ მომავალში ისევე დავამარცხებთ, როგორც ვამარცხებდით მათ წარსულში“.

იმატა შიშმა, დაბნეულობამ, ამასთან ერთად კი აგრესიამ, დაუნდობლობამ. 14 აპრილის სხდომაზე პარტორგანიზაციის კრებამ, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილა აკაკი თათარიშვილის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან, „ლიტერატურული საქართველოს“, „მნათობის“ და „ჩვენი თაობის“ რედაქტორობიდან(!) გათავისუფლების საკითხი. მიზეზად „მუშაობით გადატვირთვა“ დასახელდა.მართლაც, ერთი შეხედვით, გასაკვირია, რატომ ჰქონდა დაკისრებული ერთ ადამიანს ამდენი მოვალეობა, მაგრამ მთავარი სხვა საკითხია. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელად დაინიშნა დავით დემეტრაძე, კავშირის ყოფილი პირველი მდივანი, პარტიული მუშაკი, იმავდროულად, მანვე მიიღო ჟურნ. „მნათობის“ რედაქტორის თანამდებობაც. არც მისი ტვირთი იყო მსუბუქი, მაგრამ, როგორც ჩანს, პარტიას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა აკაკი თათარაშვილის ბედი. 1937 წლის 16 ივლისს იგი დაიჭირეს. სამეულმა მას 13 ნოემბერს განაჩენი გამოუტანა და იმავე იმავე დღეს მოიყვანა სისრულეში; რამდენიმე დღის შემდეგ, 1937 წლის 20 ივლისის სხდომაზე მწერალთა კავშირის ახალმა თავმჯდომარემ, დ. დემეტრაძემ, ხმამაღლა განაცხადა: „იგი აღმოჩნდა ხალხის მტერი და მოღალატე, ჯაშუში, შენიღბულ ფორმებში აწარმოებდა ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ მავნებლურ დივერსიულ მუშაობას. გულდასმით უნდა შევისწავლოთ თათარიშვილის „მოღვაწეობა“ მწ/კავშირში და ძირშივე უნდა ამოვსწვათ ყოველგვარი ნიშან-წყალი მისი შავბნელური მუშაობისა. ჩვენი სიფხიზლის მოდუნებით უნდა

აიხსნას ის ფაქტი, რომ თავის დროზე ვერ ჩამოვაგლიჯეთ ნიღაბი ამ ხალხის მტერს“. აკაკი თათარიშვილის მეუღლე, ელენე, როგორც ხალხის მტრის ოჯახის წევრი, რვა წლით გადაასახლეს შრომა-გასწორების ბანაკში, „ყარლაგში“. გათავისუფლდა 1945 წელს. 50-იან წლებში ისევ დააპატიმრეს და გადაასახლეს, საიდანაც დაბრმავებული დაბრუნდა.

განსაკუთრებული შემტევი ხასიათით გამოირჩეოდა 1937 წლის 21 მაისის პარტიული კრება, რომელზეც განიხილეს საქართველოს საბჭოთა ლიტერატურაში სხვადასხვა მავნე ანტისაბჭოთა დაჯგუფებების (ტორშელიძე, ქიქოძე-ნაროუშვილის და ბუაჩიძის ჯგუფი) და ლიტფონდის საკითხი. განსაკუთრებული აგრესიით შეუტიეს „ცისფერყანწელებს“ (ხიდისთაველი: „ყანწელების ჯგუფის განადგურება უსათუოდ საჭიროა“).

26 მაისის სხდომაზე (ოქმი № 14, გვ. 52) ისევ გაგრძელდა იერიში „ხალხის მტრებზე“. სამსონიძემ კატეგორიულად მოსთხოვა მათ შეცდომებისა და დანაშაულის აღიარება. მას არ ჩამორჩნენ სხვა თანაპარტიელებიც. ალ. ჭეიშვილი: „ხალხის მტრები, თვალთმაქცები, შენიღბულები, დივერსანტები გრძნობდნენ რა, რომ დასაყრდენი არ ჰქონდათ მასებში, ზოგიერთი მწერლის საშუალებით ცდილობდნენ თავისთვის ავტორიტეტის ხელოვნურად შექმნას. ისინი ლამობდნენ ამ გზით დაპირისპირებოდნენ პარტიის ხელმძღვანელობას“; ი. ლისაშვილი: „ამხ. კ. გასახურდიას შემოქმედებაში არის მოცემული ელემენტები ფაშისტური იდეოლოგიისა. საჭიროა მთელი სიმძაფრით დაუყენოთ ამხ. გამსახურდიას საკითხი იმის შესახებ, რომ მან დაგმოს ის იდეოლოგიური პოზიციები, რომლებზედაც ის იდგა მთელი წლების განმავლობაში და როგორც თავის შემოქმედებაში, ისე თავის პირად ცხოვრებაში გვიჩვენოს სახე ნამდვილი საბჭოთა მწერლის“. ი. ლისაშვილის გამოსვლას წინ უსწრებდა გამსახურდიას საგულისხმო წერილი „მწერლობა და საბჭოთა კრიტიკა“*, რომელსაც მწერალი ასე ამთავრებდა: „მიუხედავად ცალკეული მრავალი შეცდომებისა, ჩვენმა უპარტიო მწერლებმა დაამტკიცეს, რომ მათ სხვაზე ნაკლები წილი არ უდევთ საბჭოთა ქვეყნის სულიერი კულტურის შექმნაში. ხარისხისათვის ვიბრძოლოთ,

* ლიტერატურული საქართველო, 1937, 2 მაისი, № 11, გვ. 4.

მაგრამ ამ ბრძოლას წინანდებურად იმათ ნუ დავაკისრებთ, რომელთაც თავად აკლიათ ხარისხი ან კვალიფიკაცია“. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ის რეაქცია, რომელიც ამ წერილის გამოქვეყნებას მოჰყვა, მაგალითად, კ. მელაძემ 26 მაისის სხდომაზე დაგმო გამსახურდია როგორც მწერალი, პიროვნება და ასე დაასრულა თავისი გამოსვლა: „გამსახურდიას ასეთი თავდასხმა კრიტიკაზე ნაკარნახევია იმ მოსაზრებით, რომ მას სურს იდეურ კონტროლს გარეშე დააყენოს მწერლობა“.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ჩატარებულ ყველა პარტიულ კრებაზე განიხილავენ ლავრენტი ბერიას მოხსენებას კპ(ბ) მე-10 ყრილობაზე. მის სიტყვას ენიჭება საპროგრამო დოკუმენტის მნიშვნელობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული მწერლობა სწორედ ამ მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებების მიხედვით უნდა განვითარდეს და “დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს ხელოვანის ნიღაბს ამოფარებულ ხალხის მტრებს“. ამ თვალსაზრისით საგანგებო კრიტიკის ობიექტები ხდებიან კ. გამსახურდია (მას ნაციონალიზმსა და ფაშიზმში სდებენ ბრალს), პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, გ. ლეონიძე. 1937 წლის ივლისში „ლიტერატურული საქართველო“ (№16, გვ. I) ბეჭდავს ვრცელ წერილს „ხალხის მტრებს დამსახურებული სასჯელი მიეზღოთ“. კრიტიკის სამიზნე ამჯერად არიან: ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე, მ. ოკუჯავა, გ. ყურულაშვილი, გ. ელიავა, ნ. ქარქაშაძე და სხვ. გაზეთი ამცნობს მკითხველს, რომ ისინი დაისაჯნენ პროლეტარული დიქტატურის კანონის მთელი სიმკაცრით და რომ რევოლუციური სიფხიზლე კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს... ამავე გაზეთში ქვეყნდება დ. დემეტრაძის, შ. რადიანის, ს. ჩიქოვანის, კ. ბობოხიძის, პ. საყვარელიძის, ბ. ჟღენტის მიერ წარმოთქმული სიტყვები. „ქვეყანა იწმინდება გარეწრებისაგან, მოსისხლე მტრებისაგან... დავნერგოთ მასებში მგზნებარე სიძულვილი კლასობრივი მტრისადმი და გავაღვივოთ სოციალისტური ჰუმანიზმი (ბ. ჟღენტი); „მათი დახვრეტა, – არის სურვილი და მოთხოვნა მთელი ქართველი ხალხისა, მთელი საბჭოთა ინტელიგენციისა“ (კ. ბობოხიძე). „ლიტერატურული საქართველოს“ ეს პუბლიკაცია ერთგვარი გამოძახილი იყო სამიოდ კვირის წინ „ლიტერატურული საქართველოს“ მე-14

ნომერში დაბეჭდილი ლ. ბერიას სტატიისა – „საბჭოთა მწერლის მოქალაქეობრივი ღირსებისათვის“, რომელშიც იგი მკაცრად აკრიტიკებდა „ცისფერყანწელებს“, განსაკუთრებით კი ნიკოლო მიწიშვილს: „...ცისფერყანწელების ფრიად საეჭვო კავშირურთიერთობა მტრებთან გამორკვეულია. გამორკვეულია ნ. მიწიშვილის თვალთმაქცობანი... თავისი უკანასკნელი ლექსებით გვპირდებოდა საბჭოთა მწერლობის მიმართულებით გადაიარაღებას, მაგრამ ამ უბადრუკ და უსულგულო ლექსების მიღმა აწარმოებდა მუხანათურ, ვერაგულ, ჯაშუშურ მუშაობას ჩვენი სამშობლოს და ჩვენი ხალხის წინააღმდეგ“... ნ. მიწიშვილისთვის განაჩენი უკვე გამოტანილი იყო, მის სისრულეში მოსაყვანად მხოლოდ რამდენიმე დღეღა იყო საჭირო (ნ. მიწიშვილი 1937 წლის 3 ივლისს დაიჭირეს, 13-ში კი დახვრიტეს).

22 ივლისს მწერალთა კავშირში თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა. „22 ივლისს, როცა წინა სხდომაზე გამოთქმული მოთხოვნის თანახმად, კიდევ ერთხელ უნდა გამოსულიყო, რათა ეთქვა „სრული სიმართლე, რატომ ჰქონდა კავშირი „ხალხის მტრებთან“, ისეთი საზიზღრობანი მოისმინა, მიხვდა, რომ არ დაუჯერებდნენ, რადგან მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, დარწმუნდა, თავის მართლებას აზრი აღარ აქვსო და... შინსახკომის წამებას სიკვდილი არჩია... სხდომიდან გამოსულმა მწერალთა სასახლის მეორე სართულზე სანადირო თოფით თავი მოიკლა“ (კვერენჩხილაძე 2011: 342).

28 ივლისს საქართველოს მწერალთა კავშირის პარტჯგუფისა და პარტორგანიზაციის გაერთიანებულ სხდომაზე დავით დემეტრაძემ ოფიციალურად განაცხადა: „ხალხის მტრის, პავლე იაშვილის, პროვოკაციულად ჩადენილ თვითმკვლელობის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად, რომ გამომჟღავნებული ხალხის მტერი პავლე იაშვილი გაექცა პოლიტიკურ მართლმსაჯულებას. ამ პროვოკაციული აქტის საპასუხოდ მწ/კავშირის ხელმძღვანელობა კიდევ უფრო გაამახვილებს კლასობრივ სიფხიზლეს, რათა ბოლომდე გამომჟღავნებულ იქნენ პ. იაშვილის მსგავსი გაიძვერები, რომელნიც შესაძლებელია, საბჭოთა მწერლის ნიღბით ჯერ კიდევ იმყოფებიან ჩვენს რიგებში“...

1937 წლის 14 აგვისტოს ქვიშხეთში დააპატიმრეს მიხეილ ჯავახიშვილი (მწერლის დასაპატიმრებლად ჩასულ ჩეკას წარმომადგენლებს გზა პატარა ბავშვმა მიასწავლა*). 17 აგვისტოს მწერალთა კავშირის პარტჯგუფის სხდომაზე მოისმინეს დ. დემეტრაძის ინფორმაცია მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც ხალხის მტრის, გამომჟღავნების შესახებ. დაადგინეს მისი პრეზიდიუმიდან გამოყვანა და მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხვა... „ეცნობოს საკავშირო მწერალთა ორგანიზაციას, რათა გამოყვანილი იქნეს იგი საკ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრობიდან, როგორც ხალხის მტერი. დაევალოს „ლიტერატურულ საქართველოს“ მოათავსოს ერთი გამანადგურებელი წერილი მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედების შესახებ“.

ეს მძიმე მისია წილად ხვდა ბ. ჟღენტს. მ. ჯავახიშვილის დაპატიმრებიდან ათი დღის შემდეგ „ლიტერატურულ საქართველოში“ იბეჭდება მისი წერილი – „მოღალატური სიტყვა და საქმე“**, რომელშიც გაცამტვერებულია მწერლის ღირსება: „კვაჭისებური ავანტიურიზმის და ჯაყოსებური მიტმასნების დახელოვნებულმა ოსტატმა მიხეილ ჯავახიშვილმა ფართოდ გამოიყენა მდგომარეობა და საოცარი სიხარბით და თავგამოდებით ჩაებღაუჭა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა მწერლისათვის შექმნილ ყოველგვარ პრივილეგიას და უპირატესობას“ (წერილში სათითაოდაა გაკრიტიკებული ჯავახიშვილის ყველა რომანი თუ

---

* პოეტ ალექსანდრე აბაშელის ქალიშვილი, მედეა, როგორც თვითმხილველი, წლების შემდეგ დიდი გულისტკივილით გაიხსენებს იმ საშინელ ღამეს: “მწერალთა სახლის ადმინისტრატორად იმხანად ლიტერატორთა შორის კარგად ცნობილი, ყველასგან პატივცემული კალისტრატე ფირცხალაიშვილი მუშაობდა. ერთ ღამეს მან ჩვენს კარზე დააკაკუნა: ადექი, საშა, მიხეილი მიჰყავთო. მთელი სახლი ფანჯრებს მიაწყდა, ზოგი ეზოში გამოვიდა. დავინახე, სახლის კარებში იდგა აკანკალებული დეიდა ლუბა, ჯავახიშვილის მეუღლე, მას ატირებული ეკვროდა ქეთო, მათი ქალიშვილი. ეზოდან ჭიშკრისკენ ორ ახმახს მიჰყავდა საშინლად გაციებული, სიცხიანი ბატონი მიხეილ ჯავახიშვილი...ისმოდა ქალების ქვითინი. კოშმარული სურათი იყო. დილით ჯავახიშვილების ოჯახი თბილისში გაემგზავრა... მათთან ურთიერთობა საშიში გახდა და ისინი სრულ იზოლაციაში მოექცნენ. მე დღეს მეტრაბახება, რომ ჩვენს ოჯახს ჯავახიშვილები არ მიუტოვებია და შეძლებისდაგვარად გვერდით ვედექით” (აბაშელი, 2006: 29).
მიხეილ ჯავახიშვილი 1937 წლის 30 სექტემბერს გაასამართლა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ. იგი იმ დღესვე დახვრიტეს (**ფონდი 12. საქმე 5, საქმე 6**).

** ლიტერატურული საქართველო, №19, 24.VIII.

მოთხრობა); ამასთან დაკავშირებით რ. კვერენჩხილაძე წერს: (ბ. ჟღენტს) „შემდეგ მთელი ცხოვრება მოეწამლა ამაზე ფიქრით, თავს იმართლებდა, – მაიძულესო. ეს არ არის სიმართლეს მოკლებული, თავადაც დასაჭერად ჰქონდა საქმე“ (კვერენჩხილაძე 2011: 360).

ასეთივე იძულებით იყო, ალბათ, დაწერილი ბ. ჟღენტის წერილი – „კ. გამსახურდიას შემოქმედებითი გზა“*, რომელშიც მან სასტიკად გააკრიტიკა მწერლის შემოქმედება და შეახსენა ლ. ბერიას გაფრთხილება ბურჟუაზიულ-თავადიშვილური ნაციონალური იდეებისგან გათავისუფლების თაობაზე. კრიტიკოსის ამგვარ თავგამოდებას შესაძლოა მარტივი ახსნა მოეძებნოს: იმ პერიოდში მის თავზეც აღმართული იყო დამოკლეს მახვილი. 1937 წლის 17 ნოემბერს საქართველოს მწ/კავშირის პარტჯგუფის სხდომაზე (ოქმი № 12) დაისვა საკითხი ბ. ჟღენტის მდივნობიდან მოხსნის შესახებ. ბრალად დასდეს ყურულაშვილთან, ღოღობერიძესთან და სხვებთან კავშირი. „1937 წელს ეს სასიკვდილო განაჩენს უდრიდა. რომ გადარჩენილიყო, სხვა უნდა გაეწირა, თავზე ნაცარი დაიყარა და ყველაფერი ეკისრა“.** ნოემბრის ბოლოს იგი მწერალთა კავშირის პრეზეიდიუმის მდივნობიდან გადააყენეს – თურმე მან არ აღიარა ხალხის მტრებთან ახლო ურთიერთობა, თანაც არადამაკმაყოფილებლად გამოვიდა მწერალთა კავშირის კრებაზე (26.XI), როდესაც კავშირიდან გარიცხეს ვ. კოტეტიშვილი, ჩ. ბეჯიზოვი, ვ. ლუარსამიძე, დია ჩიანელი და ს. ჭანბა“***.

ასეთივე საჩოთირო გამოსვლები უწევდა იმ რთულ ეპოქაში კიდევ ერთ წამყვან კრიტიკოსსა და მწერალს, შალვა რადიანს. 17 ნოემბრის სხდომის ოქმში შ. რადიანი, სხვა პარტიული ამხანაგებისგან განსხვავებით, ცდილობს, იყოს შედარებით სამართლიანი: „პარტია გვასწავლის, რომ საჭიროა ადამიანებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. შეუძლებელია, ხელის ერთი მოსმით ხალხის გაყრა მწ/კავშირიდან. უნდა გავითვალისწინოთ მწ/კავშირის მუშაობის სპეციფიკა. მწ/კავშირში 12-მდე წევრია

* „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 18, 31.VII. გვ, 3-4.

** აკაკი ბაქრაძე, „განჯოგებულობა“, წიგნში: მწერლობის მოთვინიერება, თბილისი: „სარანგი“, 1990, გვ. 109.

*** „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 28

და თვითეული მათგანი წარსულში იყო დაკავშირებული ამა თუ იმ ჯგუფთან: რაპელებთან, ცისფერყანწელებთან ან ფორმალისტებთან. ამჟამად თვითეულ მწერალს იმის მიხედვით უნდა მივუდგეთ, თუ როგორ ასწორებს თავის წარსულ შეცდომებს, როგორ მუშაობს ის უკანასკნელ პერიოდში. როცა სხვების შეცდომებზე ვლაპარაკობთ, ჩვენი შეცდომებიც უნდა გვახსოვდეს. მეც ვიდექი შემცდარ პოზიციებზე და ბევრი შეცდომაც დავუშვი რაპელების ჯგუფში ყოფნის დროს, მაგრამ 23 აპრილის დადგენილების შემდეგ მე გარდავქმენი ჩემი მუშაობა, ცეკას ისტორიულ დადგენილების საფუძველზე. ის სია, რომლის შესახებაც დღეს ვმსჯელობთ, რასაკვირველია, არ ამოსწურავს ყველა იმათ, ვინც ამა თუ იმ კავშირში იყო ხალხის მტრებთან. საჭიროა ფრთხილი, დაკვირვებული მიდგომა თვითეულ მწერლისადმი... მაგ. ქუთათელი უსათუოდ ახლო კავშირში იმყოფებოდა დემეტრაძესთან. მისი ძმა დაჭერილია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გავრიცხოთ ქუთათელი კავშირიდან, თუ არ გვაქვს მასალები იმისათვის, რომ ამ კავშირს ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი, და რომც გავრიცხოთ, ჩვენ ამისათვის პასუხს მოგვთხოვენ...ჩაჩავა ვერ ახდენს დიდ გავლენას რედაქციის მუშაობაზე, მაგრამ თუ ჩვენ გამოვძებნით კარგ მუშაკს, მას შევცვლით. ასათიანის კრიტიკული წერილები არ არის საკმაოდ გაჟღენთილი საბჭოთა სულით. წულუკიძის წერილი ლისაშვილის შესახებ უთუოდ იყო ტენდენციური, მაგრამ თუ მან ეს წერილი დაწერა სხვისი დავალებით, ეს არის სიბეცე წულუკიძის მხრივ. ისე კი, თუ ვინმემ აწარმოვა დასაბუთებული კრიტიკა ცისფერყანწელების წინააღმდეგ, ეს პირველ რიგში, ვანო წულუკიძემ აწარმოვა“*.

მ. ჯავახიშვილის შემდეგ ტ. ტაბიძის ჯერი დადგა. 2 ოქტომბერს კ. ჩარკვიანმა მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის კრებას მიაწოდა ინფორმაცია 28 სექტემბერს ბერიას მოწვევით მწერალთა კავშირში ჩატარებული პრეზიდუმის თათბირის შესახებ, რომელიც ეძღვნებოდა მწერალთა რიგებში აღმოჩენილ ხალხის მტრებს. ჩვენთვის უკვე ცნობილ სიას ემატება ტიციან

* ამ დროს “ცისფერყანწელები” უკვე დასჯილები არიან, ვანო წულუკიძე კი ჯერ კიდევ გადასარჩენთა სიაშია და მომხსენებლის სიტყვები მას, გარკვეულწილად, მდგომარეობას უმსუბუქებს.

ტაბიძის სახელი. ჩარკვიანი აღნიშნავს, რომ „პრეზიდიუმის სხდომაზე უნდა იქნას საკითხი დასმული ტ. ტაბიძის კავშირიდან გარიცხვის შესახებ, რომელსაც არ სურს აღიაროს თავისი კავშირი ხალხის მტრებთან“... პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც ამას გადაწყვეტდა, უნდა მოეწვიათ 8 ოქტომბერს. ტ. ტაბიძესთან ერთად მწერალთა კავშირიდან პ. საყვარელიძეც უნდა გაერიცხათ, ბრალდებით „პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილი პიროვნება“, რაც აღასრულეს კიდეც. ტ. ტაბიძე 1937 წლის 15 დეკემბერს გაასამართლეს და მეორე დღესვე დახვრიტეს (ჟურნალი 2016). 1937 წლის 10 ნოემბერს დახვრიტეს პავლე საყვარელიძეც. „წამების შემდეგ ბევრი რამ ათქმევინეს... და ეს დამართეს კაცს, რომელმაც გულუბრყვილოდ ირწმუნა მარქსისა და ლენინის მოძღვრების ადამიანურობა, მთელი თავისი ცხოვრება რევოლუციურ ბრძოლებსა და კატორღებში გაატარა, შემდეგ გამარჯვებულ რევოლუციას ემსახურა“ (კვერენჩხილაძე 2011: 407).

1937 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ პარტორგანიზაციის სხდომებს აღარ ესწრება დავით დემეტრაძე. მწერალთა კავშირის პარტორგ ს. ეულის ინფორმაციით, კავშირის ყოფილი მდივანი დავით დემეტრაძე დააპატიმრეს. 3 დეკემბერს მას შინსახკომის სამეულმა დახვრეტა მიუსაჯა, 11 დეკემბერს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. იმავე დღეს დახვრიტეს მისი ძმა კონდტანტინე.* „დავითის დაპატიმრების მეორე დღეს ქალაქში გაუგონარ ამბავზე ჩურჩულებდნენ – გამოუშვიათო... თურმე მის ტყუპისცალში აერიათ. კომუნისტურ ხელისუფლებას ასეთი გაურკვევლობა აშინებდა, ამიტომ სტაცეს ხელი დავითის ძმას და დავითთან ერთად დახვრიტეს“ (კვერენჩხილაძე 2011: 298-299)**.

---

* ოქმი № 58, დეკემბერი, 1937.

** შს არქივში დავით დემეტრაძის საქმე არ აღმოჩნდა. ალბათ ისიც სხვა საქმეებთან ერთად გაანადგურეს ან ხანძრისას დაიწვა. შემორჩენილია მხოლოდ საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის სხდომის **ოქმი № 58 (3 დეკემბერი, 1937)**, რომლის მიხედვითაც, მწერალთა კავშირის ყოფილ მდივანს, დემეტრაძეს, ბრალად ედება მემარჯვენეთა ანტისაბჭოური ორგანიზაციის აქტიური წევრობა, დივერსიულ-მავნებლური ტერორისტული საქმიანობა. “მოქმედებდა რა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მითითებით, ეწეოდა გადაბირებას. დაკავშირებული იყო ქართველ ლიტერატორთა შორის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრებთან. თავი ცნო დამნაშავედ. **დემეტრაძე დავით გიორგის ძე** დაიხვრიტოს, ჩამოერთვას კუთვნილი ქონება”. მომხსენებელი ტ. პარამონოვი. **სამეულის თავმჯდომარე: სერგო გოგლიძე. წევრები: შალვა წერეთელი, ილარიონ ტალახაძე. მდივანი – მოროზოვი.**

მიუხედავად ტოტალური რეპრესიებისა, ხელისუფლება საზეიმო განწყობას არ კარგავდა (ეს წელი ხომ განსაკუთრებით გამოირჩეოდა საზეიმო თარიღებით). 24-29 დეკემბერს რუსთაველის თეატრში ჩატარდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი, მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავისადმი. პირველ დღეს სტუმრებს მიესალმა ბ. ჟღენტი*; „მხოლოდ წინა დღით, მხოლოდ საიუბილეო საზეიმო საღამოს წინა დღით გააფრთხილეს იგი, რომ ძირითადი სიტყვა ამ ზეიმზე მას ეკუთვნოდა“, – იგონებს ი. აბაშიძე (ჟღენტი 1984: 17). „რეპრესიებს ამ სიტყვებმა გადამარჩინა, – წერს ბ. ჟღენტი, – 1937 წელია, მეტად დამუხტული და დაძაბული. ერთეულები ადვილად წყვეტენ ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხს... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამომიძახეს და რუსთაველის საიუბილეო სხდომაზე მოხსენებით გამოსვლა დამავალეს. მე დამიცვა დედის გულთან ერთად რუსთაველმა, ამიტომ მიყვარს განსაკუთრებით იგი“ (ჟღენტი 1984: 258). 30 დეკემბერს ოპერის თეატრში გაიმართა რუსთაველის საიუბილეო საღამო. იმავე დღეს ეს თარიღი აღინიშნა ბაქოშიც. წლის ბოლოს ლექსიც დაიწერება – „სიცოცხლე მართლა სასიხარულოა“**, არადა, 31 დეკემბერს, ახალი წლის წინა ღამეს, საქართველოს შინსახკომის საგანგებო სამეულმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა დია ჩიანელის ფსევდონიმით ცნობილ მწერალს, დავით ჩხეიძეს...***

* * *

საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის მოღვაწეობის ახალი ეტაპი დაიწყო 1938 წლის 9 იანვრიდან, როცა პარტიული და კომკავშირელი მწერლების გაერთიანებულ კრებაზე განიხილეს საკითხი „პარტიულ-კომკავშირული მუშაობის გაცხოველების შესახებ“****.

---

* „კომუნისტი“, 1937, 26.XII

** ი. მოსაშვილი. „სიცოცხლე მართლა სასიხარულოა. “ლიტერატურული საქართველო”, 1937, N 30

*** დავით ჩხეიძე დახრიტეს 1938 წლის 12 იანვარს.

**** ოქმი 26/25, 9.I.1938 წ., გვ. 1.

პარტიის "გაცხოველებული მუშაობის" შედეგი იმავე დღეს საკუთარ თავზე იწვნია ახალგაზრდა პოეტმა ნიკოლოზ ფხაკაძემ – სხდომაზე სიტყვით გამოსული ს. ეულის ინფორმაციით, მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტის პარტორგანიზაცია ითხოვდა ფხაკაძის პოემა „შრომადღეების" ლიტერატურული ღირებულების შეფასებას, ასევე ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ავტორს ხალხის მტერ მ. ტოროშელიძესთან. დაადგინეს: „ეცნობოს მოსკოვის „პრავდის" სახელობის ჟურნალისტიკის ინსტიტუტის პარტორგანიზაციას, რომ ნიკოლოზ ფხაკაძე არასოდეს არ ყოფილა წევრი საქართველოს მწერალთა კავშირისა. „შრომადღეების" დაბეჭდვამდე ის დამწყებ მწერლად ითვლებოდა. ხალხის მტერ მალაქია ტოროშელიძის პირადი ინიციატივით და მისი განკარგულებით „შრომადღეები" გამოცემულ იქნა ცალკე წიგნად, რომლის წინასიტყვაობაშივე იგივე ტოროშელიძე მოწინავე მწერლად აცხადებდა „შრომადღეების" ავტორს*... სალიტერატურო კრიტიკა და მკითხველი საზოგადოებრიობა უაღრესად უარყოფითად შეხვდა ამ ნაწარმოებს"...

მ. ტოროშელიძე თურმე მართლა მფარველობდა ნ. ფხაკაძეს, როგორც „მის მიერ აღმოჩენილ ახალგაზრდა პოეტს", რამაც, ფაქტიურად, გადაწყვიტა ამ უკანასკნელის ბედი. მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტის პარტორგანიზაციას იმავე დღეს გადაეგზავნა უკიდურესად ნეგატიური ინფორმაცია ნიკოლოზ ფხაკაძის შესახებ**. 1938 წლისთვის პარტიული მწერლების რიგები უკვე საგრძნობლად შეთხელებული იყო – მათი უმრავლესობა

---

* იხ. ფხაკაძე, ნ. შრომადღეები: [პოემა]. მ. ტოროშელიძის რედაქციით და წინასიტყვაობით. ტფილისი: სახელგამი, 1935.

** ამ დღიდან მოყოლებული ნიკოლოზ ფხაკაძის კვალი იკარგება. მისი შემდგომი ბედის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ დოკუმენტზე დაყრდნობით, რომელსაც საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში მივაკვლიეთ. 1954 წელს ნ. ფხაკაძემ განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, დ. მჭედლიშვილს და მოითხოვა მწერალთა კავშირის წევრად აღდგენა. ვინაიდან საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებში მისი ყოფნის არავითარი დამადასტურებელი საბუთი (არც წერილობითი, არც სიტყვიერი) არ მოიპოვება, მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მისი პოეზიის განხილვის შედეგად ახალ წევრად მიღებაზეც უთხრეს უარი (საქართველოს სახ. არქივი; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებ. საქმე № 17-33, ფაილი 8. გვ.6).

1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა (უპარტიოებს კიდევ უფრო მეტად გაავლეს მუსრი). საჭირო იყო ვაკანტური ადგილების სასწრაფოდ შევსება. შესაბამისად, პარტორგანიზაციისა და კომკავშირის გაერთიანებულ სხდომაზე (24 იანვარი) საგანგებოდ განიხილეს კანდიდატების პარტიაში მიღების წესები*. მით უფრო, რომ ეს საკითხი მწვავედ დაისვა საქ. კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმზე, რომლის მითითების ("პარტიის რიგებში ახალი წევრების მიღებისა და პარტიული განათლების ჩამორჩენის აღმოფხვრის შესახებ") განხორციელება მთლიანად დაეკისრა მწ/კავშირთან არსებულ პარტორგანიზაციას (სხდომაზე აღიარეს, რომ „დღემდე ამ ორგანიზაციამ ვერ გაშალა სათანადო მუშაობა პარტიის რიგებში ახალი წევრების მიღებისა").

„ჩამორჩენის აღმოფხვრა" იმავე, 21 იანვრის სხდომაზე სცადეს, როცა წყდებოდა კ. ბობოხიძის პარტიის რიგებში მიღების საკითხი. ამ ერთი კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე შეგვიძლია თვალი ვადევნოთ უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლს, რომელიც მომაბეზრებელი ერთფეროვნებით თამაშდებოდა პარტიის რიგების პოტენციურ შემვსებთა წინაშე. რასაკვირველია, ბობოხიძის პარტიაში მიღების ცერემონიალიც ტრადიციული სცენარით წარიმართა. ყველა პარტიულმა ამხანაგმა ვალდებულად მიიჩნია თავი, აზრი გამოეთქვა და კანდიდატისთვის იმ შეცდომებზე მიეთითებინა, რომლებიც უკეთესი ნაწარმოების შექმნაში უშლიდა ხელს. გამოთქვეს იმედი, რომ მდგომარეობა გამოსწორდებოდა, რადგან მწერალი უკვე მუშაობდა ამ შეცდომათა აღმოსაფხვრელად (პ. სამსონიძე). თუმცა ბობოხიძეს მკაცრადაც დაუქნიეს თითი: „ამ შეცდომის გამოსწორება არც თუ ისე იოლია... რასაკვირველია, ბობოხიძის შეცდომა არ იყო წინასწარი მოსაზრებით. ეს შეცდომა იყო გამოწვეული ერთგვარი დაუდევრობით. აღნიშნული ნაკლი უნდა გამოასწოროს" (შ. რადიანი).

ირ. აბაშიძემ (იმხანად ჯერ კიდევ კომკავშირული ორგანიზაციის წევრმა) აღნიშნა, რომ ბობოხიძეს ბავშვობიდან იცნობდა და რომ მან გამოიარა ბოლშევიკის გზა... იყო ღარიბი

* 24.I.1938 წ. ოქმი 27/26, გვ. 141.

ოჯახიდან... საუკეთესო მოწაფე და ა.შ. „შეცდომა, რომელიც აქ იყო აღნიშნული, მოუვიდა ახალგაზრდობით, გამოუცდელობით და აჩქარებით"; ალ. ჭეიშვილმაც „აჩქარებას" დააბრალა ყველაფერი და ბობოხიძეს სიდინჯისკენ მოუწოდა.

ბობოხიძემ, რასაკვირველია, უყოყმანოდ მიიღო პარტიულ ამხანაგთა შენიშვნები: „რაც ითქვა, სწორია და ვეცდები, გამოვასწოროო". საბოლოოდ იგი მიიღეს პარტიის რიგებში... მსგავსი მაგალითები მრავლად გვხვდება 1938-41 წლების საარქივო მასალებში.

მორიგ კრებაზე (5.2. ოქმი № 28/27) კ. ბობოხიძე, როგორც უკვე პარტიის წევრი, შეეცადა, გაემართლებინა თანაპარტიელთა ნდობა და თავისი რისხვა „გამომჟღავნებულ ხალხის მტრებს" დააატეხა თავს: „ხალხის მტრებმა პირადათ მეც და სხვა კომუნისტ მწერლებს დიდი ზიანი მოგვაყენეს. შეაფერხეს ჩვენი შემოქმედებითი ზრდა".

იმისათვის, რომ მკითხველი ჯეროვნად ჩასწვდეს ზემოხსენებული "რიტუალის" არსს, მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს: 1938 წლის 14 აპრილის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იყო ირაკლი აბაშიძის პარტიაში მიღების საკითხი. საყურადღებოა, რომ მანამდე არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ რომელიმე გამომსვლელს აცილება მიეცა პარტკანდიდატისთვის. ირაკლი აბაშიძე აღმოჩნდა პირველი, რომლის პარტიაში მიღების შესაძლებლობა ეჭვქვეშ დადგა: "ამხ. ი. აბაშიძე უკანასკნელ ხანებში ძალიან ცოტას მუშაობდა და მისი შემოქმედება არ იყო იდეურად გამართლებული. მაგალითისთვის მოვიყვან მის ლექსს „ხანუმა". გარდა ამისა, ის არ მიმაჩნია ჯერ კიდევ პარტიისთვის მომზადებულად და ამიტომ ხმას ვერ ვაძლევ მას კ.პ/ბ/ წევრობის კანდიდატათ მიღებისათვის" (პ. სამსონიძე)*. აბაშიძეს დამცველებიც გამოუჩნდნენ, თუმცა, მისი დადებითი თვისებების წინ წამოწევასთან ერთად ისინი არც მისი ნაკლოვანებების მხილებას მოერიდნენ:

ი. ლისაშვილი: „რამდენიმე დღის წინეთ მე ირ. აბაშიძეზე სულ სხვა აზრი მქონდა, ვინემ დღეს მაქვს. ი. აბაშიძე ახლოს

* ოქმი № 33/32, 1938, 14.IV. გვ. 123.

იდგა დემეტრაძესთან, როგორც ჟ. „მნათობის“ მაშინდელი მდივანი (დემეტრაძე მაშინ ჯერ კიდევ რედაქტორი იყო – ზ.ც.) და შეიძლება ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის დემეტრაძის კაცი იყო. დღეს, ჩემის აზრით, გარკვეულია, რომ ეს ასე არ ყოფილა, ამიტომ ამხ. ი. აბაშიძეს ვაძლევ რეკომენდაციას“.

ს. ეული: „ირ. აბაშიძე ხასიათდება ენამახვილობით, რომელიც თავისთავად კარგი თვისებაა მწერლისთვის, მაგრამ ეს, მისდაუნებურად, ხდება ხშირად ამხანაგებისადმი დამამცირებელი. არ ვარგა. ეს არ მოსდის მას წინასწარი მოსაზრებით. მან ეს ნაკლი უნდა გამოასწოროს. არ შეიძლება ის, რომ კომკავშრირში ყოფნის დროს საქმეები დაეკარგა (რის გამოც ის კინაღამ კომკავშირიდან გარიცხეს – ზ.ც.) და მის მონახვისთვის ენერგიული ზომები არ მიუღია”.

ამავე სხდომაზე უმტკივნეულოდ მიიღეს პარტიაში დ. ბენაშვილი, როგორც „აქტიური მომუშავე და პარტიისა და ხელისუფლების ერთგული მწერალი, 3 კატეგორიით... თუმცა, როგორც ს. ეული ამბობს: „ხალხის მტრებს უნდოდათ ამხ. ბენაშვილის მწერლობიდან განდევნა იმის გამო, თითქოს მას კავშირი ჰქონდეს ლიტფონდელებთან. ამ საქმეში ის მართალი გამოდგა. ჩვენი რწმენით, ამხ. ბენაშვილი მომავალში უფრო მეტად გააძლიერებს თავის სიფხიზლეს. ის ერთ-ერთი აქტიური კრიტიკოსია ქართულ ლიტერატურაში. მე იმედი მაქვს, რომ ამხ. ბენაშვილი გაამართლებს ლენინ-სტალინის პარტიის წევრის სახელწოდებას”.

ამ წლების პარტორგანიზაციის კრებებზე დაჟინებით ითხოვენ “თვითანგარიშების” წარმოდგენას, იქნება ეს ახალგაზრდა კომკავშირელი მწერალი, თუ კავშირის დიდი ხნის ღირსეული წევრი. მაგალითისთვის მოვიტანთ რ. გვეტაძის გამოსვლას. იგი საუბრობს თავის სოციალურ წარმოშობაზე, შრომით გამოცდილებაზე, ცისფერყანწელებთან დამოკიდებულებაზე და იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ დარწმუნდა, რომ მათთან საერთო არ უნდა ჰქონოდა (საყურადღებოა, რომ ორდენის წევრთა უმრავლესობა იმ დროისთვის ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ გამომსვლელს თავის დასაცავად მაინც

სჭირდებოდა ამგვარი რიტორიკა (ოქმი № 36, 25.IV. გვ. 37, 1938). რა თქმა უნდა, ეს ზომები იძულებითი იყო, მით უმეტეს, რ. გვეტაძისთვის, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ სიმბოლისტებთან როგორც მსოფლხედველობრივი, ისე ადამიანური თვალსაზრისით.

1938 წლის 23 აპრილს პარტორგანიზაციის კრებაზე საზეიმოდ აღინიშნა 23 აპრილის დადგენილების წლისთავი. როგორც ცნობილია, ამ დადგენილების შედეგად გაუქმდა მანამდე არსებული მწერალთა ორგანიზაციები (თევზაძე 1982:139-141). კრებაზე აღინიშნა, რომ „მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაშიც აღმოჩნდნენ ამ დადგენილების რეალიზაციის შემფერხებლები, დღეს ისინი მთლიანად განდევნილები არიან და განადგურებულნი. მწერალთა კავშირში შექმნილია ამხანაგური პირუთვნელი დამოკიდებულება მწერლებს შორის, რაც გახდება სტიმული ლიტერატურული ახალი აღმავლობისა“* (სიტყვით გამოვიდნენ შ. რადიანი, არ. ჭუმბაძე, დ. ბენაშვილი. ისინი „პოლიტიკური სიმახვილისკენ“ მოუწოდებდნენ ამხანაგებს).

10 მაისს გამართული კრების ოქმიდან (ოქმი № 39, 10.V. გვ. 48, 1938 წ.) ცხადი ხდება, რომ “საანგარიშო წელს” შეიქმნა მწერალთა კავშირის კომკავშირული ორგანიზაცია, ჩამოყალიბდა ე.წ. თანამგრძნობთა ჯგუფი, რომელიც „მოწინავე“ მწერლებისგან შედგებოდა და მისი ძირითადი მოვალეობა იყო ფართოდ გაეშალა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, გაემკაცრებინა პარტიული დისციპლინა, ორგანიზება გაეწია პარტისტორიის შემსწავლელი წრის მეცადინეობისთვის და ა.შ.

1939 წლიდან იშლება ე.წ. „უიდეობასთან ბრძოლა”, რაც გახდა მიზეზი ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციისადმი ნეგატიური დამოკიდებულებისა: „მიუხედავად იმისა, რომ რედაქციის მთელი ყურადღება იქითკენ არის მიქცეული, რომ ახალგაზრდა მწერლების იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე თავის სიმაღლეზე იდგეს, მაინც მწერლების ნაწარმოებებში შეხვდებით უიდეურობას, რასაც საჭიროა რედაქციამ მეტი სიძლიერით ებრძოლოს“ (დ. ბენაშვილი. 1940 წ. 4.VI. ოქმი 7, გვ. 23). მართლაც,

* ოქმი № 35/34, გვ. 115

საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ის წინააღმდეგობები, დაბრკოლებები, ცენზორთა ჩარევები, რომლებსაც არაერთხელ წასწყდომიან ამ ჟურნალის გარშემო შეკრებილი ახალგაზრდები, „ჩვენთაობელთა“ სახელით ცნობილნი*, და, სამწუხაროდ, „ადრე წასული ჭაბუკები“.

1939 წლის დასასრულიდან მოყოლებული მ/კ პარტორგანიზაციის კრებების ოქმებში უკვე ჩანს ახალი მსოფლიო ომის მოლოდინი და გარკვეული ფსიქოლოგიური განწყობაც შემაშფოთებელი პოლიტიკური რეალობის მიმართ (პარტგანათლების ამაღლება, საჰაერო-თავდაცვითი მუშაობის გაძლიერება და ა.შ).

ომის დაწყების შემდეგ შემცირდება პარტორგანიზაციის კრებების მოწვევის სიხშირე და საგრძნობლად შენელდება სიტყვიერი ანგარიშსწორება “ხალხის მტრებზე”. არსებულმა რეალობამ პარტორგანიზაციის წინაშე სრულიად სხვა პრობლემები დააყენა. დღის წესრიგში ახლაც იდგა პარტორგანიზაციის მუშაობის გადახედვის მოთხოვნა, ოღონდ ამჯერად ის საბჭოთა პატრიოტული სულისკვეთებით იყო გაჯერებული. გამომსვლელთა სიტყვებში ჟღერდა ამხ. სტალინის მოხსენების პათოსი: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი ჩვენი არმიის გამარჯვებისათვის. ამაშია დღეს ყოველი მწერლის ამოცანა“.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ 1941 წლის 10 ნოემბრის სხდომა, რომელზეც პარტიამ ახალგაზრდა მწერლების პოლიტიკური სიმწიფის ილუსტრირებასთან ერთად მათი ნაკლოვანი მხარეებიც გამოიტანა სააშკარაოზე. ერთ-ერთმა გამომსვლელმა, ირაკლი აბაშიძემ, აღნიშნა, რომ, მართალია, ქართველი მწერლები აქტიურად მონაწილეობდნენ საქვეყნო საქმეებში თავიანთი შემოქმედებით, მაგრამ მათ უფრო მეტი მოეთხოვებოდათ. მოწინავე პოეტებს უნდა ეწერათ

---

* ჟურნალი “ჩვენი თაობა” გამოდიოდა 1935-41 წწ. სხვადასხვა დროს ჟურნალის რედაქტორები იყვნენ: დ. დემეტრაძე, შ. რადიანი, ალ. ჭეიშვილი, ი. აბაშიძე, ა. მირცხულავა, დ. ბენაშვილი. ჟურნალში იბეჭდებოდნენ: გრ. აბაშიძე, ლ. ავალიანი, შ. ამისულაშვილი, ლ. ასათიანი, ლ. ბალიაური, მ. ბარათაშვილი, ვ. ბეწუკელი, მ. გელოვანი, ა. თევზაძე, გრ. იმედაძე, შ. იოსელიანი, ს. ისიანი, გ. კალანდაძე, რ. მარგიანი, მ. მრევლიშვილი, გ. ნაფეტვარიძე, ი. ნონეშვილი, დ. პატატიშვილი, ს. ჟღენტი, ა. საჯაია, ლ. სულაბერიძე, გ. ქავთარაძე, ე. და ვ. უბილავები, ა. შენგელია, გ. ჩიქოვანი, ი. ჩხაიძე, ო. ჩხეიძე, გ. ძიგვაშვილი, ვ. ჭელიძე, კ. ხიმშიაშვილი, გ ჯაბუშანური და სხვ.

კარგი ლექსები ამხ. სტალინზე, სალიტერატურო გაზეთს კი თავ-ისი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე უნდა გარდაექმნა: „ჩვენი „ლახ-ვარი“ (კედლის გაზეთის სახელწოდება ზ.ც.) ინტერესით იკი-თხება. გამოიცა ორი კრებული მწერლების აქტივის მონაწილე-ობით. მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, გვაქვს ნაკლიც, რომელზეც უნდა შევაჩეროთ ყურადღება. გვყავს მწერლები, რომლებსაც ორი სტრიქონიც არ დაუწერიათ. კიდევ მეტად შეი-ძლება კომუნისტების ავანგარდული როლის გამოყენება... ახ-ალგაზრდობა (მწერლები) ჩვენს მუშაობაში სრულებით არ სჩანს – ისინი გამორჩენილები არიან მხედველობიდან“...

ეს ინიციატივა სანქცირებული იყო გაზ. „კომუნისტის“, როგორც ცკ-ს ორგანოს, რედაქტორის მიერ*, რომელიც მენტო-რის ფუნქციას ასრულებდა. პირველი რისხვა ლადო ასათიანს დაატყდა თავს იმ ინცინდენტის გამო, რომელიც მას გაზ. „კო-მუნისტის“ რედაქციაში შეემთხვა (დეტალები უცნობია). მისი საქციელი საბჭოთა მწერლის სახელის შერცხვენად შეაფასეს: („ასეთი ამხანაგები თუ გვყავს კიდევ, მათი მუშაობის შესახებ დაისმება საკითხი პრეზიდიუმზე“) და კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს. ი.ლისაშვილი: „...რაც შეეხება ლადო ასათიანს, მე მას არასოდეს არ ვუყურებდი კარგად, მაგრამ საჭიროა ამის გარშემო საკითხის დასმა გამომცემლობებთან, მეტ ოპერატიუ-ლობას უნდა მივეჩვიოთ“...(ციტირება)

ლადო ასათიანს ეს საქციელი ბოლომდე მაინც არ აპატიეს და 1942 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მისი პირველი კრებულის მთელი ტირაჟი (10 საავტორო ეგზემპლიარის გარდა) გაანადგურეს.

საქართველოს შსს-ის არქივში დაცული მწერალთა კავ-შირის პარტორგანიზაციის კრებათა ოქმები მოიცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიის საკმაოდ ვრცელ პერიოდს: 1937-დან 1980 წლამდე. თუმცა მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ კრების მონაწილეთა გამოსვლები ნაკლებად მწვავეა („ხალხის მტრები“ უკვე კარგა ხნის განადგურებულნი არიან) და ძლიერი პატრიოტული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი (ზოგ შემთხ-

* გაზეთ კომუნისტის რედაქტორი 1940-1944 წლებში იყო ვ. ხატიაშვილი.

ვევაში მართლაც გულწრფელით, უფრო ხშირად კი – ყალბით). ბუნებრივია, მკითხველისთვის გაცილებით უფრო საინტერესოა 1937-41 წლების ამსახველი მასალა, რომელსაც შემოუნახავს ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკა, მისი მძიმე შედეგები და რომელიც ბოლო დრომდე არ იყო ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის, არადა ამ გაყვითლებულ ფურცლებს შემოუნახავს არაერთი ადამიანის – როგორც განწირულთა, ისევე გამწირველთა – ტრაგიკული ისტორია...

დამოწმებანი:

აბაშელი 2006: აბაშელი, მ. *მოგონებები სულ ერთ ღამეში წასაკითხი.* ჟ. "ჩვენი მწერლობა", 2006 წ. 19.

თევზაძე 1982: თევზაძე, დ. *ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა.* თბილისი: "მერანი", 1982.

კვერენჩხილაძე 2011: კვერენჩხილაძე, რ. *„საბუთები ღაღადებენ".* თბილისი: „უნივერსალი", 2011.

ჟღენტი 1984:. ჟღენტი ბ. *თანამედროვეთა მოგონებაში.* თბილისი: 1984.

ჟურნალი 2016: *საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის მიერ სასჯელის უმაღლესი ზომით გასამართლებულ პირთა ალფაბეტური ჟურნალი* (1937-38 წწ). 2016.

ჯაფარიძე 2005: ჯაფარიძე, თ. *ათასწლეულთა გასაყარზე.* თბილისი: „არტე", 2005.

შიშის დინამიკა

მაკა ჯოხაძე

შიშის დინამიკა

ექსტერიერი

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს შემინულ შენობას თანამედროვე არქიტექტორთა თუ დიზაინერთა წყალობით ხალისიანი ფერი ადევს; ამ ფერით ერთბაშად ხდება იმ სტრესული დამოკიდებულების განეიტრალება, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აქვს მსგავსი დანიშნულების მქონე შენობებისადმი. თუმცაღა შიშის, სიფრთხილისა თუ ისტორიული გამოცდილების უსიამო ლექსი ჩვენს ქვეცნობიერშია ჩაკირული და სტერილურ ლაბორატორიებში გამოყვანილი ვირუსივით თავისუფალ სივრცეში გაჭრას ელოდება.

ხშირად მიფიქრია, XXI საუკუნემ ვიზუალურად თუ რაიმეთი სასიკეთოდ შეცვალა პოსტკოლონიური საქართველოს სივრცე, უპირველეს ყოვლისა, ამგვარ დაწესებულებათა და ძალოვან სტრუქტურათა შენობებით, რომლის ერთი შეხედვით უსაფრთხო ინტერიერებში ნებისმიერ ჩვენგანს, ქვეითად მოსიარულე იქნება თუ ტრანსპორტით მიმავალი, შეუძლია გაიხედოს და გამჭვირვალე „სკებში“ თავისი მოძმეები სიხარულით დალანდოს.

არ ვიცი, მსგავსი შენობების დაგეგმარებაში, როცა რკინაბეტონის ნაცვლად დღეს უკვე უახლესი ტექნოლოგიებით მიღებულ უმსუბუქეს სამშენებლო მასალებს იყენებენ, გათვლილია თუ არა მეცნიერთა, ფსიქოლოგთა, სოციოლოგთა, ბიოლოგთა, ეკოლოგთა რეკომენდაციები, მაგრამ ერთი რამ აშკარაა – ე.წ. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, რომლებმაც ტოტალიტარული რეჟიმებიდან უამრავი სისხლისა და მსხვერპლის ფასად გამოაღწიეს მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც თავდახსნილ ე.წ. „თავისუფალ“, „დამოუკიდებელ“ ქალაქებში სწორედ ამგვარ შენობებს აგებენ, ერთგვარი სიმსუბუქის, შვებისა თუ იმედის განცდას ქმნიან, რომ ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება, რომ ყველაფერი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია, რომ წარ-

სულს ჩაბარდა სტალინური, გრანდიოზული შენობები, რომლის პირქუში სიმბოლური ხატი ჩერნობილის ატომური სადგურივით ახლაც ასხივებს შიშის დამთრგუნველ რადიაციას ლუბიანკის შენობის სახით...

„დაე, რუსი ხალხი დაიღუპოს, მოისპოს, ოღონდ ათი პროცენტი მოესწროს მსოფლიო რევოლუციას“, – ეს პროლეტარიატის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვებია, რომელსაც ერთ-ერთი მკვლევარი „კომუნისტური შიზოფრენიით“ დაავადებულ არსებად მოიხსენიებს, და, აქედან გამომდინარე, სამართლიანად მიუთითებს, რომ სხვა ხალხებს რაღა იმედი უნდა ჰქონოდათ ადამიანისა, რომელმაც საკუთარი ხალხი არ დაინდო. მართლაც, ასეთი გამძვინვარებული ფანატიკოსისაგან მოულოდნელი აღარ არის ადამიანთა მასობრივი მოსპობის სახელმწიფო პოლიტიკად ქცევა. ამას ადასტურებს სტატისტიკა, რომლის შემზარავ ციფრებსაც კიდევ ერთხელ შევახსენებთ იმათ, ვინც ასე თუ ისე გარკვეულია იმ ეპოქის მოვლენებში. ალეკო ასლანიშვილის წიგნი „დაკარგული საფლავები” (2010 წ.) ამ თემაზე დაწერილ ნაშრომთაგან ერთ-ერთ საუკეთესოდაა მიჩნეული და ჩვენც 1917-1953 წლებში გადასახლებულთა და დახვრეტილთა რიცხობრივ მონაცემებს სწორედ ამ წიგნიდან მოგაწვდით: 1917-23 წლებში ბოლშევიკებმა დახვრიტეს 160 ათასი აკადემიკოსი, პროფესორი, მწერალი, მხატვარი, პედაგოგი და სტუდენტი; 50 ათასი პოლიციელი, ჟანდარმი, 40 ათასი სასულიერო პირი, 170 ათასი ჩინოვნიკი, 130 ათასი მუშა, გლეხი (პროფ. ი. კურგანოვის მონაცემები).

თანდათან უფრო და უფრო მძიმდებოდა დანაშაულებრივი ჯაჭვი და ეს იყო ბუნებრივი შედეგი იმ ტოტალური ცოდვისა, რომლითაც ირღვეოდა ღვთის ცნებათა შორის ერთ-ერთი უპირველესი – „არა კაც კლა“, რადგან სამყაროდან უკვე კარგა ხნის განდევნილი იყო ღმერთი.

შემდგომი წლები უკვე მთელ დედამიწაზე ყველაზე „სამართლიანი“ წყობილების – კომუნიზმის – მშენებლობის გამართლებას ეძღვნებოდა და ყველა, ვინც ამ მიზანს პირდაპირ ან ირიბად ხელს შეუშლიდა, შეეწირებოდა კიდეც მას. ასე რომ, ეს

განუკითხაობა კიდევ უფრო დიდი შთაგონებითა და მონდომებით შემდგომ წლებშიც გაგრძელდა: 1923-30 წლებში ბოლშევიკებმა დახვრიტეს ორი მილიონი ადამიანი. აქედან 7550 ათასი კულაკი. 1937-38 წლებში დაიხვრიტა ინტელიგენციის 135 ათასი წარმომადგენელი. 1936 წლის პირველი სექტემბრიდან 1939 წლის პირველ სექტემბრამდე დახვრიტეს 32683 ათასი სამხედრო პირი, გადაასახლეს 15620. 1934-53 წლებში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დახვრეტა მიუსაჯა 69980 ჯარისკაცს და ოფიცერს.

ამ მასშტაბური რეპრესიების, „წითელი ტერორის“, სულისშემძვრელ პერიოდებში ფართო გასაქანი მიეცა ე.წ. დასმენის პოლიტიკას. დასმენა, დაბეზღება – ეს არ იყო ე.წ. „აბსურდი ნორმაში“, ეს იყო რეალობა, ეს იყო „ჭეშმარიტი“ საბჭოთა პატრიოტის პირდაპირი მოვალეობა, ეს იყო იმ ავბედითი პერიოდის, ეპოქის უზენაესი მოთხოვნა, ლამის ქრესტომათიული ჭეშმარიტება, რომელსაც არათუ პირსისხლიანი ბოლშევიკები, არამედ „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ ასე „აკადემიურად“ განმარტავდა: „მოქალაქის კეთილსინდისიერი ცდომილება მის მიერ შეტყობინებული ცნობის უტყუარობის შესახებ დანაშაულს არ შეიცავს“.

ასე რომ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჯაშუშთა და დამბეზღებელთა რა რაოდენობა თანამშრომლობდა სუკთან! სულ ცოტა ორი მილიონ ცხრაასი ადამიანიო, – წერდა ალ. გორბოვსკი ჟურნალ „ოგონიოკის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „ბეზღობის ენციკლოპედია“ („ოგონიოკი“ 1999: 36)*.

ყოველივე ამან “ჩვენი” 90-იანი წლები გამახსენა და შემთხვევა, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას შეშფოთებით უთქვამს ერთი სასულიერო პირისათვის – ვიცოდი, მაგრამ თუ ამ რაოდენობის აგენტურული ქსელი მუშაობდა საქართველოში, ვერ წარმომედგინაო.

* სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მინისტრს ს. იგნატოვს 10 მილიონი აქვს დასახელებული, ხოლო ისტორიკოსი ი. დიაკონოვი მიიჩნევს, რომ ჩეკასთან ყოველი მეხუთე ადამიანი თანამშრომლობდა.

შეიძლება ჩვეულებრივი მოკვდავისაგან ამის თქმა ცოტა არ იყოს, მკაცრად ჟღერდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უფრო იმ ღვთაებრივი კანონის რეალობაში განხორციელებაა, რომლის ფორმულირებაც ასეთია – ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე გაიგმირება. თუ ამ ფორმულის ერთგვარ პერიფრაზს მოვახდენთ, დაახლოებით ასეთ შედეგს მივიღებთ: ვინც დააბეზღებს, გასცემს, უღალატებს მეორე ადამიანს, მოყვასს, თვითონაც აუცილებლად დაისჯება. მით უფრო, ასეთ დაუნდობელ, შიშისმომგვრელ ეპოქაში – „სისხლიანი წვიმების“ ხანაში. და აი, იძულებით თუ ნებაყოფლობით დამსმენთა არმიებს რისხვად მოევლინა 1925 წელს ჩეკისტთა ერთ-ერთ თათბირზე წარმოთქმული ლავრენტი ბერიას სიტყვები: „დღეს, როდესაც ჩვენი სამსახურის უშუალო ჩარევით მოგერიებულია მენშევიკთა აგრესია და დაძლეულია მოიერიშე ელემენტთა ყველა ქმედება, ქვეყანაში მაინც რჩება პოლიტიკურად არამყარი სიტუაცია. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია კონტრრევოლუციური ძალების არსებობით. მათ შორის აღვნიშნავ ეროვნულ დემოკრატებს და მენშევიკებს. გარდა ამ პოლიტიკური ძალებისა, რომელთა განადგურება ჩვენი მთავარი ამოცანაა, მიზნად ვისახავთ, მოვახდინოთ იმ ძალების სრული ლიკვიდაცია, რომლებიც 1923-24 წლებში ჩვენთან დამსმენ ინფორმატორთა სახით თანამშრომლობდნენ. ეს ეხება პარტიულებს, ყოფილ სამხედროებს, მღვდლებს, დიაკვნებს, პედაგოგებს და სხვ. ეს პოლიტიკურად არასტაბილური ელემენტები, შესაძლოა, კვლავ მტრის მხარეს გადავიდნენ. ამიტომ, რაც უფრო ჩქარა გავანადგურებთ მათ, მით უფრო ჩქარა შევძლებთ დარჩენილ პოლიტიკურ პარტიათა ლიკვიდაციას. ყველასგან სრულ მორჩილებას მოვითხოვ. არც ერთი სერიოზული ნაბიჯი ცენტრთან შეუთანხმებლად. არც ერთი შეცდომა და მივიწყებული საქმე. დღეს მივიღე დეპეშა: ამხანაგი სტალინი ჩვენი მუშაობით კმაყოფილია. გისურვებთ წარმატებას“.

შემთხვევითი არაა, რომ მეცნიერთა საკმაოდ დიდ ნაწილს ბოლშევიკური სისასტიკის მხეცური გამოვლინებები თავისი სულისკვეთებით, სადამსჯელო ოპერაციებითა თუ სანახაობ-

რივი ტერორებით, თავისი ციხეებითა და გულაგებით სრულიად ბუნებრივად ახსენებდა ფაშისტური „ესესის“ საქმიანობას. ცნობილი ფაქტია, რომ ისინი „ესელელებთან“ მსოფლიო ომის დაწყებამდე შეხმატკბილებულად თანამშრომლობდნენ. გერმანელები საგანგებოდ ჩამოდიოდნენ მოსკოვში და საკონცენტრაციო ბანაკების მოწყობის სისტემებს ეცნობოდნენ. ასე რომ, ფაშისტებმა ჩეკას მუშაობის პრაქტიკიდან ბევრი რამ გამოიყენეს თავიანთ სიკვდილის ბანაკებში.

ერთგვარი ირონიული შეფერილობით საუბრობს ამ მსგავსებასა და მის საბედისწერო შედეგებზე ბონდო არველაძე, როდესაც აღნიშნავს, რომ „სტალინმა პრაქტიკული ჭკუა იხმარა და ათეული მილიონობით „ხალხის მტერი“ უფასო მუშახელად გამოიყენა – ტუნდრაში, ტაიგასა და ქვანახშირის მაღაროებში სამუშაოდ შერეკა... ჰიტლერმა კი გერმანული პუნქტუალობით ათეული მილიონობით უდანაშაულო ადამიანი გაზის კამერებში ჩახოცა...“

ნამდვილი მწერლები, როგორც მოგეხსენებათ, წინასწარმეტყველების ნიჭით არიან დასჯილნიც და დაჯილდოებულნიც ერთდროულად. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა დიდი გერმანელი მწერლის ჰერმან ჰესეს პატარა მოთხრობამ „დოქტორ კნიოლგეს აღსასრული“, რომელიც მას ჯერ კიდევ 1910 წელს გამოუქვეყნებია მიუნჰენში გამომავალ ჟურნალ „იუგენდში“*. ამ მცირე მოცულობის შედევრში მთელი მეოცე საუკუნის არსია გახსნილი და ის ტრაგიკული მოვლენებია ნაწინასწარმეტყველები, რომლებმაც მთელი მსოფლიო მოიცვა.

„დოქტორ კნიოლგეს აღსასრული“ თვალხილული მეტაფორაა უღმერთოდ დარჩენილი საუკუნისა, რომლის წიაღში ათასგვარმა გულუბრყვილო, უცნაურმა, შეშლილმა თუ შემზარავმა იდეამ უნდა იბარტყოს, რათა ადამიანთა ჯგუფები, გაერთიანებები, პარტიები, ორგანიზაციები, სექტები მიიზიდოს, ისევე, როგორც მღვიმეები და გამოქვაბულები იზიდავენ და იფარავენ მზისგან შუქით დაბრმავებულ ღამურებს.

---

* ქართული თარგმანი იხ. ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“, 2006, № 3.

მზე კი, შპენგლერის აღიარებით, უკვე ჩაესვენა ევროპაში. ეს თითქმის მოარული აზრი გახლდათ ცოტა უფრო ადრეც, მეცხრამეტე საუკუნის მოაზროვნე ინტელექტუალთა შორისაც... მაგრამ სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ „ევროპის ცხოვრების განცდა და გახმოვანება“ ფილოსოფიური სისტემის სახით ყველაზე ზუსტად სწორედ შპენგლერმა შეძლო.

სიტყვა „ჩასვენება“, რომელიც თავისი დინამიკით აშკარად ასოცირდება უპირველესი მნათობის ჩასვლა-ამოსვლის ღვთაებრივ ტემპთან, თვით ყველაზე პესიმისტი ადამიანის ცხოვრებაშიც კი ტოვებს დროებითი მიტოვებულობის, თვალსმიფარებულობის განცდას. დოსტოევსკიმ და ნიცშემ საბოლოოდ დაასრულეს დროებითობის ეს ოპტიმისტური ილუზია, როცა სიტყვა „ჩაესვენა“ მახვილივით ბასრი და პირდაპირი სიტყვით – „სიკვდილით“ შეცვალეს:

„ღმერთი მოკვდა!“ ყველაფერი ნებადართულია!..“

ეს ფორმულა ჩამომხრჩვალის თოკივით პერიოდული სიხშირით დღემდე ირხევა თითოეული ჩვენგანის წარმოსახვაში.

„ღმერთი მოკვდა“, – ეს იყო დიაგნოზი.

„ყველაფერი ნებადართულია!“ – ეს უკვე პროცესი იყო, ღმერთის „სიკვდილის“ მერე რომ განვითარდა. ამ პროცესში მთელი მეოცე საუკუნე აღმოჩნდა ჩართული და არა მხოლოდ პრაგმატულ დონეზე, ყოველდღიური ყოფისა და ურთიერთობების დონეზე, არამედ შემოქმედებითაც. კომუნისტური იდეოლოგიის მამები საქართველოშიც გააფთრებით იბრძოდნენ იმისთვის, რომ „შემოქმედებითი დარგის მუშაკებიც“ მთელი სისრულით ჩაბმულიყვნენ კომუნისტური აღმშენებლობის პროცესში. ამ პროცესს კი წინ უსწრებდა ხელოვანი ადამიანების, მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, მეცნიერების რეპრესიები, დაპატიმრებები, გადასახლებები, დახვრეტები...

ე.წ. „პერესტროიკის“ შემდეგ, როცა თანდათან ჩამოშლა დაიწყო საბჭოთა იმპერიამ, როცა გაიხსნა არქივები და დალუქულმა ყუთებმა მზის სინათლე იხილა, როცა მასობრივად გაცხადდა ტოტალური დანაშაულებანი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მხოლოდ უღმერთო ქვეყანაში მცხოვრებმა უღ-

მერთო ადამიანებმა შეიძლება ჩაიდინონ იმგვარი სისასტიკე, როგორსაც ბოლშევიკები ჩადიოდნენ.

რაც შეეხება საბჭოეთში გაზრდილ მომდევნო თაობებს, ურწმუნობით მოგვრილი სიცარიელის განცდას, რაგინდ გასაკვირიც უნდა იყოს, ის უმალ ფრანგული ეგზისტენციალიზმით ეზიარა, ვიდრე საკუთარი ცხოვრების წესით, ანდა, თუნდაც, მშობლიური ლიტერატურით. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ აკრძალული ქრისტიანობის ტვირთი ქართულმა მწერლობამ მთელი ორი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ზიდა...

ზოგი რამ შიშზე

ადამიანი ისეთი არსებაა, რომ უამრავი უცნაური ფობიითაა შეპყრობილი. „ფობი“ ბერძნული სიტყვაა და „შიშს“ ნიშნავს. როგორც ცნობილია, ფილოსოფოსებისათვის ის ადამიანის სულიერი ევოლუციის განმსაზღვრელ ეგზისტენციალურ ძალას წარმოადგენს. ფსიქოლოგები შიშს განიხილავენ, როგორც ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრილი ინდივიდის დამცავ ფუნქციას, ფსიქიატრებისათვის კი შიში დაავადების ერთ-ერთი სახეობაა. რაც შეეხება დიქტატორებს, ეს ყოველივე ზედმიწევნით გათვლილი და გააზრებული აქვთ და სწორედ შიშის საშუალებით ახდენენ მასებით მანიპულირებას.

შიშით მანიპულირების მსხვერპლად იქცა გრიგოლ რობაქიძის რომანის მთავარი გმირი, პოეტი თამაზ ენგური (რომელსაც თავისი რეალური პროტოტიპი ჰყავდა მწერალთა სამყაროში) და სწორედ ტოტალიტარიზმის პირობებში შიშის დამთრგუნველი ზემოქმედების შედეგად გაჩენილი მეტაფორაა რომანის სათაური – „ჩაკლული სული“ – რომელიც ისევე იქცა საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმის სახე-სიმბოლოდ, როგორც ფაშიზმის მეტაფორად ალბერ კამიუს რომანის სახელწოდება „შავი ჭირი“.

„...ო, ეს სიფრთხილე! ეს შინაგანი შიში.
ეს უმთავრესი სენი სიცოცხლის!
ეს ლაჩრობაა, ცოდვაა სიცოცხლის წინაშე...“
(გრ. რობაქიძე, „ჩაკლული სული“)

ამ არაჩვეულებრივ დასკვნას, რომ შიში – ესაა ცოდვა სიცოცხლის წინაშე, კიდევ უფრო ამძაფრებს იმის შეგნება, რომ „გულის ძგერის“ წინააღმდეგ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი დანაშაულია სამყაროს მრავალფეროვნებისა და ბუნებრიობის წინაშე.

შიში ის ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომელიც ეტაპობრივად სისასტიკეს წარმოშობს. „შიში შეიქმს სიყვარულსა“, – ქრისტიანული მორალის ეს უმთავრესი დოქტრინა ბოლშევიკებმა და მათმა მიმდევრებმა დემაგოგიურად გამოიყენეს. წაართვეს, გამოაცალეს მას თავისი თავდაპირველი არსი, რომელიც ღვთის შიშით გაჩენილ სიყვარულს გულისხმობს და რომლის წყალობითაც ხდება სრული დაზღვევა, რომ ადამიანი საკუთარი ცოდვების მძევლად არ იქცეს.

ამიტომ შიშის გატარების მრავალგვარი, ბარბაროსული პოლიტიკა აწარმოეს და გარკვეულ პერიოდში სასურველი შედეგიც მიიღეს. შიშის დანერგვითა და გატარებით მიაღწიეს მათ ადამიანთა საყოველთაო დუმილს. მაგრამ შიშის გამტარებელმა უსამშობლო არსებებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ჭეშმარიტი მწერლის დუმილიც კი მეტყველი დუმილია, მეტიც, აქტიური მეტყველებაა და არსებობს ისტორიის მონაკვეთები, როცა ეს დუმილი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შიშით, საკუთარი ცოდვებით, ანდა საკუთარი ტყავის გადარჩენის ინსტინქტით დაბეჩავებული კალმოსნების ჭარბმეტყველება და პროდუქტიულობა.

ასეა, შიში წარმოშობს სისასტიკეს, ლაჩრობის თანმხლებსა და თანამგზავრს... სისასტიკე გადამდები ავადმყოფობაა. მისი წყაროა მომაკვდავი ტირანია.

შელლის ეკუთვნის გამოთქმა, რომ პოეტები სამყაროს უღიარებელი კანონმდებლები არიან. რაგინდ პარადოქსულადაც

უნდა ჟღერდეს, თუკი ვინმეს ამ გამონათქვამისა სჯერა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსებს. ამიტომაა, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში (და არა მხოლოდ ტოტალიტარულში) ყველაზე მეტად სწორედ ჭეშმარიტ შემოქმედს უჭირს, განსაკუთრებით კი – სიტყვიერი ხელოვნების წარმომადგენლებს. პოლიტიკოსებმა ისიც კარგად იციან, რომ იარაღზე უფრო მეტად სწორედ სიტყვას შესწევს უნარი ნაღმივით აფეთქდეს და სამყაროც ააფეთქოს. ამიტომ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ, თავის მხრივ, მათაც ეშინიათ მხატვრული სიტყვის.

თუმცა შიშისადმი, როგორც ძლიერი ემოციისადმი, რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულებაც არსებობს, რომელიც კი არ იმონებს, თრგუნავს და კლავს ადამიანის სასიცოცხლო თუ შემოქმედებით ენერგიას და მის შემოქმედებით რესურსს, არამედ, პირიქით, ყოველივე ზემოთჩამოთვლილის ერთგვარი კატალიზატორიც კი ხდება.

შემთხვევითი არაა, რომ ისეთი მწერალი, როგორიც მილორად პავიჩია, შიშზე პირდაპირ გვეუბნება: „ჩემი აზრით, სრულყოფილებას მაშინ ვუახლოვდებით, როდესაც ჩვენი შიში მაქსიმუმს აღწევს. რაც უფრო ახლოს ვართ იმასთან, რისიც გვეშინია, მით უფრო ვუახლოვდებით სრულყოფას. შიში ზღვრული ძალისხმევისაკენ გვიბიძგებს, სწორედ ასე მიიღწევა სრულყოფილება. ყოველგვარი შიში მთრგუნავს, შიშის ყოველგვარი სახეობა. სწორედ ესაა ჩემი ერთგვარი სტიმული. შიში მწერლის განუყოფელი თანამგზავრია. ახლაც ისეთივე მძაფრ შიშს ვგრძნობ, როგორც ბავშვობისას. ჩემი შიში არასოდეს დაბერდება“.

ინტერიერში

შსს არქივში მუშაობისას მძიმე ფიქრების გადაფარვა სრულიად უცნობი ადამიანების საბედისწერო ცხოვრებითა და ბიოგრაფიებით ხდებოდა. იქნებოდა ეს ყუთებში მოთავსებული თითოეული პატიმრის საქაღალდეს მიკრული ე.წ. ჯიბე, რომელ-

შიც სწორედ დაკავებისას ჩამორთმეული პირადი ნივთები ინახებოდა, იქნებოდა ეს სატრფოსადმი ფერმკრთალი ფანქრით მიწერილი მხურვალე, სასიყვარულო სიტყვები, რომელიმე მაშინდელი სიგარეტის რეკლამა თუ სულაც პლასტმასის მრგვალი, დანომრილი პაწია ფირფიტა, რომელიც თეატრის ანდა სულაც რომელიმე რესტორნის გარდერობის ნომერი იყო; რკინიგზის ბილეთი თუ ოციანი წლებისათვის დამახასიათებელი მოკლედშეჭრილი ვარცხნილობით ქალის შოკოლადისფერი პორტრეტი; პროფილითა და ანფასით გადაღებული, შტამპდარტყმული პატიმრის შავ-თეთრი სურათები. ბლოკნოტის დაშლილი ფურცლები და მათზე გაკრული ხელით მიწერილი ამა თუ იმ სასიყვარულო ლექსის სტრიქონები...

ყოველივე ეს, ერთად აღებული, უცნაური ემოციური ნაზავია ერთბაშად რომ აქრობს დროის განცდას და ისეთ უწონადო სივრცეში გატივტივებს, სიზმარ-ცხადის, რეალობა-ფანტაზიის, წარმოსახვის ისეთ ნაკადებში, შიშის, სევდისა და უხერხულობის, ნაცნობ-უცნობ, შორეულ-ახლობლურ, უდანაშაულო დამნაშავეობის ისეთ წამიერ ჩხვლეტებსა და ჟრჟოლვას გაგრძნობინებს ამ განწირული ადამიანების – დახვრეტილი, გადასახლებული, ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების წინაშე, თითქოს ამაში პირადად შენ მიგიძღოდეს ბრალი. თითქოს გეხამუშება, რომ ეს შენი საქმეა, შენი სამუშაოა. დაკითხვის ოქმებში ნიღაბაფარებულს და სტერილური ხელთათმანებით შეიარაღებულს, თითქოს შენივე ქვეცნობიერი გიჯანყდება, თითქოს აპროტესტებს და თავდაცვის ინსტინქტით მოგვრილ სირცხვილსაც კი გაგრძნობინებს – ასე რომ გეშინია, საუკუნის მტვერმა ალერგია არ შეგყაროს... და უცებ შენ წინაშეა შეშინებული მამის თავის მოკატუნება, ან სულაც მისი გულუბრყვილობით შედგენილი სათხოვრის ტექსტი:

„გთხოვთ უმორჩილესად, ეს ჩემი შვილი გიორგი დამითმოთ, მომცეთ იმდენის საშუალება, თუ დიდი ცოდვები მიგვიძღვის ჩვენი მთავრობების წინააღმდეგ და თუ ცოტა სიტყვით მიზეზსაც გვწამებს ვინმე, ამაზეც გთხოვთ მოგვიტევოთ. შემდეგისათვის არ გავიმეოროთ. ამ პირობას ჩამოგართმევთ თუ

ისურვებთ თავადაც მოგცემთ ისეთ კაცს, რომელიც თქვენი პარტიის სანდო კაცი იქნება“.

მთხოვნელი ივანე ჯანელიძე.

1922 წ. 5/VII

(სტილი დაცულია მ. ჯ.)

(ფონდი № 6. საარქივო № 22144. ტ. 2. ყუთი № 29.)

ეს არ არის წმინდა წყლის შიში. ეს არც მხოლოდ ფორიაქია, ამას ვერც დისკომფორტს უწოდებ, ვერც დროის განცდას. ეს არც მხოლოდ აურის ბრალია, რომელიც ყოველ ბინას, ყოველ დაწესებულებას, ყველა ქალაქს, თითოეულ ადამიანს გააჩნია... მით უფრო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში, საშვის გამცემი კაბინის გოგონებით დაწყებული იარაღიანი დაცვით დამთავრებული, ჩვენდამი კეთილგანწყობისა და ჩვენთვის სამუშაო პირობების შექმნის გარდა ვერაფერს ვგრძნობთ.

დღეს უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მწერლობაში თავისუფლების დაკარგვით მოგვრილი შოკი (1918-21 წწ.) და აქედან მოყოლებული წითელი რეჟიმის სულისშემხუთველი, გააფთრებული ბრძოლა ადამიანური ღირსების, მისი პიროვნულობის გასაქრობად და გასათელად ქართულ ლიტერატურაში უაღრესად მაღალპროფესიონალურ დონეზე გამოიხატა. მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, გიორგი შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, ო. ჭილაძე, ნიკოლოზ გაბაონი, ზ. არსენიშვილი... ამის ნათელი დადასტურებაა.

რეჟიმის მსხვერპლი თაობა თავისი თვალით დაინახავს ქაჯური სისწრაფით მიმავალი ვაგონებიდან როგორ შეერევა ყინვისაგან გადატრუსული სტეპების ერთფეროვნებას სასტიკი მგზავრობით გარდაცვლილი მოხუცების გადალურჯებული გვამები, პირდაპირ წიხლით რომ ისვრიან ზედამხედველები ღამეული სტეპის უნაპირო მდუმარებაში. ადამიანი საკუთარი სხეულით იგრძნობს, რას ნიშნავს მკბენარების დამაკნინებელი თარეში კანის უფაქიზეს ქსოვილზე, როცა აღარა ხარ აღარც ქალი, აღარც კაცი, როცა სქესის შეგრძნებას ისე გაცლის და გართმევს ცხოვრება, როგორც დამდუღრულ კანს – დოსტაქრის

ლანცეტი, როცა ადამიანები (ტუსაღები) პანიკური სისწრაფით შიშვლდებიან ერთმანეთის თვალწინ და გარეთ, ორმოცგრადუსიან ყინვაში გადაკიდებული ტანსაცმლის ჭუჭყიან ზვინებში თანდათანობით იხოცებიან ქინძისთავისხელა მკბენარები...

შეურაცხყოფა იმდენგვარია, ბავშვობა შეუძლებელი ხდება. ზღაპრული ტემპებით კაცდებიან და ქალდებიან. შიმშილზე უფრო მეტად უმწეობა თრგუნავთ. მგრძნობელობა საშიში ხდება. წარმოსახვა მაღალი ძაბვის შიშველი დენივით იზიდავს, იკრავს ინკვიზიციური ფანატიზმით და ვნებით დასჯილი ადამიანების მწუხარე სახეებს, შეძრწუნებული სულის პეიზაჟებს, სასტიკი ყოფის სარკასტულ გამოვლინებებს... და მაინც...

და მაინც რაგინდ ტოტალური გენოციდიც არ უნდა მოუწყონ კაცობრიობას, ხსოვნის ერთი წვეთიც საკმარისია ჩარჩეს მეხსიერების ამოტუმბულ, ამომშრალ არხში, რომ უკვალოდ არაფერი დაიკარგება. ეს წვეთი თავისას იზამს (აკი ქნა კიდეც!) – წლებიდან წლებში, თაობიდან თაობებში ინფექციასავით გადაიტანს შურისგების ჯანსაღ ბაცილებს... დაკონსერვებული სისხლივით შეანჯღრევს, გააცოცხლებს მეხსიერების მკვდარ უჯრედებს... მოასულიერებს ხსოვნას, ამ მარადმწვანე მცენარის გადათელილ ფოთლებს, ნებისმიერ საუკუნეში რომ სდევნიან და სცემენ...

ისეთი განცდაა, რომ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთა ერთი პატარა ჯგუფი სწორედ ამ ნაცემ-ნაგვემი, გადათელილი ხსოვნის დაფლეთილი, გამოხშირული ფრაგმენტების შეკოწიწებას, გამთლიანებას, ერთმანეთზე გადაბმას ვცდილობთ. დაკითხვის ოქმებით, განცხადებებით, რეზოლუციებით, მონათხრობებით, წერილებით, საბუთებით, ჩამორთმეული ნივთებით, ინტონაციებით, ტონალობებით, გულუბრყვილობითა თუ მათი თავისმოკატუნებით ვეშურებით აღვადგინოთ ოციანი, ოცდაათიანი წლების პატიმართა სახეები, პორტრეტები, სილუეტები...

ხსოვნის არქივი

ამდენი რამის გადამტანმა თაობამ, მათ, ვინც ცოცხლად გადაურჩა შემზარავი რეჟიმის ხელს და მისი გულაგებიდან გამოაღწია, ერთადერთი აქტიური, გენეტიკური მემკვიდრეობა – ხსოვნის უნარი – თითქოს გააქვავა, პატარა, უჩინარი ძეგლი დაუდგა თითოეულის ხსოვნას. ხსოვნა სასტიკ არქივად გადააქცია, ხოლო პაწია ყუთებად შეკრული საბუთები და დოკუმენტები საიმედო თავშესაფარში – საკუთარ სისხლში შეაცურა, სისხლით დაიმახსოვრა, ნებისყოფით, გაუტეხელობით, გამბედაობით დალუქა და დროს დაელოდა...

„ლიტერატურული გაზეთის“ 2016 წლის პირველ ნომერში (15-28 იანვარი) ცნობილი პოეტის, ჯარჯი ფხოველის ჩანაწერებში ერთ გასაოცარ მოგონებას წავაწყდი – გაქვავებული გენეტიკური მემკვიდრეობის სწორედ იმ ნიმუშს, რომელიც თავის დროს ელოდა გასამხელად:

„იგონებს: ჯირკზე იჯდა ქაქუცა. მუხლზე მაუზერი ედო, რაზმელებმა აუხსნეს ვითარება... ქაქუცამ თვალები მოჭუტა და მზერა გამიყარა. გაუსწორებელი ჩანხარო, მითხრა, შენნაირებს მარტო ტყვია გაასწორებსო... მაგრამ კარგად ვიცნობ შენს დედმამას, მშრომელი და საწყალი ხალხია, იმათი დაღონება არ მინდა... ეხლა ერთ რამეს გეტყვი და ის შეასრულეო... თანაც მაუზერი შეაყენა!.. ეგ ნიშანი რო გიკეთია, მოიხსენი და შეჭამეო... კომკავშირის ჟეტონზე მიმიშვირა თითი. კარგად დავინახე, ქაქუცას თვალებში ცეცხლმა იელვა!.. მოვიხსენი ჟეტონი და დავიწყე ღეჭვა: ვგრძნობ, კბილები რო მეფშვნება, სისხლი გადმომდის. ვღეჭავ... ვღეჭავ... ვიცი, ეს თუ გადამარჩენს! როგორც იქნა ჟეტონი გავღუნე და გადავყლაპე. ცეცხლი ამიდუღდა ყელში და მთლიანად გულ-გვამში... ეხლა წადი, მითხრა ქაქუცამ, უკან არ მოიხედო, თანაც სამშობლოს მტრებთან აღარ მიხვიდე, იქ აღარ დაგინახო, დამადევნა ეს სიტყვები... და მე უკვე სოფლისაკენ მივქროდი... არც მეგონა, თუ ტყვია არ წამომეწეოდა, მაგრამ ქაქუცამ შეასრულა ნათქვამი: დამინდო, არ მომკლა!..“

ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და მისი რაზმის წევრებთან დაკავშირებული ეპიზოდებით, ამ „ბანდიტების“ დაკითხვის ოქმებითა თუ განცხადებებით სავსეა არა მხოლოდ ეს არქივი, არამედ, ზოგადად, ამ პერიოდის კვლევასთან დაკავშირებული წიგნები, მაგრამ თანამედროვე შემოქმედის, ჯარჯი ფხოველის, მიერ მოტანილ ეპიზოდში რაღაცნაირად ძალიან კომპაქტურად, სწრაფად შეიკრა წრე და არა მხოლოდ ქაქუცასა და მისი დროის კომკავშირელი კაცის პორტრეტი დაიხატა, არამედ – მთელი ეპოქა. დაღეჭილი და გადაყლაპული ჟეტონით დასერილი სისხლიანი ღრძილები კი მოულოდნელად შექმნილი სიმბოლოა იმ სისხლიანი რეჟიმისა, რომელმაც საქართველოს ასე ნანატრი თავისუფლება დააკარგვინა, რომლისთვისაც ქაქუცას და მის თანამოაზრეებს ემიგრაციაშიც კი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. ეს მოვლენები არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური სიზუსტით დაიხატა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „შავი ჩოხა“, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას რომ ეხება.

ვინ იცის, რამდენი გმირის სახელი დაიკარგა თავისუფლებისათვის ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. დროის ულმობელმა სვლამ რამდენი მათგანის ისტორია, ცხოვრება თუ თავგადასავალი გააქრო ისე, თითქოს არც ყოფილან, არც არსებულან ამქვეყნად. მაგრამ იყვნენ ბედნიერი გამონაკლისები, რომლებიც თავიანთ, პირადი ხსოვნის არქივში ინახავდნენ ყველაფერს. ალბათ მოგონებების გაუსაძლისი შემოტევების ჟამს მხოლოდ შვილს ან ფურცელს თუ გაანდობდნენ მას აღსარებასავით.

სწორედ ასეთი ხსოვნის არქივს აეხადა თავი იმ მოგონებით, რომელიც სათაურით – 16 წელი სიკვდილის ბანაკებში – „ჩემი სახელი იყო B2-411“ – ჟურნალისტმა ეთერ ერაძემ „კვირის პალიტრის“ 2014 წლის 8-14 დეკემბრის ნომერში დაბეჭდა. უცნობი გმირი მესხურ სოფელ მუსხაში მცხოვრები პორფილე ოქრომელიძე აღმოჩნდა და მისმა ვაჟმა, ოთარმა, ჟურნალისტებს გამაოგნებელი ამბები გაუმხილა. აი, რამდენიმე ფრაგმენტი ამ ისტორიიდან. ოთარ ოქრომელიძე მამის მონაყოლს იგონებს:

„...შემდეგ თათრებს წითლებიც დაემატნენ – მესხურ სოფლებს გაკულაკებისას ხარები რომ ეხოცებოდათ, კაცებს აბამ-

დნენ გუთანში მიწის სახნავად... გაგიჟდებოდა მამაჩემი, მაშ რა იქნებოდა! ჯერ კიდევ ბავშვობისას ჩავიდე გულში, რომ ჩემი ხალხისათვის მეშველაო. ამისთვის გონიც ერჩოდა და ღონეც, 18 წლისა, ზურგზე დაწოლილი, ფეხებით ასკილოიან ხორბლის ტომარას სწევდა. მერე ახალციხის სკოლაში შეხვდა მასწავლებელს – გიორგი სალარიძეს, რომელიც მუდამ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ელაპარაკებოდა. ასე დააარსა ერთ დღეს მამამ „მესხ ახალგაზდათა კავშირი“ მისი კლასელის, ოთარ ფირალიშვილის ნაქირავებ ბინაში... კავშირს შემდგომში 26 კაცი შეუერთდა.

1938 წელი იყო. თითქმის ნახევარი საქართველო ამოწყვეტილიყო. ასეთ დროს ამ უშიშარმა 17 წლის ბიჭებმა საქართველოს განთავისუფლების პროგრამა შეადგინეს და გაზეთი „მესხეთის ნაპერწკალი“ გამოუშვეს. უნდოდათ მაღალი სახელმწიფო და სამხედრო ჩინებისთვის მიეღწიათ, გერმანელებს დაახლოებოდნენ და ეს საქართველოს გასათავისუფლებლად გამოეყენებინათ... ბეჭედიც დაამზადეს, – სოფლის საბჭოს ბეჭედი მოიპარეს, ასოებად დაჭრეს და თავიდან ააწყვეს. ამ ბეჭდით ამოწმებდნენ პროკლამაციებს. თუ დაიჭერდნენ, სიკვდილი არ ასცდებოდა! დაუჯერებლად მამაცი იყო. მიყვებოდა: კა-გე-ბეს ეზოში რომ შევედი, ქალი და კაცი დავინახე მანქანში, ჩემთვის არ ეცალათ. დერეფანში მხოლოდ ერთი გუშაგი მორიგეობდა. როცა შებრუნდა, პროკლამაციები მიმოვფანტე და გამოვიქეცი.

ჩავარდნით კი ასე ჩავარდნენ. გერმანელებმა კავკასიაში დესანტი გადმოსხეს. ამ დესანტში ჩვენი სოფლიდან წასული გიორგი ივანიძეც იყო. – ის დედამისის სანახავად უჩუმრად მივიდა და დაიჭირეს. „მესხი ახალგაზრდობის კავშირმა“ კა-გე-ბეს წერილი მისწერა, თუ გიორგის არ გამოუშვებთ, დაგხოცავთო. სოფელში ყველას კალიგრაფია შეამოწმეს. წერილის დამწერს გრიშა ოქრომელიძეს მიაკვლიეს და დაიჭირეს... მამა შიშობდა, რომ მასაც და კავშირის სხვა წევრებსაც დაიჭერდნენ.

„კავშირის“ წევრები შემოვირბინე – ბიჭებო, თურქეთში გავიქცეთ-მეთქი. არავინ გამომყვა. მარტო წავედი, ტყეში ორი კვირა ვიმალებოდიო – მიყვებოდა მამა. ერთი კაცის სიკეთე ახ-

სოვდა, – თევდორე ქურდაძის – ახოში ყანას თოხნიდა. თავისი საგზალი ხეზე დამიკიდა და გამცილდაო. დაჭერილი სოფლის საბჭოს ბოძზე მიაბეს და სამი საათი სცემდნენ. ამ ამბავს პატარა გოგო უყურებდა. მამაჩემი გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, მაშინ უთხრა – პატარა კი ვიყავი, მაგრამ შენ რომ გცემდნენ, სიმწრით ხელებს ვიმტვრევდიო, როგორ გაძელი, რომ არ დაიკვნესეო. ამბობდა, – ციხეში როცა გადავყავდი, ხელებგაბაწრულს ოთხი მილიციელი მდარაჯობდა მანქანაში. ხევთან რომ მივედით, გავიფიქრე, მძღოლს თავს დავაჯახებ და მანქანა ხევში გადაიჩეხება, იქ კი ან ყველა დავიხოცებით, ანდა გავიქცევიო. ამასობაში უფროსმა მილიციელმა თვალებში შემომხედა და იყვირა: – მანქანა გააჩერეთ, გადახტომა უნდაო. ეტყობა მამას გულისნადები თვალებშიც უჩანდა. გამოსატეხად კი ციხეში სველი თოკებით ისე სცემდნენ, ხორცი ნაფლეთებად სცვიოდა.

სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა. ამბობდა, დასახვრეტთა საკანში რომ მივდიოდი, გულს იმით ვინუგეშებდი, რომ განაჩენის გამოცხადების შემდეგ მოსამართლეს და პროკურორს შევაგინეო... სამი თვე იჯდა სიკვდილმისჯილთა საკანში. მერე შეწყალების ფურცელი მიუტანეს და გადაასახლეს – 16 წელიწადში შემოიარა სიკვდილის ბანაკები. 1956 წელს გამოუშვეს.

ბოლო ხანს გადავწყვიტე მისი მოგონებები წიგნად გამოვუშვა. მათ შორის ბევრი ისეთი სტრიქონია, რომლის წაკითხვა ადამიანს სულს გაუყინავს. მინდა რამდენიმე აქაც გავიხსენო: „ჩემი სახელი იყო B2-411“...

„560 დღე გავატარე საყინულე კარცერში“...

“1949 წლამდე 6 წელი ვიყავი მშიერი, მარტო ერთი დღე გავძეხი პურით“...

„ოთხი წყალდასხმულიდან იზოლატორში მარტო მე გადავრჩი ცოცხალი“...

„ხორცის საჭმელად დამპატიჟეს, მაგრამ მე არ მიჭამია, რადგან ის ხორცი ჩემი გარდაცვლილი მეგობრისა იყო“...

შიშისა თუ ვაჟკაცობის ჩვენ მიერ მოტანილი ეს ორიოდე მაგალითიც კარგად მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანები თავიანთი ბუნებით, თავიანთი თავდაპირველი არსით, ცოდვით დაცე-

მის შემდეგ, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ეს განსხვავებულობა განსაკუთრებით ექსტრემალურ სიტუაციებში იჩენს თავს.

გამართლება თუ არგამართლება

არქივზე მუშაობის ამ არცთუ ისე ხანმოკლე პერიოდში არ გამიმართლა, თუ არ ჩავთვლით ორიოდე შემთხვევას, როცა, ვთქვათ, შემხვდა მეტად მწირი ინფორმაცია 44 წლის მამაკაცის, შემდგომში სახელოვანი მეცნიერის კორნელი კეკელიძისა და აკაკი ფაღავას შესახებ (1922 წ. ფონდი № 6; საარქივო № 22255; საქმე № 23476; ყუთი № 53 – ბ. კილაძე და სხვ.)

ერთგან ეგნატე ნინოშვილიც იყო ნახსენები, როცა დაკითხვის ოქმში პატიმარი მიუთითებდა, რომ დაპატიმრების ღამეს იგი შინ წამოწოლილი ღამის ორ საათზე გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ კითხულობდა ეგნატე ნინოშვილისა და ვიღაცის (გვარი არ იკითხება მ. ჯ.) პოლემიკურ წერილს.

და კიდევ ერთი პიროვნების, ვინმე დაშნინის მიერ შედგენილი სალექციო კურსი სათაურით – “განსხვავება პოეზიასა და პროზას შორის”. ეტყობა, ტუსაღობამდე იგი მასწავლებლად მუშაობდა და გულდასმით შედგენილი ამ ლექციებით საგანგებოდ მეცადინეობდა, რომ მოსწავლეების წინაშე პირნათლად წარმდგარიყო. თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ლექციებს არავითარი შემეცნებითი ღირებულება არ გააჩნია. დეფინაცია სათაურშივე იყო არეული. პროზა განხილული იყო არა როგორც ლიტერატურული ჟანრი, არამედ როგორც მატიანე. ეს ლიტერატურის კურსია, შესაძლოა, საკუთრივ მისივე შედგენილი. შემოქმედებითი წიაღსვლებით, ორიგინალობით ეს ჩანაწერები არ გამოირჩევა. იგი სოცრეალიზმის პოზიციებიდან განიხილავს ნაწარმოებებს და შესაბამისი ტერმინებით (მაგ. „ხორცმეტი“, „მუქთახორა“...) არიან დახასიათებული პერსონაჟებიც.

ეს იყო და ეს.

იქნებ „გაუმართლებლობა“ იმისი ბრალია, რომ ამ არქივის დიდი ნაწილი თავის დროზე ხანძარმა გაანადგურა; არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამაში ბედის ხელიც ერია. იმდენად მინდოდა და, ამავე დროს, იმდენად მაკრთობდა მწერლებთან შესაძლო შეხვედრა, იმდენად მეშინოდა რომელიმე მათგანი ღირსებააყრილი, დათრგუნული, „მოთვინიერებული“, გატეხილი არ მენახა, დაკითხვისას მიცემულ პასუხებში მათი შეშინებული დამფრთხალი სული არ დამენახა, რომ თითქოს დამზოგა განგებამ.

„სადა ხართ მწერლებო... სადა ხართ მწერლებო...“ – ეს იყო ჩემი ფიქრისა თუ მოლოდინის განუწყვეტელი რეფრენი, თუმცა, გულწრფელი თუ ვიქნები, ჩემი სურვილი, გაუცნობიერებელი ან გაცნობიერებული, ნამდვილად ფეთქავდა – „ნეტავ არ გამოჩნდნენ, ნეტავ არ შემხვდნენ, ნეტავ არ დამენახონ...“

ისე ჩავათავე ჩემი წილი ლურჯ-ნარინჯისფერი ზოლებით გაწყობილ ყდებში ჩასმული ეპოქის საქმეები, რომ იქ მწერლები არ შემხვედრიან, სადღაც „დაიმალნენ“, დამზოგეს, გაიქცნენ, დაიკარგნენ და მხოლოდ წარმოსახვა დამიტოვეს, ვარაუდი, თუ გნებავთ, ფანტაზია, თუ როგორები იქნებოდნენ ისინი ეპოქის კონტექსტში. როგორ მოთავსდებოდნენ თავიანთი ბიოგრაფიის სიტუაციური ფრაგმენტებით იმ საოცარ ფონში, იმ მწარე წლებში, რომლებიც, მართალია, მწერლებით არა, მაგრამ, სამაგიეროდ, ასეთი მრავალფეროვნებითა და უტყუარობით დაიხატა ჩვეულებრივი ადამიანური ისტორიებით, მათი თავგადასავლებით, მათი რწმენითა თუ ურწმუნოებით, იმედით, სისასტიკითა თუ სასოწარკვეთით სავსე დღეებით, მათი განსაცდელებით, სისუსტეებითა თუ დიდსულოვნებით. არქივის № 6 ფონდში სწორედ ამ ადამიანებზე დაკვირვებით, მათი „მოსმენით“ მოვახერხე შიშის დინამიკაზე თვალმიდევნება. სწორედ ამ რეპრესირებული ადამიანების წყალობით დაიხატა ის თავდაპირველი ილუზიები, რომლებიც მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ საუკუნის დასაწყისში, ხოლო რევოლუციის შემდგომმა პერიოდმა, განსაკუთრებით კი საქართველოს თავისუფლების დაკარგვის შემდგომმა პერიოდმა, თანდათან, ნელ-ნელა, ზოგისთვის დროებით, ზოგისთვის კი სამუდამოდ დაასამარა ნანატრი თავისუფლების იდეა.

არქივის შესწავლამ და არქივზე მუშაობამ გვაჩვენა, რომ შიშის ფორმა და ხარისხი თავდაპირველ ეტაპზე უაღრესად მქრქალია, ნაივურია, გულუბრყვილოა. ეს შესანიშნავად ჩანს 1922 წლის 24 მაისის გამოსვლების შემდეგ დაპატიმრებულ დემონსტრანტთა ჩვენებებში, როგორც ინტონაციურად, ისე შინაარსობრივად. დაკითხვაზე დემონსტრანტები პირდაპირ აღიარებენ, რომ 24 მაისს უყურებენ, როგორც „დამოუკიდებელი საქართველოს დღესასწაულს“*.

განსაკუთრებული გულუბრყვილობით გამოირჩევიან პატიმართა ჭირისუფლები: მშობლები, მეუღლეები, რომელთაც ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ, თუ რამდენად სერიოზულია ის ბრალდებები, რომელთა გამოც მათი ახლობლები ციხეებში არიან გამომწყვდეულნი. ხშირად გვხვდება კლასიკური მაგალითები ე.წ. თავის მოკატუნებისა, როცა განცხადებაში ახლობლები უაღრესად კოლორიტულად მოითხოვენ, დაუთმონ და შინ გაატანონ შვილები და მათ მაგიერ პირობას დებენ, რომ ამიერიდან ისინი მთელი გულითა და სულით ჩაებმებიან ახალი ხელისუფლების მიერ წამოწყებულ ქვეყნის აღმშენებლობის ფერხულში.

გულახდილობის ხარისხი მეტია. შიშის ფაქტორი ჯერ ისე არ არის გაძლიერებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამას განაპირობებს ე.წ. „გადაბირებაზე“ მუშაობა და გასაბჭოების პირველ ეტაპზე ახალი რეჟიმის ერთგვარი „ლმობიერება“. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ პიროვნებას უმტკიცდება საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდა, მაგრამ რადგან პიროვნება პროლეტარია – მუშაა, რადგან უსწავლელი და გაუნათლებელია, 36 წლისაა და დაოჯახებულია, როგორც, ვთქვათ, ვინმე დიმიტრი ჩუბინიძე, მას ათავისუფლებენ.

სამაგიეროდ, მეტი სიფრთხილით ეკიდებიან ნასწავლ ადამიანებს, ინტელიგენტებს.

აღსანიშნავია, რომ 1923 წლის მიწურულიდან და 1924 წლიდან უკვე იწყება “კლასიკური” რეპრესიები, ნამდვილი ტერორი,

* ფონდი № 6 საარქივო № 22147, საქმე № 22772 , ყუთი № 29 ჭყონია დ. ვ. და სხვ.

ხშირდება დახვრეტები. ასე რომ, ერთბაშად იმსხვრევა წითლების ე.წ. სამართლიანობისა და „ქვეყანაზე ზრუნვის“ მითი და ეს პერიოდი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ბოლშევიზმსა და საბჭოთა რეჟიმზე არაადეკვატური, ილუზორული წარმოსახვის ხანა.

რეპრესიებთან ერთად თანდათან მჟღავნდება ის საბედისწერო თვისებები, რომლებიც კაცის ბუნებაშია დამალული. თანდათან იღება და იხურება არა მხოლოდ ციხეების, ბანაკების, გულაგების, არამედ, პირველ რიგში, ადამიანური სულის ჯურღმულები.

თავის მოგონებებში ვარლამ შალამოვი ერთ ასეთ ანეკდოტს იხსენებს: კაცი წვერის პარსვისას სარკეში რომ იხედება, სარკიდან მომზირალ თავის ორეულს ეუბნება – ჩვენ შორის ერთ-ერთი ჩამშვებია. – ამ ანეკდოტით მთელი ეპოქის სულისკვეთებაა ნაჩვენები. ამით ნათქვამია, რომ 30-იან წლებში ადამიანები არათუ სხვას, საკუთარ თავსაც კი აღარ ენდობოდნენ.

ადამიანური ისტორიები

ჩვენს მშფოთვარე დროში გამოსახულებები უფრო მეტს ამ-ბობენ, ვიდრე ტექსტები; ყალიბი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არსი; მატერიალურს მეტი ფასი აქვს, ვიდრე სულიერს.. თუმცა, მთავარი მაინც ისაა, რომ სიტყვებს ტაბუ არ ადევს და სიმართ-ლის თქმა სიცოცხლის ფასად არ ჯდება.. დღეს რაც გინდა ილა-პარაკე, ამისთვის არავინ დაგსჯის, დაგატუსაღებს, გტანჯავს და გაწამებს (თუმცა, კატეგორიულები მაინც ვერ ვიქნებით). მა-გრამ იყო დრო (და არცთუ შორ წარსულში), როცა სიტყვის გამო სიკვდილს უსჯიდნენ, დევნიდნენ, სახლ-კარს ატოვებინებდნენ, ოჯახს, სამშობლოს აშორებდნენ.. გენიალური ვუდი ალენის თქმით, "ტოტალიტარულ სახელმწიფოში ადამიანი მხოლოდ სტვენის გამო შეიძლება ოცდაათი წლით მოხვდეს შრომა-გამას-წორებელ კოლონიაში. ხოლო თუ თხუთმეტი წლის შემდეგ სტვე-ნას კიდევ არ შეწყვეტს, მას აუცილებლად დახვრეტენ."

ეს ნათქვამი ვინმეს შეიძლება ჰიპერტროფირებული ეჩვენოს, ან კიდევ ავტორის სარკასტულ ხელრთვას დაუკავშიროს, მა-გრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში მცხოვრები ნონკონფორმისტისთვის მას მეტისმეტად რეალისტური ჟღერადობა ექნებოდა. შსს-ს არქი-ვებში დაცული 1921 – 1941 წლების მასალის გაცნობა ნათლად გვარწმუნებს ამ სიტყვების სიმართლეში. საგრანტო პროექტით – "ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე"- გათვალისწინებული ლიტერატურუ-ლი პერსონების საქმეთა მოძიება-შესწავლისას უამრავი ისეთი ფაქტი, შემთხვევა გამომზეურდა, რომელთა ყურადღების მიღმა დატოვება ვერაფრით შევძელით. ეს იმ ადამიანების ისტორიე-ბია, ჩვენი თანამოქალაქეებისა, რომელთაც ვერ იგუეს საბჭოთა სისტემის იდეოლოგიური წნეხი, არ აღიარეს ანტიჰუმანური იდეები, ბოლშევიკური რეჟიმი რომ ქადაგებდა. მათი საქმეები ერთ დიდ საქაღალდედ შევკარით და უბრალოდ, მაგრამ მრავ-ლისმთქმელად, "ადამიანური ისტორიები" ვუწოდეთ.

ინტელექტუალური ტერორის მსხვერპლთა საქმეების გვერდით ამ ისტორიების გამოქვეყნება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ჭეშმარიტებაში, რომ ტოტალიტარული რეჟიმის მოძულე ვერაფრით შეითვისებს იდეებს, რომლებიც მის შინაგან სტრუქტურას, მსოფლაღქმას ეწინააღმდეგება. კომპრომისი მისთვის სულის დაღუპვის ტოლფასია. ამგვარი ადამიანები, ბუნებით ძლიერნი, გაუტეხელნი, იმთავითვე დიდ პრობლემად ექცა საბჭოთა ხელისუფლებას. მათი საქმეების გაცნობისას გაოცებას ვერ მალავ, როგორი გამბედაობა, სიმტკიცე, სიძლიერე გამოიჩინეს, რომ ისეთ სასტიკ, ყოვლისშემძლე, ყველაფრის შემმუსვრელ, მონოლითურ ძალას შებრძოლებოდნენ, როგორიც ბოლშევიკური მმართველობა იყო.

დახშული სისტემისა და ინდივიდის დაპირისპირების თემა ახალი არაა მსოფლიო სააზროვნო სივრცისთვის. იგი მრავალმხრივ და გამოწვლილვითაა შესწავლილი – შეიძლება ითქვას, არ დარჩენილა შემოქმედებითი, სახელოვნებო სფერო, რომლის წიაღშიც სიღრმისეულად, შთამბეჭდავად არ დამუშავებულიყო ეს პრობლემატიკა. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, თემა თანამედროვე სამყაროშიც ინარჩუნებს აქტუალობას. თუმცა, დაბეჯითებით ვიტყვით, რომ არავის არასდროს ისე ემოციურად, რეალისტურად არ აღუწერია და გადმოუცია სულისშემძვრელი ადამიანური ტრაგედია, როგორადაც ეს ბოლშევიზმის მსხვერპლთა საქმეების გაცნობისას წარმოგვიდგება.

ამ ადამიანთა თავგანწირვამ, მათმა შეუპოვრობამ, სიმამაცემ შთააგონა ათასები – ისინი, ვინც, მიუხედავად ტერორის მასშტაბებისა, ბრძოლას მაინც არ წყვეტდა, რეალობას არ ეგუებოდა და ღიად უპირისპირდებოდა სიკვდილის მანქანას. ჰუმანური იდეალების, ლიბერალური ღირებულებების ერთგული ადამიანები განსაკუთრებული სიმძაფრით გრძნობდნენ მთელ სისასტიკეს, გაუგონარ ძალადობას არსებული ხელისუფლებისა, რომელსაც დავიწყებული ჰქონდა მთავარი, რომ ნებისმიერი სიცოცხლე წმინდაა!

ბევრი რამ იკითხება დაპატიმრებულთა საქმეების გახუნებულ-გაყვითლებული ფურცლებიდან – სისხლით დაწერილი ჩვენებებიდან.. დაკითხვის ოქმებში ჩარჩენილა იმედები, სამუ-

დამოდ დასადგურებული მიუსაფრობა, უნდობლობა, გაწირვა, დასმენა, გაკიცხვა და საყვარელ ადამიანებთან განშორების გაუსაძლისი ტკივილი.. თითო საქმე თითო ბედია – რამდენიმე გვერდზე დატეული სვეუკუღმართი ცხოვრების ქრონოლოგია.. უემოციოდ ვერ გადაფურცლავ, გვერდს ვერ ჩაუვლი, ღალატად მოგეჩვენება, რადგან თითოეული ამბავი თავის მკითხველს, დარდის გამზიარებელს ელის.. ძნელია, ყველას თავი მოუყარო, ერთ წიგნში მოაქციო, ამიტომ ამჯერად მხოლოდ ყველაზე შთამბეჭდავი, ემოციური და გამორჩეული ისტორიები შევარჩიეთ.. ზოგი კურიოზულიცაა, ძნელად თუ დაიჯერებს მკითხველი, მაგრამ სწორედ ეს შემთხვევები ამჟღავნებს სრულად რეჟიმის ბუნებასა და მის გაუგონარ ბოროტებას.

ქვემოთ წარმოდგენილი ამბების წყებაში ერთმანეთს ენაცვლება რეჟიმისგან გაწირულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა ისტორიები. მათ შორისაა: მეცნიერები, პედაგოგები, პარტიული აქტივისტები, მუშები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ჯარისკაცები, სტუდენტები, მოწაფეები, ვაჭრები და უამრავი სხვა. ფაქტობრივად, მზა მასალაა არაერთი ჟანრის ნაწარმოებისთვის, იქნება ეს სულისშემძვრელი მელოდრამა, ყველაზე ჩახლართული დეტექტივი თუ ავანტიურისტული რომანის სიუჟეტი.. დღეს, როცა ორიგინალური ნაწარმოებების ასეთი დეფიციტია, როცა სახელოვნებო სფერო მუდმივად ერთსა და იმავეს დასტრიალებს თავს და თითიდან გამოწოვილი, დაშტამპული თემატიკით გადის ფონს, ვფიქრობთ, ამ მასალის გაცნობა, მისი შესწავლა – დამუშავება დიდად წაადგება ამ სფეროს წარმომადგენელთ ღირებული და საინტერესო პროდუქციის შექმნაში.

“ადამიანურ ისტორიებში”, ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა გვერდით, გაეცნობით ჩვეულებრივი მოქალაქეების საქმეებსაც. ასე მაგალითად: მეარღნის ამბავს, რომელიც ხელისუფლების საწინააღმდეგო ბილწი შაირობის გამო დააპატიმრეს; ქალის წინდებით მოვაჭრეს, რომელმაც სტალინის სახელი ახსენა უდიერად; ჯარისკაცს, რომელმაც ქაღალდისგან სვასტიკები გამოჭრა და წააწერა: “ძირს სსრკ!”; პარტიულ აქტივისტს, რომელსაც გულის ჯიბეში ხელით ნახატი ნოე ჟორდანიას პორტრეტი აღმოუჩინეს; სტუდენტს, რომელიც

ანტისახელისუფლებო პროკლამაციებს ავრცელებდა; რეჟიმისგან გაწირულ მაღალჩინოსანს, რომელსაც ლავრენტი ბერიასთვის მოწამლული ღვინის შეგზავნა დააბრალეს და ა.შ. განსასჯელთა საქმეებში ინახება დაპატიმრებისას ჩამორთმეული ნივთები: დამოუკიდებლობის წლების გაზეთების ფურცლები და ცალკეული ნომრები, ფოტოები, სოციალ-დემოკრატი ლიდერებისადმი მიძღვნილი ლექსები, უბის წიგნაკები, პირადი წერილები, დოკუმენტები, კომუნალური გადასახადების ქვითრები, პირადი მოხმარების საგნები და სხვ. ეს ნივთები ზოგჯერ იმაზე მეტს ყვებიან მფლობელებზე, ვიდრე ოფიციალური ინფორმაცია გვეუბნება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გასაბჭოების პირველ წლებში ბოლშევიკური მართლმსაჯულება პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გაცილებით ლოიალური იყო, ვიდრე მომდევნო ეტაპებზე. 20-იანი წლების დასაწყისის დაკითხვის ოქმებიდანაც ირკვევა, რომ იმ პერიოდში ჯერ კიდევ იყო შესაძლებელი აზრის დაუფარავად გამოხატვა. სასჯელის ზომაც შედარებით მსუბუქია. თუმცა, მომდევნო წლებში სასჯელი არამართლზომიერად იზრდება და არა მხოლოდ იდეოლოგიურად მიუღებელ პირთა მიმართ, არამედ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებებთან და წვრილმან შემთხვევებთან დაკავშირებითაც. მოგვიანებით ეს პირები ხელახლა მოხვდნენ საპყრობილეში და უმკაცრესად გასამართლდნენ.

”ადამიანური ისტორიების” გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ იმ რთულ დროში, როდესაც ადამიანები ერთმანეთს აღარ ენდობოდნენ, სისტემა კი ყოველ ღონეს ხმარობდა, სხვაგვარად მოფიქრალი ამოეცნო და გაენადგურებინა, ნონკონფორმისტი მოქალაქეები საკუთარი კეთილდღეობისა და სიცოცხლის ფასად იბრძოდნენ მოძალადე ხელისუფლების წინააღმდეგ და ზნეობრივი გმირობის მაგალითს იძლეოდნენ. მართალია, ასეთი მძლავრი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში ინდივიდის მარცხი გარდაუვალია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სწორედ ღირსეულ თვისტომთა ამგვარი შეუპოვრობით, თავგანწირული სულისკვეთებით შთაგონებულმა კაცობრიობის

საუკეთესო ნაწილმა გამოუტანა განაჩენი ყველა იმ ძალმომრეობით რეჟიმს, რომელთათვისაც ადამიანის სიცოცხლე ღირებულებას არ წარმოადგენდა.

"ადამიანური ისტორიების" გმირთა დაკითხვის ოქმებსა და ჩვენებებზე დაყრდნობით, იდეოლოგიური დიქტატის პირობებში პიროვნული და ინტელექტუალური თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევათა ანალიზით საშუალება გვეძლევა, აღვადგინოთ ავბედითი ეპოქის პირუთვნელი სურათი; დავაკვირდეთ ემპირიულ დროში მიმდინარე ცვლილებებს; დეტალიდან მთელი ვჭვრიტოთ. დოკუმენტური ნარატივის თავისებურებათა წარმოჩენით გამოვკვეთოთ იმ პერიოდის საზოგადოების პრობლემატიკა და განვსაზღვროთ ბოლშევიკური ტერორის ხასიათი და მასშტაბები.

მანანა შამილიშვილი

ლევან რაზიკაშვილი

ლევან რაზიკაშვილი – ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟი, სახელოვანი მამის ღირსეული მემკვიდრე – 1887 წელს დაიბადა. მან თბილისის ქართული გიმნაზია დაამთავრა, სადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად სწავლობდა. ქაქუცასთან უღალატო მეგობრობამ და ეროვნული იდეალების ერთგულებამ ლევან რაზიკაშვილი XX ს-ის 20-იანი წლების დაუნდობელი ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლად აქცია, მანამდე კი გიმნაზია-დამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდა ჩარგალში, მამისეულ სახლში, დაბრუნებულა და, როგორც ჩანს, ამაოდ უოცნებია სწავლის გაგრძელებასა და პრაქტიკული ცოდნის სრულყოფაზე. შემონახულია ვაჟას 1910 წლის 5 ნოემბრით დათარიღებული წერილი, რომელიც შვილის მდგომარეობით შეწუხებულ პოეტს ნიკო ცხვედაძისათვის გაუგზავნია: „შეუძლებელს მე არაფერს ვთხოულობ. პირადად ჩემი თავი ჯანდაბას, ხოლო ჩემმა შვილმა რა დააშავა, რომ როგორც მისი მამაა გარიყული და მივიწყებული, ჩემ შვილსაც ასე გულგრილად ეპყრობა საზოგადოება, ნორჩ, ახალგაზრდა კაცს, რომელსაც სწავლა-განათლება ეჭირება, რომელიც შეიძლება ფრიად სასარგებლო კაცი დადგეს. ჩემმა შვილმა, როგორც სხვა ათასმა, მოწმობით დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზია და უსახსრობის გამო ორი წელიწადია, შინა მყავს სოფელში და ლამის, რაც უსწავლია, ისიც დაივიწყოს... მოგმართავთ თქვენ, როგორც

პატიოსან ქართველ კაცს, უანგარო მუშაკს, და გთხოვ, რომ როგორმე გამგემ სარაჯიშვილის სტიპენდიებისა, დაუნიშნოს ჩემ შვილს სტიპენდია, რომ გავგზავნო სწავლის გასაგრძელებლად ყირიმში ან სხვაგან სადმე, რათა ეს ცოდნა გაავრცელოს თავის თანამოძმეთა შორის. იმედი მაქვს, ჩემს თხოვნას არ დაწიხლავთ და არც მე დამგმობთ ამგვარი თხოვნისთვის“ (ხორნაული 2008: 270-271).

თხოვნისთვის ვაჟა-ფშაველა, ალბათ, არ დაუგმიათ, მაგრამ ფაქტია, არც მისი სურვილი აუსრულებიათ – ლევან რაზიკაშვილს სწავლისთვის სტიპენდია არ მიუღია და იძულებული გამხდარა, სამსახური ეძებნა. 1914 წელს მას ქ. გორის ლაზარეთის ცენტრალური კანცელარიის მდივნად დაუწყია მუშაობა, 1917 წლიდან კი ჩარგალში დაბრუნებულა: ჯერ უფროს მილიციელად უმსახურია, შემდეგ მაღაროსკარის საზოგადოებრივი კომისარი ყოფილა, ბოლოს კი, დაპატიმრებამდე – ფშავის მილიციის უფროსი.

პატიმრის ანკეტიდან:*

სახელი, გვარი: რაზიკაშვილი ლევან ლუკას ძე.

მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე.

ჩაწერის ადგილი: თბილისის გუბერნია, თიანეთის მაზრა, მაღაროსკარის თემის სოფ. ჩარგალი.

ასაკი: 35 წლის.

განათლება: დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია.

პარტიულობა: სკოლის მერხიდან საქართველოს გასაბჭოებამდე სოციალ-ფედერალისტი.

პროფესია: მიწათმოქმედი.

სამუშაო ადგილი 1917 წლამდე და შემდგომ: 1914 წლიდან 1917 წლის მარტამდე გორის ლაზარეთის ცენტრალური კანცელარიის უფროსი; 1918 წ. 18 სექტემბრამდე – უფროსი მილიციელი; 18 სექტემბრიდან გადატრიალებამდე – მაღაროსკარის საზოგადოებრივი კომისარი; გადატრიალებიდან დღემდე – ფშავის რაიონული მილიციის უფროსი.

* 122905-61. ფ. 5. საარქ.№ 12370

უძრავი ქონება: მიწა ჩარგალში.
ნასამართლეობა: პასუხისგებში მიცემული არ ყოფილა.
დაპატიმრების დრო: 1922 წლის 30 სექტემბერი.

ეს ანკეტა ლევან რაზიკაშვილს რუსულ ენაზე საკუთარი ხელით შეუვსია 1922 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს საგანგებო კომისიის ციხეში, რასაც ადასტურებს პატიმრის ხელმოწერა, თარიღი და ადმინისტრაციის მიერ მითითებული საპატიმრო ადგილი. ამავე ანკეტაში, საგანგებოდ გამოყოფილ გრაფებში, ლევან რაზიკაშვილი აღნიშნავს, რომ ამ დრომდე დაკითხული არ ყოფილა და არც ბრალდება წარუდგენიათ, ხოლო დაპატიმრების ადგილისა და ვითარების შესახებ წერს, რომ სამსახურეობრივი საქმეების გამო იმყოფებოდა თიანეთში, სადაც ამხ. იოვიძის ბრძანებით დააკავეს. როგორც ჩანს, კიდევ რაღაცის დაწერას აპირებდა, მაგრამ გადაუშლია. იმ ფაქტს, რომ ლევან რაზიკაშვილი დაპატიმრებისთანავე არ დაუკითხავთ, საარქივო მასალის შესწავლისას ყურადღება მიაქცია გ. ციციშვილმაც. მისი თქმით, ცხადია, რომ ლევანის დაპატიმრების საკითხი ჯერ სიტყვიერად გადაწყვეტილა, შემდეგ კი იურიდიულად გაფორმებულა, რაც იმდროინდელი საბჭოთა ძალოვანი უწყებებისათვის დამახასიათებელი პრაქტიკა იყო (ციციშვილი 2001: 14).

პატიმარ ლევან რაზიკაშვილის საქმე, რომელიც 47 ფურცელს (62 დაწერილ გვერდს) მოიცავს, იწყება თიანეთის მაზრის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს ბლანკზე განთავსებული 1922 წლის 9 ოქტომბრის ოფიციალური მიწერილობით საქართველოს საგანგებო კომისიისადმი: „თანახმად თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის განკარგულებისა 7 ოქტომბრით ა/წ.... იგზავნება თქვენს განკარგულებაში პატიმარი ყოფილი ფშავის რაიონის მილიციის უფროსი ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი, რომელიც დაპატიმრებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. იოვიძის პირადი განკარგულებით სხვადასხვა ბოროტმოქმედებაზე და ირიცხება მათზე“*. როგორც ჩანს, იოვიძის ზეპირი განკარგულება

* 122905-61. ფ. 1. საარქ. № 12370

(პატიმრის საქმეში ის წარმოდგენილი არ არის) თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის ასევე ზეპირ განმარტებას დაფუძნებია, ვინაიდან ლევან რაზიკაშვილის დაპატიმრებიდან ერთი თვის შემდეგაც კი გამოძიებას მისი ბრალეულობის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთები ხელთ არ ჰქონია. საქმეში დევს 1922 წლის 1 და 3 ნოემბრით დათარიღებული ორი ხელნაწერი დეპეშა: ერთი თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის, ხოლო მეორე შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის სახელზე*, რომლებშიც საგანგებო კომისია ითხოვს, სასწრაფოდ გადმოუგზავნონ საბრალდებო მასალები პატიმარ ლევან რაზიკაშვილის შესახებ. ამის პასუხად 8 ნოემბერს, გრიფით „სრულიად საიდუმლო“, საქართველოს რესპუბლიკის მილიციის პოლიტიკური სამდივნოს უფროსს, რომლის ხელმოწერა არ ირჩევა, საგანგებო კომისიისთვის გაუგზავნია მოხსენებითი ბარათი (8.11.1922), რომლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი დამწერი სწორედ ზემოხსენებული ამხ. იოვიძე უნდა იყოს (ხორნაული 2008: 293).** ბარათში მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზების საქმესთან დაკავშირებით მისი ხევსურეთში ყოფნისას თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სურგულაძემ სიტყვიერად მოახსენა, რომ მაღაროსკარის რაიონის მილიციის უფროსი რაზიკაშვილი დაკავშირებული იყო ბანდიტ ქ. ჩოლოყაშვილთან და მილიციის ბრძოლაში დასახელებული ბანდიტის წინააღმდეგ გამოავლინა სრული უმოქმედობა, თანაგრძნობაც კი ბანდიტების მიმართ, უწოდა რა თავის თავს ნაციონალ-დემოკრატი. ფშავ-ხევსურეთში ჩოლოყაშვილის რაზმის წინააღმდეგ წარმოებული ოპერაციის დროს ის თვითნებურად წავიდა სამსახურიდან, რის გამოც, მოხსენებითი ბარათის ავტორის თქმით, მან გასცა რაზიკაშვილის დაპატიმრებისა და მთელი საბრალდებო დოკუმენტებით მისი საქართველოს საგანგებო კომისიაში გაგზავნის განკარგულება. აღნიშნულ ბარათთან ერთად საქმეში წარმოდგენილ-

* 122905-61. ფ. 15-16. საარქ. № 12370
** 122905-61. ფ. 17. საარქ. № 12370

ია თიანეთის მაზრის პოლიტბიუროს ბლანკზე განთავსებული მიწერილობა საგანგებო კომისიისადმი (9.11.1922), რომელსაც ერთვის თიანეთის მაზრის აღმასკომის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარის, სერგო სურგულაძის, ჩვენება (6.11.1922).* ამ ჩვენების თანახმად, სახკომსაბჭოს სამეულის 1922 წლის 26 აგვისტოს ბრძანებით, სურგულაძეს მიუღია დავალება, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გზა გადაეჭრა ხევსურეთისკენ უკან დახეული ბანდებისათვის. ამის გამო იგი 12 ამხანაგით (მილიციელით) ორწყალისაკენ გამგზავრებულა. სანამ არტაანთან მივიდოდნენ, მას რაზიკაშვილთან ორი მილიციელი გაუგზავნია, რათა ის თავისი თანამშრომლებით შუაფხოში შეხვედროდა. სურგულაძის თქმით, მას რაზიკაშვილი გაუფრთხილებია, არ წამოსულიყო მდინარე არაგვით, რადგან ბანდიტები სწორედ არაგვის ხეობით იხევდნენ, და შემოვლითი გზით, მთებით, გადმოსულიყო, თუმცა რაზიკაშვილს მისთვის არ დაუჯერებია, არაგვით წამოსულა და სოფელ ხომისძირში გადაჰყრია კიდეც ჩოლოყაშვილის ბანდას. სურგულაძის გაგზავნილი მილიციელებიდან ერთი მოუკლავთ, მეორე განუიარაღებიათ, ხოლო ლევანი თავისი მილიციელებიანად ტყვედ დანებებულა. ამის მიუხედავად, სურგულაძის მცდელობით, ორწყალში ჩოლოყაშვილის რაზმი ალყაში მოუქცევიათ, თუმცა ასეთ ვითარებაში თვით ჩოლოყაშვილი გამქრალა. როგორც შემდგომ გაირკვა, რაზიკაშვილს ორი კაცის თანხლებით იგი ჩარგალზე გავლით არტაანის თემიდან პანკისის ხეობაში გადაუცილებია. როგორც იოვიძის განმარტებიდან და სურგულაძის ჩვენებიდან ნათლად ჩანს, ლევან რაზიკაშვილის დაპატიმრების მიზეზი ქაქუჩა ჩოლოყაშვილთან მისი კავშირი და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა მეთაურის ხელშეწყობა იყო. მართალია, შესაძლებელია, ს. სურგულაძე თავისი უნიათობის დასაფარავად და თავის სამართლებლად ერთგვარად ამწვავებდეს ვითარებას და პარტიული დავალების შეუსრულებლობის გამო მთელ ბრალს ფშავის მილიციის უფროსს ჰკიდებდეს, როგორც ვარაუდობს გ. ციციშვილი (ციციშვილი 2001: 24), მაგრამ თვით დაპატიმრებული ლე-

* 122905-61. ფ. 19. საარქ.№12370

ვან რაზიკაშვილის დაკითხვის ოქმიდან ცხადად ჩანს, რომ მას ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ სამსახურეობრივი მოვალეობა არ შეუსრულებია და მეტიც – აშკარად დახმარებია გიმნაზიელ მეგობარს, რაც არ უნდა ცდილობდეს იგი ამის უარყოფას გამომძიებელ ხოჯევანოვის წინაშე.

პატიმრის ჩვენებიდან(31.10.1922):*

თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. სურგულაძემ, წერილით მაცნობა, რომ ჩოლოყაშვილი გაემართა არაგვის ხეობისკენ. ამის გამო ის ჩემგან ითხოვდა ზომების მიღებას, მილიციელთა მობილიზებას და მასთან შეერთებას დათქმულ ადგილზე. მე ბრძანება მიღებისთანავე შევასრულე და თან წავიყვანე ის მილიციელებიც, რომლებიც გამომიგზავნა, მაგრამ გზად ღამის სიბნელის, სახიფათო გზისა და დაღლილობის გამო შეყოვნება მოგვიწია. გამთენიისას, როცა გასამგზავრებლად მოვემზადეთ, გაირკვა, რომ ჩოლოყაშვილის რაზმის ალყაში ვიყავით. სროლის შედეგად მოკლეს ერთი მილიციელი... სხვები პანიკამ მოიცვა. ვფიქრობდით, ტყისთვის შეგვეფარებინა თავი, მაგრამ ჩოლოყაშვილის ბანდიტები მოულოდნელად დაგვადგნენ თავს და იარაღის მუქარით ჩვენი განიარაღება მოითხოვეს. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით; შეწინააღმდეგებას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ დავემორჩილეთ და იარაღი დავყარეთ. მათ ჩვენსავე ცხენებზე შეგვსვეს და მდინარეზე გადაგვიყვანეს. იქ 25 შეიარაღებულ ბანდიტთან ერთად ტყიდან ჩვენკენ გამოემართა თვითონ ჩოლოყაშვილი, რომელიც მომიახლოვდა, მომესალმა და მკითხა: ვერ მცნობ? მე მასთან ერთად ვსწავლობდი გიმნაზიაში და იქიდან ვიცნობდი; ასევე, შევხვდი 1915 წელს მამაჩემის, ვაჟა-ფშაველას, დაკრძალვაზე. შემდეგ მან წაგვიყვანა ორწყალში, ხევსურეთისა და ფშავის საზღვარზე, სადაც იყო დაბანაკებული... ის ცდილობდა, დავეთანხმებინე მასთან დარჩენაზე, გავყოლოდი ხევსურეთში, იქიდან – დარიალის ხეობაში, შემდეგ კი – კახეთში ან ჩეჩნეთში. მე, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდი. ორი დღის შემდეგ ჩოლოყაშვილმა გამიშ-

* 122905-61. ფ. 12-14. საარქ. № 12370 (იბეჭდება შემოკლებით).

ვა იმ დათქმით, რომ მეორე დღეს შევუერთდებოდი ხევსურეთში, მაგრამ მე მასთან აღარ დავბრუნებულვარ. მომხდარის შესახებ უმალ შევატყობინე როგორც თიანეთის მაზრის მილიციას, ისე აღმასკომის თავმჯდომარეს. ვუცდიდი დამხმარე ჯარს ან რაიმე განკარგულებას. 4 დღის შემდეგ მივიღე წერილი ამხ. აღნიაშვილისა და დიდებულიძისგან, რომლებიც მთხოვდნენ მათთან სოფ. მაღაროსკარში ჩასვლას, მაგრამ ვინაიდან ეს იმ დროს შეუძლებელი იყო, საპასუხო წერილი ქალის ხელით გავგზავნე. მან ვერ ნახა დიდებულიძე, რომელიც დუშეთში გამგზავრებულიყო და წერილი უკან დამიბრუნა. შემდეგ მომეცა შესაძლებლობა, სამსახურეობრივი საქმის გამო თიანეთში ჩავსულიყავი, სადაც, ტელეფონოგრამის თანახმად, დამაპატიმრეს და საქართველოს საგანგებო კომისიაში გამომგზავნეს“.

ამავე (პირველი) დაკითხვის ოქმში გამომძიებელი ხოჯევანოვი პატიმარს ეკითხება, აღიარებს თუ არა იგი თავს დამნაშავედ იმის გამო, რომ, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი, არ უნდა დამორჩილებოდა აჯანყებულთა რაიმე ბრძანებას, არამედ უნდა დაკავშირებოდა უმაღლეს ორგანოს და პირადად გაეცნო მდგომარეობა, რაც არ გაუკეთებია მომხდარი მოვლენებიდან 14 დღის განმავლობაში. ლევან რაზიკაშვილი ეთანხმება წარმოდგენილ ბრალდებებს, რასაც ხელმოწერით ადასტურებს.

როგორც ვხედავთ, გამომძიებლის მიერ ფორმულირებული დანაშაულებანი მძიმეა, მაგრამ არც იმდენად, რომ პატიმარს სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯოს. აშკარად ჩანს, გამოძიების მიზანი ლევან რაზიკაშვილისათვის ბრალის დამძიმებაა, ამიტომ საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე 20 ნოემბერს თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს ახალ დეპეშას უგზავნის: „***ხელმეორედ გთხოვთ***, სასწრაფოდ გამოგზავნოთ თქვენი 7 ოქტომბრის განკარგულების თანახმად დაპატიმრებულ ფშავის რაიმილიციის უფროს ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილთან დაკავშირებით არსებული საბრალდებო მასალები“*.

---

* 122905-61. ფ. 21. საარქ. №12370

1922 წელს, პირველი განაჩენის გამოტანამდე, ლევან რაზიკაშვილი კიდევ ორჯერ დაუკითხავთ – 23 ნოემბერსა* და 2 დეკემბერს**. სრულიად აშკარაა, რომ გამომძიებელ ხოჯევანოვის შეკითხვები თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის – ს. სურგულაძის – ზემოხსენებულ ჩვენებას ეყრდნობა. მიუხედავად იმისა, რომ ლ. რაზიკაშვილი გაბედულად (და ალბათ გულწრფელად) ცდილობს, უარყოს ზოგიერთი რამ, რაც ს. სურგულაძის მონათხრობიდან სიმართლეს არ შეესაბამება, ამავე დროს, იძულებული ხდება, რამდენიმე ისეთ ფაქტს დაეთანხმოს, როგორებიცაა, მაგალითად, ის, რომ ორწყალიდან წამოსვლის შემდეგ ის კვლავ შეხვდა ქ. ჩოლოყაშვილს, რომელმაც უსაყვედურა ხევსურეთში ჩაუსვლელობის გამო და გაიყოლა ჩარგლამდე; აგრეთვე, ქ. ჩოლოყაშვილმა დაავალა მას ფშავში შეიარაღებული აჯანყების მომზადება, რის შესახებაც არ უცნობებია შესაბამისი სამსახურებისათვის და ა. შ. გამომძიებლის მოთხოვნის შესაბამისად, ლ. რაზიკაშვილი აღიარებს, რომ ის ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის აქტიური წევრი იყო, თუმცა იქვე დასძენს, რომ არ თანაუგრძნობდა ბანდიტებს და შეცდომა მხოლოდ შიშის გამო დაუშვა: თავის დროზე არ გამოცხადდა ქ. ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციაში მონაწილე ჯარების ხელმძღვანელობასთან.

ამგვარი აღიარება, როგორც ჩანს, საკმარისი აღმოჩნდა გამოძიებისათვის, რათა ლევან რაზიკაშვილისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა – მიესაჯათ. საქმეში დევს 1922 წლის 3-5 დეკემბრით დათარიღებული ***ამონაწერი საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის სხდომის ოქმიდან:*** „ჩაითვალოს დამტკიცებულად რაზიკაშვილის დანაშაულის ფაქტი იმასთან დაკაკავშირებით, რომ იგი შეგნებულად ეხმარებოდა ჩოლოყაშვილის ბანდას და, სარგებლობდა რა თანამდებობითა და მდგომარეობით ფშაველთა შორის, ყოველგვარად არღვევდა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს. როგორც შეურიგებელი მტრისა და ჩოლოყაშვილის აქტიური აგენტის მიმართ, გამოყენებულ იქნას სასჯელის უმაღლესი ზომა – დაიხვრიტოს. მოხ-

* 122905-61. ფ. 22-23. საარქ. №12370
** 122905-61. ფ. 24-26. საარქ. №12370

დეს ჩამორთმეულის კონფისკაცია. საქმე შეწყდეს და ჩაბარდეს არქივში.“* მაგრამ ორიოდე დღეში ვითარება მოულოდნელად შეიცვალა. 7 დეკემბერს გამომძიებელმა ხოჯევანოვმა შეადგინა დადგენილება, რომელშიც ის „საჭიროდ ცნობს“, შეჩერდეს ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილის დახვრეტა ჩოლოყაშვილის სხვა მომხრეთა ბრალეულობის დადასტურების მიზნით.** აღნიშნული დადგენილება რამდენიმე ხელმოწერით (მათ შორის, იმჟამად საიდუმლო ოპერატიული ნაწილის უფროსის – ლ. ბერიასი) არის დადასტურებული და ერთვის რეზოლუციები: „შემდგომი გამოძიებისათვის“, „დროებით შეჩერდეს გამორკვევამდე“. ცხადია, ამგვარ გადაწყვეტილებას ხოჯევანოვი დამოუკიდებლად ვერ მიიღებდა და მან „ვიღაცის“ მითითება შეასრულა. ორიოდე კვირის შემდეგ, 20 დეკემბერს, ლევანი კიდევ ერთხელ დაუკითხავთ. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა საქმეში დევს დაკითხვის ამსახველი ორი ოქმი — ერთი ქართულ ენაზე შევსებული, მეორე – მისი რუსული თარგმანი.*** მათი ურთიერთშეჯერება ცხადყოფს, რომ რუსულ ვარიანტში ზოგიერთი რამ შეცვლილია – დაზუსტებით ვერ ვიტყვით, მიზანმიმართულად თუ ენის სათანადოდ არცოდნის გამო; ფაქტია, რომ დაკითხვისას მოხსენიებულ პირთა გვარ-სახელებიც უმრავლეს შემთხვევაში დამახინჯებულია. ამ ოქმში განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ფშაველ-ხევსურთა ეს გვარ-სახელები იქცევს, რადგან ლევანი ამ ადამიანებს ქ. ჩოლოყაშვილთან დაახლოებულ და მუდმივად კავშირში მყოფ პირებად მოიხსენიებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ცდილობს თქვას, რომ ვერ იცნო ან არ იცის გვარი და ა. შ. ეს ვითარება თითქოს ადასტურებს ხოჯევანოვის ზემოხსენებულ დადგენილებაში წარმოდგენილ მიზეზსა თუ ზოგიერთების მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ ლ. რაზიკაშვილის დახვრეტის განაჩენის აღსრულება სხვა მეამბოხე მთიელების გამოვლენის მიზნით გადაიდო, თუმცა, როგორც შენიშნავს გ. ციციშვილი: „ამ ხალხის ქაქუცას მხარეზე ყოფნა მთელმა ფშავ-ხევსურეთმა ისედაც იცოდა, და ამდენად, ლევანის დასახელებას ჩეკასათვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა

* 122905-61. ფ. 36. საარქ.№12370
** 122905-61. ფ. 27. საარქ. №12370
*** 122905-61. ფ. 29-30; 31-32. საარქ. №12370

არ ჰქონდა. ლევანის მიერ ჩამოთვლილთაგან ზოგი ჩეკაში მოხვედრილის საქმის გაცნობა მოგვიხერხდა... მაგრამ მათში ლ. რაზიკაშვილის ჩვენების გამოყენება არსად არ შეგვხვედრია“ (ციციშვილი 2001:45). აღნიშნულ ფაქტს ეხმიანება გ. ხორნაულიც. მისი თქმით, „ლევანი თავიდან არავის ასახელებდა, მაგრამ შემდეგ, ჩანს, დარწმუნდა, რომ ჩეკაში ყველაფერი დაწვრილებით იცოდნენ, დამალვას აზრი არა ჰქონდა და ამიტომ ყველასათვის ცნობილი რამდენიმე პიროვნება დაესახელებინა დაპირებული „შეღავათის“ მისაღებად... ამის გამო ლევანის მიმართ რაიმე სასაყვედურო ფშავ-ხევსურეთში არსად რაიმე გაიგონება. ჩანს მის ღირსებაში მაშინაც და შემდეგაც ეჭვი არავის შეჰპარვია. დამალვით კი არაფერი იმალებოდა“ (ხორნაული 2008: 296-297).

ლევან რაზიკაშვილის დახვრეტის გადავადებასთან დაკავშირებით არსებობს სხვა ვერსიაც, თითქოს განაჩენის აღსრულება ერთგვარად შეაჩერა ქართველი მწერლების შუამდგომლობამ. საქმეში მართლაც დევს ***სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს 1922 წლის 20 დეკემბრის მიმართვა სსსრ საგანგებო კომისიისადმი***, რომელსაც ხელს აწერენ მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე კ. მაყაშვილი და მდივანი მიხ. ბოჭორიშვილი: „ცნობილი ქართველ პოეტის ვაჟა ფშაველას შვილი ლევან რაზიკაშვილი ოთხი თვეა რაც ზის ქ. ტფილისის 2 გამასწორებელ სახლში. ვაჟა ფშაველას დარჩა ოჯახი შემდგარი ხუთი სულისაგან, აგრეთვე თვით ლევან რაზიკაშვილის ოჯახიც შესდგება სამი სულისაგან და მთელ ოჯახზე მზრუნველობა აწევს მას. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო იმედოვნებს, რომ საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია მიიღებს მხედველობაში ყოველივე ზემოაღნიშნულს, პატივს სცემს საქართველოს სიამაყეს პოეტ ვაჟა ფშაველას ხსოვნას და დააჩქარებს რა ლევან რაზიკაშვილის საქმის გარჩევას, გაანთავისუფლებს მას საპატიმროდან“*. ალბათ ამ მიმართვის ფაქტს ემყარება გადმოცემა, რომ ქართველი მწერლები (ზოგიერთი ცნობით, ა. აბაშელი, შ. დადიანი, პ. ინგოროყვა) პირადად ხლებიან ს. ორჯონიკიძეს და ვაჟა-ფშაველას ვაჟის დანდობა უთხოვიათ, მაგრამ მას როყიოდ უპასუხია: ვაჟას შვილი კი

* 122905-61. ფ. 33. საარქ.№ 12370

არა, თვითონ ვაჟა რომ იყოს ცოცხალი, იმასაც დავხვრეტდიო. რთული სათქმელია, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ხალხში გავრცელებული ეს ამბავი, რადგან მისი დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ არსებობს, თუმცა ცხადია, ასეც რომ ყოფილიყო, ბოლშევიკებისგან ეროვნული ღირებულებებისა და მორალურ-ზნეობრივი კატეგორიების პატივისცემის მოლოდინი ისეთივე გულუბრყვილობა იყო, როგორიც იმედი იმისა, რომ რეჟიმი 56 ფშაველის მიერ ხელმოწერილ ლევან რაზიკაშვილის „სანდოობის“ „მოწმობას“ (11.10.1922)*ან მისი სრულიად ახალგაზრდა, 3 მცირეწლოვანი შვილით უმწეოდ დარჩენილი მეუღლის თხოვნას (19.10.1922)** გაუწევდა ანგარიშს. საქართველოს საგანგებო კომისიაში გულს ვინმეს ვერც ფაქტობრივად უკვე სიკვდილმისჯილი ლევანის წერილი (09.12.1922)*** აუჩუყებდა, რომელშიც ის უფლებამოსილ პირებს სთხოვდა მამამისის, ვაჟა-ფშაველას, ნაწარმოებების მე-2 ტომის გამოსაცემად მომზადებული მასალის მისთვის მიწოდებას, რათა გაესწორებინა ის მრავალრიცხოვანი შეცდომა, რომლებიც დაშვებული იყო ამ ნაწარმოებების დაბეჭდვისას ჟურნალ-გაზეთებში. მაშ, რამ განაპირობა ლევან რაზიკაშვილის დახვრეტის 1922 წლის დეკემბრის დასაწყისში მიღებული დადგენილების შეჩერება? ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა ძნელია. გ. ციციშვილი ვარაუდობს, რომ საგანგებო კომისია თავდაპირველად მაინც ფრთხილობდა, 1923 წლიდან კი უკვე ლ. ბერიას ხელმძღვანელობით პოლიტიკური ტერორი საქართველოში უკიდურესად გამკაცრდა. ვაჟა-ფშაველას შვილიც სამაგალითოდ იმის საჩვენებლად დაისაჯა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დანაშაული არავის ეპატიებოდა (ციციშვილი 2001:42-49).

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის 1923 წლის 14-15 თებერვლის სხდომის დადგენილებაში, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებს ამავე ორგანოს თვე-ნახევრის წინანდელი ზემოთ მოყვანილი დადგენილების ტექსტს, დამატებით აღნიშნულია: „სანქცირებულ იქნას ძველი კოლეგიის 1922 წლის 3/6

* 122905-61. ფ. 9. საარქ. № 12370
** 122905-61. ფ. 8. საარქ. № 12370
*** 122905-61. ფ. 41-42. საარქ. № 12370

დეკემბრის დადგენილება. პატიმარი იმყოფება გამასწორებელ სახლში“.*

განაჩენის აღსრულება ოდნავაც არ დაუყოვნებიათ. საქმეში წარმოდგენილია კომენდანტის მისამართით საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კვანტალიანისა და მდივან მიქელაძის სახელით შედგენილი მიწერილობის ასლი,** რომელიც ადრესატს ავალებს, დაიხვრიტოს გასამართლებული ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი ღამით, 15 თებერვალს. საფუძვლად მითითებულია საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის 1923 წლის 13 (?) თებერვლის დადგენილება. როგორც საქმეშივე არსებული კომენდანტის აქტის ასლიდან ირკვევა, ლევანი 9 სხვა პატიმართან ერთად ღამის 2 საათზე დაუხვრეტიათ, „ყურადღებით დათვალიერების შემდეგ გვამები დაფლულ იქნა დახვრეტის ადგილას.“***

სამწუხაროდ, ლევან რაზიკაშვილის საფლავი, ისევე, როგორც ბოლშევიკური რეპრესიების უამრავი სხვა მსხვერპლისა საქართველოში, უცნობია. არსებობს ცნობა, რომ მოგვიანებით ვიღაც მოხუცს, რომელიც ლევანის დახვრეტაში მონაწილეობდა, გაუხსენებია, რა ვაჟკაცურად, წარბშეუხრელად შეგებებია იგი სიკვდილს; როგორ ეძახდა სასტიკი განაჩენის აღმსრულებლებს სამშობლოს გამყიდველებს, ხალხის მტრებსა და მკვლელებს; სიცოცხლის ბოლო წუთებშიც მისი საფიქრალი საქართველო იყო და სჯეროდა, რომ ის თავისუფლებას აუცილებლად მოიპოვებდა, მომავალი თაობები კი კეთილად გაიხსენებდნენ ქვეყნისთვის შეწირულთ და არასოდეს შეუნდობდნენ მოღალატეებს.

დამოწმებანი:

ხორნაული 2008: ხორნაული, გ. *ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი.* თბილისი: 2008.

ციციშვილი 2001: ციციშვილი, გ. *რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლ. რაზიკაშვილი.* თბილისი: 2001.

* 122905-61. ფ. 37. საარქ. №12370
** 122905-61. ფ. 43. საარქ.№12370
*** 122905-61. ფ. 44. საარქ.№12370

მანანა კვატაია

სანდრო ახმეტელი

1921-1924 წლებში ანტისაბჭოთა არალეგალურ საქმიანობაში მწერლებთან ერთად შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც იყვნენ ჩაბმულნი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რეჟისორ სანდრო ახმეტელის 1922 და 1923 წლის პატიმრობის ამსახველი სისხლის სამართლის საქმეები, რომლებშიც მისი პოლიტიკური ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებია დაცული.

ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელი 1886 წლის 1(14) აპრილს სიღნაღის სოფელ ანაგაში დაიბადა. მამა – ვასილ ახმეტელაშვილი – ანაგის ეკლესიის დიაკვანი იყო. 1900 წელს სანდრო ახმეტელმა სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. ოჯახის განჯაში გადასვლის შემდეგ მომავალი რეჟისორი გახდა მოსწავლე განჯის გიმნაზიისა, საიდანაც თავისუფალი აზროვნების გამო გარიცხეს. იგი აღადგინეს თბილისის გიმნაზიაში, რომლის ინსპექტორიც მაშინ ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

სანდრო ახმეტელი 1905 წელს კვლავ თავისუფალი აზრის გამოხატვისათვის დააპატიმრეს. შემდეგ იგი თელავში გადავიდა, სადაც გაიცნო მწერლისა და პუბლიცისტის, ივანე როსტომაშვილის ქალიშვილი ტასო და 1907 წელს მასზე დაქორწინდა. იმავე წელს წყვილს ვაჟიშვილი – შალვა შეეძინა.

1916 წელს სანდრო ახმეტელმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1910-იანი წლებიდან ის საქართველოს პერიოდულ პრესაში ეროვნული სულისკვეთების პუბლიცისტურ თუ თეატრალურ წერილებს აქვეყნებდა.

1910 წელს ახმეტელმა ქვემო მირზაანში დადგა ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის პიესა „ღალატი“, 1919 წელს – თბილისის საოპერო თეატრში დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. 1920 წელს სანდრო ახმეტელი მიიწვიეს რეჟისორად თბილისის ქართულ თეატრში, სადაც დადგა ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“. 1923 წელს კოტე მარჯანიშვილის მიწვევით მან თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორად დაიწყო მუშაობა. მოგვიანებით იგი გახდა ამ თეატრის მთავარი რეჟისორი, 1926-1935 წლებში – სამხატვრო ხელმძღვანელი.

სანდრო ახმეტელი იყო კოტე მარჯანიშვილის მოწაფე და მისი მრავალი დადგმის თანაავტორი, ასევე მსახიობთა კორპორაცია „დურუჯის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (1924). მისი რეჟისორობით დაიდგა ს. შანშიაშვილის „ანზორი“ (1928), შ. დადიანის „თეთნულდი“ (1931), გრ. რობაქიძის „ლამარა“ (1930) და ა.შ. 1930 წელს მოსკოვში საგასტროლოდ მიწვეული რუსთაველის თეატრი რუსი მაყურებლის წინაშე პიესა „ლამარათი“ წარსდგა. საზოგადოების ყურადღება, დრამატურგიული მასალის რეჟისორული გადაწყვეტის გარდა, მასში ჩადებულმა ეროვნულ-პატრიოტულმა სულისკვეთებამაც მიიპყრო. მიუხედავად ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნისა, ახმეტელმა პიესა რეპერტუარიდან არ მოხსნა. ამავე წელს ბერიას უშუალო ბრძანებით რუსთაველის თეატრი საზღვარგარეთ გასტროლებზე არ გაუშვეს. აგენტთა დასმენებზე აგებული წერილობითი მოხსენებების საფუძველზე ლავრენტი ბერიამ მოგვიანებით „საიდუმლო განცხადება გაუგზავნა საქართველოს ცკ-ის პირველ მდივან შალვა ელიავას, სადაც კორპორაცია „დურუჯი“ გამოყვანილი იყო ნაციონალ-შოვინისტურ, ანტისაბჭოთა ორგანიზაციად და მოითხოვა მისი დახურვა“ (მეგრელიძე 2008: 14). „1934 წლისათვის „დურუჯი“ უკვე ფაშისტურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციად კვალიფიცირდება“ (კიკნაძე 1999: 11).

ცნობილი რეჟისორი პოლიტიკურ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობდა. 1905-1912 წლებში იგი ყოფილა ბოლშევიკთა პარტიის წევრი, 1917 წ. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ხოლო „იმავე წელს ამ პარტიის დამფუძნებელ კრებაზე გათიშვის შემდეგ შეუქმნია რადიკალურ-დემოკრატიული პარტია. 1921 წელს რადიკალურ-დემოკრატიული და ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიები გაერთიანდნენ საქართველოს დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით“ (მეგრელიძე 1992: 47-48).

1922 და 1923 წლებში რეჟისორი არალეგალური საქმიანობისათვის დააპატიმრეს, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალებითაც დასტურდება. 1922 წლის 17 მაისს გაუციათ მისი დაპატიმრების ორდერი, საიდანაც ირკვევა, რომ ახმეტელი 26 მაისის ნავარაუდევ გამოსვლებში მონაწილეობასთან დაკავშირებით დაუკავებიათ*. აქვე დაცულია ნაცრისფერი ქაღალდის მეოთხედზე სანდრო ახმეტელის მიერ ფანქრით რუსულად დაწერილი ბარათი: „ძვირფასო ლადო! მე საქართველოს საგანგებო კომისიის განკარგულებით დამაპატიმრეს. შენი საშა. 17. V. 22“.**

აღნიშნულ საქმეში არსებული რუსულენოვანი დადგენილების მიხედვით, 1922 წლის 15 ივლისს გამომძიებელ ვ. ქავთარაძეს განუხილავს „ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელის (35 წლის, რეჟისორი, უპარტიო) საქმე № 1242, კონტრრევოლუციისა და ჯაშუშობის ბრალდებით“. გამოძიებისა და საქმეში არსებული მასალების შესწავლით ქავთარაძეს მიუთითებია, რომ „აღძრული ბრალდება ფაქტიურად არ მტკიცდება“ და დაუდგენია: „საქმე № 1242 გამოძიებით შეწყდეს და გადაეცეს არქივს. მოქ. ახმეტელისაგან აღებული ხელწერილი გაუქმდეს და ჩამორთმეული ნივთები დაუბრუნდეს“. ცნობაში აღნიშნულია, რომ დაპატიმრებული ს. ახმეტელი, რომელიც იზოლირებული იყო 26 მაისის ნავარაუდევი გამოსვლების გამო, ხელწერილით გაუთავისუფლებიათ.

* ფ. 6, საარქივო № 23311, ტ.2, ყუთი № 55 – ალექსანდრე ახმეტელის საქმე.
** ადრესატის ვინაობა უცნობია.

1923 წლის 8 მაისს სანდრო ახმეტელი უფრო მძიმე მოტივით დაუკავებიათ. მას ამჯერად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობა და „სამხედრო ცენტრთან“ თანამშრომლობა ბრალდებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სანდრო ახმეტელის მეორე სისხლის სამართლის საქმე*. დაპატიმრების ფურცელში (რუსულად) აღნუსხულია ბრალდებულის ანკეტური მონაცემები, აქვე ინახება სანდრო ახმეტელის ხელით რუსულ ენაზე შესრულებული ავტოგრაფი – პიესა „ბერტრან-დე-ბორნის“ მოქმედი პირნი და შემსრულებლები, რომელთა შორის დასახელებულნი არიან რუსთაველის თეატრის მსახიობები: უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, გ. დავითაშვილი, ა. ვასაძე, ა. ხორავა, თ. ჭავჭავაძე, ც. ამირეჯიბი და სხვები. შევნიშნავთ, რომ ს. ახმეტელის „დოკუმენტებისა და ნარკვევების“ სამტომეულის I წიგნში შეტანილ 1923-1924 წლების ერთ-ერთი სარეპეტიციო დღიურში, რომელიც 19 სექტემბრით თარიღდება, ნათქვამია: „რეჟისორ ახმეტელის აზრით, ეს პიესა თავისი ფორმით ყველაზე ძლიერი ექსპრესიონისტული პიესაა... რეჟისორი თვითონ კითხულობს პიესას რუსულ ენაზე. თარგმანი არ არის დასრულებული და შესწორებული. მთარგმნელს ტ. ტაბიძეს უნდა მოეთხოვოს, სასწრაფოდ დაამთავროს ამ პიესის თარგმნა“ (ახმეტელი 1978: 226). აქ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ „ბერტრან-დე-ბორნის“ მთარგმნელი ტიციან ტაბიძე ყოფილა.

დაპატიმრების დღესვე, 1923 წლის 8 მაისს, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის I განყოფილების უფროსის თანაშემწე ზალპერტს განუხილავს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კომენდატურის მიერ დაკავებული მოქალაქე ახმეტელის მიმართ მომზადებული საბრალდებო მასალა და განკარგულება გაუცია: სანდრო ახმეტელი, როგორც ნაციონალ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრი, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ციხეში დაეკავებინათ და მიემაგრებინათ I განყოფილებისათვის.

სანდრო ახმეტელის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია რეჟისორის ჩვენება (რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი),

* ფ.6, საარქივო № 23311, ტ.2, ყუთი № 55.

რომელიც დათარიღებულია 1923 წლის 10 მაისით: „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში არასოდეს ვყოფილვარ. 1912 წლამდე ვიყავი ბოლშევიკი. პარტიაში შევედი 1904 თუ 1905 წელს. პარტიიდან გამოვედი და თავით ფეხებამდე თეატრში გადავეშვი. 1917 თუ 1918 წლის დასაწყისში ვიყავი ქიზიყის (ადგილი სიღნაღის მაზრაში) წარმომადგენელი. ადგილობრივმა ინტელიგენციამ „რადიკალ-დემოკრატების გლეხური პარტია“ დააარსა. დამფუძნებელ კრებაში არჩევნების შემდეგ ეს პარტია დაიშალა. მე ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შევდიოდი. „რადიკალ-დემოკრატების გლეხური პარტია“ იდგა საქართველოს დამოუკიდებლობისა და მთელი მიწის გლეხებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის ნიადაგზე. მოსახლეობის სხვა ფენებს მიწა მიეცემოდათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიწას ამუშავებდნენ. მიწის საკითხთან დაკავშირებით ვებრძოდით მენშევიკებს ნორმების გამო და ნაციონალ-დემოკრატებს, როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. პარტიის დაშლის შემდეგ მე არცერთ პარტიაში არ შევსულვარ“.*

ამავე ჩვენებაში სანდრო ახმეტელი უარყოფს მიხეილ ჯავახიშვილისა და სერგი დანელიას ჩვენებებს დიმიტრი ჯავახიშვილის ბინაზე მის ყოფნასთან და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მის არჩევასთან დაკავშირებით. აქვე ბრალდებული განმარტავს: „ვფიქრობ, რომ ჩემი შეყვანა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოხდა იმიტომ, რომ მე ჩემს ქვეყანაში პოპულარული ადამიანი ვარ და ამით მოსახლეობის ყურადღებას დაიმსახურებდნენ“. ჩვენებაში ს. ახმეტელი მიუთითებს: „ჰკითხეთ ეროვნულ-დემოკრატებს, რა სამუშაოს ვასრულებდი. ს. დანელიას შორიდან ვიცნობ, მიხ. ჯავახიშვილს ვიცნობ, როგორც ლიტერატორს. პირადად შევხვედრივარ „ხელოვნების სახლში“, დიმ. ჯავახიშვილის ბინაზე არ ვყოფილვარ“.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის რწმუნებულ პეტროსიანს 1923 წლის 15 მაისის დადგენილებაში აღუნიშნავს, რომ განიხილა საქმეები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შემდეგი წევრებისა: „1. სერგი იოსების ძე დანელიასი, 34 წლის,

* ფ.6, საარქივო № 23311, ტ.2, ყუთი 55.

2. დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილისა, 40 წლის, 3. მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილისა, 43 წლის, 4. ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელისა, 36 წლის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით შეიარაღებული აჯანყების, ბანდიტური ჯგუფებისა სხვა დანაშაულობათა ორგანიზების ბრალდებით". ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოგილევსკის განკარგულებით, ყველა ზემოხსენებული საქმე შესასწავლად საქართველოს საგანგებო კომისიისათვის გადაუციათ.

1923 წლის 3 აგვისტოს დადგენილებიდან ცნობილი ხდება გამოძიების შედეგები. საქართველოს საგანგებო კომისიის რწმუნებულ ნ. ჟაროვს განუხილავს 36 წლის ალექსანდრე ახმეტელის საქმე № 1293, კონტრრევოლუციაში მის მონაწილეობაზე და მიუთითებია საქმის გარემოებები: „საქართველოს მოსახლეობაში ახმეტელის დიდი პოპულარობის გამო ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა არალეგალურმა კომიტეტმა ავტორიტეტისათვის თავის შემადგენლობაში ახმეტელის კოოპტირება* მოახდინა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ა.წ. იანვარში ახმეტელი ესწრებოდა დიმ. ჯავახიშვილის ბინაზე ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის არალეგალურ სხდომას, იცნობდა არალეგალური კომიტეტის მთელ შემადგენლობას და მათი საქმიანობის ნაწილს".

რწმუნებულ ჟაროვს გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ სანდრო ახმეტელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაშლის დეკლარაციაზე მოუწერია ხელი და დაუდგენია: „გამოძიება დამთავრებულად ჩაითვალოს და არქივს ჩაბარდეს. დაპატიმრებული ახმეტელი გათავისუფლდეს. გაჩხრეკისას ჩამორთმეული დოკუმენტები მას დაუბრუნდეს".

მკვლევარ ვასილ კიკნაძეს მოჰყავს ლ. ბერიას მიერ 1930 წელს შედგენილი დოკუმენტი, სადაც მითითებულია: „1923 წელს, „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრების დროს, ახმეტელი მიეცა პასუხისგებაში, როგორც „სამხედრო ცენტრის" აქტიური მონაწილე. 1924 წლიდან ხელმძღვანელობს ანტისაბჭოთა ორგა-

* კოოპტირება – ვისიმე შეყვანა რაიმე არჩევით ორგანოში კოოპტაციის წესით. კოოპტაცია – რაიმე არჩევითი ორგანოს შევსება ახალი წევრებით ამომრჩეველთა დაუკითხავად.

ნიზაცია „დურუჯს“ თეატრის შიგნით“ (კიკნაძე 1999: 6). ვ. კიკნაძე რეპრესირებული რეჟისორის დევნის ჭეშმარიტ მიზეზსაც გამოკვეთს: „სანდრო ახმეტელი თავის ეროვნულ თეატრს იმ წლებში ქმნიდა, როცა შემოქმედებაში გაბატონებულ ადგილს იჭერდა საბჭოური ინტერნაციონალიზმის დოქტრინა... ეროვნულის უზენაესობის აღიარებას მისი თეატრისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა“ (კიკნაძე 1999: 8).

დიდი რეჟისორის ბიოგრაფები იმასაც მიუთითებენ, რომ რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელს – სანდრო ახმეტელსა და წამყვან მსახიობებს, აკაკი ვასაძესა და აკაკი ხორავას შორის დაპირისპირება ხელისუფლებამ ახმეტელის თანამდებობიდან გათავისუფლების საბაბად გამოიყენა.

ახმეტელი სამუშაოდ მოსკოვის „მწვანე თეატრში“ გადავიდა. 1936 წლის 19 ნოემბერს ის სწორედ ამ თეატრში დააკავეს და მოსკოვიდან თბილისში ეტაპით ჩამოიყვანეს. მისი დაპატიმრების ბრძანება 1936 წლის 6 დეკემბერს გაიცა.

დიდხანს გრძელდებოდა სანდრო ახმეტელის წამება. ბერიას მითითებით, დაუძლურებული ახმეტელი მანქანით რუსთაველის პროსპექტზე გაუტარებიათ, რათა ხალხს ენახა, რა ბედი ელოდა „ხალხის მტერს და მავნებელს“.

დაპატიმრებულ რეჟისორს ბრალდებოდა ჯაშუშური საქმიანობა ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ, ასევე, ტროცკისტულ-ზინოვიევური ორგანიზაციის წევრობა, ხელოვნების სფეროში მავნებლური საქმიანობა და თვით სტალინისა და ბერიას ფიზიკური განადგურების განზრახვა. ბრალდების მიხედვით, ახმეტელმა“ შექმნა მეამბოხე სამხედრო დაჯგუფებები ბაქოში, სოხუმში, გროზნოში, სტალინირსა და საქართველოს რიგ რაიონებში. ამ მეამბოხე სამხედრო ჯგუფებში პირადად „გადმოიბირა“ 35 ადამიანი“ (კლდიაშვილი ... 2008: 38). ჩეკისტებმა ახმეტელის მეუღლე – თამარ წულუკიძე-ახმეტელიც დააპატიმრეს.

1937 წლის 28 ივნისს რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ალექსანდრე ახმეტელსა და ამავე თეატრის თანამშრომლებს: პლატონ კორიშელს, ელგუჯა ლორთქიფანიძეს, გია ქანთარიასა და ივანე ლაღიძეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით

მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა (ქონების კონფისკაციით), ხოლო თამარ წულუკიძე-ახმეტელს, ბუჟუჟა შავიშვილსა და ნინო ღვინიაშვილს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სანდრო ახმეტელი დახვრიტეს 1937 წლის 29 ივნისს. გადმოცემის მიხედვით, დახვრეტის წინ დიდი რეჟისორის ერთადერთი სურვილი ყოფილა, მისთვის ქართველს არ ესროლა, რაც შეუსრულებიათ კიდეც. 1956 წლის 11 თებერვალს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, სანდრო ახმეტელი და მისი მეუღლე რეაბილიტირებულნი იქნენ.

დამოწმებანი:

ახმეტელი 1978: ახმეტელი ს. *დოკუმენტები და ნარკვევები* სამ ტომად. წ. 1, თბილისი: საქართველოს თეატრალური საზოგადოება, 1978.

კიკნაძე 1999: კიკნაძე, ვ. *ახმეტელის პოლიტიკური პორტრეტისათვის.* ხელოვნება, № 9. 1999.

კლდიაშვილი ... 2008: კლდიაშვილი გ., ავალიშვილი ლ. *სანდრო ახმეტელის საქმე.* საარქივო მოამბე, № 1 (აპრილი). 2008.

მეგრელიძე 1992: მეგრელიძე, გ. *სანდრო ახმეტელი და ეროვნული მოძრაობა.* თეატრი და ცხოვრება, № 6, 1992.

მეგრელიძე 2008: მეგრელიძე, გ. *რატომ დააჭერინა სანდრო ახმეტელი ლავრენტი ბერიამ?* გუმბათი, № 38. 2008.

მაია ჯალიაშვილი

ბრალად ედება სამშობლოს სიყვარული...

„...წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით,
შემოდიოდა სიკვდილი ცელით...“.
კოლაუ ნადირაძე

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ქართველი ხალხის დაუმორჩილებელი ნაწილი აგრძელებდა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებს: მართავდა მიტინგებს, ავრცელებდა პროკლამაციებს, კვლავაც დღესასწაულობდა 26 მაისს. მიუხედავად სერიოზული საფრთხისა, გამომსვლელნი აფრიალებდნენ საქართველოს დროშებს – ნიშნად დაუმორჩილებლობისა – და შავ ბაირაღებს – ნიშნად გლოვისა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ათასობით დოკუმენტი, რომლებშიც ჩანს, როგორ დევნიდნენ როგორც ამ ღონისძიებებში უშუალოდ მონაწილე, ისე ამ გამოსვლების თანამგრძნობ ადამიანებს. უმნიშვნელო დანაშაული, მაგალითად, ახალი ხელისუფლების უწყინარი კრიტიკა, ისჯებოდა დაპატიმრებითა და სასტიკი წამებით, რომლის შედეგადაც ბრალდებული იძულებული იყო არარსებული დანაშაული ეღიარებინა. დაკითხულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ უშინდებოდნენ შექმნილ ვითარებას და ხმამაღლა ემხრობოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ, თუმცა მათი რიცხვი საკმაოდ მცირე იყო. ბრალდებულნი, ძირითადად, მიესალმებოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგებოდა. ეს მიანიშნებს შიშის, ძალადობისა და უნდობლობის ატმოსფეროზე, რომელიც გამეფებული იყო ახლად გასაბჭოებულ საქართველოში.

დღეს ბევრი რამ იწერება ბოლშევიკური რეჟიმის სისატიკეზე. წარმოდგენილი მასალებიც კიდევ ერთხელ გაგვახსენ-

ებს ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლის ფასად ცდილობდნენ ეროვნული ღირსების დაცვას.

* * *

1922 წლის 23 მაისს დააპატიმრეს **ნიკიფორე იმნაიშვილი** – 34 წლის, სასულიერო წოდებისა, პედაგოგი-ჟურნალისტი, საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტი. 1907-1912 წლებში მუშაობდა გერმანიაში, შემდეგ – მასწავლებლად ხაშურის გიმნაზიაში. 1904 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.*

ფრაგმენტები დაკითხვის ოქმიდან (სტილი დაცულია):

კითხვა: როგორ მიგაჩნიათ 26 მაისის გამოსვლები?

პასუხი: თუკი ის იყო მშვიდობიანი ხასიათის, როგორც დღესასწაული საქართველოს დამოუკიდებლობისა, ვუყურებ დადებითად. თუკი მას ჰქონდა ექსცესების ხასიათი, ვუყურებ უარყოფითად.

კითხვა: რა მონაწილეობა მიგიძღვით თქვენ ეროვნული დღესასწაულის გარშემო მომხდარ გამოსვლებში, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ 23 მაისს?

პასუხი: პირადად მე სრულებით არავითარი.

კითხვა: როგორ უყურებთ საბჭოთა ხელისუფლებას?

პასუხი: პირადად მე ვუყურებ ისე, როგორც ამას უყურებს ს.დ.მ. პარტია, რომელმაც გასულ წელს ლეგალურად გამოსცა თავისი პლატფორმა, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია პარტიის დამოკიდებულება საბჭოთა სისტემისადმი.

კითხვა: აწარმოებდით თუ არა თქვენ არალეგალურად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობას დღიდან თქვენი პარტიის ლეგალური ასპარეზიდან წასვლისა?

პასუხი: არა.

კითხვა: საერთოდ, მუშაობს თუ არა თქვენი პარტია არალეგალურად დღეს საქართველოში?

პასუხი: პირადად მე მგონია, რომ იგი აქტიურ არალეგალურ მუშაობას არ ეწევა. მე ავადმყოფობის გამო მოკლებული ვარ საშუალებას მონაწილეობა მივიღო პარტიულ ცხოვრებაში.

---

* ფონდი 6, საარქივო № 22140, ტ.2, ყუთი 28.

კითხვა: როგორი შეხედულების ხართ იმ გაერთიანებულ ბლოკზე, რომლებიც ყველა ერთად საბჭოთა ხელისუფლებას ებრძვიან?

პასუხი: მე პირადად მომხრე ვარ ყველა სოციალისტური ძალის გაერთიანების საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. რამდენად ისინი ყველა ერთად იცავენ დამოუკიდებლობას როგორც შინაურ, ისე გარეშე იმპერიალისტურ ძალებისგან.

კითხვა: რით, რა გზით აპირებს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ხელისუფლების დაპყრობას?

პასუხი: საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისთვის, რამდენადაც მე მას თანავუგრძნობ, ეს არ არის საკითხი ხელისუფლების დაპყრობის იმდენად, რამდენადაც საქართველოში ყველა სოციალისტური პარტია საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგას. ეს არის საკითხი ამ დამოუკიდებლობის გამაგრების, შეთანხმების გზით, რომელიც უარყოფს ყველანაირ ექსცესის სახის გამოსვლას და სხვ.

კითხვა: როგორ უყურებთ საქართველოში რუსის წითელი არმიის ყოფნას?

პასუხი: როგორც სოციალისტს და საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეს, მე აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს ჰყავდეს თავისი ნაციონალური ჯარი, მოკლებული ყოველგვარ ავანტიურას და თავგანწირული მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის. რუსეთის ჯარის ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე არ ვამართლებ.

ამ საქმესთან დაკავშირებით საბოლოოდ დადგინდა:

„იმნაიშვილ ნიკიფორეს, აქტიურ და გამოჩენილ მენშევიკს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს თავის პარტიულ ამხანაგებში, პირადი დაკითხვისას გამოუვლინდა მავნებლობა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში.

დადგენილება: დაპატიმრებულ და იზოლირებულ იქნას უვადოდ (ვადის დანიშვნის გარეშე). საქმე შეწყდეს და გადაეცეს არქივს.

1922 წლის 5 ივლისი“.

* * *

საქმეში დაცულია საქართველოს საგანგებო კომისიის სახელზე ნიკიფორე იმნაიშვილის დედის, ლანჩხუთელი ბაბილინა იმნაიშვილის თხოვნა, რომელშიც ვკითხულობთ:

„ჩემი შვილი, ტუბერკულიოზით ავადმყოფი გადაიყვანეს არამიანცის საავადმყოფოში, მაგრამ გაქცევის მცდელობაში დაადანაშაულეს და გადაიყვანეს პირველ ციხეში (ქალაქისა). მიეცით საშუალება მკურნალობისა. დედობრივი ცრემლებით გევედრებით, მისცეთ საშუალება, გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, გადაიყვანეთ საავადმყოფოში. ვიღებ პასუხისმგებლობას ჩემი ქონების კონფისკაციით და ჩემი დაპატიმრებით, თუკი გაიქცევა.

5 ოქტომბერი, 1922 წ“.

რამდენადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, 1922 წლის 5 ნოემბერს ნიკოფორე იმნაიშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ცხადია, ჩეკისტების გულს დაპატიმრებულის დედის ცრემლები არ მოალბობდა. უბრალოდ, 20-იანი წლების დასაწყისში გპუ დაპატიმრებულთა სხვადასხვა სეგმენტის მიმართ განსხვავებული ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდა (იმხანად დაუყოვნებლივ გასანადგურებელთა სიებში, ძირითადად, არისტოკრატული გვარის წარმომადგენელნი და სასულიერო პირნი ხვდებოდნენ). თანაც უმრავლეს შემთხვევაში უწინდელ შეწყალებულთ ჩადენილი „დანაშაული“ 30-იანებში გაუხსენეს და კანონის მთელი სიმკაცრით გაასამართლეს.

* * *

არქივში დაცულია 23 წლის **გიორგი მჟავანაძის** საქმე.*

იგი 1921 წელს დააპატიმრეს, როგორც მენშევიკური პარტიის წევრი და ბრალად ანტისაბჭოთა აგიტაცია წაუყენეს.

ბრალდება: მეტეხის ციხიდან გიორგი ძნელაძესა და ლუკა მჟავანაძესთან ერთად გამოგზავნა გადასახლებული მენშევიკების წერილი, რომელშიც ეწერა: „თუმცაღა ჩვენ გვასახლებენ ჯალათი კომუნისტები, მაგრამ არ შეშინდეთ, იბრძოლეთ მედგრად და ძალაუფლებას იმ ჯალათებს სულ მალე გამოვგლეჯთ, რის

* ფონდი 6, საარქივო № 23285.

შემდეგ მთელ წითელ არმიას და მათ სულისჩამდგმელ კომუნისტებს სულ ერთიანად ამოვწყვეტთ“.

დაკითხვის ოქმში გიორგი მჟავანაძემ აღნიშნა: „ეხლანდელ ხელისუფლებას აღმშენებლობით დარგში ვუყურებ, როგორც პროგრესულს და მეც თანავუგრძნობ მას. მხოლოდ პოლიტიკურ დარგში, როგორც რეგრესიულ ნაბიჯს, ვინაიდან არ არის სიტყვისა და პრესის თავისუფლება და ამ დარგში არ თანავუგრძნობ საბჭოთა ხელისუფლებას. საქართველოს დამოუკიდებლობა მწამს. ისეთი დამოუკიდებლობა, როგორიც ჰქონდათ მენშევიკებს. ეხლა კი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ შელახა ერის ინტერესები, ასეთი დამოუკიდებლობა არ მწამს.

საქართველოს გასაბჭოების ფაქტს ვაღიარებ არა რევოლუციონურ ფაქტად. საქართველო დაიპყრო რუსეთ-აზერბაიჯანის დამპყრობელმა ძალამ, რომელმაც შელახა ერის ინტერესები. მე ვეცდები, წმინდა პოლიტიკური ბრძოლით აღვადგინო ერის შელახული ინტერესები და რაც შეეხება იარაღით ბრძოლას, მე მას ვგმობ და არ მწამს“.

* * *

17 წლის **პავლე პატარაიას** საქმეში დევს ხელნაწერი პროკლამაცია:*

„ძვირფასო ამხანაგებო!

რთულ მომენტზე, რომელშიდაც გვიხდება ცხოვრება, ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია. სამი წელიწადი უკვე სრულდება, მას შემდეგ, რაც წითელი მაჯლაჯუნა აწევს ქართველ ხალხს. დღეს „ქართველად“ თავის გამოცხადება ბოროტმოქმედებაა. ვინც ამას გაბედავს, მას მოელის ჩკ-ს ჯურღმულები, ციხე-ციმბირი.

აბა, გადახედეთ რამდენი ქართველი მამულიშვილი ქართველობისთვის იქმნა წამებული, რამდენი გადასახლებული ცივ ქვეყნებში იტანჯება ჩკ-ს სარდაფებში. ამას ბოლო არ უჩანს, ბოლო რუსეთის იმპერიალიზმს“.

---

* პატარაია პავლე - 17 წლის, სოციალ-ფედერალისტი. ანტისაბჭოთა საქმიანობაში ბრალდებული. მისი საქმე გადაეცა ჩკ-ს (ფონდი 6, საარქივო № 24393, ყუთი 52).

* * *

„სამშობლოს სიყვარული“ იყო სამეურნეო სასწავლებლის მეორე კურსელის, **გიგლა არსენაშვილის** და მისი მეგობრების მთავარი „დანაშაული“ (საცხოვრებელი ადგილი: სოფ. იყალთო, 1927 წლიდან ნაციონალ-დემოკრატების თანამგრძნობი).

ამონაწერი ჩვენებიდან (1927 წლის 9 დეკემბერი):* ა/წლის მარტის თვეში მე შეკითხვა მომცა სოფ. საგურამოს მოწაფემ შოთა ჩხიკვაძემ, სამშობლო გიყვარს თუ არაო. მე ვუპასუხე: მიყვარს-მეთქი. ჩხიკვაძემ მითხრა, რომ ერთი აზრისა ვყოფილვართო. შენ ჩემთან იმუშავეო. შემდეგ მე დავუახლოვდი ხსენებულ ჩხიკვაძეს, რომელმაც კიდევ გამაცნო მეორე ამხანაგი ვანო ებელაშვილი. ესენი ჩემთან მუდამ ლაპარაკობდნენ, რომ ჩვენი მოვალეობა არის, სამშობლო უნდა შევაყვაროთო ქართველ ხალხს. პირველად უნდა მოვუყვეთო საქართველოს ისტორიიდან, თუ როგორ იმყოფებოდა საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ. ჩვენ უნდა ვეცადოთ საქართველოს განთავისუფლება რუსეთის მფარველობისაგან. მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ აქ აღნიშნულნი სამი კაცისაგან შესდგებოდა ახალგაზრდული ნაციონალური დემოკრატიული ორგანიზაცია არალეგალურად. ჩვენ გადავწყვიტეთ, გაგვედიდებინა ორგანიზაცია ახალი წევრებით, მაგრამ ერთი, იმ სასწავლებლის გარდა, არსად არ დავდიოდით და სასწავლებლის შიგნით მომხრენი არავინ არ აღმოჩნდა და, მეორე მხრით, ეჭვის თვალით გვიყურებდნენ კომკავშირის წევრები. ამიტომ ჩვენ ვშიშობდით და ჩვენი ახალგაზრდა ნაციონალ-დემოკრატიული წრის არსებობას არავის ვუმხელდით. ჩვენი ორგანიზაცია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შედგებოდა სამი კაცისაგან, მეთაურობდა კი შოთა ჩხიკვაძე.

საგურამოს სკოლიდან ა/წ. აგვისტოს თვეს შვებულებით მივდიოდი ჩემს სოფელში, სოფ. იყალთოში. წამოსვლამდე ზემოთ აღნიშნულმა პირებმა ვილაპარაკეთ, რათა სოფლად გაგვეძლიერებინა „სამშობლოს სიყვარული“. როცა სახლში მივედი, ვნახე, რომ ჩემი დუქანი ეჭირა კოოპერატივს და აგრეთვე სახლის ზემო სართული ორი ოთახი. ქირას კი გვაძლევდნენ, მაგრამ დუქანი უნდოდა ჩემს ძმას და ადგილობრივი მთავრობა

* ფონდი 6, საარქივო № 27504.

არ აძლევდა დუქანს ჩემს ძმას. ესეც მიემატა ჩემს გრძნობას და დავწერე პროკლამაცია და გავაკარი სამკითხველოს კედელზე.

შეკითხვა: გახსოვს თუ არა პროკლამაციის შინაარსი?

პასუხი: კი, მახსოვს. იყო შემდეგი შინაარსი: „ქართველო ხალხო! გაიღვიძეთ, საქართველო განსაცდელშია. ერთის იერიშით, ერთის ძალით ვიხსნათ საქართველო რუსეთისაგან. მაშ, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

შეკითხვა: სექტემბრის ბოლო რიცხვებში ვინ დაგაწერინა შენ მოწოდება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე?

პასუხი: სექტემბრის ბოლო რიცხვებში ჩემს სახლში მოვიდა იყალთოს კომკავშირის მდივანი ფეიქრიშვილი და მთხოვა, რომ დამეწერა მოწოდება ოქტომბრის ათი წლის თავისთვის. მე დავუწერე მოწოდება ფეიქრიშვილს და მივხვდი იმას, რომ ფეიქრიშვილს უნდოდა ჩემი პოჩერკა ენახა. ამიტომ მოწოდებაში ქვემოთ ფრანგული ასოებით დავწერე: „გავიგეთ ეშმაკობა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ გავიგე, რისთვისაც დამაწერინა ფეიქრიშვილმა მოწოდება.

შეკითხვა: შენ უამბე თუ არა საგურამოში შენს ამხანაგებს პროკლამაციის გაკვრის შესახებ?

პასუხი: საგურამოში დაბრუნებისას ყველაფერი ვუამბე ორივე ამხანაგს – ჩხიკვაძეს და ვანო ებელაშვილს [...]

შეკითხვა: შენ გეძლევა სახელმწიფოს ხარჯი?

პასუხი: კი, სახელმწიფოს ხარჯზე ვსწავლობ.

შეკითხვა: შენ ვინ გადმოგცა სიღარიბის მოწმობა, რათა ყოფილიყავი სასწავლებელში, როგორც ღარიბი, მიღებული სახელმწიფოს ხარჯზე?

პასუხი: სიღარიბის მოწმობა მე მივიღე იყალთოს თემაღმასკომიდან.

შეკითხვა: თქვენთან ერთად მოწაფე გიგლა პაპალაშვილი იყო თუ არა თქვენი ორგანიზაციის წევრი?

პასუხი: გიგლა პაპალაშვილი სწავლობს ჩემთან სოფ. საგურამოში. მას წინადაც ვიცნობდი, როგორც ახალ მეზობელს. ა/წ. ზაფხულში სოფ. იყალთოში ყოფნისას დავუსვი კითხვა პაპალაშვილს, თუ რამდენად უყვარდა სამშობლო, პაპალაშვილმა მიპასუხა, მე დიდი ხანი არიო, რომ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა

მაქვსო. ამხანაგს ვეძებდიო და სწორედ თქვენ გაგიჩინეთო. ამის შემდეგ წავედით სასწავლებელში, საგურამოში. იქ პაპალაშვილი მიღებულ იქნა კომკავშირში. მან იცოდა, რომ მე ვმუშაობდი ახალგაზრდა ნაც.დემოკრატიულ ჯგუფში. სხვების მუშაობის შესახებ მან არ იცოდა.

შეკითხვა: პაპალაშვილმა იცოდა თუ არა პროკლამაციის გაკვრის შესახებ რაიმე?

პასუხი: მე ვუამბე, თუ როგორ დავწერე პროკლამაცია და გავაკარი ღამით, 3 სექტემბერს ე/წ. ქოხ.სამკითხველოში. პაპალაშვილმა მითხრა, კარგი გიქნიაო, მაგრამ თუ გაიგებენ, ამის გამო ორივეს დაგვატუსაღებენო.

* * *

პაპალაშვილი გიგლა ნიკოს ძე – 18 წლის, მოწაფე საგურამოს სამეურნეო სკოლისა, საშუალო გლეხის შვილი, ამჟამად კომკავშირში მიღებულია დუშეთის მაზრაში.

დადგენილებაში წერია, რომ იგი დადანაშაულებულია პროკლამაციის გავრცელებაში. იგი ცდილობდა ნაციონალურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას ხალხში ლოზუნგით: „სამშობლოს სიყვარული“.

ამ ბრალდების გამო დააპატიმრეს და გადასცეს გპუ-ს.

საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ გიგლა პაპალაშვილი დაადანაშაულეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არალეგალურ მუშაობაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის მიხედვით მას 2 წლით პატიმრობა მიესაჯა.

* * *

1926 წლის 9 დეკემბერს დააპატიმრეს სოფ. ბუკნარის მცხოვრები 22 წლის **ქეთო კვაჭანტირაძე.*** ბრალად წაუყენეს არალეგალურ მენშევიკურ ორგანიზაციებთან მუშაობა.

---

* ფონდი 6, საარქივო № 26308.

დაკითხვის ოქმი:

კითხვა: რომელი წლიდან ირიცხებით ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრად, რომელი ორგანიზაციის მიერ იყავით მიღებული და რაში გამოიხატებოდა თქვენი საქმიანობა?

პასუხი: არასოდეს არც ერთ პარტიაში არ მიმუშავია და წარმოდგენაც არა მაქვს ორგანიზაციაზე.

კითხვა: გამოსვლებში 1924 წლისა მიიღეთ თუ არა მონაწილეობა და რაში გამოიხატებოდა?

პასუხი: გამოსვლებში მე მივიღე მონაწილეობა უიარაღოდ ხელში, ე.ი. გამოვედი მასაში.

კითხვა: თქვენი შეხედულებით, არსებობდა თუ არა ბუკნარში რაიმე არალეგალური ორგანიზაცია?

პასუხი: არ ვიცი. მეტი ამ საქმეზედ არა ვიცი რა.

დადგენილება (რუსულ ენაზე):

ეჭვმიტანილი კვაჭანტირაძე 1919 წლიდან საქართველოს სოვეტიზაციამდე მიიჩნეოდა მარქსისტული ორგანიზაციის აქტიურ წევრად. როდესაც ეს ორგანიზაცია არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა, კვაჭანტირაძე აღასრულებდა აქტიურ მუშაობას. 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში იღებდა აქტიურ მონაწილეობას იარაღით ხელში, რომელიც მას მისცა ბანდიტმა სერგო მატოტიშვილმა. ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ ის მიიმალა და ერთი თვე არალეგალურად ცხოვრობდა, რომლის შემდეგაც შემორიგებულ იქნა. ამის შემდეგ ის მუშაობდა და გახდა ბუკნარის მარქსისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ის იღებდა საჭირო ლიტერატურას და დირექტივებს უფროსებისაგან. ამავე დროს, ის აგროვებდა შემოწირებულებებს ორგანიზაციის ავადმყოფი წევრებისათვის და სხვა საქველმოქმედო მიზნებისათვის. მას ჰქონდა უშუალო კავშირი რამიტონ დოლიძესთან და თავის დასთან, გალიტო კვაჭანტირაძესთან. ის იღებდა ყოველგვარ ლიტერატურას რაფიელ კუტუბიძისგან. მას ჰქონდა კავშირი მენშევიკებთან, მირონეს ცინცაძესთან.

ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ ეჭვმიტანილი კვაჭანტირაძე არის ოფიციალურად მავნე, გამოუსწორებელი ანტისაბჭოთა ელემენტი, დაპატიმრებულ იქნას, ყველა მასალა გადაე-

გზავნოს გპუ-ს, რომ გადასახლდეს საქართველოდან, როგორც სოციალურად საშიში, მავნე ანტისაბჭოთა ელემენტი და საბჭოთა ხელისუფლების ბოროტი მტერი.

* * *

1929 წლის 23 მარტს პროკლამაციის გავრცელებისთვის დაატიმრეს **მიხეილ ბართლომეს ძე კანკავა**, დაბად. 1900 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. იგი 25 მარტს დაკითხეს (ფონდი 6, საქმე № 29442. ყუთი 67).

ანკეტის კითხვა: წარდგენილია თუ არა ბრალდება და სახელდობრ?

პასუხი: დამკითხველის შეკითხვებიდან გავიგე, რომ უმთავრესად ბრალდებად მაწერენ, რომ წერილები გრიგოლ რობაქიძისა და სერგი დანელიას სახელზე ჩემია, „პოჩერკი“ - ფანქრით დაწერილი, რაც არავითარ შემთხვევაში სიმართლეს არ შეეფერება.

დადგენილებიდან: კანკავა მიხეილი ბრალდებულია ანტისაბჭოთა არალეგალურ მუშაობაში. საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდა ანტისაბჭოთა პროკლამაცია სათაურით „ყველა ქართველ მოღვაწეს“ და 1929 წლის 25-26 თებერვალს სხვადასხვა პირს დაუგზავნა.

საქმეში დევს როგორც პროკლამაცია, ასევე იმ პირთა სია (ბინის მისამართებით), რომელთაც კანკავამ თავისი დაწერილი პროკლამაცია დაუგზავნა:

1. ფილიპე გოგიჩაიშვილი (პროფ.) – სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. გიორგი ნიკოლაძე (პროფ) – სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. ტიციან ტაბიძე (პოეტი) – გრიბოედოვის 18.
4. პავლე ინგოროყვა (პოეტი) – ტროცკის 14.
5. კონსტანტინე გამსახურდია (პოეტი) – ჯუღაშვილის 13
6. გერონტი ქიქოძე (პოეტი) – ჯუღაშვილის 11
7. კონსტანტინე ჭანტურია (კაპანელი-პოეტი, გლეხი) – ანდრიევსკის 42
8. ირაკლი ტატიშვილი (დოცენტი) – ტროცკის 20

9. ბესო ჟღენტი (პროფ.) – წყნეთის 8
10. შალვა ნუცუბიძე (პროფ.) – ანასტასიევის 6
11. გიგო რცხილაძე (სოციალ-ფედერალისტი) – ვაშლოვანის 4
12. მიხეილ (ივანე?! – მ.ჯ) ჯავახიშვილი (პროფ.) – ელიზავეტინსკაიას 21
13. სერგი დანელია – სახელმწიფო უნივერსიტეტი
14. გრიგოლ რობაქიძე (პოეტი) – სახელმწიფო გამომცემლობა
15. ამას გარდა, წერილები მიტანილ იქნა ყაზბეგში, სკოლის თავმჯდომარესთან – სევერიონ ცინცაძესთან – თბილისიდან, ლადო მჭედლიშვილისგან (ნიკოლაევსკის 107).

ზემოთ ჩამოთვლილ კონვერტებზე მისამართები დაწერილია ლადო მჭედლიშვილის მიერ.

საქმეში არის კანკავას ხელნაწერი წერილი (სტილი დაცულია):

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საგანგებო კომისიას

საკანი № 1-ში მოთავსებული ტუსაღის, მიხეილ ბართლომეს ძე კანკავასგან

დამაპატიმრეს ა/წ 23 მარტს 1. 30 სთ. ქალაქის შუაგულში, მანგლისში და მოთავსებულ ვიქენ ამ დროიდან იქვე მახლობლად ადგილობრივ რაიონული მილიციიის სატუსაღოში და მეორე დღეს, ე.ი. 24 მარტს, წამომიყვანეს ტფილისში. მიუხედავად ჩემი დაბეჯითებით თხოვნისა, მე საშუალება არ მომცეს რეგისტრაცია გამეკეთებინა ჩემი ბარგი-ხაბაკებისათვის, რომელიც მოთავსებულია იქვე სულ შემთხვევით და რამდენიმე დღის ნაცნობ ადგილობრივ პოლიტიკური განყოფლების უფროსის ვანო დოლიძის ოთახში (რამდენადაც მე მანგლისში სულ 5 დღე დავრჩი) და ჩამებარებინა იგი მეგობრისთვის. ასეთ პირობებში მე არა მაქვს არავითარი გარანტია, რომ უცნობი ამხანაგის ოჯახში ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე ჩემი ბარგი-ხაბაკიდან მე რაიმე არ დამეკარგება.

გამოვდივარ რა ამ მოსაზრებიდან, დაბეჯითებით გთხოვ,

სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა, გაუკეთდეს ჩემს ბარგს და ხაბაკებს აღრიცხვა (იმ სიის მიხედვით, რომელსაც აქვე ვურთავ დაახლოებით) და მომცეთ, როგორც წესი და კანონია (ჩამოთვლილია ნივთები, მ.ჯ). მთელი ბარგი, როგორც ჩანს, აქეთ კომენდატურაში ჩამორთმეული, იწონის 33 კილოს. მე არაფრისთვის ხელი არ მიხლია, შემრჩა ტანთ ის მხოლოდ, რითაც აქედან წავედი მანგლისში შეკრული ხაბაკების გარეშე.

დაბეჯითებით გთხოვთ, მოახდინოთ განკარგულება აღნიშნული ბარგი-ხაბაკის სათანადო და კანონიერი უზრუნველყოფისთვის.

საკანი № 1-ის ტუსაღი მიხეილ კანკავა, 24 მარტი

საბრალდებო დასკვნა

1929 წლის 18 მაისი, თბილისი (ფრაგმენტი, რუს. ენაზე)

მოქალაქე კანკავა მიხეილი 1924 წელს დადიოდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში და ატარებდა ანტისაბჭოთა აგიტაციას გლეხებს შორის (პარტიის ყოფილ წევრებთან). ინიღბებოდა სხვადასხვა მანდატით, თითქოს აგროვებდა ისტორიულ მასალას გლეხებს შორის, რომ შეედგინა „უტუ მიქავას შესახებ ისტორიული ნარკვევი“ (უტუ მიქავა – სახალხო ტრიბუნი სამეგრელოში 1857 წლის გლეხთა აჯანყების დროს). ის იყო წევრი ცენტრალური კომიტეტისა, რომელშიც შედიოდნენ: ელიზბარ დადიანი, ბერია (უსახელოდ) და ორი უცნობი პირი – სულ 5 კაცი და უნდოდათ 1926 წელს მოეწყოთ დემონსტრაცია სამეგრელოში, როგორც პროტესტი სამეგრელოსთვის ავტონომიის მიუცემლობის გამო. თითქოს ჰყავდა 3 000 კაცი.

ამა წლის თებერვალში კი, საქართველოს გასაბჭოების დღისთვის გამოსცა პროკლამაცია-მოწოდება, რომელშიც მოუწოდებს ერთიანობისკენ ეროვნულ ნიადაგზე ყველა ქართულ დაჯგუფებას: ანარქისტებს, ესერებს, ნაციონალისტებს და რადიკალისტებს – ერთიან ეროვნულ პარტიაში.

ვიღებთ მხედველობაში რა იმას, რომ კანკავა შეგნებულად არ სცნობს თავს დამნაშავედ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში 1924 წლიდან დღემდე დაპატიმრებისა და ამით ადასტურებს

თავის მტრობას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

დაადგინეს: მოქალაქე მიხეილ ბართლომეს ძე კანკავას დანაშაული, რომ ეწეოდა არალეგალურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ - მიიჩნევა დადასტურებულად.

საქმე გადაეცეს გპუ-ს

ხელს აწერენ: მხეიძე, მელიქიძე, ბერია

მიხეილ კანკავას 2 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ეტყობა, გპუ-მ „თავისი მეთოდებით" დაამუშავა კანკავა, რადგან 1929 წლის 29 ნოემბერს განახლდა მისი საქმე, რომელშიც წერია, რომ კანკავამ გპუ-ს წინაშე დაწერილ განცხადებაში აღიარა თავისი დანაშაული და პირობა დადო, რომ იქნება პატიოსანი და სასარგებლო მოქალაქე საბჭოთა კავშირისა.

* * *

გპუ-ს პირველი ჯგუფის წარმომადგენელმა, სულთანიშვილმა, განაახლა **გივი ტერენტის ძე ქავთარაძის** (დაბად. 1911 წ., 9 ტექნიკუმის მოსწავლე) საგამოძიებო საქმე № 6304. 18 წლის ახალგაზრდას ბრალი ედებოდა ანტისაბჭოთა არალეგალურ მუშაობაში.*

გამოვლინდა: 1929 წ. თებერვალში მეცხრე ტექნიკუმში გაფორმდა ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ორგანიზაციიის შექმნა. თავდაპირველი იდეა ეკუთვნის ვაჟა ავალაშვილს და გივი ქავთარაძეს, რომლებმაც ეს იდეა შესთავაზეს თავიანთ ამხანაგებს და ჩამოაყალიბეს საინიციატივო ჯგუფი: ავალაშვილი ვაჟა, ქავთარაძე გივი, ყვავილაშვილი ვარა, კეკელიძე მიხეილი, გოგუაძე ანტისა. პირველ შეხვედრაზე თავმჯდომარედ აირჩიეს მიხეილ კეკელიძე, მოადგილედ – ყვავილაშვილი ვარა, მდივნად – ქავთარაძე გივი. ჯგუფს დაარქვეს „ახალგაზრდა საქართველო". ბიუროს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ორი უჯრედი, რომლებშიც, ამათ გარდა, 13 კაცი შედიოდა. ყოველთვიური შესატანი იყო 25 კაპიკი. ასევე იყო თავისუფალი შენატანი 1-დან 3 მანეთამდე. კეკელიძეს დაევალა მოქმედ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან კავშირი, მაგრამ ვერ

* ფონდი 6, საარქივო № 29230 გვ. 15.

მოახერხა, მანამდე ჩავარდა. არალეგალური ლიტერატურა არ ჰქონდათ, მხოლოდ ერთხელ წაიკითხეს ძველი ნომერი ჟურნალისა „ბრძოლა“, რომელიც მათ ორგანიზაციის წევრმა, ვასილი დევდარიანმა მოუტანა.

ჩვენ დავაკავეთ ბიუროს მხოლოდ 5 წევრი.

გამოძიების პროცესში მათ აღიარეს დანაშაული და მოინანიეს, მოგვცეს ჩვენებები მუშაობის შესახებ, გამონაკლისია ვაჟა ავალაშვილი, რომელიც თავის ჩვენებაში წერს, რომ ის ყოველთვის იქნება საბჭოთა ხელისუფლების მტერი და იბრძოლებს სისხლის ბოლო წვეთამდე.

მათი საქმე გადაეცა საქართველოს პროკურორს.

* * *

ამგვარ თამამ განცხადებებს ვაწყდებით არა მარტო 20-იან, არამედ 30-იან წლებშიც – ტოტალური რეპრესიების ხანაში. 1937 წლის სისხლის სამართლის საქმეებს შემოუნახავს არაერთი ახალგაზრდა ქართველი პატრიოტის ტრაგიკული ხვედრის ამსახველი მასალა.

საქმე №16737 (ნაბეჭდი, რუს.ენაზე)*

საბრალდებო დასკვნა

ეს საქმე აღიძრა იმის საფუძველზე, რომ შემოვიდა ცნობები აბრეშუმის ფაბრიკასთან არსებული ტექნიკური სასწავლებლის მე-4 კურსის სტუდენტ **ილია დავითის ძე კვიმსაძეზე.** ამა წლის 20 თებერვალს, როდესაც მეოთხე კურსის სტუდენტები შეიკრიბნენ სერგო ორჯონიკიძის სიკვდილთან დაკავშირებით, მასწავლებელმა, ამხანაგმა ცაგარეიშვილმა, ისაუბრა სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. საუბრისას კვიმსაძემ ხმამაღლა წამოიძახა: „ჯერჯერობით ის ერთი მოკვდა, მაგრამ მის კვალს ბევრი გაჰყვება“. ცაგარეიშვილმა მაშინვე მოითხოვა ახსნა, თუ რას ნიშნავდა წარმოთქმული სიტყვები, მაგრამ კვიმსაძე გაჩუმდა და არავითარი პასუხი არ გასცა.

* ფონდი 6, საარქივო № 37603-01 (15/29-60).

ამასთან დაკავშირებით, კვიმსაძე დირექტორის სახელზე დაწერილ განცხადებაში ამტკიცებს, რომ მან ნამდვილად თქვა ზემოთ მოყვანილი სიტყვები, მაგრამ სხვანაირად უნდოდა ეთქვა: „ის მოკვდა, მაგრამ ჩვენ შევავსებთ მის ადგილს“. ის თავს დამნაშავედ გრძნობს და ითხოვს პატიებას.

ამ ყბედობის გამო ის ტექნიკუმის კომკავშირის რიგებიდან გარიცხეს.

კვიმსაძე დაპატიმრებულ იქნა, თუმცა მან უარყო ნათქვამი და მასწავლებელი ცაგარეიშვილი დაადანაშაულა, ნასვამი იყოვო. შემდეგ დაკითხვებზე კი კვლავ დაადასტურა, რაც თქვა.

კვიმსაძე ჯერ ქუთაისის ციხეში ჩასვეს, შემდეგ თბილისში სასამართლომ განიხილა მისი საქმე. 1937 წ. 9 ივლისს კვიმსაძე კვლავ დაადანაშაულეს ზემოთ ნახსენები ნათქვამის გამო და გამოიტანეს განაჩენი.

დაადგინეს:

„წინასწარი და სასამართლო გამოძიების შედეგად დადასტურდა, რომ ქუთაისის აბრეშუმის ტექნიკუმის მე-4 კურსის სტუდენტმა 20 თებერვალს, 1937 წ. ორჯონიკიძის სიკვდილთან დაკავშირებით გამართულ შეკრებაზე პარტიის ხელმძღვანელებისა მთავრობის მიმართ უდიერი აზრი გამოთქვა, რომელიც დადასტურეს მოწმეებმა: ცაგარეიშვილმა, მეჩიტაძემ, ზარდალაშვილმა, ლეონიძემ“.

კვიმსაჯეს მიუსაჯეს 6 წლით პატიმრობა. სარჩევნო ხმის უფლება 4 წლით ჩამოართვეს.

განაჩენი საბოლოოა და განხილვას არ ექვემდებარება.

* * *

1937 წლის 20 ივლისს დააპატიმრეს ტყიბულის რ/ნ სოფ. ძუკნურის მცხოვრები, კურსანტი **გერონტი ვარდენის ძე გაბრიაძე,** ლოთობის გამო კომკავშირიდან გარიცხული.*

დაპატიმრების მიზეზი: „ხშირად წარმოთქვამდა უცენზურო სიტყვებს პარტიისა და მთავრობის წევრთა მისამართით“. იგი

* ფონდი 6. საარქივო № 37812-01.

ერთ-ერთ შეკრებაზე შეეპასუხა გამომსვლელს, რომელიც ამტკიცებდა: ხალხს ისე უყვარს ჩვენი კომუნისტური პარტიის ბელადები, რომ სახლებში მათი პორტრეტები უკიდიაო. ამაზე გაბრიაძემ მიუგო: ადრე ნიკოლოზ მეფის პორტრეტები ეკიდათო. ეს სიტყვები საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის ხელმძღვანელების საწინააღმდეგო გამოსვლად ჩაუთვალეს და დააპატიმრეს. დაკითხვაზე გერონტი გაბრიაძეს გაუმეორეს ეს ბრალდება და მოწმეთა ჩვენებით დაუდასტურეს, რომ არაერთგზის გამოთქვამდა კომპარტიის ბელადთა შესახებ მსგავს შეურაცხმყოფელ აზრებს. გაბრიაძეს ბრალი წაუყენეს იმის გამოც, რომ ის წერდა რომანტიკულ და არა სოციალისტური მშენებლობის ამსახავ ლექსებს.

გაბრიაძემ დანაშაული აღიარა.

მას 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და 2 წლით საარჩევნო ხმის უფლება ჩამოართვეს.

* * *

არქივში დევს საქმეები ისეთი პირებისა, რომლებიც 20-იანი წლების რეპრესიებს გადარჩენილნი, 1937-38 წლებში ხელმეორედ დააპატიმრეს და შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე მკაცრი განაჩენი გამოუტანეს.

ამ ტიპისაა **მიტიფო ამბაკოს ძე კვაჭაძის საქმე;***

საბრალდებო დასკვნა

ბრალდებული კვაჭაძე არის ყოფილი მენშევიკი. 1924 წლის მენშევიკური ავანტიურის მონაწილე საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. კვაჭაძე აშკარა მოწინააღმდეგეა საკოლმეურნეო მშენებლობისა და სოფლად მისი აღორძინების შესასუსტებლად ეწევა ა/ს აგიტაციას. იყო შემთხვევა, რომ სამუშაოდ მიმავალ კოლმეურნე ქალს მიაძახა: „სად მიდიხარ, უკეთესი იქნებოდა, სახლში მჯდარიყავი და ბავშვებისთვის მიგეხედაო“. 1937 წელს ბრალდებული მიტიფო კვაჭაძე იმყოფებოდა რუსიძის დასაფლავებაზე ნიგვზიანში, სადაც ჩამოჯდა ხის ძირას და სთქვა: „ნეტავი ხშირად იქნებოდეს ასეთ ტირილზე სიარული, კოლ-

* ფონდი 6, საქმე № 6636-59.

მეურნეები მუშაობას არ მიაკლავდნენ თავს და დაისვენებდნე-ნო“. 1937 წელს მიტიფო კვაჭაძე საკუთარ კამეჩებს მიირეკავდა საბალახოდ. მას დაეწია კოლმეურნე პავლე დობორჯგინიძე და ყანაში გადასვლისას კვაჭაძემ ფეხი გაუსვა ქვიშას და სთქვა: აი, უყურე, ქვეყანა მიწად არის გადაქცეული და ჩვენ სამუშაო მიწას არ გვაძლევენო. ცოტათი გავლის შემდეგ დაინახა ჩხარ-ტიშვილის მიწაზე სამიჯვნობაზე ჩაყრილი იყო ძეწნა და სთქვა: ამის პატრონი ჭკვიანი ყოფილა, შემდეგისთვის არ დასჭირდება საზღვრის მოძებნა და ვისაც ასე არა აქვს ჩაყრილი საზღვარზე, იქ მოკლე ხანში შეიქმნება გრძელტარიანი წალდების ტრიალიო. ეს სიტყვები კვაჭაძის აზრით მოასწავებდა იმას, რომ ვითომდა მოკლე ხანში კოლექტივიზაცია ჩაიშლება და შეიქმნება ისევ კერძო მიწის მფლობელობა. 1937 წელში მიტიფო კვაჭაძის მიერ განზრახ ჯინაზე გასხეპილ იქნა ბჟოლის ხეები თავის ეზოში და ფოთოლი გაფუჭებული. იმ დროს, როდესაც სოფლად დიდი მოთხოვნა იყო აბრეშუმის ჭიისთვის ბჟოლის ფოთლისა. ბრალ-დებები კვაჭაძის მიმართ დადასტურებულია მოწმეების ჩვენ-ებით, რაც გათვალისწინებულია ს.ს.რ.კ. მუხლი 58-10.

ყველა ზემოთ ხსენებულის მიხედვით **დავადგინე**:

საქმე კვაჭაძის ბრალდებაზე წარედგინოს საქ. შსკ-თან არ-სებულ სამეულს განსახილველად.

ლანჩხუთის შ.ს.ს.კ.რწმ.: სილაგაძე

კვაჭაძე მოათავსეს ლანჩხუთის საპატიმროში

22. 02.1938 წ.

1938 წლის 13 მარტს სამეულმა განიხილა მიტიფო კვაჭაძის საქმე და მიუსაჯა 10 წლით პატიმრობა. კვაჭაძის პირადი ქონება დაექვემდებარა კონფისკაციას.

* * *

1938 წლის იანვრის თვეში ვინმე **პავლე სიოს ძე ლომიძემ** თავისი ქალიშვილის ნიშნობაზე ხმამაღლა წაიკითხა საკუთარი ლექსი, რომლითაც უცენზურო სიტყვებით მოიხსენია პარტიისა და ხელისუფლების ბელადები. მან იგივე ლექსი რამდენჯერმე გაიმეორა ხალხში, ბოლოს – 1938 წ. 15 აპრილს, როდესაც სტუმ-

რად იყო სოფ. ხუნევში მცხოვრებ ნიკოლოზ სისოს ძე ლომიძესთან. გარდა ამისა, თავისი საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებისას კოლმეურნეობის წევრების გასაგონად თქვა (საბრალდებო დასკვნის მიხედვით, „აგიტაცია გასწია“): „ჯერ სხვისი უნდა იმუშაო და მერე შენიო. ასე იცის ჩვენმაო“... და ბელადის სახელი დამახინჯებულად წარმოთქვა.

პავლე ლომიძე 1938 წლის 9 ივნისს დააპატიმრეს. დაკითხვისას მან თავი დამნაშავედ სცნო.

„გამომდინარე ზემოთ ხსენებულიდან, ბრალდებულ ლომიძე პავლე სისოს ძეს, დაბად. 1890 წ. ქართველს, მცხ. სოფ. ხუნევში, ორჯონიკიძის რ/ნ, უპარტიოს, წერა-კითხვის მცოდნეს, ცოლშვილიანს, პასუხისგებაში არყოფილს, კოლმეურნეს 1935 წლიდან, საბჭოთა მოქალაქეს ბრალი ედება მასში, რომ ის ხალხში ავრცელებდა მის მიერვე შეთხზულ ანტისაბჭოთა ლექსს, რომლითაც უწმაწური და ბინძური სიტყვებით იხსენიებდა პარტიისა და ხელისუფლების ბელადებს, აგრეთვე ეწეოდა აგიტაციას კოლმეურნეობისა და ხელისუფლების წინააღმდეგ, ე.ი. ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდ. 58-10 მუხლის პირველი ნაწილით.

ეს საგამომძიებლო საქმე საქ. შინსახკომის პირველი სპეც. განყოფილების საშუალებით ეგზავნება საქ. შინსახკომის მეორე განყოფილებას საქმის საქ. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამ. კოლეგიაზე დასაქვემდებარებლად.

1939 წლის 15 მარტის ცნობით პავლე ლომიძის ნათესავებს აცნობეს პატიმრის გარდაცვალების შესახებ*

განხილული საქმეების მიხედვით შეგვიძლია თვალი ვადევნოთ სასჯელის გამკაცრების დინამიკას. 20-იან წლებში, როცა ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ბოლშევიკები იარაღით ხელში ებრძვიან ეროვნულობისა და რელიგიური მრწამსის ყოველგვარ გამოვლინებას. ცხადია, სამშობლოს სიყვარული მიუტევებელ დანაშაულად ითვლება. ადამიანებს აპატიმრებენ, მაგრამ არცთუ ისე იშვიათად სათანადო „დამუშავების“ შედეგად

* ფონდი 6, საქმე №14057-60. ყუთი 81.

სასჯელის ზომას უმსუბუქებენ ან საერთოდაც ათავისუფლებენ პატიმრობიდან. 1937-38 წლებისთვის გპუ-ს ტაქტიკა იცვლება: ადამიანებს ასამართლებენ სრულიად უმნიშვნელო, უწყინარი „დანაშაულისთვის“. გულუბრყვილოდ წამოსროლილი ფრაზა, სიმთვრალეში წაკითხული ლექსი თუ საბჭოთა ბელადების მისამართით გამოთქმული ნაივური კრიტიკა ფასდება „ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდად“, „ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად“ და კანონის მთელი სიმკაცრით ისჯება. სწორედ ამ წლებში აღწევს გაუგონარ მასშტაბებს განუკითხაობა, როცა ადამიანის ბედი და მისი სიცოცხლე ჩალის ფასი ხდება...

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საიდუმლო აგენტი

საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე შეურიგებელ მოწინააღმდეგედ ქაქუცა ჩოლოყაშვილი დარჩა, რომელმაც გარს შემოიკრიბა თავგანწირული პატრიოტები და ცდილობდა, ყოველი ხერხით გადაერჩინა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა.

საბჭოთა ხელისუფლება მოტყუებით, ძალადობითა და პროპაგანდით ცდილობდა წინააღმდეგობის მოძრაობის ჩახშობას. ბოლშევიკური რეჟიმის ინკვიზიტორები ქაქუცასა და მისი რაზმის წინააღმდეგ ავრცელებდნენ სხვადასხვა ტიპის ცილისმწამებლურ პროკლამაციას, მაგალითად, ასეთს:

„ამხანაგებო, ფშავ-ხევსურეთის მუშებო და გლეხებო!

უკანასკნელ ხანებში თქვენმა მოღალატეებმა, თქვენმა სისხლის მწოვლებმა გაგაბრიყვეს, ნაძირალა შავრაზმელებმა და თქვენ მიდიხართ თქვენი ბედნიერების წინააღმდეგ.

ამხანაგებო გლეხებო, ჩვენ კარგად ვიცით ფშავ-ხევსურეთის პატიოსანი მშრომელი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არ წავა არასოდეს, პირიქით, ხელს შეუწყობთ, რომ იქნას განთავისუფლებული ერთხელ და სამუდამოდ მოღალატე ბურჟუაზიის კლანჭებიდან.

ამხანაგებო, მოტყუებით, პროვოკაციით თქვენ გამოგიყენათ ბრმა იარაღად ნაძირალა შავრაზმელებმა, თავად-აზნაურ ჩოლოყაშვილებმა და ვაჩნაძეებმა, რომლებმაც თქვენ გაგალესინათ დანა თქვენივე გულის გამოსაჭრელად.

მუშათა და გლეხთა დიქტატურა რამდენად ლმობიერია, იმდენად სასტიკიც არის. უკანასკნელად მოგიწოდებთ სასტიკად შეებრძოლოთ თქვენს მოღალატეებს, ჩოლოყაშვილებს, ვაჩნაძეებს და განდევნეთ და გაათავისუფლეთ კონტრრევოლუციონერებისაგან თქვენი მხარე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს და ზიზღი თავადაზნაურ ჩოლოყაშვილებს და მათ ამყოლებს.

თიანეთის სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი თალაკვაძე

აგიტაციის განყოფილების გამგე კაკაბაძე“.*

როგორც ცნობილია, ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის რაზმთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეს აფარებდა თავს, ყველგან ჰყავდა მოკეთენიცა და მტრებიც. ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე ასახავს კახეთის მთიანეთში გაშლილი წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ ფრაგმენტს.

1923 წ. 18 მაისს ქ. თელავში განიხილეს სოფელ ალვანის მცხოვრებლების, ბაგრატ ცოცანიძის**, პანტო ანთაიძის და სხვათა საქმე (№ 2322). გამოვლინდა, რომ მათ კავშირი ჰქონდათ „ჩოლოყაევის ბანდასთან“.

ბაგრატ ცოცანიძის ჩვენება (სტილი დაცულია)**:**

„1922 წ. დაახლოებით აპრილის პირველ რიცხვებში ძველი ეტლით ერთ დილას მე მივედი სახლში გიორგი უშიძესთან (ბრუდთან). შევედი თუ არა, ვნახე 14-15 კაცამდის შეიარაღებული ხალხი. მე მეგონა მელიციონერები (რადგანაც ბრუდი იყო წევრი აღმასკომისა), რაღაც საქმისათვის მოსულები. მაშინვე მითხრეს, ხმა, კრინტი არსად ამოგიღია, თორემ ხომ იცი, უსიკვდილოდ არსად გადაგვირჩებიო. სხვათა შორის, გამაცნო ქაქუცა, სოსო ლოსაბერიძე და მიშა ნაცვალოვი და შემდეგ ბრუდმა ამიხსნა, თუ რაშიც იყო საქმე. ესენი, მითხრა მან, არიან მთავრობისგან დევნილი ხალხი, სულ ნასწავლები და მეტწილად აფიცრებია, რომელთაც უნდათ თავი შეაფარონ სადმე, ვიდრე ხალხში „არეულობა“ მოხდება და საქართველოს ისევ ჟორდანიას მთავრობა ჩაიგდებს ხელში. სულ ერთია ამათ (ბოლშევიკებს) მაინც არ დარჩება მმართველობა. ან ინგლისი და ან საფრანგეთი უსათუოდ განდევნიან აქედან ამათა და მაშინ რომ ჩვენაო ხელი არ გავანძრიოთ, სულ იმათ ხელში დავრჩებითო. სხვებიც რაღაც ილაპარაკეს და აღარ მახსოვს ზოგიერთის გარდა, მაგალითად,

---

* ფონდი 6, საარქივო № 22229, ყუთი 46.

** ბაგრატ ცოცანიძე - სოციალური წარმომავლობით მუშა-გლეხი, წოდებით - მღვდელი. 1921 წელს კომუნისტური პარტიის რიგებშიც კი შესულა, მაგრამ შემდეგ გაურიცხავთ.

ჩვენაო, სთქვეს იმათ, არავის შევაწუხებთო. ჟორდანია იქიდან გამოგვიგზავნის იარაღს და ტანისამოსს და ვიდრე ამას მივიღებთ, კი აქა-იქ სადმე უნდა შევაფაროთ თავებიო. ქიზიყში ვიყავით, იქ ეჭვი აგვართვეს და ეხლა აქეთ წამოვედითო. ბრუდმა მითხრა, შენ ხომ ფრანგული თოფი გაქვს, ამათ მიეცი, ერთს არა აქვსო. მეც გამოვუტანე სახლიდგან და მივეცი. საღამოს ბრუდმა (გ.უშიძემ) წაიყვანა იქით ფიჩხოვანის ღელეში, ტყეში და იქ ერთ ხეობაში დაბინავდნენო, მითხრა, როცა დაბრუნდა და წერილი მაქვს, თელავში უნდა წავიდეო, კარგად არ მახსოვს „საწარმო კავშირში“ უნდა მივიტანოო. თელავიდან იმავ დღეს დაბრუნდა და წავიდა იმათთან. ამ დროს იმათ თურმე დაარტყეს ცეპი ალვანის პარტიულებმა და იქიდან წასულიყვნენ, როგორც შემდეგში ბრუდმა მიამბო. ძლივს გავასწარით და პანკისის გადასახვევამდინ გავაცილე ისინი და ისევ აქ დავბრუნდიო. ამის შემდეგ აღარაფერი ვიცი, საით წავიდნენ და საით არა. გაიარა ორმა თვემ, იმათი მე აღარაფერი გამიგია.

ივნისის პირველ რიცხვებში მოვიდა ერთი მაღალ-მაღალი ბიჭი პირხმელი, კითხულობდა ბრუდს [...] მესამე დღეს ბრუდიც მოვიდა (არ მახსომს, სად იყო წასული) და მივიყვანე ბრუდთან სახლში და გვიამბო, რომ მე ახმეტაში მივდიოდი, ქალაქიდან წამოსული ქაქუცას ვეძებდი, ეგებ გავიგო რამეო და ახმეტაში რომ ჩამოვიარე, იქ დამიჭირეს და ეხლა იქიდან გამოქცეული ვარო და შენ გზა უნდა მომცე, რომ თუ ხელში ჩამიგდეს, უეჭველად დამხვრეტენო. ამ დროს ჩოლოყაშვილის პარტია სად იყო, არ იცოდა ბრუდმა და საით გაეგზავნა არ იცოდა. მერე მან თქვა, თუკი ვერ მივაღწევ იქამდე, ქვევით ახალსოფლისკენ გზა მასწავლეთ, მერე მე თვითონ წავალ, მარტო გეზი მინდა გავიგო, რადგანაც ჯერ კახეთში არა ვყოფილვარ, გზა არ ვიციო და იქიდან მე თვითონ წავალ ქვევით ან ახალსოფელში ან და ლაგოდახში. იქ ნათესავები და ნაცნობები ბევრი მყავს, რადგან იქ მე მილიციის უფროსათ ნამყოფი ვარ და იქ თავს შევინახავ, ვიდრე იმათს რასმე გავიგებდეო. იმ კაცის სახელი იყო ლოლაძე ლადო [...]. დღე იყო, რომ მივიყვანე სოფელ ფშავლის ბოლომდე. იქ ქუდი გადამიცვალა, მითხრა მიცნობენო და წავიდა. ამის შემდეგ მე ცოლშვილით მთაში წავედი მთელი სამი თვის განმავლობაში. იქ

ვიყავით და ქაქუცას შესახებ მხოლოდ ყველა იმას ამბობდა, რომ ხევსურეთში მოამწყვდიეს და მოკლეს. სხვა არაფერი გამიგია. ბარში რომ ჩამოვრეკე ჩემი ცოლ-შვილი, ბრუდი კიდევ მთაშივე იყო და მერე ისიც ჩამოვიდა. მე ვკითხე, არაფერი იცი იმათ შესახებ-მეთქი და არაო, არ იცოდა. ამის შემდეგ მე ყური აღარაფერს ვუგდე. მართლაც, მოუკლავთ მეთქი, მეგონა.

ნოემბრის შუა რიცხვებში თანახმად ხალხის თხოვნისა მე ქალაქში წავედი მღვდლად საკურთხებლად და იქ დავრჩი ხუთი კვირა. რომ მაკურთხეს, მოვედი და ბრუდმა მითხრა, ისინი ისევ ცოცხლები ყოფილან და როგორც ამბობენ, ქვევით ქიზიყში არიანო. არ ვიცი, საიდან გაიგო ბრუდმა მათი იქ ყოფნა [...] შარშან ბრუდი მიდიმოდიოდა ხოლმე და ვისთანაც კავშირი ქონდა, იმან იცის. ჩვენ არ გვეუბნება, რომ თქვენ დაგიჭირონ, ყველაფერს იტყვითო. ის კი ვიცი, რომ იმათ, ბრუდის თქმით, კავშირი ჰქონდათ მატანთან, ენისელთან და ვაჩნაძიანთან, სხვა არ ვიცი“*.

არავინ იცის, რა გზით მიაღწია მთავრობამ, რომ ცოცანიძეს ამგვარი ჩვენება მიეცა, თუ გავითვალისწინებთ გპუ-ს (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, იგივე უშიშროების სამმართველო) მაშინდელ ხერხებს, ძნელი არ არის ამის წარმოდგენა.

ამავე საქმეში დაცულია ტუსაღების – ბაგრატ ცოცანიძისა და პანტო ანთაიძის – თხოვნა საქართველოს საგანგებო კომისიისადმი:

„სიცოცხლის განმავლობაში, ადამიანის შეცდომა ნებითი თუ უნებური მრავალნაირია, მაგრამ არ იქნება ისეთი კი, როგორი შეცდომაც ჩვენ მოგვივიდა და რომელსაც არც ერთი ღარიბი და მუშაკაცი არ იზამდა. ეს გამოიხატა ჩვენგან, თავზეხელაღებული და როგორც შემდგომში დავრწმუნდით თავისი თავადური ზნედაცემულობით და იმავ წოდების ტრადიციით გატაცებული ჩოლოყაშვილის თავრეტიან მოხეტიალე ბანდის ყაჩაღებთან. ზოგიერთ დროს მელურ კავშირში ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩოლოყაშვილი რაღაცას ეძებს და ეს საძებარი

* ფონდი 6. საარქივო № 2322, გვ.15, ყუთი 6.

არის მისი გაბატონება და მამაპაპური ქეიფი მუშა ხალხის ზურგზედ. ის ეძებს თავისი კნიაზური სულისკვეთების კმაყოფილებას გლეხთა სისხლით ნაგარ „მეოთხედებით“. მას სურს ააწრიალოს უსამართლოდ მათრახი მშრომელთა წელზედ, და ჩვენ კი ამას ჩვენი რწმენით ვერ შევურიგდებით. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, ვიგრძნეთ მწვავე, მაგრამ სამართლიანი მუხრუჭი საბჭოთა ხელისუფლებისა. ამ აზრს ჩვენ წინათაც ვატარებდით, მაგრამ საშიში მახვილი სიკვდილმა ბეწვით ჩამოკიდა ჩვენს თავზედ ჩოლოყაშვილმა, თუ გავამხელდით მის მოქმედებას. მაგრამ სიმართლემ თავისი გაიტანა. ჩვენ გამოგვიაშკარავდა ყველაფერი. ჩვენ ორ ცეცხლშუა მოვექეცით, რომლითგან ერთი სწვავს ღიპიანთა და მათ ხელშემწყობთა ლეშს და მეორე მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ჩამცმელთა ტანჯულ ხალხს და ვინაიდან ჩვენც ამ უკანასკნელთა მოდგმისანი ვართ და რწმენითაც მასთან თანაზიარი, ჩვენ გვინდა და გვირჩევნია ამათთვის ჩაწვა ცეცხლში, ვიდრე მათთავის სამარცხვინოდ თავგადადება და ტანჯვა, რომელთაც სურთ მონობის უღელში შებმა ჩვენისთანა ღატაკთა და მაშვრალთა მასისა, ამიტომ ვსთხოვთ ამ უკანასკნელთა მოდარაჯე საქართველოს საგანგებო კომისიას, მიიღოს ეს ჩვენი გულის სიღრმიდან ამონახეთქი თხოვნა და სულგრძელად გვაპატიოს დანაშაული, რისთვისაც ვაძლევთ პატიოსან სიტყვას და ვსდებთ ფიცს, ვიმუშავებთ და ვიბრძოლებთ თქვენთან ერთად იარაღით თუ უიარაღოთ ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად, რომელსაც სჩადის ჩოლოყაშვილს ტურული ბანდა და ეს ბანდა რომლის წყალობითაც იტანჯება დღეს ასობით დაჭერილი ხალხი და იწირება სიცოცხლე მასთან ბრძოლის დროს მრავალი საუკეთესო მშრომელთა შვილებისა, მოქმედებს და მის გაგდებას ველით თქვენგან.

მთხოვნელნი: 1) ბაგრატ ცოცანიძე

2) პანტო ანთაიძე

1923 წ. მაისის 10 დღეს.

საყურადღებოა ამონაწერი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლ სევერიან ჩხეტიანის ჩვენებიდან (გვ. 25).

„სოფ. ალვანში ჩვენ აგენტის სახით გვყავდა მღვდელი ადგილობრივი და მისი დიაკვანი, სახელად პანტო. მათზე ბანდაში ამ-

ბობდნენ, რომ გამოგზავნეს თოფი სერგო მაისურაძის ხელით, რომელიც მე გადმომცეს და მითხრეს, მღვდელმა სთხოვა, ეს თოფი, შემენახა, სანამ თვითონ მღვდელი მოვიდოდა ბანდაში პირადი შეიარაღებისთვის“*.

დადგენილება (ნაბეჭდი, რუსულ ენაზე)

„1923 წ. 3 სექტემბერს თელავის მაზრის პოლიტბიუროს რწმუნებულმა ტ. კოვლუევმა განიხილა საქმე № 28, ცოცანიძისა და ანთაიძის შესახებ, რომელნიც მხილებულნი არიან ჩოლოყაშვილის ბანდის ხელშეწყობაში. მათ აღიარეს ბანდასთან კავშირი, კერძოდ ის, რომ 1922 წ, როცა ბანდა ალვანში იყო, ცოცანიძემ სახლში დააბინავა, ამარაგებდა პროდუქტით, გადასცა თოფი ტყვიებით. სახლში ჰყავდა ავადმყოფი ბანდიტი ლოლაძე. მღვდელიც იმიტომ გახდა, რომ თვალი აეხვია. ჩოლოყაშვილს მისი სახით საიმედო აგენტი ჰყავდა. მას უნდა აღესრულებინა პანაშვიდი (ლოცვა) მოკლული სიკო ჩოლოყაშვილისთვის.

დამნაშავე პანტო ანთაიძემ აღიარა, რომ იყო აგენტი ჩოლოყაშვილის ბანდისა, მათთან მიჰქონდა პროდუქტი, ასრულებდა მათ ბრძანებებს. მას შეეძლო ყოველივე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ეცნობებინა, მაგრამ ასე არ მოიქცა.

ზემო თქმულის გათვალისწინებით, **დადგინდა:** ბაგრატ ცოცანიძეს (28 წ. გლეხი, საშინაო განათლებით, უპარტიო, არ ყოფილა ნასამართლევი) დაუდასტურდა დანაშაული – თანამშრომლობა ჩოლოყაშვილის ბანდასთან.

მასთან დაკავშირებით მიღებულ იქნას უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია.

ანთაიძეს (24 წ, გლეხი, საშინაო განათლებით, არ იყო ნასამართლევი) მიესაჯოს 5 წლით პატიმრობა“.

ეს დადგენილება გადაეცა სამეულს განსახილველად“.

* ბაგრატ ცოცანიძე ჩვენებაში წერს, რომ თოფი გადასცა ჩოლოყაშვილის რაზმელს ბრუდის თხოვნით. იხ. ზემოთ.

მანანა კვატაია

„ჩემი მეგობარი რაინჰოლდ ჩაკერტი...“

1932 წელს გერმანიის ქალაქ ტიუბინგენში, რაინერ ვუნდერლიხის გამომცემლობაში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის რომანი “მეგი”, რომლის თავდაპირველი სათაური “მედეას ნაწნავები” იყო. “ჩემი მეგობარი რაინჰოლდ ჩაკერტი, რომელიც ამ წიგნის მთარგმნელად არის დასახელებული, ქართულს არ ფლობდა... “მეგის” ორიგინალური ტექსტი იმთავითვე რუსულად შეიქმნა” (რობაქიძე IV, 2012: 673), – ატყობინებდა მწერალი ჰანს ჰასო ველტჰაიმს. გერმანულად “მეგის” ერთ-ერთი მთარგმნელის შესახებ ბევრი არაფერი იყო ცნობილი. მისი ტრაგიკული ბიოგრაფიის დეტალები შემოუნახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ რაინჰოლდ ჩაკერტის ვრცელ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც რამდენიმე საქაღალდეს მოიცავს.

რაინჰოლდ რაინჰოლდის ძე ჩაკერტი 1935 წლის 21 აპრილს ამიერკავკასიის ფედერაციის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს დაუკავებიათ*. დაპატიმრებისას მას ბრალად ედებოდა 1918 წელს შვედური სამეფო მისიის მდივნობა, რწმუნებულობა და გრაფ შულენბურგთან კავშირი. ამასთან, ამიერკავკასიის გერმანული ოკუპაციის დროს რ. ჩაკერტი გენერალ ფონ კრუსის მისიის თარჯიმანი ყოფილა. ბრალდებაში მითითებულია, რომ ის იყო თავგამოდებული გერმანოფილი, ჰიტლერის აქტიური მომხრე და ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა.

1935 წლის 23 აპრილს შევსებული ანკეტის თანახმად, რაინჰოლდ ჩაკერტი დაბადებულა თბილისში, 1893 წელს. ის პროფესიით პედაგოგი ყოფილა, უმაღლესი განათლებით, ჰყოლია მეუღლე და ორი შვილი (ქალ-ვაჟი). მასთან ერთად განუხილავთ ვიქტორ ივანოვისა და სიმონ პრისმანის საქმე. “ყველა ეს პირი შედიოდა გერმანიის გენერალურ საკონსულოში ფაშისტურ და ჯაშუშურ რეზიდენტურაში, რომლის ხელმძღვანელია გერმანი-

* ფ. 6, საარქივო № 3599, ტ. 1/14, ყუთი 54. რ.რ. ჩაკერტის საქმე.

ის ქვეშევრდომი ბრუნო ფრანკე", – მითითებულია 1935 წლის აპრილის თვის დადგენილებაში.

სრულიად საიდუმლო განაჩენის (2) მიხედვით, რაინჰოლდ ჩაკერტი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პედაგოგად მუშაობდა ადგილობრივ გერმანულ გიმნაზიაში, რომელსაც ერთ-ერთი უცხოური სახელმწიფოს ხარჯზე ინახავდნენ. დაპატიმრებულს ბრალად ედებოდა 1925 წლამდე მოსწავლეთა შორის კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური პროპაგანდა. განაჩენში მითითებულია, რომ 1925 წლიდან რ. ჩაკერტი დაუკავშირდა ერთ-ერთი უცხოური სახელმწიფოს ოფიციალურ მუშაკს, რომლის ხელმძღვანელობით 1935 წლის ჩათვლით ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას: აშუქებდა საქართველოს სკპ(ბ)-ის შიდაპარტიულ მდგომარეობას, სწავლობდა მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილის განწყობილებებს და ცნობებს ერთ-ერთ უცხოურ სახელმწიფოს (იგულისხმება გერმანია – მ.კ) გადასცემდა. ამავე დროს, ბრალდების თანახმად, ჩაკერტი ეწეოდა "გესლიან კონტრრევოლუციურ პროპაგანდას" ქართული ინტელიგენციის რეაქციულ წრეებს შორის და ინახავდა კონტრრევოლუციურ ლიტერატურას.

იმავე ბრალდებით დაკავებული სხვა პატიმრის, ემილია პფეფერის საქმეში*ინახება რ. ჩაკერტის დაკითხვის ოქმი (1935 წლის აპრილი), სადაც აღნიშნულია, რომ 1917 წელს ჩაკერტს დაუმთავრებია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ჩამოსულა თბილისში, მუშაობდა სხვადასხვა მისიაში, თან იყო პედაგოგი გერმანულ რეალურ სასწავლებელში. "აღზრდისა და გარემოს გამო ნაციონალისტი ვიყავი, – აცხადებს ბრალდებული, – ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ გავეცანი ნაციონალ-სოციალიზმის თეორიულ და პოლიტიკურ პროგრამას და სრულად მივემხრე მას. განსაკუთრებით მიტაცებდა სრულიად გერმანელობის ერთიანობის იდეა, რომელიც ტოლობის ნიშანს სვამდა უცხოეთში მცხოვრებ და გერმანიაში მცხოვრებ გერმანელებს შორის". ამავე დაკითხვის ოქმში რ. ჩაკერტს უღიარებია, რომ 1933 წლიდან ნაციონალ-სოციალისტი იყო. მას ასევე განუცხადებია, რომ თბი-

* ფონდი 6, საარქივო № 35199, ტ. 2/14, ყუთი 54 (პფეფერი ემილია და სხვ.)

ლისში არსებობდა ამიერკავკასიის გერმანელთა ცენტრალური კომიტეტი, რომლის მთავარი პოლიტიკური ამოცანა იყო აქ მცხოვრებ გერმანელთა დარაზმვა პანგერმანულ ნაციონალისტურ საფუძველზე, მომზადება კადრებისა, რომლებიც გერმანიაში სამშობლოს ხედავენ. მისი თქმით, გერმანელთა ცენტრალურ კომიტეტს კავშირი დაუმყარებია გერმანიასთან. "მე გერმანელთა თბილისის ორგანიზაციის მდივანი ვიყავი. ჩვენი მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა თბილისში გერმანიის სამხედრო დელეგაციის ყოფნის დროს", – უღიარებია რ. ჩაკერტს.

1935 წლის 22 აპრილის დაკითხვის ოქმი რაინჰოლდ ჩაკერტის საქმიანობის სხვა მხარესაც ასახავს. მისი ერთ-ერთი დავალება ყოფილა საქართველოში ნაციონალისტურად განწყობილ, საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ინტელიგენციასთან დაახლოება. ბრალდებულის თქმით, "მათმა უმრავლესობამ განათლება გერმანიაში მიიღო, განწყობილნი იყვნენ გერმანოფილურად და პოლიტიკურად გერმანიაზე იყვნენ ორიენტირებულნი". მას შემდეგ, რაც რაინჰოლდ ჩაკერტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუწყია მუშაობა, მას მოუხერხებია ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან დაკავშირება.

1935 წლის 23 აპრილის დაკითხვისას რ. ჩაკერტს უღიარებია, რომ ის გერმანიის ქვეშევრდომ ბრუნო ფრანკეს გადასცემდა პოლიტიკურ ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: 1. ქართული ნაციონალისტური ინტელიგენციის კონტრრევოლუციური და გერმანოფილური განწყობილებები; 2. ქართველი ინტელიგენციის ნაციონალისტური განწყობილებები და სეპარატისტული ტენდენციები; 3. ნაციონალ-სოციალიზმის პლატფორმაზე გადასული ქართველი ინტელიგენციის პოზიცია; 4. გერმანიაზე ორიენტირებული ინტელიგენციის ინტერვენციული განწყობილებები; 5. ინტერვენციული განწყობილებების ასახვა სტუდენტობაზე; 6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ნაციონალ-სოციალისტური და ნაციონალისტური იდეების მთავარი სანერგე; 7. ნაციონალისტური და ნაციონალ-სოციალისტურ განწყობილებები თბილისელ გერმანელებში.

გერმანოფილ, ანტისაბჭოთა განწყობილებების ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის დასახელებულნი იყვნენ: 1. ტატიშვილი ირაკლი დიმიტრის ძე – დაახლოებით 50 წლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი საერთაშორისო სამართალში, ყოფილი ანარქისტი. წარსულში მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის დირექტორი; 2. მგელაძე დიმიტრი სერგის ძე – დაახლოებით 50 წლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი; 3. იმნაიშვილი – დაახლოებით 50 წლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი, წარსულში ფედერალისტების ლიდერი. დამფუძნებელი კრების წევრი; 4. წერეთელი ა.ი. – 50 წლის, ძველი ისტორიის პროფესორი სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გერმანიაზე ორიენტირებულ, საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე პირთა შორის რ. ჩაკერტს დაუსახელებია: 1. გამსახურდია კონსტანტინე – დაახლოებით 45 წლის, მწერალი; 2. ზანდუკელი ნიკოლოზ* ზურაბის ძე – დაახლოებით 45 წლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი; 3. ჯავახიშვილი ივანე – დაახლოებით 65 წლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; 4. ნიკოლოზ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, 60 წლის, მწერალი; 5. გურჯიძე – დაახლოებით 50 წლის, გერმანული ენის მასწავლებელი.

რ. ჩაკერტისათვის უკითხავთ ჩამოთვლილი პირების შინაგან მრწამსთან დაკავშირებით, რაზეც ბრალდებულს უპასუხია: "თუ შევაჯამებთ ამ იდეურ-პოლიტიკურ მიზნებს, ისინი ასე გამოიყურება: 1. საქართველოს ჩამოშორება სსრკ-დან და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. 2. საქართველოში ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის დამყარება. 3. აუცილებლობის შემთხვევაში გერმანიის პროტექტორატის ცნობა. 4. გერმანიასთან ფართო სამეურნეო და კულტურულ-პოლიტიკური თანამშრომლობა". ქართველი გერმანოფილების მთავარ კერებად ჩაკერტს დაუსახელებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი.

რაინჰოლდ ჩაკერტის 1935 წლის 9 ივნისის დაკითხვის ოქმში გადმოცემულია ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერებისა და მწერ-

* სავარაუდოდ, უნდა იყოს მიხეილი.

ლების საერთო მრწამსი: საქართველოში "გერმანიის პროტექ-ტორატის დამყარებით გარანტირებული იქნება მისი აყვავება, როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურული თვალსაზრისით... საქართველო ვერასოდეს შეურიგდება საბჭოთა კავშირისაგან დამოკიდებულ მდგომარეობას".

გამომძიებლები დაინტერესებულან რაინჰოლდ ჩაკერტისა და კონსტანტინე გამსახურდიას ურთიერთობით, რაც ბრალდებულის 1935 წლის 22 ივნისის დაკითხვის ოქმით დასტურდება. ოქმის ტექსტიდან ცნობილი ხდება, რომ გრიგოლ რობაქიძის "გველის პერანგის" გერმანიაში წარმატების შემდეგ კ. გამსახურდიას ჩაკერტისათვის უთხოვია, გერმანულ ენაზე მისი "დიონისოს ღიმილი" ეთარგმნა. აქვე მითითებულია: "რომანი დიდერიხსის გერმანულმა გამომცემლობამ არ მიიღო. რომანზე თარგმნის პერიოდში (1927-1928 წლები) ხშირად ვხვდებოდი გამსახურდიას და ვესაუბრებოდი." საყურადღებოა ჩაკერტის შენიშვნა: "სოლოვკაში თავის ყოფნასთან დაკავშირებით ის ცოტას ლაპარაკობდა, ფრთხილად, ცხარედ. 1928 წლის შემდეგ მე მასთან ურთიერთობა სრულად გავწყვიტე. ახლა ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ვესალმებით და ვისაზღვრებით მხოლოდ ფორმალობით".

ამავე სისხლის სამართლის საქმეში ინახება რ. ჩაკერტის დასათაურებული ჩვენება "ჩემი საუბრების თემა ქართული ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთან", სადაც აღნიშნულია, რომ ბრალდებულს ყოველთვის აინტერესებდა საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება, არქეოლოგია, ეთნოგრაფია. "საქართველოში ხშირად ვმოგზაურობდი, ვაკეთებდი ფრესკების ორნამენტების, არქეოლოგიური ძეგლების ჩანახატებს, ვუღებდი ფოტოებს. მე ხშირად გულწრფელად მიკვირდა, თუ რამდენად მცირეა ქართველობის ინტერესი საკუთარი წარსულის მიმართ."

რაინჰოლდ ჩაკერტთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა 1935 წლის 17 ივნისის დაკითხვის ოქმი, რომლის დიდი ნაწილი ჩაკერტისა და გრიგოლ რობაქიძის ურთიერთობებს განიხილავს (ტექსტი ვრცლად იხ. გვ. 405-414)

ჩაკერტი აქ "მეგის" გერმანულ თარგმანზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ ის რომანს მწერლის შემოქმედებითი მუშაობის პარალელურად თარგმნიდა. მისი, როგორც მთარგმნელის, გასამრჯელო სიმბოლური ყოფილა: "მთელი თარგმანისათვის მე მივიღე 100 მანეთი... მაშინ რობაქიძეს ძალზე უჭირდა. ის აქ თავის ნაწარმოებებს თითქმის არ აქვეყნებდა და ცხოვრობდა ქართველ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ხელფასით და ჩემი ჰონორარი, რა თქმა უნდა, არანაირი ზომით არ შეესაბამებოდა სამუშაოს".

გამომძიებლები გრიგოლ რობაქიძის გერმანიაში გამგზავრების ფაქტითაც დაინტერესებულან. "ის ამაზე არასოდეს ლაპარაკობდა, მაგრამ ხშირად საუბრობდა იმაზე, რომ მას არ შეუძლია, მოსწყდეს ქართულ ბუნებას, საქართველოს, "ქართულ მიწას". მეტიც, მე ის მპირდებოდა, რომ მთელ რიგ ახალ წიგნებს ჩამომიტანდა გერმანიიდან", – უთქვამს ბრალდებულს.

რაინჰოლდ ჩაკერტის საბოლოო ხვედრი კვლავ მისი სისხლის სამართლის საქმიდან იკვეთება. 1935 წლის 13-16 ივნისს სსრკ-ის სახელით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა დახურულ სასამართლო სხდომაზე რ. ჩაკერტისა და სხვა დაპატიმრებულების საქმე განიხილა და ხსენებულ ბრალდებათა გათვალისწინებით სრულიად საიდუმლო განაჩენით რაინჰოლდ ჩაკერტს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, ქონების კონფისკაციით*. ჩაკერტის საქმეში დაცულია ასევე 1935 წლის 30 აგვისტოთი დათარიღებული ორი განცხადება, რომლებშიც ბრალდებული თავის საქციელს ინანიებს და შეწყალებას ითხოვს. ამის მიუხედავად, არაფერი შეცვლილა: რაინჰოლდ ჩაკერტის განაჩენი 1936 წლის 14 თებერვალს აღუსრულებიათ. გვამის გულდასმით დათვალიერების შემდეგ, ის დახვრეტის ადგილას დაუმარხავთ, რასაც საქმეში შემონახული აქტი ადასტურებს.

იმავე სისხლის სამართლის საქმეში დაცულია სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის სახელზე 1935 წლის 17 დეკემბერს დაწერილი განცხადება, რომელიც რაინჰოლდ ჩაკერტის

* ფ. 6, საარქივო საქმე № 35199, ტ. 12/14, ყ. 56 ჩაკერტი რ. რ. და სხვები.

მეუღლეს, ერიკა გიორგის ასულ ჩაკერტს ეკუთვნის. ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი ორ შვილთან ერთად საკუთარი ბინიდან გააძევეს. მათთვის ჩამოურთმევიათ ნივთები და პიანინო, რომელზეც ბავშვები მეცადინეობდნენ. საქმის გასაჩივრების შემდეგ 1936 წლის 8 მაისს სასამართლოს ჩამორთმეული ქონება ოჯახისათვის უკან დაუბრუნებია.

საქმეში დაცულია ჩაკერტის მეუღლის კიდევ ერთი განცხადება ყაზახეთის ქალაქ ჯამბულიდან (დათარიღებულია 1962 წლის 8 მარტით), რომლიდანაც ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი 1938 წელს დაუპატიმრებიათ და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯიათ. "მე და ჩემი ქმარი უდანაშაულოდ დავისაჯეთ, ამიტომ გთხოვთ, გაარკვიოთ ჩვენი საქმეები და მოხდეს ორივე ჩვენგანის რეაბილიტაცია", – უთხოვია ე. ჩაკერტს.

ერიკა ჩაკერტის თხოვნა არ დაუკმაყოფილებიათ. "ამ საქმეთა გადახედვის და თქვენი ქმრისა და თქვენი რეაბილიტაციის საფუძვლები არ გაგვაჩნია", – უცნობებიათ განმცხადებლისთვის.

რაინჰოლდ ჩაკერტის ვრცელი სისხლის სამართლის საქმე მრავალმხრივაა საყურადღებო. მასში დაცული უცნობი დოკუმენტური მასალის გათვალისწინება იმდროინდელი წინააღმდეგობრივი მოვლენების ობიექტურ და სიღრმისეულ გააზრებას შეუწყობს ხელს.

დამოწმებანი:

რობაქიძე 2012: რობაქიძე, გრ. *ნაწერები,* წ. IV (გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ). თბილისი: "ლიტერატურის მუზეუმი", 2012.

მანანა კვატაია

ერთი დაშიფრული წერილის კვალდაკვალ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში და-ცულია **ვასილ ჩიტაიშვილის** სისხლის სამართლის საქმე*, რომელშიც ინახება უცნობი დოკუმენტები 1924 წლის 31 აგვისტოსა და 1 სექტემბრის ღამეს საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანებით ბათუმში დახვრეტილი ადამიანების (ერთ-ერთი მათგანი თვითონ ვასილ ჩიტაიშვილია) და ამ სისხლიანი მოვლენების პრეისტორიის შესახებ.

ვ. ჩიტაიშვილის დაპატიმრების ორდერი 1924 წლის 17 ივლისით თარიღდება (მას ხელს აწერს აჭარის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე). საქმეში არსებული წინასწარი დადგენილება იუწყება: „1924 წლის 17 ივლისს მე, აჭარის საგანგებო კომისიის რწმუნებულის მოადგილემ განვიხილე წინასწარი მასალა მოქალაქე ვასილ ჩიტაიშვილზე, 27 წლის, კონტრრევოლუციის ბრალდებით, რომელიც გამოიხატებოდა მისი მენშევიკების პარტიისადმი კუთვნილებით და აქტიური მუშაობით".

საიდუმლო განყოფილების 1924 წლის 11 აგვისტოს ოქმის მიხედვით, ვასილ ჩიტაიშვილი წარმოშობით ოზურგეთის მაზრიდანაა, არაფრის მქონე, უცოლო, გლეხების ოჯახიდან, პროფესიით მიწისმზომელი-მასწავლებელი, საშუალო განათლებით, უსწავლია მიწისმზომელთა სასწავლებელში, საბჭოთა

* ფონდი 6, საარქივო № 22272, ყუთი 55.

ხელისუფლებამდე ოზურგეთში მასწავლებლობდა. 1922 წლის მაისიდან ის ცხოვრობდა არალეგალურად, არ მსახურობდა. 1916 წლიდან ვ. ჩიტაიშვილი გაერთიანებულა არალეგალურ მარქსისტთა ორგანიზაციაში, 1917 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) წევრი ყოფილა. ბრალდებულს უღიარებია, რომ 1922 წლის მაისიდან მენშევიკების გურიის ორგანიზაციაში მუშაობდა, იყო გურიის კომიტეტის მდივანი. მისი პარტიული მეტსახელები ყოფილა: "გლახუნა", "აბრაგი", "თარხანი". 1924 წლის აპრილის შუა რიცხვებიდან ვასილ ჩიტაიშვილი კოტე ანდრონიკაშვილის დავალებით თბილისში იმყოფებოდა. აქ მის-თვის მეტსახელად "სოლომონი" შეურქმევიათ. "აჭარაში ვხელ-მძღვანელობდი სამხედრო ორგანიზაციას", – უღიარებია ბრალდებულს.

დაპატიმრებისას საგანგებო კომისიას ვასილ ჩიტაიშვილისათვის აღმოუჩენია პროკლამაცია (ქართულ ენაზე): "საქართველოს მშრომელ ხალხს", რომლის მეორე ნაწილში ნათქვამია: "ქართველი ხალხი თავისას არ იშლის და განაგრძობს ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ. და აი, დღეს, როდესაც საქართველოს განთავისუფლების საკითხი ამა თუ იმ სახით უნდა წამოიჭრას ლონდონის კონფერენციის წესრიგში, მოსკოვის მოსყიდული აგენტები მიმართავენ ყოველ საშუალებას, რომ ხელიდან არ გაუშვან გემრიელი ლუკმა. ისინი გრძნობენ, რომ ადრე თუ გვიან უნდა აიბარგონ საქართველოდან... კომუნისტები კარგად გრძნობენ ამას და ღრინავენ ცოფიანი ძაღლებივით. ისინი ვერ გაძღნენ ქართველი ხალხის სისხლით. მათ კიდევ სისხლი სწყურიანთ. მოთმინებიდან გამოსული ხალხი მათ უნდათ, პროვოკაციის ანკესს წამოაგონ და სისხლში ჩაახშონ განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში.

ძირს საზიზღარი პროვოკატორები!

ძირს რუსის ჯარების საოკუპაციო მთავრობა!

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ივლისი, 1924 წ."

ვასილ ჩიტაიშვილის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია ასევე დღემდე უცნობი უმნიშვნელოვანესი საიდუმლო დოკუმენტი: დაშიფრული წერილი (1 გვერდი, მანქანაზე ნაბეჭდი), რომელიც 1924 წლის 13 ივნისით თარიღდება. წერილი უჩვეულო ფორმისაა: ტექსტის დიდი ნაწილი ციფრებია, ზოგიერთი ციფრის ქვეშ კი ხაზია გასმული, მხოლოდ რამდენიმე ფრაზა იკითხება: "ამხანაგებო, თქვენი წერილობითი მოხსენება მივიღეთ". ბოლოს კი წერია: "სალამი" (შემდეგ ისევ ციფრები მოსდევს). წერილის მეორე მხარეს მინაწერია: "არჩილი. ადრესატი: ბეტო. 17 ივნისი, 1924 წელი".

როგორც ვხედავთ, ვ. ჩიტაიშვილის დაპატიმრებისას საგანგებო კომისიას ხელთ უმნიშვნელოვანესი საიდუმლო დოკუმენტი ჩაუვარდა და მისი გაშიფრვისა და შინაარსის გაგებისათვის ჩეკისტები ძიებას ოპერატიულად შეუდგნენ.

ამავე საქმეში ინახება ოფიციალური მიმართვა (სრულიად საიდუმლოდ. ნაბეჭდი, რუსულად) საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საგამოძიებო ოპერატიული ნაწილის უფროსის ლავრენტი ბერიასადმი: „ამასთან ერთად გეგზავნებათ მასალა, აღმოჩენილი ა.წ. 16.VII 27 წლის ვასილ ალექსანდრეს ჩიტაიშვილის დაპატიმრების დროს". მიმართვას ხელს აწერენ: აჭარის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ქავთარაძე, საგანგებო კომისიიდან ჟუკოვი (საგამოძიებო-ოპერატიული ნაწილის უფროსი).

1924 წლის 22 ივლისის ოფიციალურ საპასუხო წერილში, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ე. კვანტალიანი და საიდუმლო კომისიის უფროსი მოროზი, ნათქვამია: "საგანგებო კომისიის საგამოძიებო-ოპერატიული ნაწილი კატეგორიულად ითხოვს, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, გამოავლინოთ მთელი სამხედრო ორგანიზაცია ჩიტაიშვილის მეშვეობით და დაამუშავოთ ყოველი მხრიდან". დანართი: ხსენებული დაშიფრული წერილი 1 ნახევარ ფურცელზე.

ვასილ ჩიტაიშვილის საქმეში ინახება თვით ამ დაშიფრული წერილის ტექსტი, რომელიც 1924 წლის 21 ივლისს გაუშიფრავს ჯალაღონიას (13.VI. რუსულად, მანქანაზე ნაბეჭდი):

"ამხანაგებო!

მივიღეთ თქვენი წერილობითი მოხსენება.

დამკომი (დამოუკიდებლობის კომიტეტი – მთარგმნელი) გაეცნო მას. თქვენი მუშაობა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ერთი კი ნათელია, რომ მტრის ძალა საგრძნობლად აღმატებულია.

ჩვენ არაერთხელ მივაქციეთ თქვენი ყურადღება იმას, რომ როგორი კარგი კავშირიც არ უნდა გქონდეთ ქართულ ლეგიონთან, ამაზე მაინც არ უნდა დაამყაროთ თქვენი იმედი.

პირველივე დამრტყმელი მომენტისთანავე ის თქვენს მხარეზე გადმოვა, როგორც კი მას ფაქტის წინაშე დააყენებთ. ის წარმოადგენს ჩვენს ძალას, მაგრამ მხოლოდ გამარჯვების მეორე დღეს.

ამიტომ ჩვენ პირველ ღამეს საკუთარი შეიარაღებული ძალებით უნდა მოვემზადოთ.

კარგს იზამთ, თუ შექმნით ცალკე, ოფიცერთა რაზმს, მაგრამ ფრთხილად, მოღალატეებმა არ შემოაღწიონ.

კატოს მოხსენებიდან ვიცით – რაზმისათვის არა გაქვთ იარაღი და საჭიროა შესაბამისი თანხები. ჩვენ პირველ რიგში ყურად ვიღეთ ეს გარემოება. პრეზიდიუმმა ისიც კი გადაწყვიტა, რომ იმ თანხიდან, რომელიც ბათუმში მივიღეთ, თქვენს განკარგულებაში გადმოვრიცხოთ 600 ლირა, შემდეგ კი, როდესაც ჩვენს ხელში სხვა თანხაც მოხვდება, კიდევ გამოგიგზავნით.

შეადგინეთ სამხედრო ამოცანა (სტრატეგია – მთარგმნელი) და შეუდექით შესწავლას.

სალამი დამკომის (დამოუკიდებლობის კომიტეტის) თავმჯდომარისაგან. არჩილი". შენიშვნა: მეორე მხარეს დაწერილია კატოს მისამართი და თარიღი: 17 ივლისი, 1924.

ეს ტექსტი ბრალდებულ ვასილ ჩიტაიშვილსაც წაუკითხავს: „ხელწერილი (წითელი მელნით, რუსულად). გაშიფრული წერილი, არჩილის ხელმოწერით, ამის მეორე მხარეს არსებული, ამა წლის 13-VI-ის თარიღით, აღმოჩენილი ჩემი დაპატიმრების დროს, წაიკითხა ვასო ჩიტაიშვილმა, რასაც საკუთარი ხელით ვაწერ ხელს. ვასო ჩიტაიშვილი. 24.VII. – 24. ესწრებოდა ჟღენტი".

როგორც ვხედავთ, დაშიფრულ წერილში უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია ინახებოდა 1924 წლის ზაფხულში აჭარაში შეიარაღებული ამბოხების მომზადების თაობაზე. აქვე ქართული ლეგიონიც იყო მოხსენიებული, რომელსაც, როგორც ჩანს, გამოსვლების დროს განსაკუთრებული მისია ენიჭებოდა. წერილის შინაარსის გაცხადებისთანავე საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლავრენტი ბერიას აჭარის საგანგებო კომისიისათვის გაუგზავნია ტელეგრამა (რუსულად. ნაბეჭდი): "გადაეცით ქავთარაძეს. გთავაზობთ, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, ჩიტაიშვილის მეშვეობით გამოავლინოთ მთელი სამხედრო ორგანიზაცია ბათუმში, ოზურგეთში. შედეგები მაცნობეთ. 18.VII".

დაშიფრული წერილის შინაარსი შეთქმულთა მიზნებს ააშკარავებდა და, ბუნებრივია, აჭარის საგანგებო კომისია ლ. ბერიას ბრძანების სასწრაფოდ აღსრულებას შეუდგა.

ვ. ჩიტაიშვილის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია ხელწერილი, სადაც პატიმარს თავდაპირველად აღუნიშნავს, რომ მენშევიკების პარტიაში მუშაობისას მას სამხედრო ორგანიზაციასთან კავშირი არ ჰქონია. ამასთან, დაკითხვის ოქმის მიხედვით, ის იძულებული გამხდარა, ზოგიერთი დეტალი ეღიარებინა: "კოტე ანდრონიკაშვილს შევხვდი დიდუბის რაიონში (ქუჩა და სახლი არ მასხოვს).. მე ბათუმში ვმუშაობდი "მოუსვენარისა" და "კატოს" მეტსახელებით. "KATO" მეტსახელით კავშირი მქონდა თბილისში. ამას გარდა, ბევრი მე დათიკოს მეძახდა".

საყურადღებოა 1924 წლის 11 აგვისტოს დაკითხვის ოქმის ის ნაწილი, სადაც დაშიფრული წერილის კოდზეა საუბარი. ვ. ჩიტაიშვილს დაუსახელებია ის წიგნები, რომლებითაც წერილების დაშიფრვისას სარგებლობდა:- "I. ჟურნალი "ცისარტყელა", 1920, 12. 2. ბაქრაძის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ქართულ ენაზე), 3. ბებელის "ქალი და სოციალიზმი"(ქართულ ენაზე). 4. კოოპერაცია იტალიაში (ქართულ ენაზე), 5. ჟურნალი "შვიდი მნათობი" – ცეკავშირის გამოცემა (ქართულ ენაზე). ჩანს, ზეწოლის შედეგად პატიმარი იძულებული გახდა, დაწვრილებოთ აეხსნა დაშიფრული წერილის კოდი.

1924 წლის 31 აგვისტოს დაკითხვის ოქმის მიხედვით, ვასილ ჩიტაიშვილს უღიარებია, რომ მას ბათუმში მდგარ ქართულ ლეგიონთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა, სამხედრო ორგანიზაცია კი აკაკი რამიშვილისაგან ჩაიბარა. გამომძიებლის კითხვაზე, თუ როგორ უყურებს იგი შეიარაღებულ აჯანყებას, – ჩიტაიშვილი პასუხობს: "დიდად აღელვებული, გულით აღშფოთებული ვარ და პროტესტს ვაცხადებ. აღნიშნული ფაქტის გამო კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი შეიარაღებული აჯანყებისა. შეიარაღებულ აჯანყებას ვთვლი საშინელ ავანტიურად და პროვოკაციად. ქართული საკითხის გადაჭრა შესაძლებლად მიმაჩნია მხოლოდ საერთაშორისო სახალხო სოციალისტური დემოკრატიის დახმარებით"*.

1924 წლის 26 აგვისტოს ბათუმში ვ. ჩიტაიშვილს დაუწერია "წერილი რედაქციას", სადაც პატიმარი აცხადება, რომ ის არ თანაუგრძნობს ავანტურისტულ შეთქმულებას და კავშირს წყვეტს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. "საქართველოს საკითხი, რომელიც უკვე გახდა ერთ-ერთი რგოლი საერთაშორისო საკითხების ჯაჭვში, თავის ჭეშმარიტ გადაწყვეტას პოვებს მხოლოდ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ჩარევის მეშვეობით", – წერს ჩიტაიშვილი.

ამ ლოიალური განცხადების მიუხედავად, 1924 წლის 30 აგვისტოს საიდუმლო კომისიის რწმუნებულის თანაშემწე სიმკინს განუხილავს ვ. ჩიტაიშვილის საგამოძიებო საქმე "მენშევიკებთან კავშირის, აქტიური არალეგალური მუშაობის და შეიარაღებული აჯანყების მომზადების" ბრალდებით. დადგენილებაში მითითებულია: "საქმეში არსებული საგამოძიებო მასალებიდან ჩანს, რომ ჩიტაიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე იყო მენშევიკების სამხედრო ორგანიზაციის თავმჯდომარე და სამხედრო პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე, კავშირი ჰქონდა თბილისის პარიტეტულ კომიტეტთან ამ მიზნით, არალეგალურად ჩამოვიდა ბათუმში ა.წ. აპრილში".

ხსენებული ბრალდებების საფუძველზე და შექმნილი ვითარების გამო ვასილ ალექსანდრეს ძე ჩიტაიშვილისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხ-

* ფონდი 6, საარქივო № 22272, ყუთი 55.

ლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად გამოუყენებიათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

საგანგებო კომისიის ოპერატიული მუშაობის შედეგად შეთქმულთა სამხედრო ორგანიზაციის შემადგენლობაც გამოვლენილა. ვ. ჩიტაიშვილის საქმეში დაცულია აჭარის საგანგებო კომისიის კოლეგიის 1924 წლის 30 აგვისტოს სხდომის ოქმი (რუსულად). კოლეგიაზე აჭარისტანის ტერიტორიაზე შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციის ბრალდებით განუხილავთ დანაშაულის ფაქტი 23 პირთან მიმართებით. მათ შორის მე-2 ნომრად იყო დასახელებული ვასილ ჩიტაიშვილი, ბრალდებული იმაში, რომ "ის იყო მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული, ბათუმის კომიტეტის წევრი, ხელმძღვანელობდა სამხედრო ორგანიზაციას, ცხოვრობდა არალეგალურად და მთელ თავის მუშაობას მიმართავდა საბჭოთა. ხელისუფლების დამხობისათვის შეიარაღებული აჯანყების გზით".

შეთქმულებაში ეჭვმიტანილ პირებს მძიმე ბრალდებები წაუყენეს. 1924 წლის 30 აგვისტოს სხდომის ოქმის მიხედვით, მათ "იარაღით ხელში დაანგრიეს სატელეგრამო-სატელეფონო ხაზები, ასევე, რკინიგზის ხაზი, დახოცეს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები". მათი დანაშაული დამტკიცებულად გამოცხადდა და დაადგინეს: "ყველას, ზემოთ ჩამოთვლილებს, 23 კაცის ოდენობით (სია თან ერთვის, – მ.კ), მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, ქონების კონფისკაციით, რაზეც სასწრაფოდ ვითხოვთ საქართველოს საგანგებო კომისიის სანქციას."

ვასილ ჩიტაიშვილის საქმეში ინახება ამონაწერი (რუსულად) აჭარის ასსრ ცენტრალური საგანგებო ხუთეულის სხდომის 2 ოქმიდან (1924 წლის 31 აგვისტო). სხდომას ესწრებოდნენ:. ხიმშიაშვილი, ქავთარაძე, წითლაძე, ჩაჩბა, ახალაძე, ტადუნოვი, კილაძე (თავმჯდომარე: ხიმშიაშვილი, მდივანი: გამყრელიძე).

სხდომაზე მოუსმენიათ აჭარისტანის საგანგებო კომისიის შუამდგომლობა, რათა სანქცია გაეცათ მიხა საბაშვილის, ვასო ჩიტაიშვილის და კუკური ჩიქოვანის, როგორც მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრების და მუშურ-გლეხური ხელისუფლების ბანდიტური აჯანყების მეთაურთა – დახვრეტაზე.

ქავთარაძის მოხსენების საფუძველზე მათი დახვრეტა სანქცირებულ იქნა.

იმავე შემადგენლობის სხდომის ოქმის (31.VIII) მიხედვით, სანქცია გაუციათ ასევე "21 კაცის, პოლიტიკური პატიმრების, მენშევიკური ბანდიტების, ყოფილი გენერლების, პოლკოვნიკების, თავადთა დახვრეტის თაობაზე".

აჭარის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ოფიციალური წერილით მიუმართავს აჭარის საგანგებო კომისიის მდივნისათვის: "წინადადება გეძლევათ ა.წ. 31 დან 1 სექტემბრის ღამეს აღასრულოთ სასიკვდილო განაჩენი ქვემოთ ჩამოთვლილ პატიმრებზე, 23 კაცის ოდენობით".

ვასილ ჩიტაიშვილის საქმეში ინახება აქტი (რუსულად), სადაც აღნიშნულია, რომ 1924 წლის 31 აგვისტოსა და 1 სექტემბრის ღამის 3 საათზე დახვრიტეს 23 კაცი (იქვე მათი გვარებია ჩამოთვლილი). "გულმოდგინე დათვალიერების შემდეგ გვამები დახვრეტის ადგილზე დაიმარხნენ", – აღნიშნულია აქტში. იმ ავბედით ღამეს ბათუმში ზვარაკად შეწირულ პატრიოტთა შორის იყო ვასილ ჩიტაიშვილიც.

იმავე სისხლის სამართლის საქმეში დაცულია რვეულში ჩაწერილი ვასილ ჩიტაიშვილის დღიურები: "ნაფიქრ-ნააზრევი" (ხელნაწერი, ავტოგრაფი), რომელსაც უზის თარიღი: 25.IV.1924. ბოლო ჩანაწერი 1924 წლის 11 აგვისტოთი თარიღდება. ამ ტექსტებში ავტორის სულიერი ბიოგრაფიის მომენტები იკვეთება. სულისშემძვრელია ჩანაწერების ის ფრაგმენტები, რომლებიც ციხეში ყოფნის პერიოდში ვ. ჩიტაიშვილის ფიქრებს და განცდებს გადმოსცემს.

ზოია ცხადაია

აპოლონ ბალანჩივაძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის საქმეთა საარქივო მასალებში აღმოჩნდა აპოლონ მელიტონის ძე ბალანჩივაძის რამდენიმეგვერდიანი საქმე.*

ამონაწერი აპოლონ ბალანჩივაძის დაპატიმრების ოქმიდან:

აპოლონ მელიტონის ძე ბალანჩივაძე, 42 წლის, კომპოზიტორი (დაბ. 1886 წ.)

გაიანე დავითის ასული ბალანჩივაძე – დედა, 63 წლის.

მელიტონ ანდრიას ძე ბალანჩივაძე – მამა, 68 წლის.**

კლავდია იაკობის ასული ურიცკაია – ცოლი, 29 წლის.

ნინა მელიტონის ასული კორძაია – და, კონცერტმეისტერი, 46 წლის.

ოქმში აღნიშნულია, რომ აპოლონ ბალანჩივაძეს დამთავრებული ჰქონია ქ. უფის ჟანდარმერიის სასწავლებელი; 1914-15 წლებში იგი მუშაობდა

---

* ფონდი 6, საარქივო № 2883, ტომი 2, ყუთი 26.

** აქ დაშვებულია ორი უზუსტობა: ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, მელიტონ ბალანჩივაძე შვილის დაპატიმრების დროს 66 წლის იყო, ვინაიდან მისი დაბადების წელია 1862 წ. ოქმში შეცდომითაა აღნიშნული მელიტონის მამის სახელიც: ერობაში მას ამირანი ერქვა, მღვდლად კურთხევის შემდეგ – ანტონი. მელიტონ ბალანჩივაძე საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც ანტონის ძე. საქართველოს ეროვნულ არქივში (**ფონდი 489, საქმე № 733, ფ. 27**) აღმოჩნდა მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძის და გაიანე გიორგის ასულ ერისთავის ქორწინების მოწმობა, რომლის თანახმად, მათ ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. მათ ეყოლათ ქალ-ვაჟი: ნინო და აპოლონი. მართალია, მოგვიანებით წყვილი განქორწინდა, მაგრამ მელიტონს არასოდეს შეუწყვეტია ვაჟიშვილთან ურთიერთობა.

ოფიცრად პეტროგრად-ფინეთის „სტანციაზე“. შემდეგ რამდენ-ჯერმე შეიცვალა სამუშაო ადგილი. 1923 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის ფოთში დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათა-ვისუფლეს. 1928 წელს იგი ხელახლა დაუპატიმრებიათ. გაასა-მართლა გაერთიანებული სამმართველოს კოლეგიამ.

ბრალად წაუყენეს: „დამალა, რომ მსახურობდა ჟანდარმერ-იის კორპუსში. ცოტა ხანს უცხოვრია თეთრგვარდიელთა ტერი-ტორიაზე. მას შემდეგ, რაც გამოიცა ბრძანება, რომ თეთრგ-ვარდიელებთან მომსახურე ან თეთრების ტერიტორიაზე მცხ-ოვრებ ოფიცრებს სათანადო რეგისტრაცია უნდა გაევლოთ, მან თავი აარიდა რეგისტრაციას”.

დაადგინეს: მიესაჯოს გადასახლება 5 წლით სოლოვკის სა-კონცენტრაციო ბანაკში.

1928.VIII.

1928 წლის ოქტომბერში აპოლონ ბალანჩივაძეს სასჯელი 3 წლამდე შეუმცირეს, გადასახლების ადგილი კი უცვლელი დატოვეს. 1931 წლის 28 მარტს მას მიუსაჯეს გასახლება ჩრდილოეთ მხარეში, 1939 წლის 5 მაისს კი ისევ მისცეს პა-სუხგებაში გაურკვეველი მიზეზით. 1942 წლამდე აპოლონ ბალანჩივაძის ბედი და ადგილსამყოფელი გაურკვეველია. სშსს არქივის მასალების მიხედვით, 1942 წელს იგი დუშეთის შინსახკომმა დააპატიმრა პოლიტიკურ–კონტრრევოლუციური აგიტაციის ბრალდებით, 1943 წლის 1-ლ ივნისს ამიერკავკასი-ის სამხედრო ფრონტის საბჭოს დადგენილებით იგი გაასახლეს ყაზახეთში. 1949 წლის 24 დეკემბერს სამხედრო ტრიბუნალმა იგი გაათავისუფლა.

საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულია აპოლონ ბალანჩივაძის ხელნაწერი ავტობიოგრაფია (შედგენილი 19. IV.1966 წ), რომლის მიხედვითაც, მას 1904 წელს პეტერბურგ-ში დაუმთავრებია საშუალო სასწავლებელი და დიდი თავადი ვლადიმირის სახ. სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხულა. იმავე წელს წასულა რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც ორი წელი დაუყვია.

იქიდან დაბრუნებულს, სწავლა ისევ ვლადიმირის სახ. სამხედრო სასწავლებელში გაუგრძელებია. 1909 წელს გაუმწესებიათ 112-ე ფეხოსან ლეგიონში ქ. კალვარიაში. 1918 წელს იბრძოდა სპარსეთის ფრონტზე, საიდანაც პოდპოლკოვნიკის ჩინით დაბრუნებულა. 1919 წლის ჩათვლით მსახურობდა სხვადასხვა ლეგიონში... როგორც თვითონ აღნიშნავს, 1941 წელს დაუპატიმრებიათ. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სამოღვაწეოდ სასულიერო სფერო აირჩია და სიცოცხლის ბოლომდე ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიაში პროტოდიაკვნად მსახურობდა.

ავტობიოგრაფიაში აპოლონ ბალანჩივაძე დუმილით უვლის გვერდს 1920–30–იანი წლების დაპატიმრებების ფაქტებს. ჩანს, 80 წლის ასაკშიც კი იგი ფრთხილობდა თავისი „თეთრგვარდიული“ წარსულის გამო...

აპოლონ ბალანჩივაძის გარდაცვალების თარიღი უცნობია. დასაფლავებულია ქუთაისში, პეტრე-პავლეს ეკლესიის ეზოში.

ადა ნემსაძე

სოლომონ ქურდიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მეტყევე-სელექციონერი, დენდროლოგი **სოლომონ ზაქარიას ძე ქურდიანი** დაიბადა 1867 წლის 6 მარტს (ძვ. სტილით 18 მარტს) სოფ. საგარეჯოში, მღვდლის ოჯახში. დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი თბილისში და 1896 წელს სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პოლონეთში, სადაც უმაღლესი განათლება მიიღო ნოვოალექსანდრიის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის ინსტიტუტში. 1900 წელს, სწავლის დასრულების შემდეგ, კათედრაზე ასისტენტად დარჩა. ამ პერიოდში იგი ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა ტყის მერქნიან ჯიშთა სელექციაში, რაც ფუნდამენტური შრომის გამოქვეყნებით დასრულდა და მეცნიერს აღიარება მოუტანა. 1903 წლიდან ს. ქურდიანი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა – ორი ათეული წლის განმავლობაში კითხულობდა დენდროლოგიის კურსს. პოლონეთის შემდეგ მოღვაწეობა რუსეთში გააგრძელა. 1912 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა დენდროლოგიის სახელმძღვანელო. მიუხედავად ინტენსიური პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა რუსეთში, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოსთან, ბორჯომ-ბაკურიანის ტყეებში ჩამოჰყავდა ხოლმე სტუდენტები სასწავლო პრაქტიკისათვის.

მაგალითად, 1903 წლის 4 ივნისის გაზეთ „ცნობის ფურცელის“ (№ 2170, გვ. 2) *ახალი ამბების* რუბრიკაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ სატყეო ინსტიტუტის სტუდენტებსა და პროფესორებს, მათ შორის ს. ქურდიანს, სურვილი ჰქონიათ კავკასიაში ჩამოსვლისა.

1918 წელს სოლომონ ქურდიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელ პროფესორთა შორისაა, ივანე ჯავახიშვილის მოწვევით საქართველოში ბრუნდება და ახლადგახსნილ უნივერსიტეტში ბოტანიკის კათედრაზე პროფესორის თანამდებობას იკავებს, ამავდროულად აგრძელებს აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მისი ძალისხმევით თბილისის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს გადაეცა ბორჯომში (ლიკანში) რუსეთის დიდი მთავრის სასახლის სატყეო მუზეუმი და მდიდარი წიგნსაცავი. 1923 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა სატყეო-საკურორტო სამმართველო, რომლის განკარგულებაში არსებული ტყეების აგეგმვა-მოწყობა მიენდო ს. ქურდიანს. იგი მთავრობის სპეციალური დავალებით მუშაობდა კოლხეთში, სადაც ჭაობის ამოშრობის შემდეგ არსებული ნიადაგისთვის შესაფერისი ტყის მერქნიანი ჯიშები უნდა შეერჩია და გაეშენებინა. 1929 წელს შეიქმნა ცენტრალური სატყეო საცდელი სადგური, რომლის დირექტორადაც პროფესორი სოლომონ ქურდიანი დაინიშნა. აქ იგი აგრძელებდა რუსეთში დაწყებულ ტყის სელექციის, ჰიბრიდიზაციისა და აკლიმატიზაციის დარგში მიღწეული წარმატებების დანერგვა-გადმოტანას. სწორედ მისი ძალისხმევით დაარსდა ბიჭვინთის, ბაწარის, ბორჯომის, ლაგოდეხის, ელდარის, ნაღვარევის, მარიამჯვრის ნაკრძალები. მას მეცნიერული კონტაქტები ჰქონდა მიჩურინთან, მან შეაჯვარა დაფნის ხე და კაკალი, რის შედეგადაც ახალი ჯიშის კაკალი მიიღო. საქართველოს სუბტროპიკული ზონისათვის შემოიტანა რამდენიმე უცხო მერქნიანი ჯიში: ევკალიპტი, სეკვოია, ლირიოდენდრონი. სპეციალურად სწავლობდა ფიჭვის შიდასახეობებს. პოლონეთში 80-იან წლებში აღმოაჩინეს ქურდიანის მიერ ჩატარებული ცდების აღწერილობა, მოსალოდნელი შედეგები და წინასწარი გათვლები, რამაც ცხადი გახადა, რომ დიდმა ქართველმა მეცნიერმა დროს გაუსწრო, დრომ კი მისი წინასწარი გათვლების სისწორე დაადასტურა.

1921 წელს ს. ქურდიანის უშუალო მონაწილეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა აგრონომიული ფაკულტეტი, რომლის ბაზაზეც 1930 წელს შეიქმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (იგი იყო ამ ინსტიტუტის დენდროლოგიის, სატყეო ტაქსაციისა და სატყეო მეურნეობის კათედრის გამგე და სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანი). 1933 წელს მისივე ინიციატივით დაარსდა საქართველოს სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი, სადაც დენდროლოგიისა და ბოტანიკის კათედრას ხელმძღვანელობდა.

სატყეო დარგში ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა სწორედ სოლომონ ქურდიანის სახელს უკავშირდება: 1922 წელს მან გამოსცა „მეტყევეობის ენციკლოპედიური კურსი“, 1931 წელს – „დენდროლოგიის სახელმძღვანელო“, ასევე ვრცელი მონოგრაფია „ცივგომბორის ქედისა და იორ-ალაზნის მდინარეთა ჭალის ტყეები“, რომელიც მისივე გადაღებული ფოტოსურათებითაა ილუსტრირებული. აქვეყნებდა სამეცნიერო შრომებს ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე.

1931 წელს, საკავშირო მთავრობის დადგენილებით, საქართველოსა და რუსეთის ტყეები ერთ საექსპლოატაციო ზონად გამოცხადდა, რასაც მოჰყვა ტყეების უგეგმოდ ჩეხა. ს. ქურდიანმა მეცნიერული კეთილსინდისიერებით თამამად გაილაშქრა ამ მავნებლური გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მისი აზრით, ტაიგის მსგავსად, მთიან რაიონებში ტყის გაჩეხა მეწყერებს, ღვარცოფებსა და ეროზიას გამოიწვევდა. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფესორი საჯაროდ გამოთქვამდა თავის კრიტიკულ თვალსაზრისს, რაც, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩენია იმდროინდელ ხელისუფლებას.

1937 წელს 70 წლის დამსახურებული პროფესორი დააპატიმრეს „ხალხის მტრის“ ბრალდებით. დასწამეს, რომ იყო წევრი კონტრრევოლუციური „ქართული ნაციონალური ფრონტისა“, რომელიც მიზნად ისახავდა ინდივიდუალურ ტერორს კომუნისტური პარტიის (ბ) ხელმძღვანელთა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გარდა ამისა, მას მეცნიერებაში ანტისაბჭოთა მუშაობა და სტუდენტთა ნაციონალისტური აღზრდაც დასწამეს.

შინსახკომის სამეულის გადაწყვეტილებით 1937 წლის 10 ნოემბერს სოლომონ ქურდიანს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით. მისი ნაშრომები ამოიღეს და გაანადგურეს. სამეულმა გადაწყვეტილება გამოიტანა 1937 წლის 10 ნოემბერს, ხოლო 2 დღის შემდეგ, 1937 წლის 12 ნოემბერს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა 30-იან წლებში რეპრესირებულთა საქმეების გადასინჯვა დაიწყო, სოლომონ ქურდიანის საქმესაც გადახედეს, 1956 წლის აგვისტოში განაჩენი გააუქმეს და ღვაწლმოსილი მეცნიერი რეაბილიტირებულად გამოაცხადეს.

დამოწმებანი:

დვალი ... 2014: დვალი ი. ქურდიანი გ. *სვანეთი და სვანები.* თბილისი: 2014.

სანაძე ... 1996: სანაძე გ. და სხვ. განძი არ უნდა დაიკარგოს! *გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“*, 12 ივლისი, № 138, 1996.

ქობულია 2007: ქობულია ს.საქართველოს ბუნების დაცვას შეწირული მეცნიერი. *გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“*, 16 მაისი, № 92, 2007.

ფონდი 6, საარქივო № 371058-07, ტომი 3, ყუთი № 219, ქურდიანი სოლომონ ზაქარიას ძე

ძიებამ დაადგინა:

1937 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (НКВД) აღმოაჩინა და ლიკვიდაცია უყო კონტრრევოლუციურ „ქართულ ნაციონალურ ცენტრს“, რომელიც მიზნად ისახავდა ინდივიდუალურ ტერორს კომუნისტური პარტიის (ბ) ხელმძღვანელთა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ცენტრს კავშირი ჰქონდა მავნებლურ ორგანიზაციასთან, რომლის ერთ-ერთი წევრი იყო ს. ზ. ქურდიანი. ქურდიანი ეწეოდა ანტისაბჭოთა მუშაობას მეცნიერების დარგში სატყეო რესურსების ხაზით. ამავე დროს, ქურდიანი მავნებლური მიზნით არ ამუშავებდა

აქტუალურ თემებს, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა დღევანდელი დღისათვის. ეს ჯგუფი ეწეოდა სტუდენტთა ნაციონალურ აღზრდას, რითაც აყალიბებდნენ მათ შოვინისტურ ელემენტებად, ამით ისინი ამზადებდნენ კადრებს მავნებლური მუშაობისთვის სატყეო მეურნეობაში, რისთვისაც ფართოდ იყენებდნენ სამეცნიერო მეთოდებს და თვით ინსტიტუტსაც, როგორც ერთადერთ სამეცნიერო ავტორიტეტს.

ბრალდება: 1. ქურდიანი ს. ზ. არის კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის წევრი;

2. იგი ეწეოდა კონტრრევოლუციურ საქმიანობას ტყის ექსპლუატაციის, ტყეთმოწყობის და სატყეო რესურსების დამალვის სფეროში.

ბრალდება გათვალისწინებულია 58.7, 58.10 და 58. 11 მუხლებით. თავი დამნაშავედ არ ცნო. სამეულის გადაწყვეტილებით 1937 წლის 10 ნოემბერს მიესაჯა დახვრეტა. 1956 წლის აგვისტოში განაჩენი გაუქმებულია და რეაბილიტირებულია.

ილია ლოლუას საქმე*

საქმის მასალებით, ილია ლოლუა 1900 წელს ფოთში დაბადებულა, 1937-1938 წლებში გერმანიაში სწავლობდა. ბრალდების მიხედვით, ის იყო "ფაშისტური ტერორისტული დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური ორგანიზაცია "თეთრი გიორგის" აქტიური წევრი". სსრკ-ში დაბრუნების შემდეგ მან სხვა პირებთან ერთად მუშაობა გააჩაღა საქართველოში "თეთრი გიორგის" ორგანიზაციის დაარსებისათვის. დაკითხვისას მას უღიარებია "თეთრი გიორგის" მიზნები: 1. საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით. 2. საქართველოში ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის დამყარება. 1936 წელს მას სამხედრო ტრიბუნალმა 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა, ქონების სანახევრო კონფისკაციით. ილია ლოლუას საქმეში დაცულია ჩვენება ნიკოლოზ ასათიანისა, რომელიც მიუთითებს, რომ 1918-1924

* ფონდი 6, საარქივო № 38417-07, ტ.3, ყუთი 66

წლებში, გერმანიაში სწავლის პერიოდში, მას ბინა აშოვნინა კონ-სტანტინე გამსახურდიამ და გააერთიანა იქ არსებულ ქართველ სტუდენტთა ჯგუფში, რომლის თავმჯდომარე ლევონ ხუნდაძე იყო.

„1930 წლის პირველ ნახევარში ჩემთან საუბრისას კოწია გამსახურდიამ მითხრა, რომ საქართველოში არსებობს ორ-განიზაცია, რომელშიც ნამდვილი ინტელიგენცია არის გაერ-თიანებული", – უღიარებია ნ. ასათიანს დაკითხვისას. მისივე ინ-ფორმაციით, საუბრის დროს კ. გამსახურდიას ამ ორგანიზაცი-ის რიგებში დაუსახელებია ილიკო ლოლუა, დათიკო წერეთელი და სხვები. როგორც ირკვევა, ი. ლოლუას საქმე მნიშვნელოვან მასალას ინახავს "თეთრი გიორგის" ორგანიზაციის დაარსების ისტორიისათვის საქართველოში.

ლეონ რაჟდენის ძე ჩიხლაძის (ჩხეიძე) საქმე*

ჩიხლაძე (ჩხეიძე) ლეონ რაჟდენის ძე, დაბ. 1904 წლის 15 ივნისს, ქუთაისის მაზრა, ს. ოსუნელა, 25 წლის, დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, დაპატიმრებულია 1929 წლის ივნისში. სო-ციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტიის წევრი 1918 წლი-დან, მუხლები 58.6, 58.10 და 84.

1920 წელს წასულა ემიგრაციაში, პარიზში. 1925 წელს იგი თავისი ნებით დაბრუნდა საქართველოში, გამოცხადდა გპუ-ში და განაცხადა, რომ მენშევიკური პარტიის დავალებით არალე-გალურად ჩამოვიდა სამშობლოში ანტისაბჭოთა მუშაობის ჩასა-ტარებლად. მან გამოთქვა სურვილი თანამშრომლობისა, მაგრამ არაფერი გაუკეთებია, ამიტომ დაპატიმრებულ იქნა 3 დღით. მიხვდა, რომ ვეღარ მოატყუებდა გპუ-ს და 1925 წლის დეკემ-ბერში გაიპარა საქართველოდან, არალეგალურად გადაკვეთა საზღვარი თურქეთის მხარეს და ჩავიდა მარსელში მენშევიკე-ბის დახმარებით, შემდეგ კი პარიზში. ამის შემდეგ მოეწყო სა-მუშაოდ ქარხანაში, 3 თვის მერე კომიტეტმა გაგზავნა სასოფ-ლო-სამეურნეო სკოლაში ბრიუსელში, რომელიც დაასრულა

* ფონდი 6, საარქივო 29516, ტომი 2, ყუთი 77,

1928 წლის შემოდგომაზე. მთელი ეს დრო იგი აწარმოებდა პროვოკაციულ მუშაობას სსრკ-ს წინააღმდეგ. მალე მენშევიკურმა მთავრობამ იგი გამოაცხადა ჯაშუშად და ამის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთებში „დამოუკიდებელი საქართველო“ და „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი“. მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო. მენშევიკებს ნამდვილად არ ეპარებოდათ ლეონ ჩიხლაძეში ეჭვი, ამიტომ სწორედ ის გამოაგზავნეს სსრკ-ში არალეგალური მუშაობისათვის. იგი წამოსულა პოლონეთის გზით, მაგრამ ჰოლანდიის საზღვარზე დაუჭერიათ და ოსტრაცენის საკონცენტრაციო ბანაკში დაუმწყვდევიათ, საიდანაც 19 დღის შემდეგ გაიქცა. ჰოლანდიისა და გერმანიის გავლით იგი ჩავიდა ვარშავაში, სადაც ქართული კომიტეტის მიერ მიიღო საცხოვრებელი ჩხეიძის სახელზე. აქ გამოთქვა სურვილი, რომ ჩამოსულიყო საქართველოში არალეგალური მუშაობისათვის. მართლაც, იგი გადმოვიდა სსრკ-ის ტერიტორიაზე პოლონელი ჯარისკაცის ფორმაში გადაცმული სხვა ჯარისკაცებთან ერთად. ასე მოხვდა საქართველოში. ძიებისას არაერთი ცრუ ჩვენება მისცა, რათა სინამდვილე დაემალა. ძიების შედეგად დადგინდა:

1. 1925 წელს მენშევიკური მთავრობის დავალებით იგი მივიდა საქართველოს გპუ-ში, ამ ორგანოს დეზინფორმირების მიზნით;
2. პარიზში ეწეოდა პროვოკაციულ მუშაობას, რათა გამოერკვია ემიგრანტთა წინააღმდეგ საელჩოს მუშაობის სისტემა.
3. ვარშავის ქართული კომიტეტის დავალებით და პოლონეთის დაზვერვის სასარგებლოდ გადმოკვეთა სსრკ საზღვარი, რათა ეწარმოებინა ანტისაბჭოთა მუშაობა საქართველოს ტერიტორიაზე შეეგროვებინა ინფორმაცია პოლონეთის დაზვერვისათვის.

მიესაჯა: დახვრეტა, მუხლები 58.6, 58.10 და 84.

საქართველოს გპუ-ს სასამართლო კოლეგია, 4 დეკემბერი, 1929 წელი.

დავით გიორგის ძე ჩიქოვანის საქმე*

დავით გიორგის ძე ჩიქოვანი, დაბ. 1887 წელს თბილისში. 1908 წელს დამთავრა ქართული გიმნაზია. შემდეგ 2 წელი სწავლობდა ბელგიაში საინჟინრო ფაკულტეტზე. უსახსრობის გამო იძულებული იყო, შეეწყვიტა სწავლა, თუმცა მოგვიანებით, 1912-1915 წლებში, მაინც განაგრძო მაშინდელ პეტროგრადში, აგრონომიულ ფაკულტეტზე. უპარტიო, პროფესია – აგრონომი, სამუშაო გამოცდილება: "1917 წლის 1 მარტამდე ფინლანდიის რკინისგზის სამმართველოში დროებით ვმსახურობდი მდივნად, 1919-დან 1921 წლამდე – სახელმწიფო კონტროლში ვიცე-დირექტორად, 1921 წლიდან იგი გადაკეთდა მუშათა და გლეხთა ინსპექციად და იქვე გავაგრძელე მუშაობა საადმინისტრაციო განყოფილების გამგედ. 1924-1925 წლებში – მიწსახკომში საქმეთა მმართველად. უკანასკნელი 3 წელია უმუშევარი ვარ. პასუხისმგებლობაში არასოდეს ვყოფილვარ, გარდა იმ გამოძიებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბელგიიდან დაბრუნებისას 1910 წელს, ლენინ ულიანოვისთვის ნივთიერი დახმარების გამო. როგორც სტუდენტი, ლენინს ორჯერ შევხვდი და ფულიც მოვუგროვეთ 1908-ში ქ. ლიეჟში (ბელგიაში). სამხედრო სამსახურში არ ვყოფილვარ.

დაპატიმრების თარიღი: 1928 წლის 15 ივლისი, დილა. ბათუმის გპუ-ს მიერ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ს. ხალასთან ტყეში, "როდესაც მალულად მივდიოდით ოსმალეთის საზღვარზე გადასასვლელად".

ბრალდება: ცდილობდა არალეგალურად გადასულიყო საზღვარზე თურქეთის მხარეს, მუხლი 84.

საქ. პოლიტ. სამმართ. საიდუმლო განყ. გამგეს ამხ. ბესარიონ მელიქაძეს

პატიმარ დავით გიორგის ძე ჩიქოვანის

(კამერა № 9)

---

* ფონდი 6, საარქივო №28414, ტომი 2, ყუთი 61

განცხადება

მე მსურს, ვრცელი მოხსენებით მივმართო საქ. კომ. პარტიის „ცეკას“ მდივანს, ამხ. ლევან ღოღობერიძეს, რისთვისაც გთხოვთ ნება დამრთოთ, მივიღო 10 თაბახი ქაღალდი და საწერი კალამი.

პატივისცემით,
დავით ჩიქოვანი
3/IX/28 წ.

საბრალდებო დასკვნა

1928 წლის 20 დეკემბერს ქ. თბილისში, საქ. გპუ-ს 1-ლი განყოფილების უფლებამოსილმა პირმა (რწმუნებული) მიქაძემ განვიხილე საქმე № 5060 მოქალაქისა ჩიქოვანი დავით გიორგის ძე, 41 წლის, ქართველი, ყოფილი თავადი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, უმუშევარი, 1904 წლიდან 1914 წლამდე სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი; 1917-დან 1920 წლამდე ერთ-ერთი დამაარსებელი რადიკალ-დემოკრატიული პარტიისა, საქ. სოც-დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ამჟამად არც ერთ პარტიაში არ ირიცხება, ნასამართლევი არაა.

თურქეთის მხარეს საბჭოთა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით საქ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 84.

გამოირკვა:

ამა წლის 15.VII დავით ჩიქოვანი მოქ. ემანუილ ვარდიძესთან და იოსებ ერისთავთან ერთად დააკავეს თურქეთის მხარეს საბჭოთა საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის მცდელობისას. დ. ჩიქოვანი, რომელიც კარგად იცნობდა თბილისში კათოლიკური მონასტრის დამაარსებელ პადრე იმანუილ ვარდიძეს, მოელა-

პარაკა მას, რათა არალეგალურად გაქცეულიყო საზღვარგარეთ. ამისათვის ჩიქოვანი გაემგზავრა ბათუმის მთებში თავის ნაცნობ იოსებ ერისთავთან ერთად, რომელიც შეჰპირდა მას და ვარდიძეს თურქეთში გადაყვანას მისი ნაცნობი აჭარლების დახმარებით და თავადაც მიიღო ამ საქმეში მონაწილეობა. ერთვაგონიანი მატარებლით (одиночка) ჩიქოვანი და ვარდიძე ჩავიდნენ ბათუმს ერისთავთან. საიდანაც გაემგზავრნენ ს. ხალაში, სადაც ისინი დააკავა აჭარის გპუ-მ. ჩიქოვანის თქმით, მისი გაქცევის მიზეზი იყო უმუშევრობა, კონსტანტინეპოლში კათოლიკურ მონასტერში იგი ელოდა შველას მონასტრის წინამძღვარ შ. ვარდიძისგან, რომელსაც კარგად იცნობდა. ამაში არწმუნებდა ე. ვარდიძეც.

ჩიქოვანის პოლიტიკური ფიზიონომია იხატება შემდეგში: 1904 წლიდან 1914 წლამდე იყო სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი; 1917-დან 1920 წლამდე – ერთ-ერთი დამაარსებელი რადიკალ-დემოკრატიული პარტიისა და საქ. სოც-დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

დანაშაულის ფაქტი გამოძიებული და დადასტურებულია. თავს დამნაშავედ თვლის.

მიესაჯა: 6 თვით პატიმრობა გამასწორებელ სახლში, პატიმრობის ვადა აითვალოს 13.VII. 28 წ-დან.

24. XII. 1928 წ.

მისი განცხადებიდან, რომელიც დაწერილი აქვს საქ. გპუ-ს სახელზე, ირკვევა, 13 იანვრიდან გათავისუფლებულია, რის გამოც ითხოვს ცნობას, რათა სამსახურში შევიდეს.

27. II. 1929 წ.

„ფაშისტური დაჯგუფება“ საქართველოში*

1930 წელს გამოვლენილ იქნა კავკასიის რეგიონში არსებული „ფაშისტური დაჯგუფება“, რომელშიც შედიოდა 36 ადამიანი (ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები). ხელმძღვანელი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე. ისინი, N-ის მონაცემებით, ეწეოდნენ ჯაშუშურ საქმიანობას უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ.

ამ ორგანიზაციის წევრები:

1. ჭავჭავაძე ალექსანდრე ზაქარიას ძე, დაბ. 1870 წ.
2. ჭავჭავაძე ოლღა გრიგორის ასული (მისი ცოლი)
3. ჭავჭავაძე ზურაბ ნიკოლოზის ძე, დაბ. 1897 წელს...

ალ. ჭავჭავაძესა და მის ცოლს მიესაჯათ დახვრეტა. ჯგუფის დანარჩენ წევრებს ზოგს – დახვრეტა, ზოგს კი სხვადასხვა სასჯელი.

ზ. ჭავჭავაძეს თავიდან მიუსაჯეს დახვრეტა (მუხლი 58.6 და 58.10); 1930 წლის 23 სექტემბერს დახვრეტა შეუცვალეს 10-წლიანი სასჯელით; 1931 წლის 18 თებერვალს კი სასჯელი შეუმცირეს 5 წლამდე. მენშევიკურ არმიაში სამსახურის დროს იგი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ კი ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და ავრცელებდა ლიტერატურას. 1927 წელს შექმნა დაჯგუფება ყოფილი თავადებისაგან. 1928 წელს შეადგინა გეგმა, კახეთში პარტიულ მუშაკებზე ტერაქტის მოსაწყობად. მიმოწერა ჰქონდა ძმასთან, რომელიც ცხოვრობდა ემიგრაციაში და თვითონაც ემზადებოდა გასაქცევად.

* ფონდი 6, საარქივო № 3001, ტომი 7/11, ყუთი 3

კოჟევნიკოვი ევსევი *

კოჟევნიკოვი ევსევი, ეროვნებით რუსი, ქიმკომბინატის ექსპედიტორი, N-ის მონაცემებით, ეწეოდა ანტისაბჭოტა აგიტაციას. მას ეკუთვნის ფრაზა: «Сколько лет существования советской власти, столько лет и нашего мучения». იგი დახვრიტეს სამეულის გადაწყვეტილებით 1937 წლის 16 ოქტომბერს.

მურადოვი აბედნაკი ერემის ძე**

დემონსტრაციაზე გამოკიდებული ამხ. სტალინის სურათზე, რომელიც ქარმა შეატრიალა, თქვა: მიდით ბიჭო, აგერ თქვენი პაპა ვარდება და გაასწორეთო. მიესაჯა გადასახლება 10 წლით.

ქუთათელაძე დავით ირაკლის ძე***

ქუთათელაძე დავით ირაკლის ძე, ს. ჩუნეში, შავი მუშა, განათლება დაბალი, დაბ. 1914 წ.

ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მთვრალი იყო, როდესაც შევიდა სკოლაში, ფეხით წამოედო დროშას და შემთხვევით დაეხა. თუ რამე ილაპარაკა, არ ახსოვს, მოწმეები ამბობენ, რომ მან შეგნებულად დახია დროშა, უნდოდა კედელზე დაკიდებული ბელადის სურათის დახევაც, მაგრამ ხელი შეუშალეს.

საქმეში ჩადებულია წითელი ქსოვილის ნახევები, რომლებიც, როგორც ჩანს, იყო დროშა. მიუსაჯეს: 58.10 მუხლით თავისუფლების აღკვეთა 7 წლით და 3 წლით პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა.

---

* ფონდი 6, საარქივო №3741-07, ყუთი 9.
** ფონდი 6, საარქივო №3781-07, ტომი 2, ყუთი 18
*** ფონდი 6, საარქივო №37827-07, ტომი 2, ყუთი 156

ზოია ცხადაია

ჯალათის საქმე

„ფიზიკური ზემოქმედება შინსახკომის პრაქტიკაში 1937 წელს დაშვებული იყო. საკავშირო კომპარტიის ცკ-ის ნებართვით, შემდეგშიც უნდა იქნეს გამოყენებული გამონაკლისის სახით“ (სკკპ(ბ) ცკ-ის მდივნის ი. სტალინის 1939 წლის 10 ივნისის ცირკულარი)*. კანონის ფორმით ჩამოყალიბებული ამ ნებართვის გარეშეც ჩეკას ჯურღმულებში პატიმრებს საშინელი სისატიკით ეპყრობოდნენ, მათ მიმართ წამების არაადამიანურ მეთოდებს იყენებდნენ, რათა სასურველი ჩვენება ძალით ამოეგლიჯათ. ასეთი ფაქტების შესახებ საზოგადოებისთვის, ძირითადად, ცოცხლად გადარჩენილი პატიმრებისგან გახდა ცნობილი; მათგან, ვინც საკუთარ თავზე იწვნია ძალადობის მძიმე შედეგები, ანაც თანამოსაკნეთა წამების მოწმე გახდა. ისიც ცნობილი ფაქტია, რომ იმ ავადსახსენებელ წლებში დღევანდელი ჯალათები ხვალ იმავე სისტემის მსხვერპლნი ხდებოდნენ, რომელსაც შესაშური ერთგულებით ემსახურებოდნენ. საბჭოთა ტოტალიტარული მანქანა ისევე დაუნდობლად ანადგურებდა საკუთარ დანაშაულთა მოწმეებს და აღმსრულებლებს, როგორც თავის იდეოლოგიურ მტრებს. სშსს არქივში დაცულია ამ ფაქტის დამადასტურებელი არა ერთი სისხლის სამართლის საქმე.

1937 წლის 10 აგვისტოს დაიჭირეს ნიკოლოზ პორფირეს ძე ხატისკაცი, სკკპ წევრი 1931 წლიდან, ჩოხატაურის რაიონის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უფროსი. მას ბრალად წაუყენეს მონაწილეობა ტერორისტულ ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა ლავრენტი ბერიას განადგურებას. 27 სექტემბერს გამოძიება დასრულდა. “1937 წ. 3 ოქტომბერს სსსრ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ბრძანებით ნიკოლოზ ხატისკაცს მიესაჯა დახვრეტა. განაჩენი იმ დღესვე მოყვანილია სისრულეში“**.

---

* კვერენჩხილაძე რ. წამების გზა. წიგნი I. თბილისი, „უნივერსალი“, 2014, გვ. 507.
** ფონდი № 6, ყუთი 185

1956 წელს ხატისკაცის ოჯახმა მისი რეაბილიტაცია მოითხოვა. ბრალდება, რომლის მიხედვითაც მას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა – მიუსაჯეს, ნამდვილად არ იქნებოდა მართებული, მაგრამ მისი სისხლის სამართლის საქმის გაცნობისას სრულიად ახალი ფაქტები წამოტივტივდა – გამოიკვეთა ჯალათ-მწამებლის სახე, რომელიც განსაკუთრებულად სასტიკი მოპყრობით გამოირჩეოდა.

1956 წლის იანვარ-თებერვალში თბილისში გაიმართა ნიკოლოზ ხატისკაცის სასამართლო პროცესი (სამხედრო პროკურორი აგაბეკოვი, პოდპოლკოვნიკი ივანოვი). დაიკითხა მისი ძალადობის არაერთი მოწმე. თითოეულის მონათხრობი იყო ერთი რგოლი გრძელი დანაშაულებრივი ჯაჭვისა.

ამონაწერი ნ.პ. ხატისკაცის სისხლის სამართლის საქმიდან (სტილი დაცულია, ტექსტი რუსულადაა):

„დაბ. 1907 წ., მცხ. თბილისში, ჩეკისტი, ცოლ-შვილიანი; დაიჭირეს 1937 წლის 10 აგვისტოს, ბრალად წაუყენეს ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა, რომელიც მიზნად ისახავდა ლ.პ. ბერიას განადგურებას

მოწმეთა ჩვენებები:

კეკელიძე ვიქტორ მაქსიმეს ძე (გვ. 184 – ყუთი 185)

„...ცნობილი ჯალათი ნ. ხატისკაცი პატიმრებს ცემის შემდეგ რაღაც რკინის მაშით ულვაშებს აგლეჯდა. ამ მეთოდით აწამებდა რაიაღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს, კაპიტონ კალანდაძეს, რომელსაც ხატისკაცი დაჰკითხავდა. სასტიკად აწამა ლავრენტი კონსტანტინეს ძე მგალობლიშვილიც, რომელიც საკანში გარდაიცვალა. სასტიკი წამება განიცადა არსენ ყაჭეიშვილმა, თვითონ ხატისკაცი სცემდა. პატიმარ სოსელიას ხატისკაცმა ყველა წინა კბილი ჩაუმტვრია და ის ცოცხალმკვდარი ეტაპით წაიყვანეს თბილისში. ჩემი თანამესაკნელებისგან ვიცი, რომ ხატისკაცისა და მისი თანამშრომლებისგან წამების ასაცილებლად ისინი რაღაც-რაღაც ბრალდებებს აღიარებდნენ. მათ შორის მახსოვს პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი გრიშა დოლიძე. მან მომიყვა, რომ ყველა მისთვის წაყენებული ბრალდება აღიარა, რათა წამება აეცილებინა. ფაქტობრივად,

მას დანაშაული არც ჰქონია, იყო პარტიული მუშაკი. დოლიძე ერთხელ, დაკითხვის შემდეგ, საკანში დაბრუნდა და თმებს იგლეჯდა. მე მითხრა, რომ მაღრაძემ (ჩეკას თანამშრომელმა) მოაწყოო დაპირისპირება ჩემი და სოსელიასი, რომელიც ადამიანს არ ჰგავდაო. ყველა კბილი ჩამტვრეული ჰქონდა და სახე – დამახინჯებული. პირისპირ შეხვედრაზე სოსელიამ თქვა, რომ თითქოს მას, დოლიძესთან ერთად, უნდა მოეწამლა საქონელი სოფ. სურებში. დოლიძე შეშფოთდა მაღრაძის საქციელით, რომელმაც იმ მდგომარეობამდე მიიყვანა სოსელია, რომ ეს უკანასკნელი ლაყბობდა ყოველგვარ სისულელეს.

პატიმრობიდან მესამე თვეს მაღრაძემ გამომიძახა და გამათავისუფლა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ვერც მე მათქმევინეს რამე და სხვებმა არ მისცეს ჩვენება ჩემზე.

ჩემი დაკითხვის ოქმი შედგენილია ჩემი სიტყვებით და სწორია, წავიკითხე (ხელმოწერა) კეკელიძე.

სამხ. პროკურორი პ. ბერძენიშვილი.

ყაჭეიშვილი არსენ ფილიპეს ძე (გვ. 168-170, ყუთი 185)

დაბადებული 1900 წ. ჩოხატაურის რ. 1936 წ. იყო ჩოხატაურის ადგილობრივი მრეწველობის დირექტორი. 1937 წ. დაიჭირეს კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით და მიუსაჯეს 10 წლით პატიმრობა ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკში.

ყაჭეიშვილი ყვება, რომ ხატისკაცი მას სთხოვდა, ადგილობრივი მრეწველობის ანგარიშით აეშენებინა სახლი რაიონული უშიშროების კომიტეტისათვის, ასევე – მისი მძღოლისათვის უნდა გადაეხადა ყოველთვიური ხელფასი. ეს ყაჭეიშვილისთვის შეუძლებელი იყო და ხატისკაცი დამუქრებია ციმბირით.

„დამიჭირეს და პირადად მცემდა ხატისკაცი... მირტყამდა სასქესო ორგანოებზე, განსაკუთრებით მუცელზე ფეხებით მახტებოდა. რატომ მკლავ-მეთქი? პასუხი იყო: როცა ძვალ-რბილი გაგიერთიანდება, მაშინ მოყვები შენს კონტრრევოლუციურ საქმიანობაზე!

...„ამ დროს მოვიდა რაიკომის მდივანი სევერიან გოგუაძე, დამინახა სისხლის გუბეში. მოვუყევი, რომ მკლავენ, არაფერი ჩამიდენია-მეთქი... ის უხმოდ წავიდა... გამხეცებულმა კიდევ უფრო მირტყა მთელ სხეულზე, განსაკუთრებით ხელისა და

ფეხისგულებზე. შემდეგ დასაპირისპირებლად შემოიყვანეს კაპიტონ მოსეს ძე კალანდაძე. მან თავის ქნევით დაადასტურა, რომ მან ჩამაბა მე კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ ორგანიზაციაში და ა.შ. ოქმი არ შეუდგენიათ.

კითხვა მოწმე ყაჭეიშვილს: კიდევ ვის სცემდა ხატისკაცი?

პასუხი: ხატისკაცი ხელმეორედ სცემდა თითქმის ყველას, ვინც არ აღიარებდა ბრალდებას. კარგად მახსოვს კომბინატის მმართველი ლავრენტი მგალობლიშვილი და კალანდაძე დამიანე თუ თედორე კარგად არ მახსოვს, ხატისკაცმა მოკლა დაკითხვის დროს. მგალობლიშვილმა ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია ხატისკაცს და რამდენჯერმე დაარტყა.

ცემა და წამება განიცადეს აგრონომმა ივანე დუმბაძემ, რომელიც ცემის დროს ყვიროდა: „ეხ, თქვე ბარბაროსებო“!.. შარაშენიძე დომენტიმ, ნოე ცინცაძემ, აბრამ სოსელიამ, ექიმმა ვალერიან ჩიგოგიძემ, მასწავლებელმა ქალმა მანია ცინცაძემ (საკნის კედელზე მიაწერა, რომ ხატისკაცმა ცემისაგან დაამახინჯა ის). იმ პირებს, რომლებიც თავს დამნაშავედ სცნობდნენ, როგორც წესი, არ სცემდნენ“... და ა.შ.

დაკითხვის ოქმს ხელს აწერენ: მოწმე ყაჭეიშვილი და სამხ. პროკურორი ბერძენიშვილი.

1956 წ. 30.I. თბილისი

მოწმე: **მეგრელიშვილი გრიგოლ ამბაკოს ძე** (ყოფილი პატიმარი, გვ. 175-178). დაბ. 1899 წ. ჩოხატაურის რ. სოფ. ფარცხიმა; 1937 წ. მუშაობდა კოლმეურნეობა „სტალინის“ ბუღალტრად. უპარტიო. არ ყოფილა მანამდე ნასამართლევი. ვერც იხსენებს, რა ბრალდებით დაიჭირეს. 10 წლით ციმბირში გადაასახლეს (რეაბილიტირებულია).

იხსენებს: ხატისკაცმა ჩოხატაურში სრულიად უდანაშაულო ადამიანები დაიჭირა: კაპიტონ კალანდაძე, არსენ ყაჭეიშვილი, აბრაამ სოსელია და სხვ. აწამებდა, რომ არარსებული დანაშაული ეღიარებინათ. კალანდაძემ ვენებიც კი გადაიჭრა, მაგრამ გადაარჩინესო. ხატისკაცმა, მოკლე დროში, თითქმის დააცარიელა რაიონი ხელმძღვანელი და წამყვანი მუშაკებისაგან.

მოწმე – მეგრელიშვილი გრიგოლ

იუსტ. პოლკოვნიკი – ბერძენიშვილი

მოწმე – **ალანია იასონ გიორგის ძე** (გვ. 203, ყუთი 185)

დაბ. 1905 წ. ჩოხატაურის რ. სოფ. ნაკადული, 1937-1950 წლებში მილიციის თანამშრომელი ჩოხატაურში; მისი ბანდიტების ძებნის დროს დამეღუპა მილიციის თანამშრომელი და დამაპატიმრეს 5 წლით. ამჟამად ვმუშაობ ისევ ჩოხატაურში, სასტუმროს დირექტორად...

ყვება: მინახავს ხატისკაცის ჩადენილი საშინელი წამებები, საშინელი წესებით... პირადად ვხედავდი, როგორ აწამებდა ლავრენტი მგალობლიშვილს, ჩექმებით ურტყამდა სასქესო ორგანოზე... ის საკანში მოკვდა, მერე კიბეებზე დააგდეს და დიდხანს აყურებინეს სხვა პატიმრებს.

მოწმე – ი. ალანია

იუსტ. პოლკ. – ბერძენიშვილი

მოწმე – **მაღრაძე შალვა ნოშრევანის ძე,** დაბ. 1901 წ. მცხ. ბათუმში; 1937 წელს მუშაობდა ჩოხატაურში, იყო ჩეკისტი, ხატისკაცის რიგითი თანამშრომელი (გვ. 223-226. ყ. 185). შალვა მაღრაძე წლების შემდეგ ყვება იმავეს, რასაც ყვებიან ყოფილი პატიმრები, რომ ხატისკაცი ყველა ბრალდებულზე სასტიკად ზემოქმედებდა და ცდილობდა, მეტი და მეტი დაეჭირა. განსაკუთრებით იხსენებს კაპიტონ კალანდაძის ცემის ფაქტებს. იმდენი აწამა, ბოლოს ათქმევინა, რომ ვითომ გერმანე მგალობლიშვილის* და ბუდუ მდივნის დავალებით შექმნა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, 15-კაციანი, მათ შორის: ყაჭეიშვილი, ჯაყელი და სხვ. კალანდაძემ მითხრა, ტყუილს ვამბობ, არაფერი ასეთი არ იყოო, მაგრამ მე თვითონ მეშინოდა, მეც დამიჭერდნენ და ვდუმდიო, – ამბობს ყოფილი ჩეკისტი... მე თვითონაც ვიღებდი მონაწილეობას დაკითხვაში ხატისკაცის

* გერმანე ანდრიას ძე მგალობლიშვილი, დაბ. 1883 წ. სსსრ სახკომხაბჭოს თავმჯდომარე; ბრალად ედებოდა, რომ შედიოდა საქართველოში ტროცკისტულ-ტერორისტული ცენტრის ორგანიზაციაში, რომლის თავმჯდომარედ მიიჩნეოდა ბუდუ მდივანი. გერმანე მგალობლიშვილი გაასამართლა სსსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომამ 1937 წ. 5 ოქტომბერს, დახვრიტეს იმ დღესვე; უდანაშაულოდ დასჯილ პირთა სარეაბილიტაციო სასამართლოს სხდომის ოქმებში (ფ. 6, საარქ. № 37, 1139-07, ტ. 2, ყ. 234, გვ. 231-235) აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესი მხოლოდ 15 წუთი მიმდინარეობდა.

თანდასწრებით და მეუბნებოდა, შენ არ შეგიძლია დაკითხვაო. მიწევდა მეც ძალადობა...

მახსოვს აგრეთვე, რომ პატიმარმა მგალობლიშვილმა, ნაცემმა, ხატისკაცს წინააღმდეგობა გაუწია, გაარტყა (ეს მეორე მოწმეა, რომელიც ამას ადასტურებს. – ზ.ც.), რისთვისაც მხეცურად გაუსწორდა ხატისკაცი. მგალობლიშვილი არაადამიანური ხმით ყვიროდა და შველას ითხოვდა. ის მალე მოკვდა საკანში. მაღრაძე იხსენებს აგრეთვე – კალანდაძემ ვენები გადაიჭრაო:

ხელს აწერენ: მოწმე მაღრაძე

სამხ. პროკურორი ბერძენიშვილი

ამავე საქმეში დევს სხვა მოწმეთა ჩვენებები, რომელთა შინაარსი, ფაქტები ემთხვევა მოცემულ ტექსტებს (მათ განცხადებით მიმართეს მთავარ სამხედრო პროკურორ ბ. ბიკტოროვს).

სასამართლოს განაჩენის დასკვნა ნიკოლოზ ხატისკაცის დედისა და შვილების საჩივრის საპასუხოდ: ახალი ფაქტებით დადასტურდა, რომ ხატისკაცი ნიკოლოზ პორფირეს ძე ეწეოდა ფალსიფიცირებულ გამოძიებას სასტიკი წამების მეთოდით... სრულიად უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. არ დაკმაყოფილდეს დედის და შვილების განცხადება.

სამხ. პროკურორი, პოდპოლკოვნიკი – აგაბეკოვი

პოლკოვნიკი – ივანოვი, 1956 წ., 16.II (ყუთი 185, გვ. 223-226).

დაკითხვის ოქმები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული 1920-1930-იანი წლების სისხლის სამართლის საქმეებიდან ცალკე გამოვარჩევთ რეპრესირებულ პირთა დაკითხვის ოქმებს, რომლებიც მრავალ უცნობ, დღემდე დაფარულ ინფორმაციას შეიცავს, წარმოგვიდგენს რა ცნობილი ქართველი მწერლებისა თუ მოღვაწეების პატიმრობისა და ანტისაბჭოთა არალეგალური საქმიანობის ერთგვარ შინაგან ანატომიას.

მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კალისტრატე სალიას, პოეტ ვანლერ დაისელისა (ივანე ბაბუაძის) და პოეტ დავით ქარცივაძის (მეჩონგურის) დაკითხვის ოქმები განსაკუთრებული სიმძაფრით არ გამოირჩევა, თუმცა ამ პიროვნებათა ბიოგრაფიის შესახებ აქამდე უცნობ ფაქტებს გვთავაზობს.

1922-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანეს დეტალებს შეიცავს „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ წარმომადგენლების, 1923 წლის 20 მაისს დახვრეტილი გენერალების – კონსტანტინე აფხაზის, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის, იოსებ გედევანიშვილის ჩვენებათა ფრაგმენტები. ამ მასალის მიხედვით ცხადი ხდება, რომ 1922 წლის შემოდგომაზე ანტანტა საბჭოთა კავშირის ინტერვენციას აპირებდა. ამავე დროს, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა პარიზიდან ამბოხებულებს ფულსა და იარაღს ჰპირდებოდა, მაგრამ ძალების მობილიზება ვერ მოხერხდა და 1923 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს, გაასამართლეს და 1922 წლის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლების ხელმძღვანელობის ბრალდებით დახვრიტეს: ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, როსტომ მუსხელიშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, კონსტანტინე აფხაზი.

დამოუკიდებლობის კომიტეტში ხუთი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტია შედიოდა. პარიტეტულ (დამოუკიდებლობის) კომიტეტში მონაწილეობის ბრალდებით 1923 წელს დააპატიმრეს ქართული ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები: მიხეილ ჯავახიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი, ნიკო კეცხოველი, იასონ ჯავახიშვილი, სერგი დანელია, დიმიტრი ჯავახიშვილი და სხვები. ქვემოთ წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმეებ-

ში დაცული მათი დაკითხვის ოქმებისა და ჩვენებების ფრაგმენ-ტები, რომლებიც ამ პიროვნებათა ბიოგრაფიის არაერთ დრამა-ტულ მომენტს ასახავს.

1923 წლის 6 აგვისტოს ბაქოში ვასილ გელენიძის ყალბი პას-პორტით დაკავებული პროზაიკოსისა და პოლიტიკური მოღ-ვაწის სვიმონ ყიფიანის დაკითხვის ოქმით (იგი ქაქუცა ჩოლოყ-აშვილთან კავშირის გამო დააპატიმრეს) სრული წარმოდგენა გვექმნება ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის საქმიანობის რეა-ლიებზე, ისევე როგორც 1926 წელს დაკავებული ილია ებრა-ლიძის საქმეში შემონახული მემედ აბაშიძის ჩვენება ნათლად ასახავს 1918 წელს აჭარაში განვითარებული მოვლენების მნიშ-ვნელოვან დეტალებს.

საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს გრიგოლ რობაქიძის "მეგის" გერმანულ ენაზე ერთ-ერთი მთარგმნელისა და ქართ-ველ ინტელიგენციასთან დაახლოებული პირის რაინჰოლდ ჩაკ-ერტის სისხლის სამართლის საქმე. ეს თბილისელი გერმანელი 1935 წლის 21 აპრილს დააკავეს და ჯაშუშობისა და ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის დახვრეტა მიუსაჯეს. დაკითხვის ოქმებში ბრალდებული დეტალურად საუბრობს გრიგოლ რობაქიძესა და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, მწერლებთან – თავისი ურთიერთობის შესახებ.

1937 წელს რეპრესირებულთა სისხლის სამართლის საქმეე-ბის დიდი ნაწილი განადგურებულად ითვლება. გადარჩენილთ-აგან შევარჩიეთ ისინი, რომლებშიც ნათლადაა გამოკვეთილი ტროცკისტული ორგანიზაციის წევრთა საქმიანობა და მათი მოღვაწეობის საბოლოო მიზანი: "ქართველ ტროცკისტთა ცენ-ტრი ამოცანად ისახავდა საქართველოს გამოყოფას სსრკ-დან, ე.წ. "დამოუკიდებელი" ქართული სახელმწიფოს შექმნას" (ლი-დია გასვიანის საქმე).

ვფიქრობთ, ქვემოთ წარმოდგენილი უძვირფასესი დო-კუმენტური მასალა დღევანდელ მკითხველს უფრო მძაფრად განაცდევინებს 1920-1930-იანი წლების ტრაგიკულ რეალობას.

მანანა კვატაია

მასალები დაკითხვის ოქმებიდან

1922 წელი

კალისტრატე სალიას საქმე

კალისტრატე სალია – ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1922 წ. 22 წლის ასაკში დააპატიმრეს ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის. იმ დროს იგი ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი იყო.

ფონდი 6, ყუთი 27, საქმე № 22133
1922 წ. 3 ივნისი

კითხვა: როგორია თქვენი დამოკიდებულება საბჭოთა ძალაუფლებასთან? ცნობთ თუ არა საბჭოთა სისტემას, როგორც მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველს? თანაუგრძნობთ თუ ეწინააღმდეგებით საბჭოთა ხელისუფლებას?

პასუხი: ჩემი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალურია. საბჭოთა სისტემა მისაღებად მიმაჩნია. საბჭოთა ხელისუფლებას ვემორჩილები, როგორც ფაქტიურად არსებულ მთავრობას, არ ვეწინააღმდეგები. რწმენით მე ვარ მარქსისტი და მწამს გაერთიანებული მუშათა ფრონტის იდეა.

კითხვა: როგორ უყურებთ მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეხლანდელ ტაქტიკას, რომელიც გამოიხატება არალეგალურ მუშაობაში და მიმართულია მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ?

პასუხი: ეხლანდელი ტაქტიკა მე არ მომწონს, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება მთლიანი ფრონტის შექმნას და არღვევს მუშათა კლასს. მე უარს ვამბობ ასეთ ორგანიზაციაში მუშაობაზე. მით უმეტეს, სოციალისტურ ქვეყანაში.

კითხვა: რას დაამატებთ ჩვენებაზე?

პასუხი: პარტიაში არ ვმუშაობ 1920 წლიდან, ვინაიდან ვმეცადინეობ აკადემიურად. რწმენით მე მარქსისტი ვარ. დემონსტრაციების და სხვაგვარ გამოსვლების მოწინააღმდეგე ვარ.

ჩემს ჩვენებაზე ხელს ვაწერ: კ. სალია

დავკითხე: გიორგაძე

დასკვნითი დადგენილება (ნაბეჭდი რუსულ ენაზე)

1922 წლის 5 ივლისს მე, საქართველის ჩეკას რწმუნებულმა, ამხანაგმა ქურიძემ, განვიხილე საქმე № 1196, კალისტრატე სალიასი, 22 წლის, გლეხი, მენშევიკი 1915 წლიდან, სტუდენტი, ბუღალტერი – კონტრრევოლუციაში ბრალდების შესახებ.

ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ის არის მენშევიკური პარტიის აქტიური წევრი და დავადგინეთ: კალისტრატე სალიას მიესაჯოს წინასწარი პატიმრობა, 6 თვის ვადით.

ვანლერ დაისელის საქმე

ვანლერ დაისელი (ივანე ბაბუაძე) – „სომნამბულების“ პოეტური ორდენის დამაარსებელი, პოეტი-მოდერნისტი. 1918 წლიდან ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის, ხოლო 1921 წლიდან მენშევიკური პარტიის წევრი. პირველად 1922 წლის 2 აგვისტოს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროკლამაციის გავრცელების ბრალდებით, მეორედ – 1925 წლის 30 ივნისს, მესამედ – 1929 წელს. გადაასახლეს არხანგელსკში.

ფონდი 6, საარქივო № 23165
ვანლერ დაისელის დაკითხვის ოქმი
2. VIII. 1922 წ.

კითხვა: როდის დაამთავრეთ სწავლა?

პასუხი: 1920 წელს დავამთავრე სწავლა, 1921 წ. 15/X მოვეწყვე სამუშაოდ გზების სამმართველოს კანტორის მე-17 განყოფილებაში. მომაწყო ჩემი ნათესავი ტატიაშვილის... (აღარ

იკითხება) მე-17 განყოფილებაში იდგა საბეჭდი მანქანა. მე ვამზადებდი სიებს, მაგრამ კარგად არ ვიცოდი ბეჭდვა.

კითხვა: როდის დაბეჭდეთ პროკლამაცია ქართულ ენაზე?

პასუხი: პროკლამაცია მე არ დამიბეჭდავს.

კითხვა: რა პროკლამაცია გადაეცით ტატაიშვილს და საიდან გქონდათ იგი?

პასუხი: არანაირი პროკლამაცია მე მისთვის არ გადამიცია... გადავეცი ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება... (*შევსებულია რუსულად და ძალიან გაუგებრად*)

დაკითხვის ბოლოს აწერს ხელს ქართულად. ი. ბაბუაძე

საქართველოში ახლად დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის პოზიციის გადმოსაცემად შევარჩიეთ ფრაგმენტები რამდენიმე პატიმრის დაკითხვის ოქმებიდან (1922 წ.):

ფონდი 6. ყუთი 21. საარქივო № 22105, ტ.2.
29 წლის ქართველის, ევსევი დევიძის დაკითხვის ოქმიდან:

კითხვა: როგორ უყურებთ საბჭოთა სისტემას და გასაბჭოების ფორმას?

პასუხი: როგორც უსწავლელი, არ ვარ გარკვეული..

კითხვა: როგორ უყურებთ რუსეთის წითელ არმიას საქართველოში?..

პასუხი: რუსეთის წითელ არმიას საქართველოში ვუყურებ უარყოფითად.

ფონდი 6. ყუთი 30. საარქივო № 22154
კალისტრატე ივანიძის დაკითხვის ოქმიდან:

კითხვა: როგორ უყურებთ წითელი არმიის ყოფნას საქართველოში?

პასუხი: საუკეთესო იქნებოდა, რომ ქართული ჯარი იყვეს..

კითხვა: რით აიხსნება თქვენი ასეთი ნაციონალისტური მიდრეკილება?

პასუხი: ნაციონალისტური მიდრეკილება მე არა მაქვს. მხოლოდ რუსის წითელი არმიის აქ ყოფნას ვხედავ ზედმეტად იმ დროს, როდესაც თვით ქართველ ჯარსაც შეუძლიათ, ის როლი შეასრულოს, რასაც რუსის წითელი არმია ასრულებს ახლა საქართველოში.

ფონდი 6. ყუთი 30. საარქივო № 22153.
ქუთაისელი ექიმის, ვასილ სხირტლაძის დაკითხვის ოქმიდან:

"მე არსებულ წეს-წყობილებას არ თანავუგრძნობ, რადგან არ გვაქვს ის უფლებები, რომლებიც მუშათა კლასის მთავრობას უნდა ჰქონდეს. მე პირადათ მომხრე ვარ ევროპის ორიენტაციის, როგორც უფრო მეცნიერებითა და კულტურით წინმდგომ ქვეყანათა".

1923 წელი

კონსტანტინე აფხაზის საქმე

კონსტანტინე აფხაზი – გენერალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ილია ჭავჭავაძის დისშვილი. ამხილეს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზაციაში, ბანდიტური მოძრაობის შექმნასა და მასში მონაწილეობაში, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატში. დახვრიტეს 1923 წლის 20 მაისს.

ფონდი 6. ყუთი 84 . საქმე № 23496
კონსტანტინე აფხაზის ჩვენება (ფრაგმენტი, რუსულ ენაზე):

– „ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შევედი 1922 წლის ივნისში. მაშინ ამ კომიტეტში შედიოდნენ: იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, მე (კონსტანტინე აფხაზი), წინამძღვრიშვილი, კეცხოველი... დაახლოე-

ბით დეკემბრის თვეში კომიტეტის შეხვედრაზე განიხილებოდა საკითხი მასის მზადყოფნაზე გამოსვლებისთვის და აქტიური გამოსვლების საჭიროებაზე, ამ საკითხში სხდომა ორ ნაწილად გაიყო – პირველი წინააღმდეგი იყო აქტიური გამოსვლებისა, მეორე – მოითხოვდა ამას. პირველ ჯგუფში, აქტიურ გამოსვლას რომ უარყოფდა, იყვნენ მიხეილ და იასონ ჯავახიშვილები, წინამძღვრიშვილი, დანარჩენები არ მახსოვს. მე მეორე ჯგუფს ვემხრობოდი, ვინ იყო კიდევ ამ ჯგუფში, არ მახსოვს.

უმრავლესობის გადაწყვეტილებით, აქტიური გამოსვლები უარყოფილ იქნა. ჩვენი გადაწყვეტილება იასონ ჯავახიშვილს უნდა გადაეცა პარიტეტული კომიტეტისთვის... სექტემბერში დავით ვაჩნაძემ, როგორც ძლიერმა მომხრემ აქტიური გამოსვლებისა, წერილი მისწერა კახეთში ჩოლოყაევს. წერილის შინაარსი ჩემთვის ცნობილი არ არის. ამის შესახებ მითხრა იასონ ჯავახიშვილმა. მას არ მოსწონდა, რომ ვაჩნაძემ ეს წერილი თვითნებურად მისწერა.

კითხვა: იცით თუ არა, ვისი ფსევდონიმია „სამპერი“?

პასუხი: როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს არის დავით ვაჩნაძის ფსევდონიმი.

კოლეგიის გაფართოებული სხდომის ოქმი

თავმჯდომარე: მოგილევსკი

ესწრებოდნენ: პანკრატოვი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერია, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მომხსენებელი: აშუკინი

1. ანტისაბჭოთა დანაშაული, კახეთის სამხედრო ორგანიზაციის საქმე

2. კონსტანტინე აფხაზი ნიკოლოზის ძე, 55 წ. უმაღლესი განათლება, თავადი, გენერალი, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიისა და ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

ამხილეს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზაციაში, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის შექმნაში, მასში მონაწილეობაში, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატში.

დაადგინეს:

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, 55 წ. უმაღლესი განათლებით, თავადი, გენერალი, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. ხელმძღვანელობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადებას. კენჭის ყრისას, თავისივე აღიარებით, მიემხრო დაუყოვნებლივ შეიარაღებულ აჯანყებას.

განაჩენი: დაიხვრიტოს. აღსრულებულ იქნას 24 საათის განმავლობაში.

ამონაწერი მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმიდან

(რუსულ ენაზე), გვ. 20.

7 მარტი, 1923 წ.

ა) პარიტეტულ კომიტეტში შედის ერთი წარმომადგენელი ყოველი პარტიიდან: ნაციონალ-დემოკრატია, მენშევიკები, სოციალ-ფედერალისტები, „სხივისტები“, სოციალისტ-რევოლუციონერები.

ბ) ყველა საკითხი წყდება შეთანხმებით.

გ) ყველა პარტიას ეკრძალება დამოუკიდებელი გამოსვლა, პარიტეტული კომიტეტი ათანხმებს მათ მოქმედებებს.

დ) საზღვარგარეთ მყოფი ყოფილი მთავრობა იღებს დირექტივებს პარიტეტული კომიტეტისგან და საერთოდ ყოველ თავის ნაბიჯს ათანხმებს.

ე) პარიტეტულ კომიტეტს აქვს განსაკუთრებული მაკონტროლებლის როლი ყოფილ მთავრობაში.

ვ) უცხოეთიდან შემოსული თანხები იხარჯება საერთო მიზნებისთვის.

ზ) თუ ბოლშევიკები გავლენ საქართველოდან (მაშინ ამას მიიჩნევდნენ სავსებით შესაძლებლად, რედ.), ხელისუფლება მთლიანად უნდა გადაეცეს პარიტეტულ კომიტეტს. ჩამოვა ყოფილი მთავრობა, რომელიც გარდაიქმნება იმგვარად, რომ არც ერთ პარტიას არ ჰყავდეს 1/3 და ყველა პარტიამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

მაშინვე შეიკრიბება დამფუძნებელი კრება და არა უგვიანეს 6 თვისა დაინიშნება ახალი არჩევნები.

ამ პირობების განხილვაში მონაწილეობდნენ: კედია, ასათიანი (ციხიდან), მე (ჯავახიშვილი), ვაჩნაძე, აფხაზი, იასონ ჯავახიშვილი, წინამძღვარი, მერაბაშვილი.

საკითხი გადაწყდა ხანგრძლივი ყოყმანისა და დებატების შემდეგ.

ამონაწერი ალექსანდრე ანდრონიკაშვილის
დაკითხვის ოქმიდან

7 მარტი, 1923 წელი

– არ მახსოვს ზუსტად, ჯავახიშვილი შემხვდა გზაში სკოლისკენ მიმავალს და მითხრა, რომ მას დაავალა პარტიულმა ცენტრმა, ჩემთვის გადმოეცა, რომ ყველა პარტია გაერთიანდა და უნდათ შექმნან გაერთიანებულ ცენტრთან სამხედრო ცენტრი, სადაც ამირჩიეს მე, მუსხელიშვილი, გედევანიშვილი იოსებ. ამათ გარდა, მე უნდა გადამეწყვიტა, შემეყვანა თუ არა იქ წულუკიძე და კ. აფხაზი.

დამატებითი ჩვენება
გენერალ ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილის

9 მარტი, 1923 წელი

– პოლიტიკური ცენტრი, იგივე პარიტეტული კომიტეტი, იგივე „დამოუკიდებლობის კომიტეტი“, საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1922 წლის სექტემბეში. ჩემი ინფორმაციით, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარეა ნიკოლოზ ქარცივაძე, მენშევიკების დროს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი. ეს მოხდა ნარიკელაძის ბინაში და ესწრებოდნენ: მე, ქარცივაძე, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, იასონ ჯავახიშვილი, ნარიკელაძე (ხანდახან ესწრებოდა), კიდევ მენშევიკი, რომლის გვარი არ მახსოვს. მენშევიკური პარტიიდან იყვნენ: ქარცივაძე. ნაციონალ-დემოკრატები: კოტე აფხაზი და იასონ ჯავახიშვილი, ჩვენ: მე, წულუკიძე და ნარიკელაძე – როგორც სამხედრო სპეციალისტები.

სამხედრო ცენტრში შედიოდნენ: მე, ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი, მუსხელიშვილი, იოსებ გედევანიშვილი.

ვარდენ წულუკიძემ მაცნობა, რომ პარიტეტულ კომიტეტში უნდა შესულიყო: 4 მენშევიკური პარტიიდან, 3 ნაციონალ-დემოკრატებიდან და თითო კაცი დანარჩენი პარტიებიდან.

1921 წელს ზაფხულში მომხდარ შეთქმულებას რაც შეეხება: მე, ვაჩნაძე, მუსხელიშვილი, იასონ ჯავახიშვილი.

დავით ვაჩნაძე ამბობდა, რომ შეუძლებელია რუსების ჯარის გასვლა საქართველოდან და რომ რაიმე ექსცესები არ მომხდარიყო ხელისუფლების შეცვლისას, პირველ რიგში, აუცილებელი იქნებოდა თბილისის დაკავება. ამ მიზნისთვის, ვაჩნაძის სიტყვით, ნაციონალ-დემოკრატებს ძალები აქვთ კახეთში, რომლებიც საჭირო დროს წამოვიდოდნენ ტფილისისაკენ. ამ საუბრიდან დავასკვენი, რომ საუბარია მხოლოდ დემოკრატების ჰეგემონიისა, თუ რუსები წავიდოდნენ.

იოსებ გედევანიშვილის საქმე

იოსებ კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი – გენერალი, სამხედრო შტაბის უფროსი, დამფუძნებელი კრების წევრი (სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი. დააპატიმრეს ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის 1923 წელს.

ფონდი 6. ყუთი 90. საარქივო № 23533
15 მაისი, 1923 წელი

საბოლო დადგენილება

„გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ შეიქმნა 1921 წლის ბოლოს ან 1922 წლის დასაწყისში. მასში შედიოდნენ: გენერალი **ვარდენ წულუკიძე** (მენშევიკებისა და ფედერალისტებიდან), **კოტე აფხაზი** (ეროვნულ-დემოკრატებიდან), შტაბის უფროსი

იყო ქართული დივიზიის შტაბის უფროსი **მუსხელიშვილი.** მათთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ასევე შემდეგ პირებს: გენერალ **მაზნიევს** (მაზნიაშვილი), გენერალ **ანდრონიკოვს** (ანდრონიკაშვილი) /ტაქტიკის მასწავლებელი კურსანტთა სკოლაში/, 1-ლი ქართული პოლკის ყოფილ უფროსს 1921 წელს გენერალ **სოსო გედევანოვს** (გედევანიშვილი), ოფიცერ **ხომერიკს.**

დამოუკიდებლობის კომიტეტში შედიოდა ხუთი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტია: მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატები, მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტები, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები („სხიველები“) და სოციალ-რევოლუციონერები.

სამხედრო ცენტრში შედიოდნენ:

ვარდენ წულუკიძე (მენშევიკი)
როსტომ მუსხელიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი)
ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (ეროვნულ-დემოკრატი)
გიორგი ხიმშიაშვილი (მენშევიკი)
იოსებ გედევანიშვილი (ფედერალისტი)

გამოძიებამ დაადგინა:

1922 წლის აგვისტოში წამოიჭრა საკითხი კახეთში გამოსვლის თაობაზე. ამის შესახებ ჩოლოყაშვილს აცნობეს 27 სექტემბერს. შემოდგომაზე ანტანტა აპირებდა საბჭოთა კავშირის ინტერვენციას. ამ დროს უნდა დაეწყოთ გამოსვლები კახეთშიც. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა პარიზიდან აქტიურ მოქმედებას მოითხოვდა და ჰპირდებოდა ფულსა და იარაღს. ჩოლოყაშვილს მოუვიდა ბრძანება, რომ 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე უნდა მოწყობილიყო ეს გამოსვლა. გადაწყვეტილება გამოსვლის შესახებ მიიღო დამოუკიდებლობის კომიტეტმა, ხოლო მას ხელმძღვანელობდა სამხედრო ცენტრი. აგვისტოში ჩოლოყაშვილი წავიდა ხევსურეთში, რაც საპროტესტო გამოსვლების დასაწყისის ნიშანი იყო. ამ დროს სამხედრო ცენტრში მეორე სხდომა ტარდებოდა - მიმდინარეობდა გეგმის განხილვა. ნიკოლოზ ქარცივაძემ კრების მონაწილეებს შეატყობინა სომხეთთან და აზერბაიჯანთან კავშირის შესახებაც.

მაგრამ ვერ მოხერხდა ძალების მობილიზაცია და დუშეთის ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა. ჩოლოყაშვილს

დაბრალდა კავალერიის არასწორი დაჯგუფება. იყო საუბარი პოლიტიკური ცენტრის შეცდომებზეც. ამით პირველი პერიოდი დასრულდა. მოქმედების განახლება დაიგეგმა გაზაფხულზე. იასონ ჯავახიშვილის თქმით, დაუკავშირდნენ აზერბაიჯანს, დაღესტანს, მთიელებს, ჩრდ. კავკასიელებს, რათა საქართველოსთან ერთად მათაც მიეღოთ მონაწილეობა გაზაფხულზე დაგეგმილ გამოსვლაში.

1923 წლის გაზაფხულზე კომიტეტის წევრები დააპატიმრეს, გაასამართლეს და გამოუტანეს განაჩენი:

1. **წულუკიძე ვარდენ** – 1922 წლის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლების ხელმძღვანელობა, შპიონაჟი (მუხლი 59 და 66);

2. **ანდრონიკაშვილი ალექსანდრე** – 1922 წლის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლების ხელმძღვანელობა (მუხლი 59);

3. **მუსხელიშვილი როსტომ** – 1922 წლის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლების ხელმძღვანელობა, შპიონაჟი (მუხლი 59 და 66);

4. **ხიმშიაშვილი გიორგი** – 1922 წლის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლების ხელმძღვანელობა (მუხლი 59);

5. **აფხაზი კონსტანტინე** – 1922 წლის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლების ხელმძღვანელობა (მუხლი 59).

ყველა მათგანს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

ალექსანდრე ახმეტელის საქმე

ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი – ცნობილი რეჟისორი. 1923 წლის 8 მაისს დააპატიმრეს, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. მას ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა საქმიანობა ქართული ინტელიგენციის სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებთან: მიხეილ ჯავახიშვილთან, სერგი დანელიასთან, ნიკო კეცხოველთან, ექიმ დიმიტრი ჯავახიშვილთან და სხვებთან ერთად. დახვრიტეს 1937 წლის 29 ივნისს.

ფონდი 6. ყუთი 55. საარქივო № 23311, ტ.2.

ალექსანდრე ახმეტელის ჩვენებიდან (1923 წლის 10 მაისი. მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე):

– "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში არასოდეს ვყოფილვარ. 1912 წლამდე ვიყავი ბოლშევიკი. პარტიაში შევედი 1904 თუ 1905 წელს. პარტიიდან გამოვედი და თავით ფერხამდე თეატრში გადავეშვი. 1917 თუ 1918 წლის დასაწყისში ვიყავი წარმომადგენელი ქიზიყისა (ადგილი სიღნაღის მაზრაში). ადგილობრივმა ინტელიგენციამ დააარსა "რადიკალ-დემოკრატების გლეხური პარტია". დამფუძნებელ კრებაში არჩევნების შემდეგ ეს პარტია დაიშალა. მე ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შევდიოდი. "რადიკალ-დემოკრატების გლეხური პარტია" საქართველოს დამოუკიდებლობისა და მთელი მიწის გლეხებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის ნიადაგზე იდგა. მოსახლეობის სხვა ფენებს მიწა მიეცემოდათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიწას ამუშავებდნენ. მიწის საკითხთან დაკავშირებით ვებრძოდით მენშევიკებს ნორმების გამო და ნაციონალ-დემოკრატებს, როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. პარტიის დაშლის შემდეგ მე არცერთ პარტიაში არ შევსულვარ."

ამავე ჩვენებაში ალ. ახმეტელი უარყოფს მიხ. ჯავახიშვილისა და ს. დანელიას ჩვენებებს დიმ. ჯავახიშვილის ბინაზე მის ყოფნასთან და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მის არჩევასთან დაკავშირებით. აქვე განმარტავს: „ვფიქრობ, რომ ჩემი შეყვანა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოხდა იმიტომ, რომ მე ჩემს ქვეყანაში პოპულარული ადამიანი ვარ და ამით მოსახლეობის ყურადღებას დაიმსახურებდნენ. ჰკითხეთ ეროვნულ-დემოკრატებს, რა სამუშაოს ვასრულებდი. ს. დანელიას შორიდან ვიცნობ, მიხ. ჯავახიშვილს ვიცნობ, როგორც ლიტერატორს. პირადად შევხვედრივარ "ხელოვნების სახლში", დიმ. ჯავახიშვილის ბინაზე არ ვყოფილვარ."

საქმეში ინახება რამდენიმე ბრალდებულის ჩვენება. სერგი დანელიას 1923 წლის 4 მაისს უსაუბრია დიმ. ჯავახიშვილთან კრების შესახებ, სადაც განუხილავთ იასონ ჯავახიშვილის მოხ-

სენება და აურჩევიათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენ-ტრალური კომიტეტის წევ-რები. თავად ს. დანელია უარყოფს სხვათა ჩვენებებს მისი იქ ყოფნის შესახებ. ჩვენებაში ჩამოთვ-ლილია ის პირები, რომლებიც დ. ჯავახიშვილთან ესწრებოდნენ ვახშამზე: ახმეტელი (სახელმწიფო თეატრის რეჟისორი), აფხ-აზი, მიხეილ და იასონ ჯავახიშვილები, იშხნელი, კეცხოველი. ს. დანელიას ცნობით, იანვარში დანელიას ბინაზე შეკრებილან: აფხაზი, მიხეილ და იასონ ჯავახიშვილები.

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმი

(1923 წლის 12 მაისი. რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი)

კითხვა: იყო თუ არა საბჭოთა საქართველოს პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრაქტიკაში შემთხვევა, როცა ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე უპარტიო ადამიანი ესწრებოდა?

პასუხი: არ იყო. ამგვარი შემთხვევები გასაბჭოებამდე ხშირი არ იყო.

კითხვა: რას იტყოდით ახმეტელის კოოპტაციაზე?

პასუხი: იასონ ჯავახიშვილმა მაცნობა, რომ დ. ჯავახიშ-ვილთან სხდომაზე მოიწვევენ ალექსანდრე ახმეტელსაც. მე არ შემიძლია ვამტკიცო, რომ ეს კოოპტაცია იყო. პირიქით, ამ მოწვევას განვიხილავდი, როგორც დასწრებას, რაზეც პირადად განვუცხადე საგანგებო კომისიის (ჩეკას) თავმჯდომარე მოგი-ლევსკის. ახმეტელის მოწვევას ვხსნი იასონ ჯავახიშვილის სურ-ვილით, მუშაობაში ჩაება ახმეტელი, რომელიც სიღნაღის მაზ-რაში დიდი გავლენით სარგებლობს.

კითხვა: საქართველოს გასაბჭოებამდე უპარტიოები რა შემთხვევაში მოიწვეოდნენ სხდომაზე?

პასუხი: იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური ხასიათის საკითხი განიხილებოდა.

კითხვა: იყო თუ არა ცენტრალური კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში საკითხი, რომელშიც ალექსანდრე ახმეტელი დამსწრეებზე უფრო კომპეტენტური იყო?

პასუხი: იყო საორგანიზაციო საკითხი და ამ საკითხში ახმეტელთან დაკავშირებით (მთავარი იყო ის, რომ) სიღნაღის მაზრაში ახმეტელი ყველაზე უფრო კომპეტენტური იყო, თუკი დაეთანხმებოდა.

კითხვა: ენდობოდა თუ არა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ალექსანდრე ახმეტელს, სიღნაღის მაზრასთან დაკავშირებით რაიმე წინადადება რომ წამოეყენებინა?

პასუხი: პირადად მე ვენდობოდი, რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ ის რადიკალ-დემოკრატების ხაზს გაატარებდა.

კითხვა: უკანასკნელი მოწვევის ცენტრალურ კომიტეტში რა პრევალირებდა: სვლა რადიკალიზმისაკენ თუ წმინდად ეროვნულ-დემოკრატიული?

პასუხი: პრევალირებდა რადიკალური მიმართულება ჩვენი უკანასკნელი პროგრამის თანახმად (იანვარი, 21 წ.).

კითხვა: დაასახელეთ უკანასკნელი მოწვევის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რომლებიც რადიკალიზმთან იყვნენ ახლოს.

პასუხი: მე, იასონ ჯავახიშვილი, კეცხოველი, დანელია, დიმ. ჯავახიშვილი, რჩებიან აფხაზი და წინამძღვარი, რომლებიც პოლიტიკურად ძალზე სუსტად არიან მომზადებულნი. მათ შორის სერიოზული უთანხმოებანი არ იყო.

კითხვა: იდგა თუ არა თქვენთან, ცენტრალურ კომიტეტში, საკითხი პარტიის სახელის შეცვლაზე როგორც "რადიკალ-დემოკრატებისა"?

პასუხი: სახელწოდება "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" მექანიკურად რჩებოდა. სინამდვილეში კი ჩვენ ფორმალურად უნდა გვეტარებინა ახალი სახელი (1921 წლის იანვრიდან) დემოკრატიული პარტიისა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული, რადიკალურ-დემოკრატიული, უპარტიო გლეხურ მესაკუთრეთა კავშირისაგან.

დაკითხა პეტროსიანმა.

დიმიტრი ჯავახიშვილის ჩვენებიდან (1923 წლის 13 მაისი).

– ცენტრალური კომიტეტის წევრებად ახლად უნდა აერჩიათ: მე, დანელია და ახმეტელი... წინა ჩვენებაში დამავიწყდა, მეთქვა, რომ სხდომაზე ესწრებოდა ახმეტელი, სახელმწიფო თეატრის რეჟისორი.

ალექსანდრე ახმეტელისა და სერგი დანელიას პირისპირ შეხვედრა. მოხდა 1923 წლის 10 მაისს.

კითხვა დანელიას: იცნობთ თუ არა ალექსანდრე ახმეტელს?

პასუხი: ვიცნობ. დიმიტრი ჯავახიშვილის ბინაზე შევხვდით. რამდენადაც მახსოვს, მე მას იქვე გავეცანი. თუმცა შეიძლება, ვცდებოდე.

კითხვა ახმეტელს: იცნობთ თუ არა დანელიას და სად გაიცანით იგი?

პასუხი: დანელიას ვიცნობ, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ოფიციალურად არ ვიცნობ.

კითხვა დანელიას: გსმენიათ ახმეტელის კოოპტაციაზე ცენტრალურ კომიტეტში?

პასუხი: მე მხოლოდ საკუთარ თავზე ვიცი, ახმეტელზე არ გამიგია. ვიცი, რომ ახმეტელი არასოდეს ყოფილა ეროვნულ-დემოკრატი.

ალექსანდრე ახმეტელის ჩვენებიდან 1923 წლის 11 მაისს.

– ჩემი დაპატიმრების პერიოდში, ციხეში, არ ვყოფილვარ ინტერპარტიული კომიტეტის წევრი. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში არავითარ საქმიანობას არ ვეწეოდი, რადგან მასში არ შევდიოდი. ჩემი ვარაუდი, რაც გუშინდელ დაკითხვაზე გამოვთქვი: შესაძლოა, ამირჩიეს ცენტრალურ კომიტეტში, როგორც პოპულარული ადამიანი, – იმას ეფუძნება, რომ შეიძლება ისინი იმედოვნებდნენ, რომ დავეთანხმებოდი მათ.

ალექსანდრე ახმეტელის ჩვენებიდან 1923 წლის 12 მაისს.

– იასონ ჯავახიშვილს ჩემთან არავითარი საუბარი არ ჰქონია, არსად მივუწვევივარ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხდომაზე. თქვენს კითხვაზე გიპასუხებთ, რომ იასონ ჯავა-

ხიშვილს შეეძლო, მიხ. ჯავახიშვილისათვის ეთქვა, რომ მეც დავესწრებოდი, რადგან ეს ქართველთა ჩვეულებაა...

დავით ქარცივაძის საქმე

დავით ქარცივაძე (ფსევდონიმი: მეჩონგურე): პოეტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც 1906 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1910 წლამდე კატორღაში იყო. 1917 წელს ისევ გადაასახლეს ციმბირში, თუმცა 1917 წ. ამნისტია შეეხო და ჩამოვიდა თბილისში. მეორედ დააპატიმრეს 1922 წ. 26 მაისს ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციაზე. მას ბრალი დასდეს, რომ ციხეში ურთიერთობა ჰქონდა ისიდორე რამიშვილთან, დგებუაძესთან, კახიანთან, ეწეოდა პროპაგანდისტულ საქმიანობას.

დაკითხვის ოქმი

კითხვა: რაში მდგომარეობს თქვენი მოღვაწეობა ლიტერატურულ ასპარეზზე?

პასუხი: მე ვარ პოეტი, ვუმღერი პროლეტარიატის ბედნიერებასა და სიმწარეს. საგანგებო გამოცემებში ჩემი ნაწარმოებები არ იბეჭდებოდა. მე ვწერდი სოციალისტური მიმართულების ჟურნალებისთვის. სხვათა შორის, ქართულ ჟურნალში „ბრძოლა“ (გამოდიოდა ბაქოში 1913-1914 წლებში) ვბეჭდავდი ლექსებს ფსევდონიმით „მეჩონგურე“. აქ დავბეჭდე ლექსი „კაპიტალი“, რის გამოც ჟურნალი დახურეს. ციმბირიდან მე ვწერდი ჟურნალებში: „ზვეზდასა“ და „ირკუტსკის ციმბირის ფიქრებში“ ფსევდონიმით „უმცროსი“ და „კალიუჩკა“.

1917-1921 წლებში თითქმის ყველა სოციალისტურ გამოცემაში ვბეჭდავდი იმავე ფსევდონიმებით. 1921 წლიდან ბეჭდვა შევწყვიტე ავადმყოფობისა და კიდევ იმის გამო, რომ ძველი ნაწერების გამოცემა გადავწყვიტე.

კითხვა: თქვენ რედაქტირება გაუკეთეთ მეტეხში საპროტესტო ტექსტს კონტრრევოლუციური ჟურნალისთვის, რომელიც

იყო მიმართული 1922 წელს მენშევიკების გადასახლების წინააღმდეგ.

პასუხი: შეიძლება ასეც იყო, მაგრამ არ მახსოვს.

კითხვა: რას წერდით მენშევიკურ იატაკქვეშურ გაზეთში 1921 წლის მარტიდან?

პასუხი: არაფერს არ ვწერდი. იმაზე პასუხს არ ვაგებ, თუ ვინმე ჩემი ნებართვის გარეშე ჩემს ნაწარმოებებს ბეჭდავდა.

კითხვა: როცა მუშაობდით სამოქალაქო-სამხედრო სამინისტროში, კულტურის სექციაში, არ გევალებოდათ პოლიტიკური დავალებების შესრულება?

პასუხი: ჩემს საქმიანობაში არ შედიოდა რაიმე ამგვარი დავალება.

კითხვა: პოლკოვნიკ ტულოშვილს არ იცნობთ?

პასუხი: ის იყო შტაბ-ოფიცერი და მე მასთან საერთო არაფერი მქონდა.

კითხვა: ამ სამსახურში თქვენი საქმიანობა რას გულისხმობდა?

პასუხი: ხელმძღვანელი კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებისა იყო მოქალაქე ართმელაძე, რომელიც უძღვებოდა მთელ საქმიანობას. მე მხოლოდ ტექნიკურ დავალებას ვასრულებდი, გაზეთებს ვიწერდი, ფინანსურ ანგარიშგებას ვაწარმოებდი. ამას დაადასტურებს პალადი ბაქრაძე.

კითხვა: მეტეხის ციხეში თქვენ ეწეოდით აგიტაციას ოფიცრებს შორის?

პასუხი: პოლიტიკურ თემაზე არც კი დავლაპარაკებივარ. ამას კატეგორიულად ვაცხადებ.

დაკითხა: ტალინგმა (გვ. 56)

დიმიტრი ჯავახიშვილის საქმე

ფონდი 6. ყუთი 41. საარქივო № 23218.

დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილი – ექიმი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1917 წლიდან, ცენტრალური კომიტეტის წევრი 1921 წლიდან. დააკავეს ჟურნალ "საქართველოს ხმის" გავრცელებისათვის.

სერგი დანელიას დაკითხვის ოქმიდან (რუსულად):
16. II. 1923 წ.

– ა.წ. 6 თუ 7 იანვარს (ძველი სტილით) შემთხვევით შევედი ექიმ ჯავახიშვილის ბინაში. იქ ვნახე საკმაოდ მრავალრიცხოვანი სტუმრები, რომლებიც მაგიდას უსხდნენ. ისინი დაახლოებით შვიდნი იყვნენ; შესაძლოა ნაკლებნი; იქ, ერთ-ერთი სადღეგრძელოს დროს, როდესაც თამადამ ჩემი სადღეგრძელო შესვა, მე გავიგე, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვიყავი არჩეული. თამადა, როგორც მახსოვს, იყო ბინის მფლობელი დ. ჯავახიშვილი.

მოქალაქე მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმიდან (1923 წლის 18 მარტი (მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულად):

– 1922 წლის ნოემბერ-დეკემბრამდე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი შედგებოდა შემდეგი პირებისაგან: აფხაზი, იასონ და მიხეილ ჯავახიშვილები, მიხეილ იშხნელი, ნიკო კეცხოველი, ნიკ.* წინამძღვრიშვილი. ზუსტად არ მახსოვს, დეკემბრის დასაწყისში გავემართე ჯავახიშვილის ბინაზე, სადაც სხვებთან ერთად მგონი ახმეტელიც იყო (საღამოს 8 საათზე მოვედი, 9-ზე წავედი). მეორე დღეს გავიგე, რომ პრეზიდიუმში აურჩევიათ იასონ ჯავახიშვილი, იშხნელი და მგონი წინამძღვრიშვილი.

დიმიტრი ჯავახიშვილის ჩვენებიდან (16 მარტი, 1923 წ. ნაბეჭდი, რუსულად):

– მიმდინარე წლის 8 იანვარს ჩემს ბინაში შედგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრების შეკრება, სადაც შევიტყვე, რომ მე, ჩემივე ნებართვით, შემიყვანეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ჩემ მიერ გამოთქმული თანხმობის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ მსურდა, გავცნობოდი იმ მუშაობას, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები ატარებდნენ, რადგან ჩემზეც იყო პასუხისმგებლობა, რადგან საქართველოს გასაბჭოებამდე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვიყავი.

---

* ალბათ უნდა იყოს გიორგი.

ზემოხსენებულ შეკრებას ესწრებოდნენ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრები: იას. ჯავახიშვილი, მ. ჯავახიშვილი, კ. აფხაზი, მ. იშხნელი, ნ. კეცხოველი, დანელია და მე.

მოხსენება გააკეთა იას. ჯავახიშვილმა. შეკრება საინფორმაციო ხასიათისა იყო.

დიმიტრი ჯავახიშვილის ჩვენება (1923 წლის 13 მაისს (მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულად):

– ნათქვამი ამტკიცებს შემდეგს: ჩემთან, ბინაში, ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის წევრები ესწრებოდნენ – ყოფილი და ახლანდელი.. მე, დანელია და ახმეტელი, ასევე, ცენტრალური კომიტეის ყოფილი წევრები... წინა დაკითხვაზე დამავიწყდა, მეთქვა, რომ სხდომას ესწრებოდა ალექსანდრე ახმეტელიც, სახელმწიფო თეატრის რეჟისორი. მახსოვს, ყველაზე ადრე მ. ჯავახიშვილი წავიდა, სხვები არ ვიცი, ვინ ვის მერე წავიდა.

პრეზიდიუმის არჩევნები არ იყო, ან არ მახსოვს. მაგრამ მერე გავიგე, რომ ამ პრეზიდიუმში შედიოდნენ: იასონ ჯავახიშვილი, იშხნელი და მესამე არ მახსოვს. არაფერი ვიცი ეროვნულ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის კავშირზე ჩოლოყაშვილთან... არაფერი ვიცი ცენტრალური კომიტეტის სამხედრო თანამშრომლებზე.

კოტე აფხაზის ჩვენება (31 მარტი, 1923 წელი)

– ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა დამტკიცდა 1922 წლის შუა ოქტომბერში, დიმიტრი ჯავახიშვილის სახლში.

კომიტეტი დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: კ. აფხაზი, მიხეილ ჯავახიშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი, იასონ ჯავახიშვილი, იშხნელი მიხეილ, დანელია, კეცხოველი ნიკოლოზ და წინამძღვრიშვილი. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს.

შეკრებას ესწრებოდა ყველა, დანელიასა და წინამძღვრიშვილის გარდა. სამხედრო ცენტრში, ჩემ გარდა, შედიოდნენ: წულუკიძე, ანდრონიკაშვილი, სხვები არ ვიცი. არ ვიცი ადგილებზე ამ ორგანიზაციას ჰქონდა თუ არა ორგანიზაციები. არ ვიცი

ნაციონალ-დემოკრატიული ცენტრალური კომიტეტი ფულს უგზავნიდა თუ არა ჩოლოყაშვილს, ან მისთვის დახმარებას ეწეოდა თუ არა, არ ვიცი.

ნიკოლოზ კეცხოველის საქმე

ნიკოლოზ (ნიკო კეცხოველი) – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აკადემიკოსი, თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, შესანიშნავი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. 1923 წლის 28 მაისს დააკავა კონტრრევოლუციასათან, ბანდიტიზმთან, თანამდებობრივ დანაშაულთან და შპიონაჟთან ბრძოლის საგანგებო კომისიამ. დაპატიმრებისას იგი იყო ბოტანიკური ბაღის ბოტანიკოს-პრეპარატორი, აგრონომიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი. მის ანკეტაში მითითებულია, რომ ის "მენშევიკების დროს იყო ჯარისკაცი. 1916 წლიდან დღემდე არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი".

ფონდი 6. ყუთი 55. საარქივო № 23313, ტ.2.

ნიკო კეცხოველის დაკითხვის ოქმიდან (1923 წლის 23 მაისი, რუსულ ენაზე):

კითხვა: მოყევით დაწვრილებით, რაში გამოიხატებოდა თქვენი საქმიანობა ეროვნულ- დემოკრატიულ პარტიაში როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ პერიოდში?

პასუხი: 1916-1917 წლებში გიმნაზიაში სწავლის დროს ამხანაგებმა შემომთავაზეს, შევსულიყავი საიდუმლო ორგანიზაციაში... საღამოობით ვიკრიბებოდით და ვკითხულობდით ლიტერატურას...

კითხვა: რა მიზანი ჰქონდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურ საქმიანობას?

პასუხი: საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით.

ნიკო კეცხოველის დაკითხვის ოქმიდან (1923 წლის 30 მაისი, რუსულ ენაზე):

– მაისის თვიდან სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ტფილისიდან გავემგზავრე ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. არ ვიცი, იმ დროს ცენტრალურმა კომიტეტმა რა დადგენილებები მიიღო... ჩამოსვლისას შევიტყვე, რომ პარტიებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება პარიტეტული კომიტეტის შექმნის თაობაზე, ეროვნული ფრონტის შექმნის თაობაზე, მაგრამ შეთანხმება არ არის. მე ამის წინააღმდეგი ვიყავი. ბოლოს გადმომცეს, რომ აუცილებლად მიიჩნიეს შეთანხმება, მიღწეულია შეთანხმება და შექმნილია პარიტეტული კომიტეტი...

პირადად მე შევადგინე ერთი თუ ორი ხუთკაციანი ჯგუფი და წავიკითხე ორი მოხსენება: "აგრარული საკითხი საქართველოში" და "როგორი უნდა იყოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აგრარული პლატფორმა", სადაც საუბარი იყო მიწის რეფორმაზე.

(...) შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ არალეგალური საქმიანობა ხალხის დაღუპვას გამოიწვევდა.

ჩემი მოწოდება სამეცნიერო საქმიანობაა. აგრონომიის სფეროში დროის მცირე მონაკვეთში ბევრი რამ მოვასწარი – დავამთავრე და დავწერე გამოკვლევა ქართლის სარეველა მცენარეებზე. ამ მუშაობის პერიოდში მე პარტიულ საქმიანობას ჩამოვშორდი.

კითხვა: რა დამოკიდებულება გქონდათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან 1923 წელს?

პასუხი: მე ცენტრალურ კომიტეტში შევდიოდი, როგორც ახალგაზრდების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე..

კითხვა: ვინ შედიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში?

პასუხი: თავმჯდომარე ზოგჯერ მე ვიყავი, ზოგჯერ ელისე პატარიძე. წევრები: ლეო დგებუაძე, მიშა გოგიაშვილი, რ. მუსხელიშვილი.

კითხვა: რა საკითხებს განიხილავდნენ პარიტეტული კომიტეტის სხდომებზე, რა დაადგინეს მათ და სად იკრიბებოდნენ?

პასუხი: სხდომები ტარდებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტში მამაკაცთა ტუალეტის ახლოს, დერეფანში, 8 საათის შემდეგ. განიხილებოდა საკითხი გაფიცვის შესახებ პროტესტის ნიშნად „სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული წმენდის გამო“ პოლიტიკური ნიშნით სტუდენტების გაძევებისა და უნივერსიტეტში სტუდენტური მმართველობის არარსებობის გამო. დაადგინეს, რომ გაფიცვა უაზროა და გადაწყდა, ლექციები არ შეწყვეტილიყო.

მ. ჯავახიშვილის ჩვენება:

– ჩვენი ორგანიზატორი იასონ ჯავახიშვილი დიდ დროს უთმობდა პარიტეტულ კომიტეტში მუშაობას. ამიტომ მან პარიტეტულ კომიტეტში შეიყვანა ექიმი იშხნელი, რომელსაც სამუშაოს ნაწილი გადასცა. ამას გარდა, კომიტეტში შევიდა ნიკო კეცხოველი, დაპატიმრებული მესაბიშვილის მაგიერ.

ამონაწერი ივანე ნარიკელაძის ჩვენებიდან (27.11.23. რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი):

– 1923 წლის დასაწყისში შეიქმნა “პარიტეტული კომიტეტი”, სადაც წარმოდგენილი იყვნენ: მენშევიკები, ფედერალისტები (მემარჯვენე), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ქართველი სოციალ-რევოლუციონერების პარტიები. მენშევიკებიდან შედიოდნენ: იოსებ ცინცაძე, ქვარიანი; ფედერალისტებიდან ლაშხი, ეროვნულ-დემოკრატებიდან კეცხოველი, სპ. კედია. პარიტეტულ კომიტეტს გამოუყვია “გაერთიანებული სამხედრო ცენტრი”, რომელშიც შედიოდნენ: მენშევიკებიდან – ვარდენ წულუკიძე, სახალხო-დემოკრატებიდან – აფხაზი, ფედერალისტებიდან – არ ვიცი.

ამონაწერი კონსტანტინე აფხაზის ჩვენებიდან (რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი):

– მე დღემდე ცენტრალური კომიტეტის წევრი ვიყავი. კრებებზე 7-8-ჯერ ვესწრებოდი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაახლოებით 22 წლის ივნისში შევედი. ამ დროს კომიტეტში შედიოდნენ: იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, მე, წინამძღვრიშვილი, კეცხოველი. დანარჩენები არ მახსოვს და არ ვიცი, თუ იყვნენ საერთოდ. მოგვიანებით, ოქტომბერში, ცენტრალურ კომიტეტში შემოვიდა ექიმი დიმიტრი ჯავახიშვილი და დანელია, მგონი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ამონაწერი მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის ჩვენებიდან, 1923 წლის 29 მარტს (მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე):

– ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა არ იყო განსაზღვრული. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს კონფერენციებს არ იწვევდნენ. ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის მოვალეობები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ფაქტობრივი თავმჯდომარე იყო იასონ ჯავახიშვილი, ფორმალური – კონსტანტინე აფხაზი, მდივანი არ ჰყავდათ. ადგილობრივ ორგანიზაციებთან კავშირს და ახალი ორგანიზაციების შექმნას იასონ ჯავახიშვილი ახდენდა. ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის კავშირს – კეცხოველი, დანარჩენ წევრებს განსაზღვრული მოვალეობები არ ჰქონდათ. ცენტრალური კომიტეტის სხდომები ტარდებოდა შემდეგ ბინებზე: 1921 წელს – დავით ვაჩნაძის ბინაზე, იზმაილოვის ქუჩაზე, ასათიანთან – გუკასოვის ქუჩაზე, კედიასთან – ვოზნესენსკის ქუჩაზე. ცენტრალური კომიტეტის წევრი დავით ვაჩნაძე ფაქტობრივად სამხედრო ძალებს ხელმძღვანელობდა.

დამატებითი ჩვენებები კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზისა (1923 წლის 31 მარტს) (რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი):

– ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა დაამტკიცა კრებამ, რომელიც შედგა 1922 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში დიმ. ჯავახიშვილის ბი-

ნაზე. კომიტეტი აირჩიეს და დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: მე, კ. აფხაზი, მიხეილ ჯავახიშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ იშხნელი, დანელია, ნიკოლოზ კეცხოველი და წინამძღვრიშვილი. მე კომიტეტის თავმჯდომარედ დამამტკიცეს. კრებაზე ყველა ჩამოთვლილი პირი ესწრებოდა, დანელიასა და წინამძღვრიშვილისა გარდა. სამხედრო კომიტეტში იყვნენ: ვ. წულუკიძე და ანდრონიკაშვილი. სხვები არ ვიცი.

სვიმონ ყიფიანის საქმე

სვიმონ ყიფიანი – პროზაიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე. 1923 წლის 6 აგვისტოს ბაქოში აზერბაიჯანის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა ვასილი ლუკას ძე გელენიძის ყალბი პასპორტით. მას ბრალად ედებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან თანამშრომლობა.

ფონდი 6. ყუთი 78. საარქივო № 23470.

სვიმონ ყიფიანის დაკითხვის ოქმიდან (ქ. ბაქო, 1923 წლის 6 აგვისტო. ნაბეჭდი, რუსულად):

– ჩემი ნამდვილი სახელია ყიფიანი სიმონ ვასილის ძე. ჩემი დანაშაული ისაა, რომ 1922 წლის ივლისის ბოლოს მე წავედი ჩოლოყაშვილთან და მასთან სამი თვე დავყავი. მთელი აგვისტო გავატარე კახეთში ჩოლოყაშვილის ადგილსამყოფელის დასადგენად, ნოემბერში უკვე თბილისში ვიყავი, დეკემბერში – ბაქოში... გულახდილად ვიტყვი, რამ მიბიძგა, მომეძებნა ჩოლოყაშვილი... გასაბჭოებამდე ქვეყნის მთავრობა გვეზიზღებოდა, მაგრამ მის წინააღმდეგ არ ვიბრძოდით, ჩვენ მათ იმიტომ თანავუგრძნობდით, რომ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს... მაგრამ ბოლშევიკებმა დაიკავეს საქართველო რუსის ჯარის მეშვეობით და წაართვეს დამოუკიდებლობა. ამის შეგუება არ შემეძლო და წავედი ჩოლოყაშვილთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ... მაგრამ არა აჯანყების მომზადების მიზნით, რადგან სასაცილოა იფიქრო იმაზე, რომ პატარა საქართველო, რომელ-

საც არც ჯარი ჰყავს და არც იარაღი აქვს, შეიძლებდა, აჯანყებულიყო ისეთი ბუმბერაზის წინააღმდეგ, როგორიც რუსეთია. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ვერ გასტანდა, რომ სახელმწიფო აპარატს ვერ დაალაგებდნენ, იქნებოდა შიმშილი, ამას სახალხო აჯანყება მოჰყვებოდა და საბჭოთა ხელისუფლება დაემხობოდა. თუ შინაგანი გადატრიალება არ მოხდება, ევროპა რუსეთს არ დატოვებს ბოლშევიკურს და პატარა სახელმწიფოთა დახმარებით ომს გამოუცხადებს, მაგრამ ამის პროპაგანდა ვერ მოვასწარით, ძირითადად ტყეში ვიმყოფებოდი... ჩოლოყაშვილთან მივედი აგვისტოს ბოლოს და ნოემბრის პირველ რიცხვებამდე დავრჩი და ამ პერიოდში ვიყავი ხევსურეთის ამბების მომსწრე. ხევსურეთში იმიტომ კი არ ჩავედით, რომ იქ აჯანყება მოგვემზადებინა, არამედ რომ გამოგვეზამთრა. ბოლოს დავრწმუნდი ჩემი განზრახვის უაზრობაში, ასევე იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება გაძლიერდა. ნოემბრის პირველ რიცხვებში დავტოვე ჩოლოყაშვილი, წავედი ბაქოში, იქ უარი ვთქვი პოლიტიკურ საქმიანობაზე, ვიყავი მოლარე რესტორან "ლოზანიაში".

გელენიძის პასპორტი მომცა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ჯავახიშვილის ხელით (სახელი არ მახსოვს), ბილეთი სამთვიანი იყო.

მაჭავარიანმა, მურვანიშვილმა და მატარაძემ იცოდნენ, რომ ჩემი გვარი ყიფიანია და რომ მე ისეთი მძიმე ბრალდება მაქვს, როგორიც ჩოლოყაშვილის რაზმში ყოფნაა.

სიმონ ვასილის ძე ყიფიანი.

6. VIII. 23. ქ. ბაქო.

სვიმონ ყიფიანის დაკითხვის ოქმიდან (ქ. ბაქო, 1923 წლის 13 აგვისტო. ნაბეჭდი 11 გვერდი):

– ქართველი მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოვიდა პანკისში, როცა ჩვენ ხევსურეთიდან დავბრუნდით. ეს იყო ახალგაზრდა კაცი, გვარი არ მახსოვს, მაგრამ სახეზე ვიცნობ. მან უთხრა ჩოლოყაშვილს, პარიტეტული კომიტე-

ტის სახელით, ყოველგვარი გამოსვლა შეეწყვიტათ. რადგან არ გამოუვიდათ საერთო აჯანყება რუსეთსა და საქართველოში, და რომ ჯერ კიდევ უცნობია, რა პოზიციებს დაიჭერს თურქეთი და სხვ. ჩოლოყაშვილი დამორჩილდა ამ ბრძანებას (სიტყვიერს). ახალგაზრდა კაცი წავიდა და აღუთქვა ფული და ტანსაცმელი... ნოემბრის დასაწყისიდან გამოვემგზავრე თბილისში და ამის შემდეგ არაფერი ვიცი.

კითხვა: მიუთითეთ ჩოლოყაშვილის შტაბის შემადგენლობა, ასევე, თქვენი თანამდებობა ამ შტაბში.

პასუხი: ისეთი შტაბი, როგორიც სამხედროების გაგებითაა, ჩოლოყაშვილს არ ჰქონდა. მისი რაზმი იყოფოდა რამდენიმე ასეულად (взвод) და მათ ხელმძღვანელობდნენ ყოფილი ოფიცრები და უნტეროფიცრები. ჩოლოყაშვილთან ოფიცერი იყო თანაშემწე. მე თვით ჩოლოყაშვილი ხუმრობით პოლიტხელს (политрук) მეძახდა.

კითხვა: გვიამბეთ ჩოლოყაშვილის კავშირზე მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან და პიროვნულად რაში გამოიხატებოდა ეს?

პასუხი: არ ვიცი. ჩემ იქ ყოფნაში დუშეთიდან ერთი მენშევიკი ამოვიდა, როგორც მითხრა, მასწავლებელი, შუა ხნის... ჩოლოყაშვილს ჰკითხა, რა მიზნები ჰქონდა მას? თავადებს ხომ არ ემსახურებოდა? ჩოლოყაშვილმა უპასუხა, რომ არა, რომ მისი მიზანი საქართველოს გათავისუფლება იყო, რომ ის პარტიებად არ ჰყოფს საქართველოს, რომ ყველანი უნდა დადგნენ საქართველოს გასათავისუფლებლად. ამ მასწავლებელმა აცნობა, რომ თბილისში შეიქმნა პარიტეტული კომიტეტი, სადაც შედიან ყველა პარტიის წარმომადგენლები და კითხვა დაუსვა: დაემორჩილება თუ არა ჩოლოყაშვილი სრულად ამ კომიტეტის დირექტივებს. ჩოლოყაშვილმა დადებითად უპასუხა.

კითხვა: რა აკავშირებდა ჩოლოყაშვილს ეროვნულ-დემოკრატებთან?

პასუხი: ვიცი, რომ ჩოლოყაშვილს კავშირი ჰქონდა დავით ვაჩნაძესთან, გიორგი წინამძღვრიშვილთან და იასონ ჯავახიშვილთან, მაგრამ ჩემი თანდასწრებით მათგან არც დირექტივები, არც ფული, არც ტანსაცმელი არ მიუღია. ჩოლოყაშვილი ამაზე

გაბრაზდა, დატოვა ისინი და დაუკავშირდა მენშევიკურ ორგანიზაციებს თბილისსა და სოფლებში.

კითხვა: რა გზით იღებდა ჩოლოყაშვილი იარაღს, სურსათსანოვაგეს, ლიტერატურას?

პასუხი: როგორც უკვე ვთქვი, 20 მილიონი მანეთი მან საგარეჯოს მენშევიკური ორგანიზაციიდან მიიღო. იარაღი – არ ვიცი. სურსათს ახლო სოფლებიდან იღებდა – უფრო ფქვილს და გამომცხვარ პურს. ხორცს მეცხვარეებისაგან ღებულობდა კახეთის ტყეებში. თუ არა – ცხენს უცვლიდნენ ძროხაზე, ხარზე და სხვ. ჩემს იქ ყოფნაში არც წერილი, არც პრესა არ მიუღია.

კითხვა: რომელ ქართველ წითელარმიელებთან ჰქონდა მას კავშირი?

პასუხი: არ ვიცი. მხოლოდ ამბობდა, რომ მუხროვანის რაზმს ნებისმიერ მომენტში შემოიერთებს. ამბობდა ასევე, რომ ბათუმში მთელი პოლკია, პოლკოვნიკ თუხარელის მეთაურობით, პირველ ბრძანებაზე დაიძვრება ბათუმიდან თბილისისაკენ. ასევე ამბობდა, რომ თბილისის ცხენოსანთა მილიცია მისი კაცებისგან შედგება და პირველივე ნიშანზე მას შემოუერთდება.

კითხვა: ვისი მეშვეობით და რა გზით მოხვდით ჩოლოყაშვილთან? აჩვენეთ გზა მისკენ, მიუთითეთ პაროლები და დაასახელეთ ისინი (სიტყვიერი იყო თუ პირობითი).

პასუხი: ჩოლოყაშვილთან მე მოვხვდი გიორგი წინამძღვრიშვილის მეშვეობით. მან მე გამიშვა სოფელ ახაშენში, სადაც მისი ოჯახი აგარაკზე ისვენებდა. შემდეგ თავადაც მოვიდა, წერილი გაატანა ვიღაც გლეხს, სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა ახალგაზრდა ხევსური ცხენებით. ღამით ცხენებზე შევსხედით და თიანეთის მაზრაში გავემართეთ, აშროშანის ტყეში, სადაც ხევსურები ცხოვრობდნენ.

კითხვა: სად სად არის იგი (პოლკოვნიკი ვაჩნაძე) ამჟამად?

პასუხი: უკანასკნელად პოლკოვნიკი ვაჩნაძე ვნახე ჩოლოყაშვილის კახეთში წასვლის წინ, 1922 წლის 19 ივლისს. ამის შემდეგ არ მინახავს. არ ვიცი, სად არის.

კითხვა: თქვენი იქ ყოფნის დროს იყო თუ არა შემთხვევები პარტიული და საბჭოთა მუშაკების დახვრეტისა? მიუთითეთ.

პასუხი: ჩემს დროს ჩოლოყაშვილმა ორი პარტიული მუშაკი დახვრიტა. ერთი, თუ არ ვცდები, გამომძიებელი კორზუნი, მეორე – ჩეკას თანამშრომელი, გვარი არ მახსოვს. ორივე დუშეთის მაზრაში დახვრიტეს. კორზუნი – ბაზალეთის ტბის ახლოს, ტყეში, ჩეკას თანამშრომელი – არაგვის მარცხენა ნაპირას. ასევე ტყეებში, დუშეთთან. წინააღმდეგი ვიყავი მათი დახვრეტისა. და რომ ამგვარი ტერორისტული აქტები უაზროა. მაგრამ მე ახალი ვიყავი რაზმში და გავლენა არ მქონდა და ვერ გადავარჩინე ისინი.

კითხვა: დაასახელეთ შტაბის წევრები, ასევე მიუთითეთ დახვრეტილი წითელარმიელები, მათი გვარები და თქვით, თქვენ თვალწინ თუ დაუხვრეტიათ ისინი?

პასუხი: ჩოლოყაშვილს შტაბის თანამშრომლებად ჰყავდა შემდეგი ოფიცრები: 1. ყოფილი თავადი ელიზბარ ვაჩნაძე, 2. ყოფილი აზნაური გიორგი გვერდწითელი, 3. ყოფილი აზნაური ლელო ჩიქოვანი, 4. ღოღობერიძე (სახელი არ მახსოვს). დამავიწყდა მეთქვა, რომ ფშავში წითელარმიელებთან შეტაკების შემდეგ ჩოლოყაშვილმა ტყვედ აიყვანა 8 კაცი, და პატარა არაგვის მხარეს დაახვრეტინა. ერთი გვარი ნორსინი იყო, მეორე გაიქცა და მიიმალა. ის რვა კაცი გამთენიისას დახვრიტა ვაჩნაძის რაზმმა.

კითხვა: რა გზით წამოხვედით ჩოლოყაშვილისაგან, რაიმე ხომ არ დაგავალათ?

პასუხი: მე ჩოლოყაევს დავშორდი სიღნაღის მაზრის სოფელ მელაანის ახლოს, საფოსტო გზას გამოვყევი და ჩაილულის გავლით თბილისში ჩამოვედი. იქ მივედი დასთან და სიძესთან – ნაფიც მსაჯულ იოსებ ჯაფარიძესთან. მათ ჩემი ჩასვლის გამო იმდენად შეეშინდათ, რომ მათთან მხოლოდ ერთი ღამით დავრჩი, მერე მოვიდა გიორგი წინამძღვრიშვილი და თავის ბინაში წამიყვანა. აქ ორი კვირა დავრჩი, სახლიდან არ გამოვსულვარ, სანამ არ მომიტანეს პასპორტი გელენიძის სახელზე, შემდეგ ბაქოში გავემგზავრე, სადაც ისევ ვიმალებოდი – გამოუსვლელად – დეკემბრის პირველი რიცხვებიდან 7 აგვისტომდე. არავისთან მქონია კავშირი არც თბილისში, არც ბაქოში. ჯერ მარიას ქუჩაზე, რუსი ქალის ბინაზე ვცხოვრობდი, შემდეგ სურახანის ქუჩაზე გადავედი თევდორე რუხაძესთან, შემდეგ სიმონ მაჭავარიანთან. ჩოლოყაშვილიდან მისივე თანხმობით წამოვედი,

არანაირი დავალება რა მოუცია, რადგან არ ვიცოდი, ჩავიდოდი თუ არა თბილისში, თანაც ჭიაურის ტყეში სამი დღით ადრე ძმა დაეღუპა, ძალზე მგლოვიარე იყო და ამისთვის არ ეცალა.

კითხვა: კიდევ რა იცით "ჩოლოყაევშჩინაზე"?

პასუხი: საერთოდ, ხელისუფლებასაც და ობივატელებსაც ზედმეტად გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის ძალასა და გავლენაზე. მისი რაზმი რაოდენობით 20-დან 40-მდე მერყეობდა. ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმი მას ხევსურეთში ჰყავდა. მასთან ერთად სულ 38 კაცი იყო. ისე, რა თქმა უნდა, ის მიიჩნევს, რომ მას საჭიროების შესაბამისად გაჰყვება მთელი კახეთი, ხევსურეთი, ფშავი, ქისტეთი და სხვ., რომ იგი შეკრებს 20.000 კაცს, ცხენოსანსა და ქვეითს, და რომ მას აქვს იარაღიც, ტანსაცმელიც, სურსათიც. მაგრამ მე ეს ამ ადამიანის ოცნებად მეჩვენება. მასთან ყოფნისას შევნიშნე, რომ ამ ადგილებში 3-4 ადამიანი თუ თანაუგრძნობს, ზოგი დაშორდა, ძმაც მოუკლეს ტყეში მეორე პირთან ერთად. იყო შემთხვევები, როდესაც კახეთში ზოგან რაზმით ჩნდებოდა, დეპუტაციას უგზავნიდნენ თხოვნით, დაეტოვებინა მათი სოფელი. ხევსურეთში ხევსურებს სურდათ მისი მოკვლა, მისი რაზმის განიარაღება და ხელისუფლებისათვის გადაცემა, მაგრამ კამათის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეთხოვათ, დაეტოვებინა ხევსურეთი... რამდენადაც ვიცი, ჩოლოყაშვილი არ ეკუთვნოდა არცერთ პარტიას, გამოსვლებამდე თანაუგრძნობდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და ამ პარტიამ იცოდა რა, რომ ჩოლოყაშვილი რაზმს აყალიბებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, შესთავაზა მას, მისი დროშით გამოსულიყო და დახმარება აღუთქვა. ის გამოვიდა, როგორც ეროვნულ-დემოკრატი, მენშევიკებმა როდესაც დაინახეს, რომ ჩოლოყაშვილის დიდება იზრდება და მასთან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გავლენაც, გადაწყვიტეს, გადაებირებინათ ჩოლოყაშვილი, აღუთქვეს ფული, ტანსაცმელი, და სხვ. რადგან იცოდნენ, რომ რომ ეროვნულ-დემოკრატებს არ შეეძლოთ ჩოლოყაშვილის დანაპირების ასრულება. ამით აიხსნება ჩოლოყაშვილთან ორი მენშევიკის მოსვლა, რომლებზეც ზემოთ ვთქვი. და ჩოლოყაშვილი მზადაა, ზურგი აქციოს ეროვნულ-დემოკრატებს – თუკი, თავის

მხრივ, მენშევიკები იმედს გაუცრუებენ მას, სხვა არაფერი განსაკუთრებული უნდათ, რადგან მცირედ განათლებულნი არიან და პოლიტიკურ საკითხებში ვერ ერკვევიან, ისინი მენშევიკებს ვერ გადახარშავენ. ყველამ მიაშურა ჩოლოყაშვილს საქართველოს გათავისუფლების იდეით კი არა, ახალგაზრდობის გამო, ზოგმა – დაპატიმრების შიშით. მე მას ვარწმუნებდი, დაეშალა რაზმი და სადმე მიმალულიყო. ის ხელისუფლებასთან არ გამოცხადდე-ბა, დახვრეტის შიშით, მაგრამ თუკი პასპორტს გადასცემენ და საზღვარგარეთ გაუშვებენ, რაზმს დაშლის. ბაქოში ჩამოვედი იმ მიზნით, რომ სპარსეთში გადავსულიყავი, მაგრამ არ გამოვიდა. (...)

კითხვა: რას იტყვით ეროვნულ-დემოკრატებთან თქვენს კავშირზე?

პასუხი: ოფიციალურად მათ კრებებს, კონფერენციებს არ ვესწრებოდი, მაგრამ ისინი თავიანთ კაცად მთვლიდნენ. (...) შემიძლია დავამატო, რომ 1905-1906 წლებში ამ პარტიის დამფუძნებლები ვიყავით: მე, მიხაკო წერეთელი, პეტრე სურგულაძე, მიხეილ ადამაშვილი – ჩვენ მისი ფუნდამენტი დავდეთ. ჩვენ დავიწყეთ ყოველკვირეული ჟურნალის გამოშვება და ეროვნულ იდეას ვატარებდით. მაგრამ სამი მათგანი საზღვარგარეთ წავიდა და საქმიანობა შევწყვიტეთ. შემდეგ ახალგაზრდობა გამოჩნდა, რათა ჩვენი საქმე გაეგრძელებინა, მაგრამ მე მათ ჩამოვრჩი და პარტიაში არ ვმონაწილეობდი. ამჟამად ჩემი ზემოხსენებული ამხანაგებიდან მიხეილ ადამაშვილი თბილისშია და ნოშტორგში მუშაობს, თუ არ ვცდები. წერეთელი და სურგულაძე საზღვარგარეთ არიან ევროპაში. (...) მენშევიკების წარმომადგენელი ამბობდა, რომ ყველა პარტიისაგან შექმნეს პარიტეტული კომიტეტი, სადაც თითო წარმომადგენელი ჰყავს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, მენშევიკებსა და მემერჯვენე ფედერალისტებს, მაგრამ მათი გვარები არ ვიცი. ამბობენ, მათ გვარებს საიდუმლოდ ინახავენ. ამბობენ ასევე, რომ მათი შტაბი თბილისშია და რომ ფულს ევროპიდან ყოფილი მენშევიკური ხელისუფლება უგზავნის. ახალმა კომიტეტმა ამ ფულის დიდი ნაწილი ჩოლოყაშვილს აღუთქვა, მცირე ნაწილი წავა გურიაში, არტაანში, სვანეთში და სხვ. (...) მოლაპარაკებაზე მენშევიკების წარმომადგენლებიდან ესწრებოდნენ რაზმის ოფიცრები: გიორგი გვერდწითელი, ელიზ-

ბარ ვაჩნაძე, გიორგი ნაცვალოვი, ლელი ჩიქოვანი, ღოღობერიძე და განსვენებული შალიკო ფავლენიშვილი. (...) კომიტეტისაგან ჩოლოყაშვილს დირექტივა არ მიუღია. მხოლოდ ჰკითხა: დაემორჩილება თუ არა ჩოლოყაშვილი ამ კომიტეტის დირექტივებს და თანხმობის პასუხი რომ მიიღო, დაემშვიდობა და წავიდა.

1926

ილია ებრალიძის საქმე

ფონდი 6. ყუთი 25. საარქივო № 26194, ტ.1.
(მოწმის სახით: მემედ აბაშიძე).

მემედ აბაშიძის დაკითხვის ოქმიდან:

1918 წ., როდესაც ბათუმი აიღეს ოსმალებმა, მე ვიქენი დაპატიმრებული და გაგზავნილი ოსმალეთში და მოთავსებული ტრაპიზონის საპატიმროში, სადაც ვიმყოფებოდი დაახლოვებით ორი თვის განმავლობაში, რის შემდეგ გავიქეცი და მოვბრუნდი საქართველოში. იმ დროს ბათუმი თურქებს ეჭირათ. ვინაიდან საქართველოს მთავრობას სურდა, კვლავ შემოეერთებინა სამუსულმანო საქართველო. ამ მიზნით ჩემს დაბრუნებამდის დაუარსებიათ ეგრეთ წოდებული "სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი". ამ კომიტეტში შედიოდნენ: ზია ბეგ აბაშიძე (ამჟამად გადასახლებულია ქ. როსტოვში) – თავმჯდომარე; სულეიმან ეფენდი დიასამიძე – მდივანი, ნოღაიდელი, თხილაიშვილი და სხვები. ჩემი დაბრუნებისას თავმჯდომარედ ხსენებული კომიტეტისა არჩეული ვიქმენი მე და კომიტეტს პოლიტიკური მოსაზრებით ასეთი სახელწოდება მოვეცი: "სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი". თავის მუშაობას ეს კომიტეტი აწარმოებდა ბათუმის ოლქში, ახალციხეშიც. საჭირო თანხებს მის შესანახად იღებდა გარეშე საქმეთა სამინისტრო. კომიტეტს ყავდა თავისი ხალხი, რომელსაც აგზავნიდა სააგიტაციოდ აჭარაში...

სამხედრო სამინისტროში დავდიოდიო ასლანის (ძმის – მ. კ.) საქმის გამო. მოგეხსენებათ, ასლანი ბათალიონის უფროსად

იყო. ეს ბათალიონი შესდგებოდა როგორც ქართველი მაჰმადიანების, ისე ქრისტიანი ქართველებისაგან. საჭირო დროს ეს ბათალიონი უნდა შესულიყო ბათუმში.

ამიტომ მე ასლანს ვუწევდი ხელმძღვანელობას და საჭირო სურსათ-სანოვაგეს, იარაღს და სხვა საჭირო სამხედრო ამისთანაებს გამოვატანინებდი სამინისტროდან.

(ხელნაწერი, ავტოგრაფი, ხელმოწერა: მემედ აბაშიძე)...

1935

რაინჰოლდ ჩაკერტის საქმე

ფონდი 6. ყუთი 54. საარქივო № 35199, ტ. 1/14.

რაინჰოლდ ჩაკერტი – გრიგოლ რობაქიძესთან და ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან დაახლოებული თბილისელი გერმანელი, რობაქიძის "მეგის" ერთ-ერთი მთარგმნელი გერმანულად. 1935 წლის 21 აპრილს დააპატიმრა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა. ბრალდების მიხედვით, ის სხვა დაკავებულ პირებთან ერთად შედიოდა გერმანიის გენერალურ საკონსულოში ფაშისტურ და ჯაშუშურ რეზიდენტურაში, რომლის ხელმძღვანელი იყო გერმანიის ქვეშევრდომი ბრუნო ფრანკე.

რაინჰოლდ ჩაკერტის დაკითხვის ოქმიდან (17 ივნისი, 1935 წ. (ნაბეჭდი, რუსულად):

კითხვა: გადმოეცით გარემოებანი, რომლებიც ასახავს თქვენი ნაცნობობის დასაწყისს მწერალ გრიგოლ რობაქიძესთან.

პასუხი: რობაქიძესთან ჩემი პირველი ნაცნობობა უკავშირდება აქ ჯერ კიდევ გერმანელთა ყოფნას. ის მაშინ იყო თავმჯდომარე ლიტერატურული დაჯგუფებისა "ცისფერი ყანწები". პირველი შეხვედრა შედგა საღამოზე, რომელიც ქართველმა ინტელიგენციამ 1919 წელს გერმანელების პატივსაცემად გა-

მართა. ამ საღამოზე რობაქიძე სხვა ქართველებთან ერთად გერმანელებს მიესალმა ქართველი ინტელიგენციის სახელით. (საღამოზე) მიწვეული იყო თბილისის თითქმის მთელი გერმანული კოლონია. ქართველებიდან მას ესწრებოდა ქართული საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენელი (არა ხელისუფლებისა). ქართველ სტუმართა შორის მახსოვს არსენიშვილი (მწერალი), იაშვილი, ტიციან ტაბიძე. რობაქიძის სიტყვა იყო ნათელი, გონიერი და დამაინტერესა. მე დედასთან და რამდენიმე ნაცნობთან ერთად თითქმის რობაქიძის მაგიდის გვერდით ვიჯექი და მისი სიტყვის შემდეგ მასთან მივედი, ღვინის ბოკალით მისი სადღეგრძელო შევსვი და საუბარი გავუბი. მე დამაინტერესა არა მხოლოდ მისი სიტყვის კონცეფციამ, არამედ ცალკეულმა მომენტებმა და ნაწყვეტებმა გერმანელი ფილოსოფოსებიდან (ფიხტე, ნიცშე). საღამოს დიდი ნაწილი გავატარეთ სამეცნიერო-ლიტერატურულ და ფილოსოფიურ თემებზე საუბრით და, თუ არა მეგობრებად, იმ ადამიანებად მაინც დავშორდით, რომელთაც ერთმანეთის ესმით. ამის შემდეგ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს და ერთმანეთთან ურთიერთობა არ გვქონდა. 1924 ან 1925 წელს რობაქიძე გერმანიაში იყო და გამოსცა თავისი პირველი თხზულება "გველის პერანგი". ქუჩაში შევხვდით და ის დაწვრილებით მომიყვა გერმანიაში თავის წარმატებაზე. ჩვენი ინტიმური მეგობრობა განეკუთვნება 1929 წელს და გაგრძელდა მის გამგზავრებამდე. ერთხელ ის ჩემთან შემოვიდა, რათა ესაუბრა გერმანულ ენაზე თავისი შემდგომი მსხვილი ნაშრომების თარგმანზე (რომლებიც არც რუსულ, არც ქართულ ენაზე არ გამოჩენილა). რომანს პირველად ეწოდებოდა "მედეას ნაწნავები", მაგრამ გერმანიაში გამომცემლობის ინტერესების გამო მას უწოდეს "მეგი – ქართველი გოგონა". ეს რომანი მას მე გადავუთარგმნე. ამ ნიადაგზე ჩვენ შორის წმინდად კულტურული ურთიერთგაგება განმტკიცდა. ამ ნაშრომით რობაქიძეს უცხოეთში წასვლა სურდა. 1931 წლის ზაფხული ჩვენ ერთად გავატარეთ კოჯორში, სადაც თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით, ერთად ვსეირნობდით და ვსაუბრობდით კულტურულ და ფილოსოფიურ თემებზე. მან მე გამაცნო ყველა პერიპეტია მისი ნებართვისა, გამგზავრებულიყო საზღვარგა-

რეთ, უთითებდა რა იმაზე, რომ მას ამ მიმართებით ეხმარება ენუქიძე, რომ მისი საკითხი სტალინის წინაშეც კი იდგა და რომ ნებართვა მან მოსკოვიდან მიიღო. თბილისში რომ დაბრუნდა, რობაქიძემ დააჩქარა თავისი გამგზავრება, ჩავიდა მოსკოვში, სადაც პირადი საუბარი ჰქონდა ენუქიძესთან, რომელმაც, მისი სიტყვით, კიდევ ერთხელ მოახსენა ამხ. სტალინს, რომ შემდეგ რობაქიძემ მიიღო რწმუნება, რომ მას გამგზავრების ნებას დართავენ. ის თბილისში დაბრუნდა და მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ჩემთან, სიხარულით მაჩვენა თავისი უცხოური პასპორტი, არა მარტო თავისთვის, არამედ ცოლისა და ნაშვილები გოგონასათვის. ამის შემდეგ მალე ის გაემგზავრა. მე მისგან მივიღე ერთი ღია ბარათი და ორი წერილი. პირველ ღია ბარათში მან მაუწყა (გერმანიაში) კეთილად ჩასვლაზე, მეორე წერილში მაცნობა თავის წარმატებულ მოლაპარაკებაზე გამომცემლობასთან რომანთან დაკავშირებით. მესამე წერილში კი (თუ ღია ბარათში) ის მიამბობდა მის გერმანიაში ყოფნაზე და რომ მას "კავკასიური სივრცეები" აკლია (ენატრება). მწერდა, რომ იგი რომელიღაც ბარონმა მიიღო, რომელსაც ციხე-სიმაგრეში თითქმის 80 ოთახი აქვს და რომ იქ მუდამ იმყოფებიან ლიტერატურული და სამეცნიერო სამყაროს მნათობები, და რომ ის ბედნიერია, წილად რომ ხვდა (ბედნიერება), იყოს ამ ბარონის სტუმარი და დრო მაღალკულტურულ ადამიანებთან გაატაროს. ეს უკანასკნელი წერილი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ მწერალი ტიციან ტაბიძე, რომელიც რობაქიძესთან ინტიმურ მეგობრულ ურთიერთობაში იყო, ჩემთან მოვიდა და მომიტანა ეგზემპლარი ჩემ მიერ ნათარგმნი რომანისა "მეგი", რობაქიძის ავტოგრაფით (ტექსტი აკლია – მ.კ.)... ეს წიგნი (რამდენიმე ეგზემპლარი) ფოსტით მიიღო ტ. ტაბიძემ ახლო მეგობრებში გავრცელებისათვის. ჯერ კიდევ აქ ყოფნისას რობაქიძეს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მისი წიგნის "გველის პერანგის" მთარგმნელთან (ამჯერად მისი გვარი მეხსიერებიდან ამომივარდა). ორივე მხარის ინიციატივით მოწვეული იყო სამედიატორო სასამართლო, სადაც რობაქიძის მხრიდან შედიოდნენ პროფ. ნუცუბიძე, პროფ. უზნაძე და მე. ჩემი მოვალეობა იყო, დამედგინა არა მხოლოდ

თარგმანის ავთენტურობა, არამედ ენა და სტილი. მას შემდეგ, რაც ტიციან ტაბიძისაგან მივიღე "მეგი", მე რობაქიძესთან არავითარი უშუალო კონტაქტი არ მქონია. რამდენიმე ხნის შემდეგ მის ღალატზე გავიგე. ვისგან გავიგე – ვერ ვიხსენებ. მხოლოდ ის მაოცებს, რომ ამ ფაქტის შემდეგ ტიციან ტაბიძეც გამირბოდა, როგორც კეთროვანს. რობაქიძის წასვლის შემდეგ მასთან ურთიერთობა სრულად შეწყდა (ის ხშირად მიწვევდა თავისთან).

კითხვა: სად იყო მოწვეული საღამო, რომელზეც რობაქიძე გაიცანით?

პასუხი: რუსთაველის თეატრის შენობაში, საკონცერტო დარბაზში.

კითხვა: ვინ მოგიწვიათ ამ საღამოზე?

პასუხი: მე მივიღე მოწვევა უსახელოდ, სტამბურად დაბეჭდილი, ხელმოწერით: "მომწყობნი".

კითხვა: გერმანიის საკონსულოს თანამშრომლები თუ ესწრებოდნენ საღამოს?

პასუხი: ესწრებოდა თვით კონსული ფონ-დრუფელი. ქართველი ორატორები ძალზე თბილად მიესალმნენ გერმანელებსა და გერმანიას... მაგრამ კონსული არცერთ გამოსვლას არ გამოხმაურებია, რამაც გაუგებრობა გამოიწვია არა მხოლოდ გერმანელების, არამედ ქართველთა მხარესაც. მაშინ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა გერმანელთა თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე შულც ფრანცი და მადლობა გადაიხადა გერმანული კოლონიის სახელით...

კითხვა ამ საღამომდე რა იცოდით რობაქიძეზე?

პასუხი: ამ საღამომდე ვიცოდი, რომ ის იყო დიდი ქართველი მწერალი და ლიტერატურულ ასპარეზზე ნოვატორთა ბელადი.

კითხვა: რა იყო ამ საღამოზე რობაქიძის გამოსვლის ძირითადი მოტივი?

პასუხი: რობაქიძემ ხაზი გაუსვა ქართველი ხალხის ისტორიულად განპირობებულ სიმპათიას გერმანიისადმი, რომ ამ სიმპათიამ დადასტურება ჰპოვა საქართველოში გერმანიის დელეგაციის ყოფნის დროს, რომ საქართველოს ორიენტაცია ყოველთვის სწორედ რომ გერმანულ კულტურაზე ჰქონდა და რომ პირადად ის საკუთარ თავს გერმანიის სულიერ შვილად მი-

იჩნევს. თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებად ის თვლის გერმანიაში გატარებულ წლებს (ლაიფციგში რომ სწავლობდა). თავისი სიტყვა მან მარჯვედ შეამკო პოეტებისა და ფილოსოფოსთა ციტატებით. მის გამოსვლა ყველაზე შთამბეჭდავი იყო.

კითხვა: გარდა რობაქიძის სიტყვის სიღრმისა და შინაარსისა, რამ მიიქცია თქვენი ყურადღება?

პასუხი: უპირველესად, სიტყვის ტონმა, რომელიც მატერიალურ კვალიფიკაციას არ ექვემდებარებოდა. შემდეგ კი მისმა პერსონამ. ის მე უფრო მისი სიტყვის გამო კი არ მომეწონა, არამედ თავისუფლების გამო, რომლითაც ის საუბრობდა.

კითხვა: თქვენთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა მისი სიტყვის გერმანოფილურ განწყობილებას?

პასუხი: ამ პერიოდში მე განსაკუთრებით ძლიერ შევიგრძნობდი იმ ღრმა შევიწროებას, რომელსაც განიცდიდნენ გერმანელები მსოფლიო ომის დროს. თბილისში რომ მოვხვდი, ნაციონალისტურმა ტალღამ შემიპყრო (როგორც უკვე ვამბობდი ჩემს წინა ჩვენებებში) და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლის ბაგეებიდან ოფიციალურ ზეიმზე გერმანელების პატივსაცემად წარმოთქმული სიტყვა მე ძალზე მესიამოვნა. ამ სიტყვამ განაპირობა ჩემი უკანასკნელი მეგობრობა რობაქიძესთან.

კითხვა: რას გიყვებოდათ რობაქიძე გერმანიაში 1924-1925 წლებში მოგზაურობის შესახებ?

პასუხი: ამ მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, რობაქიძე მიყვებოდა გერმანიის მძიმე მდგომარეობაზე და მთელი ხალხის დაძაბულ ქმედებებზე ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისათვის. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ გზაზე გერმანია აუცილებლად დასძლევს ყველა დაბრკოლებას. ის ხაზს უსვამდა გერმანიის უზარმაზარ პოტენციურ შესაძლებლობებს, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი ბევრს ლაპარაკობდა თავის პირად შეხვედრებზე წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით. საუბრობდა თავის შეხვედრებზე დიტრიხთან – გამომცემლობის ხელმძღვანელთან და მის ცოლთან – გერმანელ მწერალთან, შტეფან ცვაიგთან – ასევე, ფედერერთან და სხვა მწერლებთან შეხვედრებზე. რობაქიძე არასოდეს ეხებოდა ვიწრო

პოლიტიკურ საკითხებს. ქართულ ემიგრაციაზე მას ჩემთან არ უსაუბრია.

კითხვა: როგორ რეაგირებდა რობაქიძე 1924 წლის აგვისტოს მოვლენებზე?

პასუხი: იმ დროს ის თბილისში, ან საერთოდ, საბჭოთა კავშირში, იყო თუ არა, არ ვიცი. ჩვენი ინტიმური მეგობრული ურთიერთობა მოგვიანებით შედგა (1929 წ.). მაშინ აგვისტოს მოვლენების საკითხი მეორე პლანზე იყო. რამდენადაც მახსოვს, ამ მოვლენებზე არასოდეს გვისაუბრია.

კითხვა: როგორი პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა რობაქიძეს მის გერმანიაში გამგზავრებამდე?

პასუხი: რობაქიძე იშვიათად გამოთქვამდა აზრს პოლიტიკურ თემებზე. მით უმეტეს, რომ ის მალე საზღვარგარეთ უნდა წასულიყო. შემიძლია ვიმსჯელო მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებით და არა მისი კონკრეტული საუბრების მიხედვით. პირველ რიგში, მე რობაქიძე მაცნობდა საქართველოს ისტორიას, ამასთან, ის ცდილობდა, ჩემში გამოეწვია სიმპათია და სიბრალული ქართველი ხალხის მძიმე ხვედრის გამო. ის მაჩვენებდა მის მაღალ კულტურას წარსულში, მე-11-12 საუკუნეების ქართული კულტურის ბრწყინვალე გაფურჩქვნას, მუდმივ შევიწროებას, რომელიც, არ შეიძლებოდა, არ ასახულიყო ხალხის კულტურულ ზრდაზე. ამასთან, იგი ცდილობდა, დავერწმუნებინე უზარმაზარ პოტენციურ ძალებში, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოაცებდა, თუ საქართველო თავისუფალი იქნებოდა. ამის პარალელურად, ის აჩვენებდა საქართველოში ხალხის მასების დიდ კულტურულობას არა მხოლოდ მეზობელ ხალხებთან, არამედ რუსებთან შედარებით. ასევე, უთითებდა ინტელიგენციის უფრო დიდ პროცენტზე საქართველოში, ვიდრე რუსეთში. თუმცა რობაქიძე არასოდეს საუბრობდა თავის პოლიტიკურ კრედოზე, მივხვდი, რომ ის საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ შემწყნარებლურად ეპყრობოდა, მაგრამ არა შინაგანი რწმენით. რუსეთზე ის ან ცოტას, ან უარყოფითი აზრით საუბრობდა, მაშინ, როდესაც ის ყოველნაირად აქებდა გერმანიას. იგი ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გერმანოფილი იყო. თავისი უკანასკნელი ნაშრომები მას რუსულად დაუწერია მხოლოდ იმ

მიზნით, რომ გერმანულად მათი გადათარგმნა გაეადვილებინა. როდესაც მე მას მის ლიტერატურულ საქმიანობაზე ვესაუბრებოდი, ის მენდობოდა, ამბობდა, რომ მხოლოდ გერმანიას შეუძლია, მას ფრთები შეასხას, რომ საბჭოთა კავშირში მას თხზვა არ შეუძლია, რადგან მისი მსოფლმხედველობა ხასიათდება რელიგიურობით, მისტიციზმით და იდეალურობით. მე ის მომავალი ნაშრომების თემებზეც მესაუბრებოდა. მას სურდა დაეწერა დიდი ნაშრომი შამილის, როგორც კავკასიის სახალხო გმირის, ცხოვრებაზე, რომანი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებიდან, მისტიკურ რომანზე "ზანგები ევროპაში" და ავტობიოგრაფიულ რომანზე.

კითხვა: როგორი იყო რობაქიძის შეხედულებათა სოციალური არსი?

პასუხი: ვიცი, რომ იგი გატაცებული იყო პლიატკოვით, ს. ჩემბერლენით, შტირნერით, ნიცშეთი, შპენგლერით. მან, გერმანიიდან დაბრუნებულმა, თბილისში შპენგლერზე მთელი რიგი ლექციები წაიკითხა. აქ ჩემთვის ნათელია ტენდენცია – რობაქიძე ქედს იხრიდა ძლიერი და თვითკმარი პიროვნების მიმართ.

კითხვა: რა მიზეზით არ უნდა გამოეცათ სსრკ-ში რომანი "მედეას ნაწნავები"?

პასუხი: ამგვარი მიზეზები არ არსებობდა. შეიძლებოდა, რომანი საქართველოშიც გამოცემულიყო, ვიზა ამ ნაწარმოების უცხოეთში გატანაზე ლიტერატურის მთავარმა კომიტეტმა (главлит) გასცა. უბრალოდ, რობაქიძეს არ სურდა, ეს წიგნი სსრკ-ში გამოეცა, რამდენადაც ის მასზე თავდასხმებს ვარაუდობდა. ეს რომანი ღრმადაა გამსჭვალული მისტიციზმის ელემენტებით და მასში მრავლადაა ისტორიული, ნახევრად მითიური მონაცემები ძველ საქართველოზე (არგონავტების ლეგენდა ძველ ფაზისზე და ა.შ.). ამ რომანში არ არის არავითარი მატერიალისტური ელემენტი და ამ მხრივ რობაქიძეს ეშინოდა თავისი რომანის ბედის გამო. მისი ფრაზაა: "მე ევროპა გამიგებს", აქ კი არა მხოლოდ ვერ გამიგებენ, არამედ ლანძღვას დამიწყებენ.

კითხვა: შესაბამისად, რობაქიძეს სურდა, ეს წიგნი გერმანიაში გამოეცა?

პასუხი: დიახ, ის ამბობდა, რომ ამ წიგნს გერმანიაში გამოსცემს, ამ მიზნით შესრულდა მისი თარგმანი, რომელსაც

ერთი წელი დასჭირდა (მე ვთარგმნიდი რომანს შემოქმედებითი მუშაობის პარალელურად).

კითხვა: რობაქიძემ წინასწარ განჭვრიტა, რომ საზღვარგარეთ წიგნზე თავდასხმები არ შემცირდებოდა?

პასუხი: დიახ, რა თქმა უნდა, ის წინასწარ ჭვრეტდა მასზე თავდასხმების გარდუვალობას წიგნის საზღვარგარეთ გამოცემისას, თუმცა მე ის ამაზე არ მესაუბრებოდა.

კითხვა: შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, რომ მას მხედველობაში ჰქონდა, არ დაბრუნებულიყო საბჭოთა კავშირში?

პასუხი: ის ამაზე არასოდეს ლაპარაკობდა, მაგრამ ხშირად საუბრობდა იმაზე, რომ მას არ შეუძლია, მოსწყდეს ქართულ ბუნებას, საქართველოს, "ქართულ მიწას". მეტიც, მე ის მპირდებოდა, რომ მთელ რიგ ახალ წიგნებს ჩამომიტანდა გერმანიიდან, თარგმანზე ჩემი შრომის კომპენსაციისათვის. მთელი თარგმანისათვის მე მივიღე 100 მანეთი... მაშინ რობაქიძეს ძალზე უჭირდა. ის აქ თავის ნაწარმოებებს თითქმის არ აქვეყნებდა და ცხოვრობდა ქართველ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ხელფასით და ჩემი ჰონორარი, რა თქმა უნდა, არანაირი ზომით არ შეესაბამებოდა სამუშაოს.

კითხვა: რამდენად აინტერესებდა ბრუნო ფრანკეს მწერალი რობაქიძე?

პასუხი: რობაქიძე არანაირად არ დაინტერესებულა ბატონი ფრანკეს პიროვნებით. ბატონი ფრანკე კი მისით დაინტერესდა, რადგან რობაქიძე ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი ნათელი ფიგურა იყო. პირადი ურთიერთობები მათ შორის არ იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ეს არ ვიცი. ბატონი ფრანკე რობაქიძეს იცნობდა ჩემი საუბრებით და ლიტერატურით. ფრანკე მეკითხებოდა რობაქიძესთან ჩემს ვიზიტებზე და საუბრების თემებზე. თემები ფრანკესათვის იმდენად მაღალი იყო, რომ მე მას მათ აზრს არ განვუმარტავდი და ვესაუბრებოდი მხოლოდ რობაქიძის გერმანოფილობაზე.

კითხვა: შეგეძლოთ დაგეშვათ, თუ არა, რომ რობაქიძე აღარ დაბრუნდებოდა?

პასუხი: პირადად რობაქიძე მე არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი ღალატის ფაქტი გახდა ცნობილი, ვიქტორ

ივანოვმა მიამბო, თუ როგორ შეხვდა ქუჩაში რობაქიძეს (სკვერის ახლოს, ყოფილი ზემელის აფთიაქის პირდაპირ), მისი გამგზავრების წინა დღეს. თითქოს რობაქიძეს ძალზე მხიარულად უცნობებია ივანოვისათვის მის გერმანიაში გამგზავრებაზე. ივანოვი, მისი თქმით, აქვე დაეჭვებულა რობაქიძის დაბრუნების გამო, მაგრამ მას თითქოს უარუყვია ეს შესაძლებლობა. ივანოვმა გულახდილად მითხრა, რომ მას მისი არ სჯერა. რობაქიძემ გაიღიმა და სიტყვა ბანზე აუგდო. ივანოვმა მითხრა, რომ, თუ მასაც გამგზავრების ნებას დართავდნენ, ისიც უკან აღარ დაბრუნდებოდა. მისი ნაცნობობა რობაქიძესთან 1931 წელს კოჯორში დაიწყო და, ორივეს სიტყვებიდან ვიცი, რომ მათ ერთმანეთის მიმართ სიმპათია ჰქონდათ. როდესაც გაემგზავრა, რობაქიძემ მე მომანიჭა უფლება, მესარგებლა მისი ბიბლიოთეკით, მაგრამ მე ამ ნებართვით არ მისარგებლია...

რ. ჩაკერტის დაკითხვის ოქმიდან (17 ივნისი, 1935):

კითხვა: ვის იცნობთ სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა ინსტიტუტების მასწავლებლებიდან, რომლებიც გერმანიაში სწავლობდნენ?

პასუხი: ინდუსტრიულ ინსტიტუტში ვიცნობ ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომელთაც განათლება გერმანიაში მიიღეს. ვიცნობ ღვამიჩავას, უნივერსიტეტში – ჭეიშვილს.

კითხვა: რა გარემოებებში გაეცნო ბრუნო ფრანკე ნინო ამირეჯიბსა და რობაქიძეს?

პასუხი: ფრანკეს შეეძლო, ამირეჯიბი გაეცნო გერმანულ საზოგადოებაში, რამდენადაც ამირეჯიბი ყველა გერმანულ სპექტაკლს და სხვა ორგანიზებულ საღამოებს ესწრებოდა. ის ბრუნო ფრანკეს ხედავდა მაქსიმუმ ორჯერ ჩემთან, სახლში. ამირეჯიბს ფრანკეს მიმარ ინტერესი არ ჰქონია. ამგვარადვე, რობაქიძეს არ გამოუჩენია ინტერესი ბრუნო ფრანკეს მიმართ, რადგან მათ შორის შეუძლებელი იყო, კულტურული ურთიერთობა ყოფილიყო. ბრუნო ფრანკე ცდილობდა, ესაუბრა ამირეჯიბთან და მეტი – რობაქიძესთან. ფრანკეს ინტერესი

რობაქიძის მიმართ შეიძლებოდა დამყარებულიყო რობაქიძის გერმანოფილობაზე. მე საუბრებში არ ვმონაწილეობდი, რადგან სახლში მასპინძლის როლს ვასრულებდი ჩემი სტუმრების მიმართ... ვიცი, რომ ბრუნო ფრანკე უფრო მეტად ინტერესდებოდა რობაქიძით, ვიდრე რობაქიძე – მისით. რობაქიძის ღალატი რომ გაიგო, ფრანკემ ეს შეაფასა არა როგორც ღალატი, არამედ როგორც ლოგიკური მოვლენა ყველასათვის, ვინც გერმანიაში იქნება და გერმანოფილურად არის განწყობილი.

კითხვა: როგორ გაიცნო რობაქიძე ბრუნო ფრანკემ?

პასუხი: ბრუნო ფრანკემ რობაქიძე ნახა ჩემს სახლში და გაიცნო. მანამდე არ იცნობდა. ბრუნო ფრანკემ იცოდა, რომ მე რობაქიძისათვის წიგნს ვთარგმნიდი და მკითხა მის არსზე. ის იცნობდა "გველის პერანგს", რომელიც მას არ მოეწონა. ამ ჭრილში მან მე "მედეას ნაწნავების" შესახებ მკითხა წიგნზე მუშაობის გამო. ჩნდებოდა კითხვები არა მხოლოდ წიგნზე, არამედ რობაქიძის პიროვნებაზე.

კითხვა: როგორ შეიტყო ბრუნო ფრანკემ რობაქიძის ღალატზე?

პასუხი: თბილისში ბრუნო ფრანკეს, როგორც ძველ მცხოვრებს, დიდი კავშირები ჰქონდა. ამას გარდა, ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკონსულოსთან. რობაქიძის ღალატზე მას ჩემგან არ შეუტყვია.

რ. ჩაკერტის დაკითხვის ოქმიდან (9 ივნისი, 1935):

– პროფესორი ნუცუბიძე სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიას ასწავლის. ჩემი წარმოდგენით, ის სწორედ რომ წინააღმდეგობრიობათა უსასრულო რაოდენობით არის შექმნილი. გარეგნულად იგი სრულიად ლოიალურია და აქტიურადაც კი გამოდის საბჭოთა სულისკვეთებით. ამავე დროს, მასთან საუბრებმა დამარწმუნეს იმაში, რომ ის გერმანოფილი და საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეა. ეს შემდეგში გამოიხატება. ჯერ ერთი, იგი მუდმივად უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს, მერე ის მკვეთრად აკრიტიკებს საბჭოთა ხელისუფლების

ქმედებებს, თუნდაც პედაგოგიურ და მეთოდიკის საკითხებში, ნაციონალურ პოლიტიკაში. ის მუდმივად გამოთქვამს ნაციონალისტურ ტენდენციებს და საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ურთიერთობას უთანაბრებს მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობებს. 1934 წლის გაზაფხულზე მისი დავალებით ვთარგმნე პროფ. ზიგმუნდ ნადელის ორი წიგნი "ქართული სიმღერა" და "ქართული სალამურის მუსიკა" ბოკსისათვის. ამ წიგნმა სრულიად განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია ქართულ ინტელიგენციაში და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრს არ წაუკითხავს, მათი შინაარსი ზეპირად გადაიცემოდა გერმანიისადმი სიმპათიის გამოხატვის თანაბრად. სახელდობრ, ნუცუბიძე აღტაცებული იყო ამ წიგნებით, მიუთითა იმაზე, რომ მხოლოდ გერმანელმა მეცნიერებმა შესძლეს, შესაბამისად დაეფასებინათ ძველი ქართული კულტურა. აქედან გამომდინარეობდა დითირამბებიც გერმანიისადმი და თანამედროვე ფაშისტური წყობისადმი. რობაქიძის ღალატის შემდეგ მას უარი უთხრეს, ოჯახთან ერთად გამგზავრებულიყო გერმანიაში, რამაც მასზე ძლიერ იმოქმედა. ნუცუბიძემ გერმანიაში გამოსცა რამდენიმე წიგნი, რომლებიც სამეცნიერო წრეებში დიდი თანაგრძნობით მიიღეს. ის მაჩვენებდა რეცენზიებს, რომლებიც გერმანიის სამეცნიერო ჟურნალებში თავსდება. ის უთითებდა მეცნიერების ობიექტურობაზე გერმანიაში და წნეხზე, რომელსაც საბჭოთა კავშირში მეცნიერებზე ახდენდნენ. ამასთან, მან აღიარა, რომ საბჭოთა კავშირში მეცნიერება არ არსებობს. შეხვედრებისას ის მე მეუბნებოდა: "აქ შეუძლებელია, ილაპარაკო, შეუძლებელია, იფიქრო. „მისი საზრისი იმაში მდგომარეობდა, რომ მას ამძიმებს ის, რომ შეუძლებელია გამოთქვა აზრი, რომელიც ოფიციალური დოქტრინისაგან განსხვავებულია. თავის თვალთმაქცობას ის სწორედ ამ ფაქტით ხსნის. და ამბობს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი არქივი მის ნამდვილ მსოფლმხედველობას გამოამჟღავნებს. ამის მიუხედავად, ამ მიმართულებით მისი საუბრები და მისი არა ყოველთვის მკაფიო გამონათქვამები, უფრო სწორად, ფრთხილი გამონათქვამები, საფუძველს მაძლევს, ვიმსჯელო მის ფაშისტურ განწყობილებებზე და ხაზი უნდა გავუსვა, რომ ნუცუბიძე მაინც არ სარგებ-

ლობს დიდი იდეოლოგიური ავტორიტეტით. ეს იმით აიხსნება, რომ მისი თვალთმაქცური ხაზი ძალზე აშკარაა.

ძველი ისტორიის პროფესორი ა. წერეთელი გამორჩეულად ფრთხილი ადამიანია. მის მსოფლმხედველობას მე უფრო მესამე პირებისაგან (ტატიშვილი, გამსახურდია, ზანდუკელი) ვიცნობ. იგი ახლო ურთიერთობაშია ტატიშვილთან, გ.ფ. წერეთელთან, შანიძესთან, იმნაიშვილთან, ზანდუკელთან და სხვ. ვიცი, რომ ის სამსახურის საქმეებზე ხშირად დადის ქუთაისში, რადგან ის პედინსტიტუტში ლექციებს კითხულობს, მისი მოღვაწეობის ნახევარი ქუთაისს უკავშირდება.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ მასწავლებელს, მწერალ გამსახურდიას უკანასკნელი 5-6 წელიწადია, არ შევხვედრივარ, მაგრამ მე მას ვიცნობ, როგორც მკვეთრად და განსაზღვრულად გერმანოფილური განწყობილების ადამიანს, როგორც სრულიად ორიენტირებულს გერმანიაზე. ის მტრულად ეპყრობა საბჭოთა ხელისუფლებას. მე მას ვიცნობ, როგორც ძალზე არაგულწრფელ ადამიანს. მისი გამოსვლები პრესაში უკანასკნელ ხანს ნდობას არ იმსახურებს. წარსულში იგი სწავლობდა გერმანიაში, ახლო კავშირშია პროფ. მეკელაინთან (ქართული ფილოლოგიის პროფესორი ბერლინის უნივერსიტეტში). თბილისში იგი განსაკუთრებული მეგობრობით იყო დაკავშირებული გერმანელ კონსულ ვეზენდოკთან.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კურსის დოცენტი ზანდუკელი ჩემთან საუბრებში ამ უკანასკნელ დრომდე გამოთქვამდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა სინამდვილისადმი და ამბობდა, რომ არსებული საბჭოთა გარემო მას ახრჩობს და ამძიმებს. ერთხელ მან გამოაცხადა თითქმის სიტყვასიტყვით: “მოწყენილობაა, სული გეხუთება, ვერაფრით სუნთქავ”. იგი მიესალმება ფაშიზმის ღონისძიებებს გერმანიაში, თუმცა ჩემთან საუბრებში არ გამოხატავს დასკვნას საქართველოსათვის ფაშისტური წყობის სასურველობის შესახებ. ოცნებობს საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

გერმანული ენისა და კრისტალოგრაფიის მასწავლებელმა ივანე ყიფშიძემ განათლება გერმანიაში მიიღო, თავგამოდებული გერმანოფილი. ჩემთან საუბრებში ადიდებს გერმანიას,

უარყოფითად უყურებს საბჭოთა სინამდვილეს. ისიც თავისუფალ საქართველოზე ოცნებობს, თუნდაც გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. კავკასიაში გერმანული დელეგაციის ყოფნას ის საქართველოს საუკეთესო პერიოდს უწოდებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანოფილური ელემენტების ტენდენციის დახასიათებისას (ტატიშვილი, იმნაიშვილი, მგელაძე, ყიფშიძე) შემიძლია იმაზეც მივუთითო, რომ საქართველოს განთავისუფლების ერთადერთ საშუალებად ისინი მიიჩნევენ ინტერვენციას სსრკ-ში, ამასთან, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვთ გერმანული ინტერვენცია... ისინი თვლიან, რომ გერმანიის პროტექტორატის დამყარებით გარანტირებული იქნება მისი აყვავება, როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურული თვალსაზრისით. რამდენიმე თვის უკან ჩამოთვლილი პირების უმეტესობამ საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში გამოსვლასთან დაკავშირებით გაავრცელა ჭორი იმაზე, რომ ერთა ლიგაში დასმულია საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ამასთან, (ითქვა), რომ რეალურია პერსპექტივა საქართველოს გამოყოფისა საბჭოთა კავშირიდან...

კითხვა: რა იცით ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფაშისტურ საქმიანობაზე და მათ განწყობილებებზე?

პასუხი: სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლების ნაწილი, რომელთა ფაშისტურ განწყობილებებზე ვისაუბრე (ზანდუკელი, წერეთელი, ა. შანიძე) იმავდროულად ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობენ...

რ. ჩაკერტის 1935 წლის 22 ივნისის დაკითხვის ოქმიდან:

კითხვა: გადმოეცით თქვენთვის ცნობილი მონაცემები ქართველ მწერალ კ. გამსახურდიაზე.

პასუხი: გამსახურდიასთან შემახვედრა წმინდა საქმიანმა ურთიერთობამ, თუმცა მას მანამდეც ვიცნობდი. პრესიდან შევიტყვე, რომ გერმანულ საზოგადოებას ცხოვლად აინტერესებს ქართული ლიტერატურა (თბილისში ყოფილი კონსულის ვეზენდოკის სტატია ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში) და რობაქიძის რომანის "გველის პერანგის" წარმატებაზე გერმანიაში. მან მე მთხოვა, მეთარგმნა მისთვის რომანი "დიონისოს ღიმილი".

რომანი დიდერიხსის გერმანულმა გამომცემლობამ არ მიიღო. რომანზე თარგმნის პერიოდში (1927-1928 წლები) ხშირად ვხვდებოდი გამსახურდიას და ვესაუბრებოდი. ვიცი, რომ გამსახურდიამ განათლება მიიღო გერმანიაში, რომ ის ახლო კავშირშია ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორ მეკელაინთან, თბილისში მეგობრული ურთიერთობა აქვს კონსულ ვეზენდოკთან და საკონსულოს ერთ-ერთ თანამშრომელ ქალთან. გამსახურდიას საუბრებიდან გავარკვიე, რომ ის მკვეთრად ნაციონალისტურადაა განწყობილი, რომ ის აბსოლუტურად ორიენტირებულია გერმანიაზე და საქართველოს მომავალს ხედავს გერმანიასთან კავშირში. სოლოვკაში თავის ყოფნასთან დაკავშირებით ის ცოტას ლაპარაკობდა, ფრთხილად, ცხარედ. 1928 წლის შემდეგ მე მასთან ურთიერთობა სრულად გავწყვიტე. ახლა ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ვესალმებით და ვისაზღვრებით მხოლოდ ფორმალობით. ინტიმური ხასიათის არანაირი საუბარი არ მქონია მასთან. დაახლოებით 1930 წელს ის იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენის მასწავლებელი. საერთო ნაცნობების (ტატიშვილი, გრიგოლ წერეთელი, ილია ყიფშიძე, ნაწილობრივ – რობაქიძე) სიტყვებიდან ვიცი, რომ ის აგრძელებს წინა – ნაციონალისტურ და გერმანოფილურ პლატფორმაზე ყოფნას, რამდენადაც გამსახურდია 1931 წლიდან უნივერსიტეტში მეტად აღარ ასწავლის და მთლიანად ლიტერატურული საქმიანობითაა დაკავებული. ეს უარყოფითი გავლენა განპირობებულია გამსახურდიას ხასიათის უარყოფითი თვისებებით, მისი დამოკიდებულება თანამედროვე გერმანიის მიმართ ჩემთვის უცნობია.

იმავე დაკითხვის ოქმიდან:

კითხვა: გადმოეცით თქვენთვის ცნობილი მონაცემები თქვენი კორესპონდენტის კანდელაკის ურთიერთობებზე ქართველ ინტელიგენციასთან.

პასუხი: მე მაქვს 1932 წლის წერილი, რომელიც მიწერილია გერმანიაში ამჟამინდელი სავაჭრო პალატის თავმჯდომარის დ.ვ. კანდელაკის ცოლთან. მის დამოკიდებულებებზე ჩემთვის ცნობილია ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან. შემიძლია ვთქვა, რომ ის მეგობრულ ურთიერთობაშია ნინა პლატონის ასულ ამირეჯიბთან, მწერალ რობაქიძესთან და სხვა

ქართველ მწერლებთან. დ. კანდელაკს ძალზე კარგი ურთიერთობანი ჰქონდა პროფ. ნუცუბიძესთან. პროფ. ნუცუბიძისაგან კანდელაკზე გავარკვიე შემდეგი: 1. მეგობრული ურთიერთობანი კანდელაკისა რობაქიძესთან გრძელდებოდა რობაქიძის ღალატის შემდეგაც, რომლის დასტურია დახმარება, რომელიც კანდელაკმა გაუწია რობაქიძეს მისი ნაწერების შვედურ ენაზე გამოცემისათვის. 2. იმავე ნუცუბიძისაგან გავიგე, რომ რობაქიძის "მოტაცების" საქმეში მთავარი როლი ეკუთვნოდა. ეს გარემოებანი ნუცუბიძემ შემდეგი სახით მაცნობა: კანდელაკი პასუხისმგებელია იმაზე, რომ რობაქიძემ გასამგზავრებელი ვიზა მიიღო. იმავე კანდელაკს, თითქოს უნდა მოეწყო რობაქიძისა "მოტაცება" და მისი ჩამოყვანა საბჭოთა კავშირში. ეს ჭორი ქართულ საზოგადოებაში რამდენიმე დღე იყო და მე ის მხოლოდ ნუცუბიძისაგან არ გამიგია. 3. იმავე ნუცუბიძემ მიამბო, რომ ქართველები კანდელაკის დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ. 4. დაახლოებით 1933 წელს თბილისში ხმა გავარდა იმაზე, რომ კანდელაკი საბჭოთა კავშირში აღარ ბრუნდება და თავისი საბჭოთა პასპორტი დააბრუნა. ამაზე მე უნივერსიტეტის წრეებში გავიგე. მასთან პირადი მიმოწერა არ მქონია. მიმოწერა კანდელაკის ცოლთან 1933 წელს შევწყვიტე.

1937 წელი

ლიდია გასვიანის საქმე

ფონდი 6. ყუთი 49. საარქივო № 36168-07, ტ. 4.

ლიდია ილარიონის ასული გასვიანი – საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ(ბ)-ს წევრი 1918 წლიდან. 1927 წელს პარტიიდან გარიცხეს კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობისათვის, 1929 წელს ისევ აღადგინეს. 1936 წლის 20 ივლისს დააპატიმრა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 1. ის იყო წევრი კონტრრევო-

ლუციური ტროცკისტულ-ტერორისტული და დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციისა, რომელმაც 1934 წელს მოკლა კიროვი და ამზადებდა ტერაქტებს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 2. იგი იყო ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წევრი. 3. ის ორგანიზაციის წევრებს გადასცემდა საერთო საკავშირო ტროცკისტული ცენტრის დირექტივებს ტერორისა და სახალხო მეურნეობის მავნებლობისათვის. 4. ცენტრის სხვა წევრებთან ერთად ამზადებდა საქართველოს გამოყოფას სსრკ-დან, ევროპის ერთ-ერთი კაპიტალისტური ქვეყნის პროტექტორატისათვის და კაპიტალიზმის რესტავრაციას. დახვრიტეს 1937 წლის 26 ივლისს.

ლიდია გასვიანის დაკითხვის ოქმიდან (1937 წლის 17 იანვარი, რუსულად. ნაბეჭდი):

კითხვა: დაპატიმრებამდე თქვენ იყავით კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის აქტიური მონაწილე. აღიარებთ ამას?

პასუხი: ვაღიარებ, რომ 1931 წლის ივლისამდე, ე.ი. ჩემს დაპატიმრებამდე, შევდიოდი საქართველოს ტროცკისტული ორგანიზაციის შემადგენლობაში და აქტიურად ვებრძოდი სკკპ (ბ)-ს.

კითხვა: რა დროიდან იწყება თქვენი კონტრრევოლუციური მოღვაწეობა?

პასუხი: ჩემი ტროცკისტული საქმიანობა დაიწყო 1926 წელს, პირველი გამოსვლებით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში... 1926 წლის ზაფხულში გავიცანი ტროცკი, მისსავე აგარაკზე, არხანგელსკში, სადაც ჩამიყვანა და მასთან, როგორც ტროცკისტი, წარმადგინა ბორის ფუტორიანმა, რომელიც ახლოს იცნობდა ტროცკის და მისი ერთგული იყო. ამ დროიდან დაწყებული, ტროცკის გადასახლებამდე ალმა-ატაში, მე მასთან ერთად მუდამ მქონდა პოლიტიკური და პირადი ურთიერთობა. მის აგარაკზე რამდენჯერმე ვიყავი, ვესწრებოდი ტროცკისტული აქტივის შეკრებას მისი ხელმძღვანელობით. პიროვნულად და პოლიტიკურად ტროცკი სრულიად მენდობოდა... უკანასკნელად ტროცკი ვნახე ალმა-ატაში მისი გადასახლების წინ, მის სახლთან; შემდეგ ვმონაწილეობდი დემონსტრაციაში სადგურზე

ტროცკის გადასახლებასთან დაკავშირებით.

კითხვა: ტროცკის გარდა ტროცკისტული ორგანიზაციის რომელ ხელმძღვანელებთან იყავით დაკავშირებული და ურთიერთობდით?

პასუხი: ტროცკის გარდა მე ურთიერთობა მქონდა რადეკთან, სმილგოსთან, რაკოვსკისთან, სერებრიაკოვთან, მრაჩკოვსკისთან და სხვა. ქართველი ტროცკისტებიდან კარგად ვიცნობდი კოტე ცინცაძეს და სერგო ქავთარაძეს... ყველა ამათთან ახლოს ვიყავი და მათი ხელმძღვანელობით აქტიურ ტროცკისტულ საქმიანობას ვეწეოდი... მე პროპაგანდას ვუწევდი ტროცკისტულ პლატფორმას, გამოვდიოდი კრებებზე, ვიბირებდი ორგანიზაციაში ადამიანებს და ვმონაწილეობდი არალეგალურ ტროცკისტულ შეკრებებში. ამ საქმიანობას ძირითადად ვეწეოდი ზამოსკვორეცკის რაიონში. ტროცკისტული იატაკქვეშეთის მთელ ამ საორგანიზაციო საქმიანობას ხელმძღვანელობდა ი.ნ. სმირნოვი და სერგეი მრაჩკოვსკი, რომლებთანაც კავშირი მქონდა და რომელთაგან ვიღებდი დირექტივებსა და ლიტერატურას... შემდეგ ვმონაწილეობდი ტროცკისტულ დემონსტრაციაში 1927 წლის 7 ნოემბერს და, როგორც ზემოთ ვთქვი, დემონსტრაციაში ტროცკის გადასახლებასთან დაკავშირებით, 1928 წელს.

1928 წლის ბოლოდან გადავედი არალეგალურ მდგომარეობაში და ვიმალებოდი მოსკოვში 1929 წლის თებერვლამდე, როდესაც მე ტროცკისტული ცენტრის დავალებით გავემგზავრე საქართველოში მისიით, დამემყარებინა კავშირი ტროცკისთან, რომელიც მაშინ თურქეთში იყო... თბილისში გამომგზავრებისას მივედი კოტე ცინცაძესთან, რომელიც ბახჩისარაიში იყო გადასახლებული... ცინცაძემ მითხრა, რომ ქართულ ცენტრს ისიდორე თალაკვაძის მეთაურობით შეუძლია დაამყაროს კავშირი ტროცკისთან... მან მიუთითა, რომ ეს შესაძლებელია აჭარელი ტროცკისტების მეშვეობით დამყარდეს, თურქეთთან კონტრაბანდული კავშირების გამოყენებით. თბილისში რომ ჩამოვედი, ქეთო დუმბაძის მეშვეობით დავუკავშირდი თალაკვაძეს და გადავეცი მოსკოვის ცენტრისა და ცინცაძის დავალება. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართულმა ცენტრმა თალაკვაძის მეშვეობით გადმომცა, რომ ის შეძლებს ტროცკისთან დაკავშირებას, მაგ-

რამ ამისათვის საჭირო იქნება მოსკოვის მხრიდან ფულადი დახმარება. რამდენადაც მახსოვს, მაშინ დაასახელეს 10.000 მანეთი. ამ, ასევე ქართველი ტროცკისტების იატაკქვეშეთის ინფორმაციით, მე წავედი. მოახერხა თუ არა ქართულმა ცენტრმა ტროცკისთან კავშირის დამყარება, მე ეს არ ვიცი. მოსკოვში დაბრუნებისას 1928 წელს დავწერე განცხადება ტროცკიზმისაგან ჩამოშორებაზე და ჩემი ეს განცხადება, ისევე, როგორც სხვებისა, ტაქტიკური იყო და ჩვენი "ჩამოშორება" იყო მანევრი, რათა თავი პარტიის რიგებში შეგვენარჩუნებინა*... მათ შორის, ვინც პარტიაში დაბრუნდა, ჩემთვის ცნობილ ტროცკისტთაგან ყველაზე დასრულებული ფიგურა იყო სერგო ქავთარაძე. გადასახლებაში ყოფნისას ის პარტიის მისამართით უკიდურესად მკვეთრ და შეურიგებელ პოზიციაზე იდგა. ამგვარი იყო იგი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. მას შევხვდი მოსკოვში, ჩემს სახლში, 1931 წელს. ქავთარაძემ მითხრა, რომ ტროცკისტები ყველაფერში მართლები იყვნენ, ახლა კი პარტიაში უნდა შევიდეს. ამასთან, ის პარტიის ხაზს ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საქმეში მკვეთრად მტრულად ახასიათებდა და ძალზე გაბოროტებული ტონით ლაპარაკობდა სტალინზე... ერთხელ, ახალი წლის შეხვედრისას, ბუდუ მდივანმა შემდეგი შინაარსის სადღეგრძელო წარმოთქვა: "ჩვენ ყველანი აქ შევიკრიბეთ, ადამიანები, თანამოაზრენი, რომლებიც ერთმანეთთან მტკიცედ არიან დაკავშირებულნი. მართალია, ჩვენ კარგად შეგვაჯანჯღარეს, გვცემეს, მაგრამ მოწყენას არ უნდა მივეცეთ, მეტი მხნეობა და რწმენა მომავლისა"... ამ შეკრებებზე მზადდებოდა ნიადაგი აქტიური აგრესიული ტროცკისტული მოძრაობისათვის, რომელიც დაიწყო 1933 წელს ქართულ ტროცკისტულ ორგანიზაციაში, რომლის წევრი ვიყავი დაპატიმრებამდე.

კითხვა: რა იცით ამ ორგანიზაციის საქმიანობაზე?

პასუხი: ქართული ტროცკისტული ორგანიზაცია, საკავშირო ტროცკისტული ცენტრის დირექტივების შესაბამისად,

* სერგრიაკოვს გაგრაში დაუბარებია გასვიანი და კოტე ცინცაძე და დაურწმუნებია, რომ დაბრუნებოდნენ პარტიას იმ მოტივირებით, რომ პარტიაში უნდა დააბრუნონ ტროცკისტული კადრები, რათა იქ "უკეთეს დროს" ტროცკისტული მუშაობა გაეჩაღებინათ.

ამზადებდა ტერაქტებს სკკპ (ბ)-ს ხელმძღვანელების წინააღმ-დეგ და ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას... ქართული ტროცკისტული ორგანიზაციის ეს საქმიანობა დაიწყო 1933 წელს და საკავშირო ტროცკისტული დირექტივის მიღებიდან გადავიდა ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებზე სკკპ (ბ)-სთან მავნებლური, დივერსიული საქმიანობით საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

კითხვა: ვინ გადასცა მათ ეს დირექტივები?

პასუხი: მე გადავეცი. შესაძლოა, სხვებმაც გადასცეს.

კითხვა: საიდან გაიგე ეს დირექტივები?

პასუხი: ქავთარაძემ გადმომცა.

კითხვა: როდის?

პასუხი: 1933 წელს მოსკოვიდან გადმოსცეს წინადადება: გადაეცით ქართველ ტროცკისტებს ტროცკისაგან მიღებული მითითება ტერორზე, როგორც სკკპ (ბ)-ს ხელმძღვნელებისა და, უპირველესად, სტალინის მოშორების ერთადერთ შესაძ-ლებლობაზე. მანვე მაცნობა მავნებლურ დივერსიულ მუშაო-ბაზე. მან ეს იმით ახსნა, რომ მეტად აღარ შეიძლება, დავუშვათ პარტიული ხელმძღვანელობის ავტორიტეტისა და გავლენის განმტკიცება სამეურნეო აღმშენებლობის წარმატებებთან დაკავშირებით.

კითხვა: რა გზით მიიღო ქავთარაძემ ეს დირექტივები?

პასუხი: ისინი გადასცა სერებრიაკოვმა, რომელსაც ამ პერი-ოდში ხვდებოდა...

კითხვა: რა გზით გახდა ტროცკის დირექტივები ცნობილი ქავთარაძისათვის?

პასუხი: სერებრიაკოვი ატყობინებდა, რომელსაც ქავთა-რაძე ამ პერიოდში ხვდებოდა.

კითხვა: თქვენ პირადად როგორ უყურებდით ამ დირექტივებს?

პასუხი: ეს დირექტივები ჩემთვის, როგორც სხვა ქართ-ველი ტროცკისტებისათვის, მოულოდნელი არ იყო. ჯერ კიდევ 1926-1927 წლებში ქართველი ტროცკისტები გამოირჩეოდნენ მწვავე შეურიგებლობით სკკპ (ბ)-სთან და თავიანთ განზრახ-ვათა აგრესიულობით... ამასთან დაკავშირებით ვიხსენებ, რომ

ტროცკიმ ჩემთან ერთ-ერთ საუბარში ქართველ ტროცკისტებზე თქვა: "ყოჩაღ, ქართველებო, ერთგული, საიმედო და გაბედული ხალხია"... ასეთ აგრესიულ სულისკვეთებას ჩვენში ზრდიდა ქართველი ტროცკისტების ხელმძღვანელი კოტე ცინცაძე.

კითხვა: სწორედ თქვენ რატომ მოგანდეს ამ დირექტივების გადაცემა ქართული ორგანიზაციისთვის?

პასუხი: 1927 წლიდან ვასრულებდი მეკავშირის ფუნქციას ქართულ ტროცკისტულ ორგანიზაციასა და მოსკოვის ტროცკისტებს შორის (ორივე მხარეს ვიცნობდი და მენდობოდნენ).

კითხვა: პერსონალურად ვის გადაეცით სერგო ქავთარაძის მიერ გადმოცემული დირექტივები?

პასუხი: თბილისში წასვლის წინ ქავთარაძემ მაცნობა, რომ ქართველი ტროცკისტების ორგანიზაციაში შედიოდნენ: თვითონ, სიმონ ჩიხლაძე, მიშა ოკუჯავა, ნიკო კიკნაძე, ბენო კალანდაძე და სხვ.

კითხვა: სხვებს ვის იცნობ?

პასუხი: ამათ გარდა, ვიცნობ ორგანიზაციის სხვა წევრებს: 1. მათითაიშვილი გერმანე – საკონსერვო ტრესტის დირექტორი; 2. კოტე გორდელაძე – მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარის მოადგილე; 3. კვირკველია ბესო – ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორი; 4. კარპო მოდებაძე – მარგანეცის გაერთიანების ხელმძღვანელი; 5. გოგოტიშვილი – საქართველოს განათლების სახალხო კომისატიატის ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი; 6. სევასტი თალაკვაძე – წიგნის პალატის ხელმძღვანელი; 7. ვანო ელბაქიძე – სამეურნეო მუშაკი, ტროცკისტი.

კითხვა: კონკრეტულად რა იცით ორგანიზაციის კონკრეტულ მოღვაწეებზე და ჩამოთვლილ პირთა მონაწილეობაზე მასში?

პასუხი: ჩემთვის უპირველესად ცნობილია, რომ ქართული ორგანიზაციის მთელი საქმიანობა ხორციელდებოდა საკავშირო ტროცკისტული ცენტრის ხელმძღვანელობით, სერებრიაკოვისა და რადეკის ხელმძღვანელობით.

კითხვა: სერებრიაკოვი და რადეკი რა გზით ხელმძღვანელობდნენ ქართულ ორგანიზაციას?

პასუხი: სერებრიაკოვთან დაკავშირებული იყო პირადად

ბუდუ მდივანი. 1935 წელს ჩვენს საერთო ნაცნობთან შევხვდი ბუდუ მდივანს.

კითხვა: ქართულ ორგანიზაციას ჰქონდა თუ არა უშუალო კავშირი ტროცკისთან?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: რა იცით ორგანიზაციის მოღვაწეობაზე?

პასუხი: ზემოთ ვაჩვენე, რომ ორგანიზაცია ამზადებდა ტერაქტებს ხელმძღვანელებზე, კერძოდ, სტალინსა და ბერიაზე – ეს მე მიამბო რომან ჩიხლაძემ 1934 წელს.

კითხვა: კიდევ რა იცით ორგანიზაციის კონკრეტულ მოღვაწეობაზე?

პასუხი: მე ასევე ვიცი, რომ ქართველ ტროცკისტთა ცენტრი ამოცანად ისახავდა საქართველოს გამოყოფას სსრკ-დან, ე.წ. "დამოუკიდებელი" ქართული სახელმწიფოს შექმნას... ჯერ კიდევ 1933 და 1934 წლებში, მდივანთან და ქავთარაძესთან შეხვედრისას, საუბრობდნენ გერმანიისა და იაპონიის მოსალოდნელ თავდასხმასთან დაკავშირებით. ორივენი მსგავსად ფიქრობდნენ, რომ სსრკ-ს დამარცხება გარდუვალია, ტერიტორიების დაკარგვა აუცილებელია. ამიტომ საქართველოს მომავლის უზრუნველყოფისათვის საჭიროა, გადაწყდეს საკითხი ქართული სახელმწიფოს შექმნისა, რომელიც წამყვან მდგომარეობას დაიკავებდა ამიერკავკასიაში. ეს იყო მდივნისა და ქავთარაძის ძველი უკლონისტური პოზიცია. მათი დასკვნით, ამ ამოცანათა განხორციელებაში გადამწყვეტი დახმარება შეუძლია ინგლისს, რომელიც ამიერკავკასიით არის დაინტერესებული. თუ მათ მივცემთ ეკონომიკურ უპირატესობას ნავთობისა და მარგანეცის, ფერადი მეტალების მოპოვებაში და სხვ., ინგლისი მხარს დაუჭერს საქართველოს დომინირებულ მდგომარეობას ამიერკავკასიაში. სომხეთს და აზერბაიჯანს ინგლისი საქართველოს მეშვეობით მართავს... მდივანი ამბობდა: "ინგლისელი კონცენსიონერები და მრეწველები ეცდებიან, გამოსწურონ საქართველოს ყველაფერი, რაც შეუძლიათ. ყველასათვის ცნობილია ის, თუ როგორ აკეთებენ ამას ინგლისელები... მაგრამ ქართველი ხალხი ზარმაცია და ეს მისთვის სასარგებლოც იქნება. ჩვენი ქართველი გლეხი ინგლისელთა დახმარებით ისწავლის,

როგორც საჭიროა, იმუშაოს და მერე მადლობას იტყვის, რომ ამ სწავლების პროცესში თავის ზურგზე გამოსცდის ინგლისურ შოლტს. მდივანს შეთანხმება უნდოდა ქართველ მენშევიკებთან და ნაციონალისტურ ელემენტებთან.

კითხვა: პირადად ვისთან ჰქონდა მოლაპარაკება ამ შეთანხმებაზე?

პასუხი: ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მენშევიკ ქარცივაძესა და ნაციონალისტ ვალოდია ჯიშკარიანთან.

კითხვა: ვინ არის ჯიქია?

პასუხი: ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ნაციონალისტი და მიაჩნია, რომ ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა გადამწყვეტი და შეურიგებელი ბრძოლა უნდა გააჩაღონ საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისათვის. ყველაზე უფრო უკიდურესად ნაციონალისტმა, ფაშისტური განწყობის მწერალმა გამსახურდიამ ჩემთან საუბარში აღტაცებით დაახასიათა ჯიქია. ის ამბობდა: "ჯიქია ნამდვილი ქართველი პატრიოტი და ნაციონალისტია. აი, როგორი ბელადები გვჭირდება ჩვენ". გამსახურდია მეუბნებოდა, რომ ის ხშირად ხვდება ჯიქიას და რომ საქართველოზე საკითხში მისი შეხედულებანი ჩემს შეხედულებებს სრულად ემთხვევა. "მე მასთან არავითარი უთანხმოება არა მაქვს".

მისგანვე ცნობილია ჩემთვის, რომ ჯიქია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქართველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების წრეში, რომლებიც ითვალისწინებენ მის პირად თვისებებს, ჯიქიას სახით თავიანთ მომავალ ბელადს ხედავენ.

კითხვა: რა იცით მდივნის მოლაპარაკებებზე ინგლისელებთან?

პასუხი: არ ვიცი.

დოკუმენტები

პატიმართა ანკეტები

ღოღობერიძე ჟანგო (ივანე) სერგოს ძე*

გვარი – ღოღობერიძე
სახელი და მამის სახელი – ჟანგო (ივანე) სერგოს ძე
ეროვნება – ქართველი
წლოვანობა – 32 წლის, დაბ. 1905 წელს
დაბადების ადგილი – ს. ფარცხანაყანევი, ქუთაისის მაზრა
საცხოვრებელი ადგილი – თბილისი, ამჟამად ცხოვრობს: მოსკოვი, იზვოზნაიას 2, სახლი 36, კორპ. 5, ბინა 140
განათლება – უმაღლესი
პარტიულობა – უპარტიო
სად მუშაობდა – „ლიტერატურული გაზეთის“ პასუხისმგებელი მდივანი; სსრკ-ს მწერალთა კავშირის ორგანო
დაპატიმრების თარიღი – 1937 წლის 5 აპრილი
ბრალდება – ტროცკისტობა
მუხლი – 58.1ა, 58.8, 58.11

* * *

ჭანტურიშვილი სიო დიმიტრის ძე**

გვარი – ჭანტურიშვილი
სახელი – სიო
მამის სახელი – დიმიტრი
რომელი სახელმწიფოს მოქალაქეა – საქართველო
ეროვნება – ქართველი
გუბ. მაზრა – ოზურგეთის
წლოვანება – 39 წლის, დაიბადა თებერვალში, წელი - 1884
დაამთავრა – მოსკოვის უნივერსიტეტი
კურსი – იურიდიული

---

* ფონდი № 6, საარქივო № 371145-07, ტომი № 3, ყუთი № 234
** ფონდი 6, საქმე №23294.

ოჯახის შემადგენლობა – მეუღლე – პოლინა ნიკოლოზის ასული

ვაჟიშვილები: პავლე (10 წლ.), დიმიტრი (5 წლ.), ლევანი (8 თვ.)

დედა – ნინა ტიმოთეს ასული (85 წლ.)

ძმები – სიმონ დიმიტრის ძე (55 წლ.)

სერგი დიმიტრის ძე (48 წლის) (ცხოვრობენ ბათუმში)

და – პოსიდო დიმიტრის ასული (42 წლის) დიასახლისი

პარტიული კუთვნილება – სოციალ-დემოკრატი 1912-13 წლიდან

პროფესია – მწერალი-დრამატურგი

თუ ირიცხებოდა სახ. სამსახურში და რა ჩინით – არ მახსოვს

აქვს თუ არა უძრავი ქონება, როგორი და სად – პატარა სახლი ქუთაისში

იყო თუ არა ადრე დაკავებული სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით – საქსაგანგებო კომისიის (გრუზჩეკა) მიერ 1921 წელს

დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან – არა

როდისაა დაკავებული – 1923 წლის 26 მაისს

ვის მიერ, ვისი ორდერით – საქსაგანგებო კომისია ორდ. N6260

სადაა დაკავებული – თბილისში, ქუჩაში

როდის და ვის მიერაა დაკითხული – 26 მაისს საქსაგანგებო კომისიის რწმუნებულის მიერ

საცხოვრებელი ადგილი დაპატიმრებამდე – თბილისი, პასაჟირსკი შესახვევი N 15

პროტოკოლი:

ადრინდელი წოდება – გლეხი

კლასობრივი მდგომარეობა – (ბურჟ. პროლეტ. და სხვ,) – პროლეტ.

ქონებრივი მდგომარეობა – აქვს სახლი ქუთაისში

ოჯახური მდგომარეობა – დაოჯახებული

შვილების რაოდენობა – 5 (შეცდომაა, უნდა იყოს 3-ნ.კ.)

* * *

გოთუა ლევან პართენის ძე*

გვარი, სახელი – გოთუა ლევან პართენის ძე

ეროვნება – ქართველი

ასაკი და დაბ. თარიღი – 20 წლის, დაბ. 1905 წლის 25 თებერვალს, ქ. ტფილისი

განათლება – საშუალო

დაამთავრა – მე-8 ტექნიკუმი

ოჯახის წევრები

	სახელი	ასაკი	საქმიანობა	მისამართი
მამა	პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა	50 წლის	საურთიერთო ნდობის საზოგადოება	ქ. თბილისი, ბებუთოვის ქ. 56
დედა	სოფიო	45 წლის	მეოჯახე	
ძმა	არჩილი	22 წლის	სტუდენტი	
ძმა	სანდრო	17 წლის	სტუდენტი	
და	თინა	15 წლის	სტუდენტი	
და	თამარი	7 წლის	მცირეწლოვანი	
და	მზია	5 წლის	მცირეწლოვანი	

პარტიულობა – 1925 წლამდე ვირიცხებოდი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრად, შემდეგ – უპარტიო

პროფესია – სტუდენტი

რა საშუალებით ცხოვრობს – მამის ხარჯზე

იყავით თუ არა მიცემული პასუხისგებაში – 1924 წლის დამლევს დაპატიმრებული ვიყავი საგანგებო კომისიის მიერ

სამხედრო სამსახური – არ ვყოფილვარ გაწვეული

როდის იქენით დაპატიმრებული და ვის მიერ – 21 მარიამობისთვეს 1925 წლის, საგანგებო კომისიის თანამშრომლის მიერ, ახალციხის პოლიტბიუროს ორდერი № 14

სად არის დაპატიმრებული – დამაპატიმრეს კურორტ აბასთუმანში ბინაზე

* ფონდი 6, საარქივო № 25306, ანკეტა 835 (შევსებულია ქართულად მისივე ხელით)

როდის დაიკითხა და ვის მიერ – არავის მიერ

წარდგენილი ბრალი – არა

საცხოვრებელი ადგილი დაპატიმრებამდე – აბასთუმანი, ფრიდონოვის აგარაკი

ხელმოწერა: ლ. გოთუა

24 მარიამობისთვე 1925 წ.

ამონაწერი გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განსაკუთრებული სათათბიროს ოქმიდან

6 ივლისი 1928 წ.

მოისმინეს:	**დაადგინეს:**
გადაისინჯა მოქ. გოთუა ლევან პართენის ძის საქმე № 33902, რომელსაც გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ) კოლეგიის 1925 წლის 25 სექტემბრის განსაკუთრებულ სხდომაზე მიესაჯა საკონცენტრაციო ბანაკში გადასახლება 3 წლით; გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის დადგენილებით 1926 წლის 17/VI-დან აღსრულებაში მიღებული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ЦИК) პრეზიდიუმის 1926 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საკონცენტრაციო ბანაკიდან გათავისუფლების შესახებ და 6 პუნქტში, აღნიშნულ ოლქებსა და საზღვრისპირა გუბერნიებში ცხოვრების აკრძალვა დარჩენილი დროით.	სასჯელის ვადის დასრულების გამო გოთუა ლევან პართენის ძეს აეკრძალოს ამიერკავკასიაში ცხოვრება 3 წლით.

ამონაწერი სააღრიცხვო ბარათებიდან

* * *

1. გვარი – მარიშვილი
2. სახელი და მამის სახელი – ნიკოლოზ ილების ძე
3. დაბ. წელი – 1896 4. დაბ. ადგილი –
5. მისამართი – თბილისი, ლერმონტოვის ქ. 50
6. პროფ. და სპეც. – მწერალი
7. საქმიანობა – კამპანიერობა „ზარია ვოსტოკა"
   და საქმიანობის სექტორი – მხატვ. კონფლიქტების მე. ხელოვნება
8. წარსული –
9. სოც. მდგომარეობა – მოსამსახურე 10. პარტ. – უპარტიო
11. ეროვნ. – ქართველი 12. მოქალ. – სსრკ
13. რეზერვის კატეგორია –
14. დაპატიმრებულია – 1.VI – 1937 წ. ვის მიერ – სახ. უშიშ. მე-4 განყ.
15. იმყოფება –
16. სადამსჯელო ზომების შეცვლა –
    სისხ. სამ. კოდ. მუხლი – 58/6, 58/7, 58/8, 58/11
17. დადგენილება /ვის მიერ/ – 12/VII 1937 წ. საქ. უსსრ
    ბრალდებ. დაკავშირ. –
    საქმესთან დაკავშირ. – სსრკ სასამართლო
18. შესრულება –
19. გადახედვა – სსკ. უმაღ. ზომა დახვრეტა
20. შესრულ. კონტროლი – განაჩენი მოუკანონლა სასჯელში 12/VII 1937 წ.
21. საქ. წარმოება – ძველი საქმე ინახება სსრკ უსსრ არქივში
22. სხვ. შენიშვნები – №969430

საქმე შენუკვეთლა მაში დანაშაულებრივი შემადგენლის ნაკლებობის გამო
25/X 57 წ. ქ. მოსკოვი

* * *

1. გვარი – ბოტოლიშვილი
2. სახელი და მამის სახელი – მიხეილ სიმონის ძე
3. დაბ. წელი – 1901 4. დაბ. ადგილი – ცოცხალი
5. მისამართი – ცოცხალი
6. პროფ. და სპეც. – სამთამადნო მესაბაძე
7. საქმიანობა –

და საქმიანობის სექტორი –

8. წარსული –
9. სოც. მდგომარეობა – მუშა 10. პარტ. – უპარტიო
11. ეროვნ. – ქართველი 12. მოქალ. – საბჭოთა
13. რეზერვის კატეგორია – სუფთა, იმყოფება აღრიცხვაზე ცოცხალი სამხედრო კანონმდებლობაში
14. დაპატიმრებულია – 3. IX 1937 წ. ვის მიერ – ცოცხალი სკ.
15. იმყოფება –
16. სადამსჯელო ზომების შეცვლა – ბაღრიონი

სისხ. სამ. კოდ. მუხლი –

17. დადგენილება /ვის მიერ/ – III შკ სამეულის მიერ 21/XII 1937 წ. შიომა-ვასრთოსის ბანაკში 10 წლით

ბრალდებ. დაკავშირ.

საქმესთან დაკავშირ.

18. შესრულება –
19. გადახედვა –
20. შესრულ. კონტროლი – 20/I 38 წ. ოკუპაციონერი ოსოლ. ოლქში, ქ. სოლოვკამსკი
21. საქ. წარმოება –
22. სხვ. შენიშვნები – საქ. III სასამართლოს სამხედრო კომისიის განჩინებით №887 14/XI 1959 წ. საქმე გადახედულია და შეწყვეტილია აღნიშნული შალის დაუმტკიცებლობის გამო

17/3 60 წ.

* * *

1. გვარი – ჩხეიძე (იგივე ჩანგელია)
2. სახელი და მამის სახელი – დავით (იგივე დო) მელიქონის ძე
3. დაბ. წელი – 1891 4. დაბ. ადგილი – ს. ლიმი, ბაღდათის ხაონი
5. მისამართი – ქუთაისი, კონაშვილი ქ. 12
6. პროფ. და სპეც. –
7. საქმიანობა –
   და საქმიანობის სექტორი –
8. წარსული –
9. სოც. მდგომარეობა – 10. პარტ. –
11. ეროვნ. – ქართველი 12. მოქალ. –
13. რეზერვის კატეგორია –
14. დაპატიმრებულია – 28/X 1937 წ. ვის მიერ –
15. იმყოფება – IIIk VII I კანყ.
16. სადამსჯელო ზომების შეცვლა –
   სისხ. სამ. კოდ. მუხლი – 58/10, 58/11
17. დადგენილება /ვის მიერ/ – 31/XII. 1937 IIIკ VIIკ სმოკლის მოკ
   ბრალდებ. დაკავშირ.
   საქმესთან დაკავშირ.
18. შესრულება –
19. გადახედვა – დახვრეტა
20. შესრულ. კონტროლი –
21. საქ. წარმოება –
22. სხვ. შენიშვნები – სსხ. სამ. საქმეა სასამართლო კომისიის №15 გადაწყვეტილებით 25/X. 55 წ. სმოკლის გადაწყვეტილება გაუქმებულია მაღალ დაუმტკიცებლობის გამო. საბოლოო საქმის წარმოება შეწყვეტილია

* * *

1. გვარი – კვაძე
2. სახელი და მამის სახელი – ხაჟეონ თომას ძე
3. დაბ. წელი – 1871 4. დაბ. ადგილი – ს. ენგური, სამეგრელოს ს-ნი
5. მისამართი – ქ. თბილისი, მაჩაბელის 12
6. პროფ. და სპეც. – ელექტრიკოსი
7. საქმიანობა – ან მუშაობს
   და საქმიანობის სექტორი –
8. წარსული – ნასამართლევი ან არის
9. სოც. მდგომარეობა – ბურჟუაზიული 10. პარტ. – უპარტიო
11. ეროვნ. – ქართველი 12. მოქალ. – საბჭოთა
13. რეზერვის კატეგორია –
14. დაპატიმრებულია – 19/XI. 1936 ვის მიერ –
15. იმყოფება – საქ. შსკ-ში
16. სადამსჯელო ზომების შეცვლა –
   სისხ. სამ. კოდ. მუხლი – 58/10-11
17. დადგენილება /ვის მიერ/ – 1937 წ. IIIკ შსკ სასამართლის მიერ
   ბრალდებ. დაკავშირ.
   საქმესთან დაკავშირ.
18. შესრულება –
19. გადახედვა – დახვრეტა
20. შესრულ. კონტროლი – 1937 წ.
21. საქ. წარმოება – კადაგ. 20/XI. 36 წ. 5/I. 37 წ. №90036
   4/IV №1-8329 კადაგ. ამიერკ. სმხ. ოლქის სამხედრო ტრიბუნალთან
   20. IV - 37 წ. №635 მთავ. ტრიბუნალი ქ. მოსკოვი
22. სხვ. შენიშვნები – ბალტიის საქმე კადაგრმოწმა IIIკ უმაღლ. სასამართლის
   სამხედრო კოლეგიას. საქმე №3კადაგბავნილია IIIკ შსკ ახალგაზრ., მოსკოვში –
   95096 3/XII 38 წ.

IIIკ უმაღლესი სასამართლის კადონუკანონერები 13. 10. 60 წ. დანაშაულებრივი შემადგენლობის ახასიათების გამო საქმე შენუკანონილია

* * *

1. გვარი – თათარაშვილი (თათარიშვილი)
2. სახელი და მამის სახელი – აკაკი სიმონის ძე
3. დაბ. წელი – 1897 4. დაბ. ადგილი – ს. ანაკლია, ზუგდიდის მ-ნი
5. მისამართი – ქ. თბილისი, ნაფურეების ქ. 13
6. პროფ. და სპეც. – ეკონომისტი
7. საქმიანობა – საქართველოს სახალხო კომისარიატი საბჭოთან არსებული ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარე

   და საქმიანობის სექტორი –
8. წარსული –
9. სოც. მდგომარეობა – სასოფლო ოჯახიდან 10. პარტ. – საკ. კ(ბ) წევრი
11. ეროვნ. – ქართველი 12. მოქალ. – საბჭოთა
13. რეზერვის კატეგორია –
14. დაპატიმრებულია – 17. VII. 1937 ვის მიერ –
15. იმყოფება –
16. სადამსჯელო ზომების შეცვლა –

    სისხ. სამ. კოდ. მუხლი – 58-10, 58-11
17. დადგენილება /ვის მიერ/ – სკ. სსრკ სამოქალ. მოს. 12/XI. 37 წ.

    დახვრეტა

    ბრალდებ. დაკავშირ.

    საქმესთან დაკავშირ.
18. შესრულება – განაჩენი მოუკანონოა სასოფლოში 14/XI 37.
19. გადახედვა – №1229/ნ ამოკვეთილი სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 15/VI -56 წ. გადაწყვეტილებით სამოქალ. დაფენილება გაუქმებულია დანაშაულებრივი შემადგენლობის არარსებობის გამო
20. შესრულ. კონტროლი – უნაკვეთია
21. საქ. წარმოება – მ-4 განყ. 19. VII. 37 წ.
22. სხვ. შენიშვნები – ნათესავებს გადაეცა, რომ მსჯავლებული გარდაცვალა 10 წლის შემდეგ 15 აგვისტოს 1946 წ. სსრკ სსრ შრომა-გასწორების კოლონიაში ტყეანობისავის დაავადებით

* * *

1. გვარი – ბაკრაძე
2. სახელი და მამის სახელი – ბონიფაცი მიხეილის ძე
3. დაბ. წელი – 1905 4. დაბ. ადგილი – ს. ფარცხნისი, ოზურგეთის რ-ნი
5. მისამართი – მოსკოვი, სმხ. აკად. თეფლის ქუჩა №2
6. პროფ. და სპეც. – ელექტრიკი
7. საქმიანობა – სახ. უნივერსიტეტის თანამშრომელი
   და საქმიანობის სექტორი –
8. წარსული – მღვდელი
9. სოც. მდგომარეობა – მოსამსახურე 10. პარტ. – საკ. კ(ბ) ყოფილი წევრი
11. ეროვნ. – ქართველი 12. მოქალ. – სსრკ
13. რეზერვის კატეგორია –
14. დაპატიმრებულია – 22/VII 1937. ვის მიერ – სსრკ შსკ
15. იმყოფება – იბელ. ციხეში
16. სადამსჯელო ზომების შეცვლა –
   სისხ. სამ. კოდ. მუხლი – 58.10-11
17. დადგენილება /ვის მიერ/ – სსრკ უმაღლ. სასამართლო კოლეგიის მიერ
   3/X 1937 წ.

ბრალდებ. დაკავშირ.

საქმესთან დაკავშირ.

18. შესრულება – სსკ. უმ. ზომა დახვრეტა
19. გადახედვა – განაჩენი მოუვანილია სისრულეში 3. X. 1937
20. შესრულ. კონტროლი – საგამკ. საქმე საარ. №26399-39
21. საქ. წარმოება –
22. სხვ. შენიშვნები – საგამ. საქმე ინახება სსრკ შსკ არქივში №969089.
სსრკ უმაღ. სასამართლის სამხედრო კოლეგიის 25/IV 56 წ. №4ნ-043 დადგენილებით საქმე შეწყვეტილია დანაშაულებრივი შემადგენლობის არარსებობის გამო.

* * *

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ვასილ ჩიტაიშვილის სისხლის სამართლის საქმე*, რომელშიც ინახება უცნობი დოკუმენტები 1924 წლის 31 აგვისტოსა და 1 სექტემბრის ღამეს საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანებით ბათუმში დახვრეტილი ადამიანების (ერთ-ერთი მათგანი თვითონ ვასილ ჩიტაიშვილია) და ამ სისხლიანი მოვლენების პრეისტორიიის შესახებ.

ვ. ჩიტაიშვილის საქმეში დაცულია აჭარის საგანგებო კომისიის კოლეგიის 1924 წლის 30 აგვისტოს სხდომის ოქმი (რუსულად). კოლეგიაზე აჭარისტანის ტერიტორიაზე შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციის ბრალდებით განუხილავთ დანაშაულის ფაქტი შემდეგ პირებთან მიმართებით:

1. **საბაშვილი მიხეილ სამსონის ძე** – 35 წლის (ბრალდებულია) იმაში, რომ ბათუმში იყო პარიტეტული კომიტეტის წევრი, მეთაურობდა აჭარაში სამხედრო ორგანიზაციას, ეწეოდა შპიონაჟს, ცხოვრობდა არალეგალურად და მთელ ზემოაღნიშნულ მუშაობას მიმართავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის შეიარაღებული აჯანყების გზით.

2. **ჩიტაიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე**, 27 წლის, (ბრალდებულია) იმაში, რომ ის იყო მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული, ბათუმის კომიტეტის წევრი, ხელმძღვანელობდა სამხედრო ორგანიზაციას, ცხოვრობდა არალეგალურად და მთელ თავის მუშაობას მიმართავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის შეიარაღებული აჯანყების გზით.

3. **ფურცელაძე გიორგი მიხეილის ძე,** 56 წლის, ყოფილი აზნაური, გენერალ-მაიორი, ბათუმის ციხე-სიმაგრის შტაბის უფროსი მენშევიკების დროს, სამხედრო ატაშე მეფის რეჟიმის დროს, (ბრალდებულია) იმაში, რომ ხელმძღვანელობდა სოციალ-ფედერალისტების სამხედრო ორგანიზაციას, რომლის

* ფონდი 6, საარქივო № 22272, ყუთი 55

დავალებით მიიღო შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმის დავალება და მთელ თავის მუშაობას მიმართავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის შეიარაღებული აჯანყების გზით, კონტრრევოლუციურ პარტიებთან ერთად და თავის სამხედრო განათლებას იყენებდა ამ მიმართულებით.

4. ახვლედიანი ვლადიმერ ისაკის ძე, 33 წლის, (ბრალდებულია) იმაში, რომ ის იყო სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1912 წლიდან, აქტიურ მუშაობას ეწეოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის.

5. ჩიქოვანი გიგა პლატონის ძე – 30 წლის, ყოფილი აზნაური, (ბრალდებულია) იმაში, რომ იყო სოციალ-ფედერალისტების ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პარიტეტული კომიტეტის აქტიური მუშაკი აჭარაში შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

6. იმნაძე ანტონ ავქსენტის ძე, 60 წლის, ტყის საწყობის მფლობელი, (ბრალდებულია) იმაში, რომ იყო ბანდიტებისა და მენშევიკების დამფარავი, მსახურობდა მეკავშირედ პარიტეტულ კომიტეტთან.

7. რამიშვილი აკაკი ონისიმეს ძე, 34 წლის, ყოფილი ვაჭარი, მენშევიკური გვარდიის ასეულის ყოფილი მეთაური, (ბრალდებულია) იმაში, რომ იყო მენშევიკთა სამხედრო ორგანიზაციის სამეულის (ტროიკის) წევრი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში.

8. გეგიაძე დიომიდე ალექსანდრეს ძე, 45 წლის, ყოფილი ვაჭარი, (ბრალდებულია) იმაში, რომ აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებაში.

9. დადიანი დავით ნიკოლოზის ძე, 36 წლის, სამხედრო-საზღვაო ძალების ცხენოსანი რაზმის ყოფილი მეთაური (ბრალდებულია) იმაში, რომ ის იყო მენშევიკების სამხედრო ორგანიზაციის აქტიური წევრი.

10. ფანცულაია აპოლონ ნიკოლოზის ძე, 38 წლის, (ბრალდებულია) იმაში, რომ ეწეოდა პროვოკაციულ საქმიანობას, მიმართულს საბჭოთა ხელისუფლების კომპრომეტირებისათვის და ამით ამზადებდა ნიადაგს შეიარაღებული აჯანყებისათვის.

11. გორდელაძე აღათი მაქსიმეს ასული, 25 წლის, ბრალდებულია) იმაში, რომ კავშირს ამყარებდა მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციასთან, ხელს აფარებდა (მალავდა) აქტიურ მენშევიკებს, არალეგალურად მცხოვრებთ, კავშირი ჰქონდა არალეგალურ ორგანიზაციასთან, აქტიურ მონაწილეობას იღებდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში.

12. ჩიქოვანი ავტონომას პლატონის ძე, 23 წლის, ყოფილი აზნაური, (ბრალდებულია) იმაში, რომ იყო სოციალ-ფედერალისტების ბათუმის კომიტეტის წევრი და მონაწილეობას იღებდა სამხედრო ორგანიზაციაში.

აჭარის საგანგებო კომისიის კოლეგიას იგივე ბრალდებები წაუყენებია შემდეგი პირებისათვის:

13. ზოიძე ალ. – 19 წლის.

14. მალდონე კალენიკე – 30 წლის.

15. ზოიძე ისიდორე – 20 წლის.

16. ხომერიკი ალფეზ ერმალოზის ძე – 30 წლის.

17. მკურნალიძე კიროს – 19 წლის.

18. ზაპერტოვი ვლადიმერ – 25 წლის.

19. მუჯირი ნიკოლოზ – 36 წლის.

20. ქადეიშვილი ლავრენტი – 35 წლის.

21. თაყაიშვილი მიხეილ – 35 წლის.

22. ხომერიკი ვიქტორ – 20 წლის.

23. კიკნაძე სოფრონ – 30 წლის.

შეთქმულებაში ეჭვმიტანილ ჩამოთვლილ პირებს მძიმე ბრალდებები წაუყენეს. 1924 წლის 30 აგვისტოს სხდომის ოქმის მიხედვით, მათ "იარაღით ხელში დაანგრიეს სატელეგრამო-სატელეფონო ხაზები, ასევე, რკინიგზის ხაზი, დახოცეს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები". მათი დანაშაული დამტკიცებულად გამოცხადდა და დაადგინეს: "ყველას, ზემოთ ჩამოთვლილებს, 23 კაცის ოდენობით, მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, ქონების კონფისკაციით, რაზეც სასწრაფოდ ვითხოვთ საქართველოს საგანგებო კომისიის სანქციას".

* * *

მიმოხილვითი ცნობა ლეონ ნიკოლოზის ძე ლეონიძის № 969405 საარქივო-საგამოძიებო საქმეზე*

ლეონიძე ლ.ნ., 1893 წელს დაბადებული, საქართველოს სსრ სოფელ პატარძეულის მკვიდრი, ქართველი, სსრკ-ს მოქალაქე, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, დაპატიმრებამდე – ტექნიკუმის პედაგოგი.

1937 წლის აგვისტოში ის დააპატიმრა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა და აღძრა სისხლის სამართლის საქმე 58-11, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. საქმეში არ არის ლეონიძის დაპატიმრების გაფორმების მასალები – დადგენილება აღკვეთის ღონისძიებაზე, დაპატიმრების ორდერზე.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ლეონიძის დაპატიმრების საფუძველი გახდა სხვა საქმეებზე დაპატიმრებულთა ჩვენებები, როგორებიცაა: ოდილავაძე შ.ნ. 15 ივნისისა 1937წ. მდივანი ბ.გ. 17. VI-37 წ. მიხელიძე ს.დ. 17 ივლისი, 1937 წ. ჭყონია ვ.ი. 31.VII, 1937 წ. და სხვებისა მასზე, რომ ლეონიძე ლ.ნ. არის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი და აწარმოებს მავნებლურ საქმიანობას სოფლის მეურნეობაში.

ოდილავაძისა და სხვების ჩვენებები არის ირიბი და არა კონკრეტული.

ლეონიძე პირველ და ერთადერთ დაკითხვაზე (ორ ფურცელზეა) 1937 წლის 2 აგვისტოს კატეგორიულად უარყოფს მისთვის წაყენებულ ბრალდებებს.

1937 წლის 3 ოქტომბერს ლეონიძის ბრალდების საქმე განიხილა სსრკ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ, რომლის სასამართლო სხდომაზე წინასწარი გამოძიებით მისთვის წაყენებულ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ სცნო და აჩვენა, რომ მისი საწინააღმდეგო ჩვენებები ცრუა, რადგან ის

---

* საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება ე.წ. "მიმოხილვითი ცნობები" (რუსულ ენაზე), რომლებიც 1955 წელს საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს შეუდგენიათ. იმ დროს მათ ხელთ ჰქონიათ რეპრესირებულთა ამჟამად დაკარგული საარქივო საქმეები და აღუწერიათ, თუ რომელი საქმე რა ძირითად ინფორმაციას შეიცავდა.

არასოდეს მონაწილეობდა კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, გადაბირებული არ იყო და არ ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ლ.ნ. ლეონიძე სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დამნაშავედ სცნო და დახვრეტა მიუსაჯა, რაც იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსი გამომძიებელი ლომსაძე..

15 ივლისი, 1955 წ.

მიმოხილვითი ცნობა დავით გიორგის ძე დემეტრაძის № 25836 საარქივო-საგამოძიებო საქმეზე

დემეტრაძე დ.გ., 1904 წელს დაბადებული, საქართველოს სსრ ქალაქ ქუთაისის მკვიდრი, ცხოვრობდა ქ. თბილისში, კეცხოველის ქუჩაძე № 15, 1932 წლიდან სკკპ-ს ყოფილი წევრი, დაპატიმრებამდე მწერალთა კავშირის მდივანი.

1937 წლის 13 ოქტომბერს ის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დააპატიმრა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა 58-10 და 58-11 მუხლით. გამოძიების მსვლელობისას დამატებით წაუყენეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 და 59-8 მუხლები.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, დემეტრაძის დაპატიმრების საფუძველი იყო ქობულოვის ცნობა მასზედ, რომ ის არის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი. ეს დასტურდება ა.ს. თათარაშვილის ჩვენებებით და აგენტურული ცნობით 12.VII.-37 წ. (საქმეში ეს ცნობა არ არის).

საქმეში ჩაკერებულია დ.ს. დემეტრაძის 1937 წლის 21 ოქტომბრის განცხადება ოლქის სახალხო კომისრის გოგლიძის სახელზე, საიდანაც ჩანს, რომ მან გულწრფელად აღიარა თავისი კონტრრევოლუციური საქმიანობა.

პირველ და ერთადერთ დაკითხვაზე 1937 წლის 2 დეკემბერს დ.ს. დემეტრაძემ თავი დამნაშავედ სცნო და აჩვენა: “თავს დამნაშავედ ვცნობ იმაში, რომ მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი ვიყავი და ჩემს დაპატიმრებამდე ვატარებდი

ძირგამომთხრელ საქმიანობას იდეოლოგიურ ფრონტზე, ვახორციელებდი მემერჯვენეთა ხაზს ლიტერატურაში [...] მე მემარჯვენეთა ორგანიზაციაში ჩამაბა 1936 წელს აკაკი თათარაშვილმა – საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის ყოფილმა თავმჯდომარემ [...] ამასთან, თათარაშვილმა ინფორმაცია მომაწოდა, რომ საქართველოში ფართოდ გაჩაღდა დამანგრეველი მუშაობა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მან დაამატა, რომ მრეწველობაში მემარჯვენეთა დივერსიულ-მავნებლურ საქმიანობას ხელმძღვანელობს გიორგი ყურულაშვილი, სოფლის მეურნეობაში – ამბერკი კეკელია და შალვა მათიკაშვილი. თათარაშვილმა მაცნობა, რომ მემარჯვენეთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობს ცენტრი, რომელშიც შედიან: გერმანე მგალობლიშვილი, ამბერკი ყურულოვი, კეკელია და შალვა მათიკაშვილი. ამას გარდა, თათარაშვილის სიტყვებიდან ცნობილი იყო მემარჯვენეთა ორგანიზაციის ხელმძღვანელები – ერიკ ბედია, ერმალოზ გორდელაძე და პავლე საყვარელიძე. თათარაშვილმა შემომთავაზა, დამემყარებინა კავშირი კონტრრევოლუციურად, ნაციონალისტურად განწყობილ ლიტერატორებთან: კოტე გამსახურდიასთან, მიხეილ ჯავახიშვილთან, პაოლო იაშვილთან, აბაშელთან და ტიციან ტაბიძესთან და მათი მეშვეობით ქართულ ლიტერატურაში მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური იდეების პროპაგანდა გაგვევითარებინა. დიახ, ვასრულებდი რა თათარაშვილის ბრძანებას, ჩამოთვლილ ლიტერატორებთან ვამყარებდი საორგანიზაციო კავშირს [...] 1936 წელს მე მემარჯვენეთა ორგანიზაციაში ჩავაბი ბესო ჟღენტი – საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი".

[...] დ. გ. დემეტრაძეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულის (ტროიკის) მიერ მიესაჯა დახვრეტა 1937 წლის 3 დეკემბერს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსი გამომძიებელი, მაიორი ლომსაძე.

17 ივლისი, 1955.

მიმოხილვითი ცნობა პავლე საყვარელიძის № 42004 საარქივო საგამოძიებო საქმეზე

საყვარელიძე პ.მ., დაბადებული 1885 წელს, საქართველოს სსრ ქალაქ ზესტაფონის მკვიდრი, ქართველი, პროფესიით ლიტერატორი, სკკპ ყოფილი წევრი 1903 წლიდან, დაპატიმრებამდე გამომცემლობა "ფედერაციის" ხელმძღვანელი. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დააპატიმრა 1937 წლის 28 სექტემბერს და პასუხისგებაში მისცა.

დაპატიმრების საფუძველი: დღეს ხალხის მტრად მიჩნეული ქობულოვის ცნობა, რომ ის არის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი, და რომ ის მხილებულია სხვა საქმეზე ქავთარაძისა და ბუაჩიძის ჩვენებით, რომ მან მათთან საუბარში მკაცრად გააკრიტიკა პარტიული ხელმძღვანელობა, კერძოდ, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა. მისი თქმით, "საქართველოში ჩვენ, ძველ ბოლშევიკებს, სუნთქვაც აღარ შეგვიძლია, – გაბოროტებით მითხრა მაშინ საყვარელიძემ, – მაგრამ რას იზამ, მოთმენა გვიხდება. სანამ შეიძლება გაგრძელდეს ამგვარი მდგომარეობა? პარტია არ არსებობს, არის მხოლოდ გპუ" (ქავთარაძის ჩვენება).

ძიებისას საყვარელიძემ თავდაპირველად ბრალდება კატეგორიულად უარყო, ქავთარაძესთან შეხვედრის შემდეგ აღიარა, რომ 1932 წელს ის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გადაიბირა გიორგი ჩხეიძემ. გ. ჩხეიძემ კი კატეგორიულად უარყო თავისი მონაწილეობა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში.

ქავთარაძე: მან გააკრიტიკა პატრიული ხელმძღვანელობა, კერძოდ, ბერია.

ხსენებულის საფუძველზე ტროიკის გადაწყვეტილებით პავლე საყვარელიძეს 10.XI. 1937 მიესაჯა დახვრეტა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსი გამომძიებელი, მაიორი ლომსაძე.

9 აგვისტო, 1955.

*პუბლიკაციები**

* * *

სიო ჭანტურიშვილი

უმსგავსი წიგნი**

წავიკითხე უკანასკნელი სტრიქონი მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა“ და დავხურე ეს უმსგავსი წიგნი. არასოდეს მიფიქრია ვისმეს ნაწარმოების უხეშად შეხება, მაგრამ სიტყვა „უმსგავსი“ უნებლიეთ დასწერა ჩემმა კალამმა. არც ის მიფიქრია, რომ პრესაში სხვის ნაწარმოებზე ხმას ამოვიღებდი და ჩემს აზრს გამოვთქვამდი, მაგრამ „ჯაყოს ხიზნების“ კითხვის დროს თანდათან ისახებოდა და იზრდებოდა სურვილი ამ წიგნზე საკუთარი აზრის საქვეყნოდ გამოთქმისა.

რა არის საჭირო მხატვრული ნაწარმოებისათვის? ნიჭთან ერთად ზომიერების გრძნობა. თუ ეს უკანასკნელი არ არის, ფუჭია ყველაფერი. უამისოდ მწერალი არაა საკუთარი შემოქმედების ბატონ-პატრონი, ის ადვილად გადაიჩეხება უფსკრულში და მხატვრული განცდის მაგიერ შეურაცხყოფის გრძნობას გამოიწვევს მკითხველში.

მე ვამტკიცებ, რომ მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ ადამიანის სინიდისის შურაცხყოფაა.

მოკლედ ასეთია ამ წიგნის შინაარსი: თეიმურაზ და მისი ცოლი მარგარიტა, ვერ გაუძლებენ რა ქალაქში სიღარიბეს, წავლენ სოფელში და შეეხიზნებიან თავიანთ ყოფილ მოჯამაგირეს ჯაყოს, რომელმაც ისარგებლა გარდამავალი ხანით და თეიმურაზის მამული, მისი სახლ-კარი და განძეულობა ხელში ჩაიგდო. თეიმურაზის ცოლი ჯერ ხასად გაუხდება ტყიდან გამოვარდნილ ნადირს ჯაყოს, შემდეგ კი მისი კანონიერი ცოლი გახდება.

---

* მოტანილი პუბლიკაციები ამოღებულია პატიმართა საქმეებიდან. ზოგიერთი მათგანი თავად პატიმარს ეკუთვნის, ზოგიერთი კი მის შესახებ სხვათა ავტორობით არის გამოქვეყნებული.

** ჟურნალი „ახალი გზა“. 1927, № 2.

თეიმურაზი, ავტორის გადმოცემით, ლიტერატორია, მოაზროვნე ადამიანი და საზოგადო მოღვაწე. და ეს კაცი ურიგდება ისეთს მდგომარეობას, როცა ღამით მისი ცოლის სარეცელში მისი ყოფილი მოჯამაგირე ჯაყო თავის მხეცურ გრძნობებს იკმაყოფილებს, თვითონ კი, ჯაყოს სამიკიტნოს უყარაულებს, როგორც მისი დახლიდარი. და შემდეგ, როცა ჯაყო მის ცოლს შეირთავს, ცოლს, რომელიც თითქმის გაგიჟებით უყვარს თეიმურაზს. ეს კაცი მოთმინებით მოუსმენს ჯაყოს წინადადებას, რომ ის თეიმურაზს გაუხსნის დუქანს და ცხოვრების წყაროს აღმოუჩენს.

ავტორს სურს დაგვარწმუნოს, რომ ამას სჩადის ადამიანი, რომელიც გაურბის მასწავლებლობას სოფელში და მუშაობას კოოპერატივში.

მე ვფიქრობ, რომ ასეთი მოაზროვნე კაცი არ გაჩენილა ჩვენს სინამდვილეში და არც შეიძლება გაჩნდეს; ის არის მხოლოდ ჯავახიშვილის ფანტაზიაში და იქვე სამუდამოდ დარჩება.

მაგრამ ნამდვილი შედევრი ადამიანის გრძნობაზე და მის სინდისზე დაცინვისა თეიმურაზის ცოლი - მარგარიტაა.

ამ ქალს გზაში ღამით ურემზე ნამუსს ახდის ჯაყო, გარეგნულად ბანჯგვლიანი, ცხენის კბილებიანი და შუბლ დატყლაპური არსება, სულიერად კი ყოვლად გახრწნილი და მხეცი ადამიანი, რომელიც ყარს და რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს სისუფთავეზე.

და ეს ამყრალებული და ბინძური ჯაყო იმ ღამესვე შეუყვარდება მარგარიტას და გათენებისას ეს ქალი პირველი სიხარულით შეხედავს ამომავალ მზის სხივებს. მე ვფიქრობ, რომ ასეთი ქალი არ გაჩენილა ჩვენს სინამდვილეში და არ შეიძლება გაჩნდეს; ის სამუდამოდ დარჩება მიხ. ჯავახიშვილის ფანტაზიაში.

მაგრამ რათ დასჭირდა ჯავახიშვილს ამ ფანტაზიების შექმნა? ჰქონდა თუ არა მას რაიმე მიზეზი, სურდა თუ არა მას ახალი სიტყვის თქმა გარდა იმისა, რომ თავად-აზნაურობა დრო-მოჭმული წოდებაა?

მისი ახალი სიტყვაა: საჭიროა სოფლად სკოლების და კოოპერატივების მოწყობა, საჭიროა ამ სკოლებში და კოოპერატივებში მუშაობა.

მაგრამ დამეთანხმება მკითხველი, რომ საქართველოს სინამდვილისათვის ეს სიტყვა არა თუ ახლა არაა ახალი, არამედ არ იყო ახალი 20 წლის წინეთ, როცა ჩვენი გლეხობა კავშირდებოდა სკოლებსა და კოოპერატივების გარშემო და ეჩვეოდა სოლიდურ მუშაობას და რევოლუციონურ ბრძოლას.

მართალია, ჩვენი ცხოვრების ეს დარგი ახლა ძლიერის ტემპით და სხვა შინაარსით მიმდინარეობს, ვიდრე წინეთ, მაგრამ მასზე ლაპარაკი იმ სახით, როგორც ეს ამ მოთხრობაშია, ვერ გასაღდება ახალ სიტყვათ.

კიდევ არის ახალი სიტყვა ჯავახიშვილის ხიზნებში: ქალს იტაცებს მამაკაცის ფიზიკური ღონე და ყველაფერს მას ანაცვალებს.

ეს სიტყვა მართლაც რომ ახალია ჩვენს მწერლობაში. როგორც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, აგრეთვე ჩვენს მწერლობაში სქესობრივ სფეროში მამოძრავებელი მოტივი რაინდობაა და, თუმცა ძველი წოდების წარმომადგენლები ძალას ხმარობდნენ ქალებზე, მაგრამ თვით ეს ქალებში იწვევდა მხოლოდ ზიზღსა და საშინელ წინააღმდეგობას.

როცა არციბაშევმა დასწერა თავისი „სანინი“, რუსეთის კრიტიკა მას სასტიკი პროტესტით შეხვდა: მასში დაინახეს სექსუალობის გამეფება მხატვრულ მწერლობაში და, როგორც ასეთი, უაღრესად უარყოფითი მოვლენა.

ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ სექსუალობის უუმდაბლესი ნიმუშია ჩვენს მწერლობაში, ხოლო გაცილებით უფრო უხეშად და ბრიყვულად გამოთქმული, ვიდრე არციბაშევის „სანინში“.

„სანინი“ დიდი ხანია, რაც რუსეთში განდევნილია ხმარებიდან. მე ვფიქრობ, რომ საქართველოში „ჯაყოს ხიზნებიც“ მალე განიდევნება, როგორც უმსგავსი მოვლენა ჩვენს მწერლობაში.

* * *

ნ. რ.

დავით ქარცივაძე (დ. მეჩონგურე)*

დ. ქარცივაძე დაიბადა 1881 წელს. მიიღო სამხედრო განათლება. როცა 1905 წლის რევოლუცია დაიწყო, ის სარიყამიშში ასრულებდა პორუჩიკის თანამდებობას. ამ დროს ის უკვე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. მან აიღო შვებულება და გამოემგზავრა საქართველოში. აქ ის აქტიურათ ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. დეკემბრის აჯანყების დროს ის ითვლებოდა სამხედრო ხელმძღვანელათ დასავლეთ საქართველოში. ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო. 1905 წ. ოფიცრობა მოძრაობას აშკარათ მტრობდა და მეფის მთავრობას ეკედლებოდა. ამიტომაც იყო, როცა ხალხი დამარცხდა და ალიხანოვ-კრილოვებმა საქართველო აიკლეს, დათიკო შეიპყრეს და მოუნდომეს გაუსამართლებლათ დახვრეტა. მხოლოდ გავლენიან პირთა ჩარევამ მეფის მოადგილის წინაშე იხსნა იმხანათ ამ განსაცთელისაგან თავდადებული მებრძოლი. 1906 წ. ის გაასამართლეს და გადაუწყვიტეს კატორღა. 1917 წ. რევოლუციამ ის გაანთავისუფლა ამ მძიმე სასჯელისაგან. მას შემდეგ ის დაუბრუნდა სამშობლოს და აქ ასრულებდა სხვადასხვა მოვალეობას ქართულ ლაშქარში.

დათიკოს ახალგაზრდა პოეტთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა. მისი ლექსები მეჩონგურის ფსევდონიმით ხშირათ იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებში. არა ერთსა და ორ მებრძოლს განუცდია მისი კალმის ზეგავლენა, არა ერთი და ორი მებრძოლი შემატებია განმათავისუფლებელ მოძრაობას მისი ლექსების წყალობით.

როგორც თავის ნაწარმოებებში, ისე პრაქტიკულ მოღვაწეობაში დ. ქარცივაძე იყო შეურიგებელი დამცველი დემოკ-

---

* წერილი დაცულია: გაზეთი „ბრძოლა“, ყოველთვიური ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროსი, პარიზი, 1926 წ. № 14. გვ. 7-16 (ფონდი 6, საარქივო № 27637, ტომი 2, ყუთი 92, ქურხული ე. ი-ს საქმე. ამავე საქმეში დევს გაზეთ „ბრძოლის“ 2 ნომერი (I – 1926 წ. № 14, აგვისტო და II – 1926 წ. № 15, სექტემბერი), ასევე გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ 4 ნომერი (1926 წ. № 5-მაისი, 1926 წ. № 7-ივლისი, 1926 წ. № 8-აგვისტო, 1926 წ. № 9-სექტემბერი).

რატიისა და სოციალიზმისა. ასეთი დარჩა ის ოკუპაციის ხანაშიც. მას არ შეეძლო ფერისცვალება და ოკუპანტთა უღელს ქვეშ თფილ ადგილზე მოკალათება. და აი, დესპოტიურმა ხელისუფლებამაც შური იძია, ის დაატუსაღა და აგვისტოს აჯანყების დროს სხვა მძევლებთან ერთათ სიცოცხლეს გამოასალმა. მაგრამ სანამ იარსებებს ქართველი ერი, ის შარავანდედით შეამკობს ქვეყნის განთავისუფლებისათვის თავდადებულთ და მათ შორის დ. მეჩონგურის სახელიც უკვდავი დარჩება.

* * *

სვიმონ ყიფიანი

ქართველ საზოგადოებას (წერილი რედაქციისადმი)*

"რუსეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი შედეგთაგანი იყო საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორება და დამოუკიდებლობა. ამ დამოუკიდებლობის სისრულეში მოყვანა ბედმა ქართველ მენშევიკებს არგუნა[...] (მაგრამ) დიდი რუსეთის დანგრევაში ასეთი ყოჩაღნი და დახელოვნებულნი, საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენელობაში უსუსური ბავშვები გამოდგენ.

[...] მენშევიკური პარტიის შემადგენლობა სავსე იყო ნაძირალა ბოროტმოქმედი ელემენტებისაგან. ხალხის შევიწროება, ძარცვა-გლეჯა, მექრთამეობა და სხვა ამგვარი ბოროტმოქმედებანი ისე გახშირდა საქართველოში, მაგრამ მთავრობა ყველას ხელს აფარებდა იმ "მაღალის მოსაზრებით", რომ პარტიის პრესტიჟი არ დაცემულიყო და პარტიულ წევრთა რიცხვი არ შემცირებულიყო [...] ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატები, როგორც შეგვეძლო, ვაკრიტიკებდით მენშევიკების ამგვარ საქმიანობას პრესაში და დამფუძნებელ კრებაში [...] ჩვენთვის სულ ერთი იყო, როგორი მთავრობა გვეყოლებოდა, ოღონდ კი ამ მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობა დაეცვა.

[...] აი, აქედან იწყება საქართველოს ხალხის ერთი ნაწილის მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველო-

* ფ. 6, საარქივო საქმე № 23470, ყუთი 78 (სვიმონ ყიფიანის საქმე).

ში მათ შემოსვლას და მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებას დაპყ-
რობის ხასიათი ჰქონდა. საჭირო იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა
და ბრძოლაც დაიწყო. ეს ის დრო იყო, როცა ჩოლოყაშვილმა
შეადგინა რაზმი და ტყეში გაიხიზნა. ეროვნულ-დემოკრატიულ-
მა პარტიამ [...] გადასწყვიტა, მე გავეგზავნე იმ პირობით, რომ
მე უნდა დავრჩენილიყავი მის რაზმში და საქმე მეწარმოებინა
ეროვნულ-დემოკრატიული დროშით [...] შეუწყვეტლივ დევნის
გამო იძულებულნი ვიყავით, მხოლოდ თავის დაცვაზე გვეზ-
რუნა. ხალხი პირველად თანაგრძნობით გვეკიდებოდა; რომელ
კუთხეში კი მივდიოდით, და დავბინავდებოდით გვიზიდავდნენ
საგზალს [...] რადგან ძარცვა-გლეჯისა და ძალადობის გზით
ვერ წავედით, ვიყავით ნახევრად მშიერნი, შიშველ-ტიტველნი
[...] დასუსტების მაგიერ საბჭოთა ხელისუფლება მაგრდებოდა,
რუსეთის ცხოვრება თანდათან წყნარებოდა და კალაპოტში
ვარდებოდა. ანტანტას ჩვენთვის არ ეცალა [...] პატარა უძლურ
საქართველოს ხალხის აჯანყება და ბრძოლის ველზე გამოსვლა
უჭკუობა იქნებოდა [...] ჩვენი იმედი იყო მთის ხალხი და ამ "არ-
წივებმა," ცოტას გახდა, აქედან იარაღით არ აგვყარეს და მთავ-
რობას არ გადაგვცეს, როდესაც დუშეთიდან მთავრობის ჯარი
მოგვადგა. ფშაველებმა ყველამ ზურგი შემოგვაქცია. და უარი
განგვიცხადა. ხევსურთა ერთმა ნაწილმა მოინდომა ჩვენი გა-
ნიარაღება [...] რამდენიმე ხევსური ქაქუცას მოსაკლავად დას-
დევდა.. მეგობრებმა გადაარჩინეს სიკვდილისაგან. კახეთში რომ
დავბრუნდით, ხალხმა აქაც ზურგი შემოგვაქცია. ქიზიყში [...]
ერთმა ქიზიყელმა, რომელიც ჩვენს მეგობრად ითვლებოდა და
წინათ ყოველგვარ დახმარებას გვიწევდა, ერთ დღეს, გათენები-
სას, მძინარეებს მილიციონერები და ჯარები თავზე დაგვაყენა.
ორი კაცი მოგვიკლეს.

აქ მე და ქაქუცამ ვითათბირეთ, როგორ მოვქცეულიყავით
შემდეგში: დაგვეშალა რაზმი თუ არა. მე ჩემი აზრი გამოვთქვი,
რომ საქმე წაგებულია. მან გადაწყვიტა, ზამთარი როგორმე და
სადმე გაეტარებინა, რადგან იმას ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ
გაზაფხული მას ახალ-ახალ იმედებსა და ჭორებს მოუტანდა.

ჩემი მდგომარეობა ტრაღიკული იყო. ტფილისში [...] როგორც
ჭირიანს, ყველა ისე მერიდებოდა [...] ბაქოში არავინ მიცნობდა

და სხვისი პასპორტით ვცხოვრობდი [...] დღეიდან ყოველი მამულიშვილი მოვალეა, ამოუდგეს მხარში საბჭოთა მთავრობას და მთელი თავისი ცოდნა, ძალა და ენერგია უნდა მოახმაროს ჩვენი სამშობლოს ეკონომიურად და კულტურულად აღორძინება-განვითარებას.

* * *

სეით დევდარიანი

ბროშურა სახელწოდებით „როგორ ცხოვრობენ საბჭოთა რუსეთში“*

ბროშურაში ბოლშევიკების ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკის პარალელურად მიმოხილულია, რა სასიკეთო ცვლილებები მოახდინეს მენშევიკებმა რუსეთში. განსაკუთრებით საინტერესოა ბროშურის მეშვიდე თავი, სახელწოდებით „კლასთა ბრძოლა“ (გვ.31), რომელშიც წარმოჩენილია, რა სასტიკი მეთოდებით ებრძოდა ბოლშევიკური რეჟიმი მოწინააღმდეგეებს, როგორ პროპაგანდისტულ პოლიტიკას ეწოდა.

„დიდი პროლეტარული რევოლუციის დღესასწაულებზე ქუჩებში, სხვათა შორის, დაინახავდი შემდეგ სურათს: დახატულია კაპიტალისტი, მირბის წელში გახრილი შავი ზღვისკენ. უკან მისდევენ ქვებით, ესვრიან ქვებს და შესძახიან: კაპიტალისტი, დაჯავრიანებული, გადავაგდოთ შავ ზღვაშიო. იქვე გვერდით მარქსის სურათი. მარქსი შეძრწუნდებოდა საფლავში.

მეორე სურათი. დახატულია მოწინააღმდეგე ბანაკის სარდალი, ხელში ჩავარდია წითელრაზმელს. ის მათრახით სცემს გადაბრუნებულს და ფეხებით ზევით აწეულს. ქვეშ მოთავსებულია შესაფერისი ლექსი.

მესამე სურათი. წაქცეული ბურჟუა და წითელრაზმელი, ცალი ფეხით მის მკერდზე შემდგარი, ქვეშ გალექსილი ორიოდე სიტყვა, იქვე გვერდით მარქსის, ენგელსის, ბებელის სურათები“.

* ტფილისი, 1920. დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიის გამოცემა. სეით დევდარიანი -სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

* * *

ნაბეჭდი ბროშურა წარწერით „ჩემს საყვარელ ძმას სიმონიკოს“*

ბროშურაში სამი ნაბეჭდი ტექსტია: 1. მემუარი საქართველოს მთავრობისა – 3 გვ.; 2. დამატება 1 – აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა – 1 გვერდი; 3. დამატება 2 – 3 გვერდი.

ფრაგმენტები **“მემუარიდან”:** “საერთაშორისო საშინელმა ომმა დღიურ წესრიგში დასვა ჩაგრულ პატარა ერთა საკითხი, თან იმ რიგათ, რომ ამ საკთხის მოწესრიგება უნდა მოხდეს თვით ერთა თავისუფლათ გამოთქმულ სურვილისა და საარსებო ინტერესების თანახმათ. ერის თვითგამორკვევის უფლება, როგორც, იმედია, ერთ-ერთ საძირკვლათ დაედება მომავალ საერთაშორისო საზავო მიპალარაკებას, ამით სცილდება ომის წინ არსებულ სახელმწიფოთა ჩარჩოებს და პოულობს საერთაშორისო ცნობასა და მფარველობას.

ეს ცნობა და მფარველობა მით უფრო და უფრო უნდა იყოს ქართველი ერის მიმართ, რომ ცხადი და უეჭველი უკვე შეიქმნა თავის ძალ-ღონით საკუთარი სახელმწიფო – საქართველო, რომელიც სრულიად სუვერენულად განაგებს თავის საშინაო და საგარეო საქმეებს..

1917 წლის ნოემბრის შემდეგ მან შესწყვიტა ყოველი დამოკიდებულება რუსეთის ცენტრალურ მთავრობასთან და ფაქტიურათ დამოუკიდებელი ცხოვრების შედეგია, რაიც იურიდიულათ დადასტურებულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით 26 მაისს 1918 წელს (იხ. დამატება 1) დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის, რომლის კონსტიტუცია მუშავდება ნორმალურის კანონმდებლობის გზით.

---

* ფონდი 6, საარქივო № 22447, ყუთი 83. სიმონ საყვარელიძის საქმე – 15 იანვარი, 1921.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ საქართველო არასოდეს არ ყოფილა დაპყრობილი რუსეთის მიერ, უკანასკნელის მფლობელობა საქართველოში, პირიქით, მუდამ ძალმომრეობასა და საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევას ემყარებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ სრულად გაიყვანა საქართველოდან და მთელი კავკასიის ფრონტიდან თავისი ჯარები, რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წ. და შემდეგ დადებულმა ხელშეკრულებებმა დაჰკარგა ყოველი ძალა და საქართველო ei ipso დაუბრუნდა თავის მრავალსაუკუნოებიან დამოუკიდებელ სახელმწიფო ცხოვრებას (იხ. დამატება 1).

დამატება I – აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო... ითვალისწინებს რა ზემოხსენებულს პირობებს საქართველოს ეროვნული საბჭო, ამორჩეული საქართველოს ეროვნული კრების მიერ 22 გიორგობისთვეს 1917 წელს, საზეიმოდ აცხადებს:

1) დღეიდან ქართველი ერი სუვერენული უფლებებით აღჭურვილი და საქართველო – სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური წყობილების სახე დემოკრატიული რესპუბლიკა არის.

3) საერთაშორისო კონფლიქტების დროს საქართველო ნეიტრალურია.

დამატება II. – საქართველო ბაგრატიდთა დიდი სამეფოს დანაწილების შემდეგ სხვადასხვა სახელმწიფოებმა და სამთავროებმა, რომელთაგანაც საქართველო შესდგებოდა, უცვლელად დაიცვეს, როგორც მთლიანობა სარწმუნოებისა და საერთოდ ცივილიზაცია, აგრეთვე ის საერთო პოლიტიკური მისწრაფება, რომელიც მას ევროპისაკენ მოიზიდავდა... დღიდგან საქართველოს ანექსიისა, ქართველ პატრიოტთა ოცნებას თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო შეადგენდა... ქართველ ერს, აღიდგინა რა რუსეთის ბატონობის მიერ დარღვეული უფლებები, სურს, თავისუფლად შექმნას თავისი სახელმწიფო და მოაწყოს თავისი საერთაშორისო დამოკიდებულება, რათა

შესძლოს როგორც მის, აგრეთვე კავკასიის საკეთილდღეოთ ხანგრძლივად და უზრუნველყოფით ისარგებლოს თავის აღდგენილი უფლებით.

საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ ყოფილ რუსეთის სახელმწიფოში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა.. რუსეთში ბოლშევიკებმა ორხელ სცადეს საქართველოს საზღვრის გადმოლახვა და ორხელავე სასტიკათ დამარცხებულ იქნენ გარეშე ძალის დაუხმარებლათ.. ერთი სიტყვით, მას არ აკლია სახელმწიფოს არც ერთი ატრიბუტი, იგი არის სუვერენული შიგნით და გარეთ..

საქართველოს კანონმდებლობითი წარმომადგენლობა და მთავრობა მოითხოვს მეომარი და ნეიტრალური სახელმწიფოებისაგან მხოლოდ დადასტურებას და ცნობას იმისას, რაც ფაქტიურად არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ქართველ ერს სურს, კანონიერი წევრი გახდეს დამოუკიდებელ ერთა იმ კავშირისა, რომელსაც, საუბედუროთ, საძირკვლად უნდა დაედოს განვლილ საშინელ საერთაშორისო ომის ამდენი მსხვერპლი და რომლის პირდაპირ დანიშნულებას წარმოადგენს როგორც დიდი, ისე პატარა ერების თავისუფლებათა ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა..

* * *

საქართველოს დამოუკიდებლობის ფონდი*
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

„ამა მაისს 26-ს საქართველოს ერი დღესასწაულობს თავის დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენს სამშობლოს ჯავშნად შემოევლო და იხსნა ყველანაირი საფრთხისაგან, როგორც ერის ფიზიკური არსებობა და საუკუნოებით დაგროვილი კულტურა, ისე დიდი რევოლუციის მონაპოვარნი.

* ერთგვერდიანი ფურცელი. თარიღი არ აწერია, სავარაუდოდ 1918, 1919 ან 1920 წელია.

დამოუკიდებლობის დღე იქცა ეროვნულ დღესასწაულად, რადგანაც იგი საქართველოს აღდგენისა და გათავისუფლების დღეა.

ამ დღეს მთელი ერი, განურჩევლად მდგომარეობისა, ერთი გრძნობით გამსჭვალული ზეიმობს და ხარობს თავის გამარჯვებას.

საჭიროა, რომ ერის ასეთ გრძნობას მიეცეს მუდმივობის სახე, რომელიც თავისი გარეგნული გამომეტყველებით მოაგონებს თითოეულ ჩვენგანს ამ დიდ ისტორიულ აქტს და ყოველთვის და ყველასთან მაჩვენებელი იქნება, თუ როგორ შეხვდა და დააფასა იგი ჩვენმა ხალხმა.

ამის აუცილებლობა დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად აღიარა და დაადგინა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღინიშნოს განსაკუთრებული რამ სახით. იქნება ეს დამოუკიდებლობის ძეგლი თუ სხვა რაიმე კულტურული დაწესებულება, შემდეგში გადაწყდება, როცა ამ საგანზე თვით ხალხი თავის აზრსა და სურვილს გამოთქვამს.

რა სახეც უნდა მიიღოს ამ საქმემ, მისი განხორციელებისთვის საჭიროა ფული, და აი, ეს ფული, დამფუძნებელი კრების აზრით, უნდა შეგროვდეს ნებაყოფლობით შემოწირულებით.

დეე, თვით ხალხმა, რომელმაც შექმნა დამოუკიდებელი საქართველო, მიიღოს უშუალო მონაწილეობა დამოუკიდებლობის აღნიშვნის საქმეშიც.

დამფუძნებელ კრებას სწამს, რომ ქართველი ხალხი, რომელიც თავისი მკერდით იცავს ამ დამოუკიდებლობას, ამ საქმეს გულმხურვალედ გამოეხმაურა და თითოეული მოქალაქე შეძლებისდაგვარად თავის წვლილს გაიღებს დამოუკიდებლობის ფონდისთვის.

ამ მიზნით არსდება ფონდის შემკრები კომიტეტები. მაზრებში – სამაზრო და სათემო თვითმმართველობასთან, გარდა ტფილისისა, სადაც შემოწირულობებს მიიღებს აგრეთვე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმიც“.

საბჭოთა საქართველოში*

24 იანვრის „კომუნისტი“ ქართული მწერლობის წინააღმდეგ ამხედრებულა. როგორც წინათ ტფილისის ამაოხრებელ ურდოებს სიონის ტაძრის ზარის ხმა შიშის ჟრუანტელს გვრიდა, ისე დღეს მოსკოვის ფინიებს და პამპულა ხალხს ქართული კულტურის არსებობა გულზე ლოდათ დასწოლია.

აი მწერლობა მაგალითად. ბოლშევიკური გეგმის მიხედვით, ქართულმა სიტყვაკაზმულმა მწერლობამ არსებულ ბოროტებას უმანკოების კაბა უნდა ჩააცვას და სიმახინჯე სრულყოფის იდეალათ გამოხატოს. მაგრამ ქართული მწერლობა დიდი ხანია თურმე ეშმაკეული გამხდარა, ბრძანების ასრულებას გაურბის, თავისუფლებას გამიჯნურებია. განსაკუთრებული აღშფოთება გამოუწვევია „არიფიონის“ სახელით ცნობილ ჯგუფს, რომელიც აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა ქვეყნის ერებს შორის ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულია კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციებით“-ო. ან და კიდევ: „ჩვენ ველოდით კრიტიკული პერიოდი გათავდებოდა და ორგანიზაციული პერიოდი დაიწყებოდა, ნგრევას შემოქმედება მოჰყვებოდა“-ო.... (*ამის შემდეგ ფურცელი დაზიანებულია და ტექსტის ნაწილი არ იკითხება*).

...ასეთია დღევანდელი რეჟიმის მიერ შექმნილი სანდო და ლეგალური ადამიანი, რომლის დასრულებული ტიპი „დამპატიჟეს“ ავტორმა თავის „ჯაყოს ხინზებში“ დაგვიხასიათა. და განა მწერალი დამნაშავეა, რომ ბოროტი, ბანჯგვლიანი და მახინჯი სულის პატრონი ჯაყო არსენა ოძელაშვილის როლში არ გვიჩვენა?

ან ყველაფერი ჩვენი უნდა იყოს, ან არაფერი არ იყოს: ან აბსოლუტური თავისუფლება უნდა არსებობდეს, ან ყაზარმის აბსოლუტური რეჟიმი; მესამე გამორიცხულია. ამ სიბრძნით აღჭურვილმა კომპარტიამ მწერლობას შეუტია და სურს იქ უდაბნოს სიჩუმე დაამყაროს.

მაგრამ უდაბნოში ოაზისებია და იქ სიცოცხლის წყარო მარადი ხალისით სჩქეფს.

ია.

---

* ფონდი 6, საარქივო № 29516, ტომი 2, ყუთი 77, ჩიხლაძე (ჩხეიძე) ლ. რ. საქმეში დაცულია გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ 1929 წლის მარტის ნომერი (№ 39), რომელიც შეიცავს საინტერესო ცნობებს ქართული მწერლობის შესახებ (გვ. 9-10).

წერილები, განცხადებები

* * *

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის
სსე შრომის სახალხო კომისარს
ივანე და გორგონი მანასეს ძე გოგუაძეებისაგან

აგერ რამდენიმე კვირა იქნება მას შემდეგ, რაც მამაჩვენი დატუსაღებულია მთავრობის განკარგულებით.

ჩვენ, მისი შვილები, უკიდურეს გაჭირვებას განვიცდით ყოველის მხრივ. მის დატყვევების შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, თითქმის მშივრები და ტიტვლები ვყრივართ და გამოსასვლელი გზა ვერ გვიპოვნია, რომ ამ უბედურებას თავი დავაღწიოთ, რის გამოც ძლიერ ხელი გვეშლება სწავლაზე და იძულებულნი ვხდებით, თავი დავანებოთ მას, მაშინ, როდესაც ყველა ჩვენი ამხანაგები სწავლობენ, ჩვენ გული გვიკვდება და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილებს ტირილ-გოდების მეტი ვერაფერი მოგვიხერხებია. თითქმის მთელი კვირაა, ვაკლდებით გაკვეთილებს, რაც გამოწვეულია ფეხთუცმელობის და უპატრონობის მიერ. ჩვენი პატრონი, ჩვენი გამზრდელი და მომვლელი მეტეხის ოთხ კედელშია გამომწყვდეული და საშუალება არა აქვს, მოგვაწვდინოს თავისი მზრუნველი ხელი, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, არ მოგვაშოროთ ერთხელ და სამუდამოდ ცხოვრების მსვლელობას და საშუალება მოგვეცით სწავლისა, რაც დამოკიდებულია თქვენს დახმარებაზე.

ხოლო ამას ჩვენ დარწმუნებული ვართ არ დაიზარებთ, ჯეროვანის ყურადღებით მოეპყროთ ამ საქმეს. ამით იხსნით იმ ორ ახალგაზრდას, რომლებსაც დღეს თქვენი დახმარება, პატრონობა და ზრუნვა ეჭირვება და რომელნიც მუხლმოდრეკით გევედრებიან, რომ იხსნათ ტყვეობისაგან ჩვენი მამა და თქვენი ოდესღაც ერთგული ამხანაგი. ამას გავკადნიერდებით და მოგახსენებთ, რომ მამაჩვენი არ არის არავითარი დამნაშავე თქვენ წინაშე. მხოლოდ ის ეჭვით არის დატყვევებული. ჩვენ გვგონია,

რომ მისი ხსნა შესაძლო იქნება და თუ არა, იმ შემთხვევაში ჩვენი თხოვნა იქნება, დაგვეხმაროთ მატერიალურად და არ გაგვხადოთ მომავალი თაობის წევრები უბრალო ქუჩის მაწანწალად.

მთხოვნელები ივანე და გორგონი გოგუაძეები,
ქ.თბილისი, 24 ნოემბერი, 1921 წელი.

* * *

ქართველი ხალხის საამაყო შვილს
ლავრენტი პავლეს ძე ბერიას*

მოგმართავთ თქვენ უმორჩილესი თხოვნით, მომცეთ პასუხი შემდეგზე: ჩემი ერთადერთი ვაჟი პავლე აბრამის ძე ბერიშვილი შინსახკომის ონის (საქართველოს სსრ) განყოფილებამ დააპატიმრა 1937 წელს. მას შემდეგ სრულებით უპატრონოდ დარჩა მთელი ოჯახი. მე – სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცი და დავრდომილი დედა, ცოლი და სამი შვილი – სამივე სკოლის ასაკისაა. ღრმად მოხუცებული მამა, რომელიც დიდის გაჭირვებით პატრონობდა ოჯახს, შარშან გარდაიცვალა. დავრჩით უპატრონო, უსახსრო, ჩემი რძლის მეტად მცირე ხელფასის შემყურე. სახლი თავზე გვენგრევა, თანდათანობით ვყიდით ყველაფერს, რაც კი გვაბადია და უნუგეშოდ შევყურებთ მომავალს, რადგანაც არ ვიცი, რა ბედი ეწია ჩემს შვილს – პავლე ბერიშვილს. მას შემდეგ, რაც ის დააპატიმრეს, არავითარი ცნობა არა გვაქვს – ცოცხალია თუ მკვდარი. ეს გაურკვევლობა კიდევ უფრო გვაგდებს სასოწარკვეთილებაში მე – დედას და მთელ ოჯახს. სადაც არ მივმართე, ვერსაიდან პასუხი ვერ მივიღე.

პატივცემულო ლავრენტი, გთხოვთ უმორჩილესად, შეიწყნარეთ დედის მუდარა და დამიბრუნეთ ჩემი ერთადერთი მარჩენალი, თუ მას დიდი დანაშაული ხალხის წინაშე არ მიუძღვის, ან მაცნობეთ მაინც, ცოცხალია თუ მკვდარი. თუ ცოცხალია – სად

* ფონდი 6. საარქივო № 374173.

იმყოფება და შეიძლება თუ არა იმედი მაინც ვიქონიოთ, რომ როდესმე ის თავის ოჯახს დაუბრუნდება.

გამიგია, თქვენ ყველა გაჭირვებულს ეხმარებით. გამიგია ისიც, თქვენ უყურადღებოდ არ სტოვებთ შეკითხვებს. ნუ დამტოვებთ მე უპასუხოდ, გევედრებით გამომიყვანოთ გაურკვეველი მდგომარეობიდან.

ეფროსინე ივანეს ასული ბერიშვილი
საქართველოს სსრ, ქ. ონი, მოედნის უბანი,
1940 წლის 25 იანვარი.

* * *

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის
პროკურორს, ამხ. რაზმაძეს
მოქ. ილამაზ ნიკოლოზის ძე მიწიშვილის
(ქ. თბილისი, დოლიძის ქ.)*

განცხადება

1937 წ. 2 ივნისს დააპატიმრეს და ცოცხალი აღარ დაბრუნებულა მამაჩემი – მწერალი და საზოგადო მოღვაწე – ნიკოლო (ნიკოლოზ) იოსების ძე მიწიშვილი. იმავე წელს დააპატიმრეს დედაჩემი – თამარ ბაგრატიონი, რომელმაც 8 წელი დაჰყო შორეული ჩრდილოეთის საკონცენტრაციო ბანაკებში და იქიდან

* ფონდი 6, საქმე № 372745. ნიკოლო მიწიშვილი წერილებსა თუ საჯარო გამოსვლებში ეჭვქვეშ აყენებდა საბჭოთა მწერლობის მთავარ ლოზუნგს: „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურა“. მისი თქმით, რადგან შინაარსი რეალურად „რუსული ნიმუშების მიხედვით იზომება“, „ფორმაც ხშირად ვერ პოულობს სათანადო გამოსახულებას“. „ბევრ მწერალს გაანადგურებს ეს ხანა“, – **იწინასწარმეტყველა** მან თავის წერილში „ოცდაათიანი წლების მწერლობა“ (გაზ. „სიტყვა და საქმე“, 1934). 1937 წლის 7 და 27 მაისს ნიკოლო მიწიშვილი სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზე. ეს იყო მისი უკანასკნელი, ძალზე მწვავე და თამამი გამოსვლები. შესაძლოა, მწერალი გრძნობდა, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა, ამიტომ დაუფარავად ამხელდა მათ, ვინც „მწერლობა მორალური ტერორის ატმოსფეროში მოაქცია“. ამ გამოსვლაში პროტესტის ხმად გაისმა მისი სიტყვები: „ნურავინ იფიქრებს, რომ, ჩვენ, მწერლები, კასტრირებული ცხვრები ვართ და ჩვენს თავმჯდომარეს უფლება აქვს ამ ფარიდან თავისი სურვილისამებრ ის დაკლას, ვინც როდის მოუნდება...“.

ხეიბარი დაბრუნდა (ამჟამად ცოცხალი აღარ არის). ორივე მშობელი რეაბილიტირებულია 1956 წელს.

მამაჩემის რეაბილიტაციის საქმე მიჰყავდა შემდგომში რესპუბლიკის პროკურორს, აწ განსვენებულ ბ-ნ პავლე ბერძენიშვილს. დედაჩემის გადმოცემით, მას ზედმიწევნით პუნქტუალობითა და დიდი გულისყურით მიუკვლევია ყველა ხელმისაწვდომი მასალა მამაჩემის ირგვლივ, აგრეთვე წერილობითი აზრი ბევრი მწერლისა და თანამშრომელისგან. ბატონ პავლეს ამის თაობაზე საუბრისას დედაჩემისთვის უთქვამს – ასეთი საინტერესო პიროვნების შესახებ იშვიათად გამიგიაო.

უნდა მოგახსენოთ, რომ მამის დაპატიმრების დროს სახლიდან წაიღეს არქივი (ჩანაწერები, წერილები, ხელნაწერები და ა.შ.) 25 საქაღალდისა და 4 წიგნაკის ოდენობა (ასეა აღნიშნული ჩხრეკის ოქმში). სამწუხაროდ, ამ არქივს ვერსად მივაკვლიეთ და ახლა, როცა მე-60 წელს მივუახლოვდი, იმედი დამეკარგა მისი მოძიებისა. იმისთვის, რომ ჩემს შვილებს რაღაც წარმოდგენა შეექმნათ ბაბუაზე, ვცდილობ მარცვალ-მარცვალ შევაგროვო ყოველივე, რაც კი მის შესახებ ვინმე უთქვამს ან დაუწერია.

ამასთან დაკავშირებით, უმორჩილესად გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ ჩემი თხოვნა და თუ პროკურატორის განმგებლობაში მოიპოვება რაიმე მასალა ნიკოლო მიწიშვილის შესახებ, უფლება მოგვეცით, გავეცნოთ მათ.

ქ.თბილისი
16.11.1986

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
პროკურატურა

ცნობა

ქ. თბილისი, დოლიძის ქ.
მოქ. ი.ნ. მიწიშვილს

თქვენი განცხადება მამათქვენის, ნიკოლოზ იოსების ძე მიწიშვილის რეპრესირებისას დაკარგული არქივის შესახებ საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ განხილულია.

გაცნობებთ, რომ საარქივო სისხლის სამართლის საქმეში რაიმე მონაცემები ნ.ი. მიწიშვილის არქივის ადგილსამყოფელის შესახებ არ აღმოჩნდა, რის გამო თქვენს თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთ.

საქ. სსრ პროკურატურის სახელმწიფო
უშიშროების ორგანოებში გამოძიებაზე
ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი,
მე-3 კლასის იურისტი

კ.უ. კობიაშვილი

პროკლამაციები

გაძევებულ სტუდენტების მოწოდება ქართველ სტუდენტობას*

საქართველოდან გაძევებულნი თქვენი ამხანაგები გიძღვნით ძმურ სალამს და გემშვიდობებით. მძიმეა ჩვენთვის ეს ხვედრი, აუტანელია საქართველოში მებრძოლთა რიგებიდან გამოთიშვა...

ამხანაგებო! დროებით ვაკლდებით თქვენს მებრძოლ რიგებს, მაგრამ იმ იმედით ვცოცხლობთ, რომ მოკლე ხანშივე დაუბრუნდებით თქვენს ლაშქარს. ნუ იდარდებთ ჩვენ თავგადასავალზე, ნუ მიეცემით მწუხარებას ჩვენი ხვედრის გამო. ქართველ ახალგაზრდობას, სახელოვანი წინაპრების შთამომავალთ არ შეგვშვენის გლოვა და მწუხარება...

ამხანაგებო! გულს მაინც სევდა იპყრობს, როდესაც ვხედავთ, რომ ძალით გვაშორებენ ჩვენს დედა უნივერსიტეტს. ქართული ეროვნული კულტურის იმ კერას, სადაც პირველად ვეზიარეთ მეცნიერებას; გვაღონებს ეს გარემოება, რომ ვშორდებით ჩვენს მამებს – მეცნიერებს – ქართული უნივერსიტეტის პროფესორებს, რომელთა დაუშრეტელი ენერგიით აშენდა ეს დიდი და წმინდა ტაძარი მეცნიერებისა, მტკიცე ბურჯი და ბალავერი ქართული ეროვნობისა.

ამხანაგებო! ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ ქართველი სტუდენტობა, რომელმაც იცის თავგანწირული ბრძოლა, რომელმაც ბევრჯერ გამოსცადა ქართველი ერის მოსისხლე მტრებთან პირისპირ შეხვედრა და თავის მოძმეთა ძვლებით მოკირწყლა კოჯორ-ტაბახმელა-სოღანლუღის მიდამოები, ქართველი სტუდენტობა, რომელმაც ოკუპაციის ხანაში მრავალჯერ შეუერთა თავისი მკვეთრი ხმა ქართველ ერის ბრძოლის გუგუნს და რომელმაც ბევრჯერ იგემა „ჩეკა“-ს ბნელი სარდაფები და კომუნისტური ინკვიზიცია, რომ ეს სტუდენტობა ქართველი ხალხის საბედისწერო ბრძოლის ჟამს ერთსულოვნათ იქნება მოწინავე პოზიციაზე.

---

* ფონდი 6, საარქივო № 23107, ყუთი 23.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ სადაც არ უნდა ვიყოთ, ვიამაყებთ იმით, რომ ქართველი სტუდენტობის სისხლი და ხორცი ვართ, ვეცდებით არსად არ შევარცხვინოთ თქვენი სახელი, არ შევბღალოთ თქვენი ღირსება. თქვენთან ერთად მუდამ გვეხსომება, რომ ვართ ქართველი მოსწავლენი და საქართველოს შვილნი: ჩვენს საერთო დროშაზედ მუდამ ეწერება: სწავლა და ბრძოლა, მეცნიერება და თავისუფლება, სამშობლო და მშობელი ერი.

გაუმარჯოს ქართველ სტუდენტებს და მის საყვარელ უნივერსიტეტს!

ვაშა ჩვენს პროფესორებს!

ვაშა და გამარჯვება თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველ ხალხს!

გამარჯვება და დიდება დამოუკიდებელ საქართველოს!

სამშობლოდან გაძევებული ქართველი სტუდენტები

მეტეხი 1922 წ. ოქტომბერი 9.

* * *

განკარგულება*

პატიოსან სიტყვას ვაძლევ ხევსურებს და ფიცს ვდებ მათ წინაშე, რომ გადატრიალების შემდეგ, როდესაც ჩვენ ეროვნული მთავრობა გვეყოლება, ხევსურები, რომლებიც სამშობლოს გათავისუფლებაში მონაწილეობას მიიღებენ, ყოველგვარი გადასახადებისგან თავისუფალნი იქნებიან, როგორც ეს იყო მეფე ერეკლეს დროს. მიეცემათ ყოველგვარი იარაღი, ამის გარდა მიეცემათ უფასოთ საბალახოები და თავისუფალი სახნავი მიწები.

---

* ფონდი 6, საარქივო № 23328, ყუთი 57. ძებნიაური მ. მ.

როგორც ჩანს, ძებნიაური მიხეილ მიხეილის ძე არის ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი ან მისი თანამგრძნობელი მაინც, რადგან მის საქმეში აღმოჩნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმოწერილი განკარგულება მთიელთა მიმართ. ტექსტი სხვა ხელითაა ნაწერი, ხელმოწერა განსხვავებულია, სავარაუდოდ ეკუთვნის ქაქუცა ჩოლოყაშვილს.

ხოლო ვინც აჯანყებაში უარს განაცხადებს და არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს, მას არავითარი უპირატესობა არ მიეცემა, დაქვემდებარებული იქნება საერთო სახელმწიფოებრივ კანონებს და საშვილიშვილოთ იარაღის ტარება აღეკრძალება.

საქართველოს პარტიზანულ
რაზმების ბელადი ქ. ჩოლოყაშვილი
31/VII - 22 წ.

* * *

პროკლამაცია*

ყველა ქართველ მოღვაწეს
საიდუმლოდ

პატივცემულო მოქალაქენო! თქვენ ხართ საქართველოს კულტურის ეროვნული ძარღვი. თქვენგან ისახებიან ჩვენი ცხოვრების მომავალი პერსპექტივები. თქვენ უხსნით გზას მომავლისაკენ ქართველ ახალგაზრდობას. ჩვენი ისტორიის წყაროებს თქვენგან აქვს სათავე, რომლის ნოყიერებამ უნდა დაალბოს არამცთუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, არამედ მთლიანად ამიერკავკასიიის დაბლობი და ხრიოკები. ვიცით, რომ გრძნობთ ამას და ხედავთ, მაგრამ უნდა განვიმეოროთ, რომ საქართველოს სასიცოცხლო ძალები დღეს დარაზმულია თქვენ გარშემო, ახალგაზრდები მუდამ თვალში გიცქერიან აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ-ჩრდილოეთით საზღვრებიდან, ბედის უმადური ქართველები და ხსნას მოელიან ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი ძლიერებიდან.

ჩვენი და თქვენი სურვილებიც ის არის, რომ ბოლომდის საერთოდ ქართული **ლიტერატურა გახდეს ბერკეტი ერის ნაციონალური აზროვნებისა** და იდეოლოგიის, რომლის მშვენიერი ფაქტები პირდაპირ გვიყურებს მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი

* ფონდი 6, საქმე № 29442 (ყუთი 67) მიხეილ კანკავას საქმე.

კულტურის ისტორიიდან. **დღეს, როდესაც ყოველგვარი ბრძოლის საშუალებაა ჩაკლული, როცა ხიშტები, ტერორი, ცილისწამებით სთელავენ ერის ნაციონალურ ყოველგვარ აქციას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თქვენს კალამს, ენას და ტრადიციული გამოცდილებით ბრძოლის ტაქტიკურად ბოლომდე გაგრძელებას.** მაშ, წინ უფრო ინტენსიურად და მოხერხებით. ჩვენი ინტელიგენციის წარსული ბრწყინვალეა, აწმყო – ნათელი. ისინი ყოველთვის პოლიტიკური დაჯგუფების დროს ერის გარშემო იდგნენ. დღეს, ფაქტია, რომ უკიდურესი კოსმოპოლიტებიც ვერ ახერხებენ ნაციონალურ პოზიციაზე დგომას, როგორც საქართველოში, ისე სხვაგან.

ყოველგვარი ფრონტი ეროვნული ბრძოლისა გამაგრებულია სახელოვანი ქართული უნივერსიტეტის მოღვაწეობით. ის დღესაც თავის სიმაღლეზე დგას და ასე იქნება, სანამ საქართველოს ტერიტორია და ენა იარსებებს, ის ბოლომდე დარჩება ჩვენი მომავლის მჭედელი. უნივერსიტეტი დაარსების წლიდან აწარმოებს მე-19 საუკუნის აზროვნების რევიზიას ნაციონალური იდეოლოგიის დუღილის ქვეშ.

ქართულ მწერლობას, როგორც არასოდეს, არც ახლა უღალატნია თავის ერისთვის. „არიფიონელებს“ არგუნა სინამდვილემ თანამედროვე პირობების რევიზიონიზმი, დაესახათ ერის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორები, რაც ფაქტობრივად ვაჟკაცური უარისყოფაა ყველა აქამდე ტერორის ქვეშ დაწერილი დეკლარაციების. ჩვენ გვჯერა „არიფიონელების“ ბოლომდე დარჩენა დასახულ პოზიციაზე, რომლის ბოლომდე განვითარება იქნება ჩვენი ინტელიგენციის სახელოვანი ისტორია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ნიჭიერი ნაწილი მიჰყვება თავიდან დასახულ გზას და განავითარებს ნაციონალური კოლორიტის გაშლას. ამის (რევიზიონიზმის) ჩანასახები ჩანს მემარცხენე მწერლების უკანასკნელი ხანის შემოქმედებაში. უდავოა, რომ მათი საუკეთესო ნაწილი, როგორც თავის სამშობლოს უტყუარი შვილები, მომავალში მეტი აქტივობით შეითვისებენ ეროვნული ბრძოლის ელემენტებს.

ასე და ბოლომდის, ძვირფასო მხცოვანნო, ქართული ტკივილებით – ნაციონალურ გზაზე!

ყოველივე ამის მოქმედია ჩვენი ისტორიის რეალური პირობები. ასეთივე რევიზიონიზმი დაიწყო ჩვენი ცხოვრების პოლიტიკურ სფეროში. 1925 წლიდან აუცილებელი გახდა სოციალ-ფედერალისტების, სოციალ-რევოლუციონერების, ნაციონალ-დემოკრატების, ნაციონალისტების, ანარქისტების და ყველა რადიკალის ერთი მთლიანი ნაციონალური პარტიის ქვეშ დარაზმვა. ამიერიდანვე ვიბრძოლებთ, როგორც რადიკალური იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანებული ნაციონალური პარტია.

ამ გაერთიანებას, მოკლედ რომ ვთქვათ, საფუძვლად უდევს: წარსულის და საქართველოს ოკუპაციით გამოწვეული გამოცდილება. იდეოლოგიური და ტაქტიკური მოქმედების მთლიანობა, ნაციონალური მთლიანობის აღდგენა. ქვეყნის საზოგადოებრივი ინტერესების მიხედვით რევოლუციური მონაპოვრის დაცვა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბოლომდე ბრძოლა, საზოგადოების მამოძრავებელი ძალების მოქმედების სრული თავისუფლება. საქართველოს შინაური და გარეშე მტრების ნაციონალური დიქტატურის ქვეშ დამორჩილება. საკუთარი ძალებით შიგნით მოქმედება. ნაციონალური წყლულების სრული განკურნება. ახალ კავშირში ისტორიულად და გეოგრაფიულად ჩვენთვის მონიჭებული პრიორიტეტის ბოლომდე შენარჩუნება, ჩვენი კულტურის ახალი კავშირის ფარგლებში გაშლა, მეზობლებს შორის წონასწორობის აღდგენა და სხვა.

უკანასკნელად ვაცხადებთ, რომ დემოკრატიზმი ჯერჯერობით ჩვენს სინამდვილეში თავის მოტყუებაა, რევოლუციური სოციალიზმი - ხალხის, ამგვარად, ჩვენ ყოველივე ამას ვუპირისპირებთ რადიკალურად გამოკვეთილ, საქართველოს სინამდვილიდან უშუალოდ გამომდინარე სოციალურ რეფორმებს...

ამგვარად, პატივცემულო ძმებო, ვემზადოთ მომავალი საქართველოს ხილვისთვის, მოახლოებული ლეგალობისთვის, თავისუფალი საქართველოს მოქმედებისთვის.

გაუმარჯოს ქართულ კულტურას, ქართველი ხალხის ნაციონალურ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

პროკლამაციის ბოლოს წერია: გადაეცი სხვას.

* * *

კოტე ანდრონიკაშვილის პირველი სიტყვა წარმოთქმული თფილისში „დამოუკიდებელი კომიტეტის“ პროცესზე, 1925 წ.22 ივლისს*

კითხვა: სოციალური მდგომარეობა

პასუხი: ინტელიგენტი;

კითხვა: წოდება;

პასუხი: უფლებააყრილი თავადი მეფის თვითმპყრობელობის დროს. ორჯერ ვიყავი მიცემული პასუხისგებაში პოლიტიკურ საქმეებზე: სასამართლო პალატამ მომისაჯა სამუდამო გადასახლება ციმბირში, ამყარა თავადობა და ყველა მასთან დაკავშირებული პრივილეგიები;

კითხვა: საბჭოთა ხელისუფლების დროს თუ ყოფილხართ პასუხისგებაში?

პასუხი: პასუხისგებაში არა, იზოლაციის მიზნით ვიყავი დაპატიმრებული 1 წლით 1921-22 წლებში[...] დღეს არც ერთი პასუხისმგებელი კომუნისტი აღარ იმეორებს იმ ზღაპარს, თითქოს 1921 წელს საქართველოში მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს გადატრიალება. დღეს აღარ მალავენ, რომ საქართველოში შემოიყვანეს რუსის ჯარი და მას მოუხდინეს ოკუპაცია. დიახ, საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. ეს ფაქტია. ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა ოკუპაციას. გამოუცხადეს საოკუპაციო ხელისუფლებას ბრძოლა პირველი დღიდანვე, როგორც ეს წერია საბრალდებო დასკვნაში? რა თქმა უნდა, არა. ბრძოლაზე ჯერ ფიქრიც არ შეიძლებოდა. პირიქით, პოლიტიკური პარტიები შეეცადნენ, გამოენახათ ახალ ხელისუფლებასთან შემთანხმებელი გზა სადაო საკითხების გადასაწყვეტად კონსტიტუციის ფარგლებში. ამისთვის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ამოირჩია დელეგაცია ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძესთან. მან გვითხრა: „ეს არის დელეგაციის აზრი, ჩვენ გვინდა ვიცოდეთ პარტიის აზ-

* ფონდი 6, საარქივო № 27637. გაზეთი „ბრძოლა“, სსდმპ საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ორგანო, პარიზი, 1926 წ. № 14. გვ. 7-16. შენიშვნებში მითითებულია, რომ მასალა იბეჭდება „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ პროცესის სტენოგრაფიული ანგარიშის მიხედვით.

რიო“. ამის გამო 1921 წლის 10 აპრილს გაიმართა ყრილობა, რაც თქვენთვის ცნობილია. ყრილობის რეზოლუციის მიხედვით, ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით ყოველგვარი ბრძოლისა, ხელისუფლება კი არა თუ შეურიგდა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, არამედ მოუსპო მათ ლეგალური არსებობის უფლება და აძლიერებს მათ რეპრესიებსა და დაჭერას! როდესაც ამის პასუხი მოვთხოვეთ ხელისუფლებას, ალ. თუმანიშვილმა (საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი) გვიპასუხა: „სწორედ 10 აპრილის რეზოლუცია გულისხმობს ბრძოლას ხელისუფლებასთან და ამიტომ ყველა მენშევიკები დასაჭერი ხართო!“ ამის შემდეგ დაიწყო შიგადაშიგ დაპატიმრებები.

1921 წ. თბილისში ჩამოვიდა სტალინი. მან პლეხანოვის სახელობის თეატრში გააკეთა მოხსენება, დიდძალი ხალხი დაესწრო, მაგრამ აუდიტორია მისი არ გამოდგა. მოსმენით მოუსმინეს სტალინს, მაგრამ მთელი დარბაზი მის საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა მისი მოხსენება. სტალინმა თქვა: „არანორმალური მდგომარეობაა საბჭოთა საქართველოში, სადაც ხელისუფლება კომუნისტურია, მასა კი მენშევიკურიო“. ამის გამო ცეკამ გამოიტანა დადგენილება: „დაუყოვნებლივ იქნან დაპატიმრებული მენშევიკებიო“. ამ დროს ფ. მახარაძე, როგორც რბილი პოლიტიკის გამტარებელი, გადააყენეს და მის მაგივრად დანიშნეს ბუდუ მდივანი, რომელსაც მაგარი კურსი უნდა გაეტარებინა. მართლაც დაიწყო დაპატიმრებები არა მხოლოდ მენშევიკებისა, არამედ ყველა პოლიტიკური პარტიის წევრებისა. ციხეები გაივსო პატიმრებით. ბრალდებას კი არ უყენებდნენ. მე ვინახულე ჩეკას თავმჯდომარე კოტე ცინცაძე, და ვუთხარი, თუ რამე დანაშაული აქვთ, წაუყენეთ ბრალდება, თუ არა გაათავისუფლეთ-მეთქი. ამაზე ცინცაძემ მიპასუხა: „ვერავითარ ბრალს ვერ წარვუდგენთ, ისინი სხედან იზოლიაციის წესით, როგორც ხელისუფლებისთვის მავნე ელემენტებიო. მათი გათავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ესა თუ ის პატიმარი აღარ წარმოადგენს საშიშროებას ხელისუფლებისთვისო.“ ამგვარივე პასუხი მივიღე საზოგადო ბრალმდებელ ს. ქავთარაძისგანაც. ასეთი შეურიგებელი პოლიტიკით კომუნისტურმა ხელისუფლებამ აიძულა ყვე-

ლა სხვა პარტია, გადასულიყო არალეგალურ მუშაობაზე. დამკომის შექმნის მიზეზიც სწორედ ამგვარი პოლიტიკის გატარება გახდა. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, თითქოს იგი შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ევროპაში გასვლის დღიდან. ეს არაა მართალი. დამკომის დაარსების მიზეზი იგივე შეურიგებელი პოლიტიკაა, რომელიც მიმართულია საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ამის დასადასტურებლად მე მრავალი ფაქტი შემიძლია მოვიყვანო, მაგ. ამიერკავკასის ფედერაციის შემოღება, რამაც მოუსპო საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გააღატაკა. იგი გაცილებით მაღლა იდგა სომხეთსა და აზერბაიჯანზეც. ასევე საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირში შეყვანა, რამაც საქართველოს მოუსპო პოლიტიკური დამოუკიდებლობის ის ნატამალიც, რომელიც შერჩა მას გასაბჭოების შემდეგ. სწორედ ამან წარმოშვა უკლონიზმი კომუნისტთა რიგებში, რომლებიც მოითხოვდნენ საქართველოს უშუალოდ შესვლას ხსენებულ კავშირში, რათა ამით მაინც შეენარჩუნებინათ საქართველოს პოლიტიკური ერთგვარი დამოუკიდებლობა, მაგრამ უკლონიზმი ჩაკლეს, უკლონისტები დაქსაქსეს. როდესაც საქართველოს პოლიტიკური პარტიები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა წარმოადგენს უბრალოდ წყლის ნაყვას და დაინახეს, რომ მათ ქვეყანა მიჰყავთ დაღუპვისკენ, დაიბადა იდეა მთლიანი ფრონტის შექმნისა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად უკვე ბრძოლის საშუალებით. დამკომი შეიქმნა 1922 წ. აგვისტოში. დამკომის მოქმედება იყოფა ორ პერიოდად: 1. ნიკ. ქარცივაძის თავმჯდომარეობით 1922 წ. აგვისტოდან მის დაპატიმრებამდე (1923 წ. მარტი), 2. ჩემი თავმჯდომარეობით 1923 წ. მაისიდან აჯანყებამდე. არსებითი განსხვავება ამ ორ პერიოდს შორის ის იყო, რომ ქარცივაძის დროს დამკომი ექვემდებარებოდა მასში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს, საკითხებს წყვეტდნენ ისინი, ჩემი თავმჯდომარეობის დროს კი პირიქით, დამკომი მოქმედებდა დამოუკიდებლად, პარტიებს ინიციატივა არ ეზღუდებოდათ, მათ შეეძლოთ ესა თუ ის წინადადება შეეტანათ თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით. ამგვარად, პოლიტიკური

პარტიები მთლად არ იყვნენ ჩამოშორებული აჯანყების მოწყობის საქმეს, ამავე დროს ისინი აწარმოებდნენ წმინდა პარტიულ მუშაობასაც. ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს აჯანყების საკითხი არ დასმულა. როდესაც მე ჩავუდექი დამკომს სათავეში, წინანდელი კომიტეტისგან არავითარი მემკვიდრეობა არ მიმიღია, არც ორგანიზაციული, არც სამხედრო. როცა მე შევედი დამკომში, იქ დამხვდა მხოლოდ იასონ ჯავახიშვილი, დაჭერების გამო სხვა პარტიები აღარ აგზავნიდნენ წარმომადგენლებს. მოლაპარაკების შემდეგ მხოლოდ „ესერებმა“ გამოგზავნეს კაცი, „სხიველებს“ არ ჰყავდათ, ფედერალისტებმა ერთხელ გამოგზავნეს. ამ დროიდან აიღო დამკომმა ხელისუფლებასთან ბრძოლის ხაზი. ეს მოჰყვა მასობრივ რეპრესიებს, გადასახლებებს. ეს მოხდა ობოლაძის მოკვლის შემდეგ, რაც მთავრობამ თავს მოახვია საქ. სოც.-დემ. პარტიას და რის გამოც დახვრიტა გურიაში 150 კაცი, ხოლო თბილისის ციხიდან გამოიყვანა 92 პოლიტიკური პატიმარი. ამის გამო ვუთხარი მე იასონ ჯავახიშვილს: დღეიდან ჩვენსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის ვეღარ მოიძებნება საერთო ენა, მხოლოდ ბრძოლა და ბრძოლა მასთან. ამის მიუხედავად, მაინც ვცდილობდით, მშვიდობიანი გზით გადაგვეჭრა სადაო საკითხი. კერძოდ, შევთავაზეთ საქ. კომუნისტურ პარტიას, ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი, რაგვარ მმართველობას ამჯობინებდა ქართველი ხალხი. კერჭისყრა იქნებოდა ფარული, მხოლოდ მუშებისა და გლეხების მონაწილეობით და წინასწარ პირობას ვდებდით, რომ თუ კენჭისყრაში კომუნისტები მიიღებდნენ ხმების თუნდაც ერთ მესამედს, ჩვენ საბოლოოდ ვიღებდით ხელს ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან. ჩვენი ეს წინადადება სიცილადაც არ ეყოთ. ამიტომ სხვა გზა არ დაგვრჩა, საკუთარი ძალების საშუალებით და ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიური დახმარებით აღედგინათ ქართველი ხალხის შელახული უფლებები და დაებრუნებინათ წართმეული დამოუკიდებლობა. ეს კი შეიძლებოდა მხოლოდ აჯანყების გზით. 1923 წლის დამლევს შევუდექით ენერგიულ მზადებას. შედგა სამხედრო კომისია, რომელსაც დაევალა ორგანიზაციული მხარე. როგორც მოგახსენეთ, დამკომი მოქმედებდა პარტიებისგან დამოუკიდებლად, ამიტომ პარტიების ცეკაში არ გა-

დაუტანია განსახილველად, ვიდრე კარგად არ აწონ-დაწონიდა შინაურ მდგომარეობასა და საკუთარ ძალებს, საერთაშორისო სიტუაციას და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებდა დადგენილებას, რის შემდეგაც გადაიტანდა პარტიების ცეკაში. დავიწყეთ ძალების აღნუსხვა, არ ვადგენდით შეიარაღებულ რაზმებს, რადგან ასეთი რაზმები თავს ვერ დაიჭერდნენ და ჩაუვარდებოდნენ ხელში ხელისუფლებას. მხოლოდ ჩოლოყაშვილის რაზმს შეეძლო აშკარად ეარსება, რადგან იგი ტყეებში იმალებოდა და ხელისუფლება მას ვერ იჭერდა. ძალებს აღვნუსხავდით როგორც თფილისში, ისე პროვინციებში. არჩეულნი იყვნენ მხოლოდ ათის თავები, რომლებიც უკავშირდებოდნენ სამხედრო კომისიას. ათის თავებს ჰყავდათ აღრიცხვაში მებრძოლთა გარკვეული რიცხვი, თვითონ მებრძოლებმა არ იცოდნენ, ირიცხებოდნენ რაზმში თუ არა, საკმარისი იყო აჯანყებამდე სამი დღით ადრე ეცნობებინათ მათთვის და შეიარაღებული რაზმიც მზად იქნებოდა. ამ მეთოდს ჰქონდა ის კარგი მხარე, რომ აჯანყებამდე გამცემლობა და დარბევა გამორიცხული იქნებოდა. ყოველ ქალაქსა და პროვინციაში ვცდილობდით, გვყოლოდა პარიტეტული კომისია იმავე პრინციპზე, რაზეც აშენებული იყო დამოუკიდებლობის კომიტეტი. სადაც ასეთ კომისიას ვერ ახერხებდნენ, იქ დანიშნული იყო რწმუნებული. სრულუფლებიანი რწმუნებული გვყავდა მხოლოდ ბათომში, გიზო ანჯაფარიძე. საქმე მიდიოდა კარგათ. როდესაც დავინახეთ, რომ ჩვენ თითქმის მზათა ვართ, აჯანყების საკითხი დავსვით უკვე გადასაწყვეტათ. ეს იყო 1923 წ. ოქტომბერში. საკითხი გადავიტანე ჩვენ პარტიაში სეით დევდარიანის დაპატიმრების შემდეგ და ცეკამ კიდევაც დაადასტურა აჯანყება.

ახლა გადავალ იმაზე, რა ურთიერთობა გვქონდა მეზობელ რესპუბლიკებთან. ვცდილობდით, დაგვეჭირა მათთან კავშირი, მაგრამ ცდა არ დამთავრდა ჩვენს სასარგებლოდ. სომხეთმა თავიდანვე უარი შემოგვითვალა. აზერბაიჯანთან გ. ფაღავას დაპატიმრების შემდეგ არ გვიცდია კავშირის დაჭერა. ჩრდ. კავკასიაში ორჯერ გავაგზავნეთ რწმუნებული (გ. წინამძღვრიშვილი, მ. იშხნელი), მაგრამ დავრწმუნდით, რომ მათგან არა გამოვა რა. ამიტომ გადაწყდა, საქართველო გამოსულიყო საკუთარი ძალებით.

იმედი გვქონდა დას. ევროპის, ოღონდ არ გვინდოდა სამხედრო დახმარება, ე. წ. შეიარაღებული ინტერვენცია, ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ როდესაც საქართველოში მოხდებოდა შეიარაღებული აჯანყება, დიდი სახელმწიფოები გაგვიწევდნენ დიპლომატიურ დახმარებას ამა თუ იმ სახით. ჩვენი მუშაობა საქ. დემოკრატიულ მთავრობასთან ამ მიმართულებით სწარმოებდა.

და აი, ამისა და ჩვენი ძალების იმედით გადავდგით ეს ნაბიჯი. ჩვენ ვიყავით საკმაოდ მომზადებულნი და გავიმარჯვებდით კიდევაც, რომ არა ის შეცდომები, რაც უკვე აღნიშნა იასონ ჯავახიშვილმა – ჭიათურაში ერთი დღით ადრე გამოსვლა. სწორედ ამან გადაწყვიტა აჯანყების ბედი. ხელისუფლებამ შეძლო, მიეღო ზომები და ჩვენი მთავარი ამოცანა - ვაზიანში მყოფი მთელი ამიერკავკასიის არტილერიის აღება - ვერ მოხერხდა. ამ ამოცანის შესრულება კი (რაც აუცილებლად შესრულდებოდა) ჩვენ გვაძლევდა უტყუარ შანსებს გამარჯვებისას. თფილისი იქნებოდა ჩვენ ხელში და მთელი კახეთი ფეხზე მდგარი. რაკი ჭიათურა ადრე გამოვიდა, მთავრობა მიხვდა, რომ იწყება საერთო აჯანყება და სწორეთ 28 აგვისტოს დღისით მთელი არტილერია გადმოიყვანა თფილისისაკენ (საერთო გამოსვლა კი დანიშნული იყო ღამის 2 საათზე 28-დან 29-მდე). ცნობილია, რომ ყოველ ფართო მასიურ მოძრაობაში ადგილი აქვს გამცემლობას. გამცემლობა იყო ჩვენი გამოსვლის დროსაც. ჩემთვის დღესაც არ არის გამორკვეული, სამხედრო კომისიამ, რომელიც დატოვებული იყო თფილისში და რომელსაც დავალებული ჰქონდა მთელი რიგი ამოცანებისა, რატომ ვერც ერთი დავალება ვერ შეასრულა, გარდა ვაზიანის აღებისა, ჰაეროპლანების ხელში ჩაგდება, ბრონევიკების დამორჩილება – სულ თფილისის გარეთ.

პირველი ჩვენი გეგმა იყო თფილისის აღება და ადვილიც იყო მისი აღება. საბჭოთა ჯარები გასული იყო საზაფხულო ბანაკებში. ჩვენ საკმარისად ვიყავით მომზადებული, მაგრამ მთავრობას ალბათ ეჭვი ჰქონდა აღებული (აშკარაა, აქ გამცემლობას ჰქონდა ადგილი), რადგან 16 თუ 17 აგვისტოს მოულოდნელად თფილისი გაივსო ჯარებით. გამოსვლა თფილისში ამ პირობებში გამოიწვევდა საშინელ სისხლისღვრას და ამის თავიდან ასაცილებლად

ჩვენ ცენტრი გადავიტანეთ პროვინციაში. მეორე გეგმა, რომელსაც ჩვენ დავადექით, გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთ დღეს და ერთ საათს, გარდა თფილისისა, უნდა დაწყებულიყო შეიარაღებული გამოსვლა და ასეც მოხდა, მხოლოდ, როგორც მოგახსენეთ, ჭიათურა ჩემთვის გაუგებარ მიზეზების გამო, გამოვიდა ერთი დღით ადრე. თფილისს კი ავიღებდით გარედან: პროვინციაში გამარჯვებული ქართლის, კახეთის, ბორჩალოს შეიარაღებული ძალებით და ვაზიანში აღებულ არტილერიის დახმარებით შემოვარტყამდით თფილისს ალყას. დასავლეთ საქართველოში გამოსვლამ მიიღო ნამდვილი ხალხური, მასიური ხასიათი, სამეგრელოში, გურიაში, ქუთაისის მაზრაში (ჭიათურა). კახეთში და ქართლში აჯანყებას, მართალია, არ მიუღია მასიური ხასიათი, აიხსნება ეს ერთი მხრივ, იმით, რომ კახეთის გლეხ-კაცობა არ არის პოლიტიკურად საკმარისად მომზადებული და შეგნებული, მეორეს მხრივ – კახეთი იმედს ამყარებდა ვაზიანზე. და რადგანაც ჭიათურის ადრე გამოსვლამ გააფრთხილა მთავრობა, დროზე იყო ზომები მიღებული და კახეთში სუსტად დაწყებული გამოსვლა ჩააქრეს. კახეთში და ქართლში აჯანყების ჩაქრობამ მისცა მთავრობას საშუალება, მთელი თავისი ძალები, რუსის ჯარი, გადაეყვანა დასავლეთ საქართველოში და იქაც დაემარცხებინა მთელი მოძრაობა. საბრალდებო დასკვნაში წარმოდგენილია აგვისტოს აჯანყება, როგორც ავანტიურა, ბოროტმოქმედება ჩადენილი უპასუხისმგებლო პირების, თავად-აზნაურების და მღვდლების მიერ. ასეთი წარმოდგენა აჯანყებაზე შეიძლება კიდევ ჰქონოდათ დამარცხების პირველ დღეებში, ვიდრე გამოირკვეოდა. მაგრამ სასამართლო დარწმუნდებოდა დღევანდელ პროცესში მოწმეებისა და ბრალდებულებების ჩვენებებიდან, რომ აჯანყებას ჰქონია ხალხური, ფართე, მასიური ხასიათი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ უმთავრესად გლეხობა და მუშები. თვით მახარაძე თავის მოხსენებაში ამბობს: „ვიცოდით, რომ თუ მენშევიკები დაიწყებდენ რამეს, გურიიდან დაიწყებდენ და ეს ასეც მოხდაო. აქ გამოსვლას უფრო მასიური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სადმეო. უმეტესობა მაინც გლეხობა იყოვო“. მერე თუ აგვისტოს აჯანყება იყო ავანტიურა – მე გეკითხებით – ხელისუფლებას რათ დასჭირდა ეგრე სასტიკათ და ულ-

მობელათ გასწორებოდა ქართველ ხალხს და დაეხვრიტა 4000-მდე, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ გლეხები და მუშები?

ჩვენ დავმარცხდით, დამოუკიდებლობის კომიტეტი მთლად ჩავარდა. ჩვენ დაგვიჭირეს შიო მღვიმის ტყეში, სადაც ვიყავით გასული. მოგვიყვანეს თფილისში: მე, იას. ჯავახიშვილი, მიხ. ბოჭორიშვილი, გ. ჯინორია, რაც შეეხება მიხ. იშხნელს, ის დააპატიმრეს თფილისში და იმავე ღამეს, 4 ენკენისთვეს, მოიყვანეს ზაკჩეკაში. ყველა ცალცალკე მოგვათავსეს ჩეკის სარდაფებში. ჩვენ, რა თქმა უნდა, თავზე ხელს არ დაგვისვამდნენ და გამზადებული ვიყავით დასახვრეტად. ჩემს საკანში შემოვიდა ზაკჩეკას თავმჯდომარე მოგილევსკი, მან მომცა წინადადება, გამეკეთებინა განცხადება, რომ საქ. სოც.-დემ. პარტიამ დაუშვა დიდი შეცდომა, რომ მოაწყო ავანტიურა და ამ ავანტიურაში ჩააბა ხალხი. ჩემთვის აშკარა იყო, რომ სოც.-დემ. პარტიისთვის ასეთ დამამცირებელ განცხადებას კომუნისტები გამოიყენებდენ, ხოლო მე სიკვდილისაგან გადამარჩენდნენ. ამიტომ მე კატეგორიული უარი განვაცხადე. მოგილევსკი რამოდენიმე ხნის შემდეგ მეორედ შემოვიდა ჩემთან. იგივე წინადადება, იგივე პასუხი ჩემგან. ლაპარაკი ხდებოდა მაღალი ხმით და ესმოდა ჩემ ამხანაგებს. მოგილევსკიმ გაჯავრებულად კარი გაიხურა და ასე ხუთი წამის შემდეგ მე გამომიძახეს საკნიდან. შემიყვანეს დიდ, ჩეკას მოსამსახურეებით სავსე ოთახში. ერთ-ერთ კუთხეში თოკით ხელებგაკრული იდგნენ ჯავახიშვილი, ჯინორია და ბოჭორიშვილი. ამათგან დაშორებით, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, იდგა აგრეთვე გათოკილი გიორგი ცინცაძე. მომგლიჯეს მე პალტო და გამიკრეს თოკით ხელები. დამაყენეს ჯავახიშვილის, ჯინორიას და ბოჭორიშვილის გვერდით. იასონ ჯავახიშვილმა მომმართა სიტყვებით: „რაიმე გამოსავალი უნდა მოვნახოთო, მე ვუთხარი – ყველაფერი გათავდა, მე მომეცა წინადადება, სოც.-დემ. პარტიის სახელით გამეკეთებია წინადადება, რომ გამოსვლა იყო ავანტიურა და იგი მოაწყო პარტიამ. მე უარი განვაცხადე“. ჯავახიშვილმა მომიგო, რომ ბერია, საქართველოს ჩეკის თავმჯდომარის ამხანაგი, იძლევა წინადადებას, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტმა გამონახოს გამოსავალი, შექმ-

ნილ მდგომარეობიდანო. მე არ ვიცი, რა გამოსავალზე ლაპარაკობს ბერია, – მივუგე მე, – მხოლოდ არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, გავიგოთ მისგან წინადადება. ჯავახიშვილმა მიმართა იქ მდგომ ქართველ თანამშრომელს, რომ მას გადაეცა ჩვენი თანხმობა ბერიასთვის წინადადების მოსასმენათ. არ გასულა ხუთი წამი, მე და იასონ ჯავახიშვილი გაგვიყვანეს შენობის სულ ზემო სართულში და შეგვიყვანეს ბერიას კაბინეტში. იქ იყვენენ თვით ბერია, მოგილევსკი, მოროზი, შემდეგ შემოვიდა საქართველოს ჩეკის თავმჯდომარე კვანტალიანი. შესვლისთანავე მივმართე ბერიას: „თქვენ თურმე იძლევით წინადადებას, რაში გამოიხატება იგი?“ ბერიამ განაცხადა: „თქვენ დამარცხდით, მაგრამ ნაწილობრივ შიგადაშიგ შებრძოლება გრძელდება. რა თქმა უნდა, ამ დანარჩენ რაზმებსაც ჩვენ მოუღებთ ბოლოს, მხოლოდ უბრალო სისხლის დაღვრა იქნება აუცილებელი. ამ შეიარაღებული ჯგუფების შეჩერება შეგიძლიათ თქვენ, დამოუკიდებლობის კომიტეტს: გააკეთეთ განცხადება და მიეცით დაფანტულ რაზმებს, ჩაგვაბარონ იარაღი და მათ კი ჩვენ ხელს არ ვახლებთ და მასიურ დახვრეტასაც შევაჩერებთო.“ ასეთი განცხადების შემდეგ ჩვენ აშკარად ვიგრძენით, რომ ჩვენი როლი არ დამთავრებულა, რომ ჩვენ განვაგრძობთ პასუხისმგებლობას ქართველი ხალხის წინაშე. ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ბრძოლის გაგრძელება დაფანტულ შეიარაღებული ჯგუფების სახით, მაშინ როდესაც მთავარი ძალები დამარცხდა, იქნებოდა ავანტიურა და დამღუპველი ქართველი მოსახლეობისათვის. ამიტომ რაკი ჩვენ გვეძლეოდა შესაძლებლობა, მიგვემართა მოწოდებით დაფანტული რაზმებისათვის, შეეჩერებინათ ბრძოლა და ჩაებარებინათ იარაღი მთავრობისთვის, ჩვენ პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა, დავთანხმებულიყავით მოცემულ წინადადებაზე. მე განვუცხადე ბერიას, რომ მისი წინადადება იმდენად სერიოზულია, რომ საჭიროა დანარჩენების დასწრებაც. მან იმ წამსვე გასცა განკარგულება, ამოეყვანათ დანარჩენებიც – იშხნელი, ჯინორია, ბოჭორიშვილი. ჩვენ ვისხედით ხელებშეკრული და ასე ვაწარმოებდით მოლაპარაკებას. მხოლოდ შუა მოლაპარაკებაში მოგვხსნეს თოკები. მე გადავეცი მოსულებს წინადადება. ჯინორია დააპატიმრეს დასავლეთ საქართველოში და იყო

იქაურ მდგომარეობის კურსში და გზადაგზა თფილისისკენ რა ხდებოდა, ისიც იცოდა. მან გააკეთა პატარა მოხსენება, სადაც აღნიშნა, რომ მრავალი ხალხი დაჭერილია, განაგრძობენ ჭერას, იხვრიტებიან მასიურათ, თვითონ იყო ამის მოწმე, რიგში დგანან დასახვრეტადო. მოწოდებას ექნება მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, თუ ეხლავე შედგება დეკლარაცია, მისი ცოტა ხნით დაგვიანება დაუკარგავს მას ყოველივე ფასსო. ვიდრე გამოქვეყნდებოდეს ეს დეკლარაცია, საჭიროა ამ წუთშივე, ამაღამვე იქნეს გაცემული ბრძანება, შეაჩერონ მასიური ხვრეტა. ამაზე ბერიამ გვიპასუხა: „თუ კომიტეტი დათანხმდება დეკლარაციის გამოშვებაზე, ამ წუთშივე ჩვენი თანდასწრებით პირდაპირი მავთულით მთავრობა დაგზავნის ბრძანებას ხვრეტის შეჩერების შესახებ“. ჩემს შეკითხვაზე – თუ რამდენათ ჩეკის გადაწყვეტილებას გაიზიარებს მთავრობა – მიპასუხა, რომ რაც ამ კაბინეტში გადაწყდება, არის ამავე დროს მთავრობის გადაწყვეტილებაო. ჩვენ დავთანხმდით. რა თქმა უნდა, ჩვენ მივდიოდით რისკზე... დასაშვები იყო, რომ დეკლარაციას დაგვაწერინებდენ და სიტყვას კი არ შეასრულებდენ. მართალია, დეკლარაცია მაინც თავის დადებით როლს ასრულებდა იმ მხრივ, რომ შეაჩერებდა უკვე უმიზნო ბრძოლას, რომელსაც განაგრძობდნენ დაფანტული რაზმები, მაგრამ გადარჩებოდა დახვრეტას დაპატიმრებული ხალხი თუ არა, ამის სრული გარანტია არ გვქონდა (ჩვენ არ ვიცოდით, რომ ხელისუფლებას უკვე ათასობით ჰყავდა დახვრეტილი). თავის დაპირება მთავრობამ შეასრულა: მე ვიცი უტყუარი ფქტები, რომ სწორედ იმ ღამეს, როცა ჩვენ ხელი მოვაწერეთ (ეს იყო 4 ენკენისთვე ღამის 4 საათი), გაანთავისუფლეს დახვრეტისაგან თფილის-ბათომში, სიღნაღში ასობით დაპატიმრებული. როდესაც დეკლარაციას ხელს ვაწერდით, ჩვენ მას არ ვუკავშირებდით ჩვენი დახვრეტის საკითხს, ჩვენ დავიხვრიტებით თუ არა, ეს მოლაპარაკებაში არ შედის-თქო.

ამაზე კვანტალიანმა მიპასუხა: თქვენ სწორეთ სვამთ საკითხს, თქვენი დახვრეტა არ უკავშირდება ამ განცხადებას; ადვილად დასაშვებია, რომ ამ დეკლარაციას მისცემთ და თქვენ დაიხვრიტებითო.“ შევუდექით დეკლარაციის შედგენას: აღვნიშ-

ნეთ ფაქტი ჩვენი დამარცხებისა, რომ ევროპა არ დაგვეხმარა და მოტყუებულნი დავრჩით. ამის გამო ვაძლევთ რაზმებს წინადადებას, დაიშალონ და ჩააბარონ მთავრობას იარაღი. მთელ პასუხისმგებლობას მომხდარ ამბებზე ვიღებდით ჩვენ თავზე. ჩეკამ მიიღო ეს დებულებები, ოღონდ მოგვთხოვა, ჩაგვემატებინა ორი დებულება: აგვისტოს გამოსვლები მოგვენათლა ავანტიურად და ამ ავანტიურაში მონაწილეთ გამოგვეცხადებინა ერის ზედა ფენები. მძიმე იყო ჩვენთვის ამ დებულების მიღება: ამით მარტო ჩვენი თავისთვის მოგვქონდა პოლიტიკური სიკვდილის განაჩენი, მეორე – ილახებოდა თვით მოძრაობა, მესამე – კომუნისტები ფართოთ გამოიყენებდენ თავის სასარგებლოთ და კიდევაც გამოიყენეს. ჩვენ მივიღეთ მხედველობაში დეკლარაციის ეს უარყოფითი მხარე, მეორე მხრივ, ის შედეგები, რომელიც მას მოჰყვებოდა, დახვრეტისაგან ხალხის გადარჩენა, ვარჩიეთ „ავანტიურა“ და „ერის ზედაფენები“ სიტყვების ფასათ გადაგვერჩინა ის, რისი გადარჩენაც კიდევ შეიძლებოდა. მით უმეტეს, რომ ყოველი ქართველი, რომელიც შეგნებულად მიუდგებოდა შექმნილ მდგომარეობას, კარგად მიხვდებოდა საქმე რაშიც იყო და ამასთან სიტყვები „ავანტიურა“ და „ზედაფენები“ არსებითათ სრულიად არ სცვლიდა და არ უკარგავდა აგვისტოს გამოსვლებს მის ნამდვილ ხალხურ და მასიურ მნიშვნელობას; ჩვენ დავმარცხდით და დამარცხდა აჯანყება ფიზიკურად, მაგრამ მორალურად გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

ამით ვათავებ ჩემ განმარტებას“.

* * *

ქართველ ერს*

უკვე ექვსმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას დაეპატრონა უხეში ძალა, რომელმაც ვერაგულად მოსტაცა ქართველ ერს თავისი სუვერენული უფლებები და დაადგა მას მონობის მძიმე უღელი. განა შეიძლება ქართველი ერი ოდესმე შეურიგდეს იმ ხელისუფლებას, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველო გადააქცია მოსკოვის უბრალო კოლონიად; რომელმაც შელახა ხალხის ეროვნული თავმოყვარეობა; რომელმაც ფიზიკურად გაანადგურა მშრომელი მოსახლეობა და ერის საუკეთესო შვილების სისხლით მორწყო და გააპოხიერა საქართველოს მინდორ-ველი.

ვინ არ იცის, რომ დღეს ქართველ ერს სდევნიან და აწამებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ის უარს არ ამბობს თავის ქართველობაზე, რომ ის მედგრად იცავს ეროვნულ ენას, ეროვნულ კულტურას, ეროვნულ დიდებას, რომ მას არ სურს, მიიღოს კომუნისტური სარწმუნოება და ატაროს მოსკოვის უღელი. ქართველი ერი მოწმეა მრავალი ბრძოლისა და ტანჯვის, მაგრამ ის საშინელი ტანჯვა და ჯოჯოხეთური წამება, რომელსაც დღეს განიცდის საქართველოს მოსახლეობა, არ ახსოვს ისტორიას. საქართველო გადაიქცა ოკუპანტების და ჩეკას თავაშვებულ სათარეშო ასპარეზად. ხალხის ცოცხალ სხეულს კორტნიან ყვავ-ყორნები. შეჩერდა ეროვნული მაჯისცემა. დადუმდნენ მეტყველი ენები. მოკვდა საზოგადოებრივი აზროვნება. მოისპო თავისუფალი პრესა. „მუშურ-გლეხური“ მთავრობა ქართველ მუშებსა და გლეხებს ტყვიებით უმასპინძლდება და ფიზიკურად ანადგურებს; ერის საუკეთესო შვილებს ჩეკას ბნელ სარდაფებში ალპობს; პოლიტიკურ პატიმრებს თავზე რკინის მუხრუჭებს უჭერს და სიცოცხლეს ასალმებს.

---

* ფონდი 6, საარქივო № 27214, ტომი 2, ყუთი 38. უზნაძე რ. ბ.

უზნაძე რაჟდენ, 35 წლის, ცოლიანი, ყოფილი მენშევიკი, 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების მონაწილე.

გამყრელიძე პავლე ლუარსაბის ძე, 33 წლის, თავადი, ს. ზოდი, ჭიათურის რაიონი, ცოლიანი, 1917 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1924 წლიდან „ახალგზელი“, 1927 წლიდან სოციალ-დემოკრატიული არალეგალური პარტიის წევრი. მის საქმეში აღმოჩნდა მენშევიკური პარტიის პროკლამაცია დათარიღებული 1927 წლის აგვისტოთი.

კომუნისტურ ხელისუფლებას დღეს გვერდს უმშვენებენ, ეგრედ წოდებული „ახალი გზელები“, რომელნიც ბოლშევიკურად მოინათლნენ და იწამეს ლენინის „წმინდა სახარება“. ქართველ ერს დაუძინებელი მტრების სახით მოევლინენ ეს რენეგატები და ქვეყანას უმტკიცებენ, რომ პარიზის ემიგრაცია და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია შეიარაღებულ გამოსვლებს აწყობენო. ვის სჭირია დღეს ჩვენში გამოსვლები? რომელი არალეგალური პარტია მოუწოდებს დღეს ჩვენში ხალხს აჯანყებისაკენ? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აჯანყება არ გვჭირდება დღეს საქართველოს სინამდვილეში. ბოლშევიზმი ისედაც განწირულია და უარყოფამდე მისული...

ჩვენ მოუწოდებთ ქართველ კომუნისტებს, რათა ყურად იღონ შემდეგი გაფრთხილება:

ნუ გადააქცევთ საქართველოს მიწა-წყალს ოკუპანტებისა და ჩეკას სათარეშო ასპარეზად!

ნუ სწვავთ, ვით ჰეროსტრატე, ქართულ ეროვნულ კულტურის ტაძარს!

ნუ სჩადიხართ უდიდეს ბოროტებას ერისა და ისტორიის წინაშე!

ქართველო ერო! უმთავრესი დაბრკოლება უკვე დაძლეულია. ძნელი და ეკლიანი გზა განვლილია. უდიდესი ეროვნული საქმე გაკეთებულია. ჟამი შენი განთავისუფლებისა მოახლოებულია. შენი ეროვნული გადაგვარება შეუძლებელია. ამას ადასტურებს შენი ორი ათასი წლის შარავანდედით მოსილი ჭაღარა ისტორია. ისტორიული სიმართლე შენს მხარეზეა, თუ აწმყო არ გწყალობს, მომავალი შენია. კომუნისტური ხელისუფლება კი ისტორიის მიერ განწირულია. მტკიცედ იდექით სამშობლოს სადარაჯოზე. ნუ ათხოვებთ ყურს ბოროტი ენების გველურ სისინს. იმედის თვალით შეხედეთ მომავალს და გაბედულად შესძახეთ მტერს:

ძირს მოძალადე ოკუპანტები!
გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

1927 წ. აგვისტო
საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრ. კომიტეტი

ლექსები

გაფრთხილება*

და თუ ცხოვრების თვალუწვდენ გზაზე გრიგალ ქარათა
გარდამექცევი
და ნავსა ჩემსა წყნარად მცურავსა ზვირთებს შეახლი —
შორს სადმე სტყორცნი,
თუ ნავში მჯდომსა შენსა სატრფოსა ქარს გადაატან შენ
გაექცევი,
მაშ, მეგობარო, წინასწარ მოგთხოვ: თავი მანებე, ნუღარა
მკოცნი.

თუ გამოუცდელს, ცელქსა-უდარდელს დარდსა გამიჩენ,
დამადებ ხუნდსა:
გრძნობას დამტყუნებ და შებღალულსა ვნებით დამთვრალი
შემაქცევ ზურგსა,
თუ... ვინ იცის შემდეგ შეიგნებ, თალხსა ჩაიცვამ სტოვებ
გზას ბნელსა —
ლმობიერებას ჩემგან ნუ ელი, დაგწყევლი, მოგსპობ ბილწს,
უკვე ურგსა.

* * *

მწუხრნი შაბათის**

I

ჩემთა საყვარელ ძმათა გვამებზე
ჰოტენტოტივით დავებოტები...
აღარც მთვარეა, არც ბრწყინვალე მზე,
მხოლოდ ყივიან ბუ და ჭოტები.

---

* ფონდი 6, საარქივო № 22118, ყუთი 23, ჭანტურია და სხვ.

** ფონდი 6, საარქივო № 23121, ყუთი 26 კანდელაკი გ. ი.

კანდელაკი გიორგი ილარიონის ძე, 40 წლის, კოოპერატორი, ბრალდება — კონტრ-რევოლუციონერი. ჩხრეკისას აღმოუჩინეს გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ დაბეჭდილი ლექსი.

ჩემს გარეშამო ბნელად დამყარდა
მეუფებანი ჯოჯოხეთისა:
ყველაფერს ვხედავ აქ შვების გარდა
და ტყვე ვარ ტანჯვის მეტის-მეტისა.
ჯოჯოხეთში ვარ და ჩემს გარშემო
მეფეა ტანჯვა, მეფეა კვნესა.
ახ, ყმაწვილობავ! ახ, დედაჩემო!
როს ყრმა ვიყავი, ნეტა იმ დღესა!
„შენ, – ყივის ჭინკა – „შენ აქ რა გინდა
შორის ცოდვილთა და სულით ბნელთა?
შენი სიცოცხლეც ცოდვამ დაჰბინდა? –
მაშ იყავ ეხლა წამების ხელთა!
შენ წითელი ხარ ძმების სისხლითა!
ო, კაინ! კაინ! ბოროტო ცამდე!
სისხლს ვერ გაიბან ვერც ერთის წყლითა
უკუნითიდან უკუნისამდე!

II

იუდა, კაინ და ჰეროსტრატე
დედაჩემს ჩემთან გამოუზრდია
და ჩემი გრძნობა ისეა მჩატე,
რო სუბუქ ნისლად ჰაერში გდია.
რად არ მითხარი დედავ, რომ შენი
ძუძუთი ჩემსავ გამყიდველს ზრდიდი?!
ცოდვები გაწევს შენ ზღვაოდენი!
დამნაშავე ხარ შენ დიდი... დიდი!..

III

ტვინგამომპალი, ჭკვაგამოხრული
მბატონობს კაცი, მიქნევს მათრახსა
და მეც, სხვა რა ვქნა, ვით მონა სრული,
ვისმენ მის სიტყვას, მუქარას მკვახსა.
აი, წამებაც ამასა ჰქვიან!
აი, სასჯელიც ასეთი უნდა!
დახე რა მერქვა! დახე რა მქვიან!
დახე სოფელი საით მიბრუნდა!

IV

სამშობლოს ცაზე გაჩნდა ვარსკვლავი...
როგორ კაშკაშა! როგორ ჭიოტა!
ძმის სისხლს მაგონებს იმისი ფერი
იმ დღეს რო მკერდით გადმოსდიოდა.
ოჰ მოგონებავ! გული რომ გქონდეს,
შიგ ჩაგასობდი მახვილსა ჩემსა!
დე შენი სისხლიც ეცხოს იმ ვარსკვლავს
დღეს რომ დაჰყურებს ჩემს ერს და თემსა.

V

რისთვის გაჩერდა სამშობლო ცაზე
ვარსკვლავი რაღაც უცნაურ სახის?
ვის მოუძღოდა იგი ამ გზაზე,
ან ჩემს მხარეში ვის რად უძახის?
ჰო ვიცი, ვიცი: აქ დაიბადა
ამ ქვეყნიური მცნების მისსია
რის მომავალიც – არ ვიცი რადა –
და ის კი ვიცი, რომ იმისია.
მაშინ ვაი თქვენ, რო ხტით კვიცებად
ტვინ მოღრეცილნო, მკრეხელნო ცისა!
თქვენ ტვინი უფრო მოგეღრიცებათ
და კვლავ შემყურე იქნებით სხვისა.

VI

აქამდე რისთვის დაიგვიანეს
ჩვენმა ბიჭებმა, ლომებს რო ჰგვანან?
ნუ თუ სუყველა ტყვედ წაიყვანეს?
ნუ თუ სუყველა საფლავში წვანან?
არა! კვლავ მოვლენ მღერის ყიჟინით,
გაგვაღვიძებენ მწუხრში მძინარეთ
და, მოქანცულნი ხანგრძლივის ბინით
თვალჟუჟუნებიც გამოვლენ გარეთ.
მოვლენ ბრწყინვალედ, ვით მაცხოვარი,
მოვლენ სულ წითლად, ვით სხივთა ძნები,
ისე კი არა, ვით მათხოვარი
ისე, ვით ჩვენი ნამდვილი ძმები.

რუსთავლის ყური მიყრუებული
გაიგებს კახურს, გაიგებს მეგრულს
და საქართველოს უმანკო გული
შესძღვნის მათ გვირგვინს გრძნობებით შეკრულს.

ი. მჭედლიშვილი*
1921 წ. გაზაფხული

* * *

ახალ ხელისუფლებას**

თქვენ ამბობდით: საქართველომ რაც უნდა ბევრი იბრძოლოს,
ის რუსეთის კომუნისტათ გადიქცევა მაინც ბოლოს.
ჰა აღსრულდა. თქვენ მოხვედით, ჩვენ დაგიხვდით ორივ ხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგინდობს, რომ სხვის ხიშტით შემოხვედით.
განა ჩვენ აქ გვქონდა ტახტი, ან ზედ დავსვით ვინმე მეფეთ,
რომ ქართველთა წმიდა სისხლი დაღვარეთ და ააშხეფეთ,
განა ჩვენი არწივები გაურბოდნენ დროშას წითელს,
რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ ყველა ბილწს და ყველა
სკვითელს.
ოჰ! ჩვენ ისე შევეჩვიეთ: ჩვენს მიწაწყალს, ჩვენს ფერს,
ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ გამარჯვებულ რუსის ჩექმას.
ზეინაბათ გადვიქცევით, გულს ჩავიკლავთ აღთქმას
შმაგურს
და უსისხლოთ მტერს არ მივცემთ, არცერთ კუთხეს
არცერთ აგურს.
მაგრამ თქვენში თუ ვიპოვით ჩვენზე მძლავრს და
ჩვენზე ძლიერს,

---

* ეს ლექსი პოეტ ი. მჭედლიშვილს წაუკითხავს მე-11 არმიასთან ბრძოლაში დაღუპული ახალგაზრდების მეორმოცე დღეზე, 15 აპრილს, რისთვისაც დაუპატიმრებიათ (კვერენჩხილაძე რ., წამების გზა, თბილისი, „უნივერსალი“, 2014, გვ. 19).

** ფონდი 6, საარქივო № 22243, ტომი 6, ყუთი 49. ლექსი, რომლის ავტორია იოსებ გრიშაშვილი, ნაპოვნია გიორგი დავითის ძე გიუნაშვილის საქმეში. გიორგი დავითის ძე გიუნაშვილი - 34 წლის, ექიმი, დაბ. 1887 წლის ნოემბერში, მცხ. სიღნაღში, სოფ. ველისციხეში, სოციალ-ფედერალისტი. საქმეში არის მისი განცხადება, რომელშიც იგი საკუთარი სურვილით ტოვებს პარტიას 1922 წელს.

უანგარო მამულიშვილს, სასახელო ივერიელს,
თუ დაიცავთ ჩვენი ერის: სილამაზეს, ენას, დოვლათს,
თუ ჩვენს ცხელ მზეს არ გარდაქმნით ჩრდილოეთის
მსუსხავ თოვლათ,
თუ აღადგენთ საქართველოს ისტორიულ მთლიან ხაზათ,
მაშინ ჩვენს გულს... სულს... სიყვარულს ქვეშ დაგიფენთ
ფიანდაზათ.
მაგრამ ვინმემ თუ გაბედოს, რომ მოგვსპოს და გადაგვთელოს
ვიტყვი მოკვდა საქართველო!...
გაუმარჯოს საქართველოს...

* * *

„რაც რომ გულში მაქვს უნდა ვსთქვა,*
გინდ რომ დამარტყა თავზე ქვა,
მინდა ჩვენ ხალხზე რამე ვსთქვა,
ჩემი წყლულები გამოვსთქვა.
რაც მეზობლები დამიჯდა,
ყველა მტერადა დამიჯდა,
კარგი რომ ვქენი ეწყინათ,
ავი რომ ვქენი ეცინათ,
მე რომ ვშრომობდი ეძინათ,
გამოეღვიძათ, ერცხვინათ,
შემომესიეს მტერადა,
მთლად რომ გავტყავდი,
ყველას საცინლად ავყავდი.
ასეთ საშინელ ხალხში ჩავარდი,
წყევლაკრულვასა ვასხამდი.
განვშორდე, საით წავიდე?
არადა სულით წამიღეს.“

1931 წ. 5. III.

---

* ფონდი 6, საარქივო № 23439, ყუთი 74, ზამთარაძე შ. ი.
შალვა ივანეს ძე ზამთარაძე (სტუდენტი, 26 წლის, თბილისის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე).

* * *

ეგნატე ნინოშვილის სასაფლაოზე თქმული*

აჰა, მოვედით თქვენსა საფლავზე
თავისუფალნი და ბედნიერნი,
რომ ჩამოგძახოთ: აღსრულდა ნატვრა
თქვენის გულიდგან ტანჯვით ნაძგერი.

აწ გიხაროდეს, აღარ გმინავენ
როზგს-ქვეშ „გოგია უიშვილები“,
აღარც სიმონას სტანჯავს დროიძე
 და ქრისტინეებს იასონები.

უნათლიშვილის ქვრივიც გიმადლის,
ვერ ატყუებენ მოსე მწერლები.
ყველგან ფრიალობს წითელი დროშა,
ქვეყანას მართვენ მცირიშვილები.

და ამ მართვაში განხორციელდა
თქვენი ნატვრა და თქვენი ანდერძი,
საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლობას
საფუძვლად უდევს რკინისა ღერძი.

აწ განისვენე გულ-დამშვიდებით,
ჯერ მრევლი არ გვყავს თქვენებრ ძვირფასი,
კვლავაც შევიკრიბებით თქვენსა საფლავზე
თქვენგნით აღზრდილი მესამე დასი.

იესე მეგრელაძე
1929 წლის 25 დეკემბერი

* ფონდი 6, საარქივო № 38879. ტ.1. ყუთი 165.

შემოკლებები

ОГПУ – Обединённое Государственное Политическое Управление (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო)

Секо – Секретная Комиссия (საიდუმლო კომისია)

Начсоч Зак и Грузчека – Начальник Закавказской и Грузинской Чрезвычайной Комисии (ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე)

Зампредгрузчека – Заместитель Председателя Грузинской Чрезвычайной Комисии (საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

Начсоч Зак и Грузчк – Начальник Следственной Оперативной Части Закавказской и Грузинской Чрезвычайной Комисии (ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის საგამოძიებო ოპერაციული ნაწილის უფროსი)

НКВД – Народный Комиссариат Внутренних Дел (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი)

Груз ЧЕКА, ЧКГ – Чрезвычайная Комисия Грузии (საქართველოს საგანგებო კომისია)

ИТЛагер – Исправительно-Трудовой Лагерь (შრომითი გამასწორებელი ბანაკი)

ГУЛаг – Главное Управление Трудово-Исправительных Лагерей и Колонии (შრომითი გამასწორებელი ბანაკებისა და კოლონიების მთავარი სამმართველო)

Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 64

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 13. Декабря 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены Прокурор по спецделам

Секретарь

Слушали:	Постановили:
Следдело № 10817, 4-го отдела УГБ НКВД ГССР, по обвинению ТАБИДЗЕ Тициана Иустиновича, 1893 года рождения, б/п., из духовного звания, с высшим образованием, поэт, член президиума Союза сов. писателей, грузин. Обвиняется по ст. 58/6, 58/7 и 58/11 УК ГССР.- 1) Являлся активным членом национал. фашистской организации в Грузии. 2) Проводил вредительскую работу на фронте литературы и искусства. 3) Вел шпионско-разведывательную работу в пользу французской разведки. Признался частично. Изобличается показаниями МДИВАНИ Бу-ду, Л. ГАСВИАНИ, Г. МГАЛОБЛИШВИЛИ, Т. САМХАРЕЛИДЗЕ, В. ДАРАХВЕЛИДЗЕ, Н. ЭЛИАВА, И. ЖИДАШВИЛИ, Д. ЦЕРЕТЕЛИ, А. МИКАДЗЕ, Д. ЛОМАДЗЕ и Б. КВИТАШВИЛИ.	ТАБИДЗЕ Тициана Иустиновича- Расстрелять Имущество в приговор Лично ему конфиск

/ Докладчик тов. КАДАГИШВИЛИ /.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ТРОЙКИ:

ЧЛЕНЫ:

СЕКРЕТАРЬ:

ტიციან ტაბიძის დახვრეტის ოქმი

შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6



მიხეილ ჯავახიშვილის განცხადება

შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6

УТВЕРЖДАЮ"
ПРЕД ГРУЗ ГПУ
РДЖИПАНИДЗЕ)
7 Марта 1931г.

ОБВИНИТЕЛЬНОЕ ЗАКЛЮЧЕНИЕ.

1931г. марта 22 дня гор. Тифлис.

Я, Ст.Уполномоченный 1-го ОТД.ОО Груз.ГПУ,ЛЕЖАВА,рассмотрев след.дело за № 11796 на гр-на:

ГОТУА Левана Парфеновича,грузина,1905г. рождения,жит.гор.Тифлиса,образ.высшего, гр.СССР,холостого,члена партии нац.дем, судившегося (осужденного на 3 года в к/л и находился в ссылке до момента побега (д.ф.№ 1731).

по обвинению в бегстве из места обязательного поселения, в нелегальной работе в партии н/д и попытке нелегального перехода госграницы из СССР в сторону Турции,т.е. в преступлении предусмотренном ст.ст. 58/11,84 и 82 разд.2-й УК ССРГ

НАШЕЛ:

Обв.ГОТУА Леван Парфенович,активный член партии нац.демократов,как член Комитета молодых нац.демократов в 1925г.совместно со своими единомышленниками - ВАШАКИДЗЕ Виссарионом, ПАВЛЕНИШВИЛИ Иосифом и другими был выслан в Соловки за активную работу в партии нац.демократов, с какового времени находился в ссылке, В последнее время проживал во Владикавказе и в г.Кизляре (имел запрет на в'езд в Закавказье).

Как видно из следственных данных,имеющихся в деле, ГОТУА,ВАШАКИДЗЕ и ПАВЛЕНИШВИЛИ,имея конечной целью бежать заграницу,имели переписку, навязали друг к другу и окончательно решили перейти госграницу в сторону Турции, с каковой целью,как установлено,выехали в Грузию (Тифлис,Кутаис),где и проживали нелегально, и в средних числах декабря месяца прибыли в Батум,для осуществления перехода госграницы,где и были задержаны в районе Чороха 16/XII-п.г.

В своих показаниях ГОТУА категорически отказывается от дачи показаний,касающихся его связей (см.стр.7,21).

Принимая во внимание все вышеизложенное

ПОЛАГАЛ-БЫ:

Пред'явленное обвинение ГОТУА Левону Парфеновичу по ст.ст. 58/11,84 и 82 разд.2 - СЧИТАТЬ ДОКАЗАННЫМ,дело следствием прекратить и с санкции Прокурора ГПУ Грузии представить на особое совещание ГПУ Грузии для разбирательства.

СПРАВКА: Арест.содерж.при изоляторе с/н.
Отобранные 9 долларов и ценности сданы в темницу.
(см.стр.6,13).

СТ.УПОЛНОМОЧЕННЫЙ (ЛЕЖАВА)

"ПРИСОЕДИНЯЮСЬ" НАЧ.1 ОТД. (КОБУЛОВ)

"СОГЛАСЕН" НАЧ. С О. (ЖЕЛЕЗКАДЗЕ)

ლევან გოთუას საბრალდებო დასკვნა

შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო № 25306



ლევან გოთუას განცხადება

შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო № 25306



ვანლერ დაისელის ჩვენება

შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო № 25156



სამსონ ფირცხალავას განცხადება უშიშროების სამინისტროს ფონდი 6. საარქივო № 13981, ყუთი 155

тн-2

24/27 февраля 89 13/22-746с

Секретно
экз. № 2

Первому заместителю председателя
Госкомиздата Грузинской ССР
тов. Э. Сихарулидзе

г.Тбилиси
ул.Марджанишвили,5

На № 01-31/25 от 7/II-89 г.

Сообщаем, что Пирцхалава Самсон Георгиевич, 1872 года рождения, уроженец с.Матходжи, Цулукидзевского района Грузинской ССР, с высшим образованием в 1918 г. входил в состав парламента меньшевистского правительства Грузии. После установления Советской власти продолжал вести антисоветскую деятельность.

В 1922 г. был арестован и после освобождения, в том же 1922 г. эмигрировал в Германию, а в 1924 году переехал в Париж по приглашению Н. Жордания, где вел активную деятельность в эмигрантской организации "Саэрто фронти", представляя партию социал-федералистов; входил в редколлегию и корректировал газеты "Дамоукидебели Сакартвело" и "Саэрто сакме". От бывшего меньшевистского правительства Грузии получал ежемесячное жалование. Пирцхалава выпустил брошюру "Диди амбебис молодиниш", в котором излагая свои контрреволюционные взгляды, утверждал неизбежность войны между Германией и СССР и тем самым освобождение Грузии от Советской власти.

Пирцхалава состоял также в антисоветских организациях "Кавказский комитет" и "Прометевское движение", принимал участие в засылке в СССР эмиссаров и находился в курсе их вражеской деятельности.

В период войны активно сотрудничал с немцами.

Вернулся в Грузию в 1948 г. и до 1951 г. работал зав. библиотекой Государственного музея Грузии.

В 1951 г. арестован и в 1952 г. осужден Военным Трибуналом МГБ Грузии по ст. 58/1, 58/10 УК ГССР к 25 годам лишения свободы. Умер в том же году. Место его захоронения неизвестно.

В 1959 г. дело по обвинению Пирцхалава С.Г. было пересмотрено Прокуратурой ГССР и ввиду правильности его осуждения приговор оставлен в силе.

л/д. Заместитель председателя Комитета Н.Ш. Майсурадзе

Верно: ст. о/у. 10 отдела КГБ ГССР
п/п-к
27/I 84

ეროვნული არქივი

პროკურატურის პასუხი სამსონ ფირცხალავას
ბრალეულობის შესახებ

ამიერიდან ნებისმიერმა ბეჭდვითმა ნაწარმოებმა

ამიხანაგენი ! მეგობრენო !

ძალიან ჩვენი შეგრძნებაა ნათელი ! ბალღო, მიგიხედ წაგვლია, ყველაფერ
ამიხანაგებლები თანაგრძნობა.

ინტელიგენტები ნებიერები ! ფრიალი ეროვნული ინტერესი ეფუძნებოდეს
ერთობა ნებიერებისა ბრძოლაში. იმედი მაქვს ეროვნულად
ამოქმედებენ ეს ინტელიგენტები ნიაკურობაში. იმედი ის მაქვს
ქართველ ლიტერატურულად, სოციალურ ბალღურ ნიაკურობაში იმედი
აფლეთები, ბალღისაკენ აუცილებელი იმედი მოწოდებები, ბალ
ლი ეიგლ იმედი ერის ინტელიგენტის აფრიდეთ ბალღი, ეროვნულ
მაგალითად -ია. ნიადაგ ეს ეროვნულად ეროვნებაა ! ბრძოლა
იმედი მაქვს ! ძალა. ბალღად ბერძენ ინტელიგენტი ლიტერატურა ბალ
ბრძენა, ბალღად ძალია, ოთ Ukraine აფლეთა ეროვნულ ინტე
ინტელიგენტი ინტერესია ! ეროვნულია ! ბოლა ეს იყო !

ბალღად ეროვნული ის ერია: ყოველთან ბალღურია ნიაკურობა



Полон. студ. отъ сл. груз. студ. -

Друзья и товарищи!

Примите отъ насъ дружескій привѣтъ и кратк
кое выраженіе искренняго сочувствія Вашимъ п
ступкамъ.

Свобода вообще и національная въ частнос

პეტერბურგის ქართველი სტუდენტების მიმართვა პოლონელი სტუდენტებისადმი. სამსონ ფირცხალავას ხელნაწერი. ფონდი 6. საარქივო № 13981, ყუთი 155

Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 83

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 17. 7 1938 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены

Прокурор по спецделам

Секретарь

Слушали:	Постановили:
4 Отдел УГБ НКВД ГССР След.дело № 12361 по обвинению КОТЕТИШВИЛИ Вахтанга Ильича, 1892 г.рождения, урож.Лиди Тонети Арбулах-Мангдисского р-на, местожительство г.Тбилиси, 67-й, быв.социал-федералист, грузин, гр-н СССР, до ареста профессор Тбилисского Госунта и Кутаисского Пединститута, по ст.ст.58/1-а, 58/7 58/11 УК ГССР. ОБВИНЯЕТСЯ в том, что являлся активным участником к-р националистической, повстанческо-шпионской, вредительской организации социал-федералистов, ставившей перед собой целью свержение Советской власти, отторжение Грузии от СССР и установления буржуазно-демократической республики Грузии. Лично был в к-р организации с 1930 г. врагом народа РАДЕЛИШВИЛИ Христофором, членом нелегального главного к-р комитета социал-федералистов, а через последнего непосредственно был связан с главным к-р комитетом социал-федералистов. Был в курсе связи с зарубежом будучи непосредственно связан с лицами осуществлявшими таковую, и мигрировавшимися за границу быв.лидерами социал-федералистов. Был в курсе подготовки диверсионных актов и проводил вредительско-подрывную работу в Тбилисском Госунте и Союза Писателей Грузии, насадил и возглавлял контрреволюционно-националистическую организацию социал-федералистов в Тбил.Госунте	КОТЕТИШВИЛИ Вахтанга Ильича Расстрелять Имущ. конф. лично ему принадл. Председ. Члены Секретарь

ვახტანგ კოტეტიშვილის განაჩენი
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6

Сов. Секретно

ПРОТОКОЛ №121

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от „10" октября 1938 г.

Председатель тройки НКВД Груз. ССР

Члены Прокурор по спецделам

Секретарь

Слушали:	Постановили:
След. дело № 15600-6 Отд. 4 Отдела УГБ НКВД ГССР. По обвинению БААЗОВА Герцеля Давидовича, 1904г. рождения, урож. г. Они ГССР, из мещан, образование высшее, женат, по профессии писатель-драматург, до ареста-член союза Сов. писателей, гр-н СССР. Являлся членом к/р организации сионистов. По прямому заданию руководящих участников к/р организации сионистов, проводил антисов. націоналистическую агитацию среди широких масс еврейского населения за переселение евреев в Палестину. Являлся агентом английской разведки,- т.е. в преступлениях, предусмотренных ст.ст. 58-6, 58-10 и 58-11 УК ГССР. Виновным себя признал. Изобличается показаниями БААЗОВА Д.М. Арестован 25.IV-38г.-содержится под стражей во внутрен. тюрьме НКВД ГССР. Докладчик -П/Нач. 6 Отд. 4 Отдела УГБ- ОВЕЯН.	БААЗОВА Герцеля Давидовича, 1904 года рождения Расстрелять Имущество принадлежащее ему конфисковать. СЕКРЕТАРЬ ТРОЙКИ: ПРЕДСЕДАТЕЛЬ ТРОЙКИ ЧЛЕНЫ: СЕКРЕТАРЬ

ᲨᲡᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

გერცელ ბააზოვის განაჩენი
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საქმე № 15600

ძვირფასო ლერო!

ჩემს წინაშე ისეთი რთული ვეკითხები. ჩემი სიბნელეა
ალბათ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცდილობ ახალგაზრდობა
შეინარჩუნო ჩემს სულში, ძალიან ძალიან და ყველაზე
ეს ის იყო სიყვარულმა ერთადერთი
ლაბირინთი. ჩემ ასაკში ადამიანს, ბევრი სიბერე
მაქვს ალბათ ჩემამდე, რომ ცხოვრობ სიცოცხლეს
ერთი ჭეშმარიტი, ერთადერთი ალბათ. ისიც
ინარჩუნებ ხოლმე ნაწილს შენს სულში,
ჩვეულებრივ ადამიანი ასეა ერთმანეთს,
რომ ის კიდევ ერთხელ ასეა ჩემთან
ვიმეორებ. ალბათ ჩემ ასაკში ბოლოს იგებენ
ეთანხმები, რომ ვინმესთან ერთად ყოფნა.
სიბნელეში ყველაზე ადვილია
ეძებდეს ლაბირინთი, ალბათ ცხოვრება
სულაც, რომ ეძებ აფეთქებ-ცხოვრობ
ჩვენზეა და ჩემ ალბათ, ეგრეთ ალბათ
ვიცოცხლოთ ბოლო ოთხი.



დავით ვოლსკის პირადი წერილი
ფონდი № 6, საარქივო № 35114, ტომი 4, ყუთი 31

Ч. К. Г.

АНКЕТА № 4372

для арестованных и задержанных с зачислением за Ч. К. Г.

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности.

ВОПРОСЫ.	ОТВЕТЫ.
1-я часть (заполняется арестованным)	
1) Фамилия	Радиманян
2) Имя и отчество	Левонъ Лукичъ
3) Гражданство (какое государство)	С. С. Груз.
4) Национальность	Грузин
5) Место прописки	Губ. Тифл. уезд. Тионетск. вол. Малаганаре. сельск. общ. Хорозали
6) Возраст (год рождения)	35 лет, родился в — месяц 1 г.
7) Образование: а) грамотный-пр. б) какую школу окончил в) какие из политич. воск. пр.	а) грамотн. б) окончил Тифл. грузин. гимназии в) прошел — курс школы

	Степень родства	Фамилия, имя и отчество	Возраст	Занятие или место работы и должность или профессия	Место жительства (Адрес)
8) Состояние семейства и занятия и место работы каждого член. семьи (отца, матери, жены, мужа, детей и сестер).	Мать	Тамара Григ.	65	Домохозяйка	Тифл. губ. Тионетский уезд. с. Хорозали
	Супруга	Тамара Григ.	27	" "	
	Братъ	Захаръ Лукичъ	15	" "	
	Сестра	Марія Лукична	20	" "	
тифл. дет. дом		Лука, Кетевана и Екатер.	7-2-1 г.		

9) Политические пристрастия а) к какой партии состоит б) к какой политич. партии

Состоит Груз. прогрес. партии (соц. дем. с школьной скамьи

Послужной

	Профессия или занятие

С 1914 года до марта 1917 г. я состоял [illegible] Изотрадельной Конн. [illegible] лидер В.С.Р.

1917 г. я проживал в сел. Хорозали [illegible] Малаганаре. [illegible] Грузии [illegible] Меньшевики [illegible]



12) Если состоял на государ. службе, то в каком чин. . . . . .
Не состоялъ

13) Если не служил и не работал по найму, то на какие средства жил. . . . .
Состоялъ на службѣ до 1917 года

14) Владел ли недвижимым имуществом каким и где . . . . . .
Владелъ въ сел. Карчали / родовая земля /

15) Привлекался ли к ответственности по суду или в админ. порядке . . . . . .
никогда

16) Отношение к воинской повинности: а) воинское звание, род оружия или специальность; б) если освобожден, то на каком основании . . . . . .
Рат. опол. II-го разр. пр. 1909 г.

17) Когда арестован . . . . . .
30 сентября 1922 г.

18) Кем арестован, по чьему ордеру и № ордера . . . . . .
Взимен. ордера

19) Где арестован: а) губ., уезд, вол., село, гор., улица и № дома; б) при каких обстоятельствах арестован (на своей квартире, в засаде, на собран. и проч.) . . . . . .
По делам службы я был в Тифлисѣ, где по приказу Тифлисского ревкома арестован за ~~[illegible]~~

20) Когда и кем допрошен . . . . . .
Нѣтъ

21) Что показал на допросе и на чем основано . . . . . .
Нѣтъ

22) Местожительства перед арестом . . .
Сел. Карчали Тионет. уезда

Примечание арестованного: _____

Подпись арестованного: Л. Разикашвили

12 окт. 1922 г.

2-я часть (заполняется администрацией места заключения)

23) Официальное название места заключения . . . . . .
Тифлисъ Уезд-Чека

24) По чьему ордеру арестован и за что . . . . . .
Взимен ордера

25) Когда зачислен . . . . . .

26) Принята заключенного . . . . . .
Вслѣдствіе ордера [illegible]

Примечание: _____

Подпись начальника места заключения

ლევან რაზიკაშვილის ანკეტა

შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საქმე № 12370



ოქმი
Протокол

ორდერის საფუძველზე
На основании ордера

№ ქმ
За №

ბიხლი დაპატიმრება მოქ.
Произведен арест гр.

1922 წ. ქალაქში (სოფელში)
1922 г. в гор. (селе)

(გვარი, სახელი და მამის სახ.)
(фамилия, имя и отчество)

მცხოვრებელი სახლში №
Проживающего в доме №

ბინის №
квар. №

ქუჩაზე
улице

ბეშთა გუბერნიის მილიციის სამმართველოს, რაშიაც შეკრებილნი ტანსაცმელი ოქმი
Управления Рабоч.-Крес. Милиции, в чем составил настоящий протокол

დაპატიმრებული ხელის მოსაწერი
Арестованный (подпись)

დაპატიმრება მოახდინა კ. მილიცია ს. ქ.
Арест произвел Комисар Ч. К.

მოწმენი:
Понятые:

ასლი ოქმის მიღება:
Копию протокола получил:

თავმჯდომარე ბინის კომ.
Председатель Домкома

შენიშვნა: ოქმი სდგება სამ ნაწილად, რომლისაგანაც ერთი გადაეცემა ბინის კომიტეტის თავმჯდომარეს
Примечание: Протокол составляется в 3 экземплярах, из коих один передается Председателю Домкома

12 августа 1922 წ.
1922 г.

ლევან რაზიკაშვილის დაპატიმრების ოქმი

შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საქმე № 12370



ლევან რაზიკაშვილის წერილი

შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საქმე № 12370

Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 56

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от „28" VI 1937 г.

36

Председатель тройки НКВД Грузинской ССР _____

Члены _____ Прокурор по спецделам _____

Секретарь _____

Слушали:	Постановили:
Дело 3 Отдела УГБ НКВД. Следдело №13085 по обвинению: 1. [redacted] 1885г.рождения, грузин, из б.дворян, до ареста работник театра. В прошлом [redacted] состоял в партии нац.демократов, являлся членом Тифлисского комитета и занимал должность начальника департамента юстиции меньшевистского правительства. Перед советизацией Грузии на американском пароходе бежал за границу и обосновался в Константинополе, где был тесно связан с б.членом меньшевистского пр-ва [redacted] и др. Из заграницы [redacted] вернулся в 1921 году (через несколько м-цев после бегства). В 1922 году арестовывался органами б.ЧК за к-р.работу. Обвиняется в том, что входил в контрреволюционную, террористическую организацию, созданной по заданию Грузинского Национального центра-директором Малого театра в Москве-[redacted] Обвин.по ст.ст.58|10, 58|8 и 58|11 УК ГССР. Виновным себя не признал. Изобличается свидетельскими показаниями.	[redacted] 1885г.рождения. Расстрелять Имущ. конф. лично лич. конф
2. [redacted] 1897г.рождения, грузин, из. бывш. дворян, до ареста театральный работник, в прошлом окончил кадетский корпус. Обвиняется в принадлежности к контрреволюционной террористической организации, созданной по заданию Груз.нац.центра-директором Малого театра в г. Москве-[redacted] Обвиняется по ст.ст.58|8, 58|10 58|11 УК ГССР.	[redacted] 1897г.рождения Расстрелять Имущ конф лично лич конф



ОЦХЕЛИ Петр Григорьевич,1907г. грузин,из б.торговцев,до ареста театральный работник.ОЦХЕЛИ имел связь с сотрудником одного из иностранного посольства,проводившего в СССР разведывательную и контр. развед.работу.

Обвиняется в принадлежности к контрреволюционной террористической организации,созданной по заданию Груз.Нац.центра-директором Малого театра в г. Москве-АМАГЛОБЕЛИ С.И.

Обвиняется по ст.ст. 58|8|58|10 и 58|11 УК ГССР.

Виновным себя не признал,изобличается свидетельскими показаниями.

Докладчик- АТАШЯН.

ПРЕД. ТРОЙКИ-

ЧЛЕНЫ:

АА|7

ОЦХЕЛИ Петр Григорьевич-1907г.рожд.

შსს არქივი

პეტრე ოცხელის დახვრეტის ოქმი
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6

"УТВЕРЖДАЮ"

_____

_____

"_____" 1937 г.

По сл/делу № 1845 по обвинению
ДАШНИАНИ Павла Самуеловича.

ОБВИНИТЕЛЬНОЕ ЗАКЛЮЧЕНИЕ.

Я,О/Уполномоченный Цагерского РО НКВД Груз ССР Сержант Ти ЧАБУКИАНИ расмотрев 10-Октября 1937 г.следственное дело обвинению священика - анти сов-элемента и анти колхозно настного ДАШНИАНИ Павла Самуеловича г.1872 года рождения, жит. Чхутели Цагерского р-на.

УСТАНОВИЛ Следующее:

Обв.ДАШНИАНИ Павел Самуилович - в 1936 годучи анти сов-ским,активно провоцировал среди трудового колхозного крестьства против существующего строя. Превозглашал о гибели Сов-ти, обв.ДАШНИАНИ призывал население религиозным обрядом крес-дтей и таким образом ДАШНИАНИ П.С. В 1936 году проводил ное крещение . В отношение колхозов ДАШНИАНИ провоцировал ЗН СКОРО РАЗВАЛИТСЯ В НЕЙ НЕТ РЕНТАБЕЛЬНОСТИ" и т.д.

П О С Т А Н О В И Л:

Следственное дело по обвинению ДАШНИАНИ П.С. направить смотрение Тройки НКВД Груз ССР.

О/УПОЛНОМОЧЕННЫЙ: (ЧАБУКИАНИ)

"СОГЛАСЕН"

ЦАГЕРСКОГО РО НКВД
ШИ ЛЕЙТЕНАНТ ГБ-ти: (КРУАШВИЛИ)

ЛА: Арестованный

არქიმანდრიტ პიმენის განცხადება
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო № 37190-07

СОВ/СЕКРЕТНО

ПРОТОКОЛ №-54

Заседания тройки при Народном Комиссариате внутренних дел ГСС

от "27" XI 1937 г.

Председатель тройки НКВД ГССР _____

Члены _____

Прокурор по спецделам _____

Секретарь: _____

СЛУШАЛИ:	ПОСТАНОВИЛИ:
Дело Цагерского Райотделения НКВД Груз ССР № 1845 по обвинению ДАШНИАНИ Павла Самуиловича, 1872 г.рождения, священика и анти сов.элемента.	ДАШНИАНИ Павел Самуилович - расстрелять ф. имущ. конф. лично им. кон.
Обвиняется в том, что ДАШНИАНИ П.С. в 1936 г.будучи анти сов.настроенным, активно провоцировал против Сов-власти, распространял слухи о б гибели Сов-Власти призывал кр-н религиозным обрядом крестить своих детей. В 1936 г.гастролировал по селам проводил массовое крещение. В отношение колхозов вел агитацию о ликвидации как не рентабельное хозяйство.	

ДОКЛАДЧИК: (КРУАШВИЛИ)

არქიმანდრიტ პიმენის დახვრეტის ოქმი
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო № 37190-07



მემედ აბაშიძის წერილი
ფონდი 6, საარქივო № 23300, ტ. 2, ყ. 52



იოსებ გრიშაშვილის ლექსი
„ახალ ხელისუფლებას“, ფონდი 6, საარქივო № 22243



След. Дело № 9154 Архив № 25290

Приговор в отношении Гоголберидзе

Иван (Жанго) Сергеевич

Приведен исполнение „——„ 1/1 1 1938 года.

Нач. Спец. Отдела НКВД Груз. ССР
Капитан Госбезопасности (Морозов)

ჟანგო ღოღობერიძის დახვრეტის დამადასტურებელი საბუთი
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო № 371145-07

ნოე ხომერიკი

მოქალაქენო!

ოიოქმის მთელ რუსეთში მიწას ისევ მსხვილი მეპატრონენი დაეპატრონენ.

სოციალ-დემოკრატიამ ჩამოაყალიბა საქართველოში მიწა მეშაჰულეებს და ის მშრომელ გლეხ-კაცობას გადასცა.

ხმა მიეცით სიას

№. 1.

ნოე ჟორდანია

მუშებო!

ოქიანობის ხანაში მუშებმა ხანგრძლივი ბრძოლით მოპოებულნი უფლებანი ეკლესიან დაკარგეს.

სოციალ-დემოკრატიამ საქართველოში მოიპოვა 8 საათის სამუშაო დღე და უხრწნელ ჭეშ კეშმარიტ თავისუფლება და შრომის დაცვა.

ხმა მიეცით მუშათა პარტიის სიას

№. 1.

საარჩევნო-სააგიტაციო ფურცელი
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო № 23440

საძიებლები

აბაშელი ალექსანდრე 138, 248, 299, 444
აბაშელი მედეა 138, 248, 260
აბაშიძე ასლანი 121
აბაშიძე გრიგოლ 258
აბაშიძე ზია ბეგ 119, 404
აბაშიძე ირაკლი 224, 227, 233, 241, 253-256, 258
აბაშიძე კ. 88
აბაშიძე მამუდ 125
აბაშიძე მემედ 117-126, 374, 404, 405
აბაშიძე ნური-ბეგ 123
აბაშიძე რიზა 119
აბაშიძე სულეიმან-ბეგ 123
აბაშიძე ფეზლი 119
აბაშიძე ყადირ-ბეგ 123
აბაშიძე ხასან-ბეგ- 123
აგაბეკოვი 366, 370
აგიაშვილი ნიკა 162
აგრბა 115
ადამაშვილი მიხეილ (იხ. ჯავახიშვილი მიხეილ)
ავალიანი ლადო 258
ავალიშვილი ვაჟა 322
ავალიშვილი ზურაბ 85
ავალიშვილი ლევან 309
ავერბახი ლ. 130
ათაბაგი სეფურე 125
აინშტაინი 66
აკაბა ნ. 148
ალანია იასონ 369
ალანი ვილიე დელილ 74
ალენი ვუდი 285
ამირეჯიბი ნინო 413, 418
ამირეჯიბი როსტომ 165
ამირეჯიბი შალვა 71, 149
ამირეჯიბი ცაცა (ეკატერინე) 305
ანდრონიკაშვილი ალექსანდრე 165, 373, 381-384, 392, 397
ანდრონიკაშვილი ელო (ელენე) 184, 185
ანდრონიკაშვილი კოტე (კონსტანტინე) 70- 73, 343, 346, 468

ანდრონიკაშვილი ლუარსაბ 85, 184, 214
ანდრონიკაშვილი სალომე 53, 55
ანდღულაძე ლია 96
ანთაიძე პანტო 330, 332-334
ანჯაფარიძე გიზო 472
არაყიშვილი დიმიტრი 303
არველაძე 267
ართმელაძე 103, 390
არისტოტელე 155
არსენაშვილი გიგლა 315
არსენაშვილი ზ. 273
არსენიშვილი ალი 406
ასათიანი 83
ასათიანი გურამ 204
ასათიანი ლ. 129
ასათიანი ლადო 15, 236, 258
ასათიანი ლევან 234, 236
ასლანიშვილი ალეკო 264
აფხაზი კონსტანტინე (კოტე) 165, 168, 373, 378-382, 384, 386, 387, 391, 392, 395-397
აფხაიძე შალვა 224
აღნიაშვილი პეტრე 48, 131, 132, 296
აშუკინი 379
ახალაძე 348
ახვლედიანი გიორგი 213
ახვლედიანი დარიკო 110
ახვლედიანი ვლადიმერ 440
ახმეტელი ალექსანდრე (სანდრო) 302-309, 373, 384-388, 391, 392
ახმეტელი შალვა 302
ახმეტელაშვილი ვასილ 302
ახნაზაროვი არტემ 241

ბააზოვი გერცელ 63-68, 241
ბააზოვი დავით 63- 68
ბააზოვი მენახემ 63
ბააზოვი ხაიმ 67
ბაბუაძე ეკატერინე 31
ბაბუაძე ივანე (იხ. დაისელი ვანლერ)
ბაგრატიონი თამარ 460

ბალანჩივაძე აპოლონ 350-352
ბალანჩივაძე გაიანე 350
ბალანჩივაძე მელიტონ 350
ბალიაური ლადო 258
ბალმონტი კონსტანტინე 97, 173
ბაჟანი მიკოლა 241
ბარათაშვილი იოსებ 82
ბარათაშვილი მარიკა 258
ბარათაშვილი ნიკოლოზ 88
ბარამიძე მირიან 185
ბარბაქაძე თამარ 145-147
ბარნოვი ვასილ 273
ბაქრაძე აკაკი 222, 237, 249
ბაქრაძე ელენე (ბაქრაძე-ქართველიშვილი ელენე) 97, 98
ბაქრაძე 346
ბაქრაძე პალადი 390
ბებელი 346
ბედია ერიკ 444
ბედიგოვი 91
ბენ აბრამი 65
ბენაშვილი დიმიტრი 132, 224, 233, 235, 256-258
ბეჟანიძე შაესტერ 125
ბეჟიტაშვილი ნ. 76
ბერია ლავრენტი 79, 80, 106, 151, 157, 178, 198,199, 216, 239, 246, 247, 249, 250, 266, 288, 298, 300, 303, 307-309, 321, 344, 346, 365, 366, 379, 425, 445, 459, 475-477
ბერეკაშვილი პავლე 69, 73
ბერიშვილი ეფროსინე 460
ბერიშვილი პავლე 459
ბერიძე ვ. 138
ბერძენიშვილი პავლე 367, 368, 370, 461
ბეწუკელი ვახტანგ 258
ბეჯიზოვი ჩ. 115, 249
ბიბინეიშვილი ბარონ 104, 105
ბიკტოროვი ბ. 370
ბობოხიძე კალე 110, 128, 129, 131, 133, 224, 233, 241, 242, 246, 254, 255
ბოჭორიშვილი მიხეილ 60, 69-75, 299, 434, 475, 476
ბრეგაძე დავით 141, 142
ბრიუსოვი ვალერი 221

ბუაჩიძე ბენიტო 127-132, 227, 245, 438
ბუნინი 173
ბუხარინი 130-132, 225
ბუხნიკაშვილი გრიგოლ 128, 129, 132, 206, 233, 234, 239

Გაბაონი ნიკოლოზ 273
გაბრიაძე გერონტი 324-325
გალპერნი 53
გამსახურდია ზვიად 17, 203, 265
გამსახურდია კონსტანტინე (კოწია, კოტე) 29, 77, 79, 112, 135, 138, 225, 237, 273, 319, 338, 339, 358, 416-418, 426, 444
გამყრელიძე 348
გასვიანი ლიდია 374, 419
გაფრინდაშვილი ვალერიან 27, 139
გაწერელია აკაკი 225, 237
გაჯიევი 148
გეგელია გიორგი 90
გეგეჭკორი 90
გეგეჭკორი გივი 81
გეგიაძე დიომიდე 440
გედევანიშვილი ი. 88
გედევანიშვილი იოსებ 373, 381-383
გედევანიშვილი ისიდორე 82
გელენიძე ვასილ (იხ. ყიფიანი სვიმონ)
გელოვანი მირზა 15, 236, 258
გერსამია ს. 110
გეწაძე გივი 69, 73
გვარჯილაძე კონსტანტინე 94
გვასალია ა. 193, 195
გვახარია შ. 54
გველესიანი გრიგორი 82
გვერდწითელი გიორგი 192, 401, 403
გვეტაძე რაჟდენ 256, 257
გიგაური ა. 147
გიორგაძე 376
გიორგაძე გრიგოლ 81
გლუცენკო ს. 55
გობეჩია იოსებ 71
გოგიაშვილი მიხეილ (მიშა) 168, 395

გოგიჩაიშვილი ფილიპე 319
გოგლიძე სერგო 68, 51, 116, 143, 443
გოგორიშვილი ა. 76
გოგორიშვილი ჭიჭიკო-დავით 89
გოგოტიშვილი 424
გოგოძე-ჩხეიძე ფაცია 141
გოგუაძე ანტისა 322
გოგუაძე გორგონი 458
გოგუაძე ივანე 458
გოგუაძე სევერიან 367
გოთუა არჩილ 431
გოთუა თამარ 431
გოთუა თინა 431
გოთუა ლევან 144-152,187, 273, 431, 432, 438
გოთუა მზია 431
გოთუა პართენ 147, 431
გოთუა სანდრო 431
გოლუბევა 233-235
გოლცევი ვიქტორ 234, 235, 237
გომიაშვილი ალექსანდრე 224
გორბოვსკი ალ. 265
გორგაძე ვ. 139
გორდელაძე აღათი 440
გორდელაძე ერმალოზ 444
გორდელაძე კოტე 424
გოცირიძე 95
გრიშაშვილი იოსებ 27, 74, 88, 179, 181
გულისაშვილი ელიზბარ 165
გუნია ვალერიან 191
გურჯიძე 338
გუცკოვი კარლ 217

დადიანი დავით 440
დადიანი ელიზბარ 321
დადიანი სამსონ 71, 82
დადიანი შალვა 74, 139, 179, 181, 217, 299, 303
დავითაშვილი გიორგი 305
დაისელი ვანლერ (ბაბუაძე ივანე) 24, 26-36, 38, 39, 42, 43, 373, 376, 377
დანელია სერგი 154-157, 176-178, 306, 319, 320, 373, 384-388, 391, 392, 396, 397

დარიანი ელენე (იხ. იაშვილი პაოლო)
დაშნინი 279
დგებუაძე 100, 389
დგებუაძე ლეო 395
დევდარიანი ვასილი 323
დევდარიანი სეით 452, 472
დევიძე ევსევი 377
დეკარტე 155
დემეტრაძე დავით 128, 129, 132, 133, 223, 227, 229, 230, 239, 241-244, 247, 251, 255, 256, 258, 443, 444
დერჟინსკი ფელიქს 48
დვალი ირაკლი 356
დიაკონოვი ი. 265
დიასამიძე გრ. 88
დიასამიძე სულეიმან ეფენდი 120, 404
დიდებულიძე 296
დიტრიხი 409
დობორჯგინიძე პავლე 326
დოლიძე გრიშა 366
დოლიძე ვანო 320
დოლიძე რამიტონ 318
დოსტოევსკი თედორე 268
დოჩანაშვილი 92
დრუფელი ფონ 408
დუზე ელეონირა 181
დუმბაძე ივანე 368
დუმბაძე ლადო 105
დუმბაძე ქეთო 421
დუნკანი აისიდორა 181

ებელაშვილი ვანო 315
ებრალიძე ილია 120, 121, 374, 404
ევდოშვილი ეროდიონ 172
ეკალაძე ია 64, 74
ელბაქიძე ვანო 424
ელბაქიძე მაკა 20
ელიავა გიორგი 46, 47, 53, 55, 246
ელიავა შალვა 303, 379,
ენუქიძე აბელ 407

ეჟოვი კონსტანტინე 48
ერაძე ეთერ 276
ერისთავი იოსებ 361, 362
ერისთავი ნიკოლოზ 88
ერქომაიშვილი ალექსანდრე 105
ესაკია დ. 91
ეული სანდრო 105, 128, 132, 133, 206, 224, 233, 239, 241, 242, 251, 256
ეჯიბია 60

ვაჟა-ფშაველა 155, 192, 290, 291, 295, 299, 300, 301, 411
ვარდიძე ემანუილ 361, 362
ვარდიძე შალვა 362
ვასაძე აკაკი 305, 308
ვაშაკიძე ბესარიონ 148, 150, 152
ვაჩნაძე დავით 158-162, 165, 379, 381, 382, 396, 399-401
ვაჩნაძე ელიზბარ 401, 403, 404
ვეზენდოკი 416-418
ვეზირიშვილი გ. 88
ველტჰაიმი ჰანს ჰასო 335
ვინიჩენკო 47, 52, 55
ვირსალაძე ელენე 213
ვოლსკი გიორგი 162
ვოლსკი დავით 158-162
ვოჟელი ლიუსენ 53, 55

ზავარზინი 108
ზალდასტანიშვილი ვიქტორ 149
ზალდასტანიშვილი სოლომონ 149, 165
ზალპერტი 305
ზანდუკელი მიხეილი 165, 170, 338, 416, 417
ზაპერტოვი ვლადიმერ 441
ზარდალაშვილი 324
ზინოვიევი მიხეილ 47
ზოიძე ალ. 441
ზოიძე ისიდორე 441
ზუბკინი 49

თაგორი რაბინდრანათ 180
თავაძე ილია 90, 93, 94, 236, 237

თავდგირიძე ნიკო 193, 195
თავდიშვილი 91
თათარაშვილი (თათარიშვილი) აკაკი 128, 226, 230, 241, 244, 245, 437, 443, 444
თათარიშვილი ელენე 245
თალაკვაძე 330
თალაკვაძე ისიდორე 421
თალაკვაძე სევასტი 224, 424
თაყაიშვილი ექვთიმე 164, 302
თაყაიშვილი მიხეილ 469
თევზაძე ანდრო 258
თევზაძე დავით 257, 260
თევზაძე კლემენტი 27
თუმანიშვილი ალექსანდრე 46
თუხარელი გიორგი 400
თხილაიშვილი 120, 404

იაშვილი პაოლო 16, 17, 27, 97, 130, 131, 138, 203-205, 242, 246, 247, 406, 444
იბსენი ჰენრიკ 217
ივანიძე გიორგი 277
ივანიძე კალისტრატე 377
ივანოვი 366, 370
ივანოვი ვიქტორ 335, 412, 413
იმედაშვილი იოსებ 180
იმედაძე გრიგოლ 258
იმნაიშვილი ბაბილინა 313
იმნაიშვილი ივანე 338, 416, 417
იმნაიშვილი ნიკიფორე 311-313
იმნაძე 160
იმნაძე ანტონ 440
ინგოროყვა პავლე 299, 319
იოვიძე 292-294
ისინი სევერიან 258
იშხნელი მიხეილ 70-73, 149, 168, 386, 391, 392, 395, 397, 472, 475, 476

კაზიალი ეფენდი 64
კაკაბაძე 330
კაკაბაძე დავით 218

კალანდაძე 145
კალანდაძე ბენო 424
კალანდაძე გიორგი 258
კალანდაძე ედმუნდ 17
კალანდაძე კაპიტონ 366, 368-370
კალაძე რაჟდენ 223, 436
კამიუ ალბერ 269
კანდელაკი დ. ვ. 418, 419
კანკავა მიხეილ 319-322
კანტი 45
კაპანელი კონსტანტინე 28, 319
კარვანოპულო 116
კაჭახიძე გიორგი 233
კახაბერი ალექსანდრე 148-151
კახიანი 100, 389
კახიშვილი ს. 144
კედია მიხეილ 90
კედია სპირიდონ 164, 381, 395, 396
კეკელია ამბერკი 444
კეკელიძე ვიქტორ 366
კეკელიძე კორნელი 213, 279
კეკელიძე მიხეილ 322
კერესელიძე ი. 165
კეშელავა ბონდო 31
კეცხოველი ნიკოლოზ (ნიკო) 163-170, 373, 379, 384, 386, 387, 391-394, 395-397
კვანტალიანი ეპიფანე 28, 37, 168, 300-301, 344 , 379, 476, 477
კვანტალიანი შარლოტა 96
კვატაია მანანა 69, 71, 117, 163, 172, 190, 302, 335, 342, 374
კვაჭანტირაძე გალიტო 318
კვაჭანტირაძე ქეთო 317, 318
კვაჭაძე მიტიფო 325, 326
კვერენჩხილაძე რევაზ 17, 24, 31, 32, 65-67, 80, 81, 91, 92, 98, 109, 135, 141, 142, 145, 147, 206, 208, 210, 214, 227, 233, 237, 247, 249, 251, 260, 365
კვიმსაზე ილია 323, 324
კვირკველია ბესო 52, 54, 424
კიკნაძე ვასილ 303, 307-309
კიკნაძე ნიკო 243, 424
კიკნაძე სოფრონ 441

კილაძე 348
კილაძე ბ. 279
კინწურაშვილი მიხეილ 172-174, 176
კინწურაშვილი ქეთევან 217
კიროვი სერგეი 48, 55,139, 420
კლდიაშვილი გიორგი 308, 309
კლიმიაშვილი ლ. 165
კობახიძე კონსტანტინე 90, 92, 95
კობიაშვილი კ. უ. 462
კოვლუევი ტ. 334
კოზლოვსკი 185, 186
კომახიძე თეიმურაზ 118, 119, 122, 126
კოჟევნიკოვი ევსევი 364
კორზუნი 401
კორიშელი პლატონ 308
კორძაია ნინო 350
კოტეტიშვილი ვახტანგ 17, 80, 82, 84, 91,94, 115, 213, 249
კრილოვი 173
კრუსი ფონ 335
კუპრეიშვილი ნონა 57, 127, 221
კუპრინი 180
კურგანოვი ი. 264
კუტუბიძე რაფიელ 318
კუშევი 39, 42
კუშნერი ბ. 47
კუციავა 91, 94

ლაბაძე 95
ლასხიშვილი გიორგი 81, 82, 88
ლაღიძე ივანე 308
ლაშხი 395
ლებედინსკი ი. 130
ლენინი 221, 224, 239, 360, 264, 480
ლენინ-ულიანოვი (იხ. ლენინი)
ლეონიძე 324
ლეონიძე გიორგი 27, 30, 180, 246
ლეონიძე ლევან (ლეონ) 442, 443
ლეჟავა 152
ლისაშვილი (ხომერიკი) იაკინთე 128, 129, 132, 133, 224-228, 236, 239, 241,

242, 245, 250, 255, 259
ლოლაძე ლადო 331, 334
ლოლუა ილია 357, 358
ლომთათიძე ჭოლა 159
ლომინაძე ბესო 46, 47, 54, 379
ლომინაძე გრიგორი 59
ლომიძე გ. 148
ლომიძე ნიკოლოზ 273, 327
ლომიძე პავლე 326, 327
ლომსაძე 443-445
ლომჯარია ზეინაბ 69, 96, 97
ლოპე დე ვეგა 217
ლორთქიფანიძე ელგუჯა 308
ლორთქიფანიძე კონსტანტინე 129-131, 206, 224, 227, 241
ლორთქიფანიძე ნიკო 138, 139, 338
ლოსაბერიძე სოსო 330
ლოტმანი 235, 237
ლუარსამიძე (საძაგლიშვილი) ვალერიან115, 249
ლუნაჩარსკი ანატოლი 217

მაზნიაშვილი გიორგი 383
მათითაიშვილი გერმანე 424
მათიკაშვილი ტ. 54
მათიკაშვილი შალვა 444
მაისურაძე სერგო 334
მალდონე კალენიკე 441
მალილოვი 91
მარგიანი რევაზ 236, 258
მარი ნიკო 190
მარჯანიშვილი კოტე 66, 98, 303
მატარაძე 398
მატოტიშვილი სერგო 318
მაღრაძე შალვა 366, 369, 370
მაყაშვილი კოტე 59, 60, 299
მაშაშვილი ალიო (იხ. მირცხულავა ალიო)
მაჩაბელი ელენე 97
მაჩაბელი ივანე (ვანო) 96-98
მაჩაბელი ნიკუშა 98
მაჭავარიანი ალექსანდრე 165

მაჭავარიანი სიმონ 398, 401
მახარაძე ფილიპე 13, 105, 112, 235, 468, 469, 474
მგალობლიშვილი ბ. 54
მგალობლიშვილი გერმანე 369, 444
მგალობლიშვილი ლავრენტი 366, 368, 370
მგელაძე დიმიტრი 154, 156, 157, 176-178, 338, 417
მდივანი ალექსანდრე 82
მდივანი ბუდუ 48, 52, 54, 239, 241, 243, 246, 369, 422, 425-426, 442, 469
მდივანი სამსონ 82
მდივანი სიმონ 95
მეგრელაძე იესე 486
მეგრელიშვილი გრიგოლ 164, 368
მეგრელიძე გუბაზ 303, 304, 309
მეგრელიძე ლიდია 110
მეკელაინი რიხარდ 416, 418
მელაძე კარლო 222, 241, 246
მელეჟი 159
მელიქაძე ბესარიონ 360
მელიქიშვილი პეტრე 176
მერაბაშვილი 381
მესაბიშვილი კ. 165, 395
მესხი ოლიმპია 148, 151
მესხიშვილი ლადო 66, 87
მეუნარგია აკაკი 90, 91, 93, 94
მეჩიტაძე 324
მეჩონგურე (იხ. ქარცივაძე დავით)
მთვარელიძე მურად 190, 193
მირონოვი ი. 136
მირსკი 132
მირცხულავა (მაშაშვილი) ალიო 128, 129, 224, 229, 230, 233, 239, 241, 258
მისკანი 156, 178
მიქავა უტუ 321
მიქელაძე 301, 379
მიქელაძე ევგენი 17, 214
მიჩურინი ივანე 354
მიჩუსტინი 49
მიცკევიჩი ადამ 172
მიწიშვილი ილამაზ 460, 462
მიწიშვილი ნიკოლო 209, 222, 240, 247, 433, 460-461, 462

მიხელიძე ს. დ. 442
მიხოელსი 67
მკურნალიძე კიროს 441
მოგელაძე ვარლამ 28, 43
მოგილევსკი სოლომონ 307, 379, 386, 475, 476
მოდებაძე კარპო 243, 424
მოვსესიანი 95
მოროზოვი 56, 251
მოროზოვი გ. 116, 143
მოროზოვი (მოროზი) მიხეილ 344, 476
მოსაშვილი ილო 222, 227, 228, 252
მჟავანაძე გიორგი 313, 314
მჟავანაძე ლუკა 313
მრაჩკოვსკი სერგეი 421
მრევლიშვილი მიხეილ 258
მუმლაძე გიორგი 179, 180, 182
მურადოვი აბედნაკი 364
მურავიოვი 87
მურვანიშვილი 398
მუსხელიშვილი ნიკო 170
მუსხელიშვილი როსტომ 373, 381-384, 395
მუსხელიშვილი ს. 168
მუშიშვილი გრიგოლ (ხოფერია) 24, 134-137
მუხრან-ბატონიშვილი სიმონ 165
მუჯირი ნიკოლოზ 441
მღვიმელი შიო 110
მჭედლიშვილი დ. 253
მჭედლიშვილი იოსებ 484
მჭედლიშვილი ლადო 320
მჭედლიძე 44, 46
მხეიძე 51

ნადელი ზიგმუნდ 415
ნადირაძე კოლაუ 139, 206, 310
ნაზაროვი 151
ნარიკელაძე ივანე 381, 395
ნარიმანიძე ს. 162
ნაროუშვილი ფრიდონ 128, 131, 224, 235, 242, 245
ნატროშვილი გიორგი 132, 258

ნაფეტვარიძე გიორგი 258
ნაცვალოვი გიორგი 404
ნაცვალოვი მიშა 330
ნაცვლიშვილი ირინა 290
ნეკრასოვი 173
ნემსაძე ადა 26, 44, 144, 154, 176, 353
ნიკოლაევი 379
ნიკოლაძე გიორგი 319
ნიკოლაძე ნიკო 164
ნიკოლეიშვილი ავთანდილ 64
ნინიძე კირილე 71, 98
ნინოშვილი ეგნატე 279
ნიჟარაძე აკაკი 27, 90
ნიჟარაძე ნიკოლოზ 90
ნიცშე ფრიდრიხ 268, 406, 411
ნონეშვილი იოსებ 258
ნორსინი 401
ნოღაიდელი 120, 404
ნუცუბიძე ილია 180
ნუცუბიძე შალვა 82, 170, 180, 320, 407, 414, 415, 419

ობოლაძე ალექსანდრე (საშა) 471
ოგანეზოვი 123
ოდილავაძე შ. ნ. 442
ოდოევსკი 173
ოკუჯავა მიხეილ (მიშა) 241, 243, 246, 424
ოკუჯავა ოლია 70
ონიაშვილი დავით 98
ონტოფელი შალვა 27
ორახელაშვილი მ. 54
ორახელაშვილი მამია 124, 135, 379
ორბელიანი გრიგოლ 207
ორჯონიკიძე სერგო 13, 72, 239, 299, 323
ოქრომელიძე გრიშა 277
ოქრომელიძე ოთარ 276
ოქრომელიძე პორფილე 276
ოქუევი არაქელა 105
ოჩიაური ლელა 218
ოცხელი პეტრე 77, 217, 218

პაატაშვილი ვასილი 82
პავიჩი მილორად 271
პანკრატოვი 379
პაპავა აკაკი 82
პაპალაშვილი გიგლა 316, 317
პატარაია პავლე 314
პატარიძე ელისე 395
პატატიშვილი დ. 258
პეტრენკო 97
პეტროსიანი 306, 387
პირუმოვი ტ. 55
პლატონი 155
პლიატკოვი 411
პოგოდინი ნიკოლოზ 217
პონომარენკო ალ. 34-36
პოპოვა პოლინა 57
პოსტუპალსკი 54
პრისმანი სიმონ 335
პუშკინი 97
პფეფერი ემილია 336

ჟароვი ნ. 307
ჟიდი შარლ 112, 130
ჟორდანია ნოე 89, 90, 160, 287, 330-331
ჟუკოვი 344
ჟღენტი 112, 129, 139, 345
ჟღენტი ბესარიონ 207, 227, 232, 234, 241, 246, 248, 249, 252, 260, 320, 444
ჟღენტი ს. 258

რადეკი კ. ბ. 225, 421, 424
რადიანი შალვა 128, 130-132, 224, 233, 239, 241, 246, 249, 254, 257, 258
რაზიკაშვილი ლევან 290-294, 296-301
რაზმაძე ვახტანგ 460
რაზმაძე რაფიელ 91
რაკოვსკი 421
რამიშვილი აკაკი 347, 440
რამიშვილი ისიდორე 100, 389
რატიანი ირმა 16, 20
რაფავა ა. 186

რაჭველიშვილი ბაადურ 77
რაჭველიშვილი ქრისტეფორე 77-81, 83, 84, 89
რეზნაკი 54
რიჟინაშვილი 66
რობაქიძე გრიგოლ 16, 28, 88, 135, 138, 191, 269, 270, 303, 319, 320, 335, 339-341, 374, 405-415, 417-419
რომანოვები 77
როსტომაშვილი ივანე 302
როსტომაშვილი ტასო 302
რუსთაველი შოთა 118
რუსო 155
რუხაძე ვ. 91
რუხაძე თევდორე 401
რცხილაძე გიგო 320
რცხილაძე გრიგოლ 85, 191

საბაშვილი მიხა (მიხა) 348, 439
სალარიძე გიორგი (ახალციხელი) 87, 277
სალია კალისტრატე 373, 375, 376
სამადაშვილი ნიკო 16
სამსონიძე პ. 128, 130
სამსონიძე-ქუთათელაძე პეტრე 224, 226, 227, 239, 241, 242, 254, 255
სანაძე გივი 356
სარკისოვი 33
სარჯველაძე ილია 149, 150
საყვარელიძე მიხეილ 82, 233
საყვარელიძე ნინა 233
საყვარელიძე პავლე 224, 227-230, 232, 233, 241, 246, 251, 444-445
საყვარელიძე სიმონ 453
საჯაია ალექსანდრე 236, 258
სელივანოვსკი 54
სერებრიაკოვი 421, 423, 424
სიხარულიძე შალვა 140, 143
სმილგო 421
სმირნოვი ი. ნ. 421
სპირო ვილიამ 185, 188
სოსელია აბრაამ 366, 368
სტალინი იოსებ 15, 67, 239, 242, 243, 258, 266, 267, 287, 308, 364, 365, 407, 422, 423, 425, 469

სულაბერიძე ლადო 258
სულთანიშვილი 322
სულხანიშვილი ალექსანდრე 192
სუმბათაშვილ-იუჟინი ალექსანდრე 303
სურგულაძე პეტრე 403
სურგულაძე სერგო 293-295, 297
სხირტლაძე ვასილ 378

ტაბიძე გალაკტიონ 69, 70, 109, 134, 138, 180
ტაბიძე ნოდარ 69, 70, 74, 75
ტაბიძე ტიციან (ტიტე) 16, 17, 45, 46, 138, 180, 207, 208, 229, 233, 246, 250, 251, 305, 319, 406-408, 444
ტადუნოვი 348
ტალახაძე ილარიონ 68, 116, 143, 251
ტალინგი 103, 390
ტარამანოვი ტ. 251
ტატიაშვილი 26, 27, 34, 35
ტატიშვილი ირაკლი 320, 338, 416-418
ტიუტჩევი 179
ტოროტაძე ერასტი 82
ტოროშელიძე მალაქია 128, 130, 131, 225, 226, 241-243, 245, 246, 253
ტროცკი ლევ 13, 132, 140, 420-422, 424, 425
ტულოშვილი 102, 390
ტცარა ტრისტან 44

უბილავა ელიზბარ 258
უბილავა ვლადიმერ 258
უზნაძე დიმიტრი 170, 407
უკრაინკა ლესია 173
ურიცკაია კლავდია 350
უროტაძე გრიგოლი 160
ურუშაძე ლევან 164, 165
უშიძე გიორგი 330-332

ფადეევი ალექსანდრე 130
ფავლენიშვილი იასე 149, 150, 152
ფავლენიშვილი შალიკო 404
ფანცულაია აპოლონ 440
ფაღავა აკაკი 279

ფაღავა გიორგი (გოგიტა) 472
ფედერერი 409
ფეიქრიშვილი 316
ფირალიშვილი ოთარ 277
ფიროსმანი ნიკო 207
ფირცხალავა სამსონ 82, 85-95
ფირცხალაიშვილი კალისტრატე 112, 248
ფიხტე 406
ფრანკე ბრუნო 336, 337, 405, 412-414
ფრანკო ივარ 173
ფურმანოვი დ. 130
ფურცელაძე გიორგი 439
ფუტორიანი ბორის 420
ფხაკაძე ნიკოლოზ 253
ფხოველი ჯარჯი 275, 276

ქადეიშვილი ლავრენტი 441
ქავთარაძე 88, 344, 346, 348, 349
ქავთარაძე გივი 258, 322
ქავთარაძე ვ. 304
ქავთარაძე ლიზიკო (ელისაბედ) 73, 184-189
ქავთარაძე სერგო 48, 52, 54, 55, 243, 421-425, 469
ქავთარაძე ქაიხოსრო 184
ქავთარაძე-გაბიტაშვილი ოლღა 189
ქათამაძე 49
ქანთარია გია 308
ქართველიშვილი გრიგოლ 96
ქართველიშვილი ლიზა 96
ქართველიშვილი შალვა 96, 98
ქარქაშაძე ნ. 240
ქარცივაძე დავით 99-102, 104, 373, 389, 449, 450
ქარცივაძე ნიკოლოზ 71, 381, 383, 426, 470, 471
ქაჯაია ს. 153
ქვარიანი 395
ქიაჩელი ლეო 139, 224
ქიქოძე ალექსანდრე 235, 243, 245
ქიქოძე გერონტი 128, 129, 131, 164, 204, 319
ქობულია სპარტაკ 356
ქობულოვი ბოგდანი (ბახჩო) 49, 50,152, 443, 445

ქორქაშვილი ლ. 111
ქორქია 90
ქუთათელაძე დავით 364
ქუთათელაძე ივანე 165
ქუთათელი ა. 227
ქურდაძე თ. 278
ქურდაძე მელიტონ 26, 34, 36
ქურდიანი გივი 356
ქურდიანი სოლომონ 353-357
ქურიძე 376
ქურხული 101
ქუჩიშვილი გიორგი 110
ქუჯიაშვილი 239

ღამბაშიძე შალვა 305
ღვამიჩავა 413
ღვინიაშვილი ნინო 309
ღლონტი თედო 82, 81
ღლონტი ტ. 54, 55
ღოღობერიძე 401, 404
ღოღობერიძე ლევან 46, 47, 52-54, 361
ღოღობერიძე ჟანგო (ივანე) 24, 44-56, 139, 429

ყარალაშვილი ფ. 165
ყარანგოზაშვილი ვიქტორ 149
ყაუხჩიშვილი სიმონ 170
ყაჭეიშვილი არსენ 366-369
ყვავილაშვილი ვარა 322
ყიფიანი ვასილ 190
ყიფიანი სვიმონ 190-195, 374, 397, 398, 401, 450
ყიფშიძე ივანე 416, 417
ყიფშიძე ილია 418
ყენია სილვესტერ 148, 150, 151
ყრუაშვილი 91
ყურულაშვილი 129-132
ყურულაშვილი ამბერკი 444
ყურულაშვილი გიორგი 54, 444
ყურულაშვილი ნ. 246

შავგულიძე შ. 91, 235
შავიშვილი ბუჟუჟა 309
შავიშვილი მიხეილ 197
შალამოვი ვარლამ 282
შამილი 411
შამილიშვილი მანანა 109, 134, 158, 179, 196, 289
შანიძე აკაკი 213, 416, 417
შანიძე ალ. 236
შანშიაშვილი სანდრო 88, 207, 303
შარაშენიძე გ. 91
შარაშენიძე დომენტი 368
შარაძე გურამ 118
შატბერშვილი გიორგი 273
შევარდნაძე დიმიტრი 17, 216
შევჩენკო ტარას 172, 173
შელეგია მამუკა 173, 175
შელი პერსი ბიში 217, 271
შენგელაია ალეკო 158
შენგელაია დემნა 207
შენგელაია ნიკოლოზ 16, 139
შექსპირი უილიამ 96, 118, 217
შიანოვი 34
შილერი ფრიდრიხ 217
შიმშილაშვილი ფ. 64
შკლოვსკი ვიქტორ 225
შონია მიხეილ 148, 150, 151
შპენგლერი ოსვალდ 268, 411
შპერლინგი 50, 51
შტირნერი მაქს 411
შუგაროვი გ. 48, 55
შულენბურგი 335
შულცი ფრანც 408
შუხაევა ვერა 53, 55

ჩაკერტი ერიკა 341
ჩაკერტი რაინჰოლდ 335-340, 374, 405, 407, 413, 417
ჩარკვიანი კანდიდ 68, 207, 250, 251
ჩაჩავა აპოლონ 59, 60
ჩაჩბა 348

ჩემბერლენი ს. 411
ჩერნოივანოვი 36
ჩიანელი დია (ჩხეიძე დავით) 115, 138-143, 249, 252, 435
ჩიგოგიძე ვალერიან 368
ჩიტაია გიორგი 24, 196-200
ჩიტაიშვილი ვასილ 342- 349, 439
ჩიქოვანი ავტონომას 441
ჩიქოვანი გ. 250
ჩიქოვანი გიგა 440
ჩიქოვანი დავით 360-363
ჩიქოვანი კუკური 348
ჩიქოვანი ლელო (ლელი) 401, 404
ჩიქოვანი სიმონ 16, 129, 130, 236, 246
ჩიხლაძე 135
ჩიხლაძე (ჩხეიძე) ლეონ 358, 359
ჩიხლაძე რომან 425
ჩიხლაძე სიმონ 243, 424
ჩოლოყაშვილი სიკო 334
ჩოლოყაშვილი ქაქუცა 13, 71, 72, 165, 192, 275, 276, 290, 293-295, 297, 298, 329-334, 374, 379, 383, 392, 393, 397-404, 451, 465, 472
ჩრდილელი დიმიტრი 165
ჩუბინიშე დიმიტრი 281
ჩხარტიშვილი 326
ჩხეიძე გიორგი 445
ჩხეიძე დავით (იხ. ჩიანელი დია)
ჩხეიძე თამარ 187
ჩხეიძე ი. 258
ჩხეიძე ოთარ 258, 273
ჩხეიძე როსტომ 276
ჩხეიძე უშანგი 29, 305
ჩხიკვაძე 128, 130
ჩხიკვაძე პანტელეიმონ 206, 233, 234, 235
ჩხიკვაძე შოთა 315
ჩხენკელი თამაზ 236
ჩხეტიანი სევერიან 333

ცაგარეიშვილი 323
ცაგარელი ალექსანდრე 190
ცაგარელი გიორგი 106-108

ცეცხლაძე გრიგოლ 224
ცვაიგი შტეფან 409
ცინცაძე გიორგი 475
ცინცაძე იოსებ 395
ცინცაძე კოტე 421, 424, 469
ცინცაძე მანია 368
ცინცაძე მირონეს 318
ცინცაძე ნოე 368
ცინცაძე სევერიონ 320
ცირეკიძე სანდრო 139, 224
ციციშვილი გოგი 292, 294, 298-301
ციციშვილი ელენე 90
ციციშვილი სიმონ 90, 91
ცოცანიძე ბაგრატ 330, 332-334
ცხადაია ზოია 63, 77, 85, 96, 113, 138, 184, 238, 350, 365
ცხვედაძე ნიკო 290

ძიგვაშვილი გ. 258
ძნელაძე გიორგი 313
ძნელაძე ვარლამ 106

წერეთელი აკაკი 58, 100
წერეთელი ალექსანდრე 338, 416, 417
წერეთელი ალიოშა 158
წერეთელი გიორგი 85, 170
წერეთელი გრიგოლ 215, 416, 418
წერეთელი დავით (დათიკო) 133, 228- 231, 358
წერეთელი მიხაკო 88 , 403
წერეთელი შალვა 116, 143, 251
წვერავა ს. 241
წითლაძე 348
წილოსანი 160
წინამძღვრიშვილი გიორგი 168, 379, 381, 387, 391, 392, 396, 397, 399-401, 472
წულუკიძე-ახმეტელი თამარ 308, 309
წულუკიძე ვანო 250
წულუკიძე ვარდენ 165, 373, 381-384, 392, 395, 397
წუწუნავა ალექსანდრე 29

ჭავჭავაძე ალექსანდრე 363
ჭავჭავაძე ზურაბ 363
ჭავჭავაძე თამარ 305
ჭავჭავაძე ილია 86, 87, 98, 117, 128, 184, 227, 228, 235, 238, 378
ჭავჭავაძე ოლღა 363
ჭანბა სამსონ 113-116, 249
ჭანიშვილი პარმენ 82
ჭანტურია კონსტანტინე (იხ. კაპანელი კონსტანტინე)
ჭანტურიშვილი დიმიტრი 57, 430
ჭანტურიშვილი ლევანი 430
ჭანტურიშვილი პავლე 59, 430
ჭანტურიშვილი პოსიდო 430
ჭანტურიშვილი სერგი 430
ჭანტურიშვილი სიმონ 57, 430
ჭანტურიშვილი სიო 57-62, 429, 446
ჭეიშვილი 128, 132, 413
ჭეიშვილი ალექსანდრე 124, 230, 239, 245, 255, 258
ჭეიშვილი ნინო 57, 58
ჭელიძე ვახტანგ 258
ჭილაშვილი ვ. 161
ჭილაძე თამაზ 207
ჭილაძე ოთარ 273
ჭიჭინაძე 233
ჭუმბაძე არისტო 257
ჭუმბურიძე თ. 138
ჭყონია ვ. ი. 233, 281, 442
ჭყონია ი. 139

ხაზანი 50
ხაიამი ომარ 118
ხატიაშვილი ვ. 259
ხატისკაცი ნიკოლოზ 365-370
ხეობელი (იხ. ყიფიანი სვიმონ)
ხიდისთაველი 128, 132, 230, 245
ხიზანიშვილი ნიკო 98
ხიმშიაშვილი გიორგი 165, 373, 383, 384
ხიმშიაშვილი თახსიმ 122, 123, 125
ხიმშიაშვილი კოტე 15,16, 258, 348
ხომერიკი 383

ხომერიკი ალფეზ 441
ხომერიკი ვიქტორ 441
ხორავა აკაკი 305, 308
ხორნაული გიგი 291, 293, 299, 301
ხოფერია 112
ხოფერია ნ. 28, 32
ხოფერია ხუხუ 149
ხოშტარია ილია 140, 236
ხოჯევანოვი ვ. 295-298
ხუნდაძე ლევონ 358
ხუნდაძე ს. 139
ხუციშვილი 241
ხუციშვილი სოლომონ 173, 175

ჯაბუშანური გაბრიელ 258
ჯავახიშვილი 193
ჯავახიშვილი გიორგი 96, 98
ჯავახიშვილი დიმიტრი 306, 307, 373, 384-388, 390-392, 396, 397
ჯავახიშვილი იასონ 70-73, 373, 378, 379, 381, 382, 384-387, 391, 392, 395-397, 399, 471, 473, 475, 476
ჯავახიშვილი ივანე 85, 91, 149, 165, 169, 176, 198, 213, 320, 338, 354
ჯავახიშვილი ლუბა 248
ჯავახიშვილი მიხეილ 16, 17, 27, 58, 135, 165, 168, 169, 193-196, 211, 212, 223, 224, 227-232, 248, 250, 273, 306, 307, 373, 378-381, 384-387, 389, 391, 392, 395-397, 403, 444, 446
ჯავახიშვილი ქეთო (ქეთევან) 227, 232, 237, 248
ჯალაღანია 61, 157, 178, 344
ჯალიაშვილი მაია 99, 106, 310, 329
ჯანაშია ს. 85, 91
ჯანბერიძე შალვა 24, 109, 110, 112
ჯანელიძე ივანე 273
ჯაფარიძე თემო 238, 260, 218
ჯაყელი 369
ჯაჯანაშვილი 133
ჯინორია გიორგი 70- 73, 475, 476
ჯინჯოლავა 178
ჯიქია ვლადიმერ 46, 47, 132, 236, 241, 426
ჯიშკარიანი ვალოდია 426
ჯიჯეიშვილი 156, 177, 178

ჯორბენაძე სპირიდონ 160
ჯორჯაძე არჩილ 85, 118
ჯორჯიკია ჯაჯუ 139
ჯოხაძე მაკა 19, 263
ჯუღელი ვალიკო 31

ჰაგარტი ჰენრი რაიდერ159
ჰამსუნი კნუტ 73
ჰესე ჰერმან 267
ჰიტლერი ადოლფ 267, 335, 336